1967

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

1967 2

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 44-ე № 2 თებერვალი, 1967 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

10.366

## შინაარსი

რევაზ მარგიანი — ლექსების ახალი წიგნიდან . . . 3
ალეკო შენგელია — რევოლუციის ორმოცდაათი. ლექსი . . . 5
გურამ გეგეშიძე — ცოდვილი. რომანი. ნაწილი მეორე. გაგრძელება . . . 6
ემზარ კვიტაიშვილი — მწვანე აფრები. ლირიკული პოემა . . . 58
გრიგოლ ჩიქოვანი — ქაობი. ოდიშური მოთხრობა . . . 66
იური ნაგიბინი — აპრილი ტყეში. მოთხრობა. თარგმანი მ. აგიაშვილისა . . . 90
კალე ბობოხიძე — და აელვარებს ცეცხლის რაკეტას... ლექსი . . . 95
ლია ასათიანი — სერაფიტა. ლექსი . . . 96
ჯალალ ედ-დინ რუმი — შამს თაბრიზის დივანიდან. ლექსები. თარგმანი სპარსულიდან მ. თოდუასი . . . 97
ალექსანდრე კალანდაძე — რასობრივ სამსჯავროში. დოკუმენტური რომანი. დასასრული . . . 99
ელგუჯა მაღრაძე — ცხოვრება გრიგოლ ორბელიანისა. მხატვრულ-ისტორიული ნარკვევი. გაგრძელება . . . 121

### დიადი 50 წელი

ს. ჩხარტიშვილი — 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია. . . . 136

### კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა

იპოლიტე ვართაგავა — ხუტა ბერულავა . . . 148
რ. სამარინი — შოთა რუსთაველი და მე-12 საუკუნის მსოფლიო ლიტერატურული პროცესი . . . 158
თენგიზ ბუაჩიძე — ალ. ჭავჭავაძის პოეზიის ხასიათისათვის . . . 165

### ფაქტები, მოგონებანი

მიხეილ კვესელავა — ათასი ფუთი ბრალდება. გაგრძელება . . . 172

### წიგნების მიმოხილვა

ბ. ჩიტაური — „რიონი“ . . . 188
გრ. იმნაიშვილი — მონოგრაფია ვ. ბარნოვის ისტორიული რომანების ენის შესახებ . . . 190

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი გრიგოლ აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:
დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი, ე. მაღრაძე, ბ. ჟღენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შანშიაშვილი, ვ. წულუკიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 3-55-11, პ/მგ. მდივნის — 3-55-13, განყოფილებების — 3-55-15, 3-55-17, 3-55-20.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/II-67 წ. ქაღალდის ზომა 70×108. ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12^1/_2$. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16.

უე 07395. ტირაჟი 8500. შეკვ. № 48

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ მარგიანი

## ლექსების ახალი წიგნიდან

### იმედი

არ ყოფილიყო შენთვის ნუგეში,
თუნდაც რაღაცის მცირე იმედი,
თვით შენს შორეულ სიჭაბუკეში
გულს შავი ფიქრით დაიმძიმებდი!

წამი—წამს
წუთი—წუთს ენაცვლება,
მალე სიბერის დაგკრავს სიცივე,
მაგრამ მაშინაც ცისფერ
ტაძრებთან
იმედის შუქი გაიციმციმებს.

თვალებს არ დაღლის მისი ციაგი,
გახანგრძლივდება წუთი ყოველი,
მაგრამ ყველაფერს როგორ მიაგნებ,
რასაც დაეძებ
ან და მოელი.

მოისმენ
გულის უხმო ბრძანებას,
მაინც გზას მისცემ ახალ იმედებს
და ბოლოს ღმერთიც შენს საამებლად
მხოლოდღა იმედს გამოიმეტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სიხარულის და ცეცხლის გარეშე...

შენ, ვისაც გინდა, ცეცხლში იწოდე
და არ მოაკლო შუქი გონებას,
ეს ერთი მაინც
უნდა იცოდე
უცეცხლოდ მაინც არ გედგომება!

რადგან ამ ქვეყნად ღამეც არსებობს
და მითუმეტეს,
მკაცრი ზამთარიც,
აიღე გული და სასოებით
ააბრიალე, ვით ჩირაღდანი.

მაშინ კი...
ბნელი ვერ ითარეშებს,
ველარ დაჰფარავს ბინდი გონებას,
სიხარულის და ცეცხლის გარეშე
ამ ქვეყანაზე არ გედგომება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალეკო შენგელია

## რევოლუციის ორმოცდაათი

მე გადავდივარ მომავლის წელში,
როგორც ნობათი დროის და სივრცის.
ადამიანი — ბუნების ლექსი,
უდიაძესი ნაყოფი მიწის!

და ვხარობ, როგორც ახალწლის წუთი.
ჩემი პლანეტის ლამაზი ფიქრი.
ვარ გასროლილი სივრცეში ბურთი
და გალაკტიკის ბილიკზე მივქრი.

ვარ დედამიწა, ცხელი და ვრცელი,
სამყაროს აზრი, დრო და საათი!
ვთენდები, მომყავს ახალი წელი
რევოლუციის.
ორმოცდაათი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ გეგეშიძე

# ცოდვილი

## რომანი

### ნაწილი მეორე

### 1

სექტემბერი ისეთი დადგა, რომ ნაადრევი ზამთარი გეგონებოდათ. დღე დღეს მისდევდა და ცა არ იხსნებოდა. განუწყვეტელმა წვიმამ და სიცივემ მოსახლეობა შეაშინა; ყველა ამინდზე ლაპარაკობდა. ჭირნახული ასაღები იყო. ამინდს კი ისეთი პირი უჩანდა, რომ ძნელი წარმოსადგენი იყო, ისევ თუ ათბებოდა, ისევ თუ გამოანათებდა მზე. სექტემბრის ბოლო რიცხვებში წყალმა გადაიარა და ყანები დაფარა. ამინდმა გული გაუტეხა ყველას. ავდრით შეწუხებული და გაკვირვებული ხალხი ყოველ დილით ცას უყურებდა და ვერ გაეგო, რამდენხანს უნდა გაგრძელებულიყო ასე, რამდენხანს უნდა ყოფილიყო ცა ასეთი პირქუში. ქუჩაში ყველა აბუზული დადიოდა, ყველა ჩქარობდა, ჩაჩუმდა ქალაქი, ცხოვრება თითქმის სულ ჩაკვდა. კულტურის სახლში დღის კინოსეანსებზე მხოლოდ ბავშვები დადიოდნენ, საღამოს ცარიელი იყო დარბაზი.

არც არაფერი მომხდარა ამ ხნის განმავლობაში საინტერესო. მარტო ერთი მოხუცი დედაბერი გარდაიცვალა. საშინელი წვიმა იყო მისი დაკრძალვის დღეს და მხოლოდ ჭირისუფლები და კიდევ ორიოდე კაცი, — ტალახში ამოგანგლული ჩექმებითა და წყლით გაჟღენთილი საწვიმრებით, — აცილებდნენ მას თავის უკანასკნელ გზაზე. საფლავი ძლივს გაუთხრიათ, წყლით ივსებოდა თურმე სამარე. აღარც ქელეხი გამოვიდა წესიერი. ქელეხიდან დაბრუნებული რამოდენიმე კაცი დუქანში აგრძელებდა იმ საღამოს სმას.

მეტი რა იყო? არაფერი მაინცდამაინც განსაკუთრებული. ძუკუ თაურიას ორმოცისათვის ემზადებოდა. ის ფული, რომელიც მას ჭურჭლის დამტვრევისათვის შეაწერეს, ვამეხმა გადაიხადა. ასეთი ხმა გავრცელდა ქალაქში. ეს ამბავი ძუკუმაც გაიგო. როგორ მორიგდნენ ერთმანეთში ძუკუ და ვამეხი, არავინ იცის. მაგრამ ერთხელ, როცა კოკისპირულად წვიმდა, ისინი სადგურის რესტორანში სვამდნენ. ოფიციანტი გვაჩიც, რომელსაც ძუკუმ სრულიად უმიზეზოდ გაარტყა ამ ერთი თვის წინ, იმათთან იყო. გვარიანად დათვრნენ სამივენი, განსაკუთრებით ძუკუ, მაგრამ მას არც ხმაური აუტეხია, არც მხიარულობდა, გამოცვლილი ჩანდა კაცი.

მატარებლები ისევ დაგრიალებდნენ ლიანდაგებზე და ვაგონის ფანჯრებიდან მოწყენილი სივრცე მოჩანდა. მხრებჩამოყრილი ხეები, დამნაშავეებივით ატუზულიყვნენ სადგურის უკან. ბაქანზე წინანდებურად აღარ ირეოდა ხალხი. აღარც მერია ჩანდა სადმე, აღარც ანტონი. იასონს ყოველთვის ნახავდით კულტურის სახლში, ჯემალი კი მორჩა პრაქტიკას ადგილობრივ საავადმყოფოში და დაბრუნდა ქალაქ ოდესაში, სადაც წელს უნდა დაემთავრებინა სწავლა. ალისამ გააცილა ჯემალი სადგურზე. მათ ერ-

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 1.

თმანეთი გადაჰკოცნეს, ღიმილით დასცილდნენ ერთმანეთს. სწავლის დამთავრების შემდეგ ჯემალი ისევ ამ ქალაქში აპირებდა დაბრუნებას და სამსახურის დაწყებას. ალისა ძალიან ამაყობდა ამით, ბედნიერი იყო. ბოლოს და ბოლოს იპოვა ისეთი კაცი, ვინც ნამდვილად ღირსი იყო სიყვარულისა და პატივისცემის. რაღა ექნებოდათ სათქმელი ზოგიერთებს ამ ქალაქში, როცა ალისა ექიმის ცოლი გახდებოდა? რომ ეს მართლა ასე მოხდებოდა ყველამ იცოდა. რადგან ჯემალი ამ საკითხზე თითონ კოწია-ექიმს ელაპარაკა და კოწიაც დაპირდა, როცა სწავლას დაამთავრებ და ჩამოხვალ ყველაფერში დაგეხმარებიო.

კოწიას ვაჟმა ლევანმა ცოლი შეირთო იმ სექტემბერს, მისი ცოლი როზა ღამის დარაჯის შვილი იყო, თვრამეტი წლის ლამაზი, მოხდენილი ქალიშვილი, მხოლოდ სახელი ერქვა ძალიან უცხოური. სხვა მხრივ ნაკლი არ ჰქონდა ამ გოგოს. ლევანმა პატარა ქორწილიც გადაიხადა, მაგრამ ძუკუ არ დაპატიჟა, ძალიან კი უნდოდა დაეპატიჟნა... რა თქმა უნდა, არც კოწია ესწრებოდა ქორწილს. ამ ამბავმა უფრო დააშორა მამაშვილი, თუმცა კაცმა რომ თქვას, მეტი რაღა დაშორება უნდოდათ?

თითქმის ყოველდღე წვიმდა. ვერ გაიგებდით მარტი იყო თუ სექტემბერი. მოხუცები ერთხმად იმეორებდნენ, ასეთი შემოდგომა არ გვახსოვსო. წელიწადის დროც იწვევს ადამიანში ცვლილებას. სიცივის დროს კაცი უფრო გულჩახვეული ხდება, უფრო უხალისო. ის სექტემბერი კი მართლა ზამთრის თვე გეგონებოდათ. თანდათან დაავიწყდა ხალხს ზაფხულის სიცხე. ყველა თავისი საქმით გაერთო. ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში იდგა. ცხოვრება გრძელდებოდა. მართალია, ავდარმა მოწყენილობა მოიტანა, მაგრამ ჩვეული რიტმი ქალაქის ცხოვრებისა არ დარღვეულა. მამაკაცები, როგორც ყოველთვის, სამუშაოზე დადიოდნენ; სამუშაოდან შინ ბრუნდებოდნენ. ქუჩები სველი იყო, ზოგან გუბეები იდგა. ნისლმა სივრცე დაბურა და ახლა რკინიგზის გადაღმა ლილისფერი მთები აღარ მოჩანდა. ბოლოს წვიმამ გადაიღო. წვიმის წვეთები მაინც მოცურავდნენ ხის ფოთლებზე, ტკაპანით ეცემოდნენ მიწას.

იმ დღეს, როცა ვამეხი მეორედ გამოჩნდა ქალაქში, აღარ წვიმდა. სულ ორჯერ ნახეს ქალაქელმა ბიჭებმა ვამეხი იმ წვიმიან სექტემბერს. ერთხელ ის და ძუკუ სადგურის რესტორანში დათვრნენ და მერე სადღაც წავიდნენ. სად წავიდნენ არავის დაუნახავს, რადგან გარეთ თავსხმა იყო, თანაც უკვე საკმაოდ ბნელოდა, როცა სმას მორჩნენ და ქუჩაში გავიდნენ. მეორედ კი ვამეხი სადგურზე გამოჩნდა. ეს იყო მაშინ, როდესაც ალისა ჯემალს ოდესაში აცილებდა. ვამეხმა ბაქანზე ჩამოიარა და მიესალმა მათ. მან შეამჩნია, რომ ალისას და ჯემალს გაუხარდათ მისი დანახვა და ამიტომ გაჩერდა. ალისას და ჯემალს მართლაც გაუხარდათ ვამეხის დანახვა, მაგრამ რატომ გაუხარდათ თითონაც არ იცოდნენ. შეიძლება იმიტომ, რომ დიდიხანია არ ენახათ და ესიამოვნათ, რომ ნახეს. ყოველშემთხვევაში, ჩვენი სიხარულის მიზეზის გამორკვევა ყოველთვის არ არის აუცილებელი, არ ღირს... ახლა ალისა და ჯემალი ღიმილით უყურებდნენ ვამეხს. ძნელი სათქმელია რატომ იღიმებოდნენ ისინი. შეიძლება ბედნიერად გრძნობდნენ თავს, იქნებ განშორების მოახლოებული წუთი იწვევდა ამ ღიმილს, იქნებ ვამეხი მართლაც ისეთი კაცი იყო, რომ მისი დანახვა უხაროდათ?! ძნელი სათქმელია. ყოველშემთხვევაში, ალისა ძალზე მხნედ გამოიყურებოდა. ისეთი განწყობა ჰქონდა, თითქოს ჯემალის ოდესაში გამგზავრება სევდას კი არ მოუტანდა, არამედ სიხარულს. საოცარია, მაგრამ გულის სიღრმეში ალისას მართლაც უხაროდა ჯემალის გამგზავრება, თუმცა ეს რომ მისთვის გეთქვათ, შეიძლება, სწყენოდა კიდეც. მაგრამ ახლა მომავალი ძალიან მიმზიდველად ეჩვენებოდა, ბაქან-

ზე მდგარს სიამოვნებდა წვიმით გაჟღენთილი ჰაერი; იდგა და იღიმებოდა.

— მიდიხარ? — ჰკითხა ვამეხმა ჯემალს.

— რას იზამ? დამიმთავრდა პრაქტიკა, — უპასუხა ჯემალმა ერთგვარი მორცხვობით, რომელშიც თავმომწონეობა უფრო იგრძნობოდა. ჯემალს სიამოვნებდა, რომ ალისას გული მოიგო, ალისა აცილებდა და ამას ვამეხი ხედავდა.

სწორედ ამ დროს ისევ გაწვიმდა. ჯემალმა საკუთარი საწვიმარი გაიხადა, თავზე წამოიხურა, ცალი ხელი ალისას მოხვია. ალისა ტანზე მიეკრო ვაჟს და იმისი საწვიმრის ქვეშ თავი შეაფარა წვიმას. ამ მოხერხებული თავშესაფრიდან ალისამ შეხედა ვამეხს და უცბად წარმოუდგენლად შეებრალა. ვამეხი იდგა მხნედ, ამაყად და უწყალოდ აწვიმდა ზემოდან. ის იდგა მშვიდი სახით, თითქოს ვერც ამჩნევდა წვიმას, ლმობიერი, კეთილი ღიმილით უყურებდა ჯემალს და ალისას, სველი თმა შუბლზე მიკვროდა. ვიღაცის ძველი, მთლიანად გალუმპული პიჯაკი ეცვა, საყელო გაეღეღა და მკერდი მიეშვირა წვიმისათვის, ფეხები ტალახიან, სალდათურ ჩექმებში ჩაეყო, გრძელი, შემზარავი იისფერი შრამი კისერზე ტანჯვის ნიშნად აჩნდა და რატომღაც ალისას მოეჩვენა, რომ ეს კაცი მართლაც აუტანლად იტანჯებოდა, თუმცა სრულებით არ ეტყობოდა. ყოველთვის მტკიცე და ძლიერი ჩანდა. ახლაც კი, როცა მხრებგაშლილი იდგა წვიმაში და ციოდა, აშკარად ციოდა. რადგან კანი აბურძგვნოდა, მაგრამ იდგა ისე, თითქოს მისთვის არც წვიმა არსებობდა, არც სიცივე, იდგა მშვიდი სახით და ლმობიერი ღიმილით იყურებოდა. ალისას მოუნდა ცოტათი მაინც თანაგრძნობა გაეწია ამ კაცისათვის და უცბად გაურკვეველი რაღაცის მოჭარბებამ გული აუჩუყა, თავი ვერ შეიკავა და ატირდა.

ჯემალმა შეამჩნია, რომ მის სხეულს მიკრული ალისა ტიროდა და უფრო მაგრა მოხვია ხელი.

— კარგი, რა გატირებს, დაწყნარდი! — აღელვებით უთხრა ჯემალმა და მის ხმაში სითბოსთან ერთად ისევ ძლიერად იგრძნობოდა ცუდად დაფარული სიამაყე.

ალისამ თავი გაინთავისუფლა, განზე გადგა, სახე წვიმას შეუშვირა და ცრემლების გამშრალებას შეუდგა. თვალები ოდნავ დაწითლებოდა, ალისამ შეხედა ჯემალს, მერე ვამეხს და სიცილი დაიწყო. თან ცხვირსახოცით თვალებს იწმენდდა და თან იცინოდა.

— ყოჩაღ, ასე სჯობს! — თქვა ჯემალმა უკვე დაბნეული ღიმილით, რადგან ალისას მზერაში და საერთოდ მის საქციელში, ბუნდოვნად იგრძნო, ყველაფერი მთლად ისე არ იყო, როგორც თითონ ეგონა.

— რომელ კურსზე ხარ? — ჰკითხა ვამეხმა ჯემალს, ალბათ მოულოდნელად ჩამოვარდნილი უხერხულობის გასაფანტავად.

— მეხუთეზეა, — უპასუხა ჯემალის მაგივრად ალისამ და ისევ გაიცინა, — გაისად დაამთავრებს და ჩვენ ქალაქში იმუშავებს ექიმად, — ალისამ შეხედა ჯემალს, მერე ვამეხს.

— კარგია, — გაიღიმა ვამეხმაც, — თუ ცოცხლები ვიქნებით, კიდევ ვნახავთ ერთმანეთს.

— აუცილებლად ვნახავთ, აუცილებლად, — თქვა ჯემალმა. მერე ალისას მიუბრუნდა: — არ იტირო, ძალიან გთხოვ, აღარ იტირო...

— შენ ხომ არ იცი, რაზე ვტიროდი, — უთხრა ალისამ. ახლა ის აღარც იცინოდა და აღარც ტიროდა. დაწყნარებული იყო და ცივად იყურებოდა.

— ვიცი, რაზედაც ტიროდი, — თვითდარწმუნებით და ამავე დროს აღელვებით უთხრა ჯემალმა.

— არაფერიც არ იცი! არავინ არაფერი არ იცის, ყველაფერი სისულელეა — თქვა ალისამ და განზე გაიხედა.

ვამეხმა ირონიულად გაიცინა.

— რა გაცინებს? — ჰკითხა ალისამ

და მკაცრად შეხედა თვალებში, თვალი თვალში გაუყარა, ჯიუტად მიაჩერდა.

ვამეხმა მზერა გაუსწორა გამომწვევად მომზირალ ქალს და დამცინავად გაეღიმა.

— იცი რა გითხრა? ჯემალის წასვლა ყველასათვის კი არ არის ტრაგედია, — თქვა მან.

ქალმა თვალები დახარა. ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. წვიმისაგან მოპრიალებული ბაქანი ცარიელი იყო. მგზავრებს შენობაში შეეფარებინათ თავი. სულ ბოლო ლიანდაგზე საბარგო შემადგენლობა იდგა. ვიღაც რკინიგზელი გრძელ ჩაქუჩს უკაკუნებდა ვაგონის ბორბლებს და ელმავლისკენ მიდიოდა.

— აღარ მოდის მატარებელი? — იკითხა ალისამ ნერვიულად.

— ორ-სამ წუთში უნდა გამოჩნდეს, — საათს დახედა ჯემალმა და მართლაც იმავ წამს, შორიდან ელმავლის დაგუბული გუგუნი გაისმა.

ვამეხმა ხელი ჩამოართვა ჯემალს, ბედნიერი მგზავრობა უსურვა და გასცილდა. უხეში, მძიმე ჩექმების ბრახუნით გასწია თავის გზაზე. ფართო ნაბიჯებს დგამდა. მას არ უნდოდა ეცქირა ჯემალის და ალისას განშორებისათვის. ცოტა ხანში მატარებელიც შემოგრიალდა პირველ ლიანდაგზე.

## 2

მერე მატარებელი წავიდა. ვაგონის კარებთან მდგარი ჯემალი დიდხანს გასცქეროდა ნაცნობ ადგილებს. გასცქეროდა ლიანდაგის გასწვრივ ჩამწკრივებულ ლამაზ ეზოებს, ხის ოდა სახლებს, ტრიფოლიატის ეკლიან ღობეებს, ჰიმკრებს, ბილიკებს, გასცქეროდა წვიმისაგან დამბალ მიწას, მწვანე ბალახს და სველ სიმინდებს, გასცქეროდა ნესტით გაჟღენთილ ხეებს და ხეების იქეთ მიმალულ ქალაქს, რომელიც თანდათან უკან რჩებოდა; იკარგებოდა მისი თვალთახედვიდან ნაცნობი შენობები და ის ცხოვრებაც, რომელიც აქ გაატარა, ის ტკბილი წუთებიც, რომელიც აქ განიცადა — შორს მიდიოდნენ და თუმცა ჯემალს გული წყდებოდა, მაინც უმტკივნეულოდ მოელოდა ცვლილებას და მთელი არსებით უერთდებოდა იმ ახალს, რომელიც მოდიოდა მის შესახვედრად წინიდან, თავისდაუნებურად მისი ფიქრები, მის სხეულთან ერთად თანდათან ტოვებდნენ ამ ქალაქს, ალისას, კოწია-ექიმს, ვამეხს, ყველას. ყველაფერს, რაც აქაურობასთან იყო დაკავშირებული, და მიისწრაფოდნენ იმ ადგილისაკენ, საითაც ახლა ჯემალი მიემგზავრებოდა.

ბაქანზე დარჩენილი ალისა კი კარგა ხანს უყურებდა უკანასკნელ ვაგონს.

ბოლოს უკანასკნელი ვაგონიც თვალს მიეფარა. მატარებელი სადღაც, შორს წავიდა. წვიმა შეწყდა. „რა ამინდია" — გაიფიქრა ალისამ და იგრძნო, სახლში წასვლა ეზარებოდა. არ უნდოდა მარტო ყოფნა თავის პატარა ოთახში. რაღაც აწუხებდა, რაღაც სურდა. ჩანთა იღლიაში ამოიდო და გასასვლელისაკენ მიბრუნდა. გასასვლელისაკენ მიბრუნდა და პირველი, ვინც დაინახა შამილა იყო, — რომელიც მოედანზე იდგა და პაპიროსს აბოლებდა, — და პირველი რაც გაიფიქრა ალისამ შამილის დანახვისას იყო ის, რომ ახლავე გაქცეულიყო სადგურის შენობისაკენ. საითაც ვამეხი წავიდა წეღან, ენახა ვამეხი და გაეფრთხილებინა, ეთქვა მისთვის, რომ მოედანზე შამილა იცდიდა. ალისა მობრუნდა და თავისი გადაწყვეტილებით უცნაურად აღელვებული და კმაყოფილი სწრაფად გაემართა ვაგზლისაკენ. სწრაფად გაიარა ბაქანი და მოსაცდელ დარბაზში შეიხედა. იქ არ იყო ვამეხი. შეიხედა საპარიკმახეროში. არც აქ იყო. აქ უსაქმო პარიკმახერები დომინოს თამაშობდნენ. გამობრუნდა და რესტორანთან მივიდა. კარი გამოაღო და შეიხედა. არა, არც იქ იყო ვამეხი. სად წავიდა, სად დაიკარგა? საერთოდ სად დადის ეს კაცი, რას აკეთებს? უკვე მეორე თვეა ამ ქალაქშია. სად ცხოვრობს, რითი ცხოვრობს? ნეტავ

რა საქმეები აქვს, ან რატომ არის აქ ჩამოსული? გულდაწყვეტილი გამოვიდა ალისა ქუჩაში. აქეთ-იქეთ იხედებოდა, ყველა გამვლელს ათვალიერებდა. ახლა უკვე აღარც შამილა ჩანდა სადმე, მაგრამ მაინც ძალიან უნდოდა ვამეხის ნახვა, ძალიან უნდოდა გაეფრთხილებინა, ეთქვა მისთვის. რომ მოედანზე შამილა იდგა წელან, მაგრამ ის, რაც ძალიან გინდა, არასოდეს არ სრულდება ხოლმე.

ნელი ნაბიჯით ბრუნდებოდა ალისა შინისაკენ. მოწყენილი იყო. ეს მოწყენილობა ჯემალის წასვლას დააბრალა და მოუნდა ახლავე მიეწერა მისთვის წერილი, მიეწერა, რომ უკვე მოენატრა, თუმცა დღეს დაშორდნენ ერთმანეთს. ალისას უნდოდა, რომ ახლა, ამ წუთში, ჯემალს სცოდნოდა როგორ გაუფუჭდა გუნება მატარებლის წასვლის შემდეგ, როგორ მოსწყინდა ეს პატარა ქალაქი, როგორ მოსწყურდა ისეთი რამ, რაც ძირფესვიანად შეარყევდა მის დუნე, თანაბარ ცხოვრებას. ისეთსავე უხალისოს, როგორც ამინდი იყო იმ სექტემბერს.

## 3

მაგრამ ყოველგვარ მდგომარეობას აქვს ბოლო. მოგეხსენებათ, კარგს ცუდი ცვლის, ცუდს კარგი. ერთი და იგივე რამ არასოდეს არ გრძელდება დაუსრულებლივ. ოქტომბრის პირველ რიცხვებში ნაადრევი წვიმები ზენა ქარმა შეცვალა. ქარმა გადარეკა ტყვიასავით მძიმე ღრუბლები და თანდათან გაშრა ქვეყანა. ცა მოიწმინდა, ათბა. მოსახლეობას იმედი მიეცა, მოემატა ხალისი ცხოვრებას. ქუჩები ისევ ხალხით აივსო. ოქტომბრის შუა რიცხვებში საბოლოოდ გაშრა ნოტიო მიწა და ნამდვილმა, ნოყიერმა შემოდგომამ მთელი თავისი თვითმყოფი სიმძაფრით იფეთქა.

რძითა და თაფლით გაიჟღინთა ქვეყანა. ოქროს ძაფები გააბა მზემ ცას და მიწას შორის. ძარღვებში სისხლი აუჩქროლდათ ხეებს და დამწიფდა ნაყოფი. სიმწიფის სუნით აივსო ბროლივით გამჭვირვალე ჰაერი. შემოდგომის ოქროსფერი სიყვითლე შეეპარა სივრცეს, განაზდა გარემო. ჯანსაღი ხალხი მიეშურა ყანებს ჭირნახულის ასაღებად. ყოველი დღე იყო ისეთი სავსე ბუნების მადლით. რომ ადამიანი ცვლილებას გრძნობდა საკუთარ ტანში, მთელი დღე გრძნობდა კაცი ძალას და სიხარულს. მოსაღამოება კი სასიამოვნო ტანჯვასავით აწვა გულს. როგორც პირველი სიყვარულის განცდა მერე ფოთლებმა იწყეს ცვენა. ფერწასული ფოთლები ჭრელ ხალიჩას ქსოვდნენ დედამიწაზე და თვალს უხაროდა მისი ყურება, სულს კი ავიწყდებოდა. რომ სიკვდილის წინაშე იდგა და ამ დროებით სილამაზეს აუცილებლად შესცვლიდა ზამთრის სუსხი, ეს ლამაზი ფოთლები სულ მალე დაიწყებდნენ ლპობას. ხრწნას. მაგრამ მიწა ჯერ სავსე იყო სიცოცხლით და ადამიანის უსაზღვრო სურვილები მოითხოვდნენ ავსებას, დაკმაყოფილებას. სული ეძებდა სიყვარულს, სითბოს, სივრცეს. მზისგან ჩამონაჟური ძალა სხეულში დაგროვდა და თავისუფლების წყურვილი სიმღერად გადაიქცა. შრომის ჰიმნი გუგუნებდა დაბლობში და დიდებული მზე სიყვარულით დასცქეროდა ბედნიერ ქვეყანას.

მზე მამაა ჩვენი. მზე არის სიცოცხლის შემომქმედი. მზის შუქი — ეს არის სული, რომელიც ერევა მიწას, — დედას ჩვენსას, — და წარმოშობს სიცოცხლეს. ალბათ ამიტომ სცემდნენ მზეს თაყვანს ძველი ხალხები, რომლებიც მნათობის გამოჩენას ცაზე სიხარულის კიჟინით ეგებებოდნენ ხოლმე.

თითქმის ასეთსავე წარმართულ სიხარულს განიცდიდა ვამეხი ყოველ დილით, როცა იღვიძებდა და ხედავდა, როგორ იცვამდა მზე თავის ბრჭყვიალა სამოსელს. ყოველ დილით მოდიოდა ვამეხი აქ, ამ მინდვრებში. კიდით-კიდემდე გადაჭიმული, უშფოთველი ცის ლაჟვარდი სულს უწყნარებდა, ამშვიდებდა, აშორებდა მწუხარე და მტანჯველ ფიქრებს, რომელთა რკალი, როგორც იქნა.

გამოარღვია და ახლა თავისი ნამდვილი არსით წარსდგა ბუნების წინაშე. სიხარულით ივსებოდა, როცა ხედავდა ყანებში მოწეულ ჭირნახულს, როცა ხედავდა ყანების ბოლოში დაუსრულებელ რიგად მდგარ ხეებს, ზოგს ჯერ კიდევ მწვანეს, ზოგს უკვე ფოთლებშემოძარცულს. მწითე ხურმის ფერი ედო სივრცეს იმ შორეულ ხეებს შორის. ვამეხს უხაროდა, როცა ესმოდა მალაღურების გალობა და ხედავდა ახლო-მახლო სოფლებიდან ჩამოსულ გლეხებს, კოლმეურნეებს, რომელთაც ეს ნაკვეთები ეკუთვნოდათ. ახლა თვითონაც გლეხი იყო და მათთან ერთად შრომა ახალისებდა, ავიწყებდა ბევრ რამეს. აქ უკვე ყველა იცნობდა ვამეხს, ყველა თავისიანად თვლიდა. მუშაობით გართულებს დრო არ ჰქონდათ ზედმეტი ცნობისმოყვარეობისათვის, შრომა კი ყველას აერთიანებდა.

ფარდიანი ურმებით გაჰქონდათ ჭირნახული ყანებიდან. მოტეხილი სიმინდი იჭრებოდა და კონებად ეწყობოდა. აქაიქ უკვე წამოემართათ ხმელი ჩალის ზვინები. სიმინდის ტაროებით დატვირთული ურმები ჭრიალით მიდიოდნენ სოფლის გზაზე. ქარვისფერი იყო სივრცე, საითაც არ გაიხედავდი, და იდგა ხოლმე ზოგჯერ ვამეხი ნამგლით ხელში დაღლილი, ოფლში გაწურული ამ უზარმაზარ მინდორზე და უხაროდა, რომ შეერია მშრომელ ხალხს, სრულებით ახალი თვალით დაინახა სიცოცხლე. მას სწყუროდა ცხოვრება ბუნების შვილისალი ცხოვრებით, მის ახალგაზრდა სულს აუცილებლად ესაჭიროებოდა სარბიელი და მოქმედება, მას უნდოდა ყოფილიყო არა სხვათა ცხოვრების უბრალო მეთვალყურე, არამედ რისამე შემოქმედი, რათა ამით გაემართლებინა საკუთარი სიცოცხლე და უნებლიე დანაშაული.

მთელი ოქტომბერი გლეხებთან გაატარა. დილიდან საღამომდე ყანებში შრომობდა თავაუღებლივ და კოლმეურნეობისაგან იმდენი ჭირნახული მიიღო, რომ თავისუფლად ეყოფოდა მარტო კაცს მთელი ზამთრის განმავლობაში. შრომისაგან დაღლილი და დაქანცული სხვებთან ერთად სოფელში ბრუნდებოდა. ის უკვე შეეთვისა ახალ გარემოს და დაცხრა მისი აფორიაქებული სული, რადგან ვამეხი არ იყო სუსტი კაცი. ის კი, ვინც ძლიერია, ვინც მწვავედ განიცდის ყველაფერს. რაც მის ირგვლივ ხდება, ვისაც ძალზე დამძაფრებული აქვს შთაბეჭდილების უნარი, სულ მოკლე დროის განმავლობაში ახდენს დიდ გარდატეხას თავის თავში, ვიდრე ის, ვინც დუნედ, თანაბრად მიყვება მოვლენათა მსვლელობას. ძლიერი, ნიჭიერი კაცისათვის დრო ზედმიწევნით შეკრულია, სავსეა ცვლილებებით, ერთი დღე არასოდეს არ ჰგავს მეორეს. ყოველგვარი, ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოვლენა მისთვის შთაგონების წყაროს წარმოადგენს, ამიტომ ასეთი პიროვნება გაცილებით მალე სწვდება და იგებს მომხდარი ფაქტის მნიშვნელობას და აზრს, მაშინ, როდესაც ჩვეულებრივ კაცს ამისათვის დაუსრულებელი წლებიც კი არ ჰყოფნის, ზოგჯერ კი მთელი სიცოცხლეც არ არის საკმარისი. ამიტომ ის, ვინც ძლიერი და ნიჭიერია ადვილად იცვლება და ეს ცვლა ზრდას ნიშნავს ყოველთვის.

თავისდაუნებურად, ახალმა ცხოვრებამ მთლიანად გაიტაცა ვამეხი და ამ ორი თვის განმავლობაში ის მართლაც საგრძნობლად შეიცვალა. ეს რა თქმა უნდა, იმას კი არ ნიშნავს, რომ მისი სრული გარდაქმნა მოხდა. ასეთი რამ არასოდეს არ ხდება, რადგან ფესვები საწყისის, ფესვები იმისა, რაც იყო, რაც მოხდა იმდენად ღრმად არის გამჯდარი დღევანდელობაში, რომ ჩვენ ყოველთვის ვეკუთვნით წარსულს, ისევე როგორც მომავალს. გამოძახილი წარსულისა, მისი ნიშანი და ჩვენი სწრაფვა, ჩვენი უხილავი კავშირი მომავლისადმი მთლიანად განაპირობებს ჩვენს დღევანდელ ყოფას.

მაგრამ ასეა თუ ისე, ვამეხს უკვე უყ-

ვარდა თვალუწვდენელი მინდვრები, სადაც შრომობდა და იღლებოდა. უყვარდა ის სოფელი, სადაც ახლა ცხოვრობდა და სულ არ ნანობდა, რომ აქ მოხვდა. მთელი ოქტომბრის განმავლობაში ერთხელაც არ გამოჩენილა ქალაქში, ის ძლიერ მადლობელი იყო ძუკუსი, რომელმაც თავისი პატარა ქოხი დაუთმო დედამისის სოფელში. ახლა აქ ათევდა ვამეხი ღამეს, ეს იყო მისი დროებითი ბუდე.

დიახ, მართლაც ძნელია არსებობა თუ არა გაქვს ბუდე, თუ არა გაქვს მიზანი. ვამეხს უკვე ჰქონდა ბუდე და მომავლის ლურჯი ბურუსიდან თანდათან გამოკრთოდა ჯერ კიდევ შეუცნობელი, ჯერ კიდევ მკრთალი, უფორმო, ჩამოუყალიბებელი რამ, რაც ვამეხს თავისი ცხოვრების მიზნად ესახებოდა.

## 4

პატარა ქალაქი კი ყოველდღიურ ცხოვრებას განაგრძობდა. ისევ გამოეფინა ქუჩებში ხალხი. ისევ ახმაურდა ქალაქი. შემოდგომა დადგა და ყველაფერში იგრძნობოდა ქვეყნის სიმაძღრე. მოსავლით დატვირთული სატვირთო მანქანები ზედიზედ მოდიოდნენ დამზადების პუნქტში და ცარიელი ბრუნდებოდნენ უკან. ბაზარი ჭირნახულითა და ხალხით აივსო. ათასგვარი ხილი ჩამოჰქონდათ გლეხებს სოფლებიდან: ქარვისფერი და შავი ყურძენი, საზამთრო ვაშლი და მსხალი, კომში და ხურმა. ისევ გამოჩნდა ფეხშიშველი მეირა დახლებს შორის. მუხლებამდე აკაპიწებული, დახეული შარვალი ეცვა, თავზე სქელი ბუხრის ქუდი ეხურა. ისევ დაათრევდა ტომრებს მეირა. ბაზრის წინ პატარა სადალაქოში, სადაც ამ ორიოდე თვის წინ ვამეხი დაჭრეს, განუწყვეტლივ ისმოდა ელექტროსაკრეჭი მანქანის მონოტონური რუტუნი. ეს მანქანა დალაქს ეხლახან შეეძინა და მისი სადალაქოს სიამაყეს წარმოადგენდა. ხშირად მოდიოდნენ აქ სახეზე მზემოკიდებული, გაბურძგნილი და გაუპარსავი კაცები და ჩასუქებული, მაგრამ ცქვიტი დალაქი მთელი დღე ციბრუტივით ტრიალებდა, იღწვოდა ხალხის გასალამაზებლად. კულტურის სახლში რემონტი დაიწყეს და დროებით ყოველგვარი კულტურული ღონისძიებანი შეწყდა. იასონს მოცლა არა ჰქონდა, ერთ გაწამაწიაში იყო, დასდევდა მუშებს, აჩქარებდა, უნდოდა რემონტი მანამ დამთავრებულიყო, სანამ სიცივეებს დაიჭერდა. ბევრი საქმე გაუჩნდა იასონს იმ ხანებში. ერთის მხრივ, ასეთი ვითარება მისთვის ძალზე სასარგებლო იყო. მართალია, იმდენი სულიერი სიმტკიცე ჰყოფნიდა, რომ შეეძლო თავისი განცდების დაფარვა, მაგრამ გულში ალისას დაშორებას მწარედ განიცდიდა. ისე კი არაფერს იმჩნევდა. ერთი შეხედვით უდარდელად, მტკიცედ ეჭირა თავი, მაგრამ ვინ იცის ეს მართლა სიმტკიცე იყო თუ პროფესიული ოსტატობა? იასონი ხომ თეატრალი იყო, მსახიობი, რეჟისორი?! გულის სიღრმეში იასონი უეჭველად გრძნობდა ალისას დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს და ალბათ ბევრ რამესაც ნანობდა, მაგრამ ამას აღარაფერი ეშველებოდა. ალისას ჰყავდა ახალი მეგობარი, სახელად ჯემალი, რომელიც არაფრით არ იყო იასონზე ნაკლები. ალისა მოთმინებით და უნდა ითქვას, ერთგვარი სიამაყით ელოდა ჯემალს. დიახ, სიამაყით! მას ეამაყებოდა, რომ უცდიდა შეყვარებულს, რომელიც ერთი წლის შემდეგ დაბრუნდებოდა შორეულ ქალაქ ოდესიდან და ცოლად შეირთავდა. როცა შემთხვევით სადმე ერთმანეთს შეხვდებოდნენ, იასონი ალისას ისე ეპყრობოდა, თითქოს კარგი მეგობრები დარჩნენ, მიუხედავად იმისა, რაც მოხდა. არც ალისა იყო მაინცდამაინც, ასეთი ურთიერთობის წინააღმდეგი. მაგრამ ისინი იშვიათად ხვდებოდნენ ერთმანეთს. იასონი საქმეებით იყო დატ-

ვირთული და ეს ცოტათი ართობდა, ცოტათი მაინც ავიწყებდა ალისას.

ალისა ყოველ დილით, მთავარ ქუჩას საავადმყოფოსაკენ მიყვებოდა. ჩვეულებისამებრ, უაღრესად თბილად, უაღრესად თავაზიანად ესალმებოდა ნაცნობებს. შეიძლება ამის გამოც უყვარდათ ალისა ქალაქელებს, თუმცა ბევრი ათას რაღაცას ამბობდა ზურგს უკან. მერე ალისა საავადმყოფოს თეთრ შენობაში შედიოდა და მთელი დღე იქ იყო. საავადმყოფოს თეთრად შეღებილ პალატებში ახლაც იწვნენ ავადმყოფები. ზოგი მძიმე ავადმყოფი იყო, ზოგი უკვე რჩებოდა.

მაგრამ ალისას მოწყენილობა რომ საავადმყოფოში ავადმყოფების ყოფნას დაბრალდეს, სწორი არ იქნება. ასეთ რამეს ალისა დიდი ხანია შეჩვეული იყო. ავადმყოფებთან ურთიერთობას არ განიცდიდა. ამჟამად, ალბათ, პირადი ცხოვრებით უკმაყოფილება უფუჭებდა გუნებას. რატომ უნდა ყოფილიყო ის უკმაყოფილო? უკმაყოფილების საბაბი თითქოსდა არ უნდა ჰქონოდა. პირიქით, თითქოს არ უნდა დამდურებოდა ბედს, რომლის წყალობით ახლა მისი ცხოვრება ძალზე კარგად აეწყო. ალისა მართლაც არაფერში არ ამჟღავნებდა უკმაყოფილებას, მაგრამ მარტოობით გამოწვეულ მოწყენილობას ვერ უძლებდა და ვერც ფარავდა. როგორ უნდოდა, მალე ჩამოსულიყო ჯემალი! ძნელია, როცა დიდხანს ელოდები რაღაცას, როცა მუდამ ელოდები რაღაცას, თუნდაც ეს რაღაცა ბედნიერების მომტანი იყოს. საღამოობით, როცა სამსახურიდან შინ ბრუნდებოდა, გამოიტანდა სკამს აივანზე, დაბალ ხმაზე ჩართავდა რადიოლას და მოწყენილი, ჩაფიქრებული იჯდა, დასცქეროდა პატარა ქალაქს, მის მოფუსფუსე მკვიდრთ, მშვენიერ კოხტა სახლებს, წითელკრამიტიან სახურავებს. რა ექნა, სად წასულიყო? მთელი საღამო მოწყენილი იჯდა. ზოგჯერ მისი მეგობარი ლეილა შემოივლიდა სტუმრად და აივანზე მსხდარი ქალები ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ აზრს ქუჩაში გამვლელ-გამომვლელთა შესახებ. ამით ერთობოდნენ. ისინი, რა თქმა უნდა, ყველას იცნობდნენ ამ ქალაქში, უფრო სწორად თითქმის ყველას.

შამილა და მისი მეგობრები იმ ქალებს არ უყვარდათ. ყოველთვის აგინებდნენ მათ, ზიზღით სახე ემანჭებოდათ, როცა ისინი ქვემოთ, ქუჩაში ჩაივლიდნენ ხოლმე, ალისას სახლის წინ. უხეშად როხროხებდნენ, ხორხოცებდნენ, ისეთი ცინიკურ და თავაგდებულ დამოკიდებულებას ავლენდნენ სხვების მიმართ, თითქოს მარტო მათი იყო ეს ქვეყანა, ეს ქალაქი და უფლება ჰქონდათ, რასაც მოისურვებდნენ ის ჩაედინათ. ეს სულ სხვა წრის ხალხი იყო. ამათთან არც ალისას და არც ლეილას არავითარი ურთიერთობა არა ჰქონდათ, მაგრამ, რასაკვირველია, იცნობდნენ, ვინ არ იცნობდა მათ?. ლეილა იასონთან მეგობრობდა, მაგრამ ალისასთან იასონზე ლაპარაკს ერიდებოდა. მართლაც არ ღირდა იასონზე ლაპარაკი. რა საჭირო იყო იასონზე ლაპარაკი, როცა ალისას ახლა ჯემალი უყვარდა. უცბად კი მოხდა ჯემალისა და ალისას დაახლოება. ლეილამ თითქმის დეტალურად იცოდა მათი რომანის ისტორია. ისინი, ერთი შეხედვით, შემთხვევით დაახლოვდნენ. მერე რა ვუყოთ? ცხოვრებაში ყველაფერი შემთხვევით ხდება. იასონს რომ არ დაესმინა ვამეხი შამილას მეგობრებთან, ეს ამბავი არ მოხდებოდა. სწორედ იმ დასმენამ გადაადგმევინა ალისას ასეთი ნაბიჯი. იასონის ჯიბრზე დაუახლოვდა ჯემალს. ალისას, რა თქმა უნდა, მოსწონდა ჯემალი; მოსწონდა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უღალატებდა იასონს, ის ამბავი რომ არ მომხდარიყო. ალისა ისეთი ქალი კი არ იყო. ვინც გართობას ეძებს, არა! ლეილამ მშვენივრად იცოდა, რომ ალისა ნამდვილ მეგობარს ეძებდა და არაფერს არ დაიშურებდა იმ კაცისათვის, ვინც ასეთ რამეს აგრძნობინებდა. სწორედ ამიტომ

ცდებოდა ხშირად ადამიანის შეფასებაში, თავისი ასეთი მისწრაფებისა და ნდობის გამო. რატომღაც დიდხანს არ უმართლებდა, არ აფასებდნენ ისინი, მისგან ყველაფერს რომ იღებდნენ, ხალხი კი ათას რამეს ამბობდა მისი ზნეობის შესახებ, დაუნდობლად ჭორავდნენ ზურგს უკან. მაგრამ ლეილამ ხომ იცოდა, რამდენად წმინდა და გულწრფელი ადამიანი იყო ალისა, რამდენად ერთგული და თავდადებული მეგობრისათვის. ხალხი კი ყოველთვის თავისებურად განმარტავს ყველაფერს. ამას არც უნდა მიაქციო ყურადღება. მხოლოდ თვითონ უნდა იყო დარწმუნებული საკუთარ სისწორეში, მაშინ სხვებიც დაგიჯერებენ, რომ მართალი ხარ ახლა ალისას მტკიცედ სწამდა, რომ ერთი წლის შემდეგ ჯემალი ოდესიდან ჩამოვიდოდა და ცოლად შეირთავდა. ეს ამბავი სხვებსაც სჯეროდათ ქალაქში და სულ არ მიაჩნდათ საოცრად, თუმცა ალისა ჯემალამდე ბევრ ბიჭებთან დადიოდა, იასონთან, ბენოსთან, სხვებთანაც დადიოდა, მაგრამ არცერთის ცოლი არ გამხდარა.

ლეილას ძალიან უყვარდა ალისა, ჯემალიც მოსწონდა და უხაროდა, რომ ალისამ ასეთი კარგი მეგობარი შეიძინა. ლეილას აზრით ჯემალი ძალზე წესიერი ბიჭი იყო. აქაური ბიჭებისაგან განსხვავებით, მას სრულებითაც არ მიუქცევია ყურადღება ალისას წარსულისათვის და გულწრფელად შეუყვარდა იგი. აქ კი ზოგიერთებს, უფრო სწორად უმრავლესობას, განათხოვარი ქალი, სრულყოფილ ქალად არც კი მიაჩნდა. არ მიაჩნდა ისეთ ქალად, რომელსაც შეუძლია სიყვარული, დედობა, ცოლობა. ჯემალი კი სულ სხვანაირი ბიჭი აღმოჩნდა. ის უფრო თავისუფლად უყურებდა ცხოვრებას. შეიძლება ოდესაში დიდხანს ყოფნამ გამოუმუშავა ასეთი თვალსაზრისი ქალ-ვაჟის ურთიერთობაზე. ასეა თუ ისე, ალისა სისტემატურად იღებდა ჯემალის წერილებს ოდესიდან და ლეილას აზრით, ამაშიც ჩანდა მისი კარგი ბიჭობა. ყველა საპასუხო წერილში ალისა მოკითხვას უთვლიდა ჯემალს ლეილას სახელით. როცა ჯემალი აქ იყო, ისინი რამდენჯერმე ეწვივნენ ლეილას სტუმრად. რა გასაკვირია, რომ ალისას მოსწყინდა უჯემალოდ? არც ჩაცმა-დახურვა აინტერესებდა იმდენად, არც გავლა-გამოვლა. სად წასულიყო, როგორ გაერთო თავი ამ პატარა ქალაქში, ან ვისთვის გამოპრანჭულიყო? ვინ იყო მისი სილამაზის შემფასებელი? რა თქმა უნდა, თავისთავად, ძალზე სასიამოვნოა, როცა ლამაზად გამოიყურები, მაგრამ გაცილებით უფრო სასიამოვნოა, როცა შენი სილამაზე ვიღაც გარკვეულ პიროვნებას ეკუთვნის, იმის ალტაცებას იწვევს, აღელვებს იმას, ვისაც გინდა აღელვებდეს. ეს გაცილებით უფრო სასიამოვნოა, ვიდრე ის, როცა სილამაზე მხოლოდ საკუთარ თვითკმაყოფილებას გიქმნის. სილამაზე საფუძველია სიყვარულის, უსიყვარულოდ კი არ არსებობს ცხოვრება, განსაკუთრებით ქალისათვის, რადგან კაცებს ხშირად მიაჩნიათ, რომ ქალ-ვაჟის სიყვარულზე უფრო ძლიერი ვნებებიც არსებობენ. ქალისათვის ფასი არა აქვს უსიყვარულოდ სიცოცხლეს. უაზრობაა ცხოვრება, თუ არა ხარ სიცოცხლის შემომქმედი. თუმცა სიცოცხლე სხვაა და ცხოვრება სხვაა. ცხოვრება იგივე სიცოცხლეა, ოღონდ უფრო მაღალ საფეხურზე ასული, რომელიც არსებობის სურვილის გარდა, გაცილებით უფრო მეტ ვნებებს შეიცავს, ზოგჯერ ისეთ ვნებებსაც. რომლებიც თავისი ბუნებით, როცა საქმე საქმეზე მიდგება, სიცოცხლის წინააღმდეგნიც არიან.

ლეილა ქმარს გაცილებული ოცდათერთმეტი წლის, ტანმსხვილი ქალი იყო. ათი წლის გოგონა ჰყავდა; პედაგოგიური ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული და ახლა ადგილობრივი გაზეთის რედაქციაში მუშაობდა. ვაჟკაცური ხასიათის ქალი იყო ლეილა, მაგრამ პირადმა ცხოვრებამ არ გაუმართლა. მი-

სი ქმარი იდიოტი აღმოჩნდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ღვინის სმისა და ტრაბახის გარდა არაფერი შეეძლო. შესახედავად კარგი ვაჟკაცი ჩანდა, მაგრამ რად გინდა? არსად არ ივარგა, სადაც არ დაიწყო სამსახური ყველგან გამოაგდეს. სრულებით არ გრძნობდა რაიმე მოვალეობას ცოლშვილის მიმართ. უნდოდა მოქეიფე, მსმელი კაცის სახელი ჰქონოდა. მაგრამ ის რა კაცია, ვინც ქეიფისა და დროსტარების გარდა არაფერზე არ ფიქრობს და თავისი ქეიფით სხვასაც აწუხებს? რაკი ოჯახს მოეკიდე, ხომ უნდა უპატრონო კიდეც, ხომ უნდა შეგეძლოს თუნდაც სავსებით უმნიშვნელო საქმის გაკეთება, ხომ უნდა ფიქრობდე რაიმეზე, როცა ქეიფობ, ხომ უნდა გექეიფებოდეს? ძალიან შეზღუდული, ეგოისტი და ბრიყვი უნდა იყო კაცი, რომ სულ გექეიფებოდეს ამ ცხოვრებაში, თორემ თავის დროზე ქეიფს რა სჯობს? ლეილა საერთოდ ქეიფის წინააღმდეგი კი არ იყო, როცა პურმარილში მოხვდებოდა თვითონაც უყვარდა ღვინის სმა და მოლხენა, მაგრამ მისი ქმარი ნამდვილად აუტანელი პიროვნება გახლდათ. ოჯახში წვრილმანი ჯიჯღინისა და ჩხუბის გარდა არაფერს აკეთებდა, გარეთ — კი ხუმრობდა და მღეროდა. კაპიკი ფული არ შემოჰქონდა ოჯახში. ამას კიდევ აიტანდა ლეილა, რომ რაღაც გასამართლებელი მიზეზი ჰქონოდა, მაგრამ არა, იმისი მიზეზი ის იყო, რომ რასაც იშოვიდა ღვინოში ხარჯავდა და ასეთ კაცს კიდევ თავი მოსწონდა ხალხში, ოხუნჯობდა, ტრაბახობდა. იმის მაგივრად, რომ სირცხვილით თავი არ გამოეყო გარეთ. ფაქტიურად ცოლის ხარჯზე ცხოვრობდა, ეს კლდესავით აღმართული ვაჟკაცი. აქ კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ მათი გათიშვა ეკონომიურ სივიწროვეს კი არ გამოუწვევია, არამედ ქმრის უპასუხისმგებლობას, უნიათობას. დიდხანს ითმინა ლეილამ, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ გამოუსწორებელი ლოთი შეხვდა ქმრად, როცა დარწმუნდა, რომ მოტყუვდა, მწარედ მოტყუვდა, ადგა და გაეყარა. თავის მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა და გაზეთის რედაქციაში დაიწყო სამსახური. მას შემდეგ ექვსი წელი გავიდა, სულ მალე ლეილას ქმარი რაღაც ბნელ საქმეში გაეხვია და დააპატიმრეს; ლეილა კი აღარც იგონებდა მას, არ სიამოვნებდა მისი მოგონება. ახლა მშვიდად და წყნარად ცხოვრობდა და მთელ თავის ენერგიას ბავშვის აღზრდას ანდომებდა. სიყვარულს, რა თქმა უნდა, აღარ მოელოდა. ის დრო წავიდა. გაქრა. რა დროს სიყვარულზე ფიქრი იყო, უკვე ბერდებოდა ქალი. გულში რას ფიქრობდა ლეილა, ეს არავინ იცის, მაგრამ ქმართან გაყრის შემდეგ მამაკაცებთან მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა. ეს იყო და ეს. ამას ვერავინ ვერ უარყოფს. შეიძლება ბევრს მოსწონდა ლეილა, მაგრამ ლეილა რომ ახლოს არავის იკარებდა, ამას ვერავინ ვერ უარყოფს. ისე კაცებთან მეგობრობა უფრო ერჩივნა, ვიდრე ქალებთან. ლეილას ერთადერთი მეგობარი ქალი ამ ქალაქში ალისა იყო. ალისა უყვარდა და ეცოდებოდა, რადგან კარგად ესმოდა მისი, კარგად იცნობდა.

ალისასაც მხოლოდ ლეილასთვის შეეძლო შეეჩივლა თავისი მწუხარება. არც ალისას და არც ლეილას წუწუნი არ უყვარდათ, მაგრამ ქალებს ყოველთვის აქვთ მოთხოვნილება ვიღაცას მთლიანად გადაუშალონ გული, გაუზიარონ თავისი დარდი. ისინი ერთმანეთს ყველაფერს ანდობდნენ, ათას რამეზე საუბრობდნენ აივანზე მსხდარნი, როცა ლეილა მოდიოდა ალისასთან სტუმრად. ჯემალის გამგზავრების შემდეგ ალისა ხშირად დადიოდა ლეილასთან. ყოველთვის რაიმე საჩუქარს ყიდულობდა ლეილას გოგონასათვის, ეხმარებოდა ლეილას ოჯახურ საქმიანობაში. მერე დიდხანს ისხდნენ და საუბრობდნენ ხოლმე. ათას რამეზე საუბრობდნენ ეს ქალები. საუბრობდნენ კოწია-ექიმზე. მის შვილზე, სხვებზე და სხვებზე, ზოგჯერ საწყალი თაურიას სიკვდილსაც

იგონებდნენ და ძუკუსაც ახსენებდნენ. ძუკუს ლეილა ვერ იტანდა.

— არ მომაგონო ეგ ლოთი, ეგ გათახსირებული, მაგ მხეცმა დაღუპა ის ბავშვი,—ზიზღით ამბობდა ლეილა.

— ეჰ, ნუ იტყვი, ლეილა,—ეუბნებოდა ალისა,—ყველაფერი ბედია.

— რა ბედი, ქალო, ხომ არ გაგიჟდი. საწყალი ბავშვი ლოთობას შეაჩვია.

— მერე ძუკუს რა ბრალია. ეგ იმ უბედურის ბედი ყოფილა.

— რომელი ბედი ქალო? ყველაფერს რომ ბედი დავარქვათ და ბედით ავხსნათ, მაშინ ყოველგვარი ბოროტების გამართლება შეიძლება ქვეყანაზე. ბედიაო იტყვი და რასაც გინდა გააკეთებ. ასე როგორ შეიძლება?

— მაინც არსებობს ბედისწერა,—რაღაც უცნაური სევდით ამბობდა ალისა და ჩაფიქრდებოდა.

— ვერ ვიტან ლოთებს, იმ ბრუციან ძუკუს ვერ ვიტან, პირდაპირ გავგლიჯო მინდა,—ამბობდა ლეილა.

ქალაქი კი ცხოვრობდა თავისი ცხოვრებით, ქუჩაში თავთავიანთ საქმეზე მიეშურებოდა ხალხი და არავინ არ იცოდა, რომ აივანზე მსხდარი ქალების საუბრის საგანს წარმოადგენდა საღამოობით.

არც ელამმა ძუკუმ იცოდა, რომ ამ ქალების საუბარი ზოგჯერ მასაც შეეხებოდა, საიდან უნდა სცოდნოდა ძუკუს, რომ ლეილა ხშირად ახსენებდა, ხშირად წარმოსთქვამდა ხოლმე მის სახელს. ეს რომ ძუკუს სცოდნოდა...

მაგრამ ამაზე ლაპარაკი ახლა არა ღირს. საინტერესო ის არის, რომ ელამი ძუკუ წვეთ ღვინოს აღარ სვამდა ამ ბოლო დროს და წვერმოშვებული დადიოდა. მისი ნაცნობები ამბობდნენ თაურიას ორმოცისთვის ფულს აგროვებს და იმიტომ აღარ სვამსო. ბოლოს ეს დღეც დადგა. პანაშვიდის დღე. ძუკუმ თაურიას ძეგლი დაუდგა საფლავზე და ოქტომბრის უკანასკნელ კვირას ორმოცი დანიშნა, დღის სამ საათზე.

## 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაურიას ორმოცმა კარგად ჩაიარა. ბევრი ხალხი მოგროვდა პანაშვიდზე. კოწია-ექიმიც მოვიდა, სკოლის დირექტორი ვახუშტიც, დამზადების კანტორის დირექტორიც. ვინ იფიქრებდა, თუ ამდენი ხალხი მოგროვდებოდა, თუ ამდენი ვინმე შეიწუხებდა თავს შემოდგომის ამ მშვენიერ, თბილ, კვირა დღეს. როცა სასაფლაოს ზემოთ უნაპიროდ გაშლილი ცა სანუკვარ ოცნებასავით წმინდა და ლურჯი იყო და თეთრი, სუფთა ღრუბლები ანგელოზებივით დასცქეროდნენ მაღლიდან დედამიწას. ძველისძველი, მარმარილოს ფრთამოტეხილი ანგელოზები კი, რომლებიც მოწყენით, მდუმარედ იდგნენ საფლავებზე, წვიმისა და დროისაგან გაშავებულნი და სევდიანნი. მიწისკენ აბრუნებდნენ კაცს ცის სიღრმიდან და აგონებდნენ სიკვდილს, ტანჯვას, ყოველდღიურ ცხოვრებას. მაგრამ მაინც ბევრმა სცა პატივი თაურიას ხსოვნას და იმ დროს, როცა მუსიკა უკრავდა, ხალხი ჩუმად იდგა საფლავის ირგვლივ, ზოგი ახლოს, ზოგი უფრო შორს და მოთმინებით იტანდა ამ მოსაწყენ. ერთფეროვან მუსიკას. ყველანი ჯგუფჯგუფად იდგნენ და ჩუმად ლაპარაკობდნენ. ვიოლინო კი გაუთავებლად აწრიპინებდა ერთსა და იმავე აუტანელ მოტივს, რომელიც სრულებით ვერ ქმნიდა ვერავითარ განწყობას გარდა გაოცებისა, მოწყენისა და შეუსაბამობისა. ყოვლად წარმოუდგენელი იყო ამ მუსიკის მოსმენა, რა ექნა ხალხს, არც ელაპარაკათ? რატომ არ უნდა გამოლაპარაკებოდა, მაგალითად, იასოხი კოწია-ექიმს. როცა ისინი ერთმანეთის გვერდით იდგნენ და თანაც იასონი პატივს სცემდა კოწიას?

— ბატონო კოწია, რა საშინელებაა სიკვდილი, არა? მედიცინა ჯერჯერობით უძლურია სიკვდილის წინაშე...

მართალია, კოწია ძალიან კარგი კაცი იყო, პანაშვიდებს არასოდეს არ აცდენდა, სუყველას უბედურება გულთან ახლოს მიჰქონდა და რამდენადაც შეეძლო

იმდენად თანაუგრძნობდა ყველას, მაგრამ რატომღაც არ უყვარდა როცა „კოწიას“ ეძახდნენ. ამ კნინობით სახელს გულის სიღრმეში ვერ იტანდა, რადგან გაუცნობიერებლად თვლიდა, რომ ეს სახელი ერთგვარი პროვინციულ-მეტიჩრული ხასიათის გამომხატველი იყო და მისი მატარებელი არ უნდა ყოფილიყო მაინცდამაინც სერიოზული და პატივსაცემი კაცი. გაცილებით ერჩივნა, როცა „ბატონ კონსტანტინეს,“ ან უკიდურეს შემთხვევაში „ბატონ კოტეს“ ეძახდნენ (რაც იშვიათად ხდებოდა), მაგრამ ამას აშკარად ვერ აცხადებდა, რადგან არ უნდოდა თავისი სისუსტე გამოემჟღავნებინა, თუმცა მის მიმართ საყოველთაოდ გავრცელებული მიმართვა „კოწია“ ძალზე აღიზიანებდა. ამიტომ კოწიამ ალმაცერად შეხედა იასონს და დუმილი არჩია.

10.366

— ბატონო კოწია, ალბათ საშინელი უნდა იყოს სიკვდილის შეგრძნება, არა? — კვლავ ჰკითხა იასონმა.

კნინობითი სახელით ასეთმა დაჟინებულმა მიმართვამ, ისიც ახალგაზრდისაგან, კოწია ცოტა არ იყოს გაამწარა და ამიტომ მის ხმაში გაღიზიანება გაისმა, რაც შეამჩნია იასონმა, მაგრამ ვერაფრით ვერ ახსნა.

— სიკვდილი შეგრძნება არ არის, ეს შეგრძნებების გაქრობაა. ეს არის განთავისუფლება ყოველგვარი შეგრძნებებისა და განცდებისაგან. ასეთია მედიცინის და ფილოსოფიის აზრი,— თქვა კოწიამ.

— კი მაგრამ, ბატონო კოწია, სიკვდილის წინ ხომ საშინელ ტკივილს განიცდის ადამიანი, ის ხომ საშინლად იტანჯება?

— ამ ტკივილისა და ტანჯვის შემდეგ დგება სრული განთავისუფლების, მოსვენების წუთი, რომელსაც უმტკივნეულოდ, პირიქით, ერთგვარი სასიამოვნო, შვების მსგავსი განცდით მოსდევს სიკვდილი... ასეთია ერთი იტალიელი მეცნიერის და ფილოსოფოსის აზრი,— თქვა კოწიამ.

— თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, ბატონო კოწია, მაგრამ მე ძალზე მეეჭვება, რომ ეგ აზრი სწორი იყოს.

— ზუსტად არავინ იცის, რა არის სიკვდილი, არც მედიცინამ, არც ფილოსოფიამ, მაგრამ ჩვენ ასე გვაქვს წარმოდგენილი მისი დადგომის პროცესი.

— ბატონო კოწია...

აქ უკვე ველარ მოითმინა კოწიამ.

— კაცო, თავი გამანებე, თუ ძმა ხარ! გამიგონია, ამდენი ლაპარაკი პანაშვიდის დროს?! — ხმამაღლა წამოიძახა მან და მიბრუნდა.

იასონი შეცბუნდა, მაგრამ ის, როგორც მსახიობი მიჩვეული იყო ჩავარდნასაც და წარმატებასაც, ამიტომ ახლაც მოახერხა თავისი მღელვარების თუ წყენის დაფარვა და არაფრად არ ჩაუგდია კოწიას უხეში ტონი. მან ხალხს გადაავლო თვალი.

მართლა, რამდენი ხალხი მოვიდა თაურიას პანაშვიდზე! ნუთუ ყველას უყვარდა საწყალი თაურია? არა, რა თქმა უნდა. ზოგიერთები არც იცნობდნენ მას, მაგრამ მაინც სწყინდათ მისი სიკვდილი. არ შეიძლება გული არ გეტკინოს, როცა სიჭაბუკე მარცხდება. ვამეხი, მაგალითად, სრულებით არ იცნობდა თაურიას, მაგრამ დღეს ყველაზე ადრე მოვიდა პანაშვიდზე, ახლაც ისეთი სახით იდგა ჩაფიქრებული, მარტოდ-მარტო, ყველასაგან განცალკევებით, მხრებში ოდნავ მოხრილი, გულზეხელებდაკრეფილი, რომელიღაც საფლავის რკინის ღობეს ზურგით მიყრდნობილი, რომ იასონს ეჭვი არ ეპარებოდა მის გულწრფელ მწუხარებაში. იასონს უნდოდა მოსულიყო მასთან და გვერდით ამოდგომოდა, მაგრამ მოპირდაპირე მხარეს შამილა და მისი ძმაკაცები დაინახა და ამიტომ კოწია-ექიმთან დგომა ამჯობინა. ცოტა იქეთ სკოლის დირექტორი ვახუშტი იდგა და დამზადების კანტორის დირექტორს ესაუბრებოდა. ეს ვახუშტი საინტერესო პიროვნება გახლდათ. იასონს ვერაფრით ვერ გაეგო, რა კაცი იყო ის. ვახუშტი ორმოცდაათი წლის იქნებოდა. წვერულვაშს ყოველდღე იპარსავდა და სათვალეს ხმარობდა. შე-

ჭაღარავებული სწორი თმა ჰქონდა და მუდამ აკურატულად ეცვა. გარეგნობით ნამდვილი ევროპიელი იყო, უაღრესად ზრდილობიანი, ზოგჯერ ფამილარულიც კი. მოსწავლეებს იშვიათად თუ უყვირებდა. კულტურული და განათლებული კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი ქალაქში და საერთოდ რბილი კაცი ჩანდა, მაგრამ... მაგრამ შვილი არ ჰყავდა, ამ ხუთიოდე წლის უკან სამი წლის გოგონა გამოიყვანა უპატრონო ბავშვთა სახლიდან და იშვილა. წარმოიდგინეთ რამდენად ბედნიერი იქნებოდა ის ბავშვი, რომელმაც მოულოდნელად მშობლები იპოვნა. ორი წლის შემდეგ კი ვახუშტის ვაჟი შეეძინა. და ვახუშტიმ და მისმა მეუღლემ ნაშვილები პატარა გოგონა ისევ ბავშვთა სახლში დააბრუნეს. წარმოიდგინეთ რამდენად უბედური იქნებოდა ის ბავშვი, რომელმაც მოულოდნელად იპოვა მშობლები და მაშინ, როცა უკვე გაეღვიძა მშობლის სიყვარულის გრძნობა, — ალბად უფრო გამძაფრებული, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ბავშვებს აქვთ, — ისევ დაჰკარგა ისინი. წარმოიდგინეთ იმ ბავშვის, იმ პატარა გოგონას ტკივილი, ის ხომ უკვე შეეჩვია საკუთარ ოჯახს, მთელი თავისი ბავშვური გულწრფელობით შეუყვარდა დედობილი და მამობილი?...

მიუხედავად ამისა, ვახუშტი თავის საქმეს მშვენივრად ასრულებდა. კარგ პედაგოგად, კარგ აღმზრდელად ითვლებოდა. შესანიშნავად ფლობდა უცხო ენებს, გერმანულს და ფრანგულს, ქართული და რუსული ლიტერატურა ხომ ჩინებულად იცოდა, ხელოვნების საკითხებში ღრმად ერკვეოდა. ასე სწამდა ყველას. რა შესანიშნავი მიდგომა ჰქონდა ვახუშტის, როგორი მშვენივრად დაყენებული ღმობიერი ღიმილი უთამაშებდა ხოლმე სახეზე?

— მართალია, გარეგნულად კარგი კაცი ჩანს, მაგრამ სინამდვილეში დიდი ფლიდი და ცბიერი ვინმეა!—პათეტურად განაცხადა ერთხელ კოწია-ექიმმა, რომელმაც ერთ წესიერ ოჯახში, სადღეგრძელოს დროს სახეში შეაფურთხა სკოლის დირექტორს ჰუმანიზმის სახელით. დიახ, ჰუმანიზმის სახელით, ასე განაცხადა კოწია-ექიმმა, რომელსაც თავისი თავი მებრძოლ ჰუმანისტად მიაჩნდა. ეს ამბავი ძალზე გახმაურდა ქალაქში, მაგრამ მალევე მიფუჩეჩდა, რადგან ყველაფერი ღვინოს დააბრალეს. სინამდვილეში კი, კოწია ფხიზელიც რომ ყოფილიყო (საერთოდ ძალიან ცოტას სვამდა, თანაც იშვიათად), მაინც შეაფურთხებდა, რადგან, მისი სიტყვით, ამას პროფესია ავალებდა. მაგრამ, პროფესია რა შუაშია, თუ კაცი კაცად არ ვარგა? რატომღაც ვახუშტის კაცობაში ეჭვი არ ეპარებოდათ, მაინც კაცად მიაჩნდათ, რადგან პირად ურთიერთობაში ძალზე სასიამოვნო ჩანდა, დანარჩენზე კი არავინ ფიქრობდა. ეს მათი საქმე არ იყო. მარტო სიტყვები, მარტო ღიმილი, მარტო პირადი ურთიერთობა რომ იყოს გამომხატველი კაცის ნამდვილი ბუნებისა, ამას რა სჯობს, მაგრამ, სამწუხაროდ, რამდენი რამ იმალება ყოველივე ამის იქით? ხომ იყვნენ ამ ქალაქში ისეთებიც, რომლებსაც ეზიზღებოდათ, შეიძლება ითქვას, სრულიად უმიზეზოდ ეზიზღებოდათ ვახუშტი, გული არ აძლევდა მათ უფლებას, კარგი თვალით შეეხედათ ამ კაცისათვის, თუმცა ის ყველას კაი გამარჯობას ეუბნებოდა. ეს ალბად, ინტუიტური სიძულვილი იყო. არც ძუკუს უყვარდა ვახუშტი. ძუკუს საერთოდ არ უყვარდა ისეთი ხალხი, რომლებიც არასოდეს არ არღვევდნენ მოქცევის დაწესებულ ნორმას, თუნდაც სრულიად უბოროტონი ყოფილიყვნენ. მაგრამ ძუკუს არ სჯეროდა ასეთი ზედმიწევნით ფრთხილი ხალხის უბოროტობა. ვახუშტი მას მიაჩნდა კეთილშობილური გაქანებას მოკლებულ, პატარა, წვრილმან კაცად, არაფერი არ სჯეროდა მისი, მაგრამ თაურიას ორმოცზე მაინც დაპატიჟა, რადგან ერთ დროს თაურია ვახუშტის სკოლაში სწავლობდა და ძუკუს უნდოდა სკოლის წარმომადგენლებიც ყოფილიყვნენ პანაშვიდზე, რათა უკანასკნელად დაეფასებინათ თაურია.

იასონი იდგა და ხალხს ათვალიერებ-

და. დღეს ყველა კარგად გამოწყობილიყო, მაგრამ იასონზე უკეთესად არავინ. იასონს თეთრი პერანგი და შავი კრეპის კოსტუმი ეცვა. არავის არ შეეძლო მთელ ქალაქში ჰალსტუკის გაკვანძვა ისე ლამაზად, როგორც ეს იასონმა იცოდა. ბევრმა ისწავლა მისგან ჰალსტუკის გაკვანძვა. ყველა ახალგაზრდა, ვინც ამ ქალაქში ჰალსტუკს ატარებდა იასონის მოწაფე იყო, ან მისი მიმდევარი. ხომ ძალიან პატივცემული კაცი იყო კოწია-ექიმი, მაგრამ აბა ერთი შეგეხედათ, როგორ ჰქონდა მოჩაჩული კისერში ჰალსტუკი. თუნდაც დამზადების კანტორის დირექტორი ავიღოთ, რა ფერის იყო მისი ჰალსტუკი, სად იშოვა ასეთი ჭრელი ნაჭერი, რომელიც სრულებით არ უდგებოდა მის ძვირფას კოსტუმს?! ამ მხრივ ვახუშტი სხვებზე გაცილებით მაღლა იდგა. მას ნაცრისფერი კოსტუმი ეცვა,ნაცრისფერი ჰალსტუკი • ეკეთა. ჩაცმასაც ცოდნა და გემოვნება უნდა, ფიქრობდა იასონი. შამილა და მისი ძმაკაცები ჰალსტუკს არასოდეს არ ატარებდნენ, ისინი ყოველთვის მკერდგაღეღილი დადიოდნენ. არც ძუკუ იკეთებდა ჰალსტუკს, არც ვამეხი. ვამეხს ისევ ის შავი ტანსაცმელი ეცვა, რომლითაც ამ ქალაქში ჩამოვიდა ამ სამიოდე თვის წინათ. სამი თვე გავიდა მისი ჩამოსვლიდან, უკვე სამი თვე გავიდა, როგორ გადის დრო! თითქოს გუშინ იყო შამილა რომ სცემა ვამეხმა მეირას გულისათვის, მთელი ქალაქის თვალწინ. ვამეხი იყო პირველი კაცი ამ ქალაქში, ვინც არ შეუშინდა შამილას და ხელი აღმართა მის წინააღმდეგ. მაგრამ რას მიაღწია ამით? სრულებით არაფერს. ისევ ისე აწვალებდნენ მეირას ლაზღანდარა ბიჭები. სადაც დაიჭერდნენ, იქ აცეკვებდნენ და მიჰყავდათ ციხეში. ისევ ეშინოდა მეირას და არავინ ჰყავდა ქომაგი. მაგრამ ეს არ არის მთლად სწორი. შამილა და მისი მეგობრები მეირას წვალებით აღარ ირთობდნენ თავს, ყურადღებას აღარ აქცევდნენ, პირიქით, ექომაგებოდნენ კიდევაც, უჯავრდებოდნენ სხვებს, უფრო ახალგაზრდებს. საოცარია, მაგრამ შამილას ხერვები ეშლებოდა, როცა წრეში მოქცეულ მეირას დაინახავდა ხოლმე და ყვირილით ფანტავდა აბეზარ ბიჭებს. შამილასი კი ყველას ძველებურად ეშინოდა. მართალია, ახლა ვამეხსაც პატივს ცემდნენ, მაგრამ შამილა მაინც ძველი შამილა იყო, ისევ ის შამილა, თუმცა... თუმცა, როგორც აღმოჩნდა, არსებობენ შამილაზე ყოჩაღი ბიჭებიც. ახლა ბევრს ვამეხი უფრო ძლიერად მიაჩნდა, მის სიძლიერეს კი იმაში ხედავდნენ, რომ თავისი საქციელით, შეიძლება ითქვას, მაგალითით, შამილაზეც კი მოახდინა გავლენა, სრულებით უნებურად. და აი, ახლა შამილა ვეღარ იტანდა მეირას წვალებას. შეიძლება იმიტომ, რომ ეს თავის მარცხს აგონებდა. არავინ იცის, რას ფიქრობდა შამილა, რა აზრები ტრიალებდა მის გულში. მეირას კი წარმოდგენაც არა ჰქონდა ყოველივე ამის შესახებ, არ იცოდა, რომ ბევრი რამ შეიცვალა მისი წყალობით. თითონ იასონმაც ხომ მეირას გულისათვის დაჰკარგა ალისა, თორემ დღეს, ის ამბავი რომ არ მომხდარიყო, შეიძლება ისევ ერთად ყოფილიყვნენ. მაინც რა გოგო იყო ალისა?! კიდევ როდის შეგხვდება ცხოვრებაში ასეთი ქალი?, მაგრამ იმას, რაც გაქვს, არასოდეს არ აფასებ კაცი. მხოლოდ ახლა იგრძნო იასონმა ეს ძალზე მწვავედ. რა სულელი იყო თურმე, როცა ფიქრობდა, ალისასთან ყოფნა უკვე მომწყინდაო. ზოგჯერ მართლაც ეჩვენებოდა, რომ მოსწყინდა. იმდენად განებივრებული იყო. მაგრამ ახლა ძალზე მწვავედ გრძნობდა თავის შეცდომას. მოწყინდა კი არა, უბედნიერესი კაცი იქნებოდა, რომ შეიძლებოდეს იმ დღეების დაბრუნება. გულის სიღრმეში გრძნობდა, რომ ყველაფერს აპატიებდა, ოღონდ დაებრუნებინა ალისა. მხოლოდ ახლა იგრძნო, როგორ ჰყვარებია, როგორ სჭირდებოდა, და ახლა, როცა უკვე გვიან იყო თითზე კბენანი, როცა დაჰკარგა, გრძნობდა, რომ უფრო მეტად უყვარდა და არავითარი ჯემალის არსებობა არ უტეხდა გულს, არ ასუსტებდა მის ვნებას, პირიქით, უფრო

გაუმწვავდა და გაუძლიერდა ალისას დაუფლების სურვილი და ზოგჯერ, ამის გამო, მთელი ღამე ვერ იძინებდა, ბორგავდა, ნერვები ეშლებოდა, საკუთარ თავზე, ჯემალზე, ალისაზე, ყველაზე, ყველაფერზე...

თაურიას პანაშვიდი კი გრძელდებოდა. მუსიკა უკრავდა. უცებ იასონმა შეამჩნია, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში თაურიაზე სრულებითაც არ უფიქრია. ნეტა ვინმე თუ ფიქრობდა ახლა თაურიაზე, თაურიას ბედზე? არა, ალბათ არავინ. ყველა საუბრით იყო გართული. ზოგიერთები ჩუმ-ჩუმად იცინოდნენ კიდევაც. არც ვამეხი ფიქრობდა ალბათ თაურიაზე, თუმცა ჩაფიქრებული იდგა და არავის არ ესაუბრებოდა. მას ალბათ თავისი ფიქრები ჰქონდა. შეიძლება შამილაზე ფიქრობდა, ან რეზოზე, რომელთაც აქ ხედავდა; შეიძლება იმაზე ფიქრობდა, სად და როგორ გადაეხადა რეზოსათვის სამაგიერო. ალბათ არც ძუკუ ფიქრობდა თაურიაზე, ძუკუ, რომელიც წვერმოშვებული, თავჩაღუნული იდგა თაურიას საფლავთან. ის ალბათ იმაზე ფიქრობდა, რომ შესაფერი პატივი ეცა პანაშვიდზე მოსული ხალხისათვის. ესეც, რა თქმა უნდა, თაურიაზე ფიქრი და ერთგული ზრუნვაა, მაგრამ მთლიანად არავის არ შეეძლო თაურიას ხვედრის ჩაწვდომა. ეს შეუძლებელი იყო. არც კოწია-ექიმს შეეძლო ეს, მიუხედავად მისი ჰუმანური პროფესიისა, რომლის წყალობით ყოველთვის ახლოს იდგა სიკვდილთან და ებრძოდა მას. კოწია კარგად იცნობდა სიკვდილს, მაგრამ ახლა ალბათ, თავის შვილზე ლევანზე ფიქრობდა, რომელიც ხის ქვეშ იდგა, თავი მაღლა აეწია და სასაფლაოს ათასწლოვან ცაცხვებს ზემოთ, ლურჯ ცაზე უძრავად დაკიდებულ თეთრ ღრუბლებს გასცქეროდა. ვინ იცის, იქნებ იმ ღრუბლების დახატვა სურდა და იმაზე ფიქრობდა როგორ გაეკეთებინა ეს საქმე?

პანაშვიდი-კი გრძელდებოდა. უკრავდა მუსიკა. მართლაც ძნელია საფლავთან დგომა და აუცილებლად იმ კაცზე ფიქრი, ვინც ამ საფლავში წევს. მიცვალებულზე ფიქრი,ეს არის ფიქრი მის სულზე და არა მხოლოდ სხეულზე. საფლავი კი მხოლოდ გვამს გვაგონებს. სული სხეულთან შერწყმით ქმნის ადამიანის სახეს და სულაც არ არის გულგრილობის ნიშანი ის ამბავი, რომ სასაფლაოზე ვერ წარმოიდგინოთ ეს სახე, რომელიც თქვენშია, ყოველთვის თან ატარებთ, სადაც არ უნდა იყოთ, და რომელიც მაშინ მოგევლინებათ, როდესაც მარტოობის ჟამს, ან რაიმე სხვა შემთხვევის გამო, თქვენ მთელი არსებით უკავშირდებით მის სულს. ესეც რომ არ იყოს, ფიქრი მოდის მაშინ, როდესაც მას უნდა და არა მაშინ, როდესაც თქვენ გინდათ. ახლა-კი, როცა ძალზე თბილოდა, როცა ძალზე სასიამოვნო დღე იდგა, არავის არ უნდოდა სიკვდილზე ფიქრი და არც არავინ ფიქრობდა სიკვდილზე. მზე უკვე დაბლა დახრილიყო და მის სხივებში სასაფლაოს გალავნის გადაღმა ოქროსფრად აპრიალებული ქვეყანა მოჩანდა. ხალხი ჩრდილში იდგა, ყველა სხვადასხვა პოზაში: ზოგს საფლავის ქვაზე ჩამოედო ფეხი, ზოგი რკინის ღობეს იდაყვით დაყრდნობოდა, ზოგი პაპიროსს აბოლებდა, ზოგი ყურს იფხანდა. ვიღაცამ უკან გაიხედა, შემოსასვლელისაკენ. მერე კიდევ რამოდენიმე კაცმა მიატრიალა იქეთ თავი, იასონმაც გაიხედა და ალისა დაინახა. ალისა ნელა მოუყვებოდა ბილიკს. ზედმიწევნით კოხტად შეკერილი, წელში ვიწროდ გამოყვანილი, ახალი, შავი კაბა ეცვა, მოკლე, თეთრი საყელოთი დამშვენებული. რბილი, შავი თმა მხრებზე ჩამოშლოდა. ტუჩები ბაცი ფერის პომადით შეეღება. თეთრი და ნაზი სახის კანი ჰქონდა. ნელა უახლოვდებოდა ალისა ხალხს, უკან ლეილა მოუყვებოდა. მაღალქუსლიანი შავი ფეხსაცმელები სწორ, ჩამოქნილ ფეხებს უმშვენებდა. მართლაც ძალზე ლამაზი იყო ალისა დღეს. მისი სხეული უაღრესად სასიამოვნო სურნელებით გაჟღენთილიყო და ეს ყველამ იგრძნო, როცა ის ახლოს მოვიდა. იასონს გული

ეტკინა და ამავე დროს ბუნდოვანი იმედიც ჩაესახა. რატომ მოვიდა ალისა აქ? მას ხომ არავითარი ურთიერთობა არა ჰქონდა ძუკუსთან? ნუთუ ლეილას მოჰყვა, მაგრამ ლეილა ხომ ალისაზე მეტად ვერ იტანდა ძუკუს?! მაშ რამ მოიყვანა ალისა აქ? მოწყენამ იქნებ... რაღაც ბუნდოვანი იმედი ესახებოდა იასონს გულში, მაგრამ მის გარკვევას ვერ ბედავდა. ძალაუნებურად ყველა ალისას უყურებდა, სანამ ის სულ ახლოს არ მოვიდა და ხალხს არ შეერია. ბებერი კვიპაროსის ქვეშ დადგა, გრძელი თითები თმაზე გადაისვა,—ფრჩხილები ლაქით ჰქონდა გაპრიალებული, და ნაცნობებს მიესალმა. მიესალმა იასონსაც. შემდეგ კოწია-ექიმი დაინახა და იმასთან მივიდა. იასონს არც კი სჯეროდა, რომ ოდესღაც ეს ქალი მისი იყო. ლეილა იასონთან გაჩერდა.

— დიდიხანია დაიწყო პანაშვიდი? —ჩურჩულით იკითხა ლეილამ.

— საცაა დამთავრდება, — უპასუხა იასონმა.

და ამ დროს მუსიკა შეწყდა. მუსიკოსები დაიღალნენ, ძირს დაუშვეს თავიანთი ინსტრუმენტები. ძუკუმ თავი ასწია მაღლა და ხალხს გადაავლო თვალი. ახალმოსულები იმანაც შეამჩნია. წუთით ლეილაზე შეაჩერა მზერა. ცრემლი მოერია, ცხვირსახოცი აიფარა სახეზე და ისევ ჩაღუნა თავი. ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ძუკუს ჩუმი ტირილი ისმოდა. მერე მუსიკოსებმა „თავო ჩემო" დაკვრა დაიწყეს და უცბად გაურკვეველი რაღაცა მოხდა. უცნაურმა დუმილმა მოიცვა სასაფლაო. ხალხმა ჩურჩული შეწყვიტა და ყველანი ჩაფიქრებულნი, თავჩაღუნულნი, ერთნაირნი იდგნენ თაურიას საფლავთან და ის უწესრიგო ბგერები, რომელსაც გამოსცემდნენ დანჯღრეული ვიოლინის სიმები, ყოველ მხრივ განიფანტნენ სივრცეში და ვინ იცის, იქნებ ზოგს გულში მოხვდა მათი ჟღერა, იქნებ ზოგმა მთელი სისავსით იგრძნო ის ტკივილი, რომელიც ამ ბგერებს წყობას აძლევდა, აერთიანებდა და ჰქმნიდა მწუხარების მელოდიას, — მელოდიას, რომელიც სულ ერთი წამით მაინც ყველასათვის ნათელს ხდიდა იმ სიმწარეს, რომელიც სადღაც უხილავად არსებობდა.

## 6

მერე პანაშვიდი დამთავრდა და ხალხი აიშალა. სულ ყველამ ერთმანეთს გადახედა. ისევ დაავიწყდა ყველას, რომ სიკვდილის შვილები იყვნენ და ცოტა ხნით გამქრალმა ვნებებმა კვლავ იჩინა თავი. ყველას მოაგონდა ერთმანეთის მიმართ რას განიცდიდნენ, რას ფიქრობდნენ, როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ. ისევ გაუჩნდათ ურთიერთისადმი სიმპატია და ანტიპატია, შური და სხვა ამგვარი განწყობილებანი.

დამთავრდა პანაშვიდი და ისევ აღსდგა ჩვეულებრივი ურთიერთდამოკიდებულებანი ადამიანებს შორის. ის, რაც მათ წამით იგრძნეს ერთმანეთის მიმართ, კვლავ დავიწყებას მიეცა. ყველანი გასასვლელისაკენ მიემართებოდნენ. ხმამაღლა ალაპარაკდნენ. მუსიკოსებმა თავიანთი საკრავები ჩანთებში შეინახეს და გულგრილი სახით გადახედეს საზოგადოებას. კაცებმა პაპიროსი გააბოლეს. ნაცნობები ერთად შეიყარნენ. ზოგიერთები ალმაცერად შესცქეროდნენ ერთმანეთს, ზოგიერთები კი სიყვარულით და პატივისცემით, თან ყველა სასაფლაოდან გარეთ გამოდიოდა. საფლავებს შორის ვიწრო გასასვლელებში კაცები გზას უთმობდნენ ქალებს, წინ ატარებდნენ. ყველა რაღაცით იყო შეწუხებული, დაკავებული, შეფიქრიანებული.

ერთადერთი კაცი სასაფლაოზე, ვინც არავითარ უსიამოვნებასა და უხერხულობას არ განიცდიდა, იყო ვამეხი. ის ნელა მოდიოდა სუყველაზე ბოლოს, საკმაო მანძილით ჩამორჩენილი ხალხს და საფლავებს ათვალიერებდა. ზოგიერთ საფლავზე, აქა-იქ, ყვავილები ყვაოდა, ზოგი კი უპატრონოდ დარჩენილიყო, მივიწყებული და გავერანებული. სასაფლაოზე ბებერი ცაცხვების

ჩრდილი იდგა. ჰაერში ნესტისა და დამპალი ფოთლების სუნი ტრიალებდა. მიწა რბილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ სასაფლაოს გარედან ხალხის ყაყანი ისმოდა, აქ გამეფებულ სიმყუდროვეს, სიჩუმეს, უძრაობას, იდუმალებას არაფერი არ არღვევდა და ეს სრული მოსვენება გავიწყებდა სიკვდილის შემზარაობას, ისეთი გრძნობა გეუფლებოდა, თითქოს ლამაზი იყო სიკვდილი, თითქოს სასიამოვნო იყო ამ სასაფლაოზე მშვიდად წოლა ცაცხვების ჩრდილში, თითქოს სიკვდილი იყო ისეთივე შვების მომგვრელი განცდა, როგორიც დავიწყება. ზოგის აზრით ეს ხომ მართლაც ასეა? მაგრამ ვინ იცის, რაა სიკვდილი სინამდვილეში? მართლა დავიწყებაა ის, თუ რაღაც გაცილებით უფრო ღრმა? არ უნდა იფიქრო კაცმა სიკვდილზე, არასოდეს არ უნდა იფიქრო, რადგან სულერთია ვერავითარ დასკვნამდე ვერ მიხვალ. უნდა დაივიწყო სიკვდილი და იფიქრო მხოლოდ სიცოცხლეზე. სიბრძნე ის კი არ არის, რომ ყველა კითხვას გასცე პასუხი, არამედ ის, რომ შეეგუო ისეთი კითხვების არსებობას, რომლებიც არასოდეს არ გადაიჭრება. სიკვდილი არ აღიქმება. მისი გარეგნული მხარე უაღრესად შემზარავია. მისი შინაარსი ჩვენ არ ვიცით. მაგრამ რამდენად სასიამოვნოა წყნარი და ჩუმი სოფლის სასაფლაო, უზარმაზარი ცაცხვებით დაფარული პატარა სასაფლაო, რომელიც იმდენად ლამაზია, რომ გვავიწყებს თავის დანიშნულებას და ამავე დროს სასიამოვნო სევდას აღგვიძრავს გულში, სევდას, რომელიც არ არის მხოლოდ პიროვნული, კონკრეტული რამისაგან წარმომდგარი და გამომდინარე, და სწორედ ამიტომ ის გვამაღლებს, გვაახლოებს რაღაც სიწმინდეს. რადგან ადამიანის სულის მოძრაობა განთავისუფლებული მისი „მე"-საგან არის სწორედ სიწმინდე. უნდა დაკმაყოფილდე ამით და დაივიწყო რა არის ამის იქეთ. ეს არ არის შიში. ეს არის ბრძოლის და მოქმედების საშუალება. მაგრამ ამ დასკვნამდე მაშინ მიდიხარ, როცა ასე თუ ისე იცნობ სიკვდილს. სიკვდილის ცოდნა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია ცოცხლისათვის, მაგრამ მის ხშირად ნახვას, მის პირისპირ ხშირად დგომას, ჩვენ სიკვდილის ცოდნას ვეძახით.

„არა, აღარ უნდა ვიფიქრო სიკვდილზე, — გადაწყვიტა ვამეხმა და თავი მაღლა ასწია, ცას შეხედა, — არც ის არის საჭირო, რომ ყალბი, დაუფიქრებელი ოპტიმიზმით ვტყუვდებოდე და დავარწმუნო საკუთარი თავი იმაში, თითქოს ყველაფერი შემიძლია, რადგან ადამიანი ვარ და ჩემს შესაძლებლობებს არ აქვს საზღვარი. სისულელეა ასეთი ფიქრი თუნდაც იმიტომ, რომ ადამიანის სურვილები მის შესაძლებლობებს ყოველთვის აღემატება... მაგრამ არც სიკვდილზე ფიქრია საჭირო, თუმცა ძალზე მაინტერესებს. საჭიროა მხოლოდ და მხოლოდ სამართლიანი ცხოვრება. რაც მოხდა, მოხდა, აღარაფრის შეცვლა აღარ შეიძლება. ამიერიდან მხოლოდ სიცოცხლეზე უნდა ვიფიქრო!"

და უცბად ვამეხმა იგრძნო, რომ ძალიან ეტკინა გული, რადგან წარმოუდგენლად მოენატრა ის, ვიზეც ფიქრობდა ახლა ქვეცნობიერად, ვინც სულ მუდამ თვალწინ ედგა და ძალზე სჭირდებოდა, მისთვის განკუთვნილი ადგილი კი გულში, ცარიელი, მტკივნეულად ცარიელი იყო.

## 7

ვამეხი სასაფლაოდან გამოვიდა და დაინახა, რომ ყველა წასულიყო. მარტო დარჩა და ესიამოვნა, რომ აქედან ხელის გულივით მოჩანდა დაბლობი, მოჩანდა რკინიგზა, სადაც განუწყვეტლივ დარბოდნენ მატარებლები, რომლებსაც სხვადასხვა მხარეს მიჰყავდა ხალხი. ვამეხი იდგა და გასცქეროდა დაბლობს, ახლა უკვე შეცვლილს შემოდგომის ფერებით. მერე აღმოსავლეთისკენ გაი-

ხედა, იქითკენ, საიდანაც ჩამოვიდა ამ მხარეში და იგრძნო, რომ მოენატრა ადგილი, რომელიც დასტოვა, სადაც გაატარა მთელი ცხოვრება. პაპიროსი ამოიღო, გააბოლა და ჩაფიქრდა. მაშ რა არის ეს ხალისი და სიამოვნება, აქ რომ დაეუფლა, გარემოს შეცვლით გამოწვეულ უბრალო, დროებითი ენთუზიაზმი ხომ არა? ასეთმა აზრმა გაჰკრა გულში და არ ესიამოვნა, რომ რაღაც მონატრების მსგავსი იგრძნო. მას არ ჰქონდა ამის უფლება...

ცოტა ხანს იდგა. ჯერ კიდევ მოჩანდა დაღმართში მიმავალი ხალხი. აქ სიჩუმე იყო. სასაფლაოს წინ ჩელტით შემოღობათ მინდორი და შიგ საქონელი შეერეკათ საძოვრად. დანდური და ჯიჯლაყი მოდებოდა მიწას... ვამეხი თავდაღმართში დაეშვა. აქა-იქ, ნაყანარებში ყვითელი ჩალის ზვინები წამოემართათ. ჩალის სუნით იყო ჰაერი გაჟღენთილი.

უკვე მეორედ ეშვებოდა ვამეხი ამ დაღმართში, უკვე მეორედ მოვიდა ამ სასაფლაოზე. რა იქნება მესამედ? იქნებ მესამედ მე თვითონ ამომიტანონ აქ დასამარხად, — გაიფიქრა ვამეხმა და თვითონვე შერცხვა ამ სენტიმენტალური ფიქრის, რომელიც იმისთვის სჭირდებოდა, რომ საკუთარი თავისადმი სიბრალული ეგრძნო. ვამეხმა იცოდა, რომ არსებობს ასეთი რამ, საკუთარი თავის სიბრალული, ზოგჯერ მართლაც დიდ სიამოვნებას რომ გვგვრის, მაგრამ მამაკაცს არ შეეფერება, არ ეკადრება ასეთი რამ. ვამეხმა სტვენა დაიწყო, რომ ეს არა ღირსეული განწყობილება გაფანტვოდა. მაგრამ ერთხელ, ხომ მართლაც კინაღამ აქ მოსატანი შეიქნა?! მაშინ არც იცოდა სად იყო სასაფლაო. მაშინ სიცოცხლესაც არ აფასებდა, მაგრამ ახლა, მიუხედავად იმისა, რაც მოხდა, უნდა სიცოცხლე. დიახ, უნდა სიცოცხლე. ცოცხალია და უნდა სიცოცხლე. და ვინაიდან ცოცხალია, მის სულში კვლავ ტრიალებენ სხვადასხვა ვნებები, რომლებიც სხვადასხვა სახით იჩენენ ხოლმე თავს. ვამეხმა იცის, რომ არა აქვს უფლება მშობლიური ადგილების მონატრებისა, მაგრამ მაინც უყვარს ამ პატარა ქალაქის სადგური, შეიძლება თქვას, ქვეცნობიერ სიყვარულს განიცდის სადგურის მიმართ. რა შუაშია სადგური? სადგური აგონებს იმ მხარეს, საიდანაც ჩამოვიდა, სადგურიდან შეიძლება ისევ იქ დაბრუნება, ყოველ საღამოს შეიძლება ამის გაკეთება, როცა მატარებელი ჩამოდგება და მგზავრებს ელის ხოლმე.

აი, ახლაც ვამეხი სადგურისკენ მიდის. მან გაიარა მიყრუებული შუკები, მერე გადაჭრა მთავარი ქუჩა და სადგურის უკან, მოედანზე გავიდა. თითქოს ყოველთვის იცვლება სადგური, აქ ყოველთვის სხვადასხვა ხალხი იყრის თავს, ეს ხალხი ყოველთვის სხვადასხვანაირად იქცევა, მაგრამ მაინც ყველაფერი უცვლელია, სადგური მუდამ სადგურია. ასეა ცხოვრებაც. ამ ქვეყანაზე ყველაფერი სახეცვლილებას განიცდის და მაინც ყველაფერი უცვლელია. მუდმივი მოძრაობა და სახეცვლილება, როგორც ცხოვრების თვისება მარადიულად უცვლელი რჩება.

ვამეხი ბაქანზე გავიდა და ცარიელ ლიანდაგებს გადაავლო თვალი. მერე სკამისაკენ გაემართა და დაჯდა. ლიანდაგებს იქეთ ნაყანარები მოჩანდა და საიდანღაც, ძალიან შორიდან, ბაყაყის ყიყინი ისმოდა. ეტყობა იმ ნაყანარებში ფშანი გადიოდა. ბინდდებოდა. მზე უკვე ჩასულიყო. დასავლეთით, მეწამული ცის ფონზე, ლურჯი ღრუბლები გაწოლილიყვნენ გრძლად, ერთმანეთის გასწვრივ, როგორც მდინარეები თეთრ კალაპოტში. ვამეხმა ცას თვალი მოსწყვიტა და პირდაპირ გაიხედა. იქ მთები იდგნენ. სულ მალე დაბლობის ბოლოს აღმართული მთა-გორებიც თეთრ ფარაჯაში გაეხვევიან. ყველაფერი თეთრი და ერთფეროვანი გახდება, დადგება ზამთარი, გაიფიქრა ვამეხმა.

ჯერ კი მზიანი დღეები იდგა. მხოლოდ საღამოობით გრილოდა ხოლმე. ვამეხი გრძნობდა ამ სიგრილეს. ის იჯდა სკამზე და პაპიროსს აბოლებდა. განსაკუთრებით სასიამოვნოა შემოდგო-

მის უკანასკნელი თბილი დღეების შეგრძნება, თითქოს ვიღაცას მშობლიურს და უზომოდ საყვარელ ადამიანს აცილებ სადღაც და სევდა გიპყრობს, ზოგჯერ კი გული ისე სავსეა, მოქმედების წყურვილი ისე მძაფრად გეუფლება, როგორც გაზაფხულის ბოლოს.

კარგა ხანს იჯდა ვამეხი ბაქანზე და უკვე წასვლას აპირებდა, აპირებდა ძუკუსთან დაბრუნებას, ქელეხზე, როცა ანტონი დაინახა. ანტონმა ვამეხს წინ ჩაუარა, დაბამბული ქურთუკი მკლავზე გადაეგდო, ისევ ზოლებიანი, მუხლებზე დაკერებული შარვალი ეცვა და საკმაოდ გაცვეთილი ჩექმებით მიაბიჯებდა. იმ დღის შემდეგ, ურიათუბნიდან რომ დაბრუნდნენ ბაზარში, აღარ ენახა ვამეხს ანტონი და უცბად გაუხარდა, რომ დაინახა. ვამეხმა დაუძახა ანტონს. ანტონი მოვიდა და თავაზიანად მიესალმა.

— მიცანი? — ჰკითხა ვამეხმა.

— როგორ არა, — უპასუხა ანტონმა ყოველგვარი გაკვირვებისა და განწყობის გარეშე, — მე მეგონა ,რომ თქვენ დაიღუპეთ.

— გადავრჩი, როგორც ხედავ...

ანტონი იდგა და თავისი პატარა, თითქმის უფერული თვალებით ათვალიერებდა ვამეხის შრამს კისერზე. მერე დაჯდა.

— ძალიან სასიამოვნოა, რომ გადარჩენილხართ.

— მეც ძალზე მსიამოვნებს, — თქვა ვამეხმა და გაიცინა.

— ჯერ კიდევ ბევრი ცუდი ადამიანი არსებობს ამ ქვეყნად, ბევრი... — დაიწყო თავისი ჩვეულებრივი ტონით ლაპარაკი ანტონმა და ვამეხს გაეცინა, რადგან ისეთი განწყობა გაუჩნდა თითქოს მათი პირველი შეხვედრა მეორდებოდა, გრძელდებოდა, — თუ ადამიანმა არ იცის, რომ ბოროტებას ჩადის, უნდა ეპატიოს, მაგრამ როცა შეგნებულად ჩადიან სიბოროტეს...

— უნდა მოისპოს? — ჰკითხა ვამეხმა.

— აჰ, არა, არა, როგორ გეკადრებათ, ეს ფიქრადაც კი არ მომსვლია, როგორ შეიძლება სულიერის მოსპობა? ეს ფიქრადაც კი არ მქონია, რადგან სწორედ ფიქრებში იწყება [illegible]

— მაშ, რა ვუყოთ ისეთ კაცს, ვინც ცხოვრებას აფუჭებს?

— უნდა შევცვალოთ, გამოვასწოროთ, შევეგუოთ...

ვამეხმა შეატყო, რომ ანტონი მაინცდამაინც დაბეჯითებით არ ამბობდა ამ სიტყვებს და გულიანად გაეცინა. მას ძველებურად სიამოვნებდა ანტონთან საუბარი.

— შენ ისევ ის კაცი ხარ ანტონ, არ შეცვლილხარ, — თქვა ვამეხმა.

— სამაგიეროდ თქვენ ძალზე შეცვლილხართ, უკეთესად გამოიყურებით.

— ეს იმიტომ, რომ მთელი შემოდგომა მინდორში გავატარე, გლეხებთან ვშრომობდი მოსავლის ასაღებად, — თქვა ვამეხმა და მერე ჰკითხა: შენ რას აკეთებდი?

ვამეხს ეამაყებოდა, რომ გარეგნულადაც ეტყობოდა შრომის კვალი და კარგ გუნებაზე დადგა, რომ ახლა ამაზე ჩამოვარდა ლაპარაკი.

— მე ისევ ძველებურად ვცხოვრობდი.

— ესე იგი, არაფერს არ აკეთებდი?

ვამეხი გრძნობდა, რომ სადღაც გულის სიღრმეში გაღიზიანდა, თუმცა ანტონთან საუბარი ართობდა და ამხიარულებდა..

— არა, რატომ? მე ცხოვრებას ვუკვირდებოდი, ვსწავლობდი. — ანტონმა ჩაახველა, — ერთხელ ავადაც გავხდი, ეტყობა გავცივდი, მაგრამ ღვთის წყალობით ისევ კარგადა ვარ...

— რატომ არ ჩაიცვამ ქურთუკს? — უთხრა ვამეხმა.

— ჯერ ადრეა...

— მე მახსოვს ზაფხულში გეცვა...

— არ მინდა სხეული გავანებივრო.

— კი მაგრამ ზაფხულში ხომ გეცვა, შე კაი კაცო, — თქვა ვამეხმა, — ხომ ხედავ გრილა, მით უმეტეს, ნაავადმყოფარი ხარ.

— საქმეც მაგაშია, ზაფხულში მე მა-

თბობს ეს ქურთუკი, ზამთარში კი ვერ მათბობს, ნახეთ როგორი თხელია...

ქურთუკი მართლაც თხელი იყო.

— მერე? — თქვა ვამეხმა და ხელი გაუშვა ანტონის ქურთუკს.

ანტონმა ქურთუკი ისევ მუხლებზე დაიდო. მას კისრამდე შეკრული, ტილოს სიფრიფანა, ლურჯი ხალათი ეცვა.

— საქმე იმაშია, რომ მე ეს ქურთუკი სხეულის მოთხოვნილებათა დასათრგუნავად მესაჭიროება, — თქვა ანტონმა, — ის მე ზაფხულში მათბობს, — ზამთარში კი ვერ მათბობს... ხედავთ რა ეშმაკურად არის მოფიქრებული? — თქვა ანტონმა და სიამოვნებით ჩაიხითხითა.

ვამეხსაც გაეცინა და კიდევ ერთხელ აათვალ-ჩაათვალიერა ანტონი, თითქოს უნდოდა რაღაცაში დარწმუნებულიყო.

— აუცილებელია სხეულის მოთხოვნათა დათრგუნვა, — განაგრძო ანტონმა, — რადგან ისინი ხელს უშლიან სულს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავით იყოს გართული, რათა სხვადასხვა ვნებების ჩამოშორებით სრულ ნეტარებას მიაღწიოს, ესე იგი ისეთ მდგომარეობას, რომელზე უმაღლესი ბედნიერება ადამიანისთვის არ არსებობს და რომლის მიღწევა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ სულის სრული განთავისუფლების შედეგად.

— რას ნიშნავს სულის სრული განთავისუფლება?

— სურვილების უარყოფას!

— სურვილი და ვნება გაერთიანებული, სული არ არის?

— არავითარ შემთხვევაში! სული თავისი ნამდვილი სახით განთავისუფლებულია სურვილისა და ვნებისაგან. სულის ძირითადი თვისება არის შეგნება, თვითშეგრძნება. დანარჩენი კი: სახელის მოხვეჭა, ნებისყოფა, სიამაყე, კმაყოფილება, ძრისხანება, შური, პატივმოყვარეობა, სიძუნწე, სიხარბე და სხვა — მეორე ხარისხოვანი თვისებებია, რომელთა გარეშე სული მაინც სულად რჩება, ხოლო შეგნებისა და უფრო მეტად თვითშეგნების გარეშე წარმოუდგენელია სულის არსებობა იმიტომ, რომ ეს მისი ძირითადი თვისებებია და ამ თვისებების გარეშე სული არ არსებობს.

— რაღაა ცხოვრება ვნებებისა და სურვილების გარეშე, ადამიანური სიამაყის და ღირსების გარეშე? — თქვა ვამეხმა.

— ცხოვრება? ცხოვრება ეს არის იდეალური სრულყოფის მიღწევა, სრულყოფა — ეს არის სულის მიზანი.

— ჰმ, — გაეღიმა ვამეხს, — როგორ უნდა მიაღწიო სრულყოფას თუ ამისკენ არ ისწრაფვი, როგორ შეიძლება რამეს მიაღწიო სწრაფვის გარეშე?

— ვნებებისგან განთავისუფლებით...

— მერე სწრაფვა ვნება არ არის?

—სრულყოფილი სული ყოველგვარი ვნებისაგან თავისუფალია. ის უმაღლეს ნეტარებას განიცდის, რადგან არაფერი არ აწუხებს და ყველაფერი იცის, რადგან სხვადასხვა ვნებები არ უშლიან ხელს აზრების შეცნობაში. სრულყოფისკენ სწრაფვა კი არ არის საჭირო, არამედ საჭიროა ყოველგვარი სწრაფვისაგან განთავისუფლება, ყველა ვნების ჩამოშორება და მაშინ სული დარჩება თავისი სუფთა სახით, რის შეგრძნებაც დიდ ნეტარებას მოგვანიჭებს.

— ესე იგი, არავითარი მოქმედება არ არის საჭირო?

— არავითარი მოქმედება!

ვამეხი სკამზე წამოიწია.

— მაშ როგორ უნდა ჭამო? — იკითხა მან.

— როგორ უნდა ჭამო? — გაუკვირდა ანტონს.

— ჰო, როგორ უნდა ჭამო? — გაუმეორა ვამეხმა, — არსებობა კვების გარეშე შეუძლებელია, როგორ უნდა მოიპოვო საზრდო თუ ხელს არ გაანძრევ, სხეულის სურვილების დასაკმაყოფილებლად? ხომ მოკვდები საწამ ნეტარებას მიაღწევ, ვინ გაჭმევს?

— როგორმე უნდა მოახერხო, ამას რა მნიშვნელობა აქვს?

ვამეხმა გულიანად გადაიხარხარა.

— როგორ უნდა მოახერხო, თუ არ იშრომე. თუ არ იმუშავე? — ჰკითხა მერე.

— მუშაობა არის გართობა. ის ხელს გვიშლის საკუთარი თავის შეცნობაში, გვავიწყებს რაც გველის, და გვაშორებს სულს. აბსოლუტურ სულიერ ნეტარებას, ისეთ მდგომარეობას, როცა არაფერი არ გაწუხებს.

— მუშაობა არის არსებობის საშუალება. ადამიანი იმიტომ იქმნება, რომ იარსებოს, და შრომით მიღწეული ნეტარება არის უმაღლესი ნეტარება, — თქვა ვამეხმა.

სწორედ ამ დროს მან თვალი მოკრა მეირას. მეირა ნაყანარებიდან გამოვიდა და რაც შეეძლო სწრაფად გაჰკურცხლა სადგურის შენობისაკენ ვამეხმა დაუძახა

— მეირა, მეირა! მოდი აქ! — და ხელი დაუქნია.

მეირა შედგა.

— მოდი აქ! — დაუძახა ვამეხმა. ჯიბიდან ფული ამოიღო და მოახლოებულ მეირას გაუწოდა. მეირამ შეხედა გამოწვდილ ხელს, რომელშიც წითელი თუმნიანი იდო, მერე ვამეხს შეაცქერდა სახეში, თან ადგილზე ხტუნაობდა, ფეხიდან ფეხზე და ცქვიტად გაიძახოდა:

— აბა კაი მუშა, კაი მუშა...

— აიღე!—უთხრა ვამეხმა და ფული გაუწოდა.

— აბა კაი მუშა, კაი მუშა, რასაც გინდა წავიღებ, ჩქარა, თუ არა მეჩქარება...

ადგილზე ხტოდა მეირა და ფულის აღებას არ აპირებდა.

— გამომართვი ფული! — უთხრა ვამეხმა ხმამაღლა.

— ა?

მეირა ვერაფრით ვერ ხვდებოდა, რატომ უწვდიდნენ ფულს, რადგან ბარგი ჯერ კიდევ არ მიეტანა ადგილზე. ფულადი საჩუქარი არასოდეს მიუღია თავის ცხოვრებაში და ამიტომ არ იცოდა, რომ ასეთი რამ არსებობს. მან იცოდა, რომ შეიძლება აჩუქონ ძველი ქუდი, ან შარვალი, ან ხალათი, თუ ზამთარია — კალოში, ან თითქმის უძირო ფეხსაცმელი, შეიძლება წინდაც, შეიძლება დაგლეჯილი ქურთუკიც გადმოუგდონ, მაგრამ ფული არასოდეს არ მიუღია მეირას რაიმე სამუშაოს შესრულების გარეშე და ამიტომ მოუთმენლად ხტოდა ადგილზე, რომ დროზე დაემსახურებინა ვამეხის ხელში დანახული წითელთუმნიანი და ელოდა საქმეს, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ამ ფულს იმიტომ პირდებოდნენ, რომ შეესრულებინა საქმე, საქმისთვის კი მუდამ მზად იყო.

ვამეხი ანტონს მიუბრუნდა

— ანტონ, გინდა ეს ფული შენა გქონდეს!?

— არა, რატომ? სჯობს მაგას მისცეთ...

— აიღებ ამ ფულს, რომ მოგცე?

— აღებით რატომაც არ ავიღებ, მე არა ვარ ამაყი, — თქვა ანტონმა.

„საზიზღრობაა, როცა კაცი თავმოყვარეობაზე, ღირსებაზე და კეთილშობილურ სიამაყეზე უარს ამბობს იმ მიზეზით, თითქოს მისი სული უფრო მაღლა იდგეს ამ ცნებებზე. ამ ანტონს მეირა მირჩევნია.“ — გაიფიქრა ვამეხმა. მერე წამოდგა, მეირას ფული ხელში ჩაუდო, შემოაბრუნა და უთხრა:

— წადი მეირა, არ მინდა მუშა...

მეირას გაუკვირდა, მაგრამ ბევრი ფიქრით თავი არ შეუწუხებია, ფული სიხარულით შეინახა ჯიბეში და სწრაფად გაკურცხლა სადგურისკენ.

— აბა კაი მუშა, კაი მუშა, ვის უნდა კაი მუშა, — იძახდა ის.

## 8

დიდი და მდიდარი დაბა ურიათუბანი მხოლოდ ოთხი კილომეტრით იყო დაშორებული ქალაქს. როგორც უკვე ითქვა, ყოველ დილით და საღამოს, გარდა შაბათისა, მეირა სირბილით ფარავდა ამ მანძილს. ეს მართლაც, არც თუ ისე დიდი მანძილია და ალბათ ამიტომ ურიათუბანს ქალაქთან მჭიდრო სავაჭ-

რო ურთიერთობა ჰქონდა. ტრიკოტაჟის არტელი, რომელიც ამ ოციოდე წლის წინად დაარსდა ურიათუბანში, ახლა მოზრდილ საწარმოოდ გადაიქცა, სადაც ორ ცვლად მუშაობდნენ ახლო-მახლო სოფლების ქალები და ახლა ეს არტელი ბამბისა და ხაოიანი ნაწარმის საქსოვ ფაბრიკად იწოდებოდა. ადრიანი დილიდან შუაღამემდე გრუხუნებდნენ ფაბრიკის დაზგები და ეს ხმა, განსაკუთრებით საღამოობით, ძალიან შორს ისმოდა ხოლმე. საქართველოს ყველა კუთხიდან მოსდიოდა ფაბრიკას დაკვეთები და ის უკვე არა მარტო სარაიონო, არამედ უფრო ფართო მნიშვნელობის საწარმოო ობიექტი გახდა. ურიათუბანი განთქმული იყო თავისი კოოპერატივებით და ბევრ რამეს, რაც ქალაქში არ იშოვნებოდა, აქ უეჭველად იშოვნიდით. ბევრ რამეს კი, რასაც ურიათუბნის მაღაზიებშიც კი ვერ იშოვნიდით, უეჭველად იშოვნიდით ურიათუბნის ბაზარში, კერძო პირთაგან.

დაბის ცენტრში სინაგოგა იდგა. ეს იყო მშვენივრად ნაგები, ლამაზი, ქვის შენობა. სინაგოგას მეორე სართულზე უზარმაზარი ქართული სტილის აივანი ჰქონდა, საიდანაც მოჩანდა რკინის რიკულებით შემოღობილი მწვანე, ფართო ეზო, ბაზრისკენ მიმავალი გზა და გზის იქეთ, ურიათუბნის რკინისჭიშკრიანი, ქვის გალავნით შემორაგული კარგა მოზრდილი სასაფლაო. სასაფლაოს ბოლოში საყასბო იყო. საყასბოში ხახამის თანდასწრებით ჰკლავდნენ საქონელს და იქვე ჰყიდდნენ. საქონლის ბარკალს მორწმუნე ურიათუბნელები არ ჰყიდულობდნენ და არც სჭამდნენ რელიგიური მოსაზრებების გამო. ჯერ კიდევ უხსოვარ დროში, როდესაც იაკობი, ძე ისაკისა, ოცი წლის განზევების შემდეგ თავისი ორი ცოლით: ლიათი და რაჰილით, თერთმეტი ვაჟით და ერთი ქალიშვილით მესოპოტამიიდან სამშობლოში, ქანაანში ბრუნდებოდა, საკუთარ ძმასთან, ისავთან შეხვედრის წინ, მთელი ღამე ებრძოდა მარტოდ-მარტო ვიღაცას უჩინარს, ღვთიურს, რომელმაც ჭიდაობაში ფეხი დაუზიანა და სამუდამოდ დააკოჭლა იაკობი. ეს ამბავი დღესაც ახსოვდათ კოჭლი იაკობის შთამომავლებს და ალბათ თავისი წინაპრის პატივისცემის ნიშნად, საქონლის ბარკალს არ ეკარებოდნენ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ურიათუბნელები ცდილობდნენ ძველისძველ ტრადიციებს მიჰყოლოდნენ, რწმენა არ დაეკარგათ. ქუჩაში ხშირად ნახავდით სინაგოგისკენ მიმავალ გრძელწვერა მოხუცებს და პატარა ბიჭებს, იღლიაში ამოჩრილი სალოცავი წიგნებით. სინაგოგის აივანზეც ხშირად ისხდნენ მოხუცი ურიათუბნელები და ხმამაღლა კითხულობდნენ ძველ ებრაულ ფსალმუნებს.

წინათ, სინაგოგა ყველაზე საყურადღებო შენობა იყო ურიათუბანში. მაშინ ურიათუბანიც პატარა, უმნიშვნელო დაბა იყო. მაგრამ ეს დაბა ისე გაიზარდა, ისეთი შენობები აიგეს აქ ზოგიერთებმა, რომ სინაგოგა ძალზე დაიჩრდილა და დაბაში პირველად ჩამოსული ხალხი არც კი აქცევდა ყურადღებას ამ შენობას. განსაკუთრებით მდიდრული და ლამაზი სახლი წამოჭიმა მთავარი გზის პირას აბრაშკა ბოთერაშვილმა. აბრაშკა, როგორც ამბობდნენ, კარგ ფულს აკეთებდა. მისი უმცროსი ძმა რაფაელ მაკედონელი ცნობილი პოეტი იყო. ის ამჟამად თბილისში ცხოვრობდა. წინათ რაფაელიც ბოთერაშვილი იყო და თანამემამულენი მას რაფოს ეძახდნენ. მაგრამ შემდეგ, როდესაც რაფაელმა უმაღლესი დაამთავრა და საკუთარი ლექსებისა და პოემების გამოქვეყნება დაიწყო, ეს ფსევდონიმი აირჩია. ეს ფსევდონიმი, შეიძლება, შორეულ ელადას აგონებდა, მუზების სამეფოს. ფსევდონიმი არ იყო ცუდი. რაფაელ მაკედონელი თავის ნაწარმოებებში თბილისის ინტელიგენციის ცხოვრებას ასახავდა და ურიათუბნელებს იმედი ჰქონდათ, რომ მალე სახელმოხვეჭილი დიდი მწერალი გახდებოდა. რაფაელ მაკედონელი იშვიათად ჩამოდიოდა ური-

ათუბანში, მაგრამ ახლა სტუმრად იმყოფებოდა თავის ძმასთან აბრაშკასთან. სხვათაშორის, ეს ის აბრაშკა იყო, რომელმაც ერთხელ ქუდი აჩუქა მეირას. სწორედ ის ქუდი, რომელიც მეირას შამილას ძმაკაცებმა მოსტაცეს ამ სამიოდე თვის წინ, ვამეხის ჩამოსვლის პირველსავე დღეს, ის ქუდი, რომელიც გახდა მიზეზი შამილასა და ვამეხის ჩხუბისა...

სამწუხაროდ, რაფაელ მაკედონელის სტუმრობა ერთ უსიამოვნო ამბავს დაემთხვა. სწორედ იმ დღეს, როცა ის ჩამოვიდა, აბრაშკას რევიზია დაეცა და ხალხში ხმა გავრცელდა, ბევრი ისეთი რამ უპოვნეს, ციხე არ ასცდებაო. აბრაშკას მკვდრის ფერი ედო. რომ იტყვიან, დანა პირს არ უღებდა.

— ვიღაცამ დაასმინა! — იძახდნენ ურიათუბნელები.

— ღმერთმანი, დაიღუპა საწყალი აბრაშკაი, — თავს აქნევდნენ საქმეში ღრმად ჩახედულები.

უამრავი ხალხი იდგა აბრაშკას სახლის წინ და ყაყანებდა. აქ იყვნენ ცნობისმოყვარეები, ქომაგები, ალბათ მოშურნეებიც. მაღაზია აბრაშკას საკუთარი სახლის პირველ სართულზე იყო გამართული. ადვილი წარმოსადგენია, რა გუნებაზე იქნებოდნენ ოჯახის წევრები, რომლებიც საკუთარი თვალით ხედავდნენ მარჩენალის სასოწარკვეთილებას, ხვდებოდნენ, რომ რაღაც უბედურება ტრიალებდა მათ თავზე. რა თქმა უნდა, ასეთი ვითარება, სულაც არ უწყობდა ხელს რაფაელ მაკედონელის პოეტურ განწყობას, მაგრამ რა გაეწყობოდა? პოეტი მაკედონელი აივანზე იდგა და სივრცეს მისჩერებოდა... მოკლედ, ცუდად იყო აბრაშკას საქმე.

ეს იყო პარასკევს. პარასკევობით ურიათუბანში უამრავი ხალხი ჩამოდიოდა სოფლებიდან და ქალაქიდან. კოწია ექიმის ვაჟი ლევანი და მისი ახალგაზრდა ცოლი როზა, ურიათუბნის მთავარ ქუჩას მოყვებოდნენ იმ დღეს. თუმცა ურიათუბანს თავისი პოეტი ჰყავდა, მაგრამ მხატვრით ვერ დაიტრაბახებდა. მიუხედავად ამისა, ლევანმა იცოდა, რომ სწორედ აქ იშოვიდა იმ ხალებავებს და ფუნჯებს, რომელიც სჭირდებოდა. ლევანმა თავისი მანქანა საბჭოს შენობის წინ დააყენა და ახლა როზასთან ერთად ქუჩაში მოაბიჯებდა. მათ ჩაუარეს სინაგოგას და აბრაშკას სახლს მიუახლოვდნენ, სადაც ხალხი შეგროვილიყო.

— რა ამბავია? — იკითხა ლევანმა, და ერთმა ახალგაზრდამ, რომელიც შორიდან იცნობდა ლევანს, მოკლედ აუხსნა საქმის ვითარება. ასეთი რამეები ლევანს მაინცა და მაინც არ აინტერესებდა და სწორედ იმ დროს, როცა ცოლთან ერთად ჯგუფს გამოეყო, ვიღაცამ დაუძახა.

— ა, ლეილა? — თქვა ძახილზე მობრუნებულმა ლევანმა.

ლეილა მაღაზიიდან გამოდიოდა. ვის არ ნახავდით პარასკეობით ურიათუბანში. ლეილა ბავშვობიდან იცნობდა ლევანს, კოწია-ექიმს კი დიდ პატივს ცემდა. ლეილას ლევანის ცოლის გარეგნობა აინტერესებდა და ახლა, როცა ლევანისკენ მოემართებოდა, თვალს არ აშორებდა მის გვერდით მდგარ როზას და თუმცა ლეილამ იცოდა, რომ როზა ღამის დარაჯის შვილი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ისიც, ალისასა, იასონის და კიდევ სხვების მსგავსად, სისულელედ თვლიდა ლევანის არჩევანს, სისულელედ თვლიდა ბევრ რამეს, რასაც ლევანი აკეთებდა, — კერძოდ, ოჯახიდან გაქცევას, — მაინც მოეწონა როზა და თანდაყოლილმა გულწრფელობამ და უშუალობამ არ მისცა საშუალება თავისი აღტაცება დაეფარა (რომელიც ეწინააღმდეგებოდა მის მოსაზრებებს, მის თვალსაზრისს ცხოვრებაზე) და ახლოს მოსვლისთანავე გადაეხვია როზას და მხურვალედ გადაკოცნა.

— ბიჭო, ეს რა კარგი გოგო მოგიყვანია!? — წამოიძახა მან ჩვეულებისამებრ ხმამაღლა და კიდევ ერთხელ ჩაიხუტა გულში როზა.

როზა შეშინებული შვლის ნუკრივით

იდგა, დაბნეული და ამავე დროს გახარებული.

— რატომ არ გაგვაცანი შენი ცოლი? სიჩუმე.

— მამაშენს გააცანი? — მოურიდებლად იკითხა ლეილამ. მერე პასუხის დაუცდელად როზას მიუბრუნდა.

— იცნობ, საყვარელო, მამამთილს?

— კი, შორიდან, — მორცხვად უპასუხა თავჩაღუნულმა როზამ.

ლეილამ კი ლევანს გაუსწორა მზერა და ომახიანად შესძახა:

— მოსაკლავი ხარ, მოსაკლავი!

რატომ იყო მოსაკლავი არ განუმარტია, მაგრამ ლევანს მაინც არ უყვარდა, როცა მის პირად საქმეებში ერეოდნენ, თუმცა ლეილაზე ბრაზი არ მოსდიოდა, იმდენად სასაცილო პიროვნებად მიაჩნდა ეს ქალი.

— ლეილა, შენ ძალიან გამხდარხარ, — ღიმილით თქვა ლევანმა, რადგან იცოდა, რომ ლეილას ესესიამოვნებოდა და გარდა ამისა, უნდოდა არასასიამოვნო საუბარი შეეწყვიტა.

— ჰა-ჰა-ჰა, დამცინი?! — გაიცინა ლეილამ. — გავხდი კი არა, ამ ზაფხულს ოთხი კილო მოვიმატე. ყველა შენი ცოლივით ტანწერწეტა ხომ ვერ იქნება! — თბილად გაუღიმა ლეილამ როზას და ხელი გამოსდო.

სამივენი ქვემოთ დაეშვნენ, ქუჩის ორივე მხარეს აღმართულ ორსართულიან აგურის სახლებს შორის.

— ლეილა, რატომ შეწუხებულხარ, მასალას ხომ არ აგროვებ გაზეთისათვის?

— არა, ამ დღეებში ალისას დღეობაა და მინდა საჩუქარი ვუყიდო. თქვენ რატომ გარჯილხართ? რას ეძებთ ურიათუბანში?

— სალებავებს ვეძებ, — უპასუხა ლევანმა.

— კაცო, გვაჩვენე ერთი შენი სურათები. ჩვენთან რედაქციაში ხმა მოვიდა, ხატვა დაიწყოო.

— მართალია, — თქვა ლევანმა.

— მერე გვაჩვენე, რას გვიმალავ? თუ შენ ჩვენი ქალაქის ინტელიგენციას არ თვლი ინტელიგენციად?!

— მართალია, არ ვთვლი. ჩვენ ქალაქს არა ჰყავს ნამდვილი ინტელიგენცია.

— ესე იგი, ყველაფერი შენა ხარ?

— მე არაფერი არა ვარ, — გესლიანად თქვა ლევანმა, — მაგრამ თქვენც არაფერს არ წარმოადგენთ. უბრალოდ თავს იტყუებთ, თორემ სინამდვილეში ყველანი მეშჩანები და ფილისტერები ხართ!

—მამაშენიც მეშჩანია? — გამომწვევად იკითხა ლეილამ.

— აბა რა არის?

— შენისთანა შვილს რა ვუთხრა?!— წამოიძახა ლეილამ და შეჩერდა, — შენის აზრით ალბათ, ვახუშტიც ფილისტერია, თუმცა კაცი სამ ენაზე ლაპარაკობს...

— აბა რა არის?

— ჰო, შენ ხარ გენიოსი! ჯერჯერობით არაფერში არ გეტყობა ეს, არსად არ ჩანხარ... ძმაკაცებიც მშვენიერი გყავს. მარტო ის ბრუციანი ძუკუ რად ღირს? — ზიზღით ჩაიცინა ლეილამ.

— ძუკუ თქვენ ყველას გჯობიათ.

— რით ,ბიჭო, რით? — წამოიძახა ლეილამ.

- უშუალობით. თქვენ კი ინტელიგენტებად რომ მიგაჩნიათ თავი, ერთი საწყალი მშიშარა ხალხი ხართ და მარტო ლაქლაქი შეგიძლიათ...

— მე არაფერი ინტელიგენტი არა ვარ, მაგრამ კარგი მინდა შენთვის და იმიტომ გეუბნები, მაგისთანა ლოთებთან მეგობრობა არ შეგშვენის, ეს ყველასათვის საწყენია. შენი წრის ხალხი უნდა მონახო.

— მე ვისთანაც მინდა იმასთან ვმეგობრობ, — თქვა ლევანმა და წამით როზას გადახედა, — ვინ არის ჩემი წრის ხალხი?

— ჩვენ ვართ!... — ამაყად განუცხადა ლეილამ, — მე, ალისა და... რა საჭიროა ყველას ჩამოთვლა.

ლევანმა მშვენივრად იცოდა, რომ ლეილა გულისხმობდა სკოლის დირექ-

ტორ ვახუშტის, იასონს, კიდევ ზოგიერთებს, რომლებსაც ვერ იტანდა და საშინლად გაბრაზდა, აღელდა და სწორედ ამიტომ მისი ხმამაღალი ხარხარი არ იყო ბუნებრივი, გულუბრყვილო როზამაც კი იგრძნო, რომ ეს ნაძალადევი სიცილი მხოლოდ და მხოლოდ ლეილას დასამცირებლად იყო გამიზნული.

— ჰა, ჰა, ჰა, თქვენ რა ჩემი ამხანაგები ხართ, — ძალზე ხმამაღლა იცინოდა ლევანი, — ძუკუ თქვენ ათასჯერ გჯობიათ, სუყველას

ლეილა თავის უპირატესობაში დარწმუნებული ადამიანის ირონიით, ერთგვარი შეცოდების გამომხატველი ირონიით შესცქეროდა ლევანს და ხმას არ იღებდა. ამ მზერისაგან გაცოფებული ლევანი კი სულ უფრო და უფრო ხმამაღლა იცინოდა.

ისე საკვირველი კი იყო, რატომ სძულდა ლეილას ასე ძლიერ ელამი ძუკუ? რა დაუშავა ძუკუმ ლეილას? ბავშვობაში ისინი სკოლაში ერთად სწავლობდნენ, თუმცა ლეილა ორი კლასით წინ იყო ძუკუზე. ძუკუ არასოდეს უტიფრად არ მოქცევია ლეილას. პირიქით, მთელმა ქალაქმა იცოდა, რომ ერთხელ საკუთარი სიცოცხლის ფასად ადიდებულ მდინარის ტალღებს გამოსტაცა ეს გოგო. მაშინ ლეილა უკანასკნელ კლასში გადადიოდა. იმ ზაფხულს მოსწავლეები კოლმეურნეობის დასახმარებლად ჩაის პლანტაციებში გაიყვანეს სამუშაოდ. დასვენების დროს გოგოები მდინარეში შესულიყვნენ საბანაოდ. უცბად წყალი ადიდებულიყო და ერთბაშად მოვარდნილმა სწრაფმა დინებამ ლეილა, რომელმაც ცურვა არ იცოდა, შორს გაიტაცა. ატყდა წივილ-კივილი, აურზაური, ნაპირს ხალხი მოაწყდა, — მასწავლებლები და პლანტაციაში გაფანტული მოსწავლეები, კოლმეურნე ქალები, — მაგრამ ვერავინ ვერ გაბედა წყალში ჩახტომა. სწორედ ამ დროს ძუკუ მოვიდა და თვალი მოკრა, უკანასკნელად როგორ დაიქნია ხელი ლეილამ, როგორ დაიკივლა და მერე ჩაიძირა. ელვის სისწრაფით გადახტა წყალში და თავი სადღაც, ძალიან შორს ამოჰყო, სწრაფად და თავისუფლად მიჰყვა წყლის დინებას. გამალებით იქნევდა ხელებს. ხალხი ნაპირზე მირბოდა მდინარის დინების მიმართულებით, მაგრამ მალე, თვალს მიეფარა ძუკუც, რადგან მდინარე უხვევდა, და მოსახვევის მერე გაქრა ძუკუს თავი. ახლა ნაპირზე უფრო მეტი ხალხი გარბოდა, ქალები, კაცები, ბავშვები... მერე, როცა ყველამ აურზაურითა და ქოშინით ჯაგნარს შემოუარეს და ზედ მდინარის პირას გავიდნენ, დაინახეს ძუკუ, რომელსაც ქვიშაზე გამოეთრია დედიშობილა ლეილა და გრძნობადაკარგული, თითონაც მის გვერდით დაცემულიყო. ზოგიერთებს დღემდის ახსოვდათ ლეილას თეთრი, სავსე ბარკლები, მისი გაფურჩქვნილი გულმკერდი, აწეწილი, გრუზა თმა. სილაში ეგდო, როგორც ვარდი... ზოგიერთები ახლაც იგონებდნენ ლეილას სილამაზეს, იმ სურათის მნახველი ბიჭები ახლაც ნერწყვს ყლაპავდნენ. აფსუსი არ იყო ასეთი ლამაზი ქალიშვილი წყალს დაეხრჩო? მაგრამ ძუკუმ გამოსტაცა იგი მდინარის ტალღებს, გადაარჩინა და გონწასული დაეცა მის გვერდით, როგორც სიკვდილამდე ერთგული რაინდი. მაგრამ ლეილას არ უთქვამს მისთვის მადლობა არც მაშინ, არც მერე, თუმცა როცა ძუკუს ხალხი შემოესია, ხალათი შემოახიეს და მოსულიერება დაუწყეს ყველამ ნახა მის მკერდზე ლურჯად ამოსვირინგებული წარწერა „ლეილა“ და იქვე მიხატული ისრით განგმირული გული.

ეს იყო დიდი ხნის წინათ. მაშინ ძუკუ ბავშვი იყო. ლეილა იმ წელიწადს სკოლას ამთავრებდა. დაამთავრა კიდეც სკოლა და ბათუმში გაემგზავრა სასწავლებლად. მერე გათხოვდა. ძუკუმ კი სწავლაზე გული აიცრუა და შოფრობა დაიწყო. ეს იყო ძალიან დიდი ხნის წინათ. ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ. ლეილას შვილი ეყოლა, შემდეგ ქმარს გაეყარა და მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა საცხოვრებლად.

აქ კი ყველამ იცოდა, რომ ლეილა ვერც გათხოვდებოდა, შვილიც არ ეყოლებოდა და ახლა რედაქციაში ვერ იმუშავებდა, ძუკუს რომ არ ეხსნა მაშინ სიკვდილისაგან. მაგრამ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ეტყობა ლეილას აღარ ახსოვდა ეს სიკეთე. არასდროს, არასდროს მადლობა არ უთქვამს ძუკუსათვის. რა დაუშავა ძუკუმ? რას ერჩოდა ძუკუს?

ძუკუ კი სწორედ იმ დროს, როდესაც ლევანი და ლეილა მის შესახებ საუბრობდნენ, მათგან სულ რაღაც ასიორასი მეტრის მოშორებით იმყოფებოდა ურიათუბნის ბაზარში და თავისი მანქანისათვის ახალ კარბურატორს ეძებდა.

ძუკუ და ვამეხი ამ დილით, თითქმის ყველაზე ადრე მოვიდნენ ბაზარში. მანქანიდან სიმინდით სავსე ტომრები ჩამოზიდეს და დახლში დაალაგეს. წინა კვირას ვამეხმა თავისი უკანასკნელი ფული მეირას აჩუქა და უკაპიკოდ დარჩა. სწორედ ამიტომ დასჭირდა იმ სიმინდის გაყიდვა, რომელიც საკუთარი შრომით და ოფლით მოიპოვა ამ შემოდგომით. და აი, ახლა ვამეხი დახლში იდგა ურიათუბნის ბაზარში და მოფუსფუსე ხალხს შერეული სხვებთან ერთად ელოდა მუშტარს. ის იდგა მიწაზე დაწყობილ, სიმინდით სავსე ტომრებს შორის და ინტერესით უყურებდა ყველაფერს, რაც ირგვლივ ხდებოდა. სახეზე და ტანზე მზე მოკიდებოდა, სქელი ქერა თმა გაზრდოდა და ახლა ქოჩორი შუბლზე კი არ ჩამოეყარა, არამედ უკან, სწორად გადაევარცხნა. მოგრძო სახეს სწორი, მოკლე ცხვირი და ლამაზი პირი უმშვენებდა, მონაცრისფრო მომწვანო თვალები ზოგჯერ თბილი ირონიით, ზოგჯერ გამსჭვალავად იცქირებოდნენ წარბებს ქვემოდან.

იმ წრეში, სადაც ვამეხი აღიზარდა, ვაჭრობა სათაკილო საქმედ ითვლებოდა, მაგრამ ახლა, როცა ცხოვრების მოულოდნელობამ აიძულა ვამეხი ამ საქმისათვის მოეკიდა ხელი, სრულებით არ ეთაკილებოდა თავისი ახალი როლი. როლი სიმინდით მოვაჭრისა.

რა თქმა უნდა, ვამეხს არასოდეს არ უფიქრია, რომ ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, მაგრამ კაცის მდგომარეობა მარტო მის ნება სურვილზე ხომ არ არის დამოკიდებული? ვამეხი მაინც არ იყო უკმაყოფილო. ბოლო ხანებში ის გაცილებით მეტ თავისუფლებას გრძნობდა, ვიდრე წინათ; თითქოს უფრო გამდიდრდა მისი ცოდნა, თითქოს გადალახა რაღაც ზღუდე, რამაც გაზარდა მისი პიროვნება. ის ახლა საზოგადოების ყველა წრეს ეკუთვნოდა თანაბრად, რადგან თითონ უნებლიეთ გამოეყო საზოგადოებას და გარკვეული დროის განმავლობაში გარიყული და განცალკევებული, აბსოლუტურად ცალკე დარჩენილი მეთვალყურე გახდა. რა ადგილი ეჭირა ცხოვრებაში თითონაც არ იცოდა. ის არ იყო არც გლეხი, არც მუშა, არც მოსამსახურე. საკუთარმა ბედმა განაცალკევა ყველა წრეს, მთელ საზოგადოებას. ის მოსწყდა თავის წრეს, თავის ფენას, თუ შეიძლება ასე ითქვას, და თუმცა სხვა ფენის, სხვა წრის წარმომადგენლად არ გადაიქცა, მაინც გრძნობდა უჩვეულო თავისუფლებას, სიხარულს, რომელსაც შეიძლება სწორედ ეს სოციალური დამოუკიდებლობა იწვევდა. მას ახალისებდა ცხოვრების ახალ-ახალ სფეროში ჩაწვდომის სურვილი და ახლაც კი, როცა ურიათუბნის ბაზარში სიმინდით სავსე ტომრებს შორის მდგარს აუცილებლად ესაჭიროებოდა ფული, თავისდაუნებურად ყველაფერი განსწავლად ეჩვენებოდა და არა იმ საქმედ, რისთვისაც იდგა აქ. ის უყურებდა მოფუსფუსე ბაზარს, უყურებდა მყიდველებს, რომლებიც ცდილობდნენ იაფად შეეძინათ საქონელი და გამყიდველებს, რომლებიც ცდილობდნენ მეტი მოგება ენახათ. მან არ იცოდა ვაჭრობა, ყიდდა იმდენად, რამდენსაც აძლევდნენ და თუმცა ეს სიმინდი საკუთარი გარჯით ჰქონდა ნაშოვნი, მაინც ვერ იჩენდა იმ სიჯიუტესა და მოთმენას, რომელსაც თავისი

შრომის ფასის მცოდნე გლეხკაცი იჩენს ხოლმე ვაჭრობის დროს.

ურიათუბნის ბაზარი კი სავსე იყო ხალხით. პარასკეობით ურიათუბანში დიდი ვაჭრობა იმართებოდა. შაბათისთვის ემზადებოდნენ მორწმუნე ებრაელები და დილიდანვე იჭერდნენ თადარიგს. რამდენ ნაცნობ სახეს ხედავდა ვამეხი, თვითონ ვამეხს რამდენი იცნობდა?! ბევრს უკვირდა ახლა მისი საქმიანობა. ყველამ ხომ არ იცოდა საიდან ჰქონდა ვამეხს სიმინდი და რატომ ყიდდა ურიათუბნის ბაზარში? მიუხედავად იმისა, რომ ხალხი შეეჩვია ვამეხს,— უკვე სამი თვე გავიდა, რაც ამ მხარეში ჩამოვიდა, — მიუხედავად იმისა, რომ ვამეხი, თვითონ ვამეხს რამდენი იცნობმისი წარსული. აქ ჩამოსვლის მიზეზი და შემდგომი მიზნები. ცნობისმოყვარე და ყოვლისმცოდნე ურიათუბნელები პირდაღებული შესცქეროდნენ ერთმანეთს, როცა ვამეხზე ჩამოვარდებოდა საუბარი, ვამეხს კი არც შეეძლო და არც უნდოდა წარსულის მოგონება. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს აღარ არსებობდა წარსული, თითქოს ყველაფერი რაც უკვე იყო, წაიშალა მის მეხსიერებაში, დავიწყების ბურუსში გაეხვია, დაბინდდა და სადღაც, ცნობიერების განუზომელ სიღრმეში სიზმარივით გაქრა. რეალურად დარჩა მხოლოდ დღევანდელი დღე. და აი, დღეს ვამეხი ურიათუბნის ბაზარში სიმინდს ყიდდა, მისი მეგობარი ძუკუ კი მანქანის ნაწილებით მოვაჭრე სპეკულანტს ეძებდა, რათა მისგან ახალი კარბურატორი შეეძინა.

მყიდველები: — ქალები ან კაცები,— მოდიოდნენ ვამეხთან, სახეში შესცქეროდნენ, მუჭით იღებდნენ ტომრიდან სიმინდს და აუცილებლად იწუნებდნენ. მაგრამ მაინც სთავაზობდნენ ვამეხს უფრო ნაკლებ ფულს, ვიდრე ის აფასებდა. ვამეხს ეცინებოდა მათ პრიმიტიულ ეშმაკობაზე და ზოგიერთებს, ვინც სახეზე მოეწონებოდა, უყოყმანოდ თანხმდებოდა. შემდეგ მოდიოდნენ სხვები, უყურებდნენ ვამეხს ეჭვით, ან მოჩვენებითი ქედმაღლობით, ზოგი თავაზით, და იგივე მეორ[illegible]

— აქ ვაჭრობაში [illegible] ხალხი ცხოვრობს, ბიძია, თუ ყველას ჩამოუკელი ფასი ხეირს ვერ ნახავ,—უთხრა ვამეხს მოპირდაპირე დახლში მდგარმა ჭაღარა კაცმა, სიმინდის გამყიდველმა.

— აბა რა ვქნა, რამდენ ხანს ვიდგე აქ? — გაიცინა ვამეხმა.

და უეცრად, სადღაც შორს, შემზარავი კივილი გაისმა. სწორედ ეს კივილი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი იმ დღეს. აქედან დაიწყო ყველაფერი. დენივით დაიარა გამყინავმა, ავისმომასწავებელმა ძახილმა და ერთი წამის გარინდების შემდეგ ყველა აიშალა. აჩოჩქოლებული ბრბო ქუჩას მიაწყდა, ხალხი ბაზრიდან გარბოდა. ვამეხმა იგრძნო, როგორ დაეძაბა სხეული, როგორ აუძგერდა გული.

— რა მოხდა? — იკითხა მან, მაგრამ პასუხი არავის გაუცია. გაკვირვებული გამოვიდა დახლიდან, დინჯად მიჰყვა დინებას. სწორედ აქედან დაიწყო ყველაფერი. შემზარავი კივილი უფრო გაძლიერდა და ახლა რაღაც, სტიქიური, მისტიური უბედურების ასოციაციას იწვევდა ის. შემოდგომის მოწმენდილი დღე იდგა. მკაფიოდ ჩანდა სივრცე, ჰორიზონტამდის. შეშინებული ხალხი ერთხმად ყაყანებდა, ყველას პანიკა აღბეჭდოდა სახეზე. გრძელწვერა მოხუცებს და შავთვალა ებრაელ ქალებს შიში დაუფლებოდა და ვამეხს მოეჩვენა, თითქოს მის წინ ბიბლიის სურათები ცოცხლდებოდნენ, თითქოს ყველაფერი ბიბლიაში ხდებოდა, თითქოს ნაბუქოდონოსორის ურდოები შემოესივნენ იერუსალიმს და ბაბილონში ტყვედ წარეკეს ებრაელები. ვამეხს მოეჩვენა, რომ თვითონაც ბიბლიის გმირი იყო, მაგრამ მას არ უნდოდა ყოფილიყო ტყვე, არც დამპყრობელი, მას სურდა ამაღლებულიყო ბრბოზე და გამხდარიყო მხსნელი.

— რა ამბავია? — იყვირა ვამეხმა, მაგრამ ისევ ვერ მიიღო პასუხი.

უცბად მან დაჰკარგა რეალობის შე-

გრძნება. ის ხედავდა შეშფოთებულ სახეებს, ერთი მიმართულებით გაქცეულ ხალხს და ესმოდა გამაყრუებელი, აუტანელი, შიშისმომგვრელი კივილი, მერე ჰაერში ავარდნილი კვამლი დაინახა. სადღაც, არც ისე შორს, ცივი ალი გველივით იკლაკნებოდა და ჩუმი გამაგებით ემუქრებოდა ქვეყანას.

— აბრაშკას სახლი იწვის, დაიღუპა აბრაშკაი, დაიღუპა, — დაირხა ხმა ხალხში, ვამეხი კი უკვე მთელი სისწრაფით გარბოდა ხანძრისაკენ.

ის ასწრებდა ყველას, დიდსა და პატარას, ქალსა თუ კაცს, ზოგიერთს ეჯახებოდა და მიწაზე ანარცხებდა. აი, ჩაურბინა სინაგოგას და ებრაელთა სასაფლაოს, აი, სულ ახლოს გამოჩნდა ხანძარი, ვამეხმა დაინახა მოელვარე ნაპერწკლები აქეთ-იქით რომ იფრქვეოდნენ ტკაცანით, დაინახა ცეცხლთან შეკრებილი, აბღავლებული, უმოქმედო ბრბო და მოუმატა სირბილს. ვამეხმა იგრძნო ცეცხლის სითბო, იგრძნო სიცხე, კვამლის სუნი. მთელი მისი არსება ერთი ვნებით, ერთი ქვეცნობიერი სურვილით განიმსჭვალა: თუნდაც სიცოცხლის ფასად დაეხსნა ვინმე, სიკეთე მოეტანა, რომ ამით გამოესყიდა საკუთარი, უნებლიე დანაშაული და დარწმუნებულიყო იმაში, რომ სიკეთის იარაღია ბედისწერის ხელში, შეუძლია ემსახუროს სიკეთეს და სწორედ ამიტომ გამართლებულია მისი არსებობა. მას უნდოდა ახლა მაინც წინაღსდგომოდა იმ ვიღაცის შეუბრალებელ ნებას, რომელმაც დაუმსხვრია კეთილი სურვილები, მას უნდოდა წინ აღსდგომოდა იმ უჩინარ ვიღაცას, თავის ნებაზე რომ ათამაშებდა და ძირშივე უკლავდა საუკეთესო მისწრაფებებს. ცხოვრების ჩარხის ტრიალი არასოდეს არ ემორჩილებოდა ვამეხს, მაგრამ ახლა არ უნდოდა ბედისწერის მიერ მოხდენილი ამბის უბრალო მეთვალყურე ყოფილიყო. ის ისე მიისწრაფოდა საშიშროებისაკენ, როგორც ფანატიკოსი თავისი მიზნისაკენ. აჰა, კიდევ დაეჯახა ვიღაცას და ძირს დაანარცხა.

ეს იყო ლევანი.

— ვინ არის ეს ოჯახქორი? — გამწარებით წამოიძახა ლევანმა და თვალი გაადევნა გაქცეულს.

— ვამეხი იყო, — უთხრა ლეილამ, რომელიც სახეზე იცნობდა ვამეხს, და წამოაყენა.

— ვამეხი? — ლევანმა ტანსაცმელი დაიფერთხა, — მოდი, მეც წავალ, თქვენ აქ დამიცადეთ, არ დამეკარგოთ, — დაიძახა მან და გაიქცა.

— ლევან, ლევან! — თითქმის ტირილით დაიძახა როზამ, მაგრამ ლევანს არ გაუგონია, — რამე უბედურებას არ გადაეკიდოს, — ატირდა როზა.

— ნუ გეშინია! — დააწყნარა ლეილამ.

სწორედ ამ დროს, ქალების გვერდით შურდულივით გაირბინა ძუკუმ.

— უყურე, ეს გიჟიც აქ ყოფილა, — წამოიძახა ახლა ლეილამ — წამო ჩქარა, როზა, ჩქარა, როზა, ჩქარა!

ყველანი აბრაშკას სახლისკენ გარბოდნენ.

ქუჩაში უამრავი ხალხი შეკრებილიყო. აბრაშკას ქალიშვილები და მეუღლე გადაბმულად კიოდნენ. პიჟამოს ამარა დარჩენილი, ფეხშიშველი პოეტი რაფაელ მაკედონელი შუა ქუჩაში გაფითრებული იდგა. ეს იყო საკმაოდ სქელი კაცი და თითქმის ყველა კბილი ოქროსი ჰქონდა. დამფრთხალი რევიზორები უაზროდ იცქირებოდნენ აქეთ-იქეთ. მათ მთელი საბუთები ცეცხლში დარჩენოდათ, თვითონ ძლივს მოესწროთ გამოსვლა. სახლიდან გამოტანილი ნივთები, ის რისი გადარჩენაც მოხერხდა, უწესრიგოდ ეყარა. აბრაშკას რამოდენიმე კაცი შემოხვეოდა, ესენი ჩუმად შესცქეროდნენ ხანძარს. აბრაშკა ტუჩებმოკუმული იდგა. ვიღაცეებს ვედროებით წყალი მოეტანათ და შორიდან ასხამდნენ აგურის გავარვარებულ კედლებს. მთელ ურიათუბანს აქ მოეყარა თავი, მაგრამ ხანძარი ისეთი ძალით მძვინვარებდა, რომ არაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა, სახანძრო რაზმი კი, რომელიც ქალაქიდან გამოიძა-

ხეს, ჯერჯერობით არსად ჩანდა. სახლის კუთხეში ჯაჭვით მიბმული აბრაშკას ავი ნაგაზი, კუდამოძუებული მიწაზე გართხმულიყო და საცოდავად წკმუტუნებდა, მაგრამ მისი შველა უკვე აღარავის არ შეეძლო, რადგან ცეცხლი სახლთან ახლოს მისვლის საშუალებას არ იძლეოდა, ჯაჭვი კი კედელში ჩასობილ სოლზე იყო მიმაგრებული. უკვე განწირული იყო საცოდავი ნაგაზი, ცხოველი უკვე გრძნობდა საშინელი სიკვდილის მოახლოებას, გრძნობდა მის ცხელ სუნთქვას, მაგრამ სწორედ ამ დროს გამოჩნდა აქლოშინებული ვამეხი, რომელმაც გაარღვია ხალხი, გამოეყო ბრბოს და ყველაზე წინ დადგა.

— დაიხიე უკან, დაიხიე, — დაუძახეს, მაგრამ ის ჯიუტად იდგა ყველაზე წინ, სულ ახლოს ცეცხლთან.

— დაიხიე უკან! — ყვიროდა ხალხი, მაგრამ ვამეხმა დინჯად შეხედა უმოქმედო ბრბოს. შეხედა ცეცხლით აბრიალებულ სახლს და ნელა გაემართა ძაღლისაკენ.

ერთი წუთით ყველა გაინაბა. ყველა ხედავდა, როგორ იწევდა ალი ვამეხისკენ, თითქოს მოტაცებას უპირებდა, თავის ცხელ მკლავებში ჩაკვრას, ჩახუტებას.

— შეჩერდი! — სასოწარკვეთით დაიძახა ამ დროს მოვარდნილმა ლევანმაც. მაგრამ ვამეხს არაფერი არ ესმოდა. მან ცალი ხელი სახეზე აიფარა, წელში მოიკუზა და ცეცხლში შევარდა.

და იმავ წამს საშინელი ჭახანი გაისმა, ჭერი ჩამოიქცა. შავმა კვამლმა დაფარა არე-მარე. ნაპერწკლები ხალხს დააცვივდა და ყველა უკან გავარდა, კინაღამ წალეკეს ერთმანეთი, დანახშირებული მორები ბოროტად შიშინებდნენ. კივილმა და აურზაურმა ისევ შეძრა ჰაერი. ალი კი დამოკლდა, დავიწროვდა, თითქოს დაიოკა ვნება, თითქოს დაცხრა მისი გაშმაგება. მაგრამ შეშინებული ხალხი უფრო დაძაბულად იცქირებოდა წინ, ფეხის წვერებზე იდგნენ ერთმანეთის ზურგს უკან და ელოდნენ როდის გაიფანტებოდა სქელი კვამლი, რომელიც შავი ნისლივით დაგებულიყო მიწაზე. მერე კი ყველამ დაინახა, ყველამ, ვინც იქ იყო იმ დღეს, როგორ გამოეყო კვამლის ფარდას ორი სილუეტი, ძაღლისა და კაცისა და ხალხმა შვებით ამოისუნთქა.

აბრაშკას ლამაზი სახლიდან კი მხოლოდ ნანგრევები დარჩა.

## 9

ის პარასკევი ნამდვილად ჩაშხამდა ურიათუბანს. სახანძრო რაზმი დიდი დაგვიანებით მოვიდა. და მოვიდა თუ არა, თითქმის იმ წამსვე წავიდა, რადგან ყველაფერი დამთავრებული იყო და მეხანძრეები საჭირო აღარ იყვნენ.

— გვიან შეგვატყობინეთ. დროზე რომ დაგერეკათ იქნებ გვეშველა რამე, — თქვა წასვლის წინ სახანძრო რაზმის უფროსმა.

— კი მაგრამ, რატომ არ შეატყობინეთ დროზე? — იკითხა ვიღაცამ ხალხში.

— დაიბნენ, ალბათ...

— დაიბნევი, აბა რა იქნება? მთელი ცხოვრება იშრომებ, ქონებას იშოვნი და ერთ წუთში დაგეწვება. როგორი საქმეა?

— ვერ გადაიტანს აბრაშკაი ამ ამბავს...

— ისე გადაიტანს რომ...

— აბრაშკა მოხერხებული კაცია, გაისად უკეთეს სახლს აიშენებს, — ჩაიცინა ვიღაცამ.

— ეს რევიზიაც რომ მაინცდამაინც დღეს დაეცა?...

— ისე შენ იცოცხლე და ათწლიან საქმეს გადარჩა.

— ვინ, აბრაშკა?

— ისე შენ იცოცხლე, თუ ტყუილ ვამბობდე!

— არ ჯობდა ათი წელი ციხეში მჯდარიყო, ოღონდ ეს ქონება დარჩენოდა?

— რას ამბობ, რად გინდა რამე, თუ თავისუფლება არ გექნება. ისე

ჩემმა შვილებმა იცოცხლონ, ჯობია ტიტველი და მშიერი დადიოდე, ოღონდ თავისუფალი იყო, გამიმიცდია და ვიცი...

— წამოდგება ფეხზე აბრაშკა, რაფო დაეხმარება, გავლენიანი კაცია. ცოცხალი კაცი თავს ყოველთვის უშველის.

— შენ ისა თქვი კაცო, რა ქნა იმ ბიჭმა, ა?

— ძაღლი რომ გადაარჩინა?

— აბა!

— ნეტავი არ გადაერჩინა. მაგისთანა ავი ძაღლი მთელ ურიათუბანში არ არის....

— ძაღლიც სულიერია, ცოდვაა...

— მადლი იყო, მადლი. ღმერთმა აცოცხლოს ის ბიჭი, მაგარი ყოფილა, ააშენა ღმერთმა.

ასე საუბრობდა ხანძრის შემდეგ ხალხი. სახანძრო რაზმის წითელმა მანქანებმა კი კივილით გაიარეს ურიათუბანი და თვალს მიეფარნენ. ყველაფერი დამთავრებული იყო და ხალხი ახლოს მივიდა შენობასთან, ზოგიერთები შიგ შევიდნენ და ნაცარს ქექავდნენ. ქუჩაში ისევ ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და ისევ გრძელდებოდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. აბრაშკა და მისი ოჯახი რომელიღაც მეზობელთან შეიყვანეს. გადარჩენილი ბარგი სადღაც წაიღეს. რაივზორებმა დატოვეს აქაურობა და საბაბო საბჭოს მიაშურეს. მხოლოდ პოეტი რაფიელ მაკედონელი დარჩა ნანგრევებთან, ღრმად ჩაფიქრებული, განცალკევებული, აბრაშკას ნაგაზი, რომელზედაც წელან საუბრობდნენ ურიათუბნელები, ვამეხის ფეხებთან იწვა. ნაგაზს ბალანი მთლად შეტრუსვოდა და ახლა თავის მხსნელის ფეხებთან დაწოლილი, თითებს ილოკავდა.

ვამეხი ქუჩის პირას ალვის ხეს ზურგით მიყრდნობოდა. თმა შეტრუსვოდა, სახე გამურული ჰქონდა, ტანსაცმელი — ზოგან დამწვარი, ზოგან გაჭუჭყიანებული — მაგრამ საბედნიეროდ ცეცხლიდან სავსებით ჯანსაღი გამოსულიყო და ახლა გულზეხელებდაკრეფილი ყურს უგდებდა გვერდით მდგარ ძუკუს.

— როდის მოასწარი [illegible] აქ მოვარდნა? — ეკითხებოდა გაკვირვებული ელამი ძუკუ ვამეხს, — სიმინდი ვის დაუტოვე?

— რა დროს სიმინდია?! — იცინოდა ვამეხი.

— მაგრა მორბოდა. — გაიღიმა ლევანმაც და ძუკუს შეხედა, — გვერდები შემიწგრია.

ურიათუბნელები, რომლებმაც ნახეს, როგორ გადაარჩინა ვამეხმა აბრაშკას ნაგაზი, შორიახლო იდგნენ და მძაფრი ინტერესით უყურებდნენ ვამეხს. ყველა, ვინც კი აივლიდა და ჩაივლიდა გზაზე, აუცილებლად ვამეხისკენ იყურებოდა. საერთოდ, ძალზე ცნობისმოყვარე ხალხი ცხოვრობდა ურიათუბანში და ისინი თავიანთ ცნობისმოყვარეობას არასოდეს არ მალავდნენ.

ლეილაც ცნობისმოყვარეობამ მიიყვანა ვამეხთან, თუმცა ხედავდა, რომ მის გვერდით ძუკუ იდგა. მაგრამ იქვე იდგა ლევანიც და ამიტომ ლეილამ არ ჩათვალა უხერხულად იმათთან მისვლა, მით უმეტეს, როზა თან ახლდა. ლეილას ზოგი რამ გაგებული ჰქონდა ვამეხზე ალისასაგან. უცნაური ირონიით და სითბოთი ლაპარაკობდა ხოლმე ალისა ვამეხის შესახებ და ამიტომ ლეილას ძალზე აინტერესებდა ამ კაცის გაცნობა. ახლა მან საკუთარი თვალით ნახა, როგორ შევარდა ვამეხი ცეცხლში და საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა ძაღლი. შეიძლება უაზრობა იყო ასეთი საქციელი, რა თქმა უნდა უაზრობა იყო ასეთი ფუჭი თავგანწირვა, მაგრამ გულის სიღრმეში ლეილას ეს უაზრობა უფრო მოსწონდა, ვიდრე ზოგიერთის პრაქტიკული წინდახედულება. ის გულისფანცქალით უყურებდა ღრუბელივით გაბერილ და ამოძრავებულ შავ ბოლს, სადაც ვამეხი მიიმალა. მერე დაინახა როგორ გამოვიდა ცეცხლიდან გამარჯვებული ვამეხი, დაინახა, როგორ მშვიდად, აუღელვებლად გაარღვია ხალხი და ხის ქვეშ დადგა. გზის პირას. იმწამსვე მივარდნენ ვამეხს ძუკუ და

ლევანი, რაღაცაზე ლაპარაკი დაუწყეს. საცოდავი ძაღლი კი ვამეხის ფეხებს მიეკრა, შეშინებული, დაბნეული და მადლიერი. ეს ძაღლი უავესი ძაღლი იყო ურიათუბანში. ამბობდნენ ბევრი ვინმე ჰყავს დაგლეჯილიო. ზოგს, შეიძლება ეწყინა კიდეც მისი გადარჩენა, მაგრამ ახლა ის მშვიდად იწვა ვამეხის ფეხებთან და უმწეოდ, საბრალოდ გამოიყურებოდა.

ლეილამ ხელი დაავლო როზას და მამაკაცებს მიუახლოვდა. ვამეხმა თავაზიანად გაუღიმა უცნობ ქალებს. ლეილას ესეც ესიამოვნა. მიუხედავად იმისა, რომ ვამეხმა ლოთი ძუკუ აირჩია მეგობრად ამ ქალაქში, მაინც ეტყობოდა სხვა წრის, სხვა დონის კაცი რომ იყო.

ლევანმა გააცნო ვამეხს ქალები და იმანაც თავი დაუკრა ჯერ როზას, მერე ლეილას.

— თქვენ ძალიან გყვარებიათ ძაღლები, — საყვედურის გამომხატველი ღიმილით უთხრა ლეილამ ვამეხს.

ვამეხმა გაიცინა. მერე დაიხარა, ნაგაზს თავზე ხელი გადაუსვა. ძაღლი აწკმუტუნდა, კუდი გააქნია, თავი ასწია და ვამეხს ხელი აულოკა. ვამეხი დიდხანს ეფერებოდა ძაღლს.

— ხედავ, როგორ გამოიცვალა ეს ძაღლი?! — წამოიძახა ძუკუმ, — ამისი მთელ ჩვენ რაიონს ეშინოდა....

— ეტყობა საშიშროებამ გამოცვალა, — გაიცინა ვამეხმა და წელში გასწორდა, — ცხოვრებისაგან ისეთი შთაბეჭდილება მიიღო, რომ ეტყობა გადააფასა თავისი ადრინდელი შეხედულებანი....

სუყველამ გაიცინა.

— შთაბეჭდილება უდიდეს ზემოქმედებას ახდენს სულზე, — თქვა ლევანმა, — იგი მთლიანად ცვლის სულს.

— სულის სრული გარდაქმნა მარტო შთაბეჭდილებას არ შეუძლია, ისე კი ნამდვილად დიდ ზემოქმედებას ახდენს, — თქვა ვამეხმა და სივრცეს გახედა ისეთი სახით, თითქოს ამ სიტყვებში რაღაც სხვას გულისხმობდა.

— ესე იგი, ეს ძაღლი მაინც ავი დარჩება? — გაიღიმა ლეილამ.

— ვნახოთ, — თქვა ვამეხმა.

— რა ვიცი, თქვენ კი საფრთხეში ჩაიგდეთ თავი მაგის გულისთვის. საერთოდ მე ძალიან მიყვარს გაბედული ხალხი, მაგრამ... მაგრამ, — თქვა ლეილამ, — ძაღლი მაინც...

— ძაღლი მაინც ძაღლია, არა? — გაიცინა ვამეხმა და მხრები ასწია.

— ძაღლიც სულდგმულია და შესაბრალისი, — სწრაფად უპასუხა ძუკუმ.

— სწორია, — თქვა ვამეხმაც, — ცხოველს ბევრი საერთო აქვს ადამიანთან, — დაუმატა მერე და ლეილას მიმართა: — ცხოველმაც იცის შიში, სევდა, გაოცება, იმედგაცრუება, სიხარული, სიყვარული...

ყველანი ჩუმად დაეთანხმნენ ვამეხს და მის ფეხებთან გართხმულ ძაღლს მიაჩერდნენ. ირგვლივ კი ისევ აურზაური იყო, ჯერ არ დაშლილიყო ხალხი. ისევ გრძელდებოდა ლაპარაკი, ყვირილი, ჩოჩქოლი, ვამეხმა ძუკუს პაპიროსი გამოართვა და გააბოლა.

— მშვენიერი დრო გაატარა აბრაშკამ?! — ჩაიცინა ძუკუმ, რომელიც განსაკუთრებით მხიარულ ხასიათზე იყო რატომღაც.

— მაგარი ხანძარი იყო, რა უცებ დაიფერფლა ამოდენა სახლი?! — თქვა ლევანმა.

— ეგ მართლაც ძალიან საკვირველია. თანაც დღეს აბრაშკას რევიზია დასცემია, — ჩაიცინა ძუკუმ, — რომ იტყვიან გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში დაეწევაო, ისაა...

— ნუ გეშინია, აბრაშკა გაჭირვებული არ არის... — თქვა ლეილამ, რატომღაც მკაცრად.

ყველანი ხანძარზე ალაპარაკდნენ. ყველას უკვირდა, რომ სახლი ასე მალე დაიწვა, თუმცა ქარი არ ქროდა. ქარი რომ ყოფილიყო კიდევ რამეს იტყოდა კაცი, მაგრამ ამოდენა სახლი ასანთის კოლოფივით უცბად რომ დაიწვება, რა

უნდა თქვა? ყველას უკვირდა ეს ამბავი.

ამ დროს ქუჩა გადმოსჭრა ფეხშიშველა რაფო მაკედონელმა და ხესთან მდგართ მიუახლოვდა.

— მურა! — დაუძახა მან ძაღლს.

მურამ შეხედა პოეტს. შემდეგ უფრო აწკმუტუნდა და ვამეხს ფეხებზე მიეკრა.

ყველანი რაფაელ მაკედონელს მიაჩერდნენ.

— ამ ძაღლის გადარჩენა მე თვითონ მინდოდა, მაგრამ თქვენ მომასწარით, — თავაზიანი ღიმილით უთხრა ვამეხს ახლოს მოსულმა პოეტმა, — ეს ჯერ კიდევ პატარა ლეკვი იყო, როცა მთაში მეცხვარეებმა მაჩუქეს. მე ვეღარ მოვუარე და აბრამს დავუტოვე.

ვამეხი დუმდა. ყველანი პოეტს შესცქეროდნენ. პოეტი კი უტიფრად ტყუოდა, რადგან არასოდეს არ ყოფილა მთაში, მეცხვარეებთან, თუმცა რამოდენიმე ლექსი კი მიუძღვნა ამ თემას. იმ დროს, მთის რომანტიკა ძალიან მოდაში იყო ახალგაზრდა მწერლებსა და პოეტებს შორის და ბევრი მათგანი, რომელთაც თვალით არ უნახავთ მთა და მეცხვარეები, უაღრესად უშუალო, პირდაპირ გულის ამაჩუყებელ ნაწარმოებებს ქმნიდნენ ამ რომანტიკულ თემაზე. უნდა ითქვას, რომ ყველა ეს ნაწარმოები ძალიან გავდა ერთმანეთს. რაც ხშირად ხდება, როცა მწერლებს არაფერი მაინცდამაინც საინტერესო არა აქვთ სათქმელი, მაგრამ წერას მაინც ვერ ეშვებიან. მთაზე წერა, იცნობდნენ თუ არ იცნობდნენ მთას, კარგ ტონად ითვლებოდა ლიტერატურაში და მაკედონელმაც გადაუხადა ხარკი ამ გატაცებას. რაც შეეხება მურას, ის პოეტმა ნადირობით გატაცებულ ერთ თავის თბილისელ ნაცნობს გამოართვა, რომელსაც ეს ლეკვი მართლაც მეცხვარეებმა აჩუქეს. მაგრამ მაკედონელი ყველას უყვებოდა, თითქოს მას აჩუქეს ეს ლეკვი მეცხვარეებმა და იმდენად ხშირად ყვებოდა ამ ამბავს (თავის ვერსიას), აღარც კი ახსოვდა, რომ ყოველივე ეს თვითონვე მოიგონა და ვინაიდან არავითარი წვრილმანი არ ემთხვეოდა, ვინაიდან ყოველთვის ზუსტად იმეორებდა ერთსა და იმავეს, ბევრისთვის სავსებით დასაჯერებელი იყო ეს ფაქტი. რაც შეეხება მისი განცხადების მეორე ნაწილს, რომ ლეკვს ვერ მოუარა და აბრაშკას დაუტოვა, ეს სრული ჭეშმარიტება გახლდათ.

— კარგი ძაღლია მურა, — თქვა მაკედონელმა, — ის-ის იყო ცეცხლში შევარდნას ვაპირებდი, რომ თქვენ მომასწარით. ძალიან მადლობელი ვარ. გმადლობთ.

ვამეხი დუმდა.

— ცუდ დროს ჩამოხვედით, რაფაელ! ეს რა უსიამოვნება შეგემთხვათ! — თავაზიანად მიმართა ლეილამ პოეტს. ლეილა იცნობდა მის შემოქმედებას და თუმცა მაინცდამაინც აღფრთოვანებული არ იყო, მაინც მწერლად მიაჩნდა იგი.

— რა მოხდა ასეთი? პირიქით, კმაყოფილი ვარ, რომ მშ... მშვ... მშვენიერ სანახაობას შევესწარი, — დაუდევრად განაცხადა მაკედონელმა, ამაყად გაიღიმა და ვამეხს შეხედა.

მაგრამ ვამეხმა არ იცოდა, ვინ იყო მაკედონელი. მან არ იცოდა,რომ ის აბრაშკას ძმა იყო, არც ის იცოდა, რომ ლექსებს წერდა და ამიტომ მაკედონელის თავდაჭერა, აღუშფოთველობა და იუმორის გრძნობა ისე ვერ შეაფასა, როგორც ეს მაკედონელს უნდოდა.

— გეტყობათ, ისე გაუტაცნიხართ სანახაობას. რომ ფეხსაცმელების და შარვლის ჩაცმაც დაგვიწყებიათ, — გულთბილი ღიმილით უთხრა ვამეხმა პოეტს.

მაკედონელს სახეზე სიწითლემ გადაკრა, მაგრამ ნირი არ შეუცვლია. მხოლოდ თავის შიშველ ფეხებს დახედა. შემდეგ თავი აწია და ვამეხს მიაჩერდა.

— სხვათაშორის, თქვენ ძალზე მეცნობით.

გულხელდაკრეფილი ვამეხი დამცინავად უყურებდა პოეტს. პაპიროსი პირ-

ში ჩაედო და ცალი თვალი მოეხუჭა, რადგან ბოლი აწუხებდა.

— მიხა რა არის თქვენი? — იკითხა მაკედონელმა.

— ვინა? — იკითხა უცებ ვამეხმა და წარბები შეკრა.

— მიხა გურამიშვილი! არ იცნობთ?

ვამეხი შეკრთა. პაპიროსი მაგრა მოქაჩა და პირიდან გამოიღო. სახე ოდნავ გაუფითრდა, თითქოს შეეცვალა კიდეც...

— არ ვიცნობ! — თქვა მან ცივად.

— ძალიან გავხართ ერთ ჩემ მეგობარს, მიხა გურამიშვილს. შესანიშნავი ახალგაზრდაა. მას მთელი თბილისი იცნობს...

— მე არ ვიცნობ, — თქვა ვამეხმა.

— პირდაპირ საოცარი მსგავსებაა თქვენს შორის, იმიტომ გკითხეთ....

დუმილი ჩამოვარდა. ყველა ინტერესით უსმენდა ამ საუბარს და ყველა მიხვდა, რომ ვამეხს გუნება წაუხდა. ეს უცბად შეეტყო. ეს უცბად შეეტყო მის სახეს, მის თვალებს, მის გამომეტყველებას, იერს. არ შეიძლებოდა თქმა იმისა, თუ რა მოხდა, მაგრამ ყველა გრძნობდა, რომ რაღაც მოხდა. ვამეხი დაიხარა და ძაღლს გაეთამაშა, მაგრამ ყველა გრძნობდა, რომ ეს დროის მოსაგებად სჭირდებოდა, სჭირდებოდა იმისათვის, რომ გამორკვეულიყო, ისევ ძველ განწყობას დაბრუნებოდა, რომელიც პოეტმა რაფაელ მაკედონელმა დაურღვია.

თვითონ პოეტი კი ჩინებულ გუნებაზე იყო.

— ახლა კი ძმაო, ჩემი ძაღლი უნდა წავიყვანო, — უაღრესად ფამილარული ტონით განაცხადა მან, როდესაც ვამეხი წელში გასწორდა. პოეტმა ჯაჭვს ხელი დაავლო და დაქაჩა. ვეებერთელა ნაგაზი საცოდავად მოიკუნტა და აწკმუტუნდა. მაკედონელმა უფრო დაქაჩა, ძაღლი ვამეხს მიეკრა. მაკედონელმა მთელი ძალით დაქაჩა და სწორედ ამ დროს მურა ფეხზე წამოხტა და ბრაზიანად შეჰყეფა პატრონს. მაკედონელს ჯაჭვი ხელიდან დაუვარდა და უკან გახტა. ვამეხმა ხმამაღლა გაიცინა.

— იყოს ეს ძაღლი ჩემთან, რას აწვალებ? ისედაც ბევრი რამ გადაიტანა, — თქვა ვამეხმა .

— კარგი, ბატონო იყოს, — თქვა მაკედონელმა, — მაინც არ მოდის და...

## 10

ვინ იყო მიხა გურამიშვილი?

აი, სწორედ ეს უნდოდა სცოდნოდა ლეილას. როგორც რაფაელ მაკედონელმა თქვა, მიხა ისეთი ვაჟკაცი ყოფილა, რომ თურმე მთელი თბილისი იცნობს. ლეილას ძალზე საეჭვოდ მოეჩვენა მიხასი და ვამეხის მსგავსება, — მაკედონელმა ხომ უთხრა ვამეხს ძალიან გავხართ ერთმანეთსო, — საეჭვოდ მოეჩვენა იმიტომ, რომ, ეს ორი ადამიანი, რომლებიც ძალზე გვანან თურმე ერთმანეთს, გურამიშვილები იყვნენ. ერთი და იგივე გვარი ჰქონდათ. რაშია ნეტავ საქმე, რა კავშირი აქვს ვამეხს მიხასთან? — ფიქრობდა ლეილა. იქნებ იცნობენ ერთმანეთს, იქნებ ახლო ნათესავები არიან, ვინ იცის? მაგრამ თუ ასეა, რატომ თქვა ვამეხმა არ ვიცნობ მიხასო, რატომ გაფითრდა, როცა ესა თქვა? ყოველივე ეს ძალზე საეჭვოდ ეჩვენებოდა ლეილას და ძალიან უნდოდა გაეგო ვამეხის საიდუმლო, რომლის არსებობაში ეჭვიც აღარ ეპარებოდა. ალისასაც ძალიან აინტერესებდა ვინ იყო მიხა. მაგრამ ქალებმა არაფერი არ იცოდნენ, რაფო მაკედონელი კი, ვისაც შეეძლო დაწვრილებით მოეთხრო მიხას შესახებ რაიმე, რაც ქალებს ასე თუ ისე დააკმაყოფილებდა, უკვე წასულიყო თბილისში და მისი გამოკითხვა აღარ შეიძლებოდა. ვინ იცის, როდის დაბრუნდებოდა ხელმეორედ რაფო მაკედონელი ურიათუბანში? საიდუმლო საიდუმლოდ რჩებოდა.

ისინი სამზარეულოში იდგნენ. ალისა თეფშებს რეცხავდა და გასამშრალებლად ლეილას უწვდიდა. ყველაფერი მზად იყო. ყველით სავსე ნოყიერი ხა-

ჭაპურები და მჭადები ერთმანეთზე ეწყო. შემწვარი ქათმები ჯერ კიდევ ქონში ცურავდნენ, ბოსტნეულისა და ხორცისაგან დამზადებული კერძები სასიამოვნო სურნელებას გამოსცემდნენ. ყველაფერი მაგიდაზე ეწყო, საერთო სამზარეულოში და ზემოდან გრძელი, თეთრი ქაღალდი ეფარა. ღვინიანი ბოთლები მაგიდის ქვეშ მდგარ, ცივი წყლით სავსე ვედროებში ჩაელაგებინათ ჩასაციებლად. ყველაფერი მზად იყო და ალისას უხაროდა, რომ მარტოკამ მოასწრო ამოდენა საჭმელების მომზადება, გასაკეთებელი აღარაფერი დარჩა.

და აი, ქალები სამზარეულოში იდგნენ, თეფშებს რეცხავდნენ და აბრაშკას ხანძრის შესახებ ლაპარაკობდნენ. იმ დღეებში, ყველგან ამ ამბავზე იყო საუბარი. ოჯახებში, ქუჩებში, დაწესებულებებშიც კი ყველა ამაზე ლაპარაკობდა. ზოგიერთები ამბობდნენ აბრაშკამ თვითონ დაწვა თავისი სახლიო. ზოგიერთებს კი ეს ამბავი არა სჯეროდათ.

— თვითონ როგორ დაწვავდა?

— ნამდვილად ასეა!

— კი მაგრამ ეგ ოჯახდაქცეული რადას აშენებდა ამოდენა სახლს, თუ ბოლოს დაწვას უპირებდა?

— როცა სახლს აშენებდა ის კი არ იცოდა, რომ ხუთი წლის შემდეგ რევიზია დაეცემოდა თავზე!

— რევიზია რა შუაშია?

— რევიზია იმ შუაშია, ბიძია, რომ აბრაშკას ისეთი საქონელი უპოვეს და ისეთი ოქმი შეუდგინეს, ათი წლის ციხე არ ასცდებოდა მთელი ქონების კონფისკაციით. აბა? მაგრამ აბრაშკა არ დაიბნა და ცეცხლში გამობუგა საკუთარი სახლიც, ის საქონელიც და დოკუმენტებიც. ირბინონ ახლა და უმტკიცონ, რომ მართლა ინახავდა სახლში აკრძალულ საქონელს.

ხალხს უკვირდა ეს ამბავი, ძალზე უკვირდა.

— მილიციამაც იცის აბრაშკას ოინები, მაგრამ რა უყონ?.. ფაქტი თუ ვერ უპოვნე კაცს, ისე ვერ დაიჭერ, ქონებას კი აბრაშკა ისევ იშოვის, — ამბობდნენ საქმეში ჩახედულები.

გულუბრყვილოები კი თავს აქნევდნენ და უკვირდათ, ძალზე უკვირდათ ეს ამბავი.

ყველგან ამაზე იყო ლაპარაკი იმ დღეებში და ვამეხსაც ხშირად ახსენებდნენ ხოლმე. ყველამ იცოდა, როგორ გადაარჩინა ვამეხმა აბრაშკას მურა და ზოგს სკეპტიკურად ეცინებოდა, ზოგს კი ძალიან მოსწონდა ვამეხის გაბედულება. ლეილა და ალისაც ამ ამბავზე საუბრობდნენ ახლა, სამზარეულოში. ლეილა უყვებოდა ალისას რაც ნახა იმ დღეს, რაც გაიგონა. ქალებს ძალიან აინტერესებდათ, ვინ იყო მიხა გურამიშვილი, რატომ არ ესიამოვნა ვამეხს მისი ხსენება?! მაგრამ იქნებ ლეილას მოეჩვენა...

— არა, ქალო, რას ამბობ, ნამდვილად შეკრთა და გაფითრდა, როცა რაფო მაკედონელმა ეს კაცი უხსენა.

— ვითომ იცნობს და დამალა?

— რა ვიცი?!

— სამი თვეა ვამეხი აქ არის, მაგრამ ამ კაცის ვერაფერი ვერ გავიგე, — ამოიოხრა ალისამ.

— მე რას ვფიქრობ იცი? გამოქცეული ბოროტმოქმედი ხომ არ არის?

— რას ამბობ, ლეილა, არ გრცხვენია? — გაბრაზებით წამოიძახა ალისამ.

— რა მოხდა, შე ქალო, არ შეიძლება ასე იყოს? იქნებ იმალება აქ? აბა რას გადაეკიდა ძუკუს?

— რას ერჩი ამ ძუკუს? თუ გინდა იცოდე, ძუკუ ყველაზე პატიოსანი ბიჭია ამ ქალაქში. სწორედ ძუკუმ გადაარჩინა ვამეხი შამილასთან ჩხუბის დროს, ჩასვა მანქანაში და ქალაქგარეთ გაიყვანა....

— გაიყვანა, თორემ მეორე დღეს ვერ გამოუღადრეს ყელი.

— ეგ იმიტომ, რომ ჩვენთან იასონისთანა კაცებიც კაცებად ითვლებიან.

— შენ მაგას არ უნდა ამბობდე.

— რატომ არ უნდა ვამბობდე? — — გაწიწმატდა ალისა.

— რა ვიცი, — ორაზროვანად თქვა ლეილამ, — ახლა ეს შენი ვამეხი და იასონი ძალიან მეგობრულად არიან.

— იმიტომ, რომ ვამეხმა არ იცის, რაც გაუკეთა იასონმა, მაგრამ თუ ჩამივარდა შემთხვევა აუცილებლად ვეტყვი.

— იასონს გასცემ?

— რატომაც არა? კაცი კინაღამ მოაკვლევინა, ახლა კი ეს უნამუსო ისე დაუმეგობრდა, თითქოს არაფერი ბრალი არა აქვს... აი, ასეთი ვაჟკაცები არიან ჩვენ ქალაქში!

ალისა ისეთი გაბრაზებით ლაპარაკობდა, რომ, ლეილას, ცოტა არ იყოს, უკვირდა. ის ბევრის მნახველი, ცხოვრებაში გამოცდილი ქალი იყო და მთლად კარგად ვერ გაეგო, რატომ მიჰქონდა გულთან ასე ახლოს ალისას ეს ამბავი. ალბათ იასონზე ძალიან გაუტყდა გული, ფიქრობდა ლეილა, მაგრამ მაინც უკვირდა. ცოტა ხნის მერე ლეილამ თქვა:

— საერთოდ, ძალიან საეჭვოა, რატომ აპატია შამილამ ვამეხს?

— ჯერ ერთი არაფერი უპატიებია, კინაღამ მოკლეს. მე რომ არ ვყოფილიყავი... მაგრამ ამას თავი დავანებოთ. მეორე კიდევ, რა იცი, რომ შამილას არ ეშინია ვამეხისა?

— ჰა-ჰა-ჰა-ჰა! — გადაიხარხარა ლეილამ, გულწრფელად მითხარი, შენ ხომ არ მოგწონს ეგ ვამეხი? — და ეჭვით შეხედა ალისას.

— რა სისულელეს ამბობ? — ცივად, წყნარად, გაკვირვებით თქვა ალისამ. მერე თავი ჩაღუნა და თეფშს გულმოდგინედ დაუწყო რეცხვა, თვალი მოარიდა ლეილას.

— აბა, როგორ შეიძლება შამილას მაგისი ეშინოდეს? შამილას არავისი არ ეშინია.

— რა იცი?

— დარწმუნებული ვარ, რაც შეეხება ვამეხს, ეს საეჭვო კაცია, კარგი იქნებოდა მილიციას გამოეძია მაგისი ვინაობა, — ლეილა დაჟინებით შესცქეროდა ალისას, გამომცდელად, ყურადღებით...

— არ ვარგა, ლეილა, ასეთი ეჭვიანობა, ადამიანს უნდა ენდო.

— არავის არ უნდა ენდო! რა ვიცით ჩვენ, ვინ არის ეგ კაცი, იქნებ იმალება აქ? — ისევ განსაკუთრებული ყურადღებით შესცქეროდა ლეილა ალისას.

— რომ იმალებოდეს ,მაშინ თავის პასპორტს არავის უჩვენებდა. მე კი საავადმყოფოში ვნახე მისი პასპორტი, სადაც გარკვევით ეწერა, რომ ჰქვია ვამეხი და გვარად არის გურამიშვილი. მისამართიც ეწერა, მაგრამ არ დამამახსოვრდა. რომ იმალებოდეს, ამ ამბის შემდეგ ჩვენ ქალაქში აღარ გაჩერდებოდა. თანაც მილიციამაც შეამოწმა მაშინ მაგის საბუთები, მაგრამ ასეთი ეჭვი არავის აღძვრია.

— იქნებ ეს მოგონილი გვარი და სახელია. იქნებ სხვისი პასპორტით ცხოვრობს? — თქვა ლეილამ და ისევ დაჟინებით, ისევ გამომცდელად დააკვირდა ალისას.

— სისულელეს ნუ ამბობ. თუ მოგონილი გვარი და სახელია, მაშინ ვამეხს არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს მიხა გურამიშვილთან და არც უნდა შემკრთალიყო, როცა ეს კაცი უხსენეს.

— ნამდვილად შეკრთა. მე კარგად შევამჩნიე, რომ შეკრთა და ცოტა გაფითრდა კიდეც. მე მგონი ვამეხი იცნობს მიხა გურამიშვილს, მაგრამ არ გაამხილა.

— კარგი იქნებოდა რაფო მაკედონელისათვის გვეკითხა, ვინ არის მიხა.

— კარგი იქნებოდა, მაგრამ რაფო მაკედონელი უკვე წავიდა თბილისში. ამბობენ ნათხოვარი ტანსაცმლით გაემგზავრაო, საწყალი, — გაეცინა ლეილას.

— არა მგონია ვამეხი ბოროტმოქმედი იყოს. ეგ არ ჩანს ასეთი კაცი, — თქვა ალისამ და ზურგი შეაქცია ლეილას. ონკანთან მივიდა.

სამზარეულოში მოშვებული წყლის შხრიალი გაისმა.

— იცი რა? — ხმამაღლა თქვა ლეილამ, — ცუდის გამკეთებელს მართლა არა ჰგავს, პირიქით, სიმპატიური ბიჭია, არა, ალისა?

— ჰო!

— რაღაცნაირი კეთილშობილება იგრძნობა ამ კაცში, იმ წამსვე თავისკენ გიზიდავს. ხომ ასეთ ეჭვებს გამოვთქვამ, მაგრამ სიმართლე გითხრა ძალიან მეწყინება, რომ ჩემი ეჭვები გამართლდეს. მე მინდა ეგ კარგი ბიჭი იყოს, კარგი წარსული ჰქონდეს. სიმართლე გითხრა მე ძალიან მომწონს ეგ ბიჭი

ალისა ონკანთან დიდხანს იბანდა მკლავებს და კისერს. როცა ბანა მოათავა, ქალები ალისას პატარა ოთახში შევიდნენ. ალისა პირსახოცით იმშრალებდა სხეულს და თან სიამოვნებდა ოთახში გამეფებული სისუფთავე, წესრიგი და ის სუფთა სურნელოვანი ჰაერი, რომელიც სამზარეულოს დახუთულობის შემდეგ განსაკუთრებით იგრძნობოდა. ოთახში ყველაფერი თავის ადგილზე იდო. მხოლოდ მაღალქუსლიანი თეთრი ფეხსაცმელები ეწყო ტახტთან. ტახტზე ლამაზი, თეთრი კაბა იყო გაშლილი, რომლის ჩაცმასაც აპირებდა ამ საღამოს ალისა. დღეს ალისა დაბადების დღეს იხდიდა. ყოველ წელიწადს ერთი და იგივე სტუმრები იკრიბებოდნენ მასთან: ლეილა, კოწია ექიმი მეუღლით, სკოლის დირექტორი ვახუშტი, მილიციის ლეიტენანტი ბენო, ხოლო როცა ბენო ბათუმში გადაიყვანეს — იასონი. წელს აღარც იასონი იქნებოდა და შეიძლება არც კოწია ექიმი მოსულიყო, რადგან მას შემდეგ რაც კოწია ექიმმა ვახუშტის შეაფურთხა, ერიდებოდა მასთან შეხვედრას. როგორ შეეძლო ალისას არ დაეპატიჟნა მისი მფარველი კოწია ექიმი, თორემ, კაცმა რომ თქვას, კოწიას დაპატიჟება არც ღირდა. ძალიან კარგი ადამიანი იყო კოწია ექიმი, მაგრამ სუფრაზე არაფრად არ ვარგოდა. მან სრულებით არ იცოდა მოლხენა. სერიოზულ მნიშვნელობას აძლევდა სუფრაზე წარმოთქმულ ყოველ სიტყვას. თითონაც იჯდა რაღაც მნიშვნელოვანი, განსაკუთრებული, საქმიანი, სერიოზული, მოკლედ — მჟავე სახით, დემონსტრატიულად არ ეკარებოდა ღვინოს, მართალია ღვინო წყენდა ,მაგრამ ერთი ჭიქა რას უზამდა? — უგემურად ჭამდა, ცოტას ლაპარაკობდა, ხუმრობაზე არ იცინოდა და, როგორც ჩანს, უნდოდა ყველასათვის ეგრძნობინებინა, თუ როგორი პატივი სცა აქ მოსვლით საზოგადოებას. სანამ კოწია ექიმი სუფრას უჯდა, ყველანი უხერხულად გრძნობდნენ თავს, მაგრამ საბედნიეროდ ყოველთვის ადრე მიდიოდა ხოლმე და ნამდვილი მხიარულებაც მერე იწყებოდა. მაგრამ წელს, ალისამ თვითონაც არ იცოდა, ვინ მოვიდოდა, ვინ გაიხსენებდა. ვახუშტი უეჭველად მოვიდოდა, ამას თქმა არ უნდა. იასონი? იასონი რას არ მოვიდოდა, მაგრამ ალისამ აგრძნობინა, რომ არ მოსულიყო, როდესაც მან გუშინ ტელეფონით დაურეკა სამსახურში და დაბადების დღე მიულოცა. კარგი იქნებოდა ჯემალიც ყოფილიყო აქ. ჯემალის მოსალოცი დეპეშა წიგნების თაროზე, თვალსაჩინო ადგილას იდო. წელს როგორ ჩაივლიდა დაბადების დღე, ალისამ არ იცოდა, რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა ჯემალი ჩამოსულიყო. ამ ათიოდე დღის წინ, ალისამ წერილი მისწერა ოდესაში და თხოვა ჩამოსულიყო, თხოვა, რომ მხოლოდ აქეთ წამოსასვლელი გზის ფული ეშოვა, რომ აქედან თვითონ უყიდდა ბილეთს და გაისტუმრებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ჯემალმა ვერ მოახერხა წამოსვლა, ალბათ, არ გამოუშვეს სასწავლებლიდან. ალისას ძალზე სწყინდა, მაგრამ რა ექნა?

აივნის ღია კარებიდან ოთახში გრილი ნიავი შემოდიოდა. ლეილა კარებში იდგა და ზურგით კედელს მიყრდნობოდა.

— ალისა, იცი რა აზრი მომივიდა?— იკითხა მან.

ალისას საშინაო ტანსაცმელი გაეხა-

და და ახლა თითქმის ნახევრად შიშველი შუა ოთახში იდგა.

— რა? — ჰკითხა ალისამ.

მერე ტახტზე ჩამოჯდა, შიშველი ფეხი გაჭიმა და ხორცისფერი, მაღალყელიანი წინდების ჩაცმა დაიწყო. თეთრი, ლამაზი ფეხები ჰქონდა. ქალის სილამაზე ზოგჯერ თვითონ ქალებსვე აღელვებთ და ლეილა სიამოვნებით უყურებდა ალისას გრძელ, სწორ, სავსე ფეხებს.

— რა აზრი მოგივიდა? — ჰკითხა ალისამ.

— რა და... რა ლამაზი ფეხები გაქვს?! — თქვა ლეილამ.

— პირველად შენიშნე ჩემი ფეხები? — სიამოვნებით ჩაიცინა ალისამ.

— იცი, რას გეუბნებოდი? მოდი, დავპატიჟოთ ვამეხი შენ დღეობაზე!

ალისამ წინდის ამოწევა შეწყვიტა, ფეხი მოღუნა, თითები იატაკზე დადო, ტერფი მაღლა ასწია და ლეილას გაკვირვებით შეხედა.

— რას მიყურებ? — გაიცინა ლეილამ.

— ვამეხი დავპატიჟოთ? — ჰკითხა ალისამ.

— ჰო.

— როგორ?

— იასონს ვუთხრათ მოიყვანოს.

— მე არ მინდა, რომ იასონი აქ მოვიდეს.

— კარგი ერთი, რა დაგიშავა იასონმა? იასონს შენთვის არაფერი დაუშავებია, არ არის ცუდი ბიჭი. მოვიდეს და მოიყვანოს ვამეხი, მე მგონი ღირს, რას იტყვი ალისა?

— იასონს არ წამოყვება, — თქვა ალისამ.

— რატომ გგონია?

— არ ვიცი, ასე მგონია.

— მე კი მგონია, რომ ვამეხი დიდი სიამოვნებით მოვა შენთან.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მაგისთანა ბიჭებს ლამაზი ქალები უყვართ.

— მერე მე რა შუაში ვარ? — გაწითლდა ალისა.

— თავს ნუ იკატუნებ! კარგ ბიჭებს ყოველთვის ის იტაცებთ, რაც ძნელად მისაწვდომია, ლამაზი ქალი კი ძნელი მისაწვდომია...

— რომ იცოდე, სულ არ მაინტერესებს შენი ვამეხი.

— აი, სწორედ მაგიტომ, შესაძლებელია, ვამეხს აინტერესებდე შენ, — ეშმაკურად გაიღიმა ლეილამ.

— სულაც არ მინდა, რომ ვამეხს ვაინტერესებდე, — დაბნეულად თქვა ალისამ და ლეილას ისევ ეშმაკურად გაეღიმა.

— შენ ხომ გინდა, გავიგოთ ვინ არის ვამეხი?

— რატომაც არა? ეგ საქმეს ხელს არ უშლის, — კეკლუცად გაიცინა ალისამ და წამოდგა. კაბა გადაიცვა და სარკის წინ დადგა.

— სწორედ ამიტომ უნდა დავპატიჟოთ ვამეხი, — თქვა ლეილამ, — უნდა დავუახლოვდეთ ამ კაცს, რაღაც წამოვაცდენინოთ...

— დავპატიჟოთ. მე თანახმა ვარ... ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ახალი კაცის გაცნობა ყოველთვის საინტერესოა.

— რა თქმა უნდა, საინტერესოა. სულ ერთი და იგივე ყელში ამომივიდა. ზოგჯერ სიახლე ისე მენატრება, რომ ვინმე რომ მოკვდეს, ჩემი კარგი ნაცნობი, არ მეწყინება, ოღონდ მდგომარეობა შეიცვალოს და როგორმე გავერთო.

— რას ამბობ, არა გრცხვენია?

— ასეა, ასე! ერთფეროვნებაზე აუტანელი არაფერია.

— კარგი. დავპატიჟოთ ვამეხი!

— როგორ?

ალისა სარკის წინ იდგა და კაბის ღილებს იკრავდა.

— ეგ შენ გადაწყვიტე, აზრი შენ გეკუთვნის. — თქვა მან და გაიცინა.

— შენი დღეობაა, ამიტომ შენ უნდა დაპატიჟო.

— ხომ არ გაგიჟდი? — გადაიკისკისა ალისამ, — რახან დაიწყე საქმე, უნდა დააბოლოვო კიდეც.

— სიამოვნებით დავპატიჟებდი, მაგ-

რამ ჩემი დაპატიჟებით რომ არ მოვიდეს?! თანაც სად ვიპოვო ვამეხი?

— შენ უნდა იპოვო ძუკუ და უნდა თხოვო ვამეხი მოიყვანოს.

— ხომ არ გაგიჟდი? — წამოიძახა ლეილამ.

— ეს არის ერთადერთი ყველაზე ნაღდი საშუალება. ძუკუ არავითარ შემთხვევაში უარს არ გეტყვის, ვამეხი კი ძუკუს აუცილებლად წამოყვება.

— მე რომ ეგ ვთხოვო ძუკუს, ისე გაუკვირდება, რომ შეიძლება ჭკუაც დაკარგოს ,მაინც არა აქვს ჭკუა, — გაიცინა ლეილამ.

საოცარი იყო ამ ქალის დამოკიდებულება ძუკუს მიმართ. რატომღაც მიაჩნდა, რომ ძუკუ დამნაშავე იყო მის წინაშე, დამნაშავე იყო იმით, რომ გულზე მისი სახელი ჰქონდა ამოსვირინგებული და ისრით განგმირული გული ეხატა. თითქოს ძუკუს უფლება არა ჰქონდა, რაც უნდოდა, ის დაეწერა და დაეხატა საკუთარ სხეულზე. ისიც კი, რომ ძუკუმ სიკვდილს გადაარჩინა ამ ხუთმეტიოდე წლის უკან, ლეილას თითქმის დანაშაულად მიაჩნდა, რადგან, როცა ძუკუმ ის წყლიდან ნაპირზე ამოათრია, იქ უამრავი ხალხი შეგროვილიყო, უცნობები და ნაცნობები, კაცები და ბავშვები, ახლად წამოჩიტული ბიჭები, რომლებიც მოურიდებელი სიხარბით უცქეროდნენ გულწასული ქალის შიშველ სხეულს. ლეილას ჯერ კიდევ ახსოვდა ის სირცხვილი, რომელიც მაშინ გრძნობაზე მოსვლისთანავე განიცადა. მისი აზრით სიკვდილი სჯობდა იმ სირცხვილს. ამ დამცირებას კი ძუკუს უნდა უმადლოდეს. იმ სულელი ნახატის და წარწერის გამოც რამდენი დაცინვა შეხვდა? ქალების უმრავლესობას ეამაყება ასეთი რამ, მაგრამ ლეილას, პირიქით, რცხვენოდა. და თუმცა ძუკუს მისთვის არაფერი დაუშავებია, ლეილას არ უყვარდა ის, ვერ იტანდა. ვინ იცის, იქნებ ამ არსიყვარულის მიზეზი უფრო ღრმა იყო, ვიდრე ეს ერთი შეხედვით გვეჩვენება? იქნებ სულაც არ იყო წინააღმდეგი იმისა, რომ ძუკუ შეყვარებოდა? ძუკუს ხომ ასე ძლიერ და ერთგულად უყვარდა ის. მაგრამ ვინ იცის, — იქნებ სწორედ იმიტომ ვერ იტანდა ძუკუს, რომ ის ვერ აკმაყოფილებდა მის იდეალს და ეს აბრაზებდა, ეს დაკარგული თუ განუხორციელებელი შესაძლებლობა აცოფებდა. ასეთ დამოკიდებულებას ძუკუს მიმართ თავიდანვე შეჩვეული იყო, მაგრამ იმდენი დრო გავიდა, რომ წაიშალა ბევრი რამ, რასაც ოდესღაც მნიშვნელობა ჰქონდა და ახლა ლეილა გრძნობდა, რომ სრულებით უსაფუძვლოდ სძულდა ძუკუ, უფრო სწორედ აღარ სძულდა, სულაც არ სძულდა და რომ ამაში საკუთარ თავს არ გამოტყდომოდა უფრო გამძაფრებით ესხმოდა ძუკუს, სადაც საშუალებას იხელთებდა.

— თავში ქვა უხლია ბრუციან ძუკუს, მაგას რამეს ვთხოვ? — თქვა ლეილამ.

ალისამ ყელსაბამი დაიკიდა და ტუჩებზე პომადა წაიცხო. შემდეგ რადიოლა ჩართო, ტახტზე დაჯდა და ფრჩხილების გაპრიალებას შეუდგა. მუსიკა უკრავდა. რკინიგზაზე მატარებელმა ხმაურით გაირბინა და ოთახში ელმავლის გუგუნი, მისი საყვირის ხმა გაისმა. ლეილა აივანზე გავიდა და მოაჯირს დაყრდნობილი ქალაქს გადაჰყურებდა.

მშვენიერი, თბილი დღე იდგა. მშვიდად, წყნარად ელოდა პატარა ქალაქი კარზე მომდგარ ზამთარს. სადღაც, შორს ძაღლი ყეფდა. სადღაც ვიღაცეები მღეროდნენ, ალბათ მთვრალები იყვნენ. სადღაც, ძალიან შორს მატარებლის საყვირის ხმა ისმოდა. ახალგაზრდა ბიჭმა ველოსიპედით ჩაიარა ალისას სახლის წინ. ველოსიპედიდან ფოსტასთან ჩამოხტა, ხეზე ააყუდა, თვითონ ქვის კიბეები აიარა და შენობაში შევიდა. ვინმემ რომ მოიპაროს ეს ველოსიპედი? სანამ ბიჭი შენობაშია, ვინმე რომ დააჯდეს ველოსიპედს და წავიდეს?..— გაიფიქრა ლეილამ. ლეილა აქედან ყვირილს ატეხავს და უეჭველად დაიჭერენ ქურდს, მაგრამ ვინ დაიჭერს, როცა გზა ცარიელია? ეს გზა ურიათ-

უბანში მიდის. შორს, უკვე ქალაქის ფარგლებს გარეთ, გაყვითლებულ მინდვრებს შორის გაჭიმულ გზაზე, მარტო მიმავალი ურემი მოჩანს. უფრო შორს კი მთები დგანან. უკვე დათოვლილია მთების წვერები. მალე მოვა ზამთარი და უფრო და უფრო მიჩუმდება ცხოვრება. რით უნდა გაირთო კაცმა თავი ზამთრის მომაბეზრებელ, ერთფეროვან თვეებში? ცხოვრობ ისე, რომ არაფერს საინტერესოს არ ელოდები. ლეილას სევდა შემოაწვა გულზე.

ოთახში შემობრუნდა. ნაზი, სასიამოვნო მუსიკა გაურკვეველ განწყობილებას ქმნიდა.

— სად ვნახო ძუკუ, თორემ?!... — თქვა ლეილამ და ტახტზე ჩამომჯდარ ალისას შეხედა.

— ძუკუ? მაგაზე ადვილი რა არის? ძუკუ უეჭველად მთავარ ქუჩაზე იქნება. კვირაობით იქა დგას ხოლმე. შენ შეგიძლია შემთხვევით ჩაიარო და...

— ჯანდაბას მაგის თავი, ეგრე იყოს! — დაეთანხმა ლეილა.

## 11

მანამდე, სანამ ალისას დღეობაზე წავიდოდნენ, სადაც ლეილამ დაპატიჟა ვამეხი და ძუკუ, — უფრო სწორად ძუკუ, რომელსაც შუადღეზე შეხვდა ქუჩაში და თხოვა, ვამეხი მოეყვანა და ამ საღამოს ალისასთან მოსულიყო, — ორივენი დათვრნენ. ისინი დათვრნენ სასტუმროს პირველ სართულზე მოთავსებულ სასაუზმეში, რომელსაც ლურჯად შეღებილი დიდი, ფართო ფანჯრები ჰქონდა, საიდანაც ჩანდა რკინიგზა და რკინიგზის იქით თეთრად ჩამწკრივებული, მაღალი, შრიალა ვერხვები. ვერხვებს უკან ფშანი იდგა და ყოველთვის, როცა ამ ადგილებში გაივლიდა კაცი საღამო ხანს, ბაყაყების გაბმული ყიყინი სიმარტოვის და სიცარიელის უცნაურ განწყობას უქმნიდა მას. ბაყაყები ახლაც გაბმულად ყიყინებდნენ, უკვე ბნელოდა. სასაუზმეში მკრთალი სინათლე ბჟუტავდა. ვამეხი და ძუკუ დახლთან იდგნენ და დაღლილ მოწყენილ მებუფეტის თანდასწრებით არაყს სვამდნენ.

სიმართლე რომ ითქვას, ვამეხს არ უნდოდა დალევა, მაგრამ მას არ შეეძლო ხათრი გაეტეხა ძუკუსათვის. შუადღის შემდეგ, ლეილასთან შეხვედრის შემდეგ, ძუკუ უცნაურად დაბნეული და აღელვებული ჩანდა. ძუკუს ვერაფერი გაეგო, რატომ დაპატიჟეს ალისას დღეობაზე, რაღა მაინცდამაინც ლეილამ დაპატიჟა, სწორედ იმ ლეილამ, რომელსაც არასოდეს წესიერად ხმა არ გაუცია მისთვის, წესიერად არასოდეს დალაპარაკებია, თუმცა სიკეთის მეტი ძუკუსგან არაფერი ახსოვდა. ზოგჯერ გამარჯობასაც კი არ ეუბნებოდა ძუკუს ლეილა, დღეს კი, შუადღისას, როცა ძუკუ ჩვეულებისამებრ აფთიაქის წინ იდგა სხვა ბიჭებთან ერთად და გამვლელ-გამომვლელებს ათვალიერებდა, ქუჩაში ჩამოიარა და შორიდანვე მიესალმა. ძუკუმაც სალამით უპასუხა, მაგრამ მოულოდნელად, — ძუკუს ეს ძალიან გაუკვირდა, — ლეილამ გზა აღარ გააგრძელა, გაჩერდა და გამოელაპარაკა.

— რას უცდი, ძუკუ, აქ? — ჰკითხა ლეილამ.

რითაც ძუკუ ძალიან განაცვიფრა. ძუკუმ პაპიროსი გაზონებში გადააგდო და თავაზიანად უპასუხა:

— არაფერს არ ვუცდი, დღეს კვირაა და ვისვენებ.

— ტყუილად დგახარ? — გაუღიმა ლეილამ.

— ტყუილად რატომ ვდგავარ? — ეწყინა ძუკუს, — შეიძლება ვამეხმა ჩამოიაროს. თუ ჩამოიარა სადმე გავისეირნებთ...

ძუკუ ცდილობდა, რაც შეიძლება ზრდილობიანად ელაპარაკა, ლეილა კი ისეთნაირად იდგა მის წინ, თითქოს ძალიან ეჩქარებოდა. წუთით შეჩერდა და საცაა ისევ უნდა წავიდესო.

— კარგი ბიჭია ეგ ვამეხი, — თქვა ლეილამ.

— კი, კარგი ბიჭია, — დაეთანხმა ძუკუ.

— შენ ამ ბოლო დროს კარგი ამხანაგები გაიჩინე, ყოჩაღ!

— ჰე-ჰე-ჰე! — კმაყოფილებით ჩაიცინა ძუკუმ, — მართალია, ზოგიერთებს არ მოვწონვარ, მაგრამ არც მე ვარ ცუდი ბიჭი.

— ვინ გითხრა, ცუდი ბიჭი ხარო? — ხმამაღლა თქვა ლეილამ და გაიცინა,— ლოთობა რომ არ გიყვარდეს...

— ლოთობას შევეშვი.

— აბა, ლოთობას თუ შეეშვი, ამ საღამოს ალისას დღეობაა და მოდი აუცილებლად.

— როდის იყო ალისას დღეობაზე დავდიოდი? — გულიანად გაეცინა ძუკუს, რადგან ეგონა, რომ ეხუმრებოდნენ, თუმცა ვერ მიმხვდარიყო ამ ხუმრობის მარილს.

— შე სულელო, მე სერიოზულად გეუბნები. ძალიან გამიხარდება თუ მოხვალ. ვამეხი მოიყვანე, — თქვა ლეილამ.

— შენ თუ გაგიხარდება მოვალ კიდევაც და თუ გინდა მთელ ქალაქსაც მოვიყვან! — წამოიძახა ძუკუმ, რადგან დაიჯერა, რომ სიმართლეს ეუბნებოდნენ.

— არა, მთელი ქალაქი საჭირო არ არის, ვამეხი კი აუცილებლად მოიყვანე, — თქვა ლეილამ, — მაშ მოხვალ ხომ?

— რას ქვია, არ მოვალ! — მხნედ წამოიძახა ძუკუმ.

ეს იყო შუადღისას. მაგრამ, როცა საღამომ მოატანა, ძუკუს არყის დალევა მოუნდა. ის გრძნობდა, რომ სიმხნევე გაუქრა და თან უკვირდა, რას ნიშნავდა ყოველივე ეს. ვერაფრით ვერ გაეგო რატომ დაპატიჟეს. როდის იყო ძუკუს ალისას დღეობაზე პატიჟებდნენ. რა საერთო ჰქონდა ძუკუს ალისასთან? ძუკუს აზრით ალისა ერთი ჭკუამსუბუქი ქალი იყო, რომელსაც მართალია, უყვარდა ბიჭები, ხშირად იცვლიდა მიჯნურებს, მაგრამ ნამდვილ ვაჟკაცთან არასოდეს არ გაუვლია. ძუკუ ვერ იტანდა იმ ხალხს, ვისთანაც ალისა ტრიალებდა. აბა რა ვაჟკაცი იყო იასონი? გინდა ის მილიციის ლეიტენანტი ბენო კაცი იყო? წავიდეს მაგისი... კიდევ კარგი, რომ წაეთრა აქედან. შეიძლება ალისას დიდი რამე ჰგონია თავისი თავი, მაგრამ ძუკუ ალისას არავითარ პატივს არ ცემდა. საერთოდ, ქალებს ძუკუ სერიოზულად არც უყურებდა. ერთი მაგათი... — ფიქრობდა გულში. ძუკუს არც ის სწყინდა, რომ ალისა თავს არ უყადრებდა. ძუკუმ იცოდა, რომ ალისასთან არაფერი გამოუვიდოდა, თუმცა მიაჩნდა, რომ არაფრით ნაკლები არ იყო იასონზე, არც ბენოზე და არც სხვებზე. მაგრამ ძუკუმ იცოდა, რომ არაფერი გამოუვიდოდა, და არც არავითარი პრეტენზიები არ ჰქონდა ალისას მიმართ. ისინი ქუჩაში ერთმანეთს ესალმებოდნენ, მერე ალისა თაურიას დასაფლავებას და ორმოცს დაესწრო და აი, სულ ამით ამოიწურებოდა მათი ურთიერთობა. იქნებ ალისას ვამეხის ინტერესი გაუჩნდა? ეჭვმა გაჰკრა ძუკუს გულში და რატომღაც გული ეტკინა. მაგრამ ვამეხი რა შუაშია, როცა ძუკუ ლეილამ დაპატიჟა?! — დაიმშვიდა თავი. ამ ფაქტს ძუკუს ფიქრები სულ სხვა მიმართულებით მიჰყავდა. მართალია, ძალიან დიდი დრო გავიდა იმ დღის შემდეგ, როცა მდინარეზე ბანაობის დროს, ძუკუმ მეზობლის ბიჭს მკერდზე ლეილას სახელი ამოაჩხვლეტინა, მართალია მას შემდეგ ძუკუს ცხოვრებაც ძალიან შეიცვალა, შეიცვალა თითონ ძუკუც, ბევრი რამ დაავიწყდა, ბევრ რამეზე გული გაუტყდა, მაგრამ რაღაც, იმ ძველიდან წამოყოლილი მაინც დარჩა გულში, და ახლა, როცა ლეილა თითქმის სრულიად უმიზეზოდ ქუჩაში გაუჩერდა (რაც არასდროს უქნია ადრე) და გამოელაპარაკა, მერე თავისი მეგობრის ალისას დღეობაზეც კი დაპატიჟა, დიდიხნის მივიწყე-

ბულმა რაღაცამ გაიღვიძა ისევ და ძუკუ გრძნობდა, რომ ამ გამოლაპარაკებას, ამ დაპატიჟებას რაღაც მიზეზი უნდა ჰქონოდა, რომელიც უცნობი იყო მისთვის, მაგრამ იმედოვნებდა, რომ რაღაც კარგი უნდა მომხდარიყო, რადგან ყველა მამაკაცი განწყობილია იმისკენ, რომ ესა თუ ის მოვლენა, რომლის მიზეზი და შედეგი მან ჯერ არ იცის, თავის სასარგებლოდ დაინახოს, განმარტოს, მიიჩნიოს.

და აი, ძუკუმ და ვამეხმა გადაწყვიტეს ალისას დღეობაზე წასვლა. მაგრამ სანამ დღეობაზე წავიდოდნენ, ძუკუს არყის დალევა მოუნდა. არაყი სიმხნევეს მატებდა. დახლთან იდგნენ და ჩუმად სვამდნენ. ერთი ბოთლი არაყი ორმა გამოცალეს, რადგან მებუფეტემ წვეთი არ დალია, თქვა ანგინა მაქვსო და ძალიან მწყენსო. სასაუზმეში არავინ იყო, მხოლოდ შემოსასვლელ კარებთან გაბანჯგვლული ნაგაზი იწვა, აბრაშკას მურა, რომელიც ხანძრის შემდეგ ვამეხს დარჩა და ძაღლი და მისი პატრონი ყოველთვის, განუყრელად ერთად დადიოდნენ. სადაც კი არ გამოჩნდებოდა ვამეხი, ძაღლი თან ახლდა. ყველა ხედავდა მათ და, როგორც უკვე ითქვა, ზოგს ეცინებოდა კიდეც, მაგრამ მაინც ყველას მოსწონდა ეს მეგობრობა, ძალზე ხანმოკლე რომ აღმოჩნდა, მაგრამ მაშინ ეს არავინ იცოდა. ქალაქელი ბიჭები ვამეხისადმი უფრო მეტი პატივისცემით და მორიდებით განიმსჭვალნენ რატომღაც. მათ ძალიან უკვირდათ, რომ მას შემდეგ, რაც ეს ძაღლი ვამეხისა გახდა, ძალიან გამოიცვალა, აღარავის ერჩოდა. თავისუფლებამ ზნე შეუცვალა. მორჩილად დაჰყვებოდა ვამეხს ყველგან, ქუჩაში თუ ბაზარში, ზოგჯერ კი მოთმინებით უცდიდა გარეთ, სადმე, შენობაში (სასადილოში თუ მაღაზიაში) რაიმე საქმისათვის შესულ ვამეხს. მართალია ძალიან გამოეცვალა მურას ხასიათი, მაგრამ როცა მარტო იყო, როცა ქუჩაში უცდიდა ვამეხს საპარიკმახეროს ან ქალაქის ბიბლიოთეკის წინ კედელთან, ტროტუარზე დაწოლილი, ხალხს მაინც ეშინოდა მისი, რადგან ახსოვდათ მისი დაუნდობელი სიმკაცრე, ზარავდათ მისი დაბღვერილი პირი-სახე და ყველა ცდილობდა არიდებოდა, გამვლელები მეორე ტროტუარზე გადადიოდნენ და იქიდან შიშით უყურებდნენ უმეთვალყუროდ დარჩენილ ნაგაზს. მაგრამ მურა არავის ყურადღებას არ აქცევდა. ჩუმად იწვა და პატრონს ელოდა. სულ ერთად დადიოდნენ ძაღლი და პატრონი, მაგრამ მაშინაც კი, როცა მათ ხალხი ვერ ხედავდა ისინი ერთად იყვნენ.

შემოდგომის უკანასკნელი დღეები იდგა და დილაობით გრილოდა ხოლმე. გამომშვიდობების წინ, მზე განსაკუთრებული სინაზით ათბობდა ქვეყანას. კრიალა, კაშკაშა ცა იყო წყნარი, მშვიდი, სივრცე გაიწმინდა და შორეული მწვერვალები, თეთრი და ცივი, მკაფიოდ გამოისახნენ ლურჯ ტატნობზე. სიმინდი დიდი ხანია აღებული იყო, რთველი ყველგან მოთავდა. გაყვითლებულ მინდვრებში დარჩენილ ხმელ ფუჩეჩს და ბალახს თავისუფლად მიშვებული საქონელი ძოვდა. ჩალის ზვინები რახანია გაზიდეს ნაყანარებიდან და ზამთრისთვის შეინახეს. მორღვეულ ღობეებთან და ტალახიან შარაგზების პირას ჩუმად იდგნენ მაღალი ალვის ხეები. მათი მოწყენა ლამაზი და თბილი სევდის აღმძვრელი იყო, როგორც ძველი, სიყრმის დროინდელი ოცნების გახსენება. ფოთლებგაცვენილი ხეების ხმელ ტოტებში ოქროსფრად ბრწყინავდა მზის შუქი. უკანასკნელად აჭრელდა მიწა, უკანასკნელი ფოთლები ფართხალებდნენ ჰაერში, მაგრამ ჯერ კიდევ თბილოდა, კარზე მომდგარი ზამთარი ჯერ არ ამჟღავნებდა თავის მოახლოებას. სოფლებში, ოდა სახლების აივნის სვეტებზე გასახმობად ეკიდა რგოლებად აკინძული ლეღვის ჩირი და ყვითელი ზაფრანა. მონადირეებმა მაღალყელიანი რეზინის ჩექმები ჩაიცვეს, მხარზე თოფები გადაიკიდეს და ველად გავიდნენ.

დილის ნამისაგან მთლიანად გაწუწული მეძებარი ძაღლები ფრთხილად დაძვრებოდნენ ბუჩქებსა და ჯაგებში, ყნოსავდნენ მიწას. ზოგჯერ კი უეცარი გასროლა მკვეთრად არღვევდა დაგუბებულ ფშანების სიმყუდროვეს. მერე წყლის დგაფუნი ისმოდა ხოლმე, შორეული ძახილი მკვეთრად ჰკვეთდა ჰაერს და კვლავ სიჩუმე ისადგურებდა უნაპიროდ გაშლილ სივრცეში.

ვამეხი მურასთან ერთად დასეირნობდა მინდვრებში. სალდათური ჩექმები და იდაყვებზე გამოხეული ძველი პიჯაკი ეცვა. არც თოფი ჰქონდა, არც ნადირობა ეხალისებოდა, მაგრამ სიამოვნებდა მინდვრად ყოფნა და ცდილობდა არ დაერღვია აქ გამეფებული უცნაური სიმყუდროვე. მას ესმოდა ტბორებთან ჩასკუპული ბაყაყების ყიყინი, ესმოდა ჩიტების ჭიკჭიკი და ფრთხილად მიაბიჯებდა. მთელი არსებით შეერთებოდა მინდვრების სიმფონიას. მურა პატრონის გვერდით მიძუნძულებდა. ვამეხს უყვარდა ეს ძაღლი, რომელმაც არ იცოდა, რა არის ალერსი, მაგრამ იცოდა ნამდვილი სიყვარული. ის სხვა მხარის შვილი იყო და ბედმა, რომელმაც ცხვრების დარაჯად შექმნა, ახლა აქეთ გადმოისროლა, სადაც არც ცხვრები იყო, არც სიტყვაძუნწი მეცხვარეები, არც ტიტველი მთები და ველები. ცივი ღამეების სიმკაცრე, რისთვისაც მზად იყო მურა მთელი თავისი არსებით, თავისი ხასიათით, არ განუცდია და ჭალებში, სადაც ახლა ყოველი მხრიდან ისმოდა მონადირე ძაღლების მხიარული ყეფა, მურა დუმილით მიძუნძულებდა თავისი პატრონის გვერდით, ისე, როგორც უნდა ერბინა მთელი ცხოვრების მანძილზე ცხვრის ფარასთან ერთად, გაუთავებელ, დაუსრულებელ გზებზე. რატომ ერგო მურას ასეთი ბედი? რატომ გაატარა სიცოცხლის საუკეთესო წლები ჯაჭვით დაბმულმა, უმოქმედობაში? ის ხომ წარმოშობით ეზოს ქოფაკი არ იყო?! სულ სხვა იყო მისი მაღალი მოწოდება, ბუნებამ მუდმივი ბრძოლისათვის შექმნა ის, — ბრძოლა იყო მისი დანიშნულება, — მაგრამ არ გამოიყენა ბუნებამ ამ დანიშნულებისათვის. და მიდუნდა, მიჩლუნგდა მისი კეთილშობილური და სასარგებლო ენერგია, რადგან ბუნებამ არ არგუნა ასპარეზი. რატომ მოხდა ასე, რამ გამოიწვია ასეთი უსამართლობა? — ფიქრობდა ვამეხი და პასუხს ვერ პოულობდა, რადგან ვინ იცის, მართლა უსამართლობა იყო ეს თუ არა, ვამეხს ხომ არ შეეძლო ამის გადაჭრით თქმა, ვინ იცის, განგება რას ახდენდა?

ისინი მიდიოდნენ მინდორზე. მიემართებოდნენ შორეული ტყისაკენ. მდინარის გასწვრივ გამავალ რკინიგზასთან მოლზე წვებოდნენ და გაღმა ნაპირზე, ტყის მახლობლად მდებარე პატარა სოფელს გასცქეროდნენ. სოფლის ბოლოში ცხენების რემა მინდორს მოდებოდა. ყურდაცქვეტილი პატარა კვიცები დედებთან იდგნენ და არაფერი არღვევდა მათ ფიქრს, მათ გარინდებას. დროდადრო ფრუტუნი ისმოდა ხოლმე. მურა და ვამეხი, დიდხანს, დიდხანს უყურებდნენ ცხენებს. აქ იყო სიმშვიდე. ვამეხს სიამოვნებდა სიმშვიდე, მაგრამ ამავე დროს გრძნობდა, როგორ შემოჭრილიყო სულის შეუცნობელი სწრაფვა ამ დაურღვეველ სიმშვიდეში. სული ვერ ეტეოდა ნაცნობი ცნებების და საგნების ჩარჩოებში, მოითხოვდა მის გადალახვას, რაღაც იდუმალში ჩაწვდომას, სადაც აეხსნებოდა ფარდა მტანჯველ საიდუმლოს და სული მივიდოდა თავის საწყისთან. ხოლო სულის მისვლა თავის საწყისთან ალბათ თვითშეცნობას ნიშნავს, რაც უმაღლესი მიზახია, რადგან ეს არის უზენაესი შეერთება. — ჯერჯერობით განუხორციელებელი ოცნება. ასეთი სწრაფვა ძლიერი სულის აუცილებელი თვისებაა (ძლიერი სულის და არა ძლიერი ნებისყოფის, რადგან ამ ორ ცნებას შორის უდიდესი განსხვავებაა) მაგრამ საჭიროა თვითშეცნობა? იქნებ თვითშეცნობა სიკვდილია და მეტი არაფერი?

დიდხანს იჯდა ფიქრებში გართული ვამეხი ფერდობზე. ზოგჯერ რკინიგზაზე მატარებელი ჩამოივლიდა და მისი უცნაური კივილი ამ უდაბურ ადგილზე, ვამეხს აფხიზლებდა, ფიქრებს უფანტავდა, სინამდვილეს უბრუნდებოდა. ხედავდა რეალურ სივრცეს და აღარაფერი აღარ იყო მის გარდა. მერე საღამოვდებოდა და ვამეხი და მურა შინ ბრუნდებოდნენ...

საღამოობით ისევ გრილოდა, როგორც სისხამ დილით. მაგრამ იმ საღამოს, როცა ვამეხი და ძუკუ არყის სმას მორჩნენ და სასაუზმედან გამოვიდნენ, სიგრილე არ უგრძვნიათ, არყისაგან გახურებულები იყვნენ. ქუჩაში არავინ ჩანდა. ხეების ქვეშ ბნელოდა. ისინი ნელა მიდიოდნენ ტროტუარზე გულგაღეღილნი, აღგზნებულნი და მხოლოდ მათი ფეხის ხმა არღვევდა ქუჩის სიჩუმეს.

უცბად რომელიღაც ეზოდან ვიღაც გამხდარი კაცი გამობარბაცდა და ძუკუსა და ვამეხს წინ გადაუდგა. ბნელოდა და ამ კაცს სახე კარგად არ უჩანდა. ტანზე დაბამბული ქურთუკი ეცვა და ქუდი ეხურა. ვამეხი და ძუკუ შეჩერდნენ და უცნობს შეხედეს.

— ბოდიში, — თქვა მან, — მაპატიეთ შეწუხება ... — უცნობმა ჩაახველა, — შემეწიეთ რითაც შეგიძლიათ.

ვამეხს ხმა ეცნო. ინსტინქტურად ხელი ჯიბისკენ წაიღო. ის არასოდეს არ ეუბნებოდა მათხოვრებს უარს. ძუკუ ვერ იტანდა მათხოვრებს.

— წადი და იმუშავე შენი ოხერი დედა ვატირე, რა გჭირს სამათხოვრო, — დაიღრიალა ძუკუმ და სახე დაეღრიჯა.

-- ბოდიში, — თქვა უცნობმა, — ბოდიში...

— მათხოვრობთ და მერე ლოთობთ, უჰ, თქვენი... — კიდევ ერთხელ შეიგინა ძუკუმ.

— მაპატიეთ, მაპატიეთ, — შიშით თქვა მათხოვარმა, კედლისკენ აიძურწა და დაბანცალდა, წასვლა დააპირა, მაგრამ ამ დროს ვამეხმა დაუძახა:

—- მოიცა, ანტონ!

დიახ, ეს ანტონი იყო. სწორედ ის ანტონი, რომელსაც ფეიხოას ხის ნახვა ოცნებად ჰქონდა. სწორედ ის ანტონი, რომელიც ცდილობდა ყოველგვარი ადამიანური ვნებებისაგან განთავისუფლებულიყო, რათა ამით სულის სრულყოფისათვის მიეღწია. ანტონი არ იყო სულელი კაცი, მაგრამ, როგორც თვითონ ამბობდა, ყველას სულელი ეგონა, რადგან მისი მიზნები ძალიან მოწყვეტილი იყო პრაქტიკულ ცხოვრებას და ის ჯანსაღი შუალედი, რომელიც არსებობს მატერიასა და სულს შორის, ვერაფრით ვერ ეპოვნა.

ანტონი შედგა. ვამეხი მიუახლოვდა. მურამ ღრენა დაიწყო, მაგრამ ვამეხი შეუწყრა და ისევ გაჩუმდა. ანტონი კედელს მიეყრდნო და შეშინებული იყურებოდა. მერე ახლოს მისული ვამეხი იცნო და ძალიან გაუხარდა.

— აჰ, ეს თქვენა ხართ? — წამოიძახა სიხარულით, წელში მოიხარა, ვამეხს ხელში ეცა და კოცნა დაუწყო.

ვამეხმა გაკვირვებისაგან პირი დააღო. უცბად ვერც ძუკუ მიხვდა, რაში იყო საქმე. მერე ვამეხმა ხელი გამოსტაცა ანტონს. წელში მოხრილი ანტონი წაფორხილდა და მუხლებზე დაეცა ვამეხმა მხრებში მოჰკიდა ხელი და წამოაყენა. ძუკუც ახლოს მივიდა და მტრულად შეხედა ანტონს.

— რა მოგივიდა შე კაი კაცო? — ჰკითხა ვამეხმა ანტონს, — ფული გინდა?

ანტონი ხმას არ იღებდა და მძიმედ სუნთქავდა.

--- მთვრალია, ვერა ხედავ? ენას ვერ აბრუნებს, — თქვა ძუკუმ.

— მთვრალი ხარ, ანტონ? — ჰკითხა ვამეხმა.

ანტონმა უარის ნიშნად თავი გააქნია და რალაცნაირად, თითქოს გულისტკივილით გაიღიმა.

-- ამათ კაპიკი არ უნდა მისცე, მა-

თხოვრებივით არავინ მეზარება, — თქვა ძუკუმ.

— რატომ? ცოდონი არიან მათხოვრები, — თქვა ვამეხმა და ჯიბიდან ფული ამოიღო, — რამდენი გინდა, ანტონ?

— ორი დღეა მშიერი ვარ, — ჩაიჩურჩულა ანტონმა.

— შეგაწუხა სხეულმა? — გაიცინა ვამეხმა.

— თანაც ავად გავხდი. მგონი სიცხე მაქვს. ანტონს ხმა ისე ჰქონდა ჩახრენწილი, როგორც ნამთვრალევ კაცს.

— ლოთობდი ალბათ, შე ვირიშვილო, — დაუღრიალა ძუკუმ.

— როგორ გეკადრებათ? მე არა ვარ მსმელი. მე არ ვსვამ. აი, ეს ადამიანი მიცნობს მე, — გაჭირვებით თქვა ანტონმა და ვამეხს ვედრებით შეხედა.

— როცა კაცი იქამდე დაეცემა, რომ მათხოვრობას იწყებს—უნდა მოკლა,— თქვა ძუკუმ.

— ცოდვაა ის, ვინც იქამდე დაეცემა, რომ მათხოვრობას იწყებს, — თქვა ვამეხმა, — ყველას უნდა დაეხმარო, ვინც დახმარებას გთხოვს.

მერე ანტონს მკლავში ხელი წაავლო და იმ სინათლისკენ წაიყვანა, რომელიც სასაუზმედან ქუჩაში გამოდიოდა.

— ვისაც მართლა უჭირს და სხვა გზა არა აქვს, კი დავეხმარები, მაგრამ ზოგს განძრევა ეზარება, ღვინისგან გაფუჭებულია და იმიტომ მათხოვრობს, — თქვა ძუკუმ, რომელიც ვამეხს გვერდით მოყვებოდა, — ასეთები უნდა დახოცო!

— არა ხარ, ძუკუ, სწორი. რა საჭიროა მიზეზების ძებნა. როცა კაცს უჭირს და გთხოვს, უყოყმანოდ უნდა მისცე. ხომ გაგიგონია: დააკაკუნე და გაგიღებენ კარს...

— ეს არ გამიგონია, მაგრამ თუ ყველას კარი გაუღე, შენი სახლი სტუმრებით გაივსება და ადგილი რომ აღარ დარჩება პანღურს გკრავენ და გარეთ გამოგაგდებენ. ზედმეტი არც სიკეთე ვარგა, თავის ადგილზე სიმკაცრეც საჭიროა.

სწორედ ამ დროს ანტონი ისევ წაბარბაცდა და ჩაიკეცა. ვამეხმა და ძუკუმ სასწრაფოდ ხელი სტაცეს და კედელთან ქვაფენილზე დასვეს. ანტონმა თავი უკან გადასწია და ვამეხს ამოხედა:

— მგონი, ვკვდები, — ჩაიჩურჩულა მან, — ძალიან მიხარია, რომ სიკვდილის წინ თქვენ გხედავთ.

ვამეხმა შუბლზე დაადო ხელი.

— ნუ გეშინია, ანტონ. სიცხე მართლა გაქვს, მაგრამ ახლავე წაგიყვან საავადმყოფოში, საჭმელიც იქნება.

— უკვე გვიან არის. გვიანაც რომ არ იყოს, რა საჭიროა? — ისევ ჩაიჩურჩულა ანტონმა.

— ძუკუ! — დაიძახა ვამეხმა, — თუ ძმა ხარ, მანქანა მოიყვანე!

ძუკუს ეს კაცი სრულებითაც არ მიაჩნდა ამდენი ყურადღების ღირსად. მაგრამ ძუკუს სჯეროდა ვამეხისა და უყვარდა კიდეც. მას ეგონა, რომ უყვარდა ვამეხი ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე გაიცნობდა, სანამ დამეგობრდებოდნენ. მისი სული, დიდიხანია მიისწრაფოდა ისეთი კაცისკენ, ისეთი მეგობრისკენ, როგორიც ვამეხი იყო, და ძუკუს ყველაფერი ჯეროდა მისი. პირველი დღიდანვე ჯეროდა მისი გულწრფელობა. თაურიას დასაფლავებიდან მეორე თუ მესამე საღამოს, როცა კარზე დააკაკუნეს და ოთახში ვამეხი შემოვიდა, ძუკუს სრულებითაც არ გაკვირვებია, თუმცა მაშინ წესიერად არც იცნობდნენ ერთმანეთს. ვამეხი რომ არ მოსულიყო, ძუკუს ალბათ უფრო გაუკვირდებოდა და, როცა მოვიდა, მოეჩვენა, რომ ელოდა კიდეც. ვამეხი კი სკამზე ჩამოჯდა და შუაღამემდე ელაპარაკებოდა ძუკუს. არცერთს არ უგრძვნია უხერხულობა და ისინი დიდხანს, დიდხანს საუბრობდნენ. მაგრამ ვამეხს ერთი სიტყვაც არ დასცდენია თაურიაზე, პირიქით, ერიდებოდა მის ხსენებას. ძუკუ მის თვალებში ხედავდა უსაზღვრო

თანაგრძნობას, თითქმის ფიზიკურ ტკივილს და განუსაზღვრელი მადლიერებით იმსჭვალებოდა, სწამდა, რომ ამ კაცის იმედი ყოველთვის შეეძლო ჰქონოდა. გარეთ კი წვიმდა და ფანჯრებში სიბნელე მოჩანდა.

მერე ისინი უფრო დაძმაკაცდნენ. უცბად, ერთბაშად დამეგობრდნენ. ძუკუს ჯეროდა ვამეხის. ვამეხის თაოსნობით შეურიგდა გვაჩის, ბოდიში მოუხადა, გულით ინანა, რაც ჩაიდინა. მართლაც, რას ერჩოდა ამ უდანაშაულო კაცს. მართლაც, რა არის სასაცილო იმაში, რომ უმიზეზოდ მოატყუა კაცს, რომელსაც ჰყავს შვილები, ცოლი, მოხუცი მშობლები, კაცს, რომელმაც უნდა არჩინოს ოჯახი, რომელიც მზად არის ბევრი რამ მოიკლოს, მოითმინოს, ოღონდ ოჯახს ნუ მოაკლდება ნურაფერი; რატომ უნდა აიტანოს უმიზეზო შეურაცხყოფა, განა უამისოდ ცოტა რამეს იტანს? როცა ამაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ვამეხი ისეთი სიბრაზით, ისეთი დაუნდობლობით უყურებდა ძუკუს, რომ ძუკუს შეეშინდა არ მომარტყასო. ეს კი ადვილი შესაძლებელი იყო. მაშინ, შეიძლება, მათი მეგობრობაც ჩაშლილიყო. ამას ძუკუ ვერ აიტანდა, რადგან ძმასავით უყვარდა ვამეხი. ამიტომ ხმა არ ამოუღია, რადგან ინტუიციით გრძნობდა, ვამეხი არავითარ შემთხვევაში არ დაინდობდა, თუკი თავის გამართლებას შეეცდებოდა. ძუკუ გრძნობდა, რომ ვამეხი საერთოდ ვერ იტანდა უსამართლობას, მისთვის სულერთი იყო, ვინ ჩაიდენდა უსამართლობას მტერი თუ მოყვარე, ყველას ერთნაირი გამძაფრებით ებრძოდა. იმ ხუთი წუთის განმავლობაში, როცა ვამეხი გვაჩის შესახებ ელაპარაკებოდა, ისეთი ზიზღი ჩანდა ნაპერწკლებივით აელვარებულ მის თვალებში, რომ ძუკუ მიხვდა, ეს თვალები მას კი არ ხედავდნენ, არამედ იმ უსამართლობას, რომელიც ძუკუმ ჩაიდინა და ამიტომ ძუკუს შეეშინდა ამ ზიზღის, ამ დაცინვის, ამ სიშორის. მას სწამდა, რომ ვამეხი ყველაფერში სწორი იყო და თვითონაც იგრძნო თავისი უსამართლობა. იგრძნო და შერცხვა საკუთარი თავის. სწორედ ამიტომ მოუხადა ბოდიში გვაჩის და, როცა იმანაც აპატია, გულზე მოეშვა. წინათ კი ამ ამბავს, ძუკუ ერთგვარი იუმორით შეხედავდა. მაგრამ ახლა სხვა იყო. ძუკუს ჯეროდა, რომ ვამეხი სწორი იყო, ყველაფერში სწორი იყო.

ძუკუ ხმის ამოუღებლივ წავიდა მანქანის მოსაყვანად.

ქუჩაში არავინ ჩანდა. ძალზე ბნელოდა. მერე ლიანდაგები პროჟექტორის შუქმა გაანათა. სადღაც, შორს, ელმავალმა დაიგუგუნა. ცოტა ხნის მერე სამგზავრო მატარებელი ქალაქში შემოგრიალდა. განათებული ფანჯრებიდან გამოსული შუქი თეთრ, თანაბარ კვადრატებად დაეფინა მიწაყრილს. ფანჯრებში მგზავრები მოჩანდნენ. ზოგიერთებს ტანსაცმელი გაეხადათ და საცვლების ამარა დარჩენილები დასაძინებლად ემზადებოდნენ. არავინ არ იხედებოდა ფანჯარაში და კიდეც რომ გამოეხედათ, ვერაფერს დაინახავდნენ. მგზავრები ვერ დაინახავდნენ, როგორ იწვა ანტონი მიწაზე, რომელიღაც სახლის ცივ კედელს ზურგით მიყრდნობილი. ისინი ვერ დაინახავდნენ ვერც მის წინ ჩაცუცქულ ვამეხს, ვერც მურას... მატარებელი სადგურზე გაჩერდა და ბნელ ქუჩაში ისევ სიჩუმე გამეფდა.

— ჩემი სული ტოვებს ჩემს სხეულს, — თქვა ანტონმა მწუხარედ, — წელან. როცა დაგინახეთ, ჯერ კიდევ მინდოდა სული შემენარჩუნებინა ჩემს ახლანდელ სხეულში, მაგრამ უკვე ვიგრძენი, რომ უაზრობაა, არ უნდა მეთხოვა დახმარება. იმიტომ კი არა, რომ სირცხვილია, არამედ იმიტომ, რომ ეს სულის საწინააღმდეგო მოქმედებაა. სისუსტეა. შიმშილმა შემაწუხა, ვერ გავუძელი სხეულის ცდუნებას, მაგრამ ახლა უკვე... — ანტონმა დაახველა. მერე ისევ გააგრძელა: — უნდა გამოგიტყდეთ, რომ გული მწყდება. მაგრამ რას იზამ? ჩვენ ყველანი წავალთ...

ვამეხი დუმდა.

— თქვენ შესანიშნავი ადამიანი ხართ, — თქვა ანტონმა მოულოდნელად.

— რატომ? — გაუკვირდა ვამეხს.

— იმიტომ, რომ ჩემთან ზიხართ, თუმცა ეს, ალბათ, სრულებით არ გსიამოვნებთ.

— არა, რატომ? — თქვა ვამეხმა.

— ვიცი, ვიცი. სწორედ ამიტომ ხართ წმინდანი, რომ იმას აკეთებთ, რაც არ გსიამოვნებთ. აბა, რა სასიამოვნოა ჩემთან ჯდომა? მაგრამ თქვენთვის მე მაინც ადამიანი ვარ, თუმცა განვსხვავდები თქვენგან. სხვები კი მაიძულებდნენ ისეთივე ვყოფილიყავი, როგორიც თვითონ არიან, ისეთივე მიზნები მქონოდა, როგორიც თვითონ ჰქონდათ. ვერ მიტანდნენ იმიტომ, რომ მინდოდა ფეიხოას ხე მენახა...

— ფეიხოას ხე ეშერში ხარობს...

— დიახ, ეშერში. დიდებული რამ არის ფეიხოას ხე. ვინ იცის, იქნებ ჩემი სული, ჩემი სიკვდილის შემდეგ ფეიხოას ხედ იქცეს?

— შეიძლება.

— ჩემი სული ფეიხოას ხეში დაიბუდებს... იქნებ ამიტომ მიყვარდა ფეიხოას ხე?

ანტონი ცოტა ხანს გაჩუმდა და კვლავ განაგრძო.

— იქნებ გგონიათ, რომ ვბოდავ?

— არა, — უთხრა ვამეხმა.

— დიახ. სული ისეთივე მარადისია, როგორც მატერია. ერთი სახის ნივთიერება მეორე სახის ნივთიერებად გადაიქცევა, ნივთიერება არ იკარგება, არ ქრება. ასევეა სულიც. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ ჩემი სული შეიძლება ფეიხოას ხეში გადავიდეს.

— შეიძლება, ანტონ. რატომაც არ შეიძლება. ბედნიერი კაცი ხარ, თუ ეს გწამს.

— თქვენ არ გწამთ?

— ეს რომ მწამდეს, მეც ბედნიერი კაცი ვიქნებოდი, — გაიცინა ვამეხმა,— შეიძლება მართლა ასეა, მაგრამ არა ვარ დარწმუნებული.

— ნამდვილად ასეა, ნამდვილად. მე მწამს. ამიტომ სიკვდილი ჩემთვის ხელმეორე დაბადებაა. მაგრამ მაინც გული მწყდება, რომ თქვენისთანა კარგ ადამიანს ველარ ვიხილავ.

— შეიძლება უკეთესი რამეები იხილო, — თქვა ვამეხმა და იგრძნო, რომ თანდათან ერეოდა არაყი.

— დიახ, ასე იქნება. მე მწამს. მთავარია რწმენა და არა ცოდნა. არაფრის ცოდნა არ შეიძლება. ვინ იცის დანამდვილებით არსებობს ღმერთი თუ არა? მაგრამ მე მწამს, რომ არსებობს. მთავარია რწმენა.... მე მწამს, რომ შესაძლებელია ჩემი სული ფეიხოას ხეში გადავიდეს.

— ნამდვილად ასე იქნება, ანტონ!

ვამეხი მთვრალი იყო და შეიძლება სწორედ ამიტომ განსაკუთრებული უშუალობით გრძნობდა იმას, რაც ხდებოდა. ვამეხი გრძნობდა, რომ ანტონი მართლა კვდებოდა და არ შეეძლო ამ სიკვდილისთვის ხელი შეეშალა. ვამეხი ხედავდა ანტონის არაბუნებრივად გაფართოებულ თვალებს, რომლებიც თითქოს ხარბად შესცქეროდნენ სამყაროს. ესმოდა მისი ნაჩქარევი ლაპარაკი, ესმოდა მისი ხიხინი და ღრმა, სწრაფი სუნთქვა. ანტონის აღგზნებული სახე გამოხატავდა სიჩქარეს, სიჩქარეს, თითქოს სადღაც, შორეულ გზაზე წასასვლელად ემზადებოდა და ჩქარობდა, ცდილობდა კიდევ რაღაც მოესწრო, სანამ წავიდოდა.

— მე მწამს, რომ მხოლოდ ღმერთი არსებობს და მეტი არაფერი. — განაგრძო ანტონმა, — ყველაფერი ღმერთია, ყველაფერი ღმერთშია. ჩვენ თვითონ ღმერთში ვართ.. პლანეტებიც და ვარსკვლავებიც ღმერთში არიან. როდესაც ჩემი სული განთავისუფლდება სხეულისაგან ჩემი ტანჯვა გათავდება, მაგრამ ჩემი სული ისევ ღმერთში დარჩება და ფეიხოას ხეში დაიბუდებს...

ანტონი გაჩუმდა.

ვამეხი ქვაფენილზე დაჯდა. „რატომ იგვიანებს ძუკუ? — გაიფიქრა მან. ღმერთი, რომელზედაც ლაპარაკობდა ანტონი ძალიან ბუნდოვანი და წარმოუდგენელი იყო მისთვის. ვამეხი ფიქრობდა იმაზე, რომ შეიძლებოდა ანტონი ქუჩაში მომკვდარიყო. რა გვარის იყო ნეტავ ანტონი? ჰყავდა თუ არა დედმამა, ძმა ან და, ცოლი ან შვილი? სად იყვნენ ისინი, დედამიწის რომელ კუთხეში? თუ იყვნენ სადმე, ნეტავ რას გრძნობდნენ ახლა, როცა ანტონი აქ ბნელ ქუჩაში კვდებოდა, რკინიგზაზე კი სწორედ ამ წუთში დაძრული მატარებლის ბორბლების გრუხუნი ისმოდა?! ალბათ გაცივდა ანტონი თავის თხელ ქურთუკში, რომელიც იმისათვის ეცვა ყოველთვის, რომ ზამთარში სიცივე ეგრძნო და ზაფხულში სიცხე, რათა ამით დაეთრგუნა სხეული. ალბათ გაცივდა ეკლესიაში თივაზე მწოლარე და მომვლელი არავინ ჰყავდა. როცა დაიბადა, მაშინ კი ვიღაც უვლიდა, ვიღაც ზრუნავდა ანტონზე. ვიღაც აჭმევდა, ვიღაც აძინებდა... მაშინ პატარა, პაწაწინა იყო ანტონი და არ იცოდა, რა არის სული. მართლაც რა არის სული? — ფიქრობდა ვამეხი. მატარებლის ბორბლების გრუხუნი კი თანდათან მიწყნარდა. რკინიგზის გადაღმა ბაყაყები აყიყინდნენ. დაბლა დაწეული ახალი მთვარე ბნელ ხეებში ობობასავით გაიხლართა. უცნაურად, ცივად აციმციმდა მისი შუქი. ვამეხი იჯდა და ფიქრობდა იმაზე, რომ თუ ანტონი მოკვდებოდა, ვეღარ წავიდოდა ალისას დღეობაზე. დიახ, ასეთი წვრილმანი ფიქრი მოსდიოდა თავში, როცა მის გვერდით კაცი კვდებოდა. მომაკვდავთან ჯდომას ახლა ათასჯერ ერჩივნა ალისას დღეობაზე წასვლა, სადაც იყო სითბო, ღვინო, ქალები. სჯობდა სულ არ შეხვედროდა დღეს ანტონს. მაშინ ანტონი ისე მოკვდებოდა, რომ ვამეხი ვერც გაიგებდა მის სიკვდილს, დიახ, ასეთი ფიქრი მოსდიოდა თავში, მაგრამ სულ არ რცხვენოდა ამ ფიქრის. თვითონ ანტონი ამბობდა, ყველაფერი ზემოდან მოდისო. ალბათ ეს ფიქრიც, ეს განწყობაც ზემოდან მოდის, — ფიქრობდა ვამეხი და არ განიცდიდა სინდისის ქენჯნას. მან იცოდა, რომ არ შეეძლო ანტონის შველა, სანამ ძუკუ არ მოიყვანდა მანქანას. ძუკუ იგვიანებდა. ალბათ ქუჩაში მოკვდებოდა ანტონი, როგორც ჩანს, ასეთი იყო მისი ბედი...

უცბად ვამეხმა იგრძნო, რამდენად ცოდვილი ადამიანი იყო. საოცარი სისწრაფით წამოხტა ფეხზე და მოუნდა წინააღმდეგობა გაეწია იმ გულგრილობისათვის, რაც ზემოდან მოდიოდა. გადაწყვიტა ზურგზე მოეკიდებინა ანტონი და სირბილით მიეყვანა საავადმყოფოში. არ შეიძლებოდა ცდა, ლოდინი, მხრებში მოჰკიდა ხელი და წამოყენება დაუპირა.

— ადექი, ანტონ!

ანტონი გამოერკვა.

— ა?

— ადექი, წავიდეთ! — აღგზნებულად ამბობდა ვამეხი.

ანტონმა სცადა წამოდგომა. ვამეხი მხრებში შეუდგა და რამოდენიმე ნაბიჯი ბარბაცით გაიარეს. წარმოუდგენლად დამძიმდა ანტონი და უფრო ნათლად იგრძნო ვამეხმა, რამდენად ცოდვილი ადამიანი იყო, როგორ შეეძლო გულგრილად ეცქირა ადამიანის სიკვდილისათვის. მხოლოდ ახლა იგრძნო, რას ნიშნავდა სიკვდილი და შეშფოთდა, გამოფხიზლდა, შეძრწუნდა, მოქმედება მოუნდა, მოუნდა, რომ კიდევ ეცოცხლა ანტონს.

— ძუკუ! — მთელი ძალით დაიღრიალა.

მაგრამ ძუკუ არსად ჩანდა. მურამ ყეფა ასტეხა. და სწორედ ამ დროს ერთერთი, ქუჩისპირა სახლიდან ვიღაც კაცი გამოვიდა და ძაღლის ყეფა როცა გაიგონა, გაჩერდა.

— მოდი აქ! — დაუძახა ვამეხმა.

— რაშია საქმე? — იკითხა კაცმა შორიდან და არ გაინძრა.

— კაცი კვდება, მომეშველე, საავადმყოფომდე მიმაყვანინე!

— მე ექიმი არა ვარ, მეგობარო!

— ექიმობა არ არის საჭირო, მოდი, მხარში ამოუდექი.

— არა მცალია, მეგობარო, სასწრაფო საქმეზე მივდივარ.

და ის კაცი სწრაფად გასცილდა იქაურობას.

მაშინ ვამეხმა ანტონი ისევ კედელთან დასვა და უცნობს დაედევნა. მურა მიხვდა რაშიც იყო საქმე, გაასწრო პატრონს და უცნობს კისერში მოახტა, სწორედ იმ დროს, როცა მან ეს ბნელი ქუჩა დასტოვა და ქალაქის ცენტრისკენ მიმავალ, განათებულ მოსახვევში შეუხვია.

— მიდი, მურა, მიდი! — დაუძახა ვამეხმა.

ძაღლმა ძირს დააგდო კაცი, ტალახიან თხრილში ჩაათრია და ალბათ დაგლეჯდა კიდეც, მაგრამ უცებ ვამეხმა ზურგს უკან მანქანის დამუხრუჭების ხმა გაიგონა, სწრაფად მობრუნდა და იქეთკენ გაიქცა, სადაც წეღან ანტონი დასტოვა და სადაც ახლა ძუკუს მოყვანილი მანქანა იდგა. ძაღლმა თავი დაანება თავის მსხვერპლს და პატრონს ქეფით დაედევნა.

## 12

საავადმყოფოდან რომ გამოვიდნენ, ძუკუმ გადაიფიქრა ალისასთან წასვლა. რატომღაც აღარ მოუნდა; არც წავიდნენ.

ალისა და ლეილა მთელი საღამო ელოდნენ ძუკუს და ვამეხს. უკვე გვიან იყო და ლეილამ იგრძნო, რომ აღარ მოვიდოდნენ. საშინლად გაბრაზდა, რადგან ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ძუკუ უეჭველად მოიყვანდა ვამეხს და აქ გაიცნდებოდა. ლეილა ძუკუსაგან ყველაფერს მოელოდა, მაგრამ ასეთ საქციელს — არა, და ახლა ბრაზთან ერთად განცვიფრებაც ვერ დაეძლია. უფრო საკვირველი ის იყო, რომ არც ვახუშტი მოვიდა.

— ვახუშტის მაინც რა — დაემართა, რა მაიმუნობაა? — ამბობდა ლეილა.— იასონ! ჩადი ფოსტაში და დაურეკე ვახუშტის, გაიგე ერთი, რა მოუვიდა.

ვახუშტი ალისას დღეობაზე ყოველთვის მოდიოდა. უნდა ითქვას, რომ მას ალისაც მოსწონდა და ლეილაც, და ძალიან ფრთხილად, ეშმაკურად ეარშიყებოდა ამ ქალებს, ისე რომ, თუ არაფერი გამოუვიდოდა უკან დასახევი გზა ჰქონოდა, ყველაფერი ხუმრობაში გადაეტანა. ქალებს ძალიან მოსწონდათ მისი კომპლიმენტები, ეს არშიყობა კი მართლა ხუმრობა ეგონათ, რადგან ჯერ ერთი: ასაკში იყო დიდი განსხვავება და მეორე: ალისას ყოველთვის ჰყავდა გულის სწორი, ლეილა კი დიდიხანია საერთოდ არ ფიქრობდა ასეთ რამეებზე. გარდა ამისა, ვახუშტი ძალიან წესიერ კაცად მიაჩნდათ, ოჯახის პატრონი იყო და ქალებს ვერ წარმოედგინათ, რომ ის სერიოზულად ფიქრობდა რამეს. მათ სიამოვნებდათ კულტურულ ადამიანთან მეგობრობა და ყოველთვის პატიჟებდნენ ხან ალისას დღეობაზე, ხან ლეილას ბავშვის დღეობაზე და ასე შემდეგ, მაგრამ ამ საღამოს ვახუშტი არ გამოჩნდა და ალისას და ლეილას ეს ამბავი ხასიათსაც უფუჭებდა და თან უკვირდათ.

იასონი ჩავიდა ფოსტაში, დარეკა და ისევ დაბრუნდა.

— რაო? — ჰკითხა ლეილამ. სხვათაშორის იასონიც ლეილამ დაპატიჟა, მიუხედავად ალისას პროტესტისა.

— რაო და, ალისას დღეობაზე წავიდაო!

— მერე სად არის? — იკითხა ლეილამ.

იასონმა არ იცოდა.

— ნეტა რა მოუვიდა? — იკითხა ალისამ.

ძალიან უგემურ ხასიათზე იყვნენ იმ საღამოს სუყველანი.

მეორე დღეს კი ალისამ გაიგო, რაც

მოუვიდა ვახუშტის. ალისა დილით ადრე ადგა, ოთახი მიალაგ-მოალაგა და საავადმყოფოში გაემართა. ძალიან ცუდ გუნებაზე იყო, რადგან მისმა დღეობამ წელს ძალიან ცუდად ჩაიარა. როცა ქუჩაში მიდიოდა, გამვლელ-გამომვლელებს ვერც კი ამჩნევდა და ისე უყურადღებოდ გაიარა მანძილი თავისი სახლიდან საავადმყოფომდე; თითქოს ერთი ოთახიდან მეორეში შევიდაო. საავადმყოფოში მისვლისთანავე ალისამ საწვიმარი გაიხადა და თეთრი ხალათი გადაიცვა. მერე ტალანში გამოვიდა და კოწია ექიმს შეეფეთა. კოწია ექიმმა იცოდა, რომ გუშინ ალისას დღეობა იყო.

— მომილოცავს დაბადების დღე. როგორი დრო გაატარეთ? — იკითხა მან.

— არაფერი მაინცდამაინც, — უხალისოდ უპასუხა ალისამ.

— მე შეუძლოდ ვიყავი და იმიტომ ვერ მოვედი, — თქვა კოწია ექიმმა,— მერე მხარზე ხელი დაადო ალისას და ერთ-ერთი პალატისკენ წაიყვანა. — მოდი, რა გაჩვენო, ისეთ რამეს გაჩვენებ, რომ გაგეხარდება. — პალატის კარებთან მიიყვანა და შეჩერდა, — აქ შენი მეგობარი წევს. ვახუშტი!

— ვახუშტი?

— ხომ იცი, მაგ კაცი მაინცდამაინც არ მახატია გულზე, მაგრამ ასე 9 საათი იქნებოდა, სასწრაფოდ დამირეკეს და გამომიძახეს საავადმყოფოში. მოვედი, რას ნახავ. ეს შენი ვახუშტი მთლად ტალახში და სისხლშია ამოგანგლილი. კისერზე ხორცი ამოგლეჯილი აქვს. ძაღლს დაუგლეჯია.

— ძაღლს?

— ჰო. ნაკერები დავადე. საშიში არაფერია. დღესვე გავწერ. მაგრამ ცოფის საწინააღმდეგო ნემსები უნდა იკეთოს, ალისა, ხომ იცი, შენზე უკეთ ვერავინ გაუკეთებს.

— ყველაფერს გავუკეთებ, — თქვა ალისამ.

და მართლაც ალისამ გაუკეთა ვახუშტის ნემსი. ამის შემდეგ ვახუშტი სახლში წაიყვანეს, ცოლმა და ერთმა პედაგოგმა. ალისამ უკვე იცოდა, როგორ შეემთხვა ვახუშტის ეს ამბავი და რატომღაც უფრო გაბრაზდა.

— ალისას დღეობაზე მივდიოდი და უცბად უკნიდან უზარმაზარი ძაღლი მეძგერა. ისიც გავიგონე, პატრონმა როგორ გააქეზა, მაგრამ არ ვიცი, ვინ იყო. ეჭვი კი მაქვს. — მრავალმნიშვნელოვნად განაცხადა ვახუშტიმ.

მერე ალისას დურგალთან რაღაც საქმე ჰქონდა და საავადმყოფოს უკანა ეზოში გამოვიდა. დილის მზისგან საავადმყოფოს კედლები თეთრად ქათქათებდნენ. მეორე სართულიდან ეზოში რკინის მოაჯირიანი ქვის კიბეები ჩამოდიოდა. კიბეებთან ძაღლი იწვა, მაგრამ რატომღაც არ მიაქცია ამ ძაღლს ყურადღება, პატარა ეზოში უამრავი ხარახურა ეყარა: დამტვრეული ყუთები, სიძველისგან გაშავებული ფიცრები, ნახშირი, ჯართი; დამლაგებელ ქალს სარებს შორის გაჭიმულ მავთულზე თეთრეული გაეფინა გასაშრობად. მავთულზე ადგილი რომ არ ჰყოფნოდა ბაიკის ლურჯი პიჟამოები პირდაპირ ღობეზე გადაეკიდა. ღობის იქეთ წყნარი შუკა იყო, რომელიც სამხერხაოსკენ მიდიოდა. სამხერხაოდან განუწყვეტლივ ისმოდა ელექტროხერხის გაავთრებული ხრიალი, მაგრამ ახლა სიჩუმე იყო და ალისას ესმოდა ქუჩაში მიმავალი კაცების ხმამაღალი საუბარი. ისინი თავიანთი სამსახურის საქმეზე ლაპარაკობდნენ და თან უშვერი სიტყვებით იგინებოდნენ. ვალიკო დურგალი ეზოს კუთხეში ფიცრებს აშალაშინებდა. მისირგვლივ თეთრი ბურბუშელები ეყარა. დურგალთან მივიდა და ჰკითხა:

— ვალიკო, ტახტი გააკეთე?

— მზად არის, ახლავე მოვიტან.

ალისა უკან გამობრუნდა და მეორე სართულის აივანზე მდგარი ვამეხი დაინახა, რომელიც ეზოში იყურებოდა, მაგრამ არ შეიმჩნია, ვითომ ვერ იცნო, ან ვითომ ვერ დაინახა და თავისი ყუ-

რადღება კიბეებთან წამოწოლილ მურაზე გაამახვილა, აბრაშკას მურაზე, რომელიც ახლა ვამეხს ეკუთვნოდა.

— ვალიკო! — დაუძახა ალისამ დურგალს — ვისია ეს ძაღლი?

— რომელი ძაღლი? — იკითხა დურგალმა და თავი ასწია.

— ჩემი ძაღლია! — თქვა ვამეხმა და კიბეებზე დაეშვა.

— ვისიც არ უნდა იყოს, — ალისა სახეში არ უყურებდა ვამეხს, — ვალიკო, გააგდე ეს ძაღლი აქედან, რა უნდა ძაღლს აქ?!

— რას გიშავებს? — თქვა ვამეხმა და ძირს ჩამოვიდა.

— რას მიშავებს? — ალისამ ახლა სახეში შეხედა ვამეხს, შეხედა იმ იისფერ იარას, კისერზე რომ ჯერ კიდევ შემზარავად აჩნდა, — იცი, რომ გუშინ სკოლის დირექტორი ვახუშტი ვიღაცის ძაღლმა დაგლიჯა? ეს რა უბედურებაა, კაცს ძაღლების შიშით ქუჩაში ვერ გაუვლია ღამით?..

ვამეხმა ხმა არ ამოიღო. მეორე სართულის აივანზე, სადაც წეღან ვამეხი იდგა, სანიტარი ქალი გამოვიდა.

— ჰეი, ახალგაზრდავ, თქვენ კითხულობდით ანტონს? — დაიძახა მან.

ვამეხმა ზემოთ აიხედა და სანიტარმა იცნო ის.

— ანტონი გარდაიცვალა, — თქვა სანიტარმა ქალმა.

— როდის? — ჰკითხა ვამეხმა.

— ახლა, ამ წუთში!

სანიტარი ქალი ისევ შენობაში შებრუნდა.

— საწყალი, — ჩაილაპარაკა ვამეხმა. მერე მურას ფეხი წამოკრა, ზეზე წამოაგდო და წინ გაიგდო.

ალისა უყურებდა, როგორ გაიარა ვამეხმა საავადმყოფოს უკანა ეზო, გავიდა ჭიშკარში და თავის გზას დაადგა. და უცბად ალისას ტირილი მოუნდა.

მაგრამ მას არ უტირია. ვინ არის ანტონი? — გაიფიქრა მან, — რა კავშირი აქვს ვამეხს ანტონთან, რატომ იკითხა მისი ჯანმრთელობა?.. ცრემლები შეიკავა და მეორე სართულის კიბეები აირბინა. მორიგე ექიმი იპოვნა და ჰკითხა:

— ქეთო, გენაცვალე, ვინ მოკვდა დღეს?

— ერთი უპატრონო კაცი მოკვდა. საწყალი...

— უპატრონო?

— ჰო, თუ იმ ბიჭებს არ ჩავთვლით პატრონებად აქ რომ მოიყვანეს წუხელის...

— ვინ ბიჭები იყვნენ?

— ელამი ძუკუ შოფერი, ძმა რომ დაეღუპა ამ ზაფხულს. მეორე მაგის ამხანაგი, შრამიანი ბიჭი...

— ვამეხი?

— ჰო, ჰო, ვამეხი. წუხელის მოიყვანეს. ფილტვების ანთება და გულის მწვავე უკმარისობა ჰქონდა. ამ დილით მოკვდა.

„ანტონი! — გაიფიქრა ალისამ, — ვინ არის ანტონი? ისიც უპატრონო. ვამეხს რომ რამე მოუვიდეს, — ღმერთმა დაიფაროს, — ხომ უპატრონოდ ჩათვლიან? სინამდვილეში კი ვინ იცის. იქნებ ჰყავს პატრონი, იქნებ ჰყავს მშობლები, დები და ძმები, ნათესავები, იქნებ საცოლეც ჰყავს, ვინ იცის?“ ალისამ იგრძნო, რომ თვალებზე ცრემლის ნიაღვარი მოასკდა და ნებისყოფის უდიდესი დაძაბვით, — თითქოს უფსკრულის პირას იდგა. წონასწორობა დაჰკარგა, ხრამში ვარდებოდა, მაგრამ როგორღაც მოახერხა ნაპირზე შემაგრება, — ასეთი დაძაბვით შეიკავა თავი, მართლაც რა იდიოტობა იქნებოდა, რომ აღრიალებულიყო ახლა, ამ საუბრის დროს? რას იფიქრებდნენ ექიმები?

მორიგე ექიმი მორიგეობას ამთავრებდა და სახლში ეჩქარებოდა. ამასობაში ალისასაც დაუძახეს ოპერაციაზე. ალისა საოპერაციოსკენ წავიდა და უცებ ის სანიტარი ქალი დაინახა, რომელმაც ვამეხს ანტონის სიკვდილი აუწყა. ალისამ ხელი სტაცა სანიტარს:

— ჩქარა, ის მიცვალებული მაჩვენე... წელან რომ მოკვდა.

თითქმის სირბილით მივიდნენ პალატასთან. პალატა ცარიელი იყო, ფანჯრები მიეხურათ და ოთახში უცნაური, თეთრი სიჩუმე ქლერდა. საწოლზე თეთრზეწარ გადაფარებული გვამი იდო. სანიტარმა ზეწარი ჩამოაცურა და ალისამ დაინახა ანტონის გაყვითლებული სახე. მან იმწამსვე იცნო ეს სახე. ეს ის კაცი იყო, რომელსაც ვამეხი ელაპარაკებოდა ტრიალ მინდორზე, მიტოვებულ ეკლესიასთან, შამილასთან ჩხუბის შემდეგ. ალისას მოაგონდა, როგორ ჩამოიარა მაშინ იქ, როგორ ეჯდა იასონს ველოსიპედზე და როგორ უყურებდა ვამეხი მის ფეხებს. ვამეხმა სწორედ მაშინ შეამჩნია პირველად ალისა. ალისა უყურებდა მიცვალებულის უფერო სახეს და აგონდებოდა ტრიალი მინდორი, მიტოვებული თეთრი ეკლესია... როცა პალატიდან გამოდიოდა, გრძნობდა, რატომღაც ვამეხი უფრო ეცოდებოდა, ვიდრე ანტონი. მაგრამ ვერაფრით ვერ გაერკვია, რატომ ეცოდებოდა ვამეხი. იმიტომ ხომ არა, რომ წარმოიდგინა ის ამ პალატაში ანტონის მაგივრად საწოლზე მწოლარე?

ოპერაციის შემდეგ, ალისა პირდაპირ კულტურის სახლში წავიდა იასონის სანახავად. იასონს კულტურის სახლში, დროებით, ერთი პატარა ოთახი ეჭირა. აქ უკვე მოთავდა რემონტი და ყველაფერი სასიამოვნოდ გამოიყურებოდა. უკვე სამი თვეა ალისა არ მოსულა კულტურის სახლში და ზოგიერთებს, როცა ისევ დაინახეს ალისა აქ, — გაუკვირდათ, ზოგიერთებს კი — გაეღიმათ. მაგრამ ალისა არ შესულა იასონის ოთახში, თუმცა მშვენივრად იცოდა, სადაც იყო ეს ოთახი და ბევრჯერ, ბევრჯერ შესულა შიგ და დიდხანსაც დარჩენილა, მაგრამ ახლა ვიღაც პატარა ბიჭს თხოვა, იასონი გამოეხმო გარეთ. გახარებული იასონი სწრაფად გამოვიდა შესასვლელთან და შეიპატიჟა ალისა შინ, მაგრამ ალისამ უთხრა:

— იცი, რატომ არ მოვიდა წუხელ ჩემთან ვახუშტი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, არ ვიცი.

— ძაღლს დაუგლეჯია.

— როგორ?

— არ ვიცი. ახლა რა უნდა გთხოვო იცი, იასონ? გამიგე სად იყო წუხელ ვამეხი, რამე ხომ არ შეემთხვა.

— ვამეხის მურაზე გაქვს ეჭვი? — წამოიძახა იასონმა, — რას ამბობ? ვამეხი მაგის კაცი არ არის, უმიზეზოდ არავის არ აწყენინებს.

— იქნებ იყო მიზეზი? იასონ, გამიგე ეს ამბავი, მიდი, ჰკითხე ვამეხს სად იყო გუშინ, კარგი?

— როგორ არ გაგიგებ. ვამეხი მე არ დამიმალავს, — თქვა იასონმა და მერე მორიდებული იმედით დაუმატა: — შემოდი ოთახში, ვილაპარაკოთ. არ გაინტერესებს რემონტის შემდეგ როგორ გალამაზდა ჩემი ოთახი?

— არა, მეჩქარება. აბა შენ იცი! — და ყველამ დაინახა, როგორ ჩამოიარა ალისამ კულტურის სახლის კიბეები და გაუდგა თავის გზას. და ზოგიერთებს, რომელთაც წელან ეღიმებოდათ,— გაუკვირდათ.

იმ დღის შემდეგ ხშირად ნახულობდნენ იასონს ვამეხის გვერდით. ერთად მივიდნენ ისინი საავადმყოფოშიც, რათა ანტონის დაკრძალვას დასწრებოდნენ, მაგრამ საწყალი ანტონი თურმე წინა საღამოს დაესაფლავებინათ. მანქანაზე დაედოთ და ისე წაეღოთ სასაფლაოზე მესაფლავეებს.

მერე კი მოხდა ისეთი რამ, რამაც პატარა ქალაქი კიდევ ერთხელ აალელვა, აალაპარაკა, შეაშფოთა. დიდმა და პატარამ ყველამ, ყველამ იცოდა რაც მოხდა, ყველას პირზე ეს ამბავი ეკერა, მაგრამ არავინ იცოდა ვინ იყო დამნაშავე, რადგან შუაღამით მოხდა ეს, როცა ქუჩაში არავინ არ იყო. ერთი გამვლელიც კი, რადგან ამ ქალაქში მოსახლეობა ადრე იძინებდა, ქალები, ვინ იცის უკვე მერამდენედ, და თანაც არც თუ ისე შეუმჩნეველი სიამოვნებით ლა-

პარაკობდნენ ამ შემთხვევაზე და როგორც კი დაინახავდნენ ქუჩაში მარტოდ მიმავალ ვამეხს, —ვამეხი კი ამ ამბის შემდეგ სულ ქუჩაში ტრიალებდა, — დაუფარავი ინტერესით შესცქეროდნენ, თითქოს მისგან მოელოდნენ თავიანთი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას, თითქოს მისგან მოელოდნენ პასუხს. მაგრამ ვამეხმაც, ისევე როგორც ქალებმა, ისევე, როგორც ყველამ, დიდმა თუ პატარამ, არაფერი არ იცოდა დანამდვილებით. მან არ იცოდა ვინ ამოიღო მიზანში იმ შუაღამით, როცა თოფის ცივმა ხმამ, თითქოს ღამემ თავისი შავი პერანგი ჩამოიხიაო, რაღაცნაირად უხეშად, მკვეთრად გაფხრიწა შემოდგომის ღამის მონოტონური თბილი მყუდროება და ტყვიით განგმირული მურა პატრონის ფეხებთან დაეცა ისე, რომ საცოდავმა ცხოველმა ამოწკმუტუნებაც კი ვერ მოასწრო, ვიდრე სულს დალევდა. შემდეგ კი იმავე ცივმა და მკვეთრმა ხმამ ხელმეორედ დაიგრუხუნა ჯერ კიდევ მანამდე, სანამ პირველი გასროლის ექო ცარიელ ქუჩებში გაიფანტებოდა. და ვამეხის გვერდით მიმავალი იასონი უცნაური, მოულოდნელი დაჯახებისგან უკან გაქანდა, დაბარბაცდა, ხოლო მისი მარჯვენა ხელი მოტეხილი ტოტივით ჩამოეკიდა სხეულს.

ვამეხი იმ წამსვე მიხვდა, რომ მას ესროლეს და არა იასონს, მაგრამ იმ წუთას არ უფიქრია იმაზე, თუ ვინ ესროლა და რატომ. ის შეკრთა და დაიბნა. აშკარა იყო, რომ მისი მოკვლა სურდათ, ამაში რატომღაც ეჭვი არ ეპარებოდა და სროლის შემდეგ ერთბაშად ჩამოვარდნილ სიჩუმეს ისეთნაირად აღიქვამდა, როგორც იმ სიძულვილს, რომელსაც იწვევდა იმ კაცში, ვინც სიბნელიდან ისროლა. მაგრამ სიჩუმე დიდხანს არ გაგრძელებულა. თითქმის ერთი წამის შემდეგ მან გაიგონა ძაღლების ყეფა, მაგრამ ყეფდა არა მურა, არამედ სხვა ძაღლები, თოფის ხმისაგან აღგზნებული მხიარული პოინტერები და სეტერები. მურა კი ჩუმად, გაუნძრევლად იწვა მის ფეხებთან.

— ვამეხ, დაწექი, მოეფარე რამეს,— გაიგონა მერე იასონის დაძაბული, მაგრამ მხნე ხმა და ვამეხს გაუკვირდა, რომ იასონი ასეთი ფხიზელი გონების პატრონი აღმოჩნდა და წელში გამართული, ნელი ნაბიჯით გაემართა მისკენ. იასონი ქუჩის პირას ტელეგრაფის ბოძის უკან ჩაცუცქულიყო, მარცხენა ხელი მარჯვენით სხეულზე მიეკრა:

— ჩქარა მოეფარე რამეს, ჩქარა, კიდევ არ ისროლონ.

მაგრამ რატომღაც ვამეხს არ ჯეროდა, რომ სერიოზული საშიშროების წინაშე იდგა. ვერ გაეგო, ვის რა დაუშავა, რატომ უნდა გაემეტებინათ სასიკვდილოდ? მაგრამ მიუხედავად ასეთი განწყობისა, მაინც იცოდა, რომ ესროლეს მას და არა იასონს. ხელებით მუხლებს დაებჯინა და წელში მოიღუნა ბოძთან ჩაცუცქული იასონის წინ.

— მოგხვდა?

— რა დროს ეგ არის, კაცო, —თქვა იასონმა და მარცხენა ხელით ისე ძლიერ დაქაჩა, რომ წააქცია. ახლა ორივენი მიწაზე იწვნენ, ტელეგრაფის ბოძს ამოფარებულნი.

— მოგხვდა? — ჰკითხა ისევ ვამეხმა.

— ხელში...

ვამეხმა იგრძნო, რომ სისხლში იწვა, იასონის სისხლში.

— კიდევ კარგი, რომ ცოცხალი გადავრჩი, ხელს ვინ ჩივის, — თქვა იასონმა.

ვამეხს ვერ გაეგო, გულწრფელად ამბობდა იასონი ამ სიტყვებს, თუ რომელიღაც გმირის როლს თამაშობდა.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ემზარ კვიტაიშვილი

# მწვანე აფრები

## ლირიკული პოემა

დიდხანს იყავი ფიქრში დანთქმული...
დღეები ისევ ისე მიდიან,
დაგუბებული, წლობით, სათქმელი
მუნჯმა კედლებმა ვერ დაიტია.
ვერ დაიტია და გახველ გარეთ,
გარეთ მინდორი დაგხვდა ტრიალი,
გადაშლილიყო ოთხივე მხარეს,
ხავსს დაეფარა გზები მტვრიანი.
და მოგეჩვენა: თეთრმა ცხენებმა
აქ მოგაქროლეს დიდი ხნის შემდეგ.
ზღაპრად გარდაქმნილ უცხო მშვენებას
მოავლე თვალი და წამით შესდექ.
ეფერებოდი ყვავილებს მინდვრის —
ლურჯსა და წითელს, თეთრსა და
მწვანეს
და ქალის თვალებს ხედავდი იმ დროს,
იდგა სურნელი მოსამკელ ყანის...
თუმც არ გშორდება ნათელი გზნება
და ბედის ტრიალს არ ემონები, —
გულში იბუდებს, თანდათან ჩნდება
მიზეზი სევდის და დაღონების.
ასეა. სადაც არ უნდა იყო, —
გაბრუებს სიცხე თუ ყინვა გაზრობს;
ყოველთვის — სადაც არ უნდა იყო,
გონებას ერთი გიბურავს აზრი.
თვალის გახელაც არ გინდა მაშინ
და ნატრობ: ის დღე მე არ მაჩვენა,
ის დღე, როდესაც ძირს ჭიანჭველას
ვერ დავინახავ და ფრინველს — ცაში.
და შესთხოვ მიწას: დიდხანს მატარე
ცოდვის და მადლის ძველისძველ გზაზე,
მეთქვას სიმღერა შენი სადარი,
ხმამაღლა მეთქვას; არ გავქრე ასე.
ნაფეხურები ჯიუტად სდუმან,
თვალი ვერ ამჩნევს გარდასულ
ლანდებს...
და წუთისოფლის უბრალო სტუმარს
მარადიული სურვილი განთებს.
წუხილის, ჭმუნვის არ გაქვს უფლება,
როცა მზე ელავს,
როცა ქარია,
სხვადასხვაფერად ცა იღრუბლება,
უყურებ ამ ცას და გიხარია.

### 1. გზაზე

ყური დაუგდე ალვების შრიალს,
მაღალი, თეთრი ალვების შრიალს,
ისე კარგი ხარ, იმდენი წლის ხარ,
მათ წმინდა გულში რამდენიც შრეა.
შენ მუდამ მათკენ გეჭირა თვალი,
მათ კენწეროებს ეთანაბრები,
მათი შრიალით იყავი მთვრალი,
ახლაც მოგდევენ მწვანე აფრები.
და შენ მიდიხარ, მიდიხარ მათგან,
გარინდულია ბილიკი სწორი,
მზე ჩამავალი გვირგვინად გადგას.
გელის და გიხმობს მიზანი შორი.
ჩამავალი მზე გიღებავს სახეს,
თვალებში კრთება ფერი ზღაპრული,
ვერ გაიგონებ ვერავის ძახილს,
ვერც ვერაფერი ვერ მოგაბრუნებს.
დაგავიწყდება, რომ გქონდა სახლი,
რომ წვრილმანები გწეწდა და გღლიდა,
ისე შეხედავ ყველაფერს ახლა,
თითქოს ბრმა იყავ გაჩენის დღიდან.
მიდიხარ; ბალახს მითელავ ცვრიანს,
ყვავილთა ტბაში გზა იძირება,
გზის პირას დგანან და თავებს ხრიან
ცას მიბჯენილი მზესუმზირები.
ირწევა ნისლის მსუბუქი რიდე,
ქანაობ, ლამის ხმელეთი გალღვეს,
გრძნობ — სადღაც შფოთავს მდინარე
დიდი

და მიაგორებს ოქროსფერ ტალღებს.
არ გინდა შენი ფეხისხმა მიწყდეს,
თვალს ავლებ ცაში ატყორცნილ
შხეფებს,
არ გინდა — შენს ყურს ოდესმე
მიწვდეს
ეკლეზიასტეს აჩრდილის ყეფა.

## 2. მიწა — მშობელი კაცის

ათასგვარია ამ ქვეყნად მიწა,
ზოგი ყვავილობს და ზოგიც ხმება,
მიწაზე დგახარ, როდესაც გღვიძავს
და ძილშიც მიწის ჩაგესმის ხმები.
ბევრი უნახავს მას შენი მსგავსი,
ბევრი უნახავს და ბევრსაც ნახავს,
გავსებს დუმილით, ფიქრებით გავსებს,
გარბის, ეძახის სიცოცხლეს ახალს.
ბევრი ფიქრობდა და მიწად იქცა
და ბევრი ახლაც ფიქრობს მიწაზე,
რაც იყო, ისევ ის არის მიწა,
ისევ გადარდებს, ისევ გიტაცებს.
მან მოგცა სახე, მან მოგცა ფერი,
ამაყი გულის გასმინა ძგერა,
კაცად გაქცია, თვით დარჩა მტვერი,
ის შენით არის, მას შენი სჯერა.
ემსგავსე მიწას — ძლიერს და ამტანს,
სანთლად აენთე და ბნელში ღადნი,
მისი ძალა და სიკეთე გწამდეს,
აივსე მისი უშრეტი მადლით.
შენ მისი გულის გაცოცხლებს წვენი,
შენ სახე შენი მიწაში სცანი;
სხვა ვარსკვლავების უყურებს ცვენას,
დუმს ოსირისის სხეული მწვანე...
ჩაუქრობელი აკრავს ნათელი,
მარადჟამს ასე დარჩეს ნეტავი,
მკერდს უშვერს ცვარნამს ციდან
დადენილს,
ყოვლის გამგები, ყოვლის მხედავი.
შენც დაინახე მისი სიკეთე,
მიწაზე ყოფნის იცოდე ფასი,
მის ყოველ სუნთქვას უნდა იგებდე,
სანამ კაცი ხარ, იყავი კაცი.
და შემოქმედმა, თიხას რომ ზელდა
და იდგა ქვეყნად დილა მზიანი,
ალბათ იცოდა, რომ ყველა ბელტი
არ იქცეოდა ადამიანად.

ადამიანი სხვა სიმაღლეა,
სხვა სივრცეს სული მისი ეხლება,
ძლიერი ფრთები მას არ დაღლია,
არც არასოდეს არ დაეღლება.
შენც ასხლეტიხარ მრავალჯერ მიწას,
მაგრამ ვერასდროს ვერ მიატოვე,
სულ თვალწინ გედგა, ვერ დაივიწყე
მაღალი მთები, თეთრად ნათოვი.
ის ბრუნავს და შენ მას ედევნები,
ის ვენახია, მწვანე მარადის,
უნდა გაცოცხლოს მისმა მტევნებმა
და მისი ჩრდილი უნდა გფარავდეს.
ბოლო იმედი შენა ხარ მისი,
ყველაზე სანდო, ნათელი ფესვი,
ის შენზე ფიქრობს ღამით და დღისით
და ახლაც მისი გუგუნი გესმის.

## 3. დრო ვერას აკლებს...

ვინც დედის მუცლით ამ ქვეყნად იშვა,
ყველას შეეხო სიკვდილის შუბი,
მისგან ვერ გიხსნას ღონემ და შიშმა,
ის ზღვაა ტანჯვის და სისხლის გუბე.
ბოროტის სუნთქვა შენს სულსაც ბზარავს,
გადაუღებელ წვიმის თქარუნით,
მისი ხსენებაც გხუთავს და გზარავს
და შუბლი ცივად გაქვს დაცვარული.
სანამ ხარ, წუხილს ვერ მოიშორებ,
სანამ ხარ, თვალი ყველაფერს ამჩნევს...
და უზარმაზარ დაცლილ ნიჟარას, —
უხმოდ დაჰყურებ, — კალაპოტს
დამშრალს.

გავიდა ხანი და ვეღარ ისმენ
ქაფმორეული მდინარის ღრიალს,
ღონდები... თვალი გაგირბის გზისკენ,—
გზად ხავსიანი ლოდები ყრია.
ხედავ ნახანძრალს — ფერფლსა და
ნახშირს,
გესმის წარსულის სუნთქვა ცხოველი,
დრო განა მართლა ყველაფერს ახშობს,
დროს განა მართლა ძალუძს ყოველი.
რაზე შფოთავენ ძველი ქვაბები,
რისი თქმა უნდათ, ან რა აქვთ ცოდვა,
საით მიიწევ, რას ესწრაფები, —
რას გიმხელს მათი დარდი და შფოთვა.
ჰაერში მწუხრის სითბო გროვდება,
თანდათან ქრება ფერები მკვეთრი,

მზე ჩადის. ნელა უახლოვდები,
ქართან ნაომარ და ხნიერ კედლებს.
სად არ ყოფილა ადამის მოდგმა, —
საუკუნეთა გესმის ღაღადი,
აყრუებს ქვაბებს ზარი და მოთქმა,
კლდეზე დარჩენილს უმწერ ნახატებს.
ქვაში ანათებს ძეკაცის სარჩო: —
პური, თევზები და ფრინველები...
ოცნება ისევ ოცნებად დარჩა,
გაოცებს ცათა საკვირველება.
ისევ დაგყურებს ეს ლურჯი ჭერი,
განა ყოველი უკვალოდ ქრება,
ყველაფერს როგორ დაფარავს მტვერი—
რა დააძინებს ტკივილს და ვნებას.
თვალს გააყოლებ უძველეს ხაზებს,
ოფლში რომ ცურავს და სისხლში
ცურავს,
და შენ არ იცი — რა აკრთობს ასე,
ქვაზე დარჩენილ მწუხარე სურათს...
ეს გული ფეთქავს, ეს ხმაა დოლის,
ისარგაყრილი თრთის ანტილოპა;
ნაკვალევს სისხლის მიჰყვება ზოლი,
ათასწლიანი ეწვის ჭრილობა.
კლდე მისი ცრემლით ახლაც სველია,
დადევნებია სიკვდილი ხარბი,
გარბის, ჯერ არსად შეუსვენია,
მზეზე უელავს ზურგი და გარბის...
ჯაგარგაშლილი გარბის ბიზონი
და თეთრი მტვერი ბოლქვებად ადის
და მონადირის ზუსტი მიზანი
ხრამში ჩაჩეხავს გაოფლილ ნადირს...
სიკვდილის შუბი შეეხო ყველას,
ვინც დედის მუცლით ამქვეყნად იშვა,
შენ კი ისევე დგახარ და ღელავ,
ვერ დაიბუდა შენს გულში შიშმა.
ისევ ის გქვია, რაც უნდა გერქვას,
ისევ შრიალებ და ისევ მხნეობ,
დრო ვერას აკლებს შენს გამძლე მერქანს,
უბერებელო, უკვდავო ხეო.
ეს შენ ირხევი, გიმზერთ და ვხარობთ
და შენი ფერით ჩვენ ვიღებებით,
მაცოცხლებელი შენა ხარ წყარო,
სულს გვიდგამს შენი წმინდა შხეფები.
ასე ძლიერად, ყველგან და მარად,
შენ შრიალებდე... ვიყოთ შენს ძირში...
დრო გეხლებოდეს წვიმად და ქარად,
შენი სიმაღლის დარჩები ღირსი.
არ მოაკლდება შენს ფესვებს წვენი,
არ მოაკლდება — ჩვენ ასე გვჯერა;
მძლავრი რტოები გვფარავდეს შენი
და მუდამ ლურჯად ბოლავდეს კერა.
შენი ულევი ნაყოფი გვერგო,
შენით სავსეა ჩვენი ფილტვები,
მზემ ზარდა შენი უკვდავი ნერგი
და შენს ფოთლებში მზე ნაწილდება.

4. ეს იყო წამი...

თითქოს უყურებ ნაცრისფერ კედელს,
დღე ნაცრისფერი ისევ ენთება,
ამღვრეულ ბურუსს თვალები კვეთენ; —
მწარე ზმანება გაგახსენდება.
იგონებ — როგორ ელოდნენ შველას,
სხვა დღეს დღე იგი არაფრით ჰგავდა;
შიმოდიოდნენ ქუჩებში ნელა,
ტანი საზარელს უგრძნობდათ ავდარს-
არვინ აგებდა მათთვის კიდობანს,
გულისწამღები სიჩუმე იდგა,
გადარჩენილნი ბევრ წყალდიდობას,
ისინი შველას ელოდნენ დიდხანს.
ჩამქრალ იმედებს ცაში გზავნიდნენ,
უხმოდ ცოცავდნენ გალიპულ ქვებზე,
თითქოს ზღვა დაშრა და გალავნიდან
შიშით უმზერდი მოწამლულ თევზებს.
ვეღარ იძროდნენ ღრუბლები რუხი,
გაჟღენთილები მტერით და წებოთი
და მანქანების წითელი შუქი
ელავდა ნისლში და იზრდებოდა.
და, განწირული მზეების მსგავსად
მიაქანებდნენ სინათლეს ქვეყნის,
მიწას არყევდა ხმა რისხვით სავსე
ვარსკვლავთა ცვენის და მათი შეხლის.
და შენც იმედი დაკარგე უცებ,
(საუკუნეებს ის წამი გასტანს),
და ცერად წარსულს უმზერდი ქუჩებს,
თითქოს იდექი დაშრეტილ ზღვასთან.
მოახლოება საზარელ ჟამის
იგრძნო მიწაში ყოველმა ფესვმა,
სუნთქვაშეკრული ელოდი ღამეს
და განწირულის ძახილი გესმა...
„ეს მოწამლული თევზი ფართხალებს,
ეს ხმაა ჩემი, გულია ჩემი,
და, ქარიშხალში, მე ვარ დამფრთხალი
უკანასკნელი საყვირი გემის.
ჩამოვარდნილი წერო ვარ უგზო

და ვარსკვლავები მეძებენ შორნი,
ჩამეძინება მათ მიმკრთალ შუქზე,
თავს დამტრიალებს აჩრდილი ყორნის.
ჩემივე ტანჯვის ვეხვევი ბურში,
ლანდად ქცეული, ტანჯვად ქცეული,
და, ჰაერივით ცივი და ლურჯი,
ქვებზე ცახცახებს ჩემი სხეული.
მკერდზე ეხლება დაძირულ პორტებს
მონატრებული საყვირი გემის,
ვიცი — ეს ნისლი თვალს მოშორდება,
ბნელს გაანათებს ნათელი ჩემი"...
ისმენდი მათ ხმას, მათ ფიქრებს წერდი
და არ გესმოდა შრიალი ბინდის,
უმზერდი მიწას — ანთებულ წერტილს,
თვალებზე მომდგარ ცრემლივით
წმინდას.

და კიდევ კარგი — ეს იყო წამი
(ყველაზე მძიმე გაჩენის დღიდან)
და შენ მორჩილად გიცდიდა ღამე,
რომელსაც დიდხანს ელოდი თვითონ.

## 5. ღამეულ ქალაქში

ღამეა ახლა, ღამეა ახლა,
თითქოს აგიხდა სიზმრად ნანახი,
ღამე გავიწყებს ტკივილს და დაღლას,
ბნელში შრიალი გესმის ბალახის.
მანამდე უცხო და უჩინარი, —
ნელა გროვდება მწუხრში ბგერები,
მშვიდი გუგუნი გესმის მდინარის,
ძველისძველ ნაპირს რომ ეფერება...
იწვის, ცახცახებს კრიალა თაღი,
ცახცახებს... ბადე ესროლეს თითქოს,
სურათი, შენ რომ ოდესღაც ნახე,
აღარ გშორდება, სულ თვალწინ გიდგას.
და ვარსკვლავეთის ჭრიალებს ღერძი,
ყოველ ნაბიჯზე ცა იჭორფლება,
თავზე დაგნათის ვეება ვერძი,
გრგვინავს ცეცხლოვან ეტლის
ბორბლები.
თვალს გააყოლებ ნაპერწკლებს
დამფრთხალს,
არ ჩანს ნადირი და კაცთაგანი;
მიდიხარ მარტო; არ იცი სად ხარ
და ბედი შენი სად მიგაქანებს.
მოუღალავი ფასკუნჯის ფრთებით,
ისევ შრიალებ, ხეო ცხოვრების,
ვარსკვლავთა შუქზე საამოდ კრთები,
ცვარში ნაბანი თვლემს საძოვრები.
მოგეჩვენება — ეჟვანი რეკავს
და მითქრიალებს ჭალაში ცხვარი,
შავად გაწოლილს გახედავ ზეგანს,
შენი ოცნების გეძახის მხარე.
ამ ცის, ამ მიწის შენა ხარ მკვიდრი,
და ივლი სანამ გექნება ძალა,
გედგმება სული და ივლი, ვიდრე
არ მიადგები ღამეულ ქალაქს.
ფეხდაფეხ სქელი მოგყვება მწუხრი
და იმ ქალაქის მწუხრს ემატება;
გამოჩნდა ყელი გამურულ ბუხრის,
ხედავ ვარსკვლავთა უცხო ნათებას.
ოცნებასავით იღება კარი,
სულში აგუბებ მის დაღლილ ჭრიალს,
გაბრმავებს თეთრი სინათლის ღვარი,
და გეჩვენება — ხესავით გჭრიან.
საფეთქლებს ცხელი აწყდება სისხლი
და მყუდრო სახლის გახარებს ჭვრეტა...
მის ხელთ ხარ ახლა და იგი გიხსნის,
ვიზედაც ფიქრობ ყველაზე მეტად.
მთელი სიცოცხლე გიცადა მარტომ...
ზღურბლთან ჩერდები და ღონეს იკრებ,
და, როგორც იმედს, კარს უღებს
ფართოდ,
შენს წმინდა სხეულს, შენს დაღლილ
ფიქრებს.

რამდენი ღამე ათენა თეთრად,
ამ ქვეყანაზე შენ რომ ჰყოლოდი,
შენ იყავ მისი კეთილი ხვედრი,
შენი ერთგული დარჩა ბოლომდი.
დიდი ხნის მერე მასთან ხარ ისევ
და ქრება სუსხი გამოვლილ ჭირთა,
ამისთვის ღირდა ლოდინი მისი,
შენი წამებაც ამისთვის ღირდა.

შორს, შენს ქალაქშიც ღამეა ახლა
და ცეცხლზე ხელებს ითბობს დარაჯი...
სძინავთ გათოშილ ქუჩებს და სახლებს
და ხორციელი არსად არა ჩანს.
დამძიმებული გზითა და შიშით,
ვეება მთვარე ამოდის გვიან,
თვლემენ ჭადრები ღამეულ ჩრდილში
და თეთრ კედლებზე ლანდები თრთიან.
გამქრალა მთები, ბინდში დანთქმული...
ცივ და გაცრეცილ მწვანე რეკლამებს
უმზერ. ზრიალი გააქვთ მავთულებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მანქანების შუქს ირეკლავენ.
უფერულ ციდან დაეშვი თითქოს,
თითქოს ფეხს ადგამ გაყინულ ვნებებს,
ვარსკვლავებივით კრიალა ვნებებს,
ვნებებს, რომლებიც არასდროს ქრება.
შენ უნდა იგრძნო, მხოლოდ შენ, —
ერთმა,

ეს განშორება თუ რა მწარეა.
დადიხარ, ფიქრობ, ფიქრობ და ვერ
თმობ

მძინარე ქალაქს და გიხარია,
რომ ამ ცის ფერზე ოცნება ზარდე
და ახლა გულში ქვეყანას იტევ,
რომ აქ გესმოდა გრიალი ქართა
და ბევრ ქარიშხალს მოუსმენ კიდევ.
ღამეა. უტევს მამლის ყივილი
სიზმრებს და ისმის ძაღლების ყეფა.
ტკივილად რჩება შენი ტკივილი,
შენი ოცნებაც ოცნებად რჩება...
ისევ ირწევა ჰაერში ხიდი,
სიცოცხლეც არის, სიკეთეც არის,
ისევ გუგუნებს მდინარე დიდი
და არ ელევა ნათელი მთვარეს.

უხმოდ თენდება. სინათლე ცივი
ეცემა სარკმელს. ნათდება ჭერი.
მალე მოისმენ ჩიტების ჟივილს,
მალე დაგათრობს ყვავილთა მტვერი.
გათენებისას იღება კარი,
დღე მოდის... ისევ მზადა ხარ გზისთვის,
პატარა ერდოს აწყდება ქარი,
შენი სავალი ნისლებში იცდის.
ვერ არჩევ სახეს, ვერ ხედავ თვალებს,
ქვასავით დუმს და ხელს გიქნევს იგი,
მისი ფიქრივით მიგყვება კვალი,
მუქი ნაძვების გაცილებს რიგი.
ცვრითა და ქარით გევსება უბე,
მიდიხარ, სველი ჩხრიალებს ქვიშა,
მთაზე შემომჯდარ ქედნისფერ ღრუბელს
უყურებ, როგორც სიკეთის ნიშანს.
ნაბიჯი-ნაბიჯს, წუთს მისდევს წუთი
და განთიადის რეკენ ზარები,
ქალაქის ზურგი, ლეგა და მრუდე
თანდათან იხევს, თვალს ეფარება.

6. როგორ არ გინდა...

ბევრი ქალაქი ჩაუნთქავს მიწას,
და წაშლილია ხსენება მათი,
ბევრი მტვრად იქცა, ნანგრევად იქცა,
ბევრი კი ისევ ბრწყინავს და ნათობს.
გული ვერ ძლება, თვალი ვერ ძლება,
არაფერს ითხოვს მარტოდენ ლეში;
ჩანს ქალაქების წყება და წყება —
ქალაქი წყალში, მიწაში, მზეში...
დამბადებელი თავისას ითხოვს,
თვითონვე გაცლის სიცოცხლეს ნეტარს.
იყო ქალაქი. იცხოვრა დიდხანს,
ფეთქავდა დიდხანს და ახლა ხედავ: —
ქალაქის კედელს, ყრუსა და მაღალს
სამარადისოდ მზე მიეფარა;
მოკვდა ქალაქი, თვალს ვეღარ ახელს
მისი აჩრდილი ბნელში მყეფარი.
ბევრი მიწა დაიბზარება,
მაცოცხლებელი დაშრება წყალი...
გამოფიტავენ ავი ქარები,
ყვითელი სილა დაფარავს მალე
სახლებს და სვეტებს გადაფერდებულს,
დაიხუთება ცა შემზარავი,
გზად აქ არავინ არ შეჩერდება
და შენდობასაც იტყვის არავინ.
როგორ არ გინდა — შენი ქალაქიც
დანაცრდეს, იქცეს სიკვდილის წილად,
ქარმა აიკლოს, ღვარმა წალეკოს,
დაფაროს ცხელმა უდაბნოს სილამ.
სულს გიმშვიდებდეს მისი სიმწვანე,
მარად მდგარიყოს იმედად შენდა...
სადაც იცხოვრე, სადაც იწვალე
და სადაც შენი სხეული ენთო,
იქვე დარჩები შენ შენი ლანდით
და შენი სახით იქვე დარჩები,
შენი ფიქრები მხოლოდ მას ანდე
და მასაც სწამდა შენი მარჯვენის.
მისთვის ბრუნავდა ეს ძველი სისხლი
და გულიც მხოლოდ მის ხმაზე ძგერდა,
წამით არ გტოვებს ნათელი მისი,
ის დაგისახავს ერთადერთ ღმერთად.

7. მზეს — ყოვლის შემქმნელს!

ბოლავენ მთები. თვალი ვერ უძლებს
ვეება მნათობს, მიწაზე დახრილს,

და სიმარტოვეს ივიწყებ უცებ,
უცებ ივიწყებ ტკივილს და დაღლას.
ყველა ფოთოლში მისი ხმა ისმის,
მზე ამღვრეული ამწიფებს ხორბალს,
ბედის ბორბალი ტრიალებს რისხვით
და ლურჯ ძარღვებში მზის წვენი
ბორგავს.
ცაში ინთქმება კილომეტრები,
ცას შესდგომიხარ სინათლის სვეტად,
სიამეს შენსას რა შეედრება; —
მზეს — ყოვლის შემქმნელს —
ყოველდღე ხედავ.
წამით ჩერდები, გაბრუებს ჟამი
ფერთა ცვალების, ხმათა აღრევის,
ჯერ მზეა მაღლა, შორსაა ღამე,
და აწყდებიან სულს ნიაღვრები.
და ჩუმად ამბობ: ,,მზეო მაღალო,
წვეთი ვარ შენი და შენმიერი
შუქით ვანთივარ, დრომ ვერ დაღალოს
სრბოლა და გრგვინვა შენი — ციერი...
მე ყველას გხედავთ, ეს თქვენი მხრები
ქანაობს ნისლში და ილეწებით,
ვხედავ — თქვენს თვალში მზე როგორ
ქრება,
ხრიოკ მიწაზე როგორ ეცემით.
თქვენსკენ მოცოცავს ხავსი და ჩრდილი,
ხავსი და ჩრდილი გლოვის და ურვის,
ველარ შეხვდებით მზესა და დილას,
ვერვინ გაიგებს თქვენს ხმას და
სურვილს"...

უცებ დაკარგეს ჩრდილი საგნებმა,
ღამდება ფიქრში... და შენს წინ არი
სამყარო, სადაც დრო იგრაგნება, —
უზარმაზარი ლურჯი მდინარე,
და ციდან უხმოდ გადადის ცაზე;
ვარსკვლავებს ითრევს კამკამა ფსკერი,
მარადისობის არ წყდება ხაზი
და არ ეცვლება მდინარეს ფერი.
თითქოს არც იძვრის, მიცურავს ნელა
და ატივტივებს ვეება სახლებს,
ვერცხლისფერ ანძებს; ყველაფერს,
ყველას
ნთქავს და არყოფნის ბურუსში ახვევს.
ბრძოლით გათანგულს უყურებ ტიტანს,
თავზე გადაგდის ჩქერები მუნჯი.
ასე იქნება და ასე იდენს
უზარმაზარი მდინარე ლურჯი.

და სანამ სული შეგეხუთება,
შენ ამ მორევში უნდა ცურავდე.
იცელებიან შენი წუთები
და სურათები ცვლიან სურათებს...

ის შორეული გეძახის ხმები,
იმ სილამაზეს უხმობ და ეძებ, —
იისფერ ჩრდილში ბრუნავდნენ მთები
და თვითმფრინავი ელავდა მზეზე.
სიმაღლეს მისას თვალს ველარ წყვეტდი,
უმზერდი მის ფრთებს — მსუბუქს და
ამტანს
და შეფერილი მზით, მისი წვეტი
აღარ იძროდა, მონუსხულს გავდა.
და შენს ხსოვნაში საღამო იგი
ასეთი დარჩა (და ასე გიყვარს),
ფერგადასული დღეების იქით,
გაციებული ღრუბლების მიღმა.

8. სიმაღლეების ძახილი

არაფერი მაქვს გამოთვლილი და
გაზომილი,
მე შენ მახსოვხარ და ხიფათზე ვფიქრობ
ნაკლებად,
მე შენზე ვფიქრობ და არ ვიცი: —
სად რა მომელის,
ან შენი შუქი სად მომაკლდება.
სადაც კი წავალ, სახე შენი ყოველგან
მახლავს,
ლილისფერ ცაზე წაშლილია დრო და
მანძილი;
ზღვა მიმაქანებს, თუ ღრუბლებში
მივცურავ მაღლა,
შენი თვალების სითბო მაცილებს.
თვალშეუდგამი კამარა მელის,
აღარ მაბრუებს სურნელი მიწის,
ნესტოებს მიწვავს ჰაერი ცხელი,
მიწაზე ყოფნამ მოწყენაც იცის.
ცაო, მაბრმავებს სიშორე შენი,
შენი სიმაღლით თვითონვე კრთები,
მომწყურებია ლაჟვარდში ფრენა...
გამაქროლებენ ძლიერი ფრთები.
დამეკაწრება ფრენაში ტანი
და რომ გულთეთრა ფრინველად ვიქეც,
სულაც არ ვნანობ. ვარსკვლავი მწვანე
ობლად რომ ბჟუტავს, მივაღწევ იქაც.
მოვისმენ და არ დავერიდები

მეტეორების შემზარავ წივილს,
სადაც ვარსკვლავი ელავს წითელი
მე იქაც ვიფრენ, იქამდეც მივალ.
თანდათან, ფრთების ნებიერ რწევით
ვმაღლდები, მინდა — გავექცე საფლავს;
ვერავინ იტყვის — რა მელის ზევით,
ვერავინ იტყვის — რა მრჩება დაბლა.
მიწას ჯერ კიდევ ეცემა ლანდი
ჩემი და ყვითელ სილაზე ცვდება,
მოსარკულ ცაზე არ მინდა ვჩანდე,
არ მინდა — მზეზე მეწვოდეს კეფა.
ჯერ კიდევ ვახელ უძილო თვალებს,
ყურში ჯერ კიდევ სტვენენ ქარები,
შორეულ ნათელს ვიხილავ მალე,
შორეულ ნისლებს მივეფარები.

## 9. ისევ გზა... მინდვრის ყვავილები

მე ამ სიშორეს ვარ შეჩვეული,
პირველად ვიყო ამ გზაზე თითქოს
და მავთულივით იჭერს სხეული:
მზის ენერგიას, სინათლეს, სითბოს,
მივდივარ, შენი თვალები მიხმობს, —
ნათელი, სათნო და მიამიტი.
შენ მეგულები ყველაფრის მიღმა
და ვერ გივიწყებ ერთი წამითაც.
მე ეს ცა მქმნიდა და მიწა მქმნიდა
და ერთადერთი შენ მწამდი მხოლოდ,
შენი ვიყავი გაჩენის დღიდან,
შენს სიყვარულში ჩავქრები ბოლოს.
ისე კი, რომ ვთქვათ, არავინ იცის —
საიდან მოველ ან როგორ მოველ.
ღვიძავს ჩემს ფიქრებს,
ჩემს ტკივილს ღვიძავს,
მაწუხებს ის, რაც აწუხებს ყოველ
ჩემნაირს. მინდა ერთგულად ვზიდო
საჩემო ტვირთი, მხრებზე რომ მაწევს,—
არ გადავიდე არჩეულ გზიდან,
ვიყო ამ ქვეყნად და მერქვას კაცი...

ვიყავი ცეცხლში, ქვაში ვიყავი,
სიღრმეც მინახავს შფოთიან ზღვისა,
ამოუხსნელი შენი იგავი
ვერ ამოვხსენი, მივდივარ ისე,
რომ გამეგონა შენი ძახილი,
ყველაზე მაღალ მწვერვალზე ვიდექ,
და არ მინდოდა თვალთა გახელა, —
ცისა და მიწის არ ჩანდა კიდე.
მე ვკოცნი შენს სხივს, სულში რომ
ატანს,
სიკეთეს შენსას ვერავინ მოთვლის,
მუდამ მიკვირდა სიმაღლე ცათა
და მთლიანობა პატარა ფოთლის.
მუდამ მიკვირდა და ახლაც მიკვირს —
ქვას როგორ ბურღავს ბალახი მწვანე,
რატომ იდგამენ ეკლიან გვირგვინს
ერთნი და მშვიდად არიან სხვანი.
და ვუმზერ ახლა ყვავილებს მინდვრის,
პატარა, გამძლე და ჭრელ ყვავილებს,
მოულოდნელად რომ ხატავენ მიწას.
მათ ქარი წეწავს და ყინვა აზრობს;
მაინც ერთგულად ხატავენ მიწას.
რა გულსაკლავად, რა სიხარულით
ამოდიან და ხატავენ მიწას.
ველზე გაბნეულს ვუმზერ ყვავილებს
და კიდევ დიდხანს ვუმზერდე მინდა,
არ გამითავდეს მე გზა სავალი,
არ გადამეკრას თვალებზე ბინდი.
დანაცრებული ვერავინ მნახოს,
ჩაუქრობელი მდაღავდეს ვნება,
ვუმზერდე ქალის ანთებულ სახეს:
თანდათანობით, უხმოდ რომ ქრება.
მენანებოდეს, მტკიოდეს, ვწუხდე,
ვერსად გავექცე სევდას მარადისს,
და სილამაზე, შეცვლილი უღვთოდ,
სუსტი ძახილით გულს მიბზარავდეს.
და მაინც, სანამ ეს ლურჯი ჭერი
იმედად მხურავს და ვეჩვენები
სინათლეს დღისას, ვიცი და მჯერა —
წარუვალია ძალა მშვენების.

სალამი ამ ცას — მაღალს და სუფთას,
გულივით ნათელს, გულივით ღიას;
სალამი ყველას — ფრთოსანს და
უფრთოს,
ყველაფერს, რასაც სიცოცხლე ჰქვია.
სალამი ელვას, რომ კრთება ცაზე
და ქარის ველურ ქროლვას და სისინს;
მამულის მთების ფერსა და ხაზებს,
მდინარის სუნთქვას ღამით და დღისით.
სალამი მიწის სითბოს და ძალას
და ვარსკვლავების ციურ ნათებას,

სალამი კეთილ, უშფოთველ ხვალეს,
განთიადის შუქს და დაბადებას.

შორეთმა შთანთქა ქვეყნის ხმაური,
შენი თვალებიც — დაუბინდარი...
ზღაპრულად მწვანე და უცნაური
ისევ გამოჩნდა დიდი მინდორი.
ნიშანი შენთან გამოსალმების,
მუქი ჩრდილები ეფინა მიწას,
ჩამავალ მზეში იდგნენ ალვები
და მათ შრიალში შენი ხმა ვიცან.
მზე გამდნარ სხივებს სახეზე მფენდა,
მელანდებოდა ყვავილთა თოვა...
საკუთარ სიკვდილს მოვყვები შენთან,
საკუთარ სიკვდილს და მაინც მოვალ.
და მაინც მოვალ, რომ გნახო ისევ,
ისევ შეგხედო მარადს და ნეტარს...
მინდა უსიტყვოდ მჯეროდეს მისი,
ვისაც ვენდობი ჩემს თავზე მეტად.
ვიცი — ეგ სახე არ ჩამიქრება,
მზესავით ახლო, მზესავით შორი
და მე ვიქნები, ვიდრე იქნება —
ძირს ჭიანჭველა და ცაზე ქორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ ჩიქოვანი

# ჭ ა ო ბ ი

ოდიშური მოთხრობა

— უნდა ჩავიდე, მეტი აღარ შემიძლია.

— მე შენზე უფრო მწყურია, მაგრამ ვითმენ.

— პირი გამოკალულივით მაქვს.

— თავი მისკდება, გოგოებო.

— ასეთ სიკვდილს, თურქზე გაყიდვა მირჩევნია.

— თურქზე გაყიდვას ყველაფერი მირჩევნია.

— მეც.

— მეც.

— მეც.

მდინარის ტყიან, ციცაბო ნაპირზე გადაკიდული გოგოები თვალს არ აშორებდნენ წყალს. მდინარე აქ მდორე იყო და მის მოცისფრო სიღრმეში, სარკესავით ირეკლებოდა გოგოების სიცხით ანთებული სახეები, გაბურძგნილი თმა, გამხდარი მხრები, დაკენკილი კაბიდან ამობურცული პატარა ძუძუები.

მდინარის სიღრმეში მკრთალად ლიცლიცებდა სუროიანი მუხა, რცხილა და ბზა. გოგოები ბარდსა და სუროში იყვნენ შემალული. მხოლოდ ზედატანი მოუჩანდათ. სოროდან თავგამოყოფილ პატარა მხეცებს ჰგავდნენ.

— ჩავალ, მოვკვდი.

— ჩვენ თუ ვითმენთ!

— თქვენ ალბათ ჩემსავით არ გწყურიათ.

— ხო, კი, როგორ არა, არ გვწყურია!

— ჩემზე უფრო არავის წყურია... ვიხრჩვები, გოგოებო!.. — მთლად გადაეკიდა პირველი გოგო ციცაბოს, მაგრამ რამდენიმე ხელი ერთბაშად სწვდა და ბარდში შეითრიეს.

— გამიშვით, თორემ ვიყვირებ!

პირზე ხელი დააფარეს.

— ვი... ყვი... რებ...

— რას შვრებით?

— არ დაახრჩოთ

— ასე მოუხდება მაგ ჩიტირეკიას.

— ხელ-ფეხი შევუკრათ.

დიდხანს ისმოდა კვნესა-ხვნეშა ბარდიდან, მერე ისევ სიჩუმე დამყარდა, გოგოები კვლავ გადაეკიდნენ ციცაბოს და დაფეთებული თვალები გაღმა ნაპირს მიაცეცეს.

გზაზე არავინ ჩანდა.

— ოჰ, ერთი მურზაყან ბატონს მოაწყურა ჩვენსავით.

— დაიწვა ქვეყანა.

— კვირიკობისთვეა, თუ ენკენისთვე, ეს წყეული?

— იქნებ სულაც არ გვერჩის მურზაყან ბატონი.

— იქნებ ტყუილად ვიმალებით.

— ისეთი სავაჭრო ჩამოიტანა ოსმალეთის ხომალდმა, გოგოებს კი არა, მთელ სოფელს გაყიდისო მურზაყან ბატონი.

— ვინა თქვა?

— ვინც არ გინდა, ყველა ასე ამბობს.

— აბა, სად წაიყვანეს ძიკის და კოჩას გოგოები?

— რას დაძრწიან მგლებივით მურზაყან ბატონის კაცები?

მურზაყან ანჩაბიას კაცები არ დაძრწოდნენ მათ დასაჭერად, ასეთ პატარებს არ ყიდიდა მურზაყანი, მაგრამ თუ გასაყიდად შეგულებული ქალიშვილი დროზე უშველიდა თავს, მაშინ პატარა გოგოებსაც არ ინდობდა.

— არ დაიბრჩევს, ცაბუ! გესმით, როგორ ხროტინებს!

— ახია მაგაზე. ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება.

— ცოდვაა გოგო. ადამიანის გული არა გაქვთ?

— უფრო ცოდვა ვიქნებით, თუ გაგვყიდეს.

— სუუ, გოგო!.. გესმით?

გოგოებმა ცქვიტად შემალეს თავი ბარდსა და სუროში.

— არაფერი მესმის.

— არც მე.

— არც მე.

ზევით, ხეობაში ოდნავ გასაგონად ისმოდა იმერული მგზავრული.

— არც ახლა გესმით?

ჩემო მკვლელო, ჩემო მწველო, ჩემო ახლო
მეზობელო... არალო, ოვუდილა...

ბარდიდან და სუროდან მხოლოდ სახე გამოჰყვეს პატარა მხეცებმა. მზე თვალს ჭრიდათ, მოჭუტვით მიაჩერდნენ გზას.

შენ რომ ცეცხლი მომიკიდე, მითხარ, როგორ
გავინელო, არალო, ოვუდილა...

— დადიანის სტუმრებია.

— ერთი კვირაა, მთავრის დოხორო[1] იმერლების შესახვედრად ემზადება.

— გუშინ ჩვენი დეკეული წაიყვანეს.

— პეპუ ქირიას სულ ამოუცარიელეს ქვევრები.

— აუ, რამდენი არიან.

— რა დააძღებს ამდენ ხალხს!

— აუ, როგორ მშია გოგოებო, მუცელი თავში მცემს.

— ორი დღეა ლუკმა არ ჩამსვლია პირში.

— კუჭი მიცხვება შიმშილით.

მხედრებმა მდინარის პირზე ჩამოივაკეს. ოცამდე დიდებულთ უკან სამოცი ცხენოსანი მხლებელი და ამდენივე ბარგაკიდებული მოინალე მისდევდა ფეხით. ცხენები ჩორთით მიდიოდნენ და გულამომჯდარი მოინალენი ცდილობდნენ არ ჩამორჩენოდნენ.

ქალო, შენი თეთრი კაბა, წყალს მიჰქონდა
მდინარესო,
ნეტავი გამაგებინა, ვინ გაკოცა მძინარესო...

სიმღერა ლაღად იღვრებოდა ხეობაში, მის რიტმსა და მკვირცხლ ტემპს აყოლებული ფლოქვების თქარუნი კიდევ უფრო ამაღლევებელს ხდიდა მას.

გოგოებს შიში დაავიწყდათ. შემკრთალნი და გაოცებულნი უყურებდნენ მდიდრულად გამოწყობილ დიდებულთ, ოქრო-ვერცხლით მოზარნიშებულ იარაღასხმულნი, საუკეთესო ბედაურებზე რომ ისხდნენ და ლაგამ-უნაგირიც რომ ოქრო-ვერცხლით ჰქონდათ დაფერილი.

ოდიშელები და იმერლები სულ იმის ცდაში იყვნენ, ძვირფასი ჩაცმულობით, ამალით და ცხენებით გაეოცებინათ ერთმანეთი. ამისათვის არაფერს იშურებდნენ. მერე, შინ დაბრუნებულები, მთელი თვე იმას ტრაბახობდნენ, როგორ დაჯაბნეს ჩაცმაში მასპინძლები, სმაშიაც ჩამოიტოვეს უკან და სიტყვა-პასუხშიაც, ცხენებიც, რა თქმა უნდა, უკეთესი ჰყავდათ, ამალაც, მოინალეებიც, მასპინძლებზე უკეთ ცეკვავდნენ და მღეროდნენ.

ჩაიარეს სტუმრებმა. უკან მტვერი მოიტოვეს. თანდათან მიწყდა სიმღერა.

— ბედნიერები.

— როგორ ეცვათ, გოგოებო!

— რა ბედაურებზე ისხდნენ.

— რა სუფრას გაუშლიან!

მიწყდა სიმღერა. დაჯდა მტვერი. მკვდარი სიწყნარე გამეფდა ხეობაში. თითქოს მდინარეც შეჩერდაო. მაგრამ აი, გაისმა ნელი ფაჩუნი, გეგონებოდა რომელიღაც ნადირი მიიპარება ბარდშიო, მერე ის ნადირი ციცაბოდან ისე გადაეშვა მდინარეში, რომ წყალს ჩქამი არ გაუღია, მაგრამ დაფეთებული

---

[1] სასახლე.

ბავშვების მახვილ ყურს მაინც მისწვდა წყლის ჩუმი ტყლაშუნი.

— სუუ!

პატარა მხეცები სწრაფად შეიმალნენ ბარდსა და სუროში.

— გესმით?

— ვიღაც გაღმა მიცურავს.

— უიმე, ეკაა, გოგოებო.

— ნაპირზე გავიდა.

— რომელი ეკა, გოგო?

— ბუხუ ჯგერენაიას ცირა.

— გუშინდელს აქეთ დაეძებენ მაგ საწყალს.

— მურზაყან ბატონს გაუგია, გაიქცაო და ცოფს ჰყრის თურმე.

ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ქალიშვილმა ნაპირზე ფეხი შედგა თუ არა, გაიქცა, გადაირბინა გზა და შლიგინით შეიჭრა ტყეში.

— ჯვებესთან გარბის.

— ჯვებეს გუშინ უნდა ჩამოერეკა მურზაყან ბატონის ჯოგი.

— ჯვებეს რომ ჩამოესწრო, არ დაანებებდა მურზაყან ბატონს.

— სწორედ, ჯვებეს თხოვნას დაუგდებს ყურს მურზაყან ბატონი.

ათი წლის წინ ანაკლიის ბრძოლაში მურზაყან ანჩიბია უგზო-უკვლოდ დაიკარგა. თავადებში ბევრი მოშურნე ჰყავდა. შურდათ მისი კაცობა, ქონება, სახელი. ეამათ მისი დაკარგვა. იფიქრეს, თურქებმა მოკლესო. დაიტაცეს მისი ყმა-მამული. მთავარს არ უნდოდა თავადების მომდურება, თვალს ხუჭავდა, ვითომ არ იცოდა, რა ხდებოდა მის ყურის ძირში.

მურზაყან ანჩიბია მძიმედ დაჭრილი ტყვედ წაიყვანეს, როგორც ყაელაზე მამაცი მხედარი, რომელმაც თურქის ლაშქარს მუსრი გაავლო და სულთანს მიჰგვარეს. გაბოროტებულმა სულთანმა „შავ არწივს“ (ეს სახელი მურზაყანს თურქის სარდალმა შეარქვა) ცოცხლად სიკვდილი მიუზღო: დაასაჭურისებინა და გაუშვა.

მურზაყანმა კაცობა რომ დაკარგა, ჯერ თავის მოკვლა გადაწყვიტა, მაგრამ მერე იფიქრა, ჩემი ხმალი ჯერ კიდევ დაჭირდება სამშობლოსო. თავის მიწის სიყვარულმა ყველა სხვა გრძნობას სძლია, ოდიშს მიაშურა. თავადებისა და დადიანის საქციელმა გული მოუშხამა. ამას ისიც დაემატა, რომ წვერ-ულვაში დასცვივდა, წინათ ქალების მუსუსი ვაჟკაცი დიაცის ბუნებისა გახდა, ქალი ჭირივით შესძულდა, ისე გაბოროტდა, რომ თურქისგან ცოცხლად მკვდარი, თვითონ ჰყიდდა ყმა ქალებს თურქზე.

სოფელში, როგორც კი შეიტყობდნენ, ყულევისა და ანაკლიის ნავსაყუდელს ტყვეებით მოვაჭრე ხომალდი მოადგაო, გოგოებს ტყეში გახიზნავდნენ. ახლაც უცებ მოედო სახლსა და კარს სტამბოლიდან ტყვეებით მოვაჭრე ხომალდის მოსვლა. მურზაყან ანჩიბიას კაცები წელებზე ფეხს იდგამდნენ, გადააბრუნეს სოფელი. როგორც წესი, ბიჭებს ხელს არ აკარებდნენ, ბიჭს არ ერჩოდა მურზაყანი.

ეკას დედამ წინა დღით გაიგო, მურზაყან ბატონის კაცები ხვალ გათენებამდე დაიწყებენ ქალიშვილებზე ნადირობასო და ეკა მაშინვე თავის დეიდულეთში, სოფელ ქარიატაში გააპარა.

ეკა მეორე დღეს ჯვებეს დაბრუნებას ელოდა მთიდან. დედას უთხრა, პირდაპირ ქარიატაში წავალო, მაგრამ როგორც კი დედა გაბრუნდა, გზას გადაუხვია და მახლობელ ტყეს შეაფარა თავი.

არ ჩამოვიდა მეორე დღეს ჯვებე ზურხაია და აი, ახლა თვითონ გარბოდა მასთან. „დღეს ჩამოვა, გზაშია ჯვებე, დღეს ჩამოვა“. მისი თვალები შეშფოთებით დაცურავდნენ აღმოსავლეთით აღმართულ ხვატით შენისლულ მთებზე. ამ გზით მოერეკება ჯვებე ჯოგს — ურა ულაყებს, ჭაკებს, კვიცებს, ძროხებს, თხებს. ცხვრებს, — გაზულუქებულ, ნაიალაღევ პირუტყვს, ციცაბო ბილიკებზე ერთმანეთს რომ აწყდებიან, ჩლიქითა და ფლოქვით ამსხვრევენ, ფქვავენ ქანებსა და მტვრის რუხ ნისლს

აყენებენ, მათი ჰიხვინი, ბღავილი და კიკინი ცას სწვდება.

უსტვენს, უკივის მათ ჯვებე, მოიჩქარის ეკასთან, გული უსწრებს, სული უსწრებს, ჯოგსაც ედება მისი სწრაფვა, თავაწყვეტილი ეშვება ქვევით და ვერაფერი შეაკავებს, მანამ არ ჩამოივაკებს და არ გაიშლება ფართო გზაზე, მერე შეტბორებული ნელი დინებით გასწევს სოფლისაკენ.

ამ გზით მიერეკება ჯვებე შემოდგომით მურზაყანის ჯოგს. ახლაც ამ გზით ელის ეკა ჯვებეს. საცაა გამოჩნდება თავის არაბიაზე ამხედრებული, დამტვერილი გაოფლილი, შუბლზე ჩამოყრილი სქელი ქოჩრით.

ეკას ეჩვენებოდა, რომ უკვე ხედავდა მტვრის ბუღში ჯვებეს, მის ულაყებს, თხებს, ცხვრებს, ესმოდა მათი ჰიხვინი. ბღავილი, კიკინი. ესმოდა ჯვებეს რიხიანი შეძახილი: ჰეი, ჰეი! საით, შე სამგლე!.. აჩუ, სკვამა!.. მოიტეხე, ჰო, კისერი, ეშმაკის ფეხო!..“ გახარებულ ეკას უნებლიეთ წამოცდებოდა: ჯვებე წიე!, მაგრამ მოჩვენება ქრებოდა და კვლავ მდუმარე, ხვატით შენისლულ მთაზე დაცურავდა მისი შეშფოთებული თვალები. „დღეს ჩამოვა, გზაშია ჯვებე... დღეს ჩამოვა...“ ეუბნებოდა გული და უმალ სხვა ფიქრიც გაჰკრავდა: „წელს შემოდგომა ზაფხულივით ცხელია, ახლაც თურმე პაპანებაა მთაში... ვაითუ გვიან ჩამორეკოს ჯვებემ ჯოგი!.. არა, დღეს ჩამოვა... დღეს ჩამოვა ჯვებე“.

არ უნდოდა დაეჯერებინა იმ სხვა ფიქრისათვის და გონების თვალით ხედავდა, როგორ ეგებებოდა სოფელი მურზაყან ბატონის ჯოგს, რას ჩურჩულებდნენ ალაგეზე და ღობეზე გადმომდგარი ქალიშვილები ჯვებეზე: „ერთი მის მკლავებში ჩამაგორა და მერე ნურარც მაცოცხლა ღმერთმა“. „ბიჭი კი არა, ქაჯია“. ფერიფური მისდიოდათ, შეუკავებელი ალტაცებით შეჰყურებდნენ.

ჯვებე შესცინოდა მათ, ოფლიან ქოჩორს უკან გადაიყრიდა, ფერდებში ქუსლს უხახუნებდა ისედაც გადარეულ ცხენს, ლაგამს უმოკლებდა, ყალყზე აყენებდა — კოხტაობდა, შესცინოდა ქალიშვილებს. „შემომისხედით ცხენზე, გოგოებო! სულ ერთია, დღეს თუ ხვალ თურქზე გაგყიდით დიდი ბატონი. მე ყველას გეყოფით. რაღა თურქმა წაგახდინოთ! არიქა, შემომისხედით ცხენზე, სანამ გვიან არ არის!“

ქალებთან თამამი, თავშეუკავებელი, მოიხელთებდა თუ არა სადმე, ვინც უნდა ყოფილიყო, აზნაურის თუ გლეხის გოგო, ან ჩაჩქმეტდა, ან ჩაკოცნიდა, ზოგჯერ მარტო კოცნასაც არ ჯერდებოდა, მაგრამ ყველაფერს ისე ბუნებრივად და მოხდენილად აკეთებდა, ისეთი ცეცხლითა და ეშხით, უამისოდ ვერც კი წარმოედგინათ იგი ქალებს.

ჰოდა, ეს უშიშარი, ყველაზე ლამაზი, ყველაზე ჭკვიანი, სოფლის გული და თვალი, ეს „ქაჯი“, გოროზ, თავმომწონე, უკარება ქალიშვილებსაც რომ უნთებდა გულს, ახლა მარტო ეკასია. ჯვებე სხვა ქალებს მხოლოდ წუთიერი სიყვარულით წყალობდა, ეკას კი სამუდამოდ დაუთმო გული, სოფელში ამ ყველაზე ღარიბ, შეუხედავ გოგოს, ჯერ რომ არ იცოდა, რა იყო ბიჭის ღიმილი, რადგან აქამდე არავინ ამჩნევდა, არავინ უყურებდა, არავინ ფიქრობდა მასზე და ამიტომ არც იცოდა, რა იყო სიყვარული. ჯვებეს გულმა ეკა ყველა სხვა გოგოს ამჯობინა, ყველას არჩია. ოჰ, როგორ ამაყობდა ამით ეკა, ქვეყნად უბედნიერეს ქალად მიაჩნდა თავი.

ქალიშვილები გულზე სკდებოდნენ, შურდათ მისი იღბალი, რომლის თვითონაც არ სჯეროდა ეკას, სიზმარი ეგონა, ლამაზი სიზმარი, რომელიც მალე გაქრება, მაგრამ ბევრი ღამე გათენდა, ბევრი დღე დაღამდა და არ გაქრა ლამაზი სიზმარი. ეკა ხედავდა ჯვებეს თვალებში, რომ იგი მისთვის ერთადერთი იყო ამ ქვეყნად, თავი მოსწონდა, რომ ეკა მისი იყო, მის გვერდით რომ ველარ ამჩნევდა სხვა ქალიშვილებს.

მას შემდეგ, რაც ჯვებემ ეკა აირჩია გულის სწორად, სოფელში თითქოს

პირველად დაინახეს იგი. ყველასათვის ლამაზი, ეშხიანი, ტანადი და ჭკვიანი შეიქნა. სად ვიყავით აქამდეო, უკვირდათ ბიჭებს. მხოლოდ გულმოკლული და გაწბილებული ქალიშვილები ვერ ხედავდნენ ეკას განსაკუთრებულს, ისეთს, რომ ჯვებეს ყურადღება მიექცია, არ თვლიდნენ მის ღირსად და ფარდად.

ეკას უხაროდა, ასე რომ აღმერთებდნენ ჯვებეს, მაგრამ მართლაც სიზმარი უნახავს ეკას, გრძელი სიზმარი, რომელმაც ერთი წელიწადი გასტანა. თავი გაიქნია, უნდოდა მოეშორებია ეს მწარე ფიქრი. არა, ჯვებე არ დაანებებს მის თავს მურზაყან ბატონს, ღმერთი რომ ჩამოვიდეს ციდან, იმასაც არ დაანებებს მის თავს. დაე, სიზმარი იყოს, ოღონდ კიდევ გაგრძელდეს ცოტა ხანი!.. „დღეს ჩამოვა ჯვებე... დღეს ჩამოვა!..“ გარბოდა ეკა გაგანიით გარინდულ ხეობაში.

უცებ მართლა გაიგონა ჯოგის ხმაური და ჯვებეს შეძახილი. ნაცნობი, ახლობელი, იმედიანი, ათას მეჯოგის ხმაში რომ გამოარჩევდა. არავინ ისე თბილად, მბრძანებლურად არ უძახდა ჯოგს — ძროხას, ცხენს, თხასა და ცხვარს, როგორც ჯვებე.

ეკა შედგა. მოსახვევიდან ჯერ ხვითქით თეთრად გალუმპული ცხენები გამოიჭრნენ, მერე გამოჩნდნენ ერთმანეთში არეული ძროხები, დეკეულები, თხები, ცხვრები, გამოჩნდნენ გრძელბალნიანი, ბომბორა ძაღლები, დინჯები, ერთი შეხედვით ზანტები და ამავე დროს ფოცხვერივით სწრაფები.

გამოჩნდნენ ამხედრებული მეჯოგეები, დაქარულები, მზით გაშავებულები, გამოხუნებული, ჩალისფერი თმით, პაპანებაშიაც კი განუყრელი, მოკლე, დაკენკილი ნაბდით და წელზე შემოკრული ბაწრით, ჰაერივით რომ ჭირდება მეგრელ მეჯოგეს ყოველ ჟამს.

ბარგაკიდებული ცხენები გვერდზე მიჰყვებოდნენ საქონელს, ფრთხილები, დაქანცულები, თავის ნებაზე, უმხედროდ. მიჰქონდათ ზოგი ხურჯინში ჩალაგებული და ზოგიც უნაგირზე გადაკიდებული თიფუ, ლოგინი, ხალიჩები, ტაბაკები, ნიგები, ბუყუნები, მაწვნით სავსე ქასლაშები, ოჩიჩები, ჩართლები, თხის ტყავის კვარჩხები, პურის ჭამისას რომ ჯდებიან ზედ.

ცხენებს კერძაულები მოჰყვებოდნენ.

მურზაყან ანჩიბიას ჯოგს სხვა თავადების ჯოგი და მეჯოგეები ერია და ერთ ფანიად გაერთიანებულ პირუტყვის განიერ მდინარეს თვალს ვერ გაუწვდენდი. ფანიის მეჯოგეებს სარქლად მთელ ოდიშში სახელგანთქმული ძველი მეჯოგე ბათა კვარაცხელია ჰყავდათ არჩეული, მაგრამ უდროოდ დასნეულებულ ბერიკაცს თავისი საქმე ჯვებეზე ჰქონდა მინდობილი.

ჯვებე ყველაზე უმცროსი იყო მეჯოგეთა შორის ფანიაში, მაგრამ ამ ახლად წვერ-ულვაშ შეღერებულ ჭაბუკს ისე კარგად ესმოდა პირუტყვის ზნე, მთის და ბარის საიდუმლოება, ისეთი დაუზარელი და მოსიყვარულე იყო თავის საქმისა, ისეთი სიტყვა-პასუხის კაცი იყო, ისეთი გულადი, რომ არაფრად აგდებდა არამცთუ ყველაზე საშიშ ნადირსა და მხეცს, მეჯოგეთა დაუძინებელ მტერსა და რისხვას, მარშანიების თავზეხელაღებულ გვარსაც კი, აფხაზეთის მოსაზღვრე მთებში, გამანადგურებელი თარეშით აკლებული რომ ჰყავდათ ოდიშელი მეჯოგეები და შიშის ზარს სცემდნენ მათ.

არც მურზაყანს ძულდა ზურხაია. ჯვებეს მამა და ორი ძმა იმ ბრძოლაში დაეცნენ, მურზაყანი რომ ტყვედ ჩავარდა. ჯვებე მაშინ ბავშვი იყო და, რაც მოიზარდა, მას შემდეგ სანანებლად ჰქონდა რომ გვიან დაიბადა და მამასა და ძმებს არ ედგა მხარში იმ სისხლისმღვრელ ხოცვა-ჟლეტაში... შურდა ყველასი, ვინც იმ ბრძოლაში იყო, შურდა იმათიც, ვინც იქ დაეცა.

შეიძლება ამიტომაც არ უყურებდა ავი თვალით ქვეყნის მოძულე ანჩიბია.

ზურხაიები მის წინ დაეცნენ, მისთვის კედლად აღმდგარნი.

ჯვებე ჯოგსა და რემას უვნებელს და უკლებელს რომ ჩამორეკავდა მთიდან, უხვად დააჯილდოებდა მსხვილფეხითა და წვრილფეხით. და ახლა ამ ლაღ მეჯოგეს, რომელსაც ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად, სულითა და გულით მოუხაროდა სოფელში, მოუხაროდა ეკასთან. დედამისისგან პირი ჰქონდა აღებული, დააბინავებდა თუ არა ტყეში ჯოგს საზამთროდ, ქორწილს გადაიხდიდნენ, ეკა მისი ცოლი გახდებოდა და აღარ ივლიდა ცალუღლივ.

სოფელს რომ მიუახლოვდებოდა ჯვებე, დაწინაურდებოდა. ახლაც ჯოგის წინ მიაჭენებდა ცხენს, უკან ჩამოიტოვა პირუტყვი და მეჯოგეები. მტვერში გახვეულს ვეღარ ხედავდა ეკა, მხოლოდ არაბიას თქარუნი ესმოდა. თქარუნი სწრაფად ახლოვდებოდა, საცაა ჩაიქროლებდა.

— ჯვებე! — დაუძახა ეკამ.

ერთბაშად შეწყდა თქარუნი და ეკას წინ ყალყზე აღიმართა გაქაფული ცხენი. ჯვებე გადმოხტა.

— აქ რა გინდა, ეკა?!

ცხენებმა ჭიხვინით, ხვნეშითა და თქარუნით ჩაიქროლეს, ისმოდა ბღავილი, ზმუილი, პირუტყვთა სხეულის ერთმანეთზე ხეთქების ხმა. მათი სირბილით მონაბერი ცხელი ქარი და გახურებული მტვერი სახეს სწვავდა ეკას, თვალებს სწვავდა. ცოცხალი, თავაწყვეტილი მდინარე დაუსრულებლად მიექანებოდა ქვევით. ეკას შეეშინდა მურზაყან ბატონის კაცებს არ მოესწროთ მისთვის, ჯვებეს ნაბდის კალთაზე ხელი ჩასტაცა და გაიქცა.

— რა მინდა და შენ გელოდი, წიე, — უთხრა ჯვებეს, — გეწყინა ჩემი ნახვა, წიე?

ჯვებემ მაშინვე შენიშნა, რომ ეკა შეშინებული, უძინარი და გატანჯული იყო. რაღაც კარგი არ იყო მის თავს, თორემ აქ არ დახვდებოდა, ასეთი სითამამე არ ჰქონდა ეკას, ამას არ იზამდა არც ერთი მეგრელი გოგო.

არ იცოდნენ, რამდენი ხანი გარბოდნენ. ბოლოს შეჩერდა ჯვებე, ეკა თავისკენ მოაბრუნა.

— სად გარბიხარ, რა მოხდა ეკა?!

— ჩემი ნახვა გეწყინა წიე? — უთხრა ვითომ უდარდელად და გაიცინა, — რა სასაცილო ხარ, წიე. თითქოს პირველად მხედავდე... გახსენი შუბლი, წიე! — გრძნობდა, ვერ ფარავდა მღელვარებას, შიშს და ისევ გაიქცა.

გარბოდნენ ასწლოვან ხეებქვეშ. ალაგ-ალაგ ტყის თაღი ისე სქელი იყო, რომ მზე ვერ ატანდა და ბნელში გარბოდნენ, ალაგ სხივი დაფერილი მახვილივით იჭრებოდა ერთმანეთში ჩახლართულ ტოტებში და ბარდნარში. ფიჩხი ტყდებოდა ფეხქვეშ, ხვატით მოკლული, გამოფიტული ფოთლები განუწყვეტლივ ცვიოდა ხეებიდან, მოდიოდა ისე უხვად, თითქოს ცა ბარდნიდა და ფაჩუნით ეცემოდა მიწაზე. ტყე გაყურსული იყო, მხოლოდ დაუღლელი კოდალა ხამუშ-ხამუშ უკაკუნებდა ხის ტანს თავის პაწაწინა წერაქვს.

შეკრული, ნისლივით გამდგარი ჰაერი, დამპალი პანტისა და მაყალოს მწკლარტე სუნი სულს უხუთავდა ჯვებესა და ეკას, მაგრამ ამას არად აგდებდნენ, გარბოდნენ ანგარიშმიუცემლად, თითქოს უნდოდათ გაქცეოდნენ უბედურებას, ერთისთვის საშინელს, დაუჯერებელს, მეორისთვის შეუცნობს, ხელშეუხებელს, გარბოდნენ და არ იცოდნენ, სად.

— დაიცა, ეკა, — ისევ შედგა ჯვებე, ისევ მოაბრუნა თავისკენ ეკა, — მითხარი, რა მოხდა?

— გუშინ გელოდი, წიე... წუხელ მთელი ღამე გელოდი, ამ დილითაც გელოდი, — ეკას თვალები ნაზი და ფარული სიყვარულით შესცქეროდნენ ვაჟს, — შენ არ იცი, რა ძნელი ყოფილა ლოდინი, წიე.

— ჩემსავით კაციშვილმა არ იცის

რა არის ლოდინი, — უთხრა უხერხულად ჯვებემ.

— არა, შენ არ იცი, წიე... ეს ორი დღე არ დაღამდა და არ გათენდა ჩემთვის.

— ანარიასთან კლდე ჩამოწვა და გზა ჩაგვიკეტა.

— გული მიგრძნობდა მე სამიწეს, რაღაც ფათერაკი რომ იყო შენს თავს, — იცრუა ეკამ, რათა დრო მოეგო და უცებ არ გაემხილა თავისი უბედურება, თავი მიაბრუნა, რომ შეშფოთებული თვალები მოერიდებია.

მას შემდეგ, რაც ჯვებე მთაში წავიდა, ეკა შესამჩნევად დაქალდა და მოიწიფა.

— შემომხედე, წიე. სად იყურები?!

— მითხარი, რა მოხდა, ეკა?

— არც რა, წიე...

— მითხარი, რა მოხდა?

გზიდან არც ისე შორს იყვნენ. ეკა შეტრიალდა და გაიქცა. მის შიშველ ფეხებქვეშ ისევ შრიალებდა ფოთოლი, ტკაცუნით ტყდებოდა ფიჩხი. ტყე ფერდობზე იყო შეფენილი. მაღალი და ჯმუხი, ქარისაგან დაძარღვული მუხის, ცაცხვის და წაბლის ხეები მზის სხვადასხვა ძალის და ფერის სხივებით იყო აჭრელებული: ამ ნაირფერად აბზინებულ ხეებს შორის გარბოდა ეკა.

ჯვებეს ერთი წამით გადაავიწყდა შიში და ეჭვი, ალტაცებით შეჰყურებდა თვალმოუშორებლად, მერე ადგილს მოსწყდა და გამოუდგა.

ეკა დონჯშემოყრილი დახვდა ცაცხვის ქვეშ. თავი ოდნავ უკან ჰქონდა გადაწეული, ლაღი ღიმილით უყურებდა, მოთენთილი და განაზებული, მაგრამ რაც უფრო ცდილობდა თავისი ამბის დამალვას, გრძნობდა, მით უფრო ამჟღავნებდა შფოთსა და წუხილს.

ჯვებე შორიახლო იდგა მის წინ.

— რა იყო, წიე, ჭირი ხომ არა მჭირს?

გაუბედავი, მოკრძალებული გოგო კი არა, თითქოს აღგზნებული და თავშეუკავებელი ქალი იდგა ჯვებეს წინ.

— მითხარი, რა მოხდა, ეკა?

— არაფერი. ხედავ, [illegible] შენც გაიღიმე, წიე.

ბიბლიოთეკა

ტოტებზე ჩიტები ჭიკჭიკებდნენ, ისმოდა პატარა ფრთების ფათქუნი, ზევიდან დასცქეროდნენ ჯვებესა და ეკას, დამუნჯებულივით რომ იდგნენ ერთმანეთის წინ, როგორც ორი შემკრთალი, ერთმანეთისთვის უცნობი, ლამაზი ნადირი და ყოველი მათგანი ცდილობდა მიხვედრილიყო, რას ფიქრობდა მეორე.

ჩიტები ქვევითა ტოტებზე ინაცვლებდნენ, რომ უფრო ახლო დაენახათ. გაკვირვებული აჭყეტდნენ წერტილივით პატარა და მრგვალ თვალებს, თან ნისკარტით სხარტად კვესავდნენ „ჭიტ-ჭიტს“.

ხევში ჯოგის და მეჯოგეების ხმაური რომ არა, ისეთი სიჩუმე და სიმშვიდე იდგა ტყეში, ფოთლებში მწერების შაშუნსაც გაიგონებდი.

— შენ უძინარი ხარ, ეკა.

— თეთრად გავათენე შენს მოლოდინში.

— ეკა, შენ ძალიან შეშინებული ხარ.

— გუშინ გელოდი, წიე.

— ადამიანის ფერი არ გადევს.

— რა არ გავიფიქრე, წიე.

— მითხარი რა მოხდა?

— რა უნდა მომხდარიყო?

იგრძნო, თვალზე ცრემლი მოადგა. და ქვითინი რომ შეეკავებია, მკერდში ჩაეკრა, სახე ჩამალა, მაგრამ ტირილი მაინც წასკდა.

— ჯვებე, წიე!.. — ეკვროდა სახით მის სახეს, ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა, ეგლისებოდა სველი ლოყებით ლოყაზე, — ჯვებე, წიე!.. — ეკვროდა მკერდით, ისე ძაგრა, რომ ტკივილისგან კვნესოდა, შიშისგან კვნესოდა, — მურზაყან ბატონის კაცები დამეძებენ, წიე.

— რა უნდათ შენთან დიდი ბატონის კაცებს?!

— ანაკლიაში ტყვეებით მოვაჭრე ხომალდი მოსულა, წიე...

— მერე?!

— ძიკის და კოჩას გოგოები უკვე წაიყვანეს, წიე...

ჯვებემ სწრაფად მოიშორა ქალის მთრთოლარე ტანი, მხარზე მოჰკიდა ხელი და სახეში ჩახედა.

— რა მეშველება, ჯვებე, წიე!.. თავს მოვიკლავ, უშენოდ ერთი დღე არ მინდა სიცოცხლე, წიე!.. შენი ჭირიმე!..

— დიდი ბატონი არ წამართმევს შენს თავს.

— მურზაყან ბატონი დასაც არ დაინდობს, წიე.

— დიდი ბატონი არ წამართმევს შენს თავს.

— მურზაყან ბატონი მშობელ დედასაც არ დაინდობს, წიე.

— ეკა...

— მიშველე, წიე!.. არ დაანებო ჩემი თავი!.. უშენოდ ერთი დღე არ მინდა სიცოცხლე, წიე.

ჯვებე გაოგნებული იდგა.

— ჯვებე, წიე... ჯვებე... წიე!..

— დიდი ბატონი არ წამართმევს შენს თავს.

შვილი არ გაუკეთებს მამას იმას, რასაც ჯვებე მურზაყანისათვის აკეთებდა. იგი მისთვის ანაკლიის ბრძოლის ისევ ის გმირი იყო, ვაჟკაცობის და თავდადების შარავანდედით მოსილი, შეუპოვარი, პირდაპირი. მამა და ძმები მის გვერდით იბრძოდნენ, მათი სისხლი ერთად დაიღვარა, ერთი საქმისათვის. ამიტომ აღმერთებდა ასე, მისთვის შრომობდა და ცხოვრობდა.

— რა მეშველება უშენოდ, წიე?

— დიდი ბატონი... — თითქმის ხელის კვრით მოიშორა ეკა, აიტაცა და ცხენისკენ გაიქცა.

ეკამ არ იცოდა, სად მიჰყავდა ვაჟს. არ ჰკითხა, შიშისგან განაბული ცდილობდა ტანი ისე დაეჭირა, სლიპი ფოთლებით დაფენილ დაღმართზე ფეხი არ დაცდენოდა ჯვებეს, მაგრამ მეჯოგის მუხლს ამის შიში არა ჰქონდა. მთაში სავალი, ღორის ტყავის ჩაფულები ეცვა და ფეხს ისე adgamda, გეგონებოდა, ერთი გოჯით ჩადისო გაქვავებულ მიწაში.

ბიბლიოთეკა

ცხენი იქ დახვდა, სადაც დატოვა. არაბია პატრონის მოლოდინში ისე იყო დაცეცებული, მთელი დღის მშიერი, ბალახსაც არ მიკარებია, აქა-იქ რომ გადარჩენოდა გვალვას. დაინახა თუ არა მისკენ მომავალი ჯვებე, თვითონ შეეგება. ჯვებემ მარჯვედ შეაგდო უნაგირზე ეკა და თვითონაც მოახტა ცხენს...

არაბია ჭიშკართან დატოვა გარეთ. ეზოში რომ შევიდა და დოხორესკენ გაემართა, შეფიქრიანდა. უნდა შესულიყო მურზაყანის დოხორეში, სადაც აგერ რამდენი ხანია ფარეშისა და სახლთუხუცესის მეტს არავის შეუდგამს ფეხი. არ იცოდა ყოყმანი, როგორც მამამისმა, ბაბუამისმა, როგორც ზურხაიების მთელმა გვარმა. მის ველურ დაუოკებლობაში რაღაც ისეთი იყო, რაც უცნობისა და ნაცნობის რიდს იწვევდა. ისეთი ურჩი და ურიდი იყო, თუ მართალი იყო, ღმერთის წინ არ დაიხევდა. ახლაც მხოლოდ წამით შეყოყმანდა, მერე ეკას მაჯაში ჩაავლო ხელი და კიბეზე შედგა ფეხი.

დოხორეში დიდ-პატარა ჩრდილსა და გრილოს იყო შეფარებული, მისი მოსვლა არავის უნახავს, არც ვის გაუგია.

ეკა ახლაღა მიხვდა, მურზაყან ბატონთან რომ მიჰყავდა ჯვებეს. იმასთან, ვისაც უნდა გაეყიდა, ვისაც ჭირივით სძულდა ქალი, ვისი კაცებიც ორი დღეა ეძებენ გასაყიდად.

ჯარგვალში გაზრდილი, ჯერ დოხორეში არ შესულა. მურზაყანის ისეთი შიში ჰქონდა ბავშვობიდან, მისი ეზოსკენაც არ იხედებოდა და ახლა ამ დოხორეს კიბეზე ადის, შევიდა მის ტალანში, მურზაყანთან მიჰყავს ჯვებეს. არ უყურებდა არაფერს. ოთახების ღია კარიდან მდიდრული ავეჯი მოჩანდა, იატაკი ძვირფასი ხალიჩებით იყო დაფენილი, კედლებზე სურათები და ფრინველთა ფიტულები ეკიდა, კუთხეებშიაც

ნადირთა ფიტულები იდგა. ირმები, შვლები, დათვები. ეკას თვალში ყველაფერი ეს ჭრელად ირეოდა. მორჩილად მიჰყვებოდა ჯვებეს, რომლის მძიმე ნაბიჯის ქვეშ ყრუდ კვნესოდა იატაკი და ეს ხმა მაღალჭერიან, ვრცელ ტალანში უკმეხად და მრისხანედ გაისმოდა. მურზაყანის საძინებელ ოთახისკენ მიდიოდა.

მოულოდნელად გვერდით ოთახის კარი ფართოდ გაიღო და იქიდან თავზარდაცემული ფარეში გამოვარდა, ხელებგაშლილი წინ გადაუდგა ჯვებეს.

— საით?! ხომ არ გადაირიე, რასა ბედავ? — უთხრა ჩურჩულით, მურზაყანს რომ არ გაეგონა.

— იქით, ხახუტია, — ჩურჩულითვე მიუგო ჯვებემ და გზიდან ჩამოიცალა.

ფარეში მარწუხივით ჩააფრინდა მკლავში.

— შეჩერდი, თავს ნუ იღუპავ!

ჯვებემ მჯიღი ჰკრა და კედელს მიანარცხა. კარი გააღო და ისე შევიდა ოთახში, ეკასთვის ხელი არ გაუშვია.

იმის შიშით, რომ ბატონს არ გადაურჩებოდა, სასოწარკვეთილი ხახუტია დერეფანში დარჩა კედელზე აკრული.

ჯვებემ და ეკამ ერთბაშად ვერაფერი დაინახეს ოთახში. ვერ დაინახეს, რომ კედელთან ცხელი წყლით სავსე საწნახელი იდგა და შიგ მურზაყან ბატონი იწვა. ტანსაცმელში ერთთავად აფთარივით შემართული, ახლა შიშველი, დედაბერივით უმწეო და დაჩამიჩებული ჩანდა. საწნახელიდან დამჭკნარი, ყავარივით ბრტყელი მკერდი და წაწვეტებული მხრები მოუჩანდა. მურზაყანი თვლემდა. დერეფანში ხმაური რომ გაისმა, მაშინ გამოვიდა რულიდან და ახლა განცვიფრებული და განრისხებული შესცქეროდა მის საძინებელ ოთახში შემოჭრილ მეჯოგეს. ჯვებეს გვერდით ქალი რომ დაინახა, ნაცრისფერი, ჩაჟანგებული სახე ჭარხალივით აუფერადდა.

— ააა! — აღმოხდა აღშფოთებით და ისედაც მობრეცილი, დამბლა დაცემული პირი მთლად მოებრიცა.

— უიმე! — შეჰკივლა ეკამ, თვალზე ხელი აიფარა, მაგრამ ოთახიდან არ გავიდა, ზურგს უკან ამოუდგა ჯვებეს.

— ხახუტია! — იჭექა მურზაყანმა.

ეკა მაშინვე მიხვდა, რომ ხახუტია შემოვარდებოდა და კარი ჩაკეტა.

— როგორ გაბედე, შე ღორის შვილო, აქ შემოსვლა?!

— დიდო ბატონო...

— გაეთრიე!

— დიდო ბატონო...

— ხახუტია!

ფარეში ამაოდ აწვებოდა კარს.

— ბრიყვო, ხაჯალურზე დაგსვამ, ცოცხლად ამოგხდი სულს!.. ქალი ჩემს საწოლში!.. ცხენის კუდს გამოგაბამ!..

— დიდო ბატონო, — გადადგა წინ ნაბიჯი ჯვებემ, — ნუ გამიყიდი ეკას...

— ხახუტია!

— ეკა ჩემი საცოლეა, დიდო ბატონო. ალბათ არ იცით, თორემ...

— როგორ მიბედავ?!

— ეკა ჩემი საცოლეა, დიდო ბატონო, — უთხრა ჯიუტად, მისთვის ჩვეული სიურჩით და პირველად გაუსწორა მურზაყანს თვალი, — ღმერთი რომ ჩამოვიდეს ციდან, იმას არ დავანებებ, ეკას, დიდო ბატონო.

მურზაყანს ტანი ზამბარასავით დაეძაბა, თითქოს სახის ნაოჭებიც კი გაეშალა, საწნახელიდან ამოვარდა, საწოლთან, კედელზე ჩამოკიდებულ სატევარს ეცა, ქარქაშიდან დააძრო და ის იყო, მოტრიალდა, რომ სველი ფეხი დაუსხლტდა, იატაკზე პირაღმა დაენარცხა და სატევარი ქვეშ მოიყოლა. ყრუ კვნესა აღმოხდა. ერთ ხანს უმოძრაოდ იწვა, მერე სატევრიანი ხელი ფრთხილად გასწია განზე. ორლესულის ღარს სისხლი გამოჰყვა და იატაკზე დაეწვეთა. გამოაძვრინა თუ არა სატევარი, ხელი გაეშალა, ვერცხლის კოტა იატაკზე გადაგორდა და ჩუმი რაკუნი გაიღო. მაშინვე მუცლის ქვევიდან სისხლმა გამოჟონა, პატარა გუბედ დადგა, გასქელდა და გამუქდა.

ჯვებე და ეკა თვალს არ აშორებდნენ

სისხლს, მერე მათმა მზერამ მურზაყანის თავზე გადაინაცვლა. ნელა იწევდა იგი მაღლა. სახეც სისხლით ჰქონდა შესვრილი, ცხვირიდან დადენილი, პირში ჩასდიოდა. კაცი, რომელიც მკვდარიც კი სამაგიეროს მიუზღავდა მტერს, მათ ფერხთით იწვა.

ჯვებე დაუფარავი ზიზღით უყურებდა, მაგრამ გულმა მაინც ვერ მოუთმინა, მივიდა, ფრთხილად აიყვანა, ლოგინზე დააწვინა, სატევარი სასთუმალთან დაუდო, სიტყვა არ უთქვამს, არც დაუხედავს, ისე გაემართა კარისკენ და ის იყო უნდა გასულიყო, რომ მურზაყანმა სატევარი ესროლა, ჯვებემ, როგორც კი მურზაყანმა სატევარი მოიქნია, უმალ იგრძნო და თავი გასწია.

მახვილმა ზუზუნით ჩაუქროლა ყურთან, კარს ჩაერჭო, ზედ შერჩა. „კინაღამ ტვინი გამიხვრიტა", — გაიფიქრა ჯვებემ და კარი გააღო.

ხახუტია მაშინვე დაეტაკა, ჯვებეს მხრის იქით გასისხლიანებული ბატონი რომ დაინახა, პირი დააღო დასაყვირებლად, მაგრამ ჯვებეს რკინის ხელმა პირი აუკრა. მხოლოდ ზმუილი აღმოხდა. არ დაიბნა, მაშინვე წელზე შემოაჭდო ხელი, რომ არ გაქცეოდა, მეორე ხელით მაჯაში სწვდა და ისე მწარედ უკბინა, რომ ჯვებეს მკლავი შეუდრკა.

— გვ-ი-შვე-ეეე-ლეთ! ..დი-დი ბა-ტონი... მი-კლეეს!..

— გაჩუმდი, ხახუტია! არ მომიკლავს დიდი ბატონი, გაჩუმდი, შენი ჭირიმე!.. თავს ნუ შემომაკლავ, ხახუტია! — ეხვეწებოდა ჯვებე და ნაკბენი ხელით უკუმავდა პირს, თან მარჯვედ იცილებდა ხახუტიას მუხლებს, რომელთაც იგი გამეტებით ურტყამდა მუცელში.

ჯვებეს ხვეწნა უფრო აშმაგებდა ფარეშს, სულ მეტის გაათრებით იბრძოდა, თავს სცემდა სახეში, მუშტს ურტყამდა ფერდში. ჯვებემ გადაწყვიტა წაეხრჩო. მაგრამ ვერ იმეტებდა, არადა მისი ზმუილი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი შეძახილი შეეძლოთ სასახლის მსახურთ გაეგონათ.

ეკამ საწნახელთან მდგარ კვევრს მოჰკრა თვალი, შევარდა ოთახში, აიტაცა კვევრა და თავში დაჰკრა ხახუტიას. ერთ წამს უკან გაშმაგებით მოძრავი ტანი, ერთბაშად მოეშვა, მკლავები მოწყვეტით ჩამოეყარა და თავი გვერდზე გადაუვარდა.

— რა ქენი, ეკა?!

— არაფერი, მაგრად არ დამიკრავს.

ჯვებემ ხელი შეუშვა ხახუტიას და მისმა ჯმუხმა, მძიმე სხეულმა ბრაგვანით გაადინა იატაკზე...

ჩამოირბინეს კიბე. ჯვებე არ შემდგარა, ისე შეახტა ცხენს, აიტაცა ლაგამი და შემოუჯდა თუ არა ეკა, დასძრა არაბია.

მხოლოდ ჭიშკარში გაჭრისას დაინახეს სამზადიდან. ცხენი მაშინვე გზის რბილ და სქელ მტვერში გაეხვია, ამიტომ ვერ იცნეს, ვინ იყვნენ, ვერ გაიგეს, საიდან გაჩნდნენ უცხოები დოხორეში და რატომ გარბოდნენ ასე თავგანწირვით.

სახლთუხუცესი, იმ დროს, როცა ჯვებე მურზაყანს შეუვარდა, სადილის თადარიგს აძლევდა მზარეულს, დაოთხილ ცხენს რომ მოჰკრა თვალი, დაფეთებული გავარდა სამზარეულოდან, აიჭრა სასახლეში და მურზაყანის საძინებელ ოთახში პირველი შევიდა. ტალანში უგონოდ გაშხლართულ ხახუტიასთვის არც დაუხედია.

— რამ დაგაყრუათ? სადა ხართ? — ფეხი გადმოჰყო ლოგინიდან მურზაყანმა. დაჭრილი ფერდი ხელით ეჭირა, — დასტაქარს დამიძახეთ სწრაფად.

სახლთუხუცესმა ვერ გაუბედა ეკითხა, რა დაგემართაო, მაშინვე შეტრიალდა და დერეფანში გაიჭრა...

არაბიამ ფრთები შეისხა — მლივი მტვერით დაფარული თემშარის ხლართი თავბრუდამხვევი სისწრაფით რჩებოდა მის უკან. ფლოქვების თქარუნი მჭახედ ისმოდა აქეთ-იქით მაღალ კედლად აღმართულ ვაზისა და ხეხილის მწიფე ნაყოფით გაბანგულ უძრავ ჰაერში.

ჯვებესა და ეკას სისხლი საფეთქელში სცემდათ: „ვაითუ მძიმედაა დაჭრილი დიდი ბატონი?“ „რა დაემართა ხახუტია წყეულს?“ „სახლთუხუცესი კიმოთია კიტია უკვე მდევარს აგროვებს ალბათ... მიწიდან ამოგვიღებენ... ჩვენს სისხლს დალევენ... დედაბუდიანად გადაგვბუგავენ...“

გამოჩნდა ჯვებეს ეზო. დედას ჭიდან კოკით წყალი მიაქვს ჯარგვალისკენ. გაიგონა არაბიას თქარუნი, მოტრიალდა გახარებული. ჯვებემ ცხენი არ შეაყენა.

— დედა, დიდი ბატონი დავჭერი, თავს უშველე...

კოკამ ხათქუნი გაადინა მიწაზე.

უკან დარჩა თემშარა. არაბია ხეობაში მიჰქრის.

გამოჰყვეს თავი პატარა მხეცებმა ბარდიდან და სუროდან.

— არაბია, გოგოებო.

— ჯვებე.

— შეხედეთ, ეკა მიჰყავს.

— ეშველა ეკას.

— ჩვენ რა გვეშველება, უბედურებს!

— მდევარი მოსდევს ალბათ.

მყის შემალეს თავი ბარდსა და სოროში...

ახლომახლო სოფლებს ელვის სისწრაფით მოედო მურზაყანის დაჭრის ამბავი. მზე ჯერ ჩასული არ იყო, რომ მის ეზოში თავადი ათათია ჯაიანი და ბასია ჩიჩუა, აზნაურები, ნაჭყებიები, კობახიები, დგებიები და გაბუნიები შეიკრიბნენ. მოვიდნენ ცხენებით, მხლებლებით, მწევარ-მეძებრებით, იარაღში ჩამსხდარნი, რისხვით ანთებულნი.

ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ ჰადრის ქვეშ, ჰიშკართან, აივნის წინ, აივანზე. ცოფს ჰყრიდნენ, სატევრის კოტაზე იდებდნენ ხელს, ერთი სული ჰქონდათ, როდის გასწევდნენ ზურხაიას დასაჭერად.

ისინი მურზაყანის სიყვარულით არ იყვნენ მოსული. მურზაყანი ეკლად ესობოდათ თვალში. წესად ჰქონდათ: ბატონს ყმა რომ გაექცეოდა, სხვა ბატონები დახმარებოდნენ მის დაჭერაში. ამ საქმეში ყველა ერთსულოვანი, თავდაუზოგავი იყო. ამ დროს მტერსაც კი დაეხმარებოდნენ. სასტიკად სჯიდნენ ურჩს, რომ მორჩილი, მოშიშარი ჰყოლოდათ ყმა.

— ადამის დროიდან ასე იყო, ყმას ვინ დაუნდვია.

— მურზაყანს რომ ეს შებედეს, ჩვენ რაღას გვიზამენ!

— რა დღეს, რა ხვალ, ჩვენც ეგ მოგველის.

— უნდა გადავწვათ ზურხაიები.

— ნამეტანი აიშვეს თავი.

— ზურგზე ბოლი უნდა ავადინოთ.

ამბობდნენ ჰადრის ქვეშ მდგარი ნაჭყებიები და კობახიები.

— ყმა ვერ გაგიყიდია კაცს.

— ყველა ყმა ამოსაჟლეტია.

— რაფერ შე კაცო? ყმები გვაჭმევენ პურს.

— ყმის მეტი სხვა რა გვაქვავია ქვეყანაზე?

— მაინც ამოსაჟლეტია ყმები.

ამბობდნენ აივნის წინ მდგარი დგებიები და გაბუნიები.

— ზურხაიასთანა ერთგული ყმა მეორე არ ჰყავდა მურზაყანს.

— მაინც რატომ კლავდაო ის უნიფხო მეჯოგე?

— თვითონ არაფერი უთქვამს მურზაყანს.

— მურზაყანი არვის გაუყადრებს თავს და არ ეტყვის.

— ვერც ვინ გაუბედავს კითხვას.

— დაუხანჯლავს კი ვითომ ზურხაიას?

— კაცი გამოშიგნულია, თვითონ ხომ არ დაიჭრიდა თავს?!

ამბობდნენ ჰიშკართან შეყრილები.

ბაზიერები ძლივს აკავებდნენ ძაღლებს. ყეფდნენ, წკმუტუნებდნენ. ისმოდა ცხენების ფრუტუნი და იარაღის ჟღარუნი. მხლებელი ყმები შიშით გარინდული იდგნენ ცხენებთან.

— კი მაგრამ, სად იყო შთელი დოხორე?

— ბატონს კლავდნენ დღისით-მზისით და კაციშვილმა ვერ დაინახა?

— ხახუტია ჯერ არ მოსულა გონს.

— როცა მურზაყანი ცაიშის წყლის აბაზანას ღებულობს, მაშინ მის ოთახში ძეხორციელი ვერ შებედავს შესვლას.

ათათია ჯაიანი და ბასია ჩიჩუა ცალ-კე იდგნენ აივანზე. მთავრის მოშურნე-ნი, ერთმანეთის დაუძინებელი მტრები, მაგრამ პირისპირ ენამოთაფლულები.

— დღეს მურზაყანი მთავართან ყო-ფილა მიწვეული.

— მაინც არ მიუჯდებოდა მის სუფ-რას.

— რაღაც დიდი მოლაპარაკება აქვს იმერეთთან მთავარს.

— ვინ გინდა, რომ არ იყოს ჩამოსუ-ლი: აბაშიძეები, წერეთლები, აგიაშვი-ლები, წულუკიძეები, ერისთავები.

— შეურიგდება ვითომ დადიანი იმე-რეთს?

— აბა, ტყუილად ხომ არ ეახლება ამდენი დიდებული?

— უნდა შეურიგდეს. ხომ ხედავს, ცალ-ცალკე ვერ ვუმკლავდებით თურქს.

— სპარსეთთან გამარჯვების შემდეგ, ხონთქარი ქვეყანაზე აღარ ეტევა.

— ახლა თურმე რუსეთს ეპოტინება.

— რუსეთი თუ მოტეხს კისერს, თო-რემ მაგის მომრევი ქვეყანა სხვა არ მე-გულება.

— ქართლის მეფეს ელჩები გაუგზავ-ნია რუს ხელმწიფესთან. ამბობენ, იმე-რეთთან პირი აქვს შეკრულიო.

დოხორის ლაფაროში მოხუცები ის-ხდნენ კველაზე. ყალიონს აბოლებდნენ და ზიზღით აპურჭყებდნენ. მათ არაფე-რი მოსწონდათ მთავრის, განდგომილნი იყვნენ მისი კარიდან.

— მთავარს უბრძანებია, ყმის გაყიდ-ვა უნდა ავკრძალოო.

— დაავიწყდა, რომ მამამისი თვი-თონ ყიდდა ყმას?

— მაგ ვაჟბატონს ქონება ბანში ამოს-დის და იმას კი ვერ ხედავს, რომ ჩვენ პერანგი არ გვაცვია.

— იფ, რა სავაჭრო ჩამოუტანია იუ-სუფ ზიას ხომალდს.

— აკი ამიტომ დახარბდა მურზაყა-ნი და გოგო არ დატოვა სოფელში.

— ისეთი არაბული ცხენები ჩამოუ-ყვანია, რომ...

— ახლა ძაღლებს არ იკითხავთ! გერ-მანული ჯიშისააო. ცოცხლად შეჭამენ თურმე ადამიანს.

— შე კაცო, აგერ, მურზაყანს არა ჰყავს მაგ ჯიშის ძაღლები. მხოლოდ ადა-მიანზე ჰყავს დაგეშილი.

ზოგი სულწასული აზნაური ცხენი-დანაც არ ჩამოსულა. უნდოდათ მურ-ზაყანისათვის ეამებინათ, თავი გამოე-ჩინათ, თვითონ შეეპყროთ ზურხაია, გა-დაეწვათ მისი საგვარეულო.

— რას ვუცდით, სანამ ცხრა მთას გადაქაჯდება ის აბრაგი, ასე ვიდგეთ გულხელდაკრეფილი?

— მურზაყანს უბრძანებია, არავის ჩავრევ ამ საქმეში, ჩემი ხელით უნდა დავიჭირო ის ღორის შვილი და ცხენის კუდს გამოვაბაო.

— ვაი არ აქვს შენს გუჯუს, რავარც მურზაყანმა ეგ საქმე სხვას დაანებოს.

— თვითონ გამოშიგნული რომაა?

— საშიში ჭრილობა არ ჰქონია.

— მაინც რა მომხდარა, თუ გიყვა-რდე?

— ხახუტია ესესაა გონზე მოსულა. ფარნა ჯგერენაიას გოგოს სთხოვდა ზურხაია.

— სულქვეშ უნდა ვთქვა, ასეთი ერთგული ყმისთვის კი უნდა მიეცა ის ტილიანი გოგო.

— მურზაყანი ათ ცხენსა და ძროხას მოგცემს, ოღონდ ქალის სახელი არ უხ-სენო, — გაიქილიკა ვიღაცამ.

— ზურხაიას, ის გოგო იმ დროს შე-უყვანია, როცა მურზაყანი საწნახელში იწვა.

— გადაირეოდა აბა რა იქნებოდა, სა-ჭურისი, — ისევ გაიქილიკა იმ ვიღაცამ და აქეთ-იქით მიმოიხედა შიშით, მურ-ზაყანის კაცი არ იდგეს ახლოს, არ გა-იგონოსო.

— ტყუილად მოვიდით. მურზაყანი არავის დაანებებს იმ მეჯოგის დაჭერას.

— არც ზურხაიებს გადაგვაბუგინებს. მურზაყანი ისეთი უჭკუო არ არის, რომ თავისი ქონება ცეცხლს მისცეს.

— ამიტომ მიჰყავს ასე იორღად თავისი საქმე.

— ხომ ხედავთ, ჯერ ბიჭი არ გაუყიდია თურქზე.

— არაფერი შეეშლება საჭურისს, — ისევ ჩაუნისკარტა იმ ვიღაცამ და ისევ მიმოიხედა.

აივანზე მდგომთ უკან დაიხიეს, კარს მიაჩერდნენ. კარი ფართოდ გაიღო და ოთახიდან მურზაყანი გამოვიდა ჩქარი ნაბიჯით. გამოჰყვა კიმოთია კიტია და დასტაქარი ვატანია ხურცია. ანჩიბია ჭრილობის მხარეს ოდნავ მოხრილი იყო. კაბა შეხსნილი ჰქონდა. არც ქამარი ერტყა, არც სატევარი ეკიდა. აივანზე და ეზოში შეყრილნი რომ დაინახა, სახე გაუავდრდა, ბურჩხა წარბები შეჰკრა.

— ვინ მოიწვია, ეს ვაჟბატონები? — არავისთვის მიუმართავს, ისე იკითხა დაცინვით.

ათათია ჯაიანმა და ბასია ჩიჩუამ ერთმანეთს გადახედეს, პასუხი ვერ შებედეს. ყველა ჩუმად იდგა და ფარული სიძულვილით შეჰყურებდნენ მურზაყანის ჩაყანგულ სახეს და ღვარძლით დაწვრილებულ თვალებს.

— რას ვუყუროთ, მურზაყან? — დაარღვია ბოლოს დუმილი ჯაიანის და ჩიჩუას წინ მდგარმა მურზაყანის უფროსმა ძმამ დურუბიამ, რომელსაც მარჯვენა ხელის სახელო ქამარში ჰქონდა ჩატანებული. მან მკლავი ანაკლიის ბრძოლაში დაკარგა და თავშიაც მძიმედ იყო დაჭრილი.

მურზაყანმა ეკლიანი თვალებით ახედა ძმას. ეტყობოდა, აქ არ ელოდა. კიდევ უფრო გაუავდრდა სახე.

— ჩემს საქმეში ნურავინ ინებებს ცხვირის ჩაყოფას, — უთხრა ძმას ზიზღით. ჩამავალი მზე თვალში სცემდა და სახე მიაბრუნა, — მით უფრო შენ, დუოუბია. როგორ გაბედე და ჩემს დოხორეში ფეხი შემოდგი?!

— ეს საქმე მარტო შენ არ გეხება, — ცივად და მშვიდად მიუგო დურუბიამ.

— ეგ საქმე მარტო მე მეხება. სხვებს შეუძლიათ ახლავე შინ წაბრძანდნენ.

ათათია ჯაიანმა და ბასია ჩიჩუამ დურუბიას ზურგს უკან კვლავ ერთმანეთს გადახედეს და ახლაც პირში წყალი დაიგუბეს.

— ეგ საქმე მარტო შენ არ გეხება, — გაიმეორა დურუბიამ, — ყმები ნაშეტანი გავიდნენ თავს.

— ვნახობ, დურუბია, რომ მაშინ არ წაგჭერი ეგ ენა.

სახლთუხუცესი და დასტაქარი გვერდით ამოუდგნენ მურზაყანს, მაგრამ მან ნიდაყვისკვრით მოიშორა ისინი.

დუოუბიამ ძმის ტყვეობაში მის მამულს და ყმებს ვერ უპატრონა. ეს არ აპატია მურზაყანმა. მისი ნახანჯლარი ახლაც აჩნდა სახეზე.

ძმები პირისპირ იდგნენ, საცაა ეცემოდნენ ერთმანეთს. არავინ აპირებდა შეკავებას. სუნთქვაშეკრულნი უყურებდნენ, უნდოდათ ერთმანეთი დაეკლათ.

— ვაი, რომ იარაღს ვერ ვიხმარ დაჭრილთან, — კვლავ ცივად და მშვიდად უთხრა დურუბიამ, — ეს მეორედ გადამირჩი, წიე, — შებრუნდა, კიბისკენ გაეშურა.

— რა დროს ჩხუბია, მურზაყან ბატონო! — ყასიდად უთხრა ათათია ჯაიანმა მურზაყანს, — ზურხაია გვყავს დასაჭერი.

— მე უკვე ვთქვი, სხვებს შეუძლიათ შინ წაბრძანდნენ-მეთქი, — სახლთუხუცესს მიუბრუნდა: — გესმის, კიმოთია! — კვლავ ათათია ჯაიანს და ბასია ჩიჩუას შეხედა, დაწვრილებული თვალების ირგვლივ ნაოჭები შეუტოკდა და მისი გამჭოლი მზერა კიდევ უფრო ეკლიანი გახდა...

მზე კარგა ხნის ჩასული იყო. ტყეს მთვარე დასცქეროდა. არაბიას ნაბადამოკრული ფლოქვები ყრუდ თქარუნებდა გალურსულ ტყეში. ცხენი სულ მთლად გაქაფული იყო. ხრიალებდა, ხვნეშოდა, სადაცაა დაეცემოდა.

— სულს ლაფავს, — უთხრა ჯვებემ

ეკას და ცხენი შეაყენა. გადმოხტა, ეკაც გადმოიყვანა.

არაბია ველარ სუნთქავდა, კანკალებდა, ფერდები გამალებით უცემდა, მორჩილად და შეშფოთებით შეჰყურებდა პატრონს, რომ ქანცი გამოელია, მეტი აღარ შეეძლო.

ჯვებემ არ იცოდა, რა ექნა. ცხენი რომ მიეტოვებინა, მდევარი ნახავდა და მის გეზს აიღებდა. უნდა მოეკლა არაბია და მახლობელ ჭაობში დაეფლო, მაგრამ არც ეს იყო გამოსავალი.

ცხენი თვალს არ აშორებდა.

სოფლიდან რომ გავიდა, ნაბადი დაჭრა და თასმით ფლოქვებზე ამოაკრა არაბიას. გვალვისაგან მიწა კეცივით გამომწვარი იყო, მაგრამ კიმოთიია კიტიას თვალს ბეწვი არ დაემალებოდა მიწაზე. შემოხსნა ცხენს ნაბდის ნაჭრები, ახადა უნაგირი, წააძრო ლაგამი და ისე გაიქცა, არ მოუხედავს სულთმობრძავ არაბიასკენ.

ცხენმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ზვინივით ჩაიმხვლა ისე, რომ მიწაზე სული არ დაჰყოლია.

პირველსავე ჭაობთან შედგნენ. ჯვებემ ნაბდის ნაჭრები ლაგამთან ერთად უნაგირის ბალიშს ამოსდო და ჭაობში გადაისროლა. გვალვით გასქელებული ჭაობი წებოვანი იყო და უნაგირი ნელა იძირებოდა. ჯვებემ და ეკამ არ დაუცადეს მის ჩაძირვას.

ჯვებეს ხელისგულზე ეხატა ეს ტყე და ჭაობი, მინდორი, ჭალა, კორომი, ნადირის, თუ მეჯოგის და საქონლის გაკვალული ყოველი ბილიკი. აქ აძოვებდა ჯოგს, აქ აღამებდა და ათენებდა ხიფათით სავსე მეჯოგის ცხოვრების დღეებს შემოდგომაზე და ზამთარში. აქ აფარებდნენ თავს ბატონს გამოქცეული ყმები. ხაჯალურზე წამებით სიკვდილს, თურქზე გაყიდვას და სხვა ათას უბედურებას, ჭაობში ჩახრჩობას და შიმშილით სიკვდილს არჩევდნენ.

ბატონებიც კარგად იცნობდნენ ამ ადგილებს. აქ ნადირობდნენ ტახზე, შველზე, დათვზე, ირემზე და სხვა ნადირზე და ფრინველზე. ამიტომ გაქცეულ ყმებს ადვილად იჭერდნენ.

ჯვებეს უნდოდა ჩქარა გასცლოდა ამ ადგილებს. ისეთ უღრანისკენ ეჭირათ გეზი, სადაც ჯერ ადამიანის ფეხი არ დადგმულა. ძვრებოდნენ ყაყებში, ფეხი უვარდებოდათ გვალვისაგან დახეთქილ მიწაში, ბორძიკობდნენ, აწყდებოდნენ ხეებს, ედებოდნენ ჩირგვსა და ეკალს, ეცემოდნენ, დგებოდნენ და ისევ გარბოდნენ. მიეშურებოდნენ ყორათისკენ, რომ ყულევში გადასულიყვნენ, იქიდან ფოთში, გადაეცურათ პალიასტომი და გურიას შეხიზნოდნენ.

არც გურიის სამთავრო იყო ყმისთვის საიმედო სავანე, მაგრამ ჯვებე ბევრ გურულ მეჯოგეს იცნობდა და მათ შეეკედლებოდა. „ოღონდ ყორათში შევაღწიო... ღამე იქ მურზაყანის მდევარი კი არა, ეშმაკი ვერ გაბედავს შესვლას. ოღონდ ყორათში შევაღწიო...“ გაახსენდა მურზაყანის ძაღლები და ტანში გაბურძგლა. „დიდი ბატონის ძაღლებს ქარის მუხლი აქვთ, დიდი ბატონის ცხენებს ქაჯის მუხლი აქვთ...“

მდევარი შორს იყო, მაგრამ შიშს დიდი თვალები აქვს. არ ფიქრობდა თავის თავზე, არ იცოდა რა იყო შიში, ფიქრობდა ეკაზე და გაუჩნდა შიში. სადღაც შორიდან თქარუნი და ყეფა შემოესმა. მეჯოგის ყური არ ტყუვდება. შიშს დიდი თვალები აქვს. „გესმის, ეკა?“ იგრძნო რომ გონებით ჰკითხა. კიდევ კარგი არ ისმოდა არც თქარუნი, არც ყეფა. გაუჩნდა შიში და აღარ ჰგავდა თავის თავს.

ტყე გალურსული იყო. დროდადრო მათი ნაბიჯების ბაგუნში მოულოდნელად ჭიჭინობელის ჭრიჭინი და ბაყაყის ყიყინი იჭრებოდა. ფეხქვეშ ხან ფიჩხი ტყდებოდა, ხან ფოთოლი შრიალებდა.

„დიდი ბატონის ძაღლებს ქარის მუხლი აქვთ, დიდი ბატონის ცხენებს ქაჯის მუხლი აქვთ...“

იმ თავადებს, ვინც ყმებს ყიდდნენ, ძაღლები ადამიანებზე ჰყავდათ დაგეშილი და გაქცეულს მწევარ-მეძებრე-

ბით მისდევდნენ. მურზაყან ანჩიბაია მყეფარების დიდი მოტრფიალე იყო. რამდენი ყმა ჰყავდა სხვადასხვა ქვეყნის და ჯიშის ძაღლებში გაცვლილი, რამდენი ცხენი, რამდენი ოქრო ჰქონდა მიცემული, რამდენი მიწა, და რამდენი გაქცეული ყმა დაუგლეჯიათ ამ ძაღლებს.

კიმოთია კიტია, სალხინოდან გამოქცეული, თავად აფაქიას ნაყმევი იმიტომ გაიხადა სახლთუხუცესად, რომ ძაღლის საოცარი მგეშავი და ცხენის მხედნავი იყო. ეს სააბჟანდე ლვედივით გამოქნილი კაცი, ქურდობით რომ მთელი სალხინო გააცივა, ძაღლივით ერთგული ჰყავდა, მისი მებუკე იყო.

„მთვარის ჩასვლამდე მაინც არ დაგვეწეოდეს მდევარი. მაგრამ ძაღლებს სიბნელე რას დაუშლით!.. არც ჭაობი, არც ძეძვნარი, არც ჯაგები..."

მურზაყანი გაქცეულ ყმას არ იჭერდა. ღრენა-ყეფით წამოწეული ძაღლები იქვე ფლეთდნენ მსხვერპლს. „ეს გვიწერია ჩვენც". ეს მღელვარე აზრი ფრთებს უკვეცავდა. „მაინც რა მგლის თვალზე მნახა ამ დილით... რატომ დავღუპე ეკა?.. რატომ ჩავვარდი მის ცოდვაში?"

ეკა მის გვერდით მირბოდა, ძვრებოდა ბარდში, ეცემოდა, იშავებდა მუხლებს, იდაყვებს, ეფხაჭნებოდა სახე, მკლავები, მხრები, ხელფეხი, მაგრამ არ კვნესოდა, არ ჩიოდა, არ ითხოვდა დასვენებას, არ კარგავდა იმედს. ბარდში და ძეძვნარში გაძრომისას ჯვებეს ეხებოდა მისი მხრები, თეძოები, სახე, ისუნთქავდა მის ამონასუნთქს, მის ოფლის სუნს, ასეთ გაჭირვების ჟამსაც აღმგზნებს, ხედავდა გამამხნევებლად მონათებულ მის თვალებს, ისეთ ახლობელს, საყვარელს და კვლავ უბრუნდებოდა ძალა და რწმენა.

ეკა გარეგნულად ჩანდა მშვიდი, მაგრამ მასაც გულს უღრღნიდა შავი ფიქრი: „რატომ დავღუპე ჯვებე? რატომ არ დავუჯერე დედას და ქარიატაში არ წავედი?.. იქიდან ბაბუ ლეჩხუმში გადამიყვანდა... რა ვქენი მე საწყალმა!... მე დავღუპე ჯვებე..." ჯვებეზე შიში არ უსპობდა იმედს, არ უბორკავდა ხელფეხს, მატებდა ძალას, ჯვებეს სიყვარულს მიჰყავდა წინ. ბანდალებდა, ლასლასებდა, ეცემოდა, უმალვე დგებოდა, რათა ჯვებეს არ დაენახა დალურჯებული, დაქარდული და დასისხლიანებული.

მკერდი ტეხდა და ეწოდა, პირი უშრებოდა, ფეხის ძარღვები დაწყვეტილი ეგონა. ეგონა, აი, ახლა დავეცემი და ველარ ავდგებიო, მაგრამ შეეხებოდა თუ არა ჯვებეს მხარი, შეესმოდა თუ არა მისი სუნთქვა, დასაცემად მოშვებულ სხეულს რაღაც განგებით იკავებდა და გარბოდა.

მთვარე, თითქოს მათ ჯიბრზე, აგვიანებდა ჩასვლას. მისი კაშკაშა, არაბუნებრივად თეთრი შუქი დღესავით ანათებდა ტყეს, ისეთ ძეძვნარში და ბარდში ატანდა, სადაც მზის სხივი ვერ აღწევდა. მიწაზე დაფენილი ფოთოლი თვალისმომჭრელად ლაპლაპებდა, მუქმწვანე ხავსი ხავერდივით ღაღანებდა.

ეკა და ჯვებე არ ხედავდნენ არაფერს, არ ესმოდათ არაფერი, ყოველ წამს ელოდნენ მდევრის ცხენის ფლოქვის თქარუნს, ძაღლების ყეფას. ტვინი ეხვრიტებოდათ მოლოდინში.

„თვითონ წამოეგო ის წყეული სატევარს, — ფიქრობდა ეკა, — ხახუტიასთვის ცუდი არ მინდოდა, მსუბუქად დავკარი კველა, რომ ჯვებესთვის ხელი გაეშვა. ხახუტიასთვის ცუდი არ მინდოდა. არც ჯვებეს უნდოდა მურზაყან ბატონისთვის ცუდი. თვითონ წამოეგო ის წყეული სატევარზე, — თავი გაიქნია. რომ არ ეფიქრა, — რაც მოხდა, იმას ვერაფერი გამოასწორებს, იქნებ სულაც არავინ მოგვდევს, — გაჰკრა იმედის ნაპერწკალმა, — იქნებ, მურზაყან ბატონი დარწმუნდა, რომ არაფერი დაგვიშავებია მისთვის... ჰმ!.. რეებს ვჩმახავ! მურზაყან ბატონს ქვის გული აქვს, ადამიანის სისხლს დალევს ის ღვთის გარეგანი, — მირბოდა, ეგონა, არაფერ-

ზე ფიქრობდა, მაგრამ ეს მხოლოდ სურვილი იყო მისი. არ ეფიქრა, არ ეფიქრა. სადღაც შორიდან, სიბნელიდან თანდათან წამოესახა ცეცხლის ალში გახვეული თავისი ჯარგვალი, დაინახა დედის თვალები, — დედა!.. დედა!.. — დაიკივლა, მაგრამ ხმა არ ამოუვიდა პირიდან, — მე დავღუპე დედა, — შეესმა დედის კივილი. დაიცო ყურები, დახუჭა თვალები. მაინც ესმოდა კივილი, მაინც ხედავდა ცეცხლის ალში დედის თვალებს...

— ისღა მაკლია, ერთი ვირთხის დასაჭერად ამ უნიფხვო აზნაურების დახმარება დამჭირდეს, — თქვა მურზაყანმა, როგორც კი ისინი ეზოდან გაიკრიფნენ, — მზათა ხარ? — ჰკითხა ჯეჰლში ძუკნასავით შემოჩურებულ კიმოთია კიტიას და დაუმატა: — ათი ძაღლი და ოცი მდევარი. შავი ვაყა შეკაზმე!

— შეკაზმული გახლავს.

— ჰოდა, მე მზად ვარ.

— დიდ საფრთხეში იგდებ თავს, მურზაყან ბატონო, — შებედა დასტაქარმა, — ჭრილობა, რაც გინდა პატარა იყოს, მაინც ჭრილობაა.

— უფრო მძიმედ დაჭრილმა ვდიე თურქს ყულევის ბრძოლაში ფოთამდე, — მკაცრად მოუჭრა დასტაქარს დაენთო, რომ ახსნას წყალობდა, ხელისკვრით ჩამოიცილა გზიდან, კიბე ჩაირბინა და გაეშურა გზისკენ, სადაც მდევარი ძაღლები და თავისი ვაყა უცდიდა.

— საით გავწევთ, მურზაყან ბატონო? — ჰკითხა ფეხდაფეხ ადევნებულმა კიმოთია კიტიამ, — ჯერ ზურხაიას დავეცეთ, თუ ჯგერენაიას?

— ბრიყვო! — ბოროტად შეხედა ბურჩხა წარბებს ქვევიდან მურზაყანმა, — როდის იყო, უკაცო და უდანაშაულო ოჯახს ვესხმოდი! ყორათისკენ გავწევთ, ის ვირთხა არც ისე სულელია, თავი ჩემს ტყეს შეაფაროს, — უთხრა და ქუსლი ჰკრა ვაყას...

ოდიშელებს ერთმანეთისგან შორიშორ ედგათ ჯარგვლები და ფაცხები. სხვებისგან განსხვავებით, მურზაყანმა ყმები მჭიდროდ დაასახლა. მსახურთ და მოინალეებს დოხორეში არ აცხოვრებდა და უნდოდა ახლოს ჰყოლოდა, რომ საჭიროების ჟამს ერთ დაძახილზე უცებ შეკრებილიყვნენ.

მდევარი თემშარაზე მიჰქროდა. შეშინებული სოფელი ამოწყვეტილს ჰგავდა. მურზაყანის დაჭრის ამბავი რომ გაიგეს, კაცები მაშინვე დოხორეში მივიდნენ, ბავშვები და ქალები მიიმალნენ. კაციშვილი არ ჭაჭანებდა არსაით. თითქოს შიშით ფრინველ-პირუტყვიც გარინდულიყო, ფლოქვების თქარუნი და ყეფა ქარტეხილივით რომ შეიჭრა, ეზოს ძაღლები კუდამოძუებული გაიქცნენ საფრებში, აკრიახდნენ ქათმები, ღობეს მიაწყდნენ თხები, ღორები, ბატები და იხვები. მტვრის გრძელი კუდი მოიტოვა მდევარმა და ისე სწრაფად გაიჭრა სოფლიდან, როგორც შემოიჭრა. გაენთო მდინარის დასწვრივ.

პატარა მხეცებმა ახლა მარტო ცხვირი გამოჰყვეს ბარდიდან და სუროდან.

— მდევარი, გოგოებო.

— ჰო, აგერ.

— დიდუ, რამდენია.

— თვითონ მურზაყან ბატონი მიუძღვის.

— საცოდავი ეკა.

— რას ელოდა და ძაღლების ლუკმა შეიქნა.

— მურზაყან ბატონი ჯვებეს არ გაწირავს.

— ჩვენც ეგ დღე მოგველის.

— არა, ტყუილად ვიმალებით, გოგოებო. ახლა ჩვენთვის აღარ ცხელა მურზაყან ბატონს.

— ხელს არ გაისვრის ჩვენისთანა პატარებისთვის.

— მე ამას თავიდანვე ვამბობდი.

ჩაიქროლა მდევარმა და ისეთი კორიანტელი მოიტოვა, რომ მტვრის ნისლმა დაფარა მდინარეც და სურო-ბარდიც...

არ გაუგიათ, როდის ჩავიდა მთვარე. სიბნელეში უზარმაზარ მუხას დაეტაკ-

ნენ და გამოერკვნენ. ქვასავით მაგარ რკოებზე დაეცნენ მუხლით. ტკივილისგან თვალიდან ნაპერწკლები წამოცვივდათ. ვეღარ წამოდგნენ, ჩაჯდნენ და რომ არ დავარდნილიყვნენ, ზურგით მიეყრდნენ ერთმანეთს, მაგრამ ისეთი ოფლიანები იყვნენ, ტანი უცურდებოდათ და ხელებით დაეყრდნენ მიწას. ასე ისხდნენ სიბნელეში და სიწყნარეში. ახლაღა გაიგონეს, რომ მათი ფილტვები ფშტვენით სუნთქავდნენ, ეგონათ, აი, ახლა გაიფხრიწებაო.

დიდხანს ისხდნენ, არაქათს იღებდნენ, სულს იბრუნებდნენ, ლაპარაკი არ შეეძლოთ. შემდეგ მათი ტანი თავისთავად მიტრიალდა ერთმანეთისკენ, მაგრამ იმდენად დაქანცულები იყვნენ, როგორც კი ზურგი ზურგს მოაშორეს, აქეთ-იქით გადაქანდნენ და რომ არ დაცემულიყვნენ, ერთმანეთს ჩაეხვივნენ.

შეკრთნენ, გაირინდნენ, თითქოს გული გაუჩერდათ.

— ჯვებე, — დაიჩურჩულა ეკამ.

ეს მათი პირველი შეხება იყო. ჯვებეს უნდოდა ხელი შეეშვა, მაგრამ მოშვებული ტანი დავარდებოდა. ეკას მკერდი ჯვებეს მკერდს ეხებოდა, მისი ლოყა, შუბლი, ცხვირი ჯვებეს სახეს ეკვროდა. ქალის ოფლიანი, სრიალა ტანი ხელიდან უსხლტებოდა, მაგრამ საიდანღაც ერთბაშად დაუბრუნდა ძალა, მკლავი შემოხვია.

მრავალი წლის ნახმარმა, მზეზე და ქარში გამოხუნებულმა, წვიმაში და თოვლში გამბალმა, ათასჯერ გარეცხილმა ჩითის კაბამ რამდენიმე ადგილას ფხრაწანი გაადინა და ჯვებეს ხელები შიშველ მკერდსა და წელს მოხვდა. არ ხედავდა სიბნელეში არაფერს და იქნებ ამიტომ არ დაიმორცხვა ეკამ. ჯვებეს ხელები თავდავიწყებით ამოძრავდა სეტყვასავით მკვრივ მკერდზე, მუცელზე, თეძოებზე, იპოვეს ერთმანეთის ტუჩი. ქალი პირალმა გადაწვა და თან გადაიყოლა ვაჟი. დიდი ხანი ელოდნენ ამ ნანატრ წუთს, რომელიც ასე უცნაურად, მოულოდნელად მოვიდა, ასეთ უბედურების ჟამს და თავს ვერ ართმევდნენ შეუკავებელ გრძნობას.

— ჯვებე, წიე... შენი ჭირიმე... — ჩურჩულებდა ეკა. რკოები აღარ ტკენდა ზურგს, ბუმბულზე იწვა, კოცნიდა, თვითონაც ხვევდა მკლავებს, რომ ჯვებეს ტანი არ დაცურებულიყო მისი სხეულიდან...

ალიონზე მუხას ტახები მოადგნენ ქშიტინით, ჯლიგინით, ქეჩოაყრილები, დაფეთებულები, უზარმაზრები, შავები. ჯაგარზე ჭყანტობის ტალახი ჰქონდათ შემხმარი, თეთრი ეშვები სიბნელეშიაც ბასრად უელავდათ. ადამიანის სუნი აიღეს და ბრაზით სავსე წვრილ თვალებს აცა-ბაცა აცეცებდნენ. ყოველ წამს მზად იყვნენ ადგილს მომწყდარიყვნენ. ჯერ კი ერთ ადგილზე ტრიალებდნენ. დამშეულები იყვნენ და ვერ ელეოდნენ რკოს, რომლის საჭმელადაც აქ მოვიდნენ. ერთმანეთს აწვებოდნენ, ჯაგარზე შემხმარი ტალახი იფშვნებოდა, მტვრის ბუღი დგებოდა. უკანანი წინებს ასკდებოდნენ, წინანი უკან იწევდნენ, ონჩნობდნენ და დარწმუნდნენ თუ არა, ყნოსვა არ ღალატობდათ, თავი აიქნიეს ერთი ძლიერ დაიქშიტინეს, შეტრიალდნენ და ძეძვნარში გაენთნენ.

ეკას და ჯვებეს მკვდარივით ეძინათ და ელდანაკრავივით წამოვარდნენ. ეკამ ხელის ერთი ჩამოკვრით ჩამოიწია მუცელზე აცურებული კაბა. მიმოიხედეს. მტვერში არაფერი ჩანდა. შორიდან ფიჩხის ტეხვის ხმა და ქშიტინი ესმოდათ. ცხვირში ნადირის მძაღე და მძაფრი სუნი სცემდათ და მტვერი ულიტინებდათ, დააცემინათ და უცებ, მათდა უნებურად სიცილი წასკდათ.

— ტახები იყვნენ, — თქვა ჯვებემ, — ღორებმა შეგვაშინეს.

მტვერი დაჯდა. დაინახეს ერთმანეთი. ეკას მთლად შემოხეული ჰქონდა კაბა. გაახსენდათ, რა მოხდა წუხელ მათ შორის და კვლავ შესცინეს ერთმანეთს. მერე ჯვებემ ხელი ჩასჭიდა ხელზე და გაიტაცა.

— მოიცა, წიე! — შესძახა ეკამ, შედგა, — სად წავიდე ასე?!

ჯვებემ თვალი შეავლო მის მოშიშვლებულ მკერდს, მხრებს, თეძოებს და მოჯადოებულივით გაირინდა. ცაში ნათელი იყო ჩავარდნილი და მის ციაგის ნელსა და ნაზ შუქზე ქალის ტანს ხორბლისფერი დაკრავდა. თავისი ტანის სილამაზით მისდა უნებურად ერთი წამით გაამაყებული ეკა ალტაცებით შეჰყურებდა ჯვებეს.

ჯვებემ ისევ შემოხვია მკლავები. ეკას ტკივილისგან სუნთქვა შეეკრა. ჯვებე კოცნიდა და მდევარზე ფიქრობდა. იმის შემდეგ, რაც წუხელ მოხდა, ეკას არაფერზე არ უნდოდა ფიქრი, მისი გული ისევ წუხანდელი გრძნობით ძგერდა, ტუჩს არ აშორებდა ჯვებეს ტუჩს, ჯვებემ ძალით მოიგლიჯა ქალი, ხალათი გაიხადა, გადააცვა, ისევ ჩასჭიდა ხელზე ხელი და გაიტაცა...

ძაღლებმა შორს ჩაუარეს არაბიას ლეშს, მაგრამ ჯვებეს და ეკას კვალი მაინც მალე აიღეს და შეუცდომლად მისდევდნენ. მხედრები ბარდებში და ძეძვებში ვერ ძვრებოდნენ, ვერც ჭაობების ბეწვის ხიდზე გადიოდნენ, ვერც მჭიდროდ მდგარს ხეებს შორის. ძაღლები ნერვიულობდნენ, რომ მათ შორს რჩებოდნენ ცხენოსნები, წინ გაჭრილები უკან ბრუნდებოდნენ ჩამორჩენილებთან, გაკაპასებით წკავწკავებდნენ და ყეფდნენ...

მთვარე ჩავიდა თუ არა, მურზაყანმა ვაყა შეაყენა, სახლთუხუცესს ბანაკის დაცემა უბრძანა. რახან კვალი ნაპოვნი იყო, ზურხაია ვერსად წაუვიდოდა. დასტაქარმა ხელახლა შეუხვია ჭრილობა. ვახშამზე უარი თქვა. მიწვა თუ არა ნაბადზე და თავი უნაგირის ბალიშზე მიდო, რულმა თვალი წაართვა.

ბაზიერმა ძაღლები ადრე დააპურა, მაგრამ ჯერ ცისკრის ვარსკვლავი არ იყო ამოსული, რომ ყეფა-ღრენით წამოცვივდნენ, სული მისდიოდათ, კვალს გამოდგომოდნენ, დაბმულები იყვნენ და გაშმაგებით იწევდნენ, იქაჩებოდნენ, კისერს იწყვეტდნენ ჯაჭვზე, თავის ყინს რომ ვერ ისრულებდნენ, გაცოფებულები ერთმანეთს უღრენდნენ, კბენდნენ, ტორავდნენ.

როგორც კი ძაღლები წამოიშალნენ, მურზაყანს გაეღვიძა. ჭრილობა სტკიოდა და ტანში ტეხდა. წამოდგა თუ არა, კიმოთია კიტია ლანდივით წინ აესვეტა. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. იქვე, მის ფეხთან იწვა ძაღლივით დადარაჯებული — ვინ იცის, ღამე რა დაჭირდეს ბატონსო.

გამჭრიახი და გაიძვერა კიტია ისე იყო დაბრმავებული მლიქვნელობით, რომ ერთ რამეს ვერ ხვდებოდა მხოლოდ — რაც უფრო მეტს აქნევდა მურზაყანის წინ კუდს, მით უფრო იზიზღებდა ბატონი.

ახლაც სიძულვილით შეხედა, ვაყას შეკაზმვა უბრძანა და შორს, მოფარებულში წავიდა მოსაშარდად. დასაჭურისების შემდეგ კაცთან ამის გაკეთება ერცხვინებოდა. იქიდან რომ დაბრუნდა, კიმოთიამ შეკაზმული ცხენი წინ დაუყენა. ერთი ხელით ლაგამი ეჭირა, მეორით უზანგი. მთელი ბანაკი აშლილი იყო, გამზადებული, ცხენზე არავინ იჯდა, მურზაყანს უცდიდნენ.

ბატონი რომ დაინახეს, ძაღლები დამშვიდდნენ, კუდი გააქიცინეს, მხიარულად აწკმუვლდნენ და მურზაყანს შეაჩერდნენ. ტყეში ჯერ კიდევ ბნელოდა, მაგრამ მურზაყანი ყველაფერს ხედავდა. ყიფად მიაჩერდა მხედრების მოცეცებულ თვალებს, მერე კიმოთიას ლაგამი გამოგლიჯა და ცხენს მოახტა...

ძაღლები მაშინვე აუშვეს და ისინი შურდულივით გაიჭრნენ წინ. გაისმა ყეფა, წკავწკავი ჯერ კიდევ ბურანში მყოფ ტყეში ავარდა ფხაჭა-ფხუჭი, თქარუნი. დაფრთხა ნადირი, ფრინველი. ალაწუნდა და აღგაფუნდა ტოტებში ფრთები, აკივლდა, აჭყივლდა დიდი და პატარა ფრინველი, აშლიგინდა ბუჩქებში და ძეძვებში მხეცი. აფორიაქდა, ამოძრავდა ტყე, თითქოს საშინელი ძა-

ლის კორიანტელი დატრიალდა და გულმუცლიანად გადააბრუნა ულაღი.

მურზაყანის ვაყა ძეძვნარში, ნადირის გაკვალულ ბილიკზე მიჰქროდა. ჭრილობა წელში მოხრას უშლიდა და ამიტომ ტოტებს და ფოთლებს სახეს ვერ არიდებდა — ესხეპებოდა.

ფეხდაფეხ კიმოთია კტია და დასტაქარი მისდევდა, ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილი მდევარი ძაღლებს მიჰყვებოდნენ.

მურზაყანი ჩქარობდა. მოსვენებას არ აძლევდა ფიქრი, რომ ზურხაია ყორათის უღრანში შეასწრებდა. მის ვაყას, რომელმაც არ იცოდა, რა იყო მათრახი, ქუსლის გაკვრა, გუშინდელს აქეთ მეორედ მოხვდა ქუსლი. ცხენი ქარივით მიჰქროდა.

აღმოსავლეთით ცა ალისფრად შეიღება.

ძაღლები კვლავ დაწინაურდნენ და მხედრები კვლავ ჩამორჩნენ. მურზაყანი არ უწყრებოდა მდევარს, ამაზე სწრაფად ასეთ უსიერში, ქაჯი ვერ ივლიდა.

ჰაერი ისევ შეიხუთა და დამძიმდა. კოღოების ისეთი გაბმული წუილი იდგა, თითქოს მთელი ტყე სკით იყო გაჰედილი და ფუტკარი ბზუოდა. სიცხით გაქლამებული კოღოები მუმლივით ეხვეოდნენ ჯვებეს და ეკას, სისხლს წოვდნენ, ზედ აკვდებოდნენ ნაკბენზე. ეკას არც მუხლი ერჩოდა და არც მკლავი, ვერ იცილებდა გზიდან ეკალ-ბარდს, ვერ იგერიებდა კოღოს, ის ქარი აღარ ედგა უკვე. წუხანდელი ღამის შემდეგ, წყურვილს შიმშილიც დაემატა.

პირდაპირი გზა რომ ყოფილიყო, ყორათამდე ორი ნაბიჯი თუ იქნებოდა. მაგრამ წინ იმდენი ეკალ-ყაყა, ჯაგნარი ელობებოდათ, რომ სულ მიქცევ-მოქცევით გარბოდნენ, თან ხან დათვს შეეფეთებოდნენ, ხან აფთარს, მგელს და გზას უქცევდნენ.

ზოგჯერ ტყიდან ცარიელზე ან ჯაგნარში გადიოდნენ და მზის გულზე ტვინი უდუღდათ, ლიბრი ედებოდათ თვალზე, ვერაფერს ხედავდნენ, ბანდალ-ბანდალით მიდიოდნენ, როგორც დაფალმანებულები, არ იცოდნენ, ჩრდილამდე მიიტანდნენ თუ არა სულს.

სულ ახლოს იყვნენ მიზანთან. მართალია, ჰაერი არ იძროდა, მაგრამ ჯვებე უკვე ზღვის სუნს გრძნობდა, კიდევ ცოტა და სამშვიდობოს გავლენ. მაგრამ უცებ ძაღლის ყეფა შეესმა ჯვებეს. არა, ახლა არ ეჩვენებოდა. ნაცნობი ყეფა. მურზაყანის ყველა ძაღლის ყეფას არჩევდა. არა, ახლა არ ეჩვენებოდა.

ისე მოიხედა, არ შეჩერებულა, მერე წინ გაიხედა. ყურს არ დაუჯერა. ყეფა წინიდანაც ისმოდა, მარჯვნითაც, მარცხნითაც. დაგვალულ ისლნარში გარბოდნენ. ისლი მუხლებამდე ძლივს სწვდებოდა და ირგვლივ ტყემდე ყველაფერი ხელისგულივით ჩანდა. ჯვებე ერთი დღის სავალზე ხედავდა. ჯერ არავინ შემოსულა ისლნარში. ყეფა ტყიდან ისმოდა.

ეკას არ ესმოდა ყეფა და ჯვებე არ უმხელდა, უფრო სწრაფად გარბოდა. ეკა მხარდამხარ მისდევდა გამხნევებული იმით, რომ მალე შეაღწევდნენ ყორათში. ისლნარი სირბილს არ უშლიდათ. პატარ-პატარა, თითქმის გამხმარი, ჭრელ-მწვანე ხავერდები, რომელთა ქვეშ ჭყანტობი იყო შეფარებული და სხვა დროს საკმარისი იყო ფეხის ერთი დაკარება, რომ ჩაეძირე. გვალვისაგან გამდგარიყო, მხოლოდ იზნიქებოდა ფეხქვეშ.

მზეს შემოდგომაზე ასე უწყალოდ არასოდეს არ გამოუწვავს მიწა. ჯვებეს და ეკას ყოველ ნაბიჯზე, დამფრთხალი ოქროსფერ-მწვანე ხვლიკები აქეთ-იქით აწყდებოდნენ ისლის ძირს.

— ჰაუ!

ჯვებემ გარკვევით გაიგონა ძახილი.

— ეუუი!

— ჰაუუ!

ეკამ ცერად გახედა ჯვებეს.

ჯვებემ თვალი აარიდა.

— ხაფანგში გავებით, — შედგა, გადასახტომად მომზადებული შველივით მიმოიხედა.

გარშემო თვალისაწიერზე, ძაღლების-

ვან აგდებული, მძიმედ აფრენილი იხვების მეტი არაფერი ჩანდა.

— ნუ გეშინია, ეკა.

— იქნებ მონადირეებია, — უთხრა ეკამ.

— ჰაუუ!

— ეუუი!

ყეფა და ძახილი ყოველ მხრიდან ახლოვდებოდა.

— არა, მდევარია.

— ჰეი, აქეთ!

— არიქა, ჰო!

— რა ვქნათ, ჯვებე?

ჯვებემ თვითონ არ იცოდა რა ექნა.

ყეფა-წკავწკავი სწრაფად ახლოვდებოდა. ეტყობა, კვალს რომ წამოეწივნენ, ძაღლები გააფთრდნენ. მურზაყანმა მდევარი ალყად შემოარტყა ისლნარს. მართლაც ხაფანგში იყვნენ მომწყვდეული.

ეკა თავს ვერ აღწევდა შიშს. თუ აქამდე ჯვებეს იმედით გული საგულეში ჰქონდა, ახლა ყოველი ჩირგვის, ყოველი ბუჩქის და ისლის ქვეშ ჩასაფრული მდევარი და ძაღლი ელანდებოდა. ელოდა, აი, ახლა გამოვარდებოდნენ და ეცემოდნენ.

მდევარი ისლნარში შემოვიდა. ჯვებემ დაინახა რამდენიმე მხრით მომავალი ცხენოსანი. იქ, სადაც ისლი დაბალი იყო, ზოგი მდევარი იცნო კიდეც.

ძაღლებმა ცდუნებას ვერ გაუძლეს და იხვებს დაუწყეს ძებნა. მათ მიერ წამოგდებული იხვი ხან ერთგან, ხან მეორეგან წამოფრინდებოდა, სხვებიც აჰყვებოდნენ და ზღვისკენ მიეშურებოდნენ, სიმსუქნით დამძიმებულნი, ძალიან დაბლა მიფრინავდნენ ჯვებესა და ეკას თავზე და მათი შავი ჩრდილი სახეზე ეცემოდათ.

მურზაყანის კაცები ამაოდ უწყრებოდნენ ძაღლებს. მათ სულ მიატოვეს კვალი იხვების დევნით გართულებმა და კარგა მანძილით ჩამორჩნენ ჯვებესა და ეკას.

— შევაღწევთ ყორათში, ეკა, ცოტაც და შევაღწევთ ყორათში, — ეუბნებოდა ეკას სიცხისგან დამსკდარი და გამშრალი ტუჩებით, — აი, იქ, — ხელი ტყის პირზე განმარტოებით მდგარ სამ თელისკენ გაიშვირა. ხეები ერთნაირად გაბარჯღული და მაღალი იყო, — ყულევი ჩაუდის იმ თელებს. ცურვით დავყვებით წყალს და ყორათში ისე შევალთ.

მდინარე არც ისე ახლო იყო თელებიდან. მაშ, რა ექნა, სხვა რითი გაემხნევებინა ეკა? შენიშნა, რომ თვითონაც დაიჯერა თავისი ტყუილი. თვალთ წარმოუდგა, როგორ გადაეშვებიან ყულევში, სვამენ წყალს, სვამენ სულმოუთქმელად, სვამენ, სვამენ, ისევ ეწაფებიან, გრძნობენ, როგორ ეღვრებათ თონესავით გავარვარებულ მუცელში სიგრილე და მთელ სხეულს ედება.

გავიდნენ ისლნარიდან, უახლოვდებიან თელებს. ხეებს პატარა მინდორი ერტყა, ტიტველი, გვალვით გადატრუსული, ერთი ბუჩქიც არ ჩანდა არსაით. ხეების ქვეშ თითქოს გრილო იდგა, ბალახსაც შერჩენოდა სიმწვანე. ასე მოეჩვენათ ჯვებესა და ეკას, რადგან ხის ტოტები ჩრდილს ფენდა მიწას.

ერთი წამით შეხანებულთ, სადღაც, სულ ახლო ყეფა შეესმათ. დაფეთებული ეკა უცებ სხვა მხარეს გაიქცა, გაირბინა მინდორი და ყაყაჩოებულ წაბლის ხის წინ შედგა. დაიბნა. უკან გაბრუნება ვეღარ გაბედა, ვერც ჯვებეს დაუძახა — მდევარი გაიგონებდა. არ იცოდა, საით წასულიყო. ყაყიდან სისინი შეესმა და გაქვავდა.

მისკენ ორი ალაბის სიგრძის გველი მოცურავდა. რუხ-მწვანე ზურგი ტალახისფრად ჰქონდა დაწინწკლული. ბრტყელი თავი, გაგანიაშიც კი ცივი თვალებით, მაღლა ჰქონდა აწეული. ეკა შეტრიალდა და თვითონაც არ იცოდა, საით გაიქცა. რამდენიმე ნაბიჯი რომ გაირბინა, წინ გველების მთელი ხროვა დახვდა. მსხვილები, მტკიცედ გატენილი ტანით, რგოლად დახვეულები, ენა გამოყოფილები, შხამით სავსე, თეთრი, ბასრი კბილებით, როგორც

ეკას მოეჩვენა, მომზადებულები ყელში საწვდომად. ეკამ პირზე ხელი დაიფარა, რომ არ ეკივლა და მოცელილივით დაეცა მიწაზე.

გველებმა ერთად გაშალეს ტანი, ერთდროულად დაიძრნენ და ზანტად ჩაისრიალეს ეკას გვერდით, არც შეუხედავთ მისთვის, იქით გაცურდნენ, საითაც პირველი გველი მიეშურებოდა.

ჯვებემ ვერ დაინახა, საით გაიქცა ეკა. წაბლის ხეს ურბენდა იმ ფიქრით, რომ იქ სადმე ახლოს იქნებოდა. „ეკა!.. ეკა!..“ ეძახდა მღელვარებით ხმა ჩახლეჩილი. არ ტოვებდა არც ერთ ჩირგვს, ბუჩქს, ბარდს გაუჩხრეკავს. „ღმერთო საცაა დაგვეწევიან“. არასოდეს შევედრებია ღმერთს. ახლა მუხლზე დაეცემოდა და შესთხოვდა შველას. შიშით ისე იყო ატანილი, რას აკეთებდა, არ იცოდა, უთავბოლოდ დაბორიალობდა ათასგვარად ჩახლართულ ბარდ-ეკალში, ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა სახეზე, ტანზე, სამართებელივით ბასრი ფოთლები სახეს უსერავდა, მაგრამ არ გრძნობდა, ედებოდა კუნძს, ძეძვს. „ღმერთო, მაპოვნინე, ეკა...“ მზად იყო ეყვირა. სულ ერთი იყო გაიგონებდა თუ არა მდევარი. მურზაყანის ძაღლები და კაცები ისე ახლოს იყვნენ, ეჩვენებოდა, ძაღლები ყურის ძირში უყეფდნენ, ყურის ძირში გაჰქონდა თქარუნი ფლოქვებს, ყურის ძირში ისმოდა მდევრის ყიჟინი.

ის იყო, პირი დააღო დასაძახებლად, წინ ის გველები შემოეფეთნენ, ეკას რომ ჩაუარეს, ისევ ისე ზანტად მისრიალებდნენ, ძლივს მიჰქონდათ ტანი, მდინარისკენ მიდიოდნენ.

ჯვებე ტოტს დაწვდა, უნდოდა თავი გაეჭეჭყა მათთვის, მაგრამ ტოტი ციმციმ გააგდო ხელიდან. რა დროს ეგ იყო. გაიქცა წინ და ეკას წაადგა თავზე.

ეკა პირჩამხობილი იწვა.

ჯვებე მუხლზე დაეცა და გადააბრუნა, შეანჯღრია.

— ეკა!

ეკამ თვალი გაახილა.

— გველები, წიე!

ჯვებემ ზურგქვეშ ამოსდო ხელები, აიყვანა და მდინარისკენ გა[illegible].

მურზაყანის ულაყი კვლავ ყველაზე წინ მიჰქროდა, თავის ნებაზე მიშვებული თვითონ უქცევდა ხეებს, ლიებს, თითქმის ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ძაღლებს.

მდევარი გაფანტულად მისდევდა ბატონს. ზოგი გზას მოუჭრიდა და ერთბაშად მის გვერდით აღმოჩნდებოდა. არაფრის არ ერიდებოდა, გინდ ხეს დატაკებოდა, გინდ ლიაში ჩაფლულიყო. იცოდნენ, მურზაყანი ცუდად იყო და არ იმჩნევდა. ეშინოდათ, ცხენიდან არ გადმოვარდნილიყო სიცხით გავარვარებული. ყველაზე ახლოს კვლავ მაინც კიმოთია კიტია და დასტაქარი მიჰყვებოდნენ.

მურზაყანი გრძნობდა, მალე უღალატებდა ღონე, აჩქარებდა ცხენს. იცოდა მალე დაეწეოდა ზურხაიას. ზოგჯერ ძაღლები ისეთ გაალმასებულ ყეფაწკავწკავს ატეხდნენ, ეგონა, უკვე დაასცხრნენ ზურხაიას და დაიყვირებდა, არ დაaგლეჯინოთ, ცოცხალი უნდა ჩავიგდოო.

პირს აღებდა, ეგონა, ყვიროდა, მაგრამ ხმა არ ამოსდიოდა. უნაგირის კეხს ორივე ხელით ჩაჭიდული თავს ძლივს იმაგრებდა. ყველაფერს ბუნდოვნად ხედავდა. ხეები ერთდებოდა, ერთ კედლად დგებოდა წინ, მიუახლოვდებოდა, ის იყო, უნდა დატაკებოდა, მაგრამ ხეები კვლავ შორდებოდა ერთმანეთს. ასე მეორდებოდა დაუსრულებლად და ეს თავბრუს ახვევდა, მის ღონეგამოლეულ სხეულს, უგრძნობს ხდიდა, უნაგირზე ირწეოდა, უკვირდა, რა განგებას ეკავა მისი ტანი. ეკავა ერთ გაფთრებულ ჟინს — დასწეოდა, დაეჭირა ზურხაია.

— ვერ წამივა, ის ღორის შვილი... —

ჯვებე ტყვიანაკრავივით შედგა. ეკა უკან მოეფარა. მათ წინ ორი მდევარი იდგა. არაქათგამოლეულები, გაოფლიანებულები და გასვრილები, კოღოებისგან დაკბენილი სახე წამოსიებოდათ, თვა-

ლები ჩასისხლიანებოდათ, სულს ძლივს იბრუნებდნენ. გაქაფული, დაჯანდაგული ცხენები მთელი სხეულით თრთოდნენ.

ჯვებემ თვალი დაახამხამა. მზე დაუბნელდა, გაქრა ტყე, მიყუჩდა ხმები. „ღმერთო, რისთვის მოვიკალი თავი!..“ მისდა გასაოცრად, უცებ შეურიგდა ბედს. ქვეყანამ ისევ დაიდო თავისი ფერი, გაიღო თავისი ხმა.

ის ორი მხედარი ისევ ისე იდგა. ისეთივე ყმები, ისეთივე ერთგულები მურზაყან ბატონისა, როგორც თვითონ იყო, ჯვებეს ნაცნობ-მეზობლები, ერთ ბედქვეშ მყოფნი. „მივალ, ფეხებში ჩავუვარდები, ვთხოვ, ეკა გაუშვან, ვითომ არ უნახავთ“, მწარედ გაეცინა გულში. „რატომ დაიღუპავენ თავს? მურზაყანი ცხენის კუდზე გამოაბამს ორივეს. აი, ახლა დაუძახებენ სხვებს, აქ არიანო“.

მხედრებმა შეხედეს ერთმანეთს, რომელმა დაუძახოსო.

„თვალი ხომ არ მატყუებს?.. რა მემართება?..“

მხედრები შეთქმულებივით უყურებდნენ ერთმანეთს. მიმოიხედეს. ერთერთმა ანიშნა, თავს უშველეთო, მერე შებრუნდნენ და სხვა მხარეს გაქუსლეს.

ჯვებე გაშტერებული იდგა.

— რას უდგახარ, წიე? — ხელი ჰკრა ეკამ.

გაიქცნენ თელებისკენ. ყეფა-თქარუნი ისე აღარ აშინებდათ. ნამცეცი იმედიც ადამიანისთვის დიდი ძალაა. გარბოდნენ ხსნის რწმენას ბრმად დაყრდნობილნი. სულ ახლოს ეგულებოდათ მდინარე. „ჩავურბენთ თელებს და იქვეა“. ფიქრობდა ეკა. მდინარიდან თითქოს იხვების კვატკვატიც ესმოდათ. მდინარის პირზე იყვნენ გაზრდილები, თევზივით ცურავენ, შეუძლიათ ძალიან დიდხანს იცურონ ყვინთვით, შეუძლიათ დაუსრულებლივ იცურონ ყვინთვით, ოღონდ მდინარემდე მიაღწიონ.

მიირბინეს თელებთან. ჯვებემ დაინახა, რომ მდინარე არც ისე ახლო იყო. მართლა დაუჯერა თავის ტყუილს. ალბათ მარტო ეკას არ ამხნევებდა, თავსაც იმხნევებდა. მძიმედ ამოისუნთქა, სული თან ამოაყოლა. ასე ხდება, ხშირად ადამიანს ის გონია, რაც უნდა.

ამაოდ გარბიან. ძაღლები კუდში მისდევენ. ვერა, ვერ მიაღწევენ მდინარემდე. ამ აზრმა ტყვია ჩაუსხა ისედაც სასოგამოლეულ მუხლებში. კი არ გარბოდა, მილასლასებდა. ეკასკენ არ იხედებოდა, რომ არ დაეყვირა, მოგატყუე. ამაოდ გავრბივართ, დასრულდა ჩვენი გზაო. „ძაღლები დაგლეჯენ ეკას... ძაღლები დაგლეჯენ ეკას...“ დაუსრულებლად იმეორებდა გონებაში და ახლა უკვე შიში წინ კი არ მიერეკებოდა, ფეხს უბორკავდა, ხეებს აწყდებოდა, მზე თვალში აყრიდა თავის მწველ სხივებს, რეტს ასხამდა.

ყეფა-თქარუნი მატულობდა, ახლოვდებოდა. მოხედვა უნდოდა ჯვებეს და თავს ვერ აბრუნებდა, თითქოს მთელი სხეული ხაჯალურში ჰქონდა გაჭედილი. „ძაღლები დაგლეჯენ ეკას...“ ოფლმა თვალები ამოუვსო, ვეღარ ხედავდა ხეებს, ბუჩქებს, ბარდებს, ხელების ცეცებით მიდიოდა, მაგრამ ხელებიც არ ემორჩილებოდა, ხელებშიაც ჩაესხა ტყვია, დაუმძიმდა, ჩამოეკიდა და მასთან ერთად ირწეოდა. „ღმერთო, ნუ დააგლეჯინებ ძაღლებს!.. ნუ დააგლეჯინებ ძაღლებს, ეკას!“ შედგა. ხელები მუხლებზე წაივლო, რომ არ დაცემულიყო.

— ეკა, წადი შენ, — უთხრა ქოშინით, — მე შევაჩერებ მათ... მე შევაჩე-

ბიბლიოთეკა

რებ მათ... მდინარე აქვეა, სულ ახლოს... მე შევაჩერებ მათ...

— გაჩუმდი, წიე! — გაუწყრა ეკა, — როგორ იფიქრე ასეთი სისულელე, — ხელი მოჰკიდა და ძალით წაიყვანა წინ.

— მე შევაჩერებ მათ...

— წამოდი, ჯვებე, წამოდი, შენი ჭირიმე.

— ეკა, ყური დამიგდე... — ენას ვეღარ აბრუნებდა, დაძაბა ფილტვები და დაიყვირა: — გესმის წკავწკავი?.. მე შევაჩერებ...

ეკა მოტრიალდა და სილა გააწნა, მერე შებრუნდა, წინ წავიდა.

ჯვებე გამოერკვა. უცებ თვალს სხივი დაუბრუნდა. იდგა და უყურებდა ეკას. ტახს საძრაობა დაუბრუნდა. ფეხი წინ წადგა. „არა... ძაღლები ვერ დაგლეჯენ ეკას.“ ამოძრავდნენ ხელები. „ძაღლები ვერ დაგლეჯენ, ეკას“. რაღაც აზრის ნაპერწკალმა გაჰკრა. „ძაღლები ვერ დაგლეჯენ ეკას“. დაეწია ეკას, დაუმხარიმხარდა.

ეკას თვალები წამით დაწმენდილი, ნაზი, ოქროსფერი სხივით აენთნენ.

„ვეღარ დაგლეჯენ ძაღლები, ეკას“. აღარ წავიდა მდინარისკენ, ვერ მიასწრებდნენ მდინარემდე, ძაღლების თათების ფხაჭაფხუჭი ესმოდა უკვე. „ვერ ნახავენ მურზაყანის თვალები ამას...“

ეკა თითქოს ძაღლების გაცოფებულ მზერასაც კი გრძნობდა თავის ზურგზე. ..სად გავრბივართ? რაღა აზრი აქვს?“ საცაა დაეცემა, ფეხს აღარ მოიცვლის, სულ ერთია მისთვის, რა დაემართება. გინდ გაყიდონ, გინდ ძაღლებმა დაგლიჯონ, ოღონდ გათავდეს ეს წამება, ეს ჯოჯოხეთი... რატომ არ ეწევიან ის სამგლეები, რამ დაუბორკათ ფეხები?.. მოხდეს, რაც მოსახდენია... მურზაყანს ვინ წასვლია ხელიდან, რომ ჩვენ გავქცეოდით!.. არა, აღარ ეშინია ძაღლების... აღარ ეშინია სიკვდილის... ის ღმერთი უწყრებათ იმ სამგლეებს!..

დაეცა. არ უცდია წამოდგომა. უცდიდა ძაღლებს. ხედავდა მათ დაღრენილ ცხვირ-პირს, გაშიშვლებულ, დალესილ კბილებს, სისხლიან თვალებს. ძაღლების ცხვირ-პირი მრავლდებოდა, ქანაობდა, ირწეოდა, ერთდებოდა, როგორც სქელი სითხე, ბრტყელდებოდა, როგორც თხელი ცომი, მაგრამ მათ დალესილ კბილებს, და სისხლიან თვალებს მაინც ხედავდა. ჯერ ბრჭყალები ჩაასვეს ზურგში, მერე კბილები. შეკივლა და მიწაზე პირქვე დაემხო.

დაწვდა ჯვებე, ძლივს აიყვანა ხელში. მოშვებული, უგრძნობი ტანი კიდევ უფრო მძიმე იყო და წელში მოხარა. მაინც წავიდა წინ. ერთი ნაბიჯი... ორი... სამი ნაბიჯი... ვერა, ვერ დაგლეჯენ ძაღლები, ეკას... ოთხი ნაბიჯი... ხუთი... აერია თვლა, გონება დაუნისლდა, მკლავები ვეღარ იკავებდნენ ეკას ტანს. შვიდი ნაბიჯი... ათი... თხუთმეტი...

— ჰეი, აქეთ, აგერ არიან!

ეკას ტანი ქვევით ეშვება, საცაა გაუვარდება ხელიდან. არაფერი ესმის. არაფერს ხედავს. ჩვიდმეტი ნაბიჯი... ოცი... ფეხქვეშ მიწა გამოეცალა, თითქოს მიფრინავს. ფრთები შეესხა და მიფრინავს. ორმოცი ნაბიჯი. ილორის, ბედიის, ხობის, ხეთის, წალენჯიხის, მარტვილის, ცაიშის მონასტრებსა და ეკლესიებში უნახავს ფრთიანი წმიდანები. ღმერთმა შეიწყნარა მისი ვედრება, ფრთა შეასხა. თქარუნი, წკავწკავი, ფრუტუნი და ყიჟინი თანდათან ჩამოჩა, ბურანში ესმის, ღმერთმა შეისმინა მისი ვედრება. მაგრამ ეს რა ემართება?! რაღაც ცხელი აბუყბუყდა ყელში, დაეძაბა სახე, დაახველა, ტუჩი წებოვანი

სისხლით შეეღება. არა... არა... ოღონდ, მურზაყანმა არ ნახოს, როგორ დაგლეჯენ ძაღლები და მკვდარიც ივლის. თვალიდან ლიბრი გადაეცალა... ჭაობი... აქეთ მოისწრაფოდა... ჭაობი... ეკას ტანი რამდენადაც შეეძლო, კიდევ შესწევდა ძალა, მაღლა ასწია, მკერდზე მიიკრა, რომ არასოდეს მოეშორებინა... შევიდა ჭაობში. სქელი იყო ჭაობი, წებოვანი, ფეხი ვერ მოინაცვლა, თქარუნი და წკავწკავი სწრაფად ახლოვდებოდა. ვერა... ვერ ნახავენ... მურზაყანის თვალები... საიდუმლოდ განაბული, გაურკვეველ ფერებით ბინძურად აჭრელებული ჭაობის მერწყევი ზედაპირი პირქუშად მოძრაობდა, როგორც ცოცხალი მუცელი. აქა-იქ მსხვილი, გაზით სავსე ბუშტები ყრუ ფუყფუყით სკდებოდა, ზუზუნებდა და საშინელ მყრალ სუნს აფრქვევდა. მუხლზე დაეშვა, რომ ამ მყრალ მუცელს სწრაფად მიეღო თავის საშოში...

მოცვივდნენ ძაღლები, მაგრამ ჭაობით დაფეთებულები უკუდგნენ, გააფთრებით აწკმუვლდნენ გაწბილებულნი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იური ნაგიბინი

# აპრილი ტყეში

მოთხრობა

შუა აპრილში ადიდდა და აიმღვრა ღელეები, მოსკოვის ახლო დაბას სამი მხრივ რომ ერტყმიან. ყოველი თხრილი რუდ იქცა. მალე წავლენ ქარიყლაპიები ქვირითის დასაყრელად, ტოფობას დაიწყებს ქორჭილა, შემდეგ — ნაფოტა. სათევზაო ხელსაწყოებზე ფიქრის დროა. ბავშვობიდან მიყვარს თვითნაკეთები ანკესის ჯოხი. ავიღე ბასრი დანა და ხშირი, შერეული ტყის გადაღმა გავემართე ჩვენს დაბასა და სოფელ ვორონოვოს გზებს შორის მდებარე კაკლების ხეივნისაკენ.

სიარული ჭირდა, რეზინის ჩექმები ხან მისრიალებდა ნოტიო თიხნარზე, ხან შიგ ეფლობოდა, როგორც ჭანჭრობში. ტყეს რომ მივაღწიე, მხოლოდ მაშინ ვიგრძენი შედარებით მყარი ნიადაგი.

ჩემს წინ, მხარდამხარ, მიდიოდნენ ბიჭურად აწოწილ ვიწრო მხრებიანი ახალგაზრდა ჯარისკაცი და მოკლე პალტოში გამოწყობილი, ბერეტიანი, მომცრო ტანის გოგონა. ჯარისკაცს ხელში არყის ხის წკეპლა ეჭირა და გზადაგზა ნაძვისა და არყის ხის ტოტებს შოლტავდა. გოგონა თავჩაქინდრული მიყვებოდა და ატალახებულ გზაზე რაღაცას დაქინებით ათვალიერებდა.

ნაბიჯი შევანელე, მათთვის ხელისშეშლა არ მინდოდა. ტყე იყო შიშველი, სველი, მიუსაფარი და მაინც გაზაფხულისებურად კარგი. გზის კიდეებზე გაშიშვლებული ნოტიო, მუქი კორდი ალაგ-ალაგ მრავალძარღვას სრულიად ქორფა ფოთლით ამწვანებულიყო. ზოგან კი ბალახს ამოეფეთქა, თოვლის ქვეშ რომ შემოენახა ზაფხულის ხასხასა სამოსი. წიწკანები აწრთობდნენ თავიანთ საცოდავ ხმებს; სწრაფად დაფრინავდნენ ხიდან ხეზე, გზისპირას, არყის ხისა და ვერხვის გადმობურცულ ტოტებზე თანაბრად ირწეოდნენ, და მიწას გამდნარი თოვლის წვეთები ეპკურებოდა.

თუმცა ნელა მივაბიჯებდი, ჩემს წინ ქალ-ვაჟი უფრო ნელა მიდიოდა. ისე ნელა, რომ თითქმის გავუსწორდი მათ. ვაჩერდნენ, ალბათ, უკან ჩამორჩენა უნდოდათ. მეც აჩქარებული ნაბიჯით ჩავუარე. ორივე გულდათუთქული ჩანდა. ამას თვალის ერთი შევლებით მიხვდებოდით, ჯარისკაცს ყურებიანი ქუდის ქვეშ ღია ფერის წარბები გართხმოდა შუბლზე, თითქოს ვერაფრით გადაეწყვიტა რთული. მოულოდნელად წამოჭრილი ამოცანა. გოგონას სახე განზე მიექცია და პირს ბეწვის საყელოში მალავდა, რაღაც იყო ჯიუტი და უსასოო, ამ მალულ მოძრაობაში.

მეგონა, კარგად ვიცნობდი ტყეს, რომელშიც ყოველი კუნჭული თხილამურებით მქონდა მოვლილი. კაკლნარში შესვლა მარტოოდენ ტყის ნაპირიდან კი არა, ბილიკითაც შეიძლებოდა, მცირე ხევზე გადასვლით. გზიდან გადავუხვიე. მუხლამდე ვეფლობოდი, როგორც იქნა. ხევამდე მივაღწიე. მოპირდაპირე ფერდობი დაეფარა ჭუჭყიან თოვლს. რომელზედაც ცხენის ნაფეხურებივით ამოტვიფრულიყო მრგვალი ღრმულები ფსკერზე კი ქაფმორეული ნაკადი მიჩრიალებდა და ყინულის დიდრონ ნატეხებს მიაგორებდა.

ისევ გზაზე გასვლა მომიხდა. გადავწიე ბუჩქები, ცივი შხეფების ნაკადი მომეფრქვა, გადავაბიჯე გზის პირს და მაშინვე ჯარისკაცი და მისი თანამგზავრი დავინახე. გოგონა იდგა, ზურგით არყის ხეს მიყრდნობილი, თავი დაეხარა, ჯარისკაცი კი, თითქოს ხელით ჰაერს ჩეხავსო, რაღაცაში არწმუნებდა მას. გოგონა დუმდა, მხოლოდ ხანდახან, უარყოფის ნიშნად, თავს გააქნევდა. ჯარისკაცი ისევ უტევდა, თავის სიტყვაზე იდგა. გოგონა კი სულ უფრო და უფრო ეკვროდა ხის ტანს, თითქოს უნდოდა შეერთებოდა მას, ჩაკარგულიყო მის კაჭკაჭისებურ სიჭრელეში.

არ ვიცი რას მოითხოვდა გოგონასაგან ჯარისკაცი, ვიცი მხოლოდ, რომ არც პირველ და არც მეორე კოცნას არ ემუდარებოდა. ჩვენი სოფლის ხიდზე ამოხეთქა მთელმა ლირიკამ და სინაზემ, რომელიც ჯარისკაცის მკაცრად შეზღუდული შვებულებით იყო განსაზღვრული.

ნაცნობობა, როგორც წესი, იწყება სოფლის კლუბში, სადაც დღეგამოშვებით კინოსურათებს აჩვენებენ, ხოლო შაბათობით იმართება ცეკვები. თუ ორმა ადამიანმა საერთო ენა გამოძებნა, მრუმე და მღვრიე პახორკაზე გადებული პატარა ხიდი მათთვის სამყაროს ცენტრად იქცევა. პახორკაზე, რომელსაც ძაფსაღები ფაბრიკიდან გამოსული თბილი ნარჩენი წყალი სასტიკ ყინვებშიც არ აძლევს გაყინვის საშუალებას.

საღამოობით მოსკოვიდან ავტობუსით დაბრუნებულს ფარების შუქზე რამდენჯერ დამინახავს ხიდის მოაჯირს მდუმარედ მიყრდნობილი ფიგურები. პირველ ხანებში სწრაფად შევბრუნდებოდი ხოლმე, მეშინოდა, არ დამეფრთხო ადამიანები, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ ჩემი შიში ზედმეტი იყო. ისინი არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ გამვლელ-გამომვლელებს. მკაცრად რეგლამენტირებული ჯარისკაცული ბედნიერება ანგარიშს არ უწევდა უბრალო პირობითობას. ხვევნა, მხურვალე კოცნა, სანუკვარი სიტყვის ჩურჩულება, ამ ხანმოკლე შეხვედრის საათებში, მხოლოდ ეს აწუხებდათ მათ. იქ არ მინახავს უბედური შეყვარებულები, გათიშულნი შეუთანხმებლობით, ანდა გრძნობათა მოუგვარებლობით. ხიდი ბედნიერთათვის იყო, მათთვის, ვინც შეიგრძნო თანაზიარობა. და ახლა მტკიცედ მჯეროდა, რომ ხიდზე შემხვედრია ეს ბიჭურად ვიწრო მხრებიანი გამხდარი ჯარისკაცი და მისი პაწაწინა მეგობარიც.

ვიცოდი, რომ ბევრ ჯარისკაცს, რომელთა ბანაკი ჩვენი დაბის ახლოს იდგა, მალე უთავდებოდა სამსახურის ვადა და სამხედრო ნაწილი მოსკოვში გადადიოდა. უეჭველია, დაძაბულობა, რთული ახსნა-განმარტება, რომლის უნებლიე მოწმეც გავხდი, დაკავშირებული იყო მათ მომავალ განშორებასთან. რასაკვირველია, შეიძლებოდა მხოლოდ გვევარაუდა, რაზე ლაპარაკობდნენ ისინი. შესაძლოა, ვაჟი თხოვდა წაყოლოდა, ანდა ჩასულიყო მასთან, როდესაც იგი დამკვიდრდებოდა მშობლიურ ადგილებში, შესაძლოა, წინადადებას აძლევდა ახლავე დაეკავშირებინათ ერთმანეთთან თავიანთი ბედი, ანდა, პირიქით, თხოვდა ლოდინს, არწმუნებდა, რომ თავად დაუბრუნდებოდა ქალს. არ ვიცი. საუბარი კი მნიშვნელოვანი იყო. გოგონას არ სჯეროდა, ან ეშინოდა დაეჯერებინა ჯარისკაცისთვის ან შესაძლოა ვერ გადაეწყვიტა თავისი ცხოვრების შეცვლა, თუმცა ახლობელი და ძვირფასი, მაგრამ მაინც ნაკლებ გამოცდილი ადამიანის გულისათვის.

— გამიგე!... — მომესმა ვაჟის ნაღვლიანი გულის სიღრმიდან ამოსული ხმა.

მინდოდა შეუმჩნევლად ამევლო გვერდი მათთვის, მაგრამ ვერ მოვახერხე. ჯარისკაცის ბრაზმორეული მზერა მეკვეთა სახეზე, ისევ გოგონას მიუბრუნდა იგი. აჩქარებული მივაბიჯებდი ჩამავალი მზის სხივებით გაბრწყინებული ტყის პირისაკენ. კუნელის შიშველი და გა

ლეული ბუჩქის ძირას, ყინულოვან ღრმულში, რაღაც ლურჯად ელავდა. „ნუთუ ენძელაა-მეთქი“ გავიფიქრე; მაგრამ, როგორც კი მივუახლოვდი, დავინახე, რომ ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ მიწას მიყინული კომფეტის ქაღალდი. მეზობელ ბორცვზე კი ყვითელი ალივით აბრიალებულიყო ვირისტერფას ყვავილი.

ზურგს უკან გაისმა მსუბუქი, ხრაშუნა ნაბიჯი და ჩემს გვერდით აჩქარებით გაიარა გოგონამ, — ნამტირალევი სახე ამარიდა. ამას მოყვა სხვა, უფრო მტკიცე და ასევე აჩქარებული ნაბიჯი. ნაწყვეტ-ნაწყვეტად სუნთქავდა და ცხვირში სუტუნებდა ჯარისკაცი. იგი დაეწია გოგონას, ხელმკლავი გაუყარა და გზიდან მაღალ, თითქმის კენწეროამდე შიშველ ფიჭვისაკენ წაიყვანა.

„აი, ვდგავარ შენს წინაშე, გულგახსნილი, არაფერი მაქვს საიდუმლო შენგან დაფარული“, თითქოს ასე ამბობდნენ ჯარისკაცის ხელები, რომლებიც ხან გულთან მიჰქონდა, ხან კი ფართოდ და უმწეოდ შლიდა.

გოგონა შეშინებული, თითქოს რაღაცას ეძებსო, ხარბად შესცქეროდა ცრემლისაგან დამძიმებული თვალებით, შეჰყურებდა მას, როგორც ფსკერამდე გამჭვირვალე ნაკადულს, მაგრამ თავისი სუსტი სულით ვერ ბედავდა დაეჯერებინა ეს აშკარა სიცხადე და ისევ ხისკენ შებრუნდებოდა და ტიროდა. შემდეგ კი, სიტყვის უთქმელად, როგორღაც გვერდზე გასხლტა და გზის გასწვრივ განაგრძო სიარული. თითქოს ფეხები თავისთავად აშორებდა სასურველ ბედს, და შიშობდა მისთვის ჩვეული მყუდროება არ დაეკარგა ცხოვრების დიდ, გაშლილ გზაზე.

ჯარისკაცმა ოდნავ შეანელა სვლა და შემდეგ ისევ წამოეწია გოგონას. წუთით მის თვალწინ აღმოვჩნდი, მაგრამ ახლა უკვე აღარ ეწყინა. ჩემი თავი აღარ ჰქონდა. მთელი მისი არსება პატარა გოგონასაკენ იყო მიმართული.

ჯარისკაცი ისევ ელაპარაკებოდა და გოგონას ხელზე ხელს კიდებდა, რომელზედაც ქალწულს ლურჯი, წითელზოლებიანი უთითო ნაქსოვი ხელთათმანები ეცვა. გოგონა ისევ სუსტი, ორჭოფული მოძრაობით უსხლტებოდა მის სიტყვებს, თვალებს, ხელებს.

ჯარისკაცმა თვალი გააყოლა და თავი შეურაცხყოფილად დახარა. ალბათ, ვაჟკაცურმა თავმოყვარეობამ გაიღვიძა მასში. მაგრამ ამან მხოლოდ წუთით გასტანა. ჯარისკაცმა იცოდა თავისი სიმართლე, და ეს სიმართლე შეურაცხყოფაზე ძლიერი იყო, ყველაფერზე ძლიერი, ვიდრე პატარა სიამაყე, რომელიც ადამიანის გულს აღაგზნებს. ამ სიმართლემ ისევ უბიძგა და გოგონას კვალდაკვალ გააყოლა.

ტყის ნაპირთან დაეწია. აქედან დაწყებული, შორს, ტაფობში, ყავრის სახურავიანი სახლებით შავად გამომზირალ ვორონოვამდე თოვლით დაბარდნილი ტრიალი მინდორი და ლილოჭრელი გაწოლილიყო. აქ არ იყო არც ხე, არც ბუჩქი, ყვერის ღერიც არ ჩანდა მიწაზე. მხოლოდ—თეთრი, მიუსაფარი სიშიშვლე. და გავიფიქრე, თუ ჯარისკაცი სასურველ პასუხს ვერ მიაღწევს ახლა, ტყიდან გასვლამდე, მისი საქმე მოთავებულია-მეთქი. შესაძლოა, ეს აზრი იმიტომ დამებადა, რომ ისინი ხეების საიმედო სიახლოვეში პოვებდნენ თავშესაფარს და ნავსაყუდარს დაძაბული ახსნა-განმარტებისათვის. მინდორში კი ვერსად გაჩერდებოდა, ვერაფერს მოერიდებოდა. — სწორი თიხიანი გზა მოემართებოდა, პირდაპირი და განაჩენივით უიმედო.

მგონი, არ შევმცდარვარ, რამდენიმე ნაბიჯის გავლის შემდეგ დავინახე, გრძნობამორეული გოგონა სწრაფად მიეკრო ჯარისკაცს, მთელი ტანით მიეხუტა, მერე ხელი ჰკრა და თითქმის სირბილით გაექანა უკაცრიელი მინდვრისაკენ.

ჯარისკაცი უძრავად გაჰყურებდა მიხვდა, ყველაფერი გათავებული იყო და იქვე, არც შერცხვენია, ვინმე დამ-

 

ნახავსო, შუბლით მიეყრდნო ვერხვის სველ ტანს და ატირდა. ყურებიანი ქუდი მხრებზე ჩამოუცურდა, და გამოუჩნდა გახოტრილი, ღია ფერის ჯაგარივით თმა, რომელიც ეს-ესაა იწყებდა ამოსვლას. იგი მიხვდა სიტყვათა მთელ ამაოებას, მიხვდა, რომ გოგონას სათუთ გულს ვერ დაიპყრობდა და მწარე ხვედრს შეურიგდა.

ყოველივე ნანახით აღელვებულმა, ავუხვიე ბილიკისაკენ, რომელიც ტყის ნაპირს თხილნარამდე მიუყვებოდა. ვორონოვოს გადაღმა, მრგვალი, ქოლოსფერ-ვარდისფერი მზე, არ აბრწყინებდა არც ცის მუქ ღრუბლებს, არც მის წინ ჩამუქებულ მიწას. კოლბოხიდან კოლბოხამდე ღრმა, მღვრიე გუბეებსა და აქაფებულ ღელეზე ხტუნვით, ბოლოს და ბოლოს, მივაღწიე კაკლნარამდე და ანკესის ჯოხის გამოთლას შევუდექი. კაკლნარმა შური იძია, თავიდან ფეხებამდე გამლუმპა. მოვჭერი ათამდე დრეკადი ყვერი და გავსხიპე, მხარზე გადავიდევი და უკან გამოვეშურე. ახლა გადავწყვიტე, შარაგზაზე გავსულიყავი.

გადავჭერი კაკლის ტყე, შემდეგ მინდორი, რომელზედაც ამ გაზაფხულის ადრე მოფრენილი ჰილყვავები დაბორიალობდნენ, და გზაზე გავედი.

მზე ჰორიზონტს ამოფარებოდა. ცის დასავლეთ მხარეზე ბინდი ჩამოწვა. სამაგიეროდ, მოპირდაპირე მხარე დღესავით განათდა, ტყის თავზე ამოვიდა გამჭვირვალე, მსუბუქი, მომწვანო-მოცისფროდ მოელვარე ოქროსფერი, არაჩვეულებრივად მრგვალი მთვარე, ჩემს საპირისპირო მიმართულებით დაიძრა და ფიჭვის კენწეროებსა და მაღალ ძეწნებს მოელამუნა.

მუქ კედლად აღიმართა ტყის პირი. მაგრამ სანამ შევიდოდი, მთვარის მკრთალი შუქით განათებულ მის ბინდბუნდში დავინახე ორი შავი ფიგურა, და გაოცებულმა ჯარისკაცი და მისი გოგონა შევიცანი, თურმე შევცდი — მინდორი მთლად მოტიტვლებული არ იყო. ტყემ, თითქოს ფორპოსტიაო, წინ პატარა, ბუმბულა ნაძვის ხე წამოაყენა, უმწეო ბავშვივით იდგა ის ნაძვი, ტყის პირიდან სულ რამდენიმე ნაბიჯზე, შარა გზის კიდეზე, და მე კი ვერ შევამჩნიე იგი. და აი, აქ, ამ ფიჭვნართან, როგორც უკანასკნელ საზღვართან, ჯარისკაცი ახლა უკვე სამუდამოდ დაეწია თავის თანამგზავრს, მათ ადგილები გაეცვალათ: ახლა ვაჟი მიყრდნობოდა ხეს და ხის წვრილი ღეროც ვაჟის სხეულის სიმძიმისაგან გამოზნექილიყო. მუქი, ნემსებიანი ტოტები ყოველი მხრიდან ერტყმოდა მას, მხრებთან ქანაობდა, ყურებიან ქუდს უსერავდა. გოგონა გზის პირას იდგა და მზრუნველი, დიასახლისური ქცევით უსწორებდა ჯარისკაცს ხან ქამრის ბალთას, ხან მაზარის, დუგმას, ლაპარაკობდა რაღაც უბრალო და სერიოზულ საყოფაცხოვრებო ამბებზე. ეს მის შეფიქრიანებულ, მაგრამ მშვიდ სახეზეც იკითხებოდა, მისი საჩვენებელი თითის შთამაგონებელ მოძრაობაშიც. იგი თავის უფლებებში ჩადგა, და ეს უფლებების მიღება ამ შეუპოვარმა, უკანდახევას შეუჩვეველმა ვაჟმა აიძულა.

როდესაც გვერდით ჩავუარე, ჯარისკაცის თვალებში რაღაცამ გაიელვა, — შესაძლოა, წუთით ჩემსკენ მობრუნებულმა თვალის გუგამ აირეკლა მთვარის შუქი და მოკლე, თბილმა სხივმა ჩემამდე რომ მოირბინა, თითქოს მისი ბედნიერების ზეიმის თანამონაწილე გამხადა.

სიხარულის გრძნობით შევედი ტყე-

ში და ნაცნობი გზით სახლისაკენ გავეშურე. მთვარე არ მცილდებოდა, მორბოდა ხეებს შორის, თითქოს არყის და ნაძვის ხის ტოტებს ითვლიდა. მერე უეცრად, გზის მოსახვევში, პირდაპირ ჩემს წინ ჩამოეკიდა და გაქვავდა, უცნაურად ნათელი და გაზაფხულივით გაუხუნარი. მე პირდაპირ მისი შუქისაკენ გავემართე. ვფიქრობდი იმ კარგსა და კეთილზე, რაც ეს-ეს იყო მოხდა ტყეში.

გამოგიტყდებით, ვერ შევაფასე თავიდან ეს ჯიუტი და კერპი ჯარისკაცი. ხომ ბევრჯერ ხდება ცხოვრებაში, ერთი ნაბიჯი გაშორებს ბედნიერებას და შენ. გრძელი და მძიმე გზის გადამლახველი უეცრად ველარ პოულობ საკუთარ თავში ვაჟკაცობას, რწმენას, და ამის გამო ხელიდან გისხლტება საკუთარი ბედნიერება. ის კი, ის ჯარისკაცი არ იყო ასეთი: მას ეყო ძალაც, თავდადებაც და სულიერი სიმდიდრეც, რათა გადაედგა ეს უკანასკნელი, გადამწყვეტი ნაბიჯი და ხელთ ეპყრო ბედნიერება.

თარგმნა მ. აბიაშვილმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კალე ბობოხიძე

# და აელვარებს ცეცხლის რაკეტას...

ქვეყნად ყოველი ისწრაფვის ცისკენ:
ადამიანი, მთა და მცენარე...
რაკეტა ჰკვეთავს ღრუბელთა სივრცეს,
ზღვაც ყალყზე დგება მარად მღელვარე.

ცაა ოცნების ნავთსაყუდარი,
უსასრულო და დაუსაბამო,
ხან იმოსება შავი სუდარით,
ხან ოქროს ყდაში ჩასვამს საღამოს.

ქვეყნად ყოველი ისწრაფვის ცისკენ,
მთვარის, მზის იქეთ ჩანს ვარსკვლავეთი;
ცა იდუმალი თვალებით გვიცქერს,
ხან მოკუპრული ჩანს დასავლეთი.

კაცი წინ სწრაფვას არ იშლის მაინც
და აელვარებს ცეცხლის რაკეტას,
ხან ზამთრად აქცევს მეწამულ მაისს
და ხან ალმურით ზამთარს ჩაკეტავს.

ლურჯად ლივლივებს ცა უცნაური,
ვერცხლისფრად ელავს ირმის ნახტომი;
გრიალებს ქარი, მოქრის ზღვაური
მშვიდობიანი ბრწყინავს ატომი.

ქვეყნად ყოველი ისწრაფვის ცისკენ,
და ცა ქვეყანას უფრო შორდება;
მაგრამ რაკეტა იელვებს ისევ
და სხვა შეტევა განმეორდება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია ასათიანი

# სერაფიტა

ო, სერაფიტა,
შენი საფლავი
ნაშენი ქვითა,
სავსეა მდუმარ
იდუმალებით,
როგორც ოდესღაც
შენი თვალები.
იყო არმაზი,
წარწერა ქვაზე;
გაჩნდა თბილისი,
გაჩნდნენ წიგნები.
შენ არსებობდი,
დღეს მეც ვარ, მაგრამ
მალე, სულ მალე
აღარ ვიქნები...
ო, სერაფიტა,
დავცქერი საფლავს
ნაშენებს ქვითა,
და ვაბნევ ყვავილთ
ჩამქრალი ფერფლით
დაფარულ ფსკერზე.

ეროვნული

ჯალალ ედ-დინ რუმი

# შამს თაბრიზის დივანიდან

* * *

დღე ამას ვდარდობ შუმი და სადა,
ღამით ფიქრები ამიდის ცადა, —
რატომ არ ვიცი, ვინ ვარ და რა ვარ,
ასე რეგვენი რადა ვარ, რადა?
რაისთვის მოველ ამ ქვეყანაზე,
აქეთ ვინ მხადა ან რატომ მხადა.
საით მომიწევს აქედან წასვლა,
სამკვიდრო ჩემი სად არის, სადა?
მიკვირს და მიკვირს, რატომ დამბადა,
ამ ქვეყანაზე ვინც მე დამბადა,
და თუ დამბადა, რატომ დამდაგა,
ამ ქვეყნად მოსვლა ღირდა კი ანდა?
ბარგი-ბარხანა ავიკრა უნდა,
გასამგზავრებლად რომ ვიყო მზადა, —
იმ ქვეყნად მივალ, ამ ქვეყნად ყოფნის
გავიდა ყველა ყავლი და ვადა!
ნეტავი იმ დღეს, შენს შესაყრელად
როცა ვიქნები გასული გზადა;
ნეტავი იმ დღეს, საიმნექტარო
უკვე ალმეძრა აქედან მადა!
მანდ არის ის, ვინც ამიდგა ენა,
ვინც მე მამღერა და მაღაღადა?
მანდ არის ის, ვინც მომაპყრა სმენა
კაცს გადაქცეულს მღერად და ხმადა?
გზა საით მიდევს, არავინ მითხრა,
ქვეყნად პატივი არავინ მცა და,
თავად უმწეომ გონებამ ჩემმა
შეცნობა მისი ამაოდ სცადა.
დამათვრე ღვინით, დამათვრე ღვინით,
რომ გალეშილმა ვთქვა: „მიდი, ჰკა!“ და
მარადისობის დილეგის ბჭენი
წიხლების ცემით დავლეწო მთლადა.
აქ ნებით ჩემით როდი მოვუსულვარ
და როდი დავალ ბარად თუ მთადა,
ვინც მომიყვანა, წაყვანად მოვა,
ვითა მთესველი თავთავთა მკადა.
თუ არ ვსვი, ისე როგორ ვიმღერო!
რომ დავლევ, მყისვე ვიქცევი სხვადა.
ლექსის სათქმელი ენა მიშრება,
მასვი, ლექსები ვადინო ზღვადა.
ეჰა, შამს თაბრიზ, ოღონდ მეჩვენე,
ოღონდ გამეცი შორიდან ხმა და
მზად ვარ, ეს მძორი დავაგდო აქვე.
დრო დადგა, ხანჯლის მოვსინჯო ვადა?

* * *

თავიც თავად ხარ და სულიც, შვილო,
თორემ ნაცვალი ვინა გყავს, ვინა!
მოყვასის შენის ნახვას თუ ცდილობ,
მიდი და სარკე დაიდგი წინა.
შენ პირზე შენვე იკოცე, ხოლო
განდობით შენს ყურს გაენდე მხოლოდ,
ღირსების შენის შენ სცანი ბოლო
და თავიც იქე, რამეთუ ბრწყინავ.
რა ვუყოთ მერე, თუ ვინმემ გცინა,
შენს საიდუმლოს თუ შენში სძინავს?
სხვის წინ ნაზობამ აბა რა გძინა,
ხვაშიადს გულში მიეცი ბინა.
შენვე ხარ შვილი, შენვე ხარ მამაც,
რაიც შეიქმნა და შექმნა რამაც.
ვერ მოგიძებნოს ბადალი ცამაც,
ლალიც შენვე ხარ, აყიყიც გინა.

* * *

მე ვარ თეთრი შევარდენი,
სხვას ვის ნახავთ ჩემსა ტოლსა.
გნოლი ჩემთან რას გახდება,
ვეცემი და გავგლეჯ გნოლსა.

სულს ვეძახი დიასახლისს,
მამასახლისს — თავს მის მყოლსა,
ფრთხილად იყოს სული, თორემ
სულაც სილაქს ვაჭმევ ცოლსა.
შე ბებერო თაფლის ჩარჩო,
თაფლი მომე, თორემ მოგსრავ,

ქილას თავზე გადმოგამტვრევ,
აგიყენებ ზურგზე ბოლსა!
ეჰ, შამს თაბრიზ, ეს რა მკადრე,
„ჩამოჯექო ჩემთან მოლსა!“
მე მეფე ვარ და დიდების
შარავანდი თავზე მმოსავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

წადი, ჩემო მეგობარო,
შენს ბალიშზე დადე თავი.
ვერ მიშველი და ამაოდ
ნუ დამყვები მდადესავით.
თავს ტყუილად ნუ იტანჯავ,
მე სასჯელი მადევს ავი.

ჩემი ცრემლით მორწყულ ველზე
ყანასაც კი დათესავდი.
ღამით ვგმინავ, დღისით მოთქმის
ზარს ვარისხებ მნათესავით.
ჩემებრ ჯერე არ ტანჯულა
ქვეყნად კაცის ნათესავი!

* * *

ღმერთი არა გწამთ? — მითხარით, ვინ ვარ,
ჩემს გაოგნებას დაუდეთ ზღვარი.
არც მუსულმანი გახლავართ გულით,
არც ქრისტიანთა გზაზე ვარ მდგარი.
არც მაშრიყელი არა ვარ, ვიცი,
არც მაღრიბელთა ვყოფილვარ დარი.
არც ზღვის გულია სამშობლო ჩემი,
არც ეს ხმელეთი ესოდენ მყარი.
არ მომდგამს მიწა, არ მომდგამს წყალი,
არ მომდგამს ცეცხლი, არ მომდგამს ქარი.
არავითარი ამ ქვეყნის ნივთი,
არავითარი იმ ნივთთა დარი.
არც ინდოელთა მოვსულვარ მთებით,
არც გამივლია ბოლღართა ბარი,
არც ვარ ჩინელი, არც ხორასნელი,
არცა ვარ მკვიდრი ერაყის მხარის.
არც იმ ედემის იმედი მალხენს,
არც ჯოჯოხეთის არ მზარავს ზარი.
ადამი არ ვარ და ევაც არ ვარ,
არც მხიბლავს მათი სამოთხის კარი.
სამკვიდრო ჩემი არ არის არსად
და ყველგან ჩემი სამკვიდრო არი.
არავითარი ნიშანი არ მაქვს
და მარადისი წინ მიდგას დარი.
იმ გაორებას ვაქციე ზურგი,

მე რომ მაწვნია დღეები მწარი.
ერთს ვეძებ მხოლოდ, ერთს ვეძებ მხოლოდ
და ენაც მხოლოდ ერთისთვის ვძარი.
ის არის პირველ, ის არის ბოლო,
ის არის ჩემი არსობის ფარი.
მხოლოდ ის ვცანი მე შორის სხვათა,
მხოლოდ მას აქებს დღეს ჩემი ქნარი
ხომ საიქიო არ მწამს და არ მწამს,
სააქაოსაც ხომ ხელი ვკარი!
ტრფობისგან მთვრალი მივენდე რინდებს
და მაწანწალებს ავუბი მხარი.
მე სიყვარულმა ჩამიდგა სული,
მაპკურა გულზე ციური ცვარი.
და სჯობს ტრფიალით ვცოცხლობდე,
ვიდრე
უსიყვარულოდ ძირს ვეგდო მკვდარი.
რა საოცარი ბარტყი ვარ, კვერცხში
დავფრინავ, თუმცა კვერცხს არ აქვს ბზარი.
ჩავფლულვართ ქვეყნად არსობის ლაფში
მე, ჩემი მოდგმა და ჩემი გვარი.
გესმის, შამს თაბრიზ, დავთვერი მაგრად,
ისე ვსვი, როგორც გინახავს ხარი.
ახლა წანწალი დავიწყო უნდა
და იქნებ სადმე შევჩერდე წყნარი.

სპარსულიდან თარგმნა
**მ. თოდუამ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე კალანდაძე

# რასობრივ სამსახურში

## დოკუმენტური რომანი

ბილმაიერი ბუნებით ბუზიყლაპია კაცი იყო, მაგრამ რაც კუპიდონმა ფრთა შეახო, თავს აკლავდა კანცელარიის საქმეებს, მდივანმწიგნობრული კალიგრაფიით ავსებდა შემოსავალ-გასავლის წიგნებს, რითაც გუსტავ პირველის აღტაცებას იწვევდა. რაკი მეცენატი გამოუჩნდა, ფანტაზიაც გაუცხოველდა, ახალ-ახალ ხერხებს იგონებდა კარიერისაკენ გზის გასაკაფავად და მოკლე ხანში ისე დაიგეშა, რომ რაიხსდოიჩეებსაც კი აოცებდათ მისი გაძრომ-გამოძრომანი.

ერთ დღეს მოიტანა ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი ფერადი სამხედრო სურათები, „ფიურერისა“ და „რაიხსმინისტრების“ პორტრეტები, კნოპები და თავის საწოლთან ისეთი ფაშისტური ექსპოზიცია მოაწყო, რომ გუსტავ ვაიზეს გული აუჩუყდა და მხარზე ხელი მოუთათუნა.

ძაღლის ბედი ჰქონდა; რამდენიმე ისეთი შემთხვევა მოხდა, რომ შეიძლება ფატალიზმი ირწმუნო კაცმა! ერთხელ, ფროილაინ ჰილდა ვაიზე, გუსტავ პირველის ერთადერთი ასული, მუცელკეთილათი ავად გახდა, და ახლომახლო ოყნა ვერ იშოვეს. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: ბილმაიერმა ოყნა გააჩინა! რაღა გასაკვირია, რომ მისი რეპუტაცია ყოველწუთიერად იზრდებოდა და მალე მუდმივი გადამწერის თანამდებობაც გაიკრა.

საღამოობით კანცელარიიდან ცინცხალ-ცინცხალი ამბები მოჰქონდა; ისეთი აღტაცებით იტყოდა, ჰერრ ვენდტს, ან ჰერრ ჰოფმანს სამხედრო წოდება მოუმატესო, იფიქრებდი, ამის შემდეგ ბილმაიერს აღარც აზროვნება დასჭირდება, აღარც ხელის განძრევაო. გუსტავ პირველის დაბოყინებაზე ან მუცლით დაცემინებაზე ისეთი პათოსით ლაპარაკობდა, როგორც მუსიკათმცოდნე ბეთჰოვენის სიმფონიაზე. არც გაზეთებს კითხულობდა, არც რადიოს უსმენდა; ვაიზესა და ვენდტის განწყობილებით აფასებდა საერთაშორისო მდგომარეობას. უყვარდა პიკანტური ანეკდოტები და კანცელარიის ამბებს ისე ჰყვებოდა, როგორც ფრიად მაღალი საზოგადოების ქრონიკას.

ლიპი ყოველდღიურად უსქელდებოდა. სამშობლოდან გამოყოლილი ფრთები ყოველწუთიერად ეკვეცებოდა, ერთი სიტყვით, იმ კუტკალიას ემსგავსებოდა, რომელიც იმით არის შესანიშნავი, რომ ფრთები არა აქვს, და მუცელი კი ერთობ გამობერვია.

ამხანაგებთან და უმზიდლერებთან თავი ქედმაღლურად ეჭირა, ყველას ცივი, გულგრილი ზრდილობით ექცეოდა, უფროსებთან კი მთვარესავით იბადრებოდა.

ტრფობის ცეცხლი ბრიალ-ბრიალით ედებოდა გულზე; თავისუფალ დროს სამიჯნურო უსტარებს თხზავდა და საყულდაგულო საჩუქრებს ამზადებდა; ერთ-ორჯერ ბეჩავი ამხანაგის „ტაშენგელდი“ შეიტყაპუნა. საღლაც ორი ფლაკონი სუნამო იშოვა, მეორეჯერ ბონბონიერით კანფეტები მოიტანა, მაგრამ არ ჩქარობდა, წარმატებაში დარწმუნებული იყო და გადამწყვეტი იერიშისთვის ემზადებოდა. ერთადერთი დარდიღა დარჩენოდა: ის რაღაც იდუმალი ჭრილობა არ ურჩებოდა და, როგორც კი, თავს მარტო დაიხელთებდა, ისევ და ისევ მაჯას იწვალებდა.

როგორც ყველა კარიერისტს, ბილმაიერსაც მშვენივრად ესმოდა კლაკიორის მნიშვნელობა, — ტაშისდამკვრელი სჭირდებოდა, რომელიც მას თავის უშუალო გარემოცვაში დიდების შარავანდედს მოჰფენდა, ამიტომ გადაწყვიტა, კიდევ უფრო დავეახლოვებინე და თავისი საიდუმლოებანიც გაენდო. ზოგჯერ ისეთ დამამცირებელ რასმე დამავალებდა, რომ უნებურად წამოვენთებოდი, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა, კათაკმეველისათვის გუნდრუკი უნდა მეკმია; ვაიზეს ფავორიტთან სიახლოვე ჩვენს უშიშროებას შესამჩნევად განამტკიცებდა. მას კი, ვატყობდი, ეს კაპრიზები, რომელიც, მისი აზრით, მე უსათუოდ უნდა შემესრულებინა, ახალ, განსაკუთრებულ სიამოვნებას ანიჭებდა; როგორც სხვის წინაშე, ისე საკუთარ თვალში თავისი უპირატესობის დამატებითს საბუთს აძლევდა...

## 7

კანცელარიიდან ბილმაიერი უგუნებოდ დაბრუნდა. ორ-სამ დღეში ჩვენი ჯგუფის შემოწმება დაიწყებაო, — თქვა.

---

დასასრული. იხ. „მნათობი“, № 1.

ამ ცნობამ ყველა შეაშფოთა. მარტო კარლ კებერი შეკუნტრუშდა ხბოსავით: უჰ, შენი გულისა! გვეშველა, როგორც იქნა! ყველაფერს გამოარკვევენ და მამულებსაც გვიბოძებენო.

„რას ახუნტრუცდი! — შეუღრინა ბილმაიერმა. — ალა-ალა ხომ არ გგონია, შე არიფო! ბარე ბევრი ჩააბარებს იმ კომისიას თავის ტყავს! ორასი პროფესორი ბერლინიდან ჩამოდის და კუდუსუნიდან რომ დაგყვებიან, არაფერს შეგარჩენენ შეუმოწმებელ-გაუჩხრიკავსო".

„ამ ჩემს ფეხებს!" — უდარდელად მიაძახა კარლმა.

ბილმაიერმა დაქადნებით გახსნა პორტფელი და ამ საკითხზე შეკრებილი მთელი მასალა ამოალაგა.

„გერმანელი ხალხის კონსოლიდაციის, რასისა და ჩასახლების მთავარი სამმართველოს" 1941 წლის ივლისის ბრძანებაში ნათქვამია, — გამქირდავად მიაჩერდა ვებერს, — რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რასობრივი შემოწმების შედეგებს. კომისიებმა, რომლებიც რასისა და ჩასახლების საკითხებს განიხილავენ, საგანგებოდ უნდა დანიშნონ რასობრივი შემოწმების დრო და ადგილი. შემოწმება „ესდეს" მონაწილეობით უნდა ჩატარდეს!".

„ღვთის მოციქული ხარ!" — გაუხარდა ვებერს.

„მოითმინე! — შეუტია ბილმაიერმა. — იმავე ბრძანების მეოთხე პარაგრაფი იუწყება, რომ „ის პირი, რომელმაც თავი გერმანელად გამოაცხადა, მაგრამ რასობრივ გამოცდაში ჩაიჭრა, როგორც მძიმე დამნაშავე, ადგილზევე იქნება დაპატიმრებული და მისი საქმე გადაეცემა „ესდეს" მეოთხე განყოფილებას. შემამსუბუქებელ გარემოებათა შემთხვევაში, ასეთი დამნაშავე უნდა გადაიგზავნოს საკონცენტრაციო ბანაკში, ხოლო დამამძიმებელ პირობებში, მასალა შემოწმების დამთავრებისთანავე უნდა გადაეცეს იმპერიის უშიშროების მთავარ სამმართველოს — სასიკვდილო განაჩენის გამოსატანად. მთავარია, რომ დამნაშავე დაუყოვნებლივ იქნას დაპატიმრებული და დასჯილი!".. ახლა რაღას იტყვი?! ომის დროს შემამსუბუქებელი გარემოებანი გამორიცხულია. მაშასადამე, სახრჩობელა.

„ამ ჩემს ფეხებს" — გაჯიუტდა კარლი. — მე ფოლკსდოიჩე ვარ და რატომ უნდა შამეშინდეს?!"

„სულელო! — დაიყვირა მისი იდიოტური სიმშვიდით აღშფოთებულმა ბილმაიერმა. — ეს კანონები მხოლოდ გერმანელებს შეეხება, კომისიაზე მხოლოდ გერმანელები გადიან. შენ კი გგონია, გერმანელი ვარო, მაგრამ, შეიძლება, არ აღმოჩნდე გერმანელი!"

„როგორ თუ გერმანელი არ აღმოვჩნდე!"— იფეთქა კარლმა.

„როგორ და ძალიან ადვილად! ისეთ რამეებს შეგეკითხებიან და ისე გეჩხრეკავენ, — რომ ბდღვირს გაგადენენ. ერთ შტურმფიურერს პაპის პაპა ჰყოლია რუმინელი და დაუმალავს. შარშან რაღაც საიდუმლო მანქანით შეუმოწმებია რასობრივ კომისიას და დაუხვრეტიათ!"

„გერმანელი?!" — გაიოცა კარლმა.

„ჰო! მხოლოდ იმიტომ, რომ პაპის პაპა ჰყოლია რუმინელი! ყური დაუგდე, რა წერია რაიხსკომისრის ზემოაღნიშნულ ბრძანებაში, რომელსაც „ესეს" გრუპპენფიურერი შტრეკენბახი აწერს ხელს: „რასობრივი შემოწმების მასალა თან ერთვის დოკუმენტს; ვინც რასობრივ გამოცდას ვერ დაიჭერს, განხილული უნდა იქნას, როგორც „უცხო ელემენტი", აყვანილ იქნას პრევენტულ პატიმრობაში და დაისაჯოს თანახმად მესამე პუნქტში აღნიშნული მითითებებისა". „ენესდეაპეს" წესდების მეოთხე მუხლი ამბობს: „მხოლოდ რასის წარმომადგენელს შეიძლება მიენიჭოს გერმანიის მოქალაქეობა, ხოლო რასის წარმომადგენელია ის, ვისაც სუფთა გერმანული სისხლი გააჩნია".

„ჩემს ძარღვებში სუფთა გერმანული სისხლი ჩქეფს!" — თავმომწონედ განაცხადა კარლმა.

„საიდან იცი?!. ერთი წვეთი უცხო სისხლი რომ აღმოგაჩნდეს, გერმანელად აღარ ჩაითვლები!"

„სისხლსაც გაგვისინჯავენ?" — თითქო წამოაბოდაო, ისე თქვა მეტნერმა.

„ტუტუცი! ფეხის ფრჩხილებიდან ამოღებულ სისხლსაც კი ცალკე გასინჯავენ. აბა, უყურე, რა წერია „რასობრივი პოლიტიკის სამმართველოს" დადგენილებაში: „ყველა გერმანელი — ბავშვი და მოზრდილი, ყოველწლიურად უნდა შემოწმდეს მათი სისხლის სრულფასოვნებისა და არასრულფასოვნების გამოსარკვევად!"

„მაშა! მაშა! — გაუხარდა ვებერს. —სისხლის გაუსინჯავად როგორ შაიძლება! გერმანული სისხლი ისე წმინდაა, როგორც ახალმოწველილი ძროხის რძე!"

„საბუთები რომ არ გვაქვს?!" — თქვა ტრიპელმა.

„საბუთები რაღად გვინდა! — განუმარტა ბილმაიერმა. — პროფესორების დასკვნა განა საბუთი არ იქნება?! ხომ წაგიკითხეთ კანონი! გერმანელ პროფესორებს რამე გამოეპარებათ?! ასი ათას კითხვიან ანკეტებს შეგვივსებენ და ყველაფერი გამოჩნდება! მაგრამ ამ ორ თვეში საბუთებსაც კი შეაგროვებდნენ!"

„ფიურერს ერთი ჯადო მანქანა გამოუგონებია, — თქვა ვებერმა. — თავზე ჩამოგაცვამენ და იმწამსვე გაიგებენ, გერმანელი ხარ თუ არა!"

„წინაპართა საგვარეულო დაფა გაგაჩნიათ?" —გვკითხა ბილმაიერმა.

„ბოლშევიკები დაფას გამოგვატანდნენ?!"— თქვა ვებერმა.

„სულელი! შენ საკლასო დაფა ხომ არ გგონია?!“

„აბა?!“

„საგვარეულო ნუსხა უნდა მოახსენო კომისიას! მამის, პაპის, პეპერას, პეპერას პაპის, მისი ძმებისა და დების, დედის, დიდედის, დიიდედის დიდედის... სახელი, გვარი, მამის სახელი, — მეთექვსმეტე საუკუნემდე უნდა დაასახელო!“

„დიიდედის?!“ — გაიკვირვა კარლმა. — „ვა, თუ არა მყოლია, როგორ უნდა გავიხსენო?! მე მგონია, დიდედა არა მყოლია. პაპა კი ვილჰელმი იყო, ჩვენი შემქმნელი!“

„ეეე! შენ მასეთებით ვერ გაძვრები!“ — მიაძახა ბილმაიერმა.

„სისხლი?! **Daitsehes Blut!**“

შეშინებული ხმით დაიყვირა კარლმა.

„ერიჰა! მარტო ეს კმარა?! ათი მილიონი შეკითხვაა! მა, როგორ გეგონა! ბრძანა კარლ ვებერმა, გერმანელი ვარო და დაუჯერეს, არა?! ღმერთო, კარლ, თეთრი პური და იყავი შენთვის! აქამდე არ იცოდი, სატრანზიტოსაფილტრაციო ბანაკში რომ მოგაყუჩეს?!“

ამ ახსნა-განმარტებების შემდეგ ყველას საბოლოოდ წაუხდა გუნება. იყვნენ ეს ორი თვე თბილად და წყნარად; ზოგს თითქო კიდეც გადაავიწყდა, ვინ იყო და საიდან გაჩნდა აქ. ყველაფერი ადვილად მოეწყო; გიგანტური ომი სადღაც შორს დარჩა, ბომბის გრიალი და შაშხანის ქუხილი აღარ ისმოდა: იფიქრეს, ბედმა ბედნიერ კუნძულზე გამოგვრიყაო, და, უცებ, გენერალური რასობრივი შემოწმება!

სხვები რა ხასიათზე უნდა ყოფილიყვნენ, როცა მძლეთამძლე ბილმაიერიც დაძმარებული დადიოდა...

დაიწყო ბუნდოვანი ვარაუდების, ათასი, ერთმანეთის საწინააღმდეგო, მოსაზრების, დაძაბული მოლოდინის დღეები...

ცა დაბლა-დაბლა ეშვებოდა, გამუდმებით თოვდა. ყველაფერი მწუხარებითა და საშიშროებით გაიჟღინთა. ბუნების ქუფრი, თითქო ადამიანებსაც ჩაუსახლდა სულში; ერთმანეთს უგულოდ ხვდებოდნენ, საუბრის ხალისი დაჰკარგოდათ... გულს საგოდებელი ყლარუნებით შაშრავდა გერმანელთა საზეიმო წვეულებების ხორხოცი და „ზონდერმელდუნგების“ ახალი ნიაღვარი... 15 ნოემბერს მოსკოვზე იერიში განახლდა და ყოველ წამს წითელ მოედანზე შეჭრის ცნობას მოელოდნენ. კანცელარიის რუკაზე, კილომეტრების ნაცვლად, დარჩენილ მანძილს მეტრობით ზომავდნენ, მაგრამ, ზაფხულისაგან განსხვავებით, ეს რაღაც დაძაბული, პანიკური მოლოდინი იყო.

ნაცნობები მხოლოდ „გენერალურ რასობრივ შემოწმებაზე“ ლაპარაკობდნენ, რომელიც ჩვენს წარმოდგენაში ზღაპრულ მაჯლაჯუნად იქცა, რომელსაც, ჰა და ჰა, უნდა ჩავეყლაპეთ. ზოგი დაუფარავი შიშით ახკვნებდა ამ მაჯლაჯუნას, ზოგი — საეჭვო სიფრთხილით, ზოგიც, ვითომდა, სიხარულით. ბილმაიერმა ისლერებთან ვიზიტს უკლო, მეტნერმაც ელზა გადაივიწყა, თავის ოთახში განმარტოვდა და უკანასკნელი ცნობების მოწოდებაც შეწყვიტა; ეტყობოდა, რადიოს აღარც უსმენდა. რამდენიმე კაცს ფეხის გადადგმა, კარის ჭრიალი, ქარის ზუზუნი, ვისიმე გამოჩენა, ყველა და ყველაფერი განგაშის გრძნობას ჰგვრიდა: გულში აუწერელი ეჭვი და უნდობლობა ჩათესლებოდათ. „უმზიდლერებმაც“ წუწუნს უმატეს, ბანაკში ჩავრჩით, მამულების მიღებას საშველი არ დაადგაო.

ღამეებს თეთრად ვათენებდი; „ეს რა გალიაში ამოვყავი თავი, ეს რა ჯოჯოხეთში ამოვიკეტე! უმძიმესი უღელი დავიდგით, ხელ-ფეხი შევიბორკეთ, ფრთები დავიჭერით!... ბანაკში ასე არ იყო, ციხეში ასე არ იყო! რაღაცის იმედი მაინც გქონდა. ახლა თვითონაც აღარ იცი, ვინ ხარ და რატომ ხარ აქ!“

წამით არ მასვენებდა უსასრულო ვარაუდები და ევენტუალური მოსაზრებანი; „ორ თვეში, უთუოდ, დიდძალ მასალას მოაგროვებდნენ! იმასაც გამოარკვევდნენ, რომ ბიალა-პადლიასკაში ვიყავი და დასახვრეტად გამგზავნეს. ლუბლინის ციხიდანაც მიიღებდნენ ცნობებს! ისიც ეცოდინებათ, მატარებლიდან რომ გავიქეცით! ბრესტის ნანგრევებშიც იპოვნიდნენ საბუთებს! არქივებს გადაქექავდნენ და გაიგებდნენ, პოლიტკომისარი რომ ვარ! ესეც არ იყოს, რასობრივი ექსპერტები ისედაც შემატყობენ, გერმანელი რომ არ ვარ! გიგანტური მეცნიერული აპარატია მაგათ განკარგულებაში! შემატყობენ ყველაფერზე: ქართულ აქცენტზე, იერზე, შესახედაობაზე, გვარზედაც კი! მაინც, ეს რა საზიზღარი გვარი მოვიგონე. არც კი ვიცი, არსებობს თუ არა ნამდვილად ასეთი გვარი! ჯერჯერობით, ვერსად ვერ წავაწყდი. გაზეთებში შემხვდა „კანდელ“, „ქინდლ“, მაგრამ „ქანდლერი“ ვერა და ვერ ვიპოვე! დამერქმია „მიულერი“, „შმიდტი“, „ვერნერი!“ ჩემი ნება არ იყო?! ესეც ბედისწერაა, უთუოდ! როცა გიჭირს, ღონეც მაშინ გეკარგება და ხერხიც! არც მეტყველება მაქვს ხალხური; ლიტერატურული ენით ვლაპარაკობ; დიალექტი ცუდად ვიცი. ანკეტაში კი. გლეხად ჩავეწერე!

„სისხლი?“ — მართლა არსებობს, ნეტავ, რამე განსხვავება სხვადასხვა ერის სისხლში?. ასეთ რამეებში მე ცუდად ვერკვევი და ამას აწი ველარაფერს ვუშველი, — ბილმაიერს ხომ არ ვთხოვ სისხლს!.. ნეტავ, რა არის ის „საიდუმლო აპარატი“, ბილმაიერი და ვებერი რომ ახსენებდნენ?!. ლამის, თავი გამისკდეს! ყველაფერზე ფიქრიც კი შეუძლებელია, იმდენი შესაძლებლობა და ვარაუდი არსებობს!.. აქედანაც

უნდა გავიქცეთ! სხვა გზა აღარაა!.. მოველაპარაკები ჩვენს მეგობარ პოლონელებს და გავიქცევით; თუ კორენოვი უარს იტყვის, მარტო გავიქცევი! ახლა მხოლოდ ჩვენ ორნი ვიწვით ერთ ტაფაში. სხვებს რა უჭირთ! კიდეც რომ წაიფორხილონ, არა უშავს! მაინც გერმანელები არიან და გერმანელები! რომც არ დაუჯერონ, რა უნდა ქნან; — ხომ ვერ იტყვიან, ბოლოს და ბოლოს, გერმანელები არ ვართო!...“

ფანჯრებს ნამქერი აწყდება; თოვლით დაზვინულ სივრცეებში ყინულიანი ქარი ბობოქრობს; ოთახში თბილა. ჩემი გზები კი ყინვით და ბურუსითაა დაკბილული. ქუჩის გასასვლელებს პატრულები იცავენ; ყოველ გზაჯვარედინზე, ყოველ სოფელში, ყოველ ბილიკზე ჟანდარმები დგანან; ბინდი დაჰკრავს თუ არა, გარეთ გასვლა აკრძალულია; ყველგან და ყველას საბუთებს უსინჯავენ; მე კი არავითარი საბუთი არ გამაჩნია; პოლონელებს აქვთ „კენნკარტე“. მე ისიც არ მომეპოვება; ბელორუსიაში ან საგენერალ-გუბერნატოროში მოქალაქენი გასწავლიან უდაბური ტყეების გზას, პურსაც მოგიტეხავენ, იარაღს მოგცემენ. აქ კი გერმანიაა და არც არის გერმანია! მით უარესი! მით უფრო მეტი გაფაციცებით, უნდობლობით და გაბოროტებით დაგდევენ! აქედანაც რომ გააღწიო, ორჯერ კიდევ უნდა გადალახო საზღვარი, ჯერ ვარშავასთან, მერე — ბუგზე! ტყე შორსაა, პარტიზანები არ არსებობენ, ყველაფერი მტრის შხამიანი სუნთქვით გაჟღენთილა და ყველგან ერთი წარწერაა: „მხოლოდ გერმანელებისათვის!“ პოლონელმა თუ შეგიფარა, დაღუპავ! დაღუპავ არა ერთ კაცს, არა ერთ ოჯახს, არამედ, მთელ სოფელს! უნდა იარო ტყე-ტყე, ღამით, უგზო-უკვლოდ, მოერიდო ყველას და ყველაფერს. ტყეები და გზები კი თოვლითაა გადაბარდნილი, სივრცეს ქარყინვა დაჰპატრონებია და არათუ ასობით კილომეტრის, ასიოდ მეტრის გავლაც ძნელია!.. სუსტი ვარ, ალბათ, მე! ძლიერი მეომარი ერთ წუთსაც არ დაფიქრდება! მიადგება მავთულხლართს, გასჭრის და გაიქცევა! მოკლავენ, ან გადაივლის თოვლიან სივრცეებს, მივა თავისიანებთან და დაუბრუნდება მწყობრს!“

დილით გათანგული, ამღვრეული გავდივარ სამუშაოდ, აზრმიუცემლად ვეჭიდები შეთოვლილ ტვირთს და თავს ვერ ვართმევ ღამეულ ფიქრებს.

ჩემი ძრწოლა კორენოვმა, თითქმის, სულმდაბლობად ჩათვალა; ჩვეულებისამებრ, ამოავლო პურის ნაჭერი მარილში, დაჟინებით დამიწყო დარწმუნება, გაქცევის უფლება არ გვაქვსო. „მტრის ზურგში შეღწევის ოპერაციებს ათასობით სიცოცხლე ეწირება!“ — მომაგონა ძველი არგუმენტი. — „ჩვენ კი ბედმა გაგვიღიმა, შიგ შუაგულში აღმოვჩნდით და ახლა გავიქცეთ?! სად?! რატომ?! განა მხოლოდ იმის გამო, რომ საშიშია?! განა წინა ხაზზე ნაკლებ საშიშია?!. იქ კი არავინ ფიქრობს ამაზე! — რატომ უნდა გვეშინოდეს ჩვენ, თუკი არ ეშინია ვებერს, ტრიპელს, ჰოლლეს, მეტნერს!.. რით განსხვავდებიან ისინი ჩვენგან?! რა საბუთები გააჩნიათ მათ?..“

მინდოდა, შევკამათებოდი, — ისინი გერმანელები არიან, ჩვენ კი — არა-მეთქი, მაგრამ თავი გავანებე! თვითრჯული კაცი იყო, მასთან კამათს აზრი არ ჰქონდა. „რის იმედი აქვს, მაინც! — ვფიქრობდი მე. — გერმანული ცუდად იცის, აქცენტი ალმაშფოთებელი აქვს, ლაწვები წინ წამოწეული და ბრტყელი!.. აშკარა მონგოლოიდია!“

„რომ გაიგონ, ვინ ვართ, ხომ იცი, რაც მოგველის! — ვთქვი მე. — **„Nacht und Nebel Erlass!“** „ღამისა და ნისლის“ განკარგულება!“ „წამებით სიკვდილი!“

„ჰმ! რა სავალდებულოა, რომ გავაგებინოთ, ვინ ვართ! შემოწმების დამთავრებამდე ყოველგვარი მუშაობა შევწყვიტოთ! ასე მირჩიეს! მარტო იმაზე ვიზრუნოთ, რომ არავინ ჩავარდეს. არც ერთი კაცი! არც მტერი, არც მოყვარე! ახლა საერთო ინტერესი გვაქვს ყველას! მხნედ, მხიარულად, თამამად ვიყოთ! შენ ციხემ ცოტა ორჭოფობა გამოგაყოლა!... მეტნერს უბრძანე, ცნობების ჩაწერას დროებით თავი გაანებოს!“

„ჰმ! დიდი ხანია, გაანება!“

„რა მოხდა?“

„მგონი, შეყვარებული გაუთხოვდა! საქმრო ჩამოსულია ფრონტიდან!..“

კვიმატიანი დღეები ერთმანეთს წაეწყო; შემოწმება სამშაბათს უნდა დაწყებულიყო; კვირა დილით კი, როცა ბილმაიერი კანცელარიაში წავიდა, შემთხვევით, მის ბოწკინტზე გადაშლილ ჟურნალს დავხედე და ელდა მეცა. პირველსავე გვერდზე ჩემი თავი შევიცანი. დიახ! გერმანულ ილუსტრირებულ სამხედრო ჟურნალში ჩემი ფოტოსურათი იყო დაბეჭდილი! იგი ბიალა-ჰადლიასკის ბანაკში, უთუოდ, იმ დროს გადამიღეს, როცა დასახვრეტად მგზავნიდნენ.. შეშინებული სახე მაქვს! გასისხლიანებულსა და აფორიაქებულს ხელები მაღლა ამიწევია; გვერდით პისტოლეტშემართული ოფიცრები დგანან; სურათს ნახევარი გვერდი უჭირავს და ქვემოთ, მსხვილი შრიფტით, წარწერილია: „ასე გამოიყურება ბოლშევიკი კომისარი, როცა მას აღარ შეუძლია თავის ხელქვეითებს კეფაში ქურდულად დაახალოს ტყვია“.

სასწრაფოდ კარი ჩავკეტე და სურათს დავაშტერდი; ხან მეჩვენებოდა, რომ ეს ნამდვილად მე ვიყავი, ხანაც — თავს ვარწმუნებდი, მეშლება-მეთქი. მაშინ სრულიად გონწართმეული ვიყავი და სურათს რომ მიღებდნენ, არ შემიმჩნევია. „ბოლშევიკი კომისრისათვის“ ფო-

ტოგრაფს შესაფერი იერი და გამომეტყველება მიეცა! თუ არ ვცდები, ეს იყო ჰამბურგის „ილუსტრირებული ჟურნალის“ 1941 წლის აგვისტოს ნომერი.

ისედაც ამღვრეული და დაბნეული, ამ სურათმა კიდევ უფრო დამაფეთა. „რატომ მოიტანა ეს ჟურნალი ბილმაიერმა?! „მიცნო თუ ვერა?! „რატომ დატოვა, მაინცადამაინც, ამ გვერდზე გადაშლილი?!. „მე ვარ, თუ მეჩვენება?!“..

სარკის წინ გარინდებული, დიდხანს ვამოწმებდი, მგავდა თუ არა სურათი მე; შედარება შიშს მგვრიდა. „თუ ბილმაიერმა მიცნო, უეჭველად, სხვებსაც აჩვენებდა. შესაძლოა, მთელმა ბანაკმა გაიგო!.. ალიგატორმაც იცის, „ყვითელმა მუმიამაც“, გუსტავ პირველმაც!.. ჯერ არაფერს გეტყვიან, „გენერალური რასობრივი შემოწმების“ დროს კი, ცხვირზე მოგაფარებენ!.. ზოგჯერ, ვილაც, თითქო, წვრილი, დამცინავი ხმით ჩემს ნამდვილ გვარს მეძახდა და ხარხარებდა...

კორენოვმა დიდხანს ატრიალა სურათი და სიცილით მითხრა, — მგონი, მართლა შენ უნდა იყოო!

ჟურნალი ბნთებულ ღუმელში შევაგდე, — მაგრამ ბილმაიერი?! სხვა ნომრები?! „ჰამბურგის ილუსტრირებული“ ხომ მილიონიანი ტირაჟით იბეჭდება?!. ახალ-ახალი ეჭვები ამეკვიატა; მანქანების სიგნალზე ცხელი ჟრუანტელი მივლიდა; ყოველ წამს ოთახში ესესელთა შემოჭრას ველოდი; სული მიბეჩავდებოდა და ნებისყოფა მიდუნდებოდა. დავივიწყე ორგანიზაციაც, კორენოვის მითითებებიც და აღელვებულმა პანია ჰარტმანს ბანაკიდან გაქცევის თაობაზე სიტყვა ჩამოვუგდე. შემპირდა, ყველაფერს გაგიგებ და ხვალ საღამოს გეტყვიო.

შემოწმებისათვის ყველა თავისებურად ემზადებოდა; კარლ ვებერი ტვინს იჭყლეტდა, იქნებ, როგორმე პაპისა და დიდედის გვარი გავიხსენოო; კორენოვი თავის ბიოგრაფიას იზუთხავდა; ბილმაიერს კი კანცელარიიდან სულ ცინცხალ-ცინცხალი ამბები მოჰქონდა.

იმ საღამოს ყველამ ჩვენს ოთახში მოიყარა თავი და ცხარე კამათი გააჩაღეს მომავალი „გამოცდების“ შესახებ.

„რატომ მატყუებდით! — დაიწყო ვებერმა.— დიდედას გვარი კი არა, მთავარი ყურის მოყვანილობა ყოფილა! ვინც არიელი არაა, ყურის ბიბილო ლოყასთან ჰქონია შეხორცებული“.

უცებ ყველამ ყურის ბიბილოზე იტაცა ხელი, მაგრამ შეხორცებული მარტო ტელკეს აღმოაჩნდა; „დამნაშავეს“ ყველამ ისეთი თვალით შეხედა, რომ საწყალს ფერი წაუვიდა.

„მიჰქარავ! — თქვა შმიდტმა. —ყურის მოყვანილობას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ნორდული რასის გადამწყვეტი პირობა ის არის, რომ ქერა უნდა იყო და ლურჯი თვალები უნდა გქონდეს!“

„ჰაუტ! შენი გულისა! ახლა გამახსენდა!— აფუსფუსდა ვებერი და ცბიერად გადახედა მეტნერსა და ჰოლლეს, რომელთაც შავი ხუჭუჭა თმა, თაფლისფერი თვალები და მუქი კანი ჰქონდათ. — ჰერრ შინკმა მითხრა: არიელს ვარდისფერი კანი უნდა ჰქონდესო. თმა სწორი და რბილი უნდა ჰქონდესო! ვისაც მოყვითალო კანი და ხუჭუჭა ან ჯაგარივით თმა ექნება, ებრაელად გამოაცხადებენო!“

ახლა ყველამ მეტნერსა და ჰოლლეს გადახედა ეჭვით, მაგრამ მეტნერი არ დაიბნა, მივიდა კარლთან, თმაში ხელი ჩაუყო და ქერტლი ამოაცალა.

„ჰაუუ! — ტრაგიკული ხმით შეჰყვირა მან — კარლს თებო ჰქონია! წმინდა წყლის ებრაული ნიშანია!“

ვებერი შეშფოთდა; თმა ჩამოიპოტნა და პეშვში დაგროვილ თებოს ბურტყუნით სრესდა და სინჯავდა. თავი რომ ასწია, შეამჩნია, რომ ყველა საზარელი ეჭვით შეჰყურებდა მას.

„ერთი თვეა, თავი არ დამიბანია!“ — ისეთი სიხარულით შეჰყვირა ვებერმა, თითქო განძი აღმოაჩინაო.

„არა, კარლ!“ — სასტიკი ხმით შეაჩერა მეტნერმა. — „თებო დაუბანლობით როდი ჩნდება! იმპერიის რასობრივ კანონებში გარკვევით სწერია, რომ თებო ებრაული თვისებაა! იმავე კანონებში ჩაწერილია, რომ წინ გადმოყრილი ლაწვის ძვლები და ბრიყვული გამომეტყველება, აგრეთვე, არასრულფასოვანი რასის ნიშანია!“

კარლი პირდაპირ ლაფში ჩაეფლო; თითქო კრაზანამ დაკბინაო, — ხან ლაწვებზე მიირტყამდა ხელს, ხან თმას ჩამოიპოტნიდა, ხანაც — ნიკაპს იღრეცდა.

„რას მიედ-მოედებით! — გაბრაზდა ვერნერი. — ბატონმა შინკმა ბრძანა, არიელს წვრილი ტუჩები და პატარა, მრგვალი თვალები უნდა ჰქონდესო!“

კარლი წელში გაიმართა; ეს აშკარა მხარდაჭერა იყო; მეტნერს სქელი ტუჩები და დიდი თვალები ჰქონდა.

„გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ვასერმანის რეაქციას, — თქვა ჰოლლემ, რომელიც პროფესიით ექიმი იყო. — ვისაც სიფილისი აღმოაჩნდება, თანახმად საიმპერიო კანონებისა, ცოცხლად დაწვავენ!“

კარლი დაიბნა; ხან ერთს მიაშტერდებოდა, ხან — მეორეს, მაგრამ თანაგრძნობა ვერ ჰპოვა.

„დაწვა როგორ იქნება!“ — შიშნარევად წალაპარაკა მან.

„როგორ, სიფილისი აიკიდე თუ?!“

„არა, დაწვა როგორ იქნება-მეთქი!?“

„არა, ბიჭო, ახლა შენ შეგაბილწვინებენ წმინდა რასას?!“

„ბიჭებო! კარლი ბოზია!“ — გადაიხარხარა ბილმაიერმა.

„არა, დაწვა მაინც როგორ იქნება!“ — არ ისვენებდა კარლი. — „გამიგონია, სიფილისი კოვზითა და ჩანგლითაც გადადისო. ფიურერს შევფიცებ, რომ ჩემი დედაკაცის მეტი არავინ მიგემნია. დაწვა მაინც როგორ იქნება!?“

„ბოზი ხარ! — გამხიარულდა ბილმაიერი. — ამ დილით არ დაიყვირე, ფროლაინ კნიტელი რომ დაინახე. — „ჰაი დედასა. გავა როგორ უთამთამებსო?!“

„რამდენიც არ უნდა ილაპარაკოთ. მთავარია ლურჯი თვალები, ქერა თმა და აშოლტილი ტანი„! — პათეტიკურად წარმოთქვა ტელკემ. — „ვისაც ეს თვისებები არ გააჩნია და, თანაც, შამაზეციერს მოკლე თავის ქალით შეუმკია, სჯობს გამოცდების დაწყებამდე მოიკლას თავი! თავის ქალის სიგრძივი ზომა—ცხვირის ფუძიდან კეფამდე განივზე საკმაოდ მეტი უნდა იყოს!“

ეს ტირადა ისარივით მოხვდა გულში ბილმაიერს. „მაღალი ტანიო?!“ — იმაზე დაქვაფსული მთელ ბანაკში არავინ დადიოდა! 155 სანტიმეტრი!.. პირწავარდნილი ჯუჯა! საკუთარი თავის ქალასაც, უდავოდ, კარგად იცნობდა!.. დაავლო გაშმაგებულმა ხელი პორტფელს, რომელშიც იმპერიის რასობრივი კანონებიდან უმნიშვნელოვანესი ამონაწერები ჰქონდა შეკრებილი, და აღარც ერთი აღარ დაგვინდო.

„სუყველა გორსალები ხართ! — დაიყვირა მან. — ყველაფერი ერთმანეთში აურ-დაურიეთ. ხედავთ, რა წერია რასობრივი კანონის ძირითად პარაგრაფში?!. „გადამწყვეტი როლი ენიჭება რასობრივ ინსტინქტს!“ თქვე ტეტიებო, აზრზე არა ხართ, რას ნიშნავს „რასობრივი ინსტიქტი!“.. ეს ნიშნავს, რომ გერმანელები ყნოსვით, შინაგანი ალღოთი, სუნით გრძნობენ ერთმანეთს!“

„გვიყნოსებენ?“ — ღრმა ცნობისმოყვარეობით იკითხა კარლმა.

„ხმა გაიკმიდე, შე ტაკიმასხარავ! — დაუყვირა ბილმაიერმა. — არიელის ყველაზე დიდი დოკუმენტია კეთილშობილი სახე, რომელიც შენ არ გაგაჩნია! თავის ქალის მოყვანილობით, კომისია, უწინარეს ყოვლისა, გამოიცნობს კაცის ხასიათს, ზნეობასა და ფიქრებს. გერმანელები ძველ ტევტონთა შთამომავალნი არიან. ისინი, უსათუოდ, ქერა უნდა იყვნენ! მხოლოდ ქერა ადამიანს შეიძლება ჰქონდეს ღირსების, სიყვარულის, თავისუფლების გრძნობა და წესრიგის ინსტინქტი! აბა, პატივცემული მოხუცი მაღალია?.. ჰერრ გოლობს გრძელი თავის ქალა აქვს?.. მაგრამ ბატონების ხალხს ეკუთვნიან! აქ რომ პოლაკები მუშაობენ, ორ მეტრზე არიან აყოყილი, მაგრამ მონების რასას განეკუთვნებიან! აბა, ყურადღებით მოუსმინეთ, რას ბრძანებს ფიურერი: „უნდა შევქმნათ ისეთი ჯანსაღი, ლამაზი ფენა, რომელიც [illegible] უპირატესობას, ზემოდან შეხედავს ყველას და შეინარჩუნებს თავის ბატონობას!“

მერმე, თქვენ ყველამ დაივიწყეთ არიული რასის თავი და თავი ნიშანი: ცხვირი!..“

ამ სიტყვაზე ყველამ თითი მოკაკვა, ვებერმა თავი გაიქნია და უფრო მოწიწებით შეხედა ბილმაიერს, ვითომდა, ეს როგორ დაგვავიწყდაო!

„არიელს უნდა ჰქონდეს პატარა, ლამაზი ცხვირი! — თავმომწონედ განაგრძო ბილმაიერმა. — ცხვირის წვერი უნდა იყურებოდეს პირდაპირ, ნესტოები უნდა იყოს ფართო, ფუძე უნდა ჰქონდეს გაშლილი...“

ბილმაიერს სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ კარლ ვებერი პირდაპირ ჩემკენ გამოქანდა, კოტიტა თითები ცხვირში მატაკა და ტუტუცურად ახითხითდა: „ჰი! შენ არ გაქვს სრულფასოვანი ცხვირი! მახინჯი ცხვირი გაქვს! ყვავის ნისკარტივითაა მოხრილი და წაგრძელებული!“

პირკატა მეცა! უნებურად შევტრიალდი და სარკეში ჩავიხედე.

„უნდა გადაიჭრა, ან გადაიხერხო! სხვა არაფერი გიშველის!“ — იშოვნა კარლმა საოხუნჯო საგანი.

ვინც არ იცის, ცერცვია და ვინც იცის, ცეცხლიაო!.. კარლის სიტყვები ჩვენს მაშინდელ წარმოდგენაში სასიკვდილო განაჩენი უდრიდა. ცხვირი, მართლაც, ძირითად რასობრივ ნიშნად ითვლებოდა; ჟურნალ-გაზეთები ბევრს წერდნენ „სწორ, პაჭუა გერმანულ ცხვირზე“: ნაცისტი პოეტები ხოტბას ასხამდნენ „ნორდულ ცხვირს“; ებრაელთა კარიკატურებში უეჭველად დიდი, მოკაუჭებული ცხვირი იყო გამოჭიმული, თითქმის ისეთი, როგორიც მე აღმომაჩნდა. მანამდე სრულებით არ მიფიქრია ამაზე. ბავშვობაში ბევრი ქება და ფერებაც მახსოვდა ამ ცხვირის გამო; ხშირად ჩამიხუტებდა ბებიაჩემი: „მამაშენივით არწივისებური ცხვირი გაქვსო!“ — ახლა კი ამ მშვენიერ ცხვირს უნდა დაველუპე!

კარლმა პირდაპირ ყანყრატოში წამავლო ხელი და გამომახრჩო; ჟურნალში აღმოჩენილი ფოტოსურათიც გადამავიწყდა; რაზედაც არ უნდა მეფიქრა, ეს ახალი დარდი ამეტუზებოდა. მატარებლიდან გაქცევის ამბავი, შესაძლოა, ვერ გაეგოთ, მაგრამ ცხვირი უტყუარი მამხილებელი დოკუმენტი იყო, რომელსაც ვერც დამალავდი, ვერც გადააგდებდი და ვერც უარყოფდი. სარკეს აღარ ვიცილებდი; ცხვირს ხან ანფასში შევხედავდი, ხან — პროფილში; ხან ზემოდან დავხედავდი, ხან ქვემოდან ამოვხედავდი; მეორე სარკეც ვიშოვე და ერთმანეთის დახმარე-

 

ბით, კიდევ უფრო გარკვევით შემეძლო დავრწმუნებულიყავი, რა მახინჯი და არაარიული ცხვირი მქონდა. მალე საკუთარი სახეც შემძაგდა და გაჩენის დღეს ვიწყევლიდი, ასეთი გონჯი რომ დავიბადე.

თუ ადამიანებს უწინ ერთბაშად, სულისა და სხეულის განუყოფელ მთლიანობაში ვხედავდი, ახლა ჩემს თვალში ისინი დაიშალნენ, ასო-ასოდ დანაწევრდნენ. არსებობდა არა გლეზელი, არამედ გლეზელის ცხვირი, ნიკაპი, თმა... განსაკუთრებით, ყველას ცხვირზე ვაკვირდებოდი, ჩემსას ვუდარებდი, თვალით ვზომავდი და უფრო ვგიჟდებოდი; გოლობს, ვაიზეს, ვენდტს, მეტნერს, კორენოვს სულ ერთნაირი, პატარა და სწორი ცხვირი ჰქონდათ, თითქო ერთ ყალიბზე გამოუჭრიათო; ბილმაიერს ხომ სულ ატროფირებული ჰქონდა ცხვირი, — თითქმის გამქრალ-მიწიწკნილი! გლეზელს ალბატროსის ნისკარტს მიუგავდა; შინკსა და შულცს ცოტა მოკაუჭებული ცხვირი ჰქონდათ, მაგრამ, ვიფიქრე, მეჩვენება-მეთქი; ჰერრ შინკმა ლაზათიანადაც გამომლანძღა, რა იდიოტურად მომშტერებიხარო!

იმ ხანებში ჯავრისაგან იშვიათად თუ ჩამეძინებოდა და სიზმარშიაც საზარელი, გრძელი, დაგრეხილი ცხვირები მელანდებოდა; დღისითაც, მუშაობის დროს ან ოთახში ყოფნისას, ვეებერთელა მოკაუჭებული ცხვირები მეჩვენებოდა; ისინი ხან თოვლის ზვინულებიდან ამოდიოდნენ, ხან — სანაგვე ყუთებიდან ამოგორდებოდნენ, ხან — მოქურუხებული ციდან ეშვებოდნენ და მუქარით მიახლოვდებოდნენ.

ეტყობა, სულიერად დავსნეულდი, ძლიერ დეპრესიას განვიცდიდი და, რაკი გულწრფელი აღსარებაა, ისიც უნდა ვთქვა, რომ ცხვირის გასწორებასაც ვცდილობდი; მაღლააწეული ცხვირი საათობით ხელით მეკავა, ღამით კი, პირსახოცით ვიკრავდი.

ბოლოს და ბოლოს, რა შუაში იყო კარლი, მაგრამ დასანახადაც ველარ ვიტანდი. სიყვარული მუდამ არ იწვევს სამაგიერო სიყვარულს, მაგრამ სიძულვილი მუდამ სამაგიერო სიძულვილს იწვევს. იმანაც ამითვალწუნა და ჩემი ცხვირი ქვეყნის სალაპარაკო გახადა.

ასე იცის მიხლართულ-მოხლართულმა გზებმა! ვისაც ბედმა ცხოვრებაში პირდაპირი გზით სიარული არგუნა, ასეთ უბედურებას არასოდეს გადაეყრება, რიგიანად ვერც გაიგებს და ტრაგიკულიც კომიკურად მოეჩვენება!

შემოწმების წინ ბანაკში გაძლიერებული დაცვა დააყენეს; უმეთვალყუროდ ეზოშიც აღარ გვიშვებდნენ; ჩვენს ბარაკს ვახტიორები დარაჯობდნენ.

დიდი ომი კი იმ დღეებში მთელი ძალით ბობოქრობდა. ძნელია ასეთ დროს თავდამსხმელთა შორის ყოფნა; კიდევ უფრო ძნელია სანგრებში ბრძოლა, არც სამოქალაქო მოსახლეობის მდგომარეობაა ადვილი, მაგრამ ყველაზე მძიმე ყოფილა, როცა არცერთს ეკუთვნი, არც მეორეს და არც მესამეს. ყოველ წამს შეიძლება ისე გაქრე, რომ შენი ნაკვალევიც ველარავინ იპოვოს!

ორშაბათს ოდნავ დათბა; თოვლმა დნობა იწყო, მერე კი, ისევ წამოთოვა, მაგრამ ერთ ხანს ფეხი მაინც ვერ მოიკიდა, რადგან წყლიანი იყო. სწორედ იმ თოვლჭყაპიან დღეს, გეტოს იზოლირებულ ქუჩებს ესესელებმა ალყა შემოარტყეს; პოლიციის რამდენიმე ათეული და ადგილობრივი მოხალისე „ესამანები" სახლებში შეიჭრნენ, მცხოვრებლები დაარბიეს და შემდეგ, ასობით ქალი, კაცი, ბავშვი და მოხუცი ქუჩაში გამორეკეს; ჩვენი ფანჯრიდან გარკვევით ჩანდა, როგორ ურტყამდნენ მათ ხელკეტებით, როგორ აშიშვლებდნენ ქალიშვილებს და როგორ ხარხარებდნენ ესესელები; შიშველ-ტიტველნი რამდენიმე საათს თოვლჭყაპში აყურყუტეს; ჰერრ შტეფანი ბავშვებს აკვნიანად ფანჯრიდან ისროდა.

შებინდებისას ქუჩაში დიდი ჩოჩქოლი ატყდა; ჰერრ ზინგერმა ვერ მოითმინა და ამბის გასაგებად გაიქცა; უკან რომ დაბრუნდა, ძალიან უნდოდა, მხიარული სახე მიეღო, მაგრამ მაინც შევამჩნიე დაღვრემილობა. როგორც გამოირკვა, იმ დღეს ცნობილ ექიმ ქალს ქირურგიული დანით თავი მოეკლა. უნდა ითქვას, რომ ვერც ჰაუსვარტები აღაფრთოვანა ამ ცნობამ. მათი ჩურჩულიდან ის დასკვნა გამოვიტანე, რომ ექიმი ძალიან სახელმოხვეჭილი და უანგარო სპეციალისტი ყოფილიყო.

„მაინც ებრაულად ყარდა!" — გადააპურჭყა შულცმა. — „მელიასავით გვიძვრებოდა. ზამთარში ბეწვის ქურქს იცვამდა და ბაზარში მსუქან ბატებს ყიდულობდა! ჰო, მაინც ებრაელი ექსპლოატატორი იყო!"

ქალი გაატიტვლეს და ქუჩაში მიატოვეს; გუსტავ მეორემ გვამს ტალახიანი თოვლი მიაფოფრა და მერე გრძელ, თავჩაღუნულ კოლონას უკან აედევნა. არავინ იცოდა, სად მიჰყავდათ ისინი, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ ვერც ერთი მათგანი უკან ველარ მობრუნდებოდა.

საერთოდ, გერმანელები ყოველწუთიერად უფრო ეჭვიანი და ჭირვეულნი ხდებოდნენ; მკაცრმა ზამთარმა არმიას ფრონტზე ცხარე ბრძოლებში მოუსწრო. მოსკოვზე მესამე იერიშიც შეფერხდა, „ზონდერმელდუნგებმა" იკლო; „განადგურებული რუსეთი", „გაცამტვერებული წითელი არმია", რაღაც მანქანებით კვლავ არსებობდა.

მდგომარეობა ისე მოულოდნელი და გაურკვეველი ხდებოდა, რომ პროპაგანდას ჯერ ვერ

გამოენახა მომენტის შესაფერი სიტყვა; დიდი, გაუთვალისწინებელი მოვლენები, თითქო თვითდინებით, სატანური ძალით მიედინებოდნენ და ახსნა ვერავის ეპოვა. ფიურერიც დუმდა. ნაცისტები პირქუშად დააბოტებდნენ ქალაქში და მზად იყვნენ ყველა პოლონელისა და ებრაელისათვის ყელი გამოეღადრათ; ისინი შურისძიების ყველაზე მახლობელი და იოლი მსხვერპლი იყვნენ; ფაშისტებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ახლა მათ გულს უხარებდა უხვი თოვლიც, ყინვაც, სურსათის შემცირებაც, გაზეთებში მომრავლებული შავი არშიებიც. დაზამთრებისთანავე პოლონელ ახალგაზრდებსაც დაერივნენ; ყველაზე ჯანმრთელ, ყველაზე ლამაზ ქალ-ვაჟებს პირდაპირ ქუჩაში იჭერდნენ და არავინ იცოდა, სად გზავნიდნენ. თოვლსა და ყინვას ქალაქში ათასგვარი ჭორი და მითქმა-მოთქმა შემოჰყვა.

-დღევანდელი ოპერაცია ფრიად მნიშვნელოვანი იყო! — თქვა ბილმაიერმა. — ხედავ, რას წერს ფიურერი?.. „ჩვენ უნდა განვავითაროთ მოსახლეობის მოსპობის ტექნიკა. თუ ვინმე მკითხავს, რას ვგულისხმობ მე მოსახლეობის მოსპობაში, ვუპასუხებ: — მთელი რასობრივი ერთეულების მოსპობას! ეს უნდა განვახორციელო მე. ტლანქად რომ ვთქვა, ესაა ჩემი მთავარი ამოცანა. თუ მე გერმანელთა ნაღებს ვგზავნი ომის საკირეში, მცირე სიბრალულის გარეშე ვღვრი ძვირფას გერმანულ სისხლს, მაშინ. უეჭველია ჩემი უფლება — გავანადგურო მილიონობით დაბალი რასის ადამიანი, რომლებიც მწერებივით მომრავლდნენ“.

ცხოვრების დიდ მოვლენებს, ვით ქარიშხალს, რომელიც უზარმაზარ ლოდებს აბრუნებს და ყველაფერს აშიშვლებს, ზედაპირზე ამოაქვს უჩინარი საიდუმლოებანი...

საღამოს მეტნერი ჩემთან შემოვიდა; დაღვრემილი უხმოდ მიუჯდა ფანჯარას და დიდხანს გაჰყურებდა, როგორ ბარდნიდა ეზოში. ფერმკრთალი იყო, მაგრამ წინანდებურად როდი კრთოდა. რაღაც დაძაბულ სიმშვიდეს დაესადგურებია მასში. იჯდა უძრავად, გაკერპებული, რაღაც საშიშრად დამშვიდებული. ასე უცნაურად იცის ამ ბიჭმა ფიქრებში ჩაღრმავება! თითქო ავიწყდება, რომ მარტო არაა. წავა, გაჰყვება ოცნებას და თვალმიუწვდენი მანძილით მოგწყდება. ფიქრობს, ალბათ, თავის ელზაზე, იქნებ, პატარა დაიკოზე, ან კიდევ გაფრენილ დღეებზე!.. რას გაუგებ!.. ზოგჯერ ისე აურევს, რომ სახტად დარჩები. ამას წინათ, თითქოს მზესუმზირას მარცვალიაო, ისე ამოყარა ჯიბიდან ხელყუმბარის ფისტონები და სიცილით მეკითხებოდა: „აბა, თუ გამოიცნობ, რა არის?“ არ გამოვართვი. მე და კორენოვი იარაღს ვაგროვებთ, მაგრამ მაინც არ გამოვართვი. მიდი და ჰკითხე ახლა, რა ერქვა მოცარტის ბებიას. ან რამდენი შვილი ჰყავს ნეგუსს! უშეცდომოდ გეტყვის. მრავალტომიანი ენციკლოპედიაა! ოცდაერთი წლისაა, მაგრამ ენციკლოპედიაა! არის პერიოდი ახალგაზრდობაში, როცა თავში აურაცხელი ცოდნა ცვივა, თითქო თავისთავად. ისე რომ, შემდეგ თვითონაც გიკვირს, როდის და სად ვისწავლეო.

„ძვირი სანახავი გახდი!“ — ვთქვი მე, რათა ჩემი იქ ყოფნა დამედასტურებია.

„მე ებრაელი ვარ!“ — ისე წარმოთქვა, რომ თოვლის ფიფქებისათვის თვალი არ მოუშორებია.

„რა სთქვი?!“

„მე ებრაელი ვარ!“

მეგონა, მომეყურა-მეთქი და შეკითხვა გავუმეორე.

„ე-ბ-რ-ა-ე-ლ-ი ვა-რ!“ — დაიყვირა და ფეხზე წამოვარდა.

„მცდის, ალბათ!“

„ნოეს ჰყავდა ხუთი შვილი: სემ, ქამ, იაფეტ...“

ჯიბეებში ხელებჩაწყობილი მომიახლოვდა. სახემოქუფრული, მკვდარი ღიმილით ჩემს წინ გაჩერდა და ჯიუტად მომაშტერდა.

„არ გჯერა?!.“

„კარგი ხუმრობაა!“ — დაბნევით წარმოვთქვი, და გულში კი, — „ესლა გვაკლდა-მეთქი!“, დავუმატე: „ნუთუ. დასაჯერებელია?! ნუთუ, შეიძლება, ებრაელს თავისთავი ფოლსკდოიჩედ გამოეცხადებია?!.“

„მე ებრაელი ვარ!“ — მშვიდი ხმით, მაგრამ პირქუშად გაიმეორა მან.

წამიერად გაელვებულმა უთვალავმა ფიქრმა დამამუნჯა. თითქო რაღაც შეირყა და გადაიჩეხა; ენაზე მომდგარი ყოველი სიტყვა უადგილოდ, შეუფერებლად და სასაცილოდ მეჩვენა. „გავუტრიზავო?! მოვეფეროო?!.. ვანუგეშო?!.. გავამხნევო?!.. ყველაფერი იდიოტობაა იმასთან შედარებით. რაც მან ახლა ასე მშვიდად წარმოთქვა!“

„შეგეშინდა?“

!!!

„მაშ, არა გჯერა?“

„არა-“

„რა სასცილო ყოფილხარ!.. მე ებრაელი ვარ! უმარტივესი წინადადებაა და სრული ჭეშმარიტება ამავე დროს!“

„როგორ გაბედე?!“

„წარმოდგენა არა მაქვს! ცუგცვანგ! ოიგიანად ველარც მომიგონებია. თავისთავად მოხდა თითქოს! ხომ გახსოვს, მე და ტრიპელი რომ ძალით მოგვიყვანეს ფოლსკდოიჩეების ბარაკში?! ჰოდა, წავიდა და მიდის მას შემდეგ...

ან კი, სულ ერთი არ იყო, სად დავიღუპე-ბოდი?!“

„აბა, ახლა რაღამ გაიძულა გამომტყდომო-დი?!“ — უკმეხად ვკითხე მე.

„გამოცდებმა! იმავე კლასში კი არ დაგტო-ვებენ, თუ ჩაიჭერი! პირველად გავდივარ ასეთ გამოცდებზე და, ვიცი, უსათუოდ ჩავიჭრები. მაშასადამე, პირველად და უკანასკნელად!“

მეტნერი გარინდებული გაჰყურებდა ეზოს. პატარა ნათურის მკრთალ სინათლეზე ფიფქები ნელ-ნელა ეხვეოდნენ და ბარბაცით ცვივოდ-ნენ ძირს.

„აი, დადგა განკითხვის ჟამი! სამი ინკოგნიტო ოცდახუთ გამოსაცდელში!“ — მწარედ გამეცი-ნა გულში. ტვინი მღრღნო ამდენი ფიქრით და რატომღაც მეტნერს აბუჩად გადავხედე. თით-ქო სიცოცხლეში ჩაგეზიარა!... სულ სხვანაირი მომეჩვენა, იფიქრებდი, სიყვითლეს შთაუნთქავ-სო. მის გაკერპებულ მზერას ვაყოლებდი თვალს, ხანაც ტალღებად ხვეულ ქოჩორს ვაშტერდებოდი... მეგონა, სახრჩობელაზე ქა-ნაობს-მეთქი... ის ახლა, უთუოდ, აღარაფერზე ფიქრობს. ან, შეიძლება ფიქრობს, რომ ოც-დაერთი წლისაა და უყვარს ქალიშვილი, რო-მელსაც ჭირისდღესავით ეზიზღება ებრაელები... ან, იქნებ, აგონდება პატარა დაიკო და სო-კოლნიკის ხალისიანი სალამოები! მაინც ევოის-ტები ვართ ჩვენ! რით არის, ბოლოს და ბოლოს, მისი მდგომარეობა ჩვენსაზე უარესი? რატომ არ შეიძლება, ვანუგეშო?!“.

„არ მესმის, რატომ უნდა გეშინოდეს შენ, თუკი არ ეშინია ბილმაიერს, ვებერს, ტრიპელს, ჰოლლეს!.. — წუნარად ვამბობ მე და, ბუნდო-ვანად მაგონდება, რომ ეს სიტყვები უკვე მო-ვისმინე სადღაც.

„ჰმ! ბილმაიერი!“ — ნაღვლიანად ჩაიცინა მან. — თქვენ, ფოლკსდოიჩეებს, რა გიჭირთ?! უფიქრდები, როგორი შემოწმება იქნება?!. დაგ-ჰკითხავენ, აგვწონიან, გაგვატიტვლებენ, ასო-ასოდ გაგვსინჯავენ, და...“

„რა ვქნათ?!“ — თვალი არ მომიშორებია, ისე ვკითხე.

ფანჯარასთან მივიდა; ასე იდგა ერთ ხანს. ტუჩს იკვნეტდა და ქუსლებზე ირწეოდა. მერმე, რომელიღაც ნაღვლიანი მელოდიის სტვენა წამოიწყო.

„გავიქცეთ! — დავიყვირე მე, რაკი პასუხი აღარ მაღირსა. — მე შემიძლია ადვილად მო-ვახერხო ეს. უკვე მეგობრებსაც მოველაპარა-კე! მე მაქვს გეგმა, მარშრუტი!“

ერთბაშად სიხარულმა შემიპყრო; მისი მდგო-მარეობა მორალურ საბუთს მაძლევდა ჩემი გან-ზრახვის განსახორციელებლად.

„არავითარ შემთხვევაში!“ — ქინიანად წარ-მოთქვა მან ისე, რომ არც შემოუხედავს ჩემთ-ვის. — არსადაც არ გავიქცევი!“

გამაოცა მისმა ინერტულობამ. ზიზღით შე-ვათვალიერე და გაბოროტებით მივახალე: „გაქ-ცევისა გეშინია, დარჩენისა გეშინია, მაშ, რო-ღას აგვიკელი შენი წუწუნით?!“.

არ წყენია ჩემი გაბრაზება; მილეული ღი-მილით შემომხედა მხოლოდ და მშვიდად მი-თხრა: „იცი რას გეტყვი?!. მოდი, გმირობანას თამაშს მოვეშვათ! ჩვენ ძალზე, ძალზე ჩვეუ-ლებრივი ადამიანები ვართ. აბა, რისთვის გვჭირდება თავი მოვაწონოთ ერთმანეთს! მე ებ-რაელი ვარ, შენ — გერმანელი, მაგრამ ჩვენ უსიტყვოდაც ვენდობით ერთმანეთს. მე არც გაქცევისა მეშინია, არც — დარჩენისა!..“ უც-ბად ხმამ უღალატა...

„მივიდე?! მივეფერო?!. რა იდიოტური სი-ტუაციაა!.. კაცი საიდუმლო გადაცემებს იწერს, ჯიბით ფისტონებს ატარებს და ლამის ცრემლი წასკდეს!“...

„ელზა?! რა მოელის ელზას?!“ — ისტერიუ-ლად დაიყვირა მან. — „ჩამოახრჩობენ, უსა-თუოდ, ჩამოახრჩობენ. თავისივე ღვიძლი ძმა ჩამოახრჩობს!“

„მიდი და, ჩააფარე თავში ამ კრეტინს!“— გავიფიქრე მე.

„ელზას ხმასაც არავინ გასცემს! კიდეც გა-უხარდებათ, თუკი აქედან აიბარგები!“

„არა! დანამდვილებით ვიცი, რომ ჩამოახრ-ჩობენ!“

„რა ვუყოთ ახლა, თუ ჩამოახრჩობენ! განა საკუთარი ყურით არ მოისმინე, როგორი აზრის ბრძანდება ის ქალბატონი ებრაელებზე?!.. რამ-დენადაც ვიცი, შენ უკვე გიღალატა მან. გა-თხოვდაო, ამბობენ!“

„უსინდისო ყოფილხარ შენ! იდიოტი!“ — დაიყვირა მეტნერმა და ისე გამოიწია, მეგონა, გამარტყამს-მეთქი. — „ნუთუ, მართლა მირჩევ, რომ უდანაშაულო ადამიანი დავღუპო?! ელზას არავითარი აზრი არ გააჩნია ებრაელებზე! ელზა თვრამეტი წლისაა და, რასაც ჩასძახიან, იმას იმეორებს!..“

ბოლოს და ბოლოს, გამაბოროტა მისმა გა-ურკვევლობამ და ახირებულმა მორალმა. „თავ-ში ქვა და მუცელში სამართებელი!“ — ვფიქ-რობდი მე. — გყავდეს შენი ანგელოზი და ჩა-მოეკონწიალეთ ერთად თოკზე! მე რაღას გა-დამეკიდე!“

„თუ ჩემს სიტყვას არ გაიგონებდი, ვერ შე-ინახე ეს შენი საიდუმლო გულში?!“.

„შენთან რჩევისათვის კი არ მოვსულვარ!“— ამაყად თქვა მეტნერმა. — „მე უკვე გადავწყ-ვიტე, როგორც უნდა მოვიქცე!..“

„ყველა საიდუმლოს, ცხადია, არ გამიმხელ!“

„რატომაც არა!“ — მწარედ ჩაიცინა და ჯი-ბიდან ამპულა ამოაცურა.

„მომაკვდინებელი შხამი!“

„ახლა არცერთი სისაძაგლე აღარ გაკლია!“— ნერვებაშლილმა შევძახე მე. — „რომანტიკუ-

ლი მორალი, დამპალი სენტიმენტალიზმი და დეზერტირობა! თანაც, თვითმკვლელობაზე საქვეყნოდ არ გაჰყვირიან!..“

მუხლმოკეცილი დაეშვა სკამზე, ხელები სახეზე აიფარა.

„უგულო კაცი ვყოფილვარ მე! არ შემძლებია არც დანუგეშება, არც დარიგება! ეს ბიჭი კინკილაზე ჰკიდია: ყოველ წამს სიკვდილს ელის, მაგრამ მთავარი ეს როდია! ეს ბეწვის ხიდი უდიდეს იმედსა და სასოწარკვეთას ჰყოფს. ეს შიშიც ჩვეულებრივი სიკვდილის შიში როდია! ეს სრულიად ახალი რაღაცაა!“

„მე მხოლოდ შენ გაგიმხილე! — ბორძიკით თქვა მან. — ისიც იმიტომ, რომ საქმე მოითხოვდა!“

„ვერაფერი გამიგია, ნიკოლაუს! — რბილად ვთქვი მე. — ასე მგონია, გასართობ ამბავს ჰყვები, რომელიც შენ სრულებით არ შეგეხება!“

„იფიქრე, როგორც გსურდეს! სიცოცხლის წყურვილი დიდიხანია დავძლიე! ვერ მოვერიე მხოლოდ ბავშვურ, მიამიტურ ჟინს: უსათუოდ მინდა, ჩემმა ახლობლებმა გაიგონ, სად და როგორ დავიღუპე. ოდესმე ეს ომიც დამთავრდება! ოდესმე სამშობლოშიც დაბრუნდებით და, იქნებ, გაგახსენდეს, რომ თავი მოიკლა მეტნერმა — ჩემი ნამდვილი გვარი კი ლუნინია! ხომ უნდა იცოდეს, ბოლოს და ბოლოს, ვინმემ, ვინ ვიყავი მე!“

„ლუნინი?!“

„ჰო, ლუნინი! ნიკოლაი ლუნინი! დავიბადე მოგილიოვში, შემდეგ მოსკოვში ვცხოვრობდით; მამა ექიმია: ვსწავლობდი გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში; ვიბეჭდებოდი „კომსომოლსკაია პრავდაში“.

„გასაგებია, ყველაფერი გასაგებია!“ — ანგარიშმიუცემლად ვბუტბუტებდი.

„მაშ, არ დაგავიწყდება?! შეატყობინებ?!“

„როგორ არა! დღესვე ტელეფონით დავურეკავ!“

„მე სრულებითაც არ მინდა, რომ ასეთ დროს დამცინოდნენ!“ — მაღალფარდოვნად წარმოთქვა მან.

„შენ თვითონ დაგვცინი, კოლია! — დამთმობად ვუთხარი მე. — მშობლებთან ამბავს გვაბარებ, თითქო ხვალვე მივემგზავრებოდეთ ჩქარი მატარებლით. საკუთარი ამბავი კარგად იცი, სხვისას კი არ კითხულობ!“

„როგორ?!“ — გამოცოცხლდა ის.

„რამდენი წლის ხარ!“ — ბანზე ავუგდე სიტყვა.

„1920-ში ვარ დაბადებული!“

„ჰოდა, სიკვდილი ჯერ ნაადრევია! ისიც უსახელო და უმიზნო სიკვდილი! ომი ახლა იწყება! წინ დიდი ბრძოლებია! სიცოცხლეა საჭირო, ადამიანია საჭირო მტრის დასამარცხებლად. ჩვენ ახლა ბრძოლის წინა ხაზზე ვიმყოფებით! რასობრივ კომისიას უნდა გამოვგლიჯოთ ჩვენი სიცოცხლე და შევწიროთ ის რასობრივი სისაძაგლის წინააღმდეგ ბრძოლას! თუ დავიღუპებით, დე, ბრძოლაში დავიღუპოთ! თუ გავიმარჯვეთ, ეს დიდი და საინტერესო გამარჯვება იქნება!“

დიდხანს იყო თავდახრილი; ვამჩნევდი, რომ ყოყმანობდა. „არა, საბოლოოდ გადაწყვეტილია“! — წაიბუტბუტა მან.

„კომკავშირელი ხარ?“

„ვარ!“

„სანგრიდან გაქცევის უფლება გაქვს?“

„მე არ გავრბივარ! თავს ვიკლავ, როცა სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ!“

„ჯერ საამისო არაფერი მომხდარა... როცა დარწმუნდები, რომ ჩავარდი, მაშინაც მოესწრება!“

„კომისიაზე?! შემოწმების დროს?!“

„ჰო!“

„არა! ეს უარესი იქნება მისთვის! უმჯობესია მანამდე! ვითომ შემთხვევით მოვკვდი და ყველაფერი წყნარად ჩაივლის!“

„რაკი დარიგება არ გესმის, გიბრძანებ, ხელი აიღე მაგ ტუტუცურ განზრახვაზე! დღეს ამხანაგებს მოველაპარაკები და ხვალ საბოლოო გადაწყვეტილებას გეტყვი! იმედი იქონიე, რომ ყოველნაირად მხარს დაგიჭერთ!“

ლუნინს არა უპასუხია რა; უსიტყვოდ გავიდა ოთახიდან.

სხვისი დანუგეშებით ავადმყოფი თავის თავსაც ჰკურნავს. ამ შემთხვევამ ეჭვი და შიში ერთბაშად გამიფანტა.

ნათქვამია, თორმეტ კბილს რომ სიტყვა გადმოსცილდება, თორმეტ მთას გადაივლისო. იმავე ღამეს, თითქმის ყველა ჩვენმა ამხანაგმა იცოდა, რომ მეტნერი ებრაელი იყო. სათითაოდ აჩერებდნენ ერთმანეთს, მიიმალებოდნენ კუთხეში და აწრიალებული ჩურჩულებდნენ ამ „დაუჯერებელ ამბავზე“. შმიდტმა შიშით შემოჰყო ჩვენს ოთახში თავი და გარეთ გამიხმო.

„გაიგე?“

„რა?“

ახლოს მოვიდა და ყურში ჩამძახა: „ნიკოლაუსი „ჟიდი“ ყოფილა!“

„ნუ მიჰქარავ!“

„ღვთის მადლმა!“

„უგონებეთ საწყალს!“

„თვითონ უთქვამს!“

„რაღა ეშველება მაგ უბედურს?!“

„შენ ის თქვი, ჩვენც რომ დაგვღუპა! აღარც ერთს არ დაგვიჯერებენ!“

„ჩვენთან რა უნდათ!“ — მედიდურად ჩავილაპარაკე მე.

„აგრე გეგონოს! ყველას ეჭვით შეგვხედავენ!“

„მაშ, რა გზას დავადგეთ?!“

„უნდა ვუშველოთ როგორმე!“

„ქვეყანამ თუ გაიგო, რაღას ვუშველით?!“

„ვინ ქვეყანამ! მხოლოდ ჩვენმა ბიჭებმა იციან!“

„ჩვენი ბიჭები რა, ფრთიანი ანგელოზები არიან?!“

„შენ გგონია, რომელიმე ჩვენგანი გასცემს?“

„აბა, ვებერი და ბილმაიერი ებრაელს დაინდობენ?!“

„ცდები! დარწმუნებული ვარ, არც ისინი გასცემენ, რომ გაიგონ! ახლა ყველას საკუთარი ტყავის ეშინია!“

„ერიჰა! გეტყობა, შენ მართლა არავის იცნობ!“

„არცერთი, არცერთი არ გასცემს!“ — მომაყვირა მან და უკმაყოფილოდ გამშორდა.

„ტყუილი იქნება ეს ამბავი, მოჭორილი!“— მივაძახე მე და კორენოვთან ავედი.

იგი აღშფოთებული იყო მეტნერის საქციელით; არავისთვის არ უნდა გაემხილა, შენთვისაც კი არ უნდა ეთქვაო. ის ახლა ისე თავგზაარეულია, ეტყობა, სხვებთანაც წამოცდა და რომ ჰკითხო თვითონაც ველარ გეტყვის, ვის და რატომ უთხრაო. „გააფრთხილე, ამაზე კრინტი აღარ დასძრას, პირადად მას მოერიდე, სხვებს კი, მოველაპარაკოთ, რომ შემოწმებაზე ხელი შეუწყონ. თუ საჭირო გახდა, კიდეც დაემოწმონ, რომ ბავშვობიდან იცნობენ. ახლა გერმანელების საქმე ისე აღარაა, როგორც ამ ერთიორი თვის წინათ იყო და, შესაძლოა, ზოგიერთი ფხიზლდება, ჭკუაზე მოდის.“

გამიგონია, რაც ქვეყანაზე ადამიანია, ყველა ექიმიაო, — თუ ავად დაგინახეს, ყველა თავისებურ წამალს გირჩევსო. იმ დღიდან მოკიდებული, მეტნერის ოთახში ჩოჩქოლი და ფუსფუსი არ შეწყვეტილა. ყველა თავისებურად ანუგეშებდა და არიგებდა. შედიოდნენ და გამოდიოდნენ, შეჰქონდათ და გამოჰქონდათ: მაკრატელი, დანა, ბინტი, წებო... აკერებდნენ, აწებებდნენ, ასწორებდნენ.. ექიმი პაულ ჰოლლე თავს ადგა. დანამდვილებით არავინ იცოდა, შეიძლება თუ არა წინადაცვეთის მოშლა, მაგრამ ყველაზე დასაფასებელი ეს ერთსულოვნება და ურთიერთთანაზიარობა იყო და იმ დღიდან ბევრზეც შევიცვალა აზრი. მხოლოდ ბილმაიერსა და ვებერს არა წამოსცდენიათ რა; ვერც მივხვდი, მათ ყურამდეც მიაღწია თუ არა ამ ამბავმა.

მეტნერ-ლუნინი ლოგინად ჩავარდა; კორენოვმა გამაფრთხილა, თუ ხასწაული მოხდა და შეყვარებულმა მოაკითხა, — როგორმე ერთმანეთს არ შეახვედროო.

ფროილაინ ელზა, მართლაც, მალე გამოჩნდა ბანაკში, მაგრამ ნიკოლაუსის ოთახი დაკეტილი დახვდა და ჩემთან შემოვიდა. დაღონებული იყო. ბანაკის სამხიარულო ამბები მოვუყევი და, სხვათა შორის, ვთქვი „ჩვენი რასობრივი შემოწმება იწყება და ვღელავთ-მეთქი“.

„ნიკოლაუსიც ღელავს?“ —თვალაეუეუნებით იკითხა მან.

„ჩვენსავით არა, მაგრამ, ალბათ, არც ისაა მთლად დამშვიდებული. — ვთქვი მე. — გამოცდებია, ხომ მოგეხსენებათ, როგორც სკოლაში!“

„პირიქით, ძალიან საინტერესოა!“ — გადაიკისკისა ელზამ. — ჩვენც გავიარეთ ასეთი კომისია და— არაფერი! უთხარით ნიკოლაუსს, ერთ წუთს არ მოიწყინოს!“

„ეჰ, შენ რა იცი! — გამიელვა გულში. — რომ გაიგო, შესაძლოა, საკუთარი ხელით ჩამოახრჩო შეყვარებული!“

## 8

ყველა გრძნობდა, რომ ფრონტზე რაღაც გაუგებარი ამბები ხდებოდა... ჰერრ შტეფანს სამხედრო უწყებაში გამოუძახეს და უბრძანეს, რუსეთში მოხალისედ წასულიყო. პაბიანიცეში, სადაც დავრდომილი დედა რჩებოდა, ეს ცნობა „ზონდერმელდუნგივით“ გავრცელდა. კომენდანტობა ესესმან ბიგაის გადააბარა და მეორე დღესვე წინა ხაზზე უკრეს თავი, რაც უკვე სრულიად მოულოდნელი იყო, როგორც მისთვის, ისე მთელი ბანაკისათვის.

მგზნებარე პროპაგანდისტი ერთბაშად მოტყდა; წასვლის წინ ერთობ საცოდავი ჩანდა. მეორე დილით ალაყაფს, სადაც ბარგს ვეზიდებოდით, სალდათების პატარა კოლონა მოადგა; მწყობრს ერთი დაბალი კაცი გამოეყო და მოდუნებული ნაბიჯით მომიახლოვდა.

„გამარჯობა, კავკასიელო!“

ჰერრ შტეფანს ხმაც მისუსტებოდა; იგი საბრძოლოდ იყო აღკაზმული; მელოტ თავს მწვანე მუზარადი უფარავდა. მინდვრისფერი შარვალი ჩექმებში ჩაეკეცა; მკერდზე ფრთაგაშლილი არწივი ეხატა.

„ვერ მიცანით? — ნაღვლიანი ხმით წარმოთქვა მან.

„აჰ! ჰერრ შტეფან, ეს თქვენ ბრძანდებით?!“

„რა თქმა უნდა!“

„გვტოვებთ?“

„მივდივარ! ბოლშევიკები კაპიტულაციას არ აცხადებენ!“

თავდახრილი კოლონას შეუერთდა და მალე დათოვლილ ფიჭვებს მიეფარა.

უკანასკნელ დღეებში ყველაზე მეტი მღელვარება მაინც ბილმაიერს ემჩნეოდა. ისლერებთან სრულებით აღარ დადიოდა; კანცელარიიდან წინანდელზე ადრე ბრუნდებოდა და განუწყვეტლივ მჟავე გუნებაზე იყო. რამდენჯერმე კიდეც შევამჩნიე, რომ რაღაცის თქმა უნდოდა ჩემთვის, მაგრამ ვერ გაებედნა; დააღებდა სათქმელად პირს, მიყურებდა, მიყურებდა და გაჩუმდებოდა.

შემოწმების წინა ღამეს ნახევარი ბოთლი კო-

ნიაკი მოიტანა და ძალით დამალევინა; დამიწყო ფერება და კუდის ქიცინი; ხომ იცი, შენს უკეთესი არავინ მეგულება, შენს გარდა არავის ვენდობიო; ერთმანეთისთვის თავი უნდა დავდოთო. ვერას გზით ვერ ამეხსნა, მაინც რა უნდოდა ჩემგან, რას გადამეკიდა; მე ჩემი დარდი მეყოფოდა, მაგრამ როგორც ყოველთვის, ახლაც მორჩილად ვუქნევდი თავს.

კარი მაგრად ჩარაზა, ზედ მაგიდაც მიადგა, ფარდები დაუშვა და სახედაღრეჯილი მომაჩერდა. გაშტერებული შევყურებდი, რას მეტყვისმეთქი, მაგრამ საშველი არ დააყენა; ისევ ისე დაალებდა პირს და გაჩუმდებოდა: ნერვები ამეშალა.

„ხომ გახსოვს, როგორ გვჩაგრავდნენ!“ — დაიყვირა უცებ, არაბუნებრივი ხმით. „შენ არ ამოგშანთეს დაღი?!“

„რა დაღი?!“ — გაუგებრად წავილაპარაკე მე.

„როგორ თუ რა დაღი?!“ — უკმაყოფილოდ წაიბურტყუნა ბილმაიერმა და მკაცრად შემომხედა. — ყველა ფოლკსდოიჩეს სამარცხვინო დაღს ასვამდნენ!“

„მე არავითარი დაღი არ გამაჩნია!

„ჰმ! არავითარი დაღი არ გააჩნია!“

„არც სხვებისთვის შემიმჩნევია!“ — ცოტა არ იყოს, შეკრთომით წარმოვთქვი მე.

ბილმაიერი ჩაფიქრდა.

„ჰო! რაიონების მიხედვით დაღავდნენ! თქვენს მხარეს, ალბათ, ჯერ არ მოუწია!“

„შეიძლება!“

„ჰოდა, მე სამარცხვინო დაღი მაქვს!“ — საცოდავად დაიპოპრა ჩვენმა რაინდმა. — „მოდი, ნახე!“

ბილმაიერმა შიშით მოათვალიერა ოთახი და შეხვეული მაჯის შეხსნა დაიწყო, რომელიც ბიალპადლიასკიდან იპყრობდა ჩემს ყურადღებას; გადასწევდა ერთ ნაკეცს და შემომხედავდა დასაწყლებული სახით. მთელი საათი იწვალა და მაწვალა, სანამ იმ ერთ მტკაველა ბინტს შემოიძრობდა. ბოლოს, როგორც იქნა, შემოიხსნა. მაგრამ ბინტი მაინც მაჯაზე ჰქონდა გადაფენილი და საცოდავად შემომყურებდა.

ამასობაში კარის ჯაჯგურიც გაისმა. ბილმაიერმა დოლბანდს ხელი წამოავლო და უმწეოდ აწრიალდა.

„რომელი ხარ?“ — მოჩვენებითი მამაცობით დაიყვირა მან.

„კარლი ვარ! გამიღე!“

„კარლი?!“

„ჰო, კარლ ვებერი!“

„ო, ეს გველაძუა!“ — ჩაილაპარაკა ბილმაიერმა. — „წადი, შე უნიჭოდ გაჩორკნილო მორო. და თორმეტ საათამდე არ დამენახო! პატივცემულო ობერშტუმფიურერის საჩქარო დავალებას ვასრულებ კომისიისათვის!“

„კომისიისათვის?!“

„ჰო! მომწყდი აქედან, რა საქმე გამიჭირე შენი აკებაკე შეკითხვებით!“

კარლი ჯუჯღუნით წავიდა.

„ჰა, ამაგლიჯე!“ — მიბრძანა ბილმაიერმა.

თავმობეზრებულმა სწრაფად დავავლე ბინტს ხელი, მაგრამ გოტლიბმა ისე შეჰკივლა, რომ თავი გავანებე.

„გატკინე?“

„ა?.. ჰო!.. არა! მოდი!“.

როგორც იქნა, გადავაცალე ბინტი და არავითარი ჭრილობა! არაფერი! არაფრისგან არაფერი! ვერც კი მივხვდი, რა აწუხებდა. თვითონ ისე მობუზულიყო, მუჭში ჩაეტეოდა; ძალიან სულელურად მომშტერებოდა და მეც გაოცებული შევყურებდი.

„ხედავ დაღს?“ — წამოისლუკუნა მან.

აი, თურმე, რა ყოფილა! ახლაღა დავუკვირდი მაჯას: ხუთქიმიანი ვარსკვლავი! ჩაქუჩ-ნამგლითა და სათანადო წარწერით!

ბილმაიერმა თავი დახარა.

„რა მეშველება ახლა მე?“ — ისტერიული სასოწარკვეთით იკითხა მან.

მაჯაზე, აქა-იქ, დანისა თუ ნემსის ნაკაწრი ეტყობოდა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ თავი მაგრად ეწვალებია, მაგრამ ტატუირებისთვის მაინც ვერაფერი დაეკლო, უნაკლოდ იყო შემონახული.

„კომისრად გამომაცხადებენ! შეიძლება, ებრაელადაც კი ჩამთვალონ!“

თავის თავი შეებრალა და გული ამოუჯდა.

„მე თვითონ რაღა მეშველება!“ — გამიელვა გულში. — ეს კათაკმეველი აწი აღარავის დაზოგავს! მუდამ ხომ სწორედ იმისი უნდა გეშინოდეს, ვისაც შენი ეშინია?!“

„მკლავი მოვიჭრა?!“

ამაზე არ გამცინებია, რადგან გაგონილი მქონდა, რომ, თუ ნადირი ხაფანგში გაებმებოდა, საკუთარ ფეხს მოიჭამდა და განთავისუფლდებოდა.

„რა უნდა ვურჩიო ახლა ამ ჩერჩეტს?!. მიატოვებ და, არცერთს აღარ დაგვინდობს!“

„მეტნერს უნდა ვკითხოთ!“ — ვთქვი მე.

„აუ!“ — შეჰყვირა ბილმაიერმა და ფეხზე წამოვარდა.

„მეტნერს ხატვა ეხერხება!“ — თავი ვიმართლე მე.

„მერე, იმ მატრაკვეცას ვენდო?!“

„პირობას გაძლევ, რომ არავის ეტყვის!“

„იმ ტარაკუჭას საჯიჯგნი გავიხადო თავი?!“

„მაშინ, რა უშავს! გადი ასე კომისიაზე, რა მოხდება, ვითომ! თქვი, დაღია-თქო!“

„ააა! არ დამიჯერებენ! ჩემს მეტს რომ არავის აქვს?!“

„აბა, რა ვქნათ?!“. — დავიბენი მე.

ბილმაიერი ჩაფიქრდა.

„შენ დამიდგები თავდებად, რომ ის ქვებუდანი არავისთან წამოაყრანტალებს?“

„პატიოსან სიტყვას გაძლევ!“

„გენდობი! ხომ იცი, როგორ მიყვარხარ!“

მაღლა ავედი და მეტნერი ჩამოვიყვანე. ბილ-

მაიერმა თავი მოიკატუნა, ორთავეს ფიანდაზად გაგვეგო. მეტნერი გამოცდილი დოსტაქარივით ათვალიერებდა „დაღს“ და სიცილს ძლივს იკავებდა. ამდენი ხნის შემდეგ, პირველად ვნახე გაღიმებული.

„არაფერი ეშველება!“ — დასვა მან ულმობელი დიაგნოზი.

ბილმაიერს გული შეუღონდა. დაგვიწყო ხვეწნა, მუდარა; სულ გასაწყლდა და დაბეჩავდა...

„მაშ, დავიღუპე?! არავითარი გამოსავალი არ არსებობს?!“.

მეტნერმა შუბლზე თითი მიიდო და გაირინდა: გოტლიბი პირდაბჩენილი შეჰყურებდა მხსნელს.

„არის ერთადერთი გამოსავალი!“ — მხიარულად შესძახა მეტნერმა.

„მართლა?! დამიხსენი, შენი ჭირიმე!“

მეტნერმა აბუჩად შეათვალიერა პაციენტი და ირონიული ხმით თქვა:

„შემიძლია სვასტიკად გადავაკეთო! ცხადია, თუ ჰერრ ბილმაიერი თანახმა იქნება!“

„შეიძლება?! მოხერხდება?!“ — ახუნტრუცდა ბილმაიერი.

„შემიძლია!“ — მიუგო მეტნერმა. — „მაგრამ განმეორებითი ოპერაცია, ესე იგი, ისევ ვარსკვლავად გადაკეთება, აღარ მოხერხდება!“

ბილმაიერმა მისი ქარაგმა ვერ გაიგო და შეშფოთებით წამოიყვირა: „მაშ, არ შეიძლება?!“

„როგორ არა! შეიძლება!“ — თქვა მეტნერმა და საქმეს შეუდგა.

ოპერაციამ, რომელიც რამდენიმე საათს გაგრძელდა, წარმატებით ჩაიარა. ქირურგმა საზეიმო ხმით გამოაცხადა: „ჰერრ ბილმაიერმა საბოლოოდ ნათელ იღოო“ და თვალი ჩაუკრა.

ბილმაიერი დიდხანს ათვალიერებდა მაჯას და, როცა დარწმუნდა, საქმე კარგადააო, თავმომწონედ თქვა: „მაშ, ასე! ხვალ, ცხრა საათზე! არ დაიგვიანოთ!“

## 9

„შავი ყორანი“ დედაქალაქში შეიჭრა, სადღაც შლაგბაუმთან დამუხრუჭდა, მერმე, ესტაკადის ქვეშ გაიქროლა და აღმართს აჰყვა...

ლიტცმანშტადტი, მოლტკეშტრასე 72. „რაიხსკომისარი გერმანული ერის კონსოლიდაციისა. ფოლკსდოიჩეთა საქმეების ცენტრალური სამმართველო. უშიშროების სამსახური“.

სიის მიხედვით, მანქანიდან თითო-თითოდ ჩამოგვიყვანეს და კომენდანტურაში უშიშროების სამსახურს გადაგვაბარეს. იქ, ბელეტაჟზე, გაგვჩხრიკეს და გვიბრძანეს, კედლის გაყოლებით, გრძელ სკამზე დავმსხდარიყავით. „ყვითელი მუმია“, რომელიც ბანაკიდან გამოგვყოლოდა, დერეფანშივე გაუჩინარდა...

რასობრივი განსაწმენდელი პირქუშად დუმდა ჩვენს პირდაპირ, ვიტრინებში, გამოფენილი იყო „მაღალი“ და „დაბალი“ რასის წარმომადგენელთა სურათები, ადამიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილთა მონახაზები, „შტიურმერისა“ და „შვარცე კორის“ უკანასკნელი ნომრები, „გმირ-ესესელთა პორტრეტები, ნაბეჭდი ილუსტრირებული ლოზუნგები და მოწოდებები: „იცი თუ არა, ვისი ბრალია, ცუდად რომ ცხოვრობ? — ებრაელის!...“ „რასის წარმომადგენელი მხოლოდ წმინდა სისხლის გერმანელი შეიძლება იყოს!..“ „აღმოსავლეთის მიწებზე მარტო გერმანული სისხლის ადამიანებმა უნდა იცხოვრონ!“ ჩვენი წინაპრების შეცდომით გერმანულ სისხლს სხვა ხალხების სისხლი შეერია“....

ფანჯარაში, ცეცხლგამძლე კედელს მიღმა, დათოვლილ ფაბრიკათა ღუმელები და ერთმანეთზე მიჯრილი უფერული შენობების აბრისები ისახებოდა. ყინვა ორმაგი ფანჯრის მინებში იჭრებოდა და ძვალსა და რბილში ატანდა. ჩვენს წინ ესესელი ოფიცრები მიმოდიოდნენ, ჩაცმულობით, ქცევითა და იერით ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, იფიქრებდი, უჩინარი ხელი ერთსა და იმავე კინოკადრს ატრიალებსო. შემოსასვლელთან მანქანების გამყინავი ხმაური არ წყდებოდა; სადარბაზოს კარი წამდაუწუმ იღებოდა, კიბეზე ჯერ მკვდრის თავისქალიანი, ძვლებგადაჯვარედინებული დიდი ქუდები ამოდიოდნენ: მათ, თითქოს, ჩრდილებივით მიჰყვებოდნენ მინდვრისფერი ფარაჯები, რომელთა ლაცკანები ზუსტად იმ წერტილზე, სადაც ვახტიორი იდგა, მაღლა იწევდა.. საოცარია მაინც, როგორ ისახება ჩაცმა-დახურვასა და მანერებში ქვეყნისა და ეპოქის სული!..

დიდხანს ერთ ადგილზე ყოფნას ვერ გავუძელით, და მე და კორენოვმა დერეფნის დათვალიერება დავიწყეთ; გაუბედავად მიმოვდიოდით და იმ ოთახების კარებზე, სადაც ჩვენი ბედი უნდა გადაწყვეტილიყო წარწერებს ვკითხულობდით: „თვალი“, „ცხვირი“, „თავის ქალა“, „ნიკაპი“, „ფეხი“, „ხელი“, „თმა“, „კანი“, „კბილები“, „ტანი“, „გულ-მკერდი“, „სისხლი“, „გამოხედვა“, „ყური“... ეს მხოლოდ პირველ სართულზე! შენობა კი სამსართულიანი იყო!.. ალაგ-ალაგ, ღრიჭოდ დარჩენილ კარებში, რაღაც ურჩხულისებური ინსტრუმენტებიც დავლანდეთ.

„ერიჰა! — წამოიძახა კორენოვმა. — „ეს რასობრივი ბაზარი, მართლა, დიდი მეცნიერება არ ჩანს?!“

„ნურც მაგრე ეხუმრები!“ — ვთქვი მე. — „დაგჭედავენ, მოგაკრავენ სასიკვდილო დიაგნოზს და უმტკიცე მერე გუსტავ პირველს, ცრუმეცნიერებაა-თქო“.

რომ დაინახა, დერეფანში თავისუფლად დადიან და არავინ არაფერს ეუბნებაო, კარლ ვებერიც წათამამდა და ფეხაკრეფით აგვედევნა. სადაც ჩვენ შევჩერდებოდით, ისიც იქ შედგებოდა და აკებაკე შეკითხვებით თავს გვაბეზრე-

ბდა. ერთგან, მაგალითად, ავანზალას ვიტრაჟი ჰქონდა გაკეთებული და დაინტერესდა, ეს რა ჯადოსნობააო.

„ებრაელების გამოსაჭერი ხაფანგია!“ — მიუგო კორენოვმა.

„როგორ?! რანაირად!?“ — ჩაჰკვეძია კარლი

„თუ ამ ბრჭყვიალა მინებს ათ წუთს თვალს ვერ გაუსწორებ, ნაღდი ებრაელი ხარ!“

„მართლა?!“ — ბრიყვულად მოგვაშტერდა კარლი.

„ჰმ! ვერ ხედავ, მთელი საათი რომ აქ ვდგავართ და ვვარჯიშობთ?!“

მეც უნდა ვივარჯიშოო — გადაწყვიტა კარლმა და ვიტრაჟის წინ გაქვავდა, მაგრამ ძალიან გაუჭირდა, — ფერად მინებს ვერასდიდებით თვალი ვერ გაუსწორა, წარამარა წამწამებს აფახულებდა და ეს რა ჯადო მანქანა ყოფილაო, — ბუტბუტებდა.

ამ სურათმა ყველა გამოაცოცხლა, თანდათან წამოიშალნენ და გარს შემოგვეხვივნენ.

„ეჰ, ბიჭებო, მოგცლიათ, რაღა!“ — ნაღვლიანად გვითხრა მეტნერმა, რომელსაც ფერმკრთალი სახე ჰქონდა, მაგრამ ახალ კოსტუმსა და შტიბლეტებში კოხტად გამოიყურებოდა. — „თავი გაანებეთ მაგ ჩოჩლეს! ნუ გავიწყდებათ, რომ მართლა უზენაესი სამსჯავროს წინაშე ვდგავართ!“

„გეშინია?“ — წავჩურჩულე მე.

„ჰო, მაგრამ უცნაურ სპორტულ ჟინსაც ვგრძნობ!“

მან უკვე იცოდა, რომ შემოწმების ჩასატარებლად შტუტგარტის „გერმანული ინსტიტუტის“ საგანგებო ექსპედიცია ჩამოსულიყო და ათობით სახელმოხვეჭილი რასისტი პროფესორის ხელში უნდა გაგვევლო.

თორმეტ საათზე ახალგაზრდა ობერშტურმფიურერმა, რომელსაც „ყვითელი მუმიაც“ თან მოჰყვა, ავანზალაში შეგვიყვანა, რამდენჯერმე გადაგვთვალა და სიის ამოკითხვას შეუდგა. მიუხედავად ათასი შეგონებისა, სანამ ჩემს გვარს მიატანდა, მაინც სუნთქვა შემიგუბდა. არც კი მიგონია, როგორ წაიკითხა ჩემი ანკეტური მონაცემები, მხოლოდ გამჭირდავი ხმა მესმოდა და მეგონა, ჰა და ჰა, ხელს მკრავს და დასახვრეტად მიმაბრძანებს–მეთქი.

„მოისმინეთ გერმანიის საიმპერიო რასობრივი კანონმდებლობის მთავარი დებულებები!“ — ცივად გამოგვიცხადა ობერშტურმფიურერმა და ორიოდე ამონაწერი გაგვაცნო...

„გასაგებია?“

„გასაგებია! გასაგებია!“

ობერშტურმფიურერმა საქაღალდე გაშალა, ერთი დასტა დაბეჭდილი ფურცლები ამოიღო და სათითაოდ ჩამოგვირიგა.

„წაიკითხეთ და დაფიქრდით! ნახევარ საათს გაძლევთ გადასაწყვეტად! მერმე, ვინც თანახმა იქნება, ფიცზე ხელს მოაწერს“

მაგიდას შემოვუსხედით და კითხვა დავიწყეთ.

„გერმანიის იმპერია. რაიხკომისარი გერმანელი ერის კონსოლიდაციის საქმეებისა; რასისა და ჩასახლების მთავარი სამმართველო; უშიშროების სამსახური.

მე, ფოლკსდოიჩე... (სახელი, გვარი, მამის სახელი), გავეცანი რა რასობრივი შემოწმების შესახებ 1941 წლის ივლისის № 420 ბრძანების სათანადო პარაგრაფებს, ფიცს ვდებ, რომ რასობრივი კუთვნილების განმსაზღვრელ კომისიას აბსოლუტურად ზუსტ ჩვენებებს მივცემ ჩემი წინაპრების ვინაობაზე. ვალდებული ვარ, კომისიას წინასწარ განვუცხადო, თუ ჩემი მშობლების ან წინაპართა (პაპის, პეპერას, დიდედის, დიდედის დედის, — ვიდრე მერვე თაობამდე) სისხლში ურევია უცხო ელემენტი.

მცდარი ან არაზუსტი ჩვენება წინასწარ განზრახულ ბოროტმოქმედებად ჩაითვლება და დაისჯება, თანახმად ზემოაღნიშნული კანონისა — „რასობრივი შემოწმების შესახებ“, — სიკვდილით ან საკონცენტრაციო ბანაკში სამუდამო პატიმრობით...

პარაგრაფი 4: მიცემულ ჩვენებათა სისწორეს და აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობას, განსაზღვრავს რასობრივი შემოწმების დასკვნები, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ.

პარაგრაფი № 5: ის პირი, რომელიც რასობრივ გამოკვლევას ვერ ჩააბარებს, დაუყოვნებლივ დაპატიმრებული იქნება, და მისი, როგორც საშიში უცხო ელემენტის, საქმე გადაეცემა იმპერიის უშიშროების მთავარ სამმართველოს განაჩენის გამოსატანად“,

გავეცანი: ხელმოწერა. 1941 წ. ნოემბერი.

ფიცის ხელწერილი რამდენჯერმე წავიკითხე და ამხანაგებს გადავხედე.

„რას ნიშნავს კონსოლიდაცია?“ — როყიოდ იკითხა კარლმა, მაგრამ მისთვის ხმა არავის გაუცია. შევატყე, რომ ყველა ყოყმანობდა. კორენოვმა ისე ჩაიქნია ხელი, თითქო უკანასკნელი ხიდი ავფეთქეო და საბუთს ხელი მოაწერა.

„რას ნიშნავს: „განაჩენის გამოსატანად“? — დაიბოყინა ისევ კარლმა.

„ბუხ! ბუხ!“ — მიაძახა ბილმაიერმა და პისტოლეტივით მიუშვირა ხელი.

კარლმა თვალები დაჭყიტა.

„კომისია რომ შეცდეს, მე უნდა დამხვრიტონ?!“ — თქვა ტრიპელმა და ფიცს ხელი მოაწერა. ის გოთურ ანგელოზს ჰგავდა, კეთილად იღიმებოდა და თავისი უბინდო სახით ჩვენც სიმშვიდეს გვგვრიდა.

ობერშტურმფიურერმა ხელწერილები შეაგროვა და სარდაფში ჩაგვიყვანა. რიგ-რიგობით ფოტოგრაფთან გვიძახებდნენ და სურათებს გვიღებდნენ. ჩემმა ჯერმა რომ მოატანა, მაშინ მივხვდი, რატომ აგვიანდებოდათ ამხანაგებს იქიდან გამოსვლა.

ფოტოლაბორატორია ათობით პატარა, სხვადასხვაფრად განათებული ბუდრუგანასაგან შედგ-

ბოდა, და ყველგან განსხვავებული აპარატები იდგა. ჯერ, როგორც გამოვცხადდი, ისე გადამიღეს; მერმე უპიჯაკოდ შემდეგ პერანგის ამარა; ქუდით, უქუდოდ; ფეხსაცმელებში, უფეხსაცმლოდ. ამას რომ მორჩნენ, გამატიტვლეს და წალმა-უკუღმა მატრიალეს; მიღებდნენ ანფასში, პროფილში, თავდახრილს, თავაწეულს; დაჩოქილს, დამჯდარს, მოკუზულს; ქვევიდან ზევით, ზემოდან ქვემოთ; გვერდებიდან, ახლოდან, შორიდან; ლურჯ სინათლეზე, იისფერზე, მწვანეზე, წითელზე. ცალკ-ცალკე და ათასგვარ მდგომარეობაში გადაიღეს სხეულის ყველა ნაწილი: თავი, თმა, შუბლი, ცხვირი, ყური, ტუჩები, კისერი, კეფა, ხელები, მკლავები, ფეხები, ტერფი, ბარძაყები, მუხლი, წელი. აბა, რა გაიხსენებს და ჩამოთვლის ყველას! ცაიტლუპებს ხან თავზე გაჰქონდათ ბზინვა-ტკაცანი, ხან მხრებზე, ხან გულ-მკერდზე.

ფოტოგრაფები ხმას არ მცემდნენ, — ხელით ჩქარ-ჩქარა აქეთ-იქით მატრიალებდნენ და იქიდან რომ გამოვედი, დაღლილ-მოთენთილს ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, ამოუხსნელ-გაურკვეველი აღარაფერი დარჩენიათ-მეთქი. ასე მეგონა, რაც ვიცოდი და რასაც ვფიქრობდი, ყველაფერი გადაიღეს და ჩაიბეჭდეს: სხეულის ყველა ნაწილი — ნეკიდან დაწყებული ყურის ბიბილომდე, სადარდებელი გამიხდა; ყველაფერს სკეპტიკურად ვისინჯავდი და ვათვალიერებდი; უნებურად, სხვების ხელს, თვალსა და თითებს ვაშტერდებოდი და ჩემსას ვუდარებდი; ერთბაშად იმდენი საფიქრალი და თავსატეხი გამიჩნდა, რომ აღარც კი ვიცოდი, რომელ ერთზე მეფიქრა; ყველაფერი ერთმანეთში აირ-დაირია; მეგონა, ყველასაგან განვსხვავდებოდი და ყველაზე მახინჯი ვიყავი.

„გათავდა!“ — განაცხადა ბილმაიერმა, როცა „ყვითელ მუმიას“ საღამოს „შავი ყორანით“ კვლავ ჩვენს ბანაკში მივყავდით. — „კუდისძირამდე გაშუქებული ვართ!..“

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი აღმოჩნდა; რასობრივი შემოწმება ოც დღეს გაგრძელდა. ღამით ოთახებში ვყავდით გამოკეტილი და ვახტიორები გვდარაჯობდნენ; დილით დახურული მანქანით ლოძში მივყავდით და გვიან საღამომდე გვსინჯავდნენ და გვსინჯავდნენ. სხეულის თვითეულ ნაწილს ცალკე დღე, ან საათები ჰქონდა განკუთვნილი და სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა კომისიები ამოწმებდა. იყო, მაგალითად, „თმის დღე“, ცხვირის დღე“, „თვალის დღე“, „ფეხის დღე“ და ა. შ. საღამოს, ერთმანეთს რომ შევხვდებოდით, ლაპარაკის თემა მხოლოდ ეს იყო; „ორშაბათს ცხვირი გვაქვს!“ ან: „ოცდარკაში ნიკაპია!“ ზუსტად ისე, როგორც მოწაფეებმა იციან თქმა: „ხვალ ალგებრა გვაქვს“, „ზეგ — ქიმიაო!“ განსხვავება ნიშნებში იყო! „ორიანის“, სამიანისა“ და „ხუთიანის“ ნაცვლად, შეეძლოთ დაეწერათ: „დახვრეტა!“ „საკონცენტრაციო ბანაკი!“ ან „გერმანიის მოქალაქეობა და პასპორტი!“

ყოველი გასინჯვის წინ [illegible] დერეფანში ხმამაღლა აცხადებდნენ და [illegible] მეჩვენებოდა, რომ ჩემს გვარს დაცინვითა და მუქარით წარმოთქვამდნენ.

ფოტოგრაფირების შემდეგ, ათასგვარად აგვწონეს და იმავე დღეს ასაზომად წაგვიყვანეს. ეს ყველაზე ხანგრძლივი და რთული პროცედურა გამოდგა. უცხო ხელსაწყოებით სავსე დარბაზში ხუთი ესესელი ექიმი ტრიალებდა; მოშორებით, პატარა მაგიდებთან, რასობრივი ექსპერტები ისხდნენ, წინ რაღაც ინსტრუმენტები და ცხრილები ეწყოთ; დროდადრო შემომხედავდნენ და თავიანთთვის რაღაცას ჩაინიშნავდნენ; ხან რომელიმე მათგანი მომიახლოვდებოდა, შემათვალიერებდა და რაღაცას ჩაიწერდა.

ექიმებმა მრავალშკალიან სადგომზე შემაყენეს და თავი ლითონის ორკაპში გამაყოფინეს; ხან დამსვამდნენ, ხან დამაჩოქებდნენ, ხან — დამაწვენდნენ; ყოველ წუთს მკაცრად მიბრძანებდნენ, რომ თავი მაღლა ამეწია და ზურგით მჭიდროდ მივყრდნობოდი საზომს. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ არ მეცუღლუტა და სიმაღლე არ მომეპარა! ორ ქალს განზომილობანი ბადისებურ ცხრილებში შეჰქონდა. განუწყვეტლივ ისმოდა: „მკერდის გარეშემოწირულობა 115“, „წელი — 35;“ „წვივი — 90;“, „სიმაღლე — 180!“ ესეც რომ მოთავდა, ექიმებმა აუარაცხელი ინსტრუმენტი დაატრიალეს; თავის ქალაზე გონიოსებრი კბილანი დამადგეს, მკერდი და ზურგი ლითონის სალტეებით შემიბოჭეს, შუბლზე დაწმახნული ცირკულები შემომიჭირეს; მუცელსა და თეძოებზე ვეება დაშკალული მარწუხები შემომაჭდეს, უამრავი სტანდარტი მომიზომეს. ამოალაგეს ერთი ციცქნა მილაკები და ბუქები, მსხვილი და მოსრიალე ცირკულები, კუთხემზომები და შენკელები.. სხეულის არცერთი კუნჭული არ დარჩენიათ გაუჩიჩქნავ-გაუზომავი; ყოველ მილიმეტრს ჯიუტად ჩაჰკირკიტებდნენ; გაზომეს ნიკაპის სიგრძე-სიგანე, ფეხისა და ხელის თითებს შორის მანძილი, თითეული თითის სახსარი, ხელისგული, მაჯა, თითების გაშლილობა, ცერებთან მათი დაშორება, სახსრების მოძრაობა; დათვალეს ყურის ნაოჭები, გაზომეს წარბებს შორისი მანძილი, კისრის სიგრძე, აღნუსხეს ყველა ძვალი და ხრტილი. მერე შინაგან ორგანოებზე გადავიდნენ; მოიტანეს ათასგვარი სპირომეტრი და დინამომეტრი.

„ისუნთქე!“ „არ ისუნთქო!“ „მშვიდად!“ „პირით!“ „ცხვირით!..“ გამიზომეს თმის, წარბის, წამწამის ბეწვთა დიამეტრები. „კიფოზა!“ „სკოლიოზა!“ „ლორდოზა!“ გაჰყვიროდა ექიმი და ახალ-ახალი მონაცემებით ივსებოდა მასშტაბური ბადეები; მათემატიკურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულების, ლოგარითმებისა და ბინომების დახმარებით, დგებოდა უთვალავი კოეფიციენტები. სამშობლოს სადიდებლად, მისი უშიშროების უზრუნველსაყოფად, ცოდნასა და ენერგიას არ ზოგავდნენ რასობრივი ქურუმნი, მისანნი და წინასწარმეტყველნი!

ბილმაიერი სახედაღრეჯილი გამოვიდა განზომილებათა ოთახიდან. ფრთხილად მომიახლოვდა და წამჩურჩულა: „რას გვიზამენ, ნეტავი?!" კოეფიცენტების ცხრილში ჯუჯის სიმაღლე ჩაეწერათ — 155 სანტიმეტრი! ისიც, თითქმის, მთლად კისრიდან ბარძაყებამდე; ასე რომ, ეს ბრტყელი კაცი მარტო კუჰი აღმოჩნდა! კორენოვი ცხრილის უმაღლეს გრაფაში მოხვედრილიყო — „გიგანტურ-ტევტონური" — 191 სანტიმეტრი! — ლაიბშტანდარტე!

მომდევნო დღეს ყოველგვარი გამონაყოფი სითხის ანალიზი აიღეს — შარდის, ოფლის, ცრემლის; — გაუთავებელი ვენეპუნქციით გაგვტანჯეს და ვასერმანის რეაქცია ჩაატარეს. სისხლი სხეულის ყველა ორგანოდან ცალკცალკე და სხვადასხვა მეთოდით ამოქაჩეს.

მეშვიდე დღეს პირველი დანაკლისი განვიცადეთ: ადოლფ ტელკე გამოცდებიდან მოხსნეს და ციხეში გაგზავნეს. მას დაბალი რასის რამდენიმე უტყუარი სიმპტომი დაგროვებოდა: ჯუჯას სიმაღლე, მუცლის არეში ქონის ნაკეცები (აშკარა ებრაული შთამომავლობის ნიშანი!), ქათმისებური მკერდი თავისა და ტანის სხვადასხვა ვერტიკალზე განლაგება და მიდგმულ მუხლებს შორის ღრიჭო ადგილი.

ამან ყველა შეაშფოთა, რადგან ჩვენს შორის ტელკეს ორი თანასოფლელიც ერია და მათ დანამდვილებით იცოდნენ, რომ ის წმინდა წყლის ფოლკსდოიჩე იყო.

„ამის დედა ვატირე!" — თქვა მეტნერმა. — „გერინგს მუცლის ქონი აკლია?!".

„მე უკვე აღმოვაჩინე საიდუმლოებაა!" — გაეცინა კორენოვს. — „ვინც ჯანსაღი და ლამაზია, გერმანელია! ვინც სუსტი და მახინჯია, დაბალ რასას განეკუთვნება!"

ბიოგრაფიული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების კვლევას ყველაზე მეტი დრო დასჭირდა, მართალი ვთქვა, იმ მომენტისთვის თავს წინანდელზე თამამად ვგრძნობდი და კომისიის წინაშე საკმაო თავდაჯერებით წარვსდექი. ნათქვამია, ომში რა სჯობია, და რაც ხელში მოგხვდებაო, — მაგრამ აქ დიდი სიზუსტე იყო საჭირო და მეც ჯეროვნად ვიყავი მომზადებული.

დიდ დარბაზში, სადაც დასაკითხავად გამომიძახეს, კედლებზე უთვალავი რუკა და ნახაზი ეკიდა; ნაირ-ნაირი მინაწერებითა და აღნიშვნებით. მაგიდებზე სქელი წიგნები და ალბომები ეწყო; ესესელ ოფიცრებთან ერთად ამ კომისიაში სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი პროფესორებიც მონაწილეობდნენ.

„სადაური ხართ?" — მკითხა ერთ-ერთმა ხნიერმა მოქალაქემ.

„კავკასიიდან გახლავართ!"

„ოო! ასეთი ჯერ არ შეგვხვედრია!" — თითქმის აღტაცებით წამოიძახა მან და თანამყოფებს გადახედა; ერთმანეთს რაღაც წასჩურჩულეს და მაგიდასთან თეთრწვერა მოხუცი მოიწვიეს, რომელიც აქამდე განმარტოებით იჯდა. ის კავკასიელ ფოლკსდოიჩეთა საქმის სპეციალისტი აღმოჩნდა და, როგორც შევიტყე, ჩემს ანკეტებს წინასწარ იყო გაცნობილი; დაკითხვაც მან განაგრძო.

„რა გვარი ხართ, გეთაყვა?"

„ქანდლერ!"

თეთრწვერამ სქელი წიგნი გადაშალა და დიდხანს რაღაცას ეძებდა, მერე, სხვა დავთრებსა და ალბომებშიაც ჩაიხედა და თავი გააქნია.

„არ არის?"

„არა!"

ტანში მდუღარემ დამიარა. „მაშ, ასეთი გვარი, როგორც ჩანს, არ არსებობს! რაღა მეშველება?"".

ყველა გაკვირვებით მომჩერებოდა.

„დედის გვარი?"

„ანზელმ"!

თეთრწვერამ კვლავ სქელ წიგნში ჩაიხედა და დასტურის ნიშნად თავი დაიქნია: „კეთილი!"

„რომელ სოფელში დაიბადეთ?"

„ელიზაბეთტალში!"

თეთრწვერამ კმაყოფილებით გაიქნია თავი.

„მახლობლად სხვა გერმანული სოფლებიც არის თუ არა?"

„როგორ არა! გეორგსფელდი, ჰელენენდორფი, ანენფელდი, გრიუნფელდი, კატერინენფელდი, გრიუნტალი..."

თეთრწვერა წიგნში იხედებოდა, თითს აყოლებდა და მალიმალ თავს აკანტურებდა.

„რა გვარის ხალხი ცხოვრობს თქვენს სოფელში?"

„ანზელმ, რომულ, კოხ, შმიდც, პეტც, ქინდლ..."

„მოითმინეთ!" — ისე დაიყვირა თეთრწვერამ, თითქოს რაღაც აღმოაჩინაო. — **Jawohl! Stimmt's!"** „დიახ! სწორია!.. ქინდლ!.. თქვენი გვარი?"

„ქანდლერ!" — ჯიუტად წარმოვთქვი მე.

ოთახში მყოფნი კვლავ გაკვირვებით მომაშტერდნენ. თეთრწვერამ სქელი საქაღალდე გახსნა და გახუნებული ფურცლები ამოალაგა; ერთმა ოფიცერმა თაროდან ალბომი ჩამოიღო და გაშალა.

„რა არის ეს?! ნუთუ, ბრესტიდან მიღებული მასალები ან დოსიე მატარებლიდან გაქცევის შესახებ?!. იქნებ, „ჰამბურგის ილუსტრირებული ჟურნალი", რომელშიც ჩემი ფოტოსურათი აღმოაჩინე?!".

საკვირველია: ამ ეჭვებმა, შიშის ნაცვლად, სიმტკიცე და გამბედაობა შემმატა. „ჩემს ჩვენებებს არავითარ შემთხვევაში აღარ გადა-

ვთქვამ!.. უკან დახევა შეუძლებელია!.. უკან-დახევა სიკვდილს უდრის".

„ბოლშევიკებმა გერმანელებს გვარები ხომ არ შეუცვალეს?" — დაფიქრებით წარმოთქვა თეთრწვერამ.

„არა!"

„ერთი და იგივე გვარი სხვადასხვა სახით ხომ არ გვხვდება? — მაგალითად, შმიც და შმიდტ; რომულ და რომელ; ქინდლ და ქინდ-ლერ ან ქანდლერ?"

უცებ თვალი გადამეწმინდა, რაღაც მხსნელი განათება ვიგრძენი...

„დიახ, დიახ!" — ჩავებღაუჭე თეთრწვერას სანუკვარ ვარაუდს.

„მერედა, როგორ გგონიათ, რატომ უნდა მო-მხდარიყო ეს?"

„ჩვენს მეზობლად თათრები, ბერძნები, და სომხები ცხოვრობენ (ქართველების ხსენება ვერც ახლა გავბედე!); სიებსა და საბუთებს ისინი გვივსებენ და „ქინდლის" გამოთქმა უჭი-რთ!"

„კი, მაგრამ თქვენ ხომ მაინც სწორად უნდა იცოდეთ თქვენი გვარი?!" დავიბენი.

„მე ისე მოგახსენეთ, როგორც საბუთებში გახლავთ ჩაწერილი!"

„აჰა!" — თითქმის ერთდროულად წამოიძახა ყველამ.

„სარწმუნოება?"

„ევანგელისტი!"

„პასტორი გყავთ?"

„გვყავს!"

„რა გვარია?"

„მარტინ შმიც!" — ვიცრუე მე.

თეთრწვერამ დიდხანს იფათურა ქაღალდებში, მაგრამ, მგონი, ვერაფერი იპოვა.

გამომკითხეს პაპის, პაპერას, დიდედისა და მათი შორეული წინაპრების სახელი, გვარი, სა-დაურობა. ყველა შეკითხვაზე სწრაფად და გარ-კვევით ვუპასუხებდი, ისე რომ, კიდეც გაუკვი-რდათ, საიდან იცის ამდენიო. თურმე, ვინც სი-ცრუეს ამბობს, იმან ყველაზე მეტი იცის!... ავუ-ხსენი, რომ ჩვენს სოფელში ხშირად იგონებენ იმ წინაპრებს, რომლებიც კავკასიაში გადმოსა-ხლებულან. მკითხეს, გაგიგონია თუ არა რაიმე ამ გადმოსახლების შესახებო. და მე ისე ვრკ-ლად დავიწყე სხვადასხვა ლეგენდებისა და გა-დმოცემების მოყოლა, რომ თეთრწვერამ ზოგიე-რთი ცნობა კიდეც ჩაიწერა.,

„რა სათამაშოებს თამაშობდით ბავშვობი-სას?" — დაინტერესდა ის.

ჩამოვუთვალე ყველა გერმანული სათამაშო, რომელიც ოდესმე გამეგონა ან წამეკითხა; ზო-გში, შიგადაშიგ, ქართული სათამაშოს ნიშნებსაც გავურევდი, მაგრამ ამაზე მაშინვე შემაჩერე-ბდნენ ხოლმე: „ამ უცხო ელემენტის შემოჭრა საინტერესო მოვლენააო!"

შემდეგ, ჩამეძიენ, როგორ ათხოვებენ ჩვენს სოფელში ქალს, როგორ ასაფლავებენ მიცვალე-ბულს, რას ჭამენ და სვამენ, როგორ არის მო-წყობილი სახლი; რომელი ანდაზები, გამოცანე-ბი, ზღაპრები, ლექსები და სალანძღავი გამოთ-ქმებია გავრცელებული.

რაკი ჩემთვის ესოდენ ნაცნობ სფეროში შე-მოიჭრნენ, სხაპასხუპით ვყვებოდი ყველაფერს, რის შესწავლასაც მრავალი წელი მოვანდომე თბილისის ლიცეუმში, ფოლკლორულ ექსპედი-ციებსა თუ მივლინებებში, თორემ დამპალი თოკით ჭაში არ ჩაისვლება!

კომისიის წევრები დიდი ცნობისმოყვარეო-ბით მისმენდნენ.

„არა უშავს რა, ზნე-ჩვეულებები კარგად შემოუნახავთ!" — კმაყოფილებით ჩაილაპარა-კა თეთრწვერამ.

„დიახ! ადათ-წესები წმინდა გერმანულია!" — დაადასტურა კომისიის თავმჯდომარემ.

თეთრწვერამ მოისურვა ზოგიერთი ხალხური ლექსისა და დიალექტური გამოთქმის ჩაწერა და მეც იქვე ჩავაწერინე.

„შესანიშნავად ლაპარაკობს გერმანულს!" — თქვა ერთმა ოფიცერმა.

„უმწიკვლოდ! — დაუდასტურა თეთრწვერამ.

ამაში თავადაც დარწმუნებული ვიყავი. ენის უცოდინრად ვერავითარ შემთხვევაში ვერ წავი-დოდი იმ რისკზე... უცხო ენა, თურმე, მძლავრ-იარაღია და, როცა ყველა იარაღი აყრილი გა-ქვს იგი განუშორებლად შენთანაა და არცერთ იარაღს ტოლს არ დაუგდებს.

„სკოლა თუ არის თქვენს სოფელში?" — იკითხა თეთრწვერამ.

„გახლავთ, საშუალო სკოლა!"

„რუსული?"

„არა, გერმანული!"

კომისიის წევრებმა მხრები აიჩეჩეს.

„თქვენ რა ხელობისა ხართ?"

„მხვნელ-მთესველი გახლავართ. კოლმეურნე-ობაში ვმუშაობდი!"

„წერა-კითხვა იცით?"

„დიახ!"

„რომელ ანბანს ხმარობთ?"

„გოთურს".

„სხვები?"

„სუყველა გოთურად წერს!"

„საინტერესოა, ფრიად საინტერესოა!" — რატომღაც აღტაცებით წამოიძახა თეთრწვერამ და ღიმილით გადახედა კოლეგებს.

„ადგილობრივი მოსახლეობა პატივისცემით გეპყრობოდათ, თუ ზიზღით?"

„დიდის პატივისცემით!"

„სიძულვილს სრულებით არ გრძნობდით?"

„არა!"

„ხედავთ?!." — აღფრთოვანებით წამოიძახა კომისიის ერთ-ერთმა წევრმა.

„რუსეთის ჯარში გიმსახურიათ?"

„არა!"

„მაშ, ჩვენებს რა პირობებში. შეხვდით?"

„გასულ წელს ბელორუსიაში გამოგვგზავნეს

სამუშაოდ და მინსკის მახლობლად ვმუშაობდი; გერმანიის ჯარი რომ შემოვიდა, იქ შევხვდი".

„მარტო იყავით?"

„არა, ერთი ჩემი თანამემამულეც იყო: ედუარდ დამი!"

თეთრწვერამ სქელ წიგნში ჩაიხედა და თავი დაიქნია.

„აქაური ფოლკსდოიჩეთაგან ვინმეს იცნობთ?"

„ვიცნობ ტრიპელს, ჰოლლეს, მეტნერს, კეპერს,... ჩვენ დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს!"

„ნათესავები ხომ არავინ გყავთ გერმანიაში?"

„მყავს, მაგრამ ჯერჯერობით, ვერ აღმოვაჩინე!"

„რა გვარები არიან?"

„პაულ ანზელმ, ანდრიას ქინდლ, ჰაინრიჰ შმიც!"

თეთრწვერამ ჩაიწერა.

„არ იცით, რომელ მხარეში ცხოვრობენ?"

„არა! მიწერ-მოწერა აკრძალული გვქონდა".

„ჰოო!" — სახე დაემანჭა თეთრწვერას.

გასაუბრებამ წამათამამა; ლაპარაკის დროს თავს მშვიდად ვგრძნობდი, კომისიის წევრებს თვალებში წრფელად შევყურებდი და შიში მხოლოდ მაშინ ვიგრძენი, როცა კარი გამოვიხურე.

კომისიის წევრები კიდეც მიღიმოდნენ, „საგვარეულო ნუსხაც", უთუოდ, შევსებული იყო, ანკეტებშიც ასობით შეკითხვის პასუხი ჩაიწერა, გამომშვიდობებისას „ბიტე, ბიტეც" მომაძახეს. მაგრამ დერეფანში გამოსვლისთანავე თავბრუ დამესხა, ყურმა ყუილი დამიწყო, და მეჩვენებოდა, რომ დარბაზში მყოფნი ჩემს პასუხებს იმეორებდნენ და ბოროტად ხითხითებდნენ. ის, რაც ლაპარაკის დროს ლოგიკურად და დალაგებულად მიმაჩნდა, ახლა ყველასათვის შესამჩნევ სიყალბედ წარმომიდგა. ერთბაშად გამიელვა, რომ დაუჯერებელი აბდაუბდა მოვჩმახე, საძაგლად ვიმანჭებოდი და ყველაფერზე მატყობდნენ, რომ ვტყუოდი, მაგრამ თავს იკატუნებდნენ და გულში კი ერთობოდნენ. ალბათ, ის კომპლიმენტებიც დაცინვა იყომეთქი, გავიფიქრე. „ბიტე, ბიტესაც" ყასიდად მეუბნებოდნენ და მაგიდაზე „ჰამბურგის ილუსტრირებული ჟურნალი" და ბრესტის არქივი ულაგიათ...

გერმანულ მშრალ თავაზიანობას კი ასავალდასავალს ვერ გაუგებ! სახრჩობელას ყულფში თავის გაყოფის დროსაც კი, „ბიტე, მობრძანდითო", — ეუბნებიან დასასჯელს...

კორენოვი მშვიდად ცხადდებოდა კომისიაზე; შებოჭილობას არ გრძნობდა და დღეებს მხიარულად ატარებდა. იფიქრებდით ამ კაცს არავითარი დარდი არ აწუხებსო. მთავარი ისაა, რომ ეს იყო არა პოზა, არამედ მისი ნამდვილი სულიერი მდგომარეობა. არცერთ ვითარებაში უბედური არ იქნება, ვინც თავის თავში ყოველგვარი შიში დასძლია და ყოველივეს მიზნის განხორციელების თვალით უყურებს. ის თავის თავს „დესანტნიკად" თვლიდა და მთელ ამ რასობრივ ციებ-ცხელებას მტრის ზურგში (მისი სიტყვით, „გულში!") საწყისი შეტევების მომზადებას უწოდებდა.

კორენოვი სხვებს გერმანული ენის ცოდნით ჩამოუვარდებოდა, მაგრამ ის აცხადებდა, ქალაქში გავიზარდე და, რადგან რუსულად ვლაპარაკობდით, დედაენა გადამავიწყდაო. სამაგიეროდ, რასობრივი მონაცემების თანახმად, მის ძარღვებში „არიული სისხლი" ჩქეფდა! ამასთან, ერთი უპირატესობაც ჰქონდა, — ყველაზე ბუნებრივად ეჭირა თავი და ორიოდე წუთში შეეძლო უცხო ადამიანებთან გაშინაურება. როგორც ჩანს, სწორად იქცევიან ის მშობლები, რომლებიც თავიანთ შვილებს სხვა ეროვნების ბავშვებთან ყოველდღიურ ურთიერთობაში ზრდიან. მათთვის უცხოა განკერძოებულობის მძიმე განცდა და ისინი ყველგან ბუნებრივად გრძნობენ თავს.

ყველაზე უფრო მეტნერის ბედი გვაღელვებდა. ჩვენს წარმოდგენაში, მის ვინაობას ტაბუ დაედო. დარწმუნებული ვიყავით, თუ ის ჩავარდებოდა, მთელი ჩვენი ჯგუფი სასტიკ ეჭვს გამოიწვევდა და სასჯელს ველარავინ გადურჩებოდა. უცნაური ხასიათი დასჩემდა; ბანაკში პირწავარდნილი მელანქოლიკი იყო, — მოღუშულს, წარბგაუხსნელს, აშკარა გულგატეხილობა ემჩნეოდა, მაგრამ როგორც კი კომისიაზე გამოვცხადდებოდით, ნამდვილ სანგვინიკად გარდაისახებოდა; ვერც კი იცნობდით: იცინოდა, ხუმრობდა, ანეგდოტებს ყვებოდა. იქაურ მოსამსახურეებს ემასლაათებოდა, მაგრამ როგორღაც, არაბუნებრივი ატაცებით, თითქოს ციებ-ცხელებამ აიტანაო.

შემოწმება კი დღითიდღე რთულდებოდა. 30 ნოემბერს, სისხლის ანალიზის შედეგების მიხედვით, ვერნერიც მოხსნეს „გამოცდებიდან" და პირდაპირ ციხეში უკრეს თავი. რასობრივი ექსპერტები ახალ-ახალ მანქანებსა და აპარატებს იყენებდნენ, ახალ ოპერაციებსა და ანალიზებს ატარებდნენ, სულ უფრო ვრცელ ანკეტებს გვივსებდნენ.

პირველ ათ დღეს დიდი უსიამოვნება არ შემხვედრია; თვალის შემოწმებამ კარგად ჩაიარა; გამისინჯეს და პატარა, მოსრიალე ცირკულით გამიზომეს ქუთუთოები, გამოთვალეს ნაოჭები (შევამჩნიე, რომ ქვემო ქუთუთოზე რაღაც ნაკეცებს ეძებდნენ!), გამიზომეს თვალის ნაპრალის გაღებულობა, შეამოწმეს ქუთუთოებში ქსოვილთა დაჯირჯვება. გამოიანგარიშეს ქუთუთოებს შორის მანძილი, გამოიკვლიეს პიგმენტაცია, მხედველობის ნერვი, წამწამთა კუნთები, ბიია, გუგა, სკლერა, რქოვანა, ბადისებური გარსი, ფერადი გარსი, სისხლძარღვოვანი გარსი, ბროლი და, ვინ ჩამოთვლის, კიდევ რამდენი რამ!... ხან მარცხენა თვალს მომახუჭინებდნენ, ხან — მარჯვენას, ხან — ორივეს ერთად; ხანაც — თანდათანობით მახუჭვინებდნენ და მაღებინე-

ბდნენ, — სქელ საანკეტო რვეულში კი ასობით უცნაური კითხვის პასუხებს იწერდნენ. თვალებმა გამოცდა ფრიადზე ჩააბარეს: ისინი წმინდა ნორდული აღმოჩნდნენ — ღია ცისფერი.. პოეტებისაგან ნაქები შავი თვალები რომ მქონოდა, „სამიანსაც“ ვერ მივიღებდი! რასობრივ შკალაში, თურმე, თვალის ოთხმოცამდე კატეგორია იყო აღნიშნული. ერთობ დიდი დრო დასჭირდა თმის გამოკვლევას; სხეულის ყველა ნაწილიდან თითო ბეწვი მოგვაგლიჯეს და რაღაც საიდუმლო ანალიზისთვის დაიტოვეს. როგორც თქვეს, მასში „რასობრივი ნივთიერებანი“ ყოფილა დალექილი. ჩემმა ქერა თმამ დაუვიწყარი სამსახური გამიწია, — შკალის პირველსავე გრაფაში მოხვდა. რამდენიმე საათის დაკვირვების შემდეგ, ვრცელ ანკეტაში ჩასწერეს, რომ მე მაქვს თმის რბილი და სწორი ბეწვი პაულ ჰოლლეს კი შავმა ხუჭუჭამ კინაღამ საკონცენტრაციო ბანაკში ამოაყოფინა თავი!

არსად იმდენი ცხრილი და ხელსაწყო არ დამინახავს, როგორც კანის ფერის განმსაზღვრელ კაბინეტში. მთელ საათს ანგარიშობდნენ რაღაცას, სანამ კომისიის თავმჯდომარე პროფესორი თავის დასკვნას გამოიტანდა: „ნეგროიდი!“ ავსტრალოიდი!“, „მონგოლოიდი!“ „აინი!“... ვარდისფერი კანიც არიელობის მაგარ საბუთად გამომადგა.

მაშინ პირველად გავიგე, რომ ადამიანის ყურის უთვალავი ნაირსახეობა არსებობს! მიუხედავად იმისა, რომ გვიანობამდე დაგვტოვეს, ყურების გამოცდა ერთ დღეს მაინც ვერ მოესწრო. ვიღაცამ ისიც კი თქვა, რამდენი ადამიანიცაა, იმდენგვარი ყური არსებობსო! ამ საქმეში შკალებისა და ცხრილების გამოყენება ძალიან გართულდა. ყურის ბიბილოს შეხორცება, სისხლის აღრევის ეს უდავო ნიშანი, მხოლოდ შმიდტს აღმოაჩნდა, მაგრამ რაღაც მანქანებით, მაინც გადაურჩა საკონცენტრაციო ბანაკს.

მეტნერს სქელმა ტუჩებმა გაუჭირვა საქმე, ხოლო შმიდტს — მრგვალმა, მოკლე თავის ქალამ. მაგრამ იმის მოყოლა, თუ რა განსაცდელი დაადგა ჩვენს თავის ქალას, ძალიან შორს წაგვიყვანდა. ამაზე ცალკე ტომი შეიძლება დაიწეროს! აქ მთელი ძალით ჩაერია უმაღლესი მათემატიკა თავისი საიდუმლო ფორმულებით, ისე, როგორც, ნიკაპის ნაირსახეობათა დასადგენად, აუცილებელი გახდა რენტგენისა და კომბინირებული ფოტოაპარატების გამოყენება. პირადად მე, არც თხელი ტუჩების სამდურავი მეთქმოდა, არც სახის ვიწრო და გრძელი პროფილისა! საწყალი ბილმაიერი ბრაკიმორფილი აღმოჩნდა — მოკლე კიდურებით და განიერი ტანით! მისი საქმე უფრო და უფრო უარესდებოდა, ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა. '

ანატომია ხეირიანად არასოდეს შემისწავლია, და არ ვიცოდი, რომ ტუჩები უთვალავი ნაწილისაგან შედგებოდა. სპეციალისტებმა ცალკე აზომეს და შეაფასეს ტუჩზემოთა კანი, მის ქვემოთ, ქინქლით დაფარული ღრძილები და ლორწოვანა. ყველა კბილი, რომ ერთ დღეს დამეპლომბა, უთუოდ, იმდენი პირის დაბჩენა და მომუწვა არ დამჭირდებოდა. ექსპერტები ყოველივე ამას ისეთი სერიოზულობით აკეთებდნენ, რომ მე ჩემი სხეულის თვითეული უჯრედისათვის ისე მითრთოდა გული, როგორც დედა ჯერ ფეხმოუმაგრებელი ჩვილისათვის თრთის. მით უფრო, მთავარი განსაცდელი ისევ წინ მეგულებოდა და სახის ერთი უშნოდ წინ წამოწეული ნაწილის გვემას შეუბრალებლად განვაგრძობდი. კარგის მომასწავებლად არც ის მეჩვენა, რომ „ცხვირის კაბინეტში“ პირველად მე გამომიძახეს. უნდა გამოვტყდე, რომ ძალიან ვღელავდი. კარებთან თავდახრილი შევდექი და ოთახი მოვათვალიერე, კედლებიდან, მაგიდებიდან და კარებიდან აურაცხელი სხვადასხვა ზომის ცხვირი შემომყურებდა: გავიფიქრე, უთუოდ გამოვიფიტე და მეჩვენება-მეთქი. მაგრამ ვინ გაცალა გამოფხიზლება! ვიღაცამ ცხვირზე ხელი მტაცა და მაგიდასთან მიმაგდო: თავბრუ მესხმოდა და ყური მიგუდა. გონებაში მხოლოდ დამცინავი ხარხარი და წამოძახილები მესმოდა. აზრზე მაინც ცხვირის ტკივილმა მომიყვანა.

„ასწით ცხვირი!“ — მიყვიროდა ექიმი.

უნებურად ცხვირზე ხელი წავივლე და ვიგრძენი, რომ ზედ წამოცმული მქონდა რაღაცა და მტკენდა.

„ხელი არ ახლოთ!“ — დამიყვირა ექიმმა.

„ცხვირი მარცხნივ!“ „ცხვირი დაბლა!“ „მაღლა!“ „მარჯვნივ!“, „მარჯვნიდან უკან მოაბრუნეთ!“ „დაჯექით!“ „ცხვირი დაუშვით!“ „ცხვირ-აწეული დაიჩოქეთ!“

ცხვირის ექსპერტები ჯარასავით მატრიალებდნენ, ხაზავდნენ, იწერდნენ და ცხვირზე ერთი მეორეზე უცნაურ თაბაშირისა თუ მუყაოს ცხვირებს მაცმევდნენ.

გასინჯვა-გაანგარიშება ორ საათზე მეტს გაგრძელდა .ეს პროცედურა რომ მოთავდა, მთავარი ექიმი ნახევარ საათს კარნახობდა საანკეტო მონაცემებს; „ფუძე მაღალი!“ „ძირი ამაღლებული!“ „ზემოთა ძვლები განვითარებული!“ „შუბლთან შემაერთებელი ხაზი მოირიბო!“ „ზურგის შუა ნაწილი კუზიანი“ „ზემო ნაწილი ამოზნექილი!“ „ქვემოთა-ჩაზნექილი!“ „ხრტილოვანი ნაწილი განუვითარებელი!“ “ნესტოები ვიწრო და დახრილი!“ „წვერი ნისკარტისებრი!“ „დაშვებული!“ ფუძის სიფართოვე ხუთი სანტიმეტრი!“ „ძგიდე მოკლე!“ „გამონაშვერი სუსტი!..“ და ასე დაუსრულებლივ! იყო ათასგვარი მეცნიერული ვარაუდი: „ნაზიონ-რინიონ!“ „პროსტიონ! „ლეპტორონია!“ „მეზორიანია!“ „პლატორინია!“ „ხამერინია!“..

მე არ ვიცოდი, რას ნიშნავდა „ჩაზნექილი ზურგი“ ან „ანზიონ-რინიონ“ და ექსპერტის ყო-

ველი სიტყვა საბრალდებულო დასკვნის მუხლად მეჩვენებოდა.

როგორც შემდეგ გამოირკვა, ჩემი ცხვირი თავისუფლად მოთავსდა რომელიღაც შკალაში და გამოცდა „სამიანზე“ ჩააბარა.

ორი დღე სულ უცნაურ შემოწმებებს მოუნდა. შემიყვანეს ჩაბნელებულ ოთახში, სადაც საზარელი ორომტრიალი იდგა, ოთახი უცებ გაანათეს და რამდენიმე ტიპი ბლვერით თვალებში მომაჩერდა, მერმე, ჩემს უკან რაღაც გამაყრუებელი ხმაურით ჩაიმსხვრა, და მე სწრაფად მოვბრუნდი. ერთმა ოფიცერმა მოულოდნელად მათრახი მომიქნია, — ტარში ხელი ჩავავლე და გამოვტაცე; ოფიცერმა სტელეტი დააძრო და გაბრაზებით მომვარდა, თვალებში მომაშტერდა. რა უნდა მექნა? მეც უდრტვინველად შევყურებდი. იმ შეჩვენებულს ახლა მაგიდიდან სამელნე გადაუვარდა! კიდევ კარგი, რომ არ დავიბენი და დაჭერა მოვასწარი!... „gut“ „კარგია!“ — ბრძანა ოფიცერმა. „Sehr gut!“ ძალიან კარგია!“ ანკეტაში კი ჩასწერეს: „მზერა პირდაპირი!“ „მოქმედება ენერგიული!“ „რეაქცია მიზანსწრაფული!“ „ხასიათი მყარი!“ „გაბედულება კარგი!“ „თანაზიარობა საშუალო“, ბევრი ამისთანა აბდაუბდა!..

ამასობაში „ფოლკსდოიჩეები“ ათასგვარ პანიკას ავრცელებდნენ; მოლტკეშტრასედან პაბიანიცემდე იმდენ ჭორს დაროშავდნენ, რომ ჩვენ ყველას, უთუოდ, ებრაელებად გამოგვაცხადებდნენ. „მეტნერს სქელი ტუჩები ჰქონია!“ — საიდუმლოდ წაიჩურჩულებდა რომელიმე. „ჰოლლეს ხუჭუჭა თმა დაუმტკიცეს!“ (თითქო მკვლელობა დაუმტკიცეს); „შმიდტი ჭრუტა ყოფილა, თვალს ვერ აღებს!“, „ფრიცი მუხლს ატოკებდა შემოწმების დროს!“ (ეს უმძიმესი ბრალდება გახლდათ!); „ოტომ თვალი ვერ გაუსწორა პროფესორს!“ „ბრტყელთავა ბილმაიერს ლაწვის ძვლები აქვს წინ გამოჩრილი!“ ვებერი მოურიდებლად ქირქილებდა ქანდლერს მოღრეცილი ცხვირი დამარხავსო. ეს „ბრალდებები“ მაშინ ისე ჟღერდა, როგორც, მაგალითად, „შმიდტს კაცი მოუკლავს!“ ან „ჰოლლეს ეკლესია დაუწვავს!..“

მაგრამ პროგნოზები ნაადრევი იყო, რადგან ჯერ კიდევ არავინ იცოდა ჩონჩხის, კუნთების, შინაგანი ორგანოების გასინჯვის შედეგები სხვადასხვა ბეწვისა და სითხის ანალიზის მონაცემები, შვილის გაჩენის უნარიანობა, საერთო ჯანმრთელობის მდგომარეობა, კბილების, ძვლებისა და ქსოვილების ანალიზის დასკვნა; ჯერ არც ფოტო და კინოფიქსაციის შედეგები იყო ცნობილი. ყოველივე ამას კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ერთ დღეს როგორღაც ჩვენი სურათები დავათვალიერეთ და გული კინაღამ გამისკდა. არ ვიცი, განზრახ დამამახინჯეს, მართლა, იმნაირი მახინჯი ვიყავი, თუ მეჩვენებოდა. ისე საზიზღრად წარმომიდგა ჩემი სხეულის ყველა ნაწილი, განსაკუთრებით, პროფილში, რომ მეორედ შეხედვა ველარ გავბედე. ყოველი დეტალი ისე ხვესტად მოჩანდა ფოტოსურათზე, როგორც რელიეფურ რუკაზე. ნუგეშად ისღა დამრჩენოდა, რომ მქონდა ლურჯი თვალები, ვარდისფერი კანი, ქერა თმა და ტევტონური სიმაღლე. თანაც, სისხლი „წმინდა არიული“ აღმომაჩნდა.

მეტნერ-ლუნინი ყველა პროცედურას იოლად გადიოდა; შემოწმების დროს, როგორც ვთქვი, უჩვეულოდ ხალისიანი და მიმზიდველი იყო. კომისიის წევრებთან პირველი შეხვედრისთანავე ინტიმურ კონტაქტს ამყარებდა და ერთბაშად ითრევდა საუბარში. რამდენიმე დღის შემდეგ, მას უამრავი ნაცნობი ჰყავდა, ყველა ღიმილით ეგებებოდა „ტევტონური იერის“ მოსკოველ სტუდენტს და დიდის ამბით ემასლაათებოდნენ დერეფანში. ახალგაზრდა ექიმები, განსაკუთრებით, ყმაწვილი ქალები, მას უჩვეულოდ ელაციცებოდნენ. არ ვიცი, შესაძლოა, ფროილაინ ელზას, ან ფროილაინ ლუდას ხელიც ერია ამ გულთბილი გარემოცვის შექმნაში! ფროილაინ ელზას ერთ-ორჯერ თვალიც მოვკარი დერეფანში, მაგრამ, ვფიქრობ, უფრო მისმავე განწირულმა სულისკვეთებამ შთაბერა სასოწარკვეთის ის სითამამე, რომელიც, თითქო, მტერსაც აჯადოებს. როგორც თვითონ მიამბო, შევიდოდა თუ არა მორიგ შემოწმებაზე, კომისიის წევრები გამოცოცხლდებოდნენ და „მოსკოვის უტყუარ ამბებს“ ეკითხებოდნენ. ისიც ვრცლად და დამაჯერებლად ჰყვებოდა, როგორი ამინდები იცის მოსკოვში, როგორი გზებია, რას ჭამენ და სვამენ, როგორ ერთობიან, სად დადიან, რას სწავლობენ. საერთოდ, იმ დღეებში მოსკოვი ყველაზე მოდური თემა იყო და მის შესახებ გერმანელებს ყოველი წვრილმანი აინტერესებდათ. მეტნერი კარლ ვებერივით ტლანქად როდი აძაგებდა რუსეთს. მორიდებული ფორმით, სიმართლეს ჰყვებოდა და ეს ობიექტურობა გერმანელების ინტერესს იწვევდა. იმ დროს უკვე დაიბადა „მეტის გაგების“ წყურვილი, ვიდრე გაზეთებში იწერებოდა: „საიდან აქვთ რუსებს ამდენი ტანკი და თვითმფრინავი?!“, „საიდან გაჩნდნენ კარგი სპეციალისტები?!“. მეტნერი, თითქო, ელდორადოს ამბებს უყვებოდა მათ და აქ, უწინარეს ყოვლისა, წარმტაცი იყო ორიენტალისტური ეგზოტიკა.

მოსკოველი სტუდენტი ისევე უზადოდ ლაპარაკობდა სალიტერატურო გერმანულს, როგორც უზადოც იყო მთელი მისი გარეგნობა, იდიში, საბედნიეროდ, არ იცოდა და ამიტომ, არც ის სახიფათო აქცენტი ეტყობოდა.

ჩვენს შორის ის, უეჭველად, ყველაზე ლამაზი და კულტურული იყო; ყოფაქცევის დახვეწილი ეტალონითა და არისტოკრატული მანერებით აშკარად გამოირჩეოდა; მისი ვაჟკაცური სინაზე და მშვიდი სიამაყე მოკრძალებას იწვე-

ვდა. ასეთი სრულყოფილი კი, რასობრივი ექსპერტების გაგებით, მხოლოდ გერმანელი შეიძლებოდა ყოფილიყო. რასობრივი თეორიის თანახმად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა „კეთილშობილ იერს“, რომელიც ჰიტლერის მეგობრის, ჰაუსტინ ჩემბერლენის სიტყვით, არიული სულის სარკეა; გერმანელებთან სწრაფი კონტაქტი კი, „რასობრივი ინსტიქტის“ ტრიუმფს ადასტურებდა; იმათ, ასე ვთქვათ, ქვეცნობიერი „ეროვნული ყნოსვით“ შეიგრძნეს თანამემამულე! სისხლიც „წმინდა არიული“, ისიც, „მემკვიდრეობით არიული“ აღმოაჩნდა; გაზომვა-ანალიზების შედეგიც ბრწყინვალე იყო!

ათასგვარი კომისიის წინ მთელი თვე ტიტველი ვიდექით, მაგრამ არცერთ ექსპერტს აზრად არ მოსვლია, წინადაცვეთა შეემოწმებინა! ან კი, ვინ წარმოიდგენდა ამას! ვის უნდა აღძვროდა ასეთი ეჭვი! რასობრივი კომისია მხოლოდ ფოლკსდოიჩეების მეცნიერულ შემოწმებას აწარმოებდა და იმაზე ზრუნავდა, რომ „არასრულფასოვანი“ გერმანელები გამოევლინებია, სისხლის აღრევის შემთხვევები დაედგინა. ვინ იფიქრებდა, რომ ებრაელი აქამდე მიაღწევდა და კომისიის წინაშე წარდგომას გაბედავდა; ეს ვარაუდი, თურმე, აბსოლუტურად გამორიცხული იყო.

იმ დარბაზში, სადაც მეტნერს ამ მხრივ ყველაზე დიდი საფრთხე მოელოდა, ახალნასტუდენტარი ესესელი ექიმები ფართიფურთობდნენ და „მოსკოველ კოლეგას“ ისეთი საუბარი გაუბეს, რომ საწყალმა ძლივს დააღწია თავი.

როგორც ვთქვი, დეკემბრის დამდეგი იყო და მათაც მოსკოვი ეკერათ პირზე; ნაცვლად იმისა, რომ წინადაცვეთისთვის მიექციათ ყურადღება, აურაცხელი შეკითხვა დააყარეს იმ დროს უკვე ყველასთვის ნაცნობ, მომხიბვლელ მოსკოველ სტუდენტს და მეცნიერიც, როგორც მოგახსენეთ, თამამად, „გერმანული მიუკერძოებლობით“ ჰყვებოდა „დიდი, თვალუწვდენი რუსეთის“ ამბებს... ჭაბუკი ფრონტის უკანასკნელი ცნობებითაც იყო შთაგონებული. პოლონელი ამხანაგებისაგან გაიგო, რომ ექვს დეკემბერს წითელი არმია კონტრშეტევაზე გადავიდა. განუწყვეტელ ნაკადად მოდიოდა, თურმე, საბჭოთა „ზონდერმელდუნგები“; 28 ნოემბერს ჩვენებს როსტოვი დაებრუნებიათ; 9 დეკემბერს — ტიხვინი; 10 დეკემბერს — ელეცი; 12 დეკემბერს — მოსკოვთან გუდერიანის ჯარების სასტიკ დამარცხებაზე ექსტრაკომუნიკეც გადმოეცათ. არ ვიცი, ბედისწერის კარნახით, თუ რამე კანონზომიერების შედეგად, იმ დარბაზს მაშინ ბევრი ცნობისმოყვარე მიაწყდა და „გამოსაცდელი პირის“ გარშემო დიდი ჯგუფი შეგროვდა...

მართლაც, ასტრონომიული ვარიაცია არსებულა ყოველგვარი კანონისა, იმის მიხედვით, ამ კანონის სახელით ვინ, სად და რა სიტუაციაში შეგხვდება. თორემ არა მგონია, ჩვენი მეგობარი ბანაკში საიდუმლოდ ჩატარებულ ექიმბაშურ ოპერაციებს გადაერჩინა სახრჩობელისაგან, უფრო სწორად, „მომაკვდინებელი შხამისაგან“, რომელსაც მთელი შემოწმების პერიოდში ჯიბით ატარებდა. და ყოველივე ეს მოხდა ლოძის გეტოდან ასიოდე მეტრის დაშორებით,— იქ, სადაც ათასობით ცნობისმოყვარე იყრიდა თავს „საძაგელი ურიული სიფათების“ დასათვალიერებლად! იქ, ჰოენშტაინერშტრასეზე, სადაც სწორედ იმ დღეს, 1941 წლის პირველ დეკემბერს, მეხუთე პოსტის ვახმისტრმა ათობით ებრაელი დახოცა ცნობისმოყვარეთა გასართობად!

ასე იყო თუ ისე, მეტნერი ჯერჯერობით გადაურჩა განსაცდელს.

საერთოდ, ყველაზე ტრაგიკული ფინიში აღმოჩნდა, და, როგორც ხშირად ხდება, ინცინდენტი სწორედ იქ წარმოიშვა, სადაც სრულებით არ მოველოდით. ერთ-ერთ უკანასკნელ დღეს ფეხის ტერფს ამოწმებდნენ. ამის გამოკვლევას, ალბათ, დიდი ცოდნა არ ესაჭიროებოდა და ამიტომ, სარდაფის ოთახში, სადაც პროცედურა მიმდინარეობდა, შარფიურერები და „ჰილფსარცტები“ საქმიანობდნენ. იქ თითო წუთიც არ დავრჩენილვართ; კარლ ვებერის გამოსვლას კი საშველი არ დაადგა. კაბინეტიდან ჯერ უთავბოლო ჭიჭყინის ხმა გამოდიოდა, მერე ბრაგაბრუგი და კარლის ბღავილიც შემოგვესმა. განწირული შეძახილებით არწმუნებდა თავგასულ ფერშლებს, წმინდა სისხლის გერმანელი ვარო. „ჩემს ძარღვებში გერმანული სისხლი სჩქეფს! ჩემი დედ-მამა და პაპის პაპა გერმანელები არიან! ჩვენ გვჩაგრავდნენ! გვაწიოკებდნენ, ძროხა წაგვართვეს!..“

ფერშლებს, როგორც ჩანს, არაფრის გაგონება აღარ სურდათ, უწმაწურად ლანძღავდნენ და დაუნდობლად უბრაგუნებდნენ ზურგში. ბოლოს, როგორც იქნა, კინწისკვრით გამოაპანღურეს.

ვებერს სახე შეშლოდა; გულისმომკვლელად ზლუქუნებდა და შველას ითხოვდა; დერეფანში რომ გამოაგდეს, მუხლებზე დაეცა და კალთაში წაგვეპოტინა. ფერშლებმა ძლივძლივობით ააფცქვნეს იატაკს და ცემატყეპით წაათრიეს.

მისმა საცოდაობამ გულ-ღვიძლი ჩაგვითუთქა.

ბრტყელტერფა გამომდგარიყო ის უბედური. ეს კი საშინელ რასობრივ სიმახინჯედ ითვლებოდა (Glattgüssig) ფერშლები ამტკიცებდნენ, კარლი „ნახევრად ებრაელიაო“. ერთი სიტყვით, ჩაიჭრა; „წინაპართა დაფა“ ვერ შეავსო. დაბალი რასის სხვა სიმპტომებიც ბლომად დაგროვებოდა; ლაწვის ძვლები ოდნავ გამოწეული ჰქონდა, ცხვირის ფუძე — ფართო; თმა — ჯაგარივით უხეში და თებოიანი; მკერდი — დაბალნული. თვალები — თევზივით გადმოქაჩუ-

ლი; ტუჩი — უფორმო! კეფა — ბრტყელი; ნიკაპი — გამოწეული და, რაც არსებითია, ხშირად ამთქნარებდა.

ძალიან შევწუხდით, მაგრამ აბა, რით უნდა გვეშველა!

„უნდა გადავარჩინოთ!“ — თქვა კორენოვმა.

„რას მიჭქარავ! როგორ უნდა გადაარჩინო?!“

„მაინც ჩვენია, ბიჭებო, საბჭოელია!“

„მოგცლია, რაღა! ბრტყელ ტერფს გაუსწორებ, თუ მოღრეცილ კისერს!! გამოსარჩლებით კი შეიძლება თავიც წავაგოთ!“

„რომ სცოდნოდა ფეხებსაც წაიჭრიდა ის უბედური!“

გულპილწი და ხენეში იყო. მაგრამ მაინც ვერ მოვითმინეთ, და მე, მეტნერი, კორენოვი და ტრიპელი უფროს ექიმს დავეჯღანეთ; ვუმტკიცებდით, რომ კარლი ნამდვილი გერმანელია, ჩვენ ყველანი კარგად ვიცნობთ მას-თქო. როგორც შევატყეთ, კომისიის წევრები იმასაც დაეეჭვებინა, რომ ვებერი, არამკითხე მოამბესავით, წამდაუწუმ მეწველ ძროხას გაიძახოდა. ალბათ, იფიქრეს თვალთმაქცობს, ინილბებაო! ის ბეჩავი უფროსმა კაბინეტში შემოაყვანინა. ისე გონებამიხდილი და დაჩიავებული იყო, რომ ხმამაღლა დაგვიწყო მუდარა, თქვენი თვისტომი არა ვარ? შემიბრალეთ, ნუ დამღუპავთო... რომ იტყვიან, მკვდარი მკვდარს აეკიდა, სამარემდე მიმათრიეო, — ისე იყო ჩვენი საქმე. კიდევ კარგი, რომ უფროსს ჩვენი შუამდგომლობა არ სწყენია, მგონი კეთილშობილებადაც ჩაგვითვალა; დინჯად ფურცლავდა კარლის საქმეებს და ავტორიტეტულად აცხადებდა. ვებერი, რა თქმა უნდა, ებრაელი არ არის, მაგრამ შესაძლოა, „მეოთხედი ებრაელი“, ან „მერვედი ებრაელი“ მაინც იყოსო. ეს საბოლოოდ მაშინ დადგინდება როდესაც ჩვენი ჯარები იმ კუთხეს დაიკავებენ, სადაც მისი მშობლები ცხოვრობენ; მანამდე კი საკონცენტრაციო ბანაკში გვეყოლებაო.

იმ ღამეს ვებერი მაინც ჩვენთან ერთად დააბრუნეს პაბიანიცეში და, როცა მე და კორენოვი ამ საქმეს ჩავუფიქრდით, შეგვეშინდა; ხომ შეეძლო კარლს, თუკი, ჩვენს შესახებ რამე ყურმოკრული ჰქონდა, თავის გადასარჩენად გესტაპოსთვის ეცნობებია?!

„ზოგი სულ უბრალო მიზეზით გაწირეს. — ამბობდა კორენოვი. — ამას კი ბრტყელტერფობაც აღმოაჩნდა, მთქნარებაც დაუმტკიცდა, მაგრამ აპატიეს. საფრთხილე გვმართებს!...“

## 10

საზეიმო ცერემონიალი გუსტავ პირველის კაბინეტში ჩატარდა. მაუდ-გადაფენილ მაგიდაზე სვასტიკიანი ალამი ფრიალებდა; შუაში საზარლოდ გამოწყობილი ვაიზე დაბრძანებულიყო; კუთხეში ენაგადმოგდებული გუსტავ პირველი მოკალათებულიყო; მხარმარცხნივ ყვითელ მუმიას ჩაექინდრა თავი, მხარმარჯვნივ კი, რასობრივი კომისიის წარმომადგენელს — სახეწამოწითლებულ ახალგაზრდა ჰაუპტშტურმფიურერს გაეშალა ქაღალდები.

ჰაუპტშტურმფიურერი წამოდგა, თავაზიანად მომესალმა და პირდაპირ თვალებში მომაჩერდა: სერრ ქანდლერ! რასისა და ეროვნული კონსოლიდაციის რაიხსმინისტრის ფოლკსდოიჩეთა მთავარი სამმართველოს, იმპერიის უშიშროების სამსახურის დავალებით, „გერმანული ინსტიტუტის“ მეცნიერულმა კომისიამ, იმპერიის რასობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, შეაჯამა და განიხილა რა თქვენი შემოწმების შედეგები, თქვენ, ქანდლერ, ალექსანდერ ჰაინრიხის ძევ, გაღიარათ წმინდა სისხლის გერმანელად პირველი კატეგორიით!.. მოგილოცავთ!..“

წამიერად გონება დამენისლა და ჰაუპტშტურმფიურერის ქადაგება აღარ გამიგონია.

რასობრივი კომისიის წარმომადგენელმა ხელი ჩამომართვა, გუსტავებმა ერთსულოვანი ყეფით მომილოცეს, ვენდტმა მელნიან ბალიშზე მარჯვენა ცერი დამაწებინა, თეთრ ქაღალდზე ანაბეჭდი აიღო და გამომიწოდა. ოთახიდან სირბილით გამოვედი; ასეთი მძიმე გამოცდა ჩემს ცხოვრებაში არ ჩამიბარებია!

დოკუმენტი წარმოადგენდა შუაში გაკეცილ თხელი მუყაოს ნაჭერს, რომელშიც ჩაბეჭდილი იყო: „ფოლკსდოიჩეს მოწმობა. რუსი ფოლკსდოიჩე, ლტოლვილი ქანდლერ, ალექსანდერ ჰაინრიხის ძე, რომელიც დაბინავებულია ფოლკსდოიჩე მიტტელშტელეს პაბიანიცეს საკარანტინო ბანაკში, შემოწმებულია გერმანული წარმოშობის პირთა მთავარი შტაბის რასობრივი კომისიის მიერ, ლიტცმანშტადტში. 1941 წლის ნოემბერი, დეკემბერი“.

საბუთს ხელს ვაწერდი მე (სხვა არავინ!), ხოლო ბეჭდის ადგილზე ჩემივე მარჯვენა ცერის ანაბეჭდი იყო დაღლაბნილი.

ასეთმა დოკუმენტმა, ცოტა არ იყოს, იმედი გამიცრუა, მაგრამ იქვე გამოვარკვიე, რომ ბილმაიერს, მეტნერს, კორენოვს, ტრიპელს ზუსტად ამგვარი საბუთები მიეღოთ. ჰერრ ზინგერმა დაგვარწმუნა, დარდი ნუ გაქვთ, მეტად ძვირფასი სიგელიაო, — რაკი ეს მოგცეს, აწი, ყოველგვარ დოკუმენტს მიიღებთო. მართალი ეთქვა: დოკუმენტი, მართლაც, დიდებული გამოდგა, — ბევრი ცხრაკლიტული გაგვაღებინა და ბევრ ხიფათს გადაგვარჩინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელგუჯა მაღრაძე

# ცხოვრება გრიგოლ ორბელიანისა

### მხატვრულ-ისტორიული ნარკვევი

## უცხო ცის ქვეშ

გრიგოლ ორბელიანის აქტიური მონაწილეობა შეთქმულებაში არაფრით არ დამტკიცდა. ხშირი მიმოსვლა იყო მიზეზი თუ სხვა რაიმე, სულ ერთია, დანაშაულის უქონლობის გამო, პოეტს ავლაბრის ყაზარმებში სამი თვის მძიმე პატიმრობის შემდეგ „კავკასიის ხაზზე“ მოქმედ ჯარში აგზავნიან, საიდანაც უმაღლესი ბრძანებით ნევის ხაზლვაო პოლკში უკრეს თავი.

ამრიგად, მეშვიდე კატეგორიის დამნაშავე ორბელიანი 1833 წლის ბოლოს ვილნოში გაემგზავრა, სადაც 1834 წლის 2 მაისს ჩააღწია.

აქედანვე იწყება გრიგოლ ორბელიანის ცხოვრების მეორე, მშფოთვარე პერიოდი, რაც მთელი ოცდახუთი წელი გრძელდება — გადასახლებიდან შამილის ომების ეპილოგამდე. ოფიცერი, მეომარი, სარდალი, გენერალი, ასეთია ეს გზა და ამ გზაზე რუსეთის ტახტის ერთგულებით გამსჭვალულ, დიდებით მავალ ორბელიანს არაფრის წინაშე არ დაუხევია უკან. ქართველთა სისხლშიაც ამოუვლია ბაირაღი, რაც მის ბრწყინვალე სამხედრო კარიერას წინ უძღოდა. ეს ფაქტია და ამაზე ისტორია ვერ დადუმდება.

ვილნოს მყოფი პოეტი ოხვრით იგონებს თბილისს, ნაცნობ-მეგობრებს, მანანასა და ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონებს.

გადასახლებულის პოეტურ სუნთქვაზე უცხო ცის ქვეშ საკმარისია ვთქვათ, რომ ვილნოში დაიწერა „ჩემს დას ეფემიას“ (1839 წ.).

აქვე დაწერა მოგონებანი. ეს მოგონება არ გასცილებია „რაყიფ კაცთა“ ძნელბედობაზე ყრუ ოხვრას. სიტყვაც არ დასცდენია შეთქმულებაზე, უახლოეს ადამიანებზე, რომლებიც „ავისა ენის გესლით“ მიმოფანტეს უკიდევანო იმპერიის შორეულ კუთხეებში.

1836 წლის 5 ივლისის ერთ სისხამ დილით გრიგოლ ორბელიანი სოფელ კლაუსცუციდან მიაქროლებს ეტლს, თან სტარიკოვი ახლავს. ოფიცრებმა ეტლი ებრაელ მარკუზის ტრაქტირთან გააჩერეს...

გაშლილი სუფრა. მეტრაქტირის ლამაზი ქალი. მხიარული ოფიცრები. შუშხუნა შამპანურით სავსე ჭიქები. თავადის სადღეგრძელოები. ლაღი საუბრები. და ისევ გზა, ისევ წვიმა, ტალახი, და ჯარისკაცთა სიმღერა.

სამხედრო სამსახურში ხომ ყველაფერს იხილავს კაცი და ყველაფერს გამოსცდის! წვიმა კისერში ჩადის, ძვალსა და რბილში ჯდება ცივი, უსიამო სისველე, და მაინც კმაყოფილი ხარ, თბილ სადგომს რომ მიაღწევ ასობით ვერსის გავლის შემდეგ, ერთ-ორ ჭიქას გადაჰკრავ და განაგრძობ შეწყვეტილ საუბარს. გრიგოლს უყვარს ჭკვიან, ყმაწვილ ოფიცრებთან ყოფნა, მათი უზრუნველობა, სიჭაბუკე, დაუდევრობა და მარადის მხიარულებისათვის მზად ყოფნა. უნებურად ავიწყდება სევდა, მწუხარება, სამშობლოს დარდიც კი!

გვიან ღამით მიაღწიეს სოფელ მელუნის, სადაც ჭიქა ჩაი ორი მანეთი ღირს. მაგრამ გრიგოლს ყველგან ჰყავს მასპინძელი. ჩაი უფასოდ მოაქვთ და არწმუნებენ, წვიმა ბედნიერების ნიშანიაო ლაშქრობაში. გრიგოლს დიახაც ესაჭიროება ბედის გამოცვლა.

მართლაც, ოთხი დღის სალაშქრო სვლის შემდეგ ისეთ ლამაზ მხარეში მოხვდება, რომ უნებურად საქართველო ახსენდება. მაგრამ ნუთუ მხოლოდ მოგონებებით უნდა იკვებოს და ინუგეშოს? ნუთუ აღარ ეღირსება ყოფნა იქ, საითაც ისწრაფვის მისი ფიქრი და ოცნება? რა მოიმოქმედოს? რა ჰქმნას? თავს ზევით ძალა არ არის. რიგა, ვილნო, კოვნო, პოლკი, კორპუსი, ცერემონიები... და მხოლოდ ზოგჯერ ამ ერთფეროვნული სამხედრო ცხოვრების ოკეანეში შეხვდება ნათელი კუნძული, სამშობლოს რომ მოაგონებს. აი, 14 ივლისს კოვნოს ტყეში მოუტანეს საყვარელი დისშვილის, ტატოს, მამის მელიტონის წერილი, როგორც ყოველთვის, გაჭირვებაშია, ჩივის ბედს ემდურის. ახლობელთა ავი სვე გულს უკლავს გრიგოლს, მაგრამ რა შეუძლია, თვითონ მის ნავსაც

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 1.

რომ უმოწყალოდ აქანავებს წუთისოფლის მღელვარე ზვირთები!

იმავე საღამოს გიორგი ერისთავი ესტუმრა. გიორგი მასთან ერთად ჩარიცხეს გეისმარის I ქვეით კორპუსში. ორივე პოეტი ვილნოშია, ხშირად აწვდენენ ხმას ერთიმეორეს, უხმობენ, ხვდებიან ერთმანეთს და შესჩივიან ურთიერთს თავიანთ ძაღლურ ბედს.

რაღა სათქმელია, რომ ეამათ ურთიერთის ნახვა. ჟამთა ვითარებით გადაკარგული მამულიშვილნი იმ ღამეს საუბარში ატარებენ.

მაგრამ გრიგოლს ყველაფერი ჩამწარდა. ერთი კვირის შემდეგ მას ელოდა შეხვედრა, რაც სამუდამო დაღად დარჩა ამაყ პოეტის გულში. 24 ივლისს ჯარების დათვალიერება იყო. თვით ჩერნიშოვს ელოდნენ. გრაფი ჩერნიშოვი, სამხედრო მინისტრი, უცნობი არ არის რუსეთის ისტორიაში. ეს ზვიადი, ქალების მუსუსი, ხარბი და პატივმოყვარე მოხელე არ იყო მოკლებული სამხედრო ნიჭსა და უნარს. აუსტერლიცის, ფრიდლანდისა და ბოროდინოს ბრძოლების მონაწილე გენერალ-ადიუტანტს, დეკაბრისტების საქმის გამოძიებისათვის ნიკოლოზმა გრაფის წოდება უბოძა. 1832 წლიდან ჩერნიშოვი სამხედრო მინისტრია და მოგვიანებით, 1840 წელს, კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარე ხდება.

ჩერნიშოვის ჩამოსვლა შავი ღრუბლების მოზღვავებით აღინიშნა. კოკისპირულ წვიმაში, ამაყი მინისტრი ომის ღმერთივით უვლიდა საალუმოდ დაწყობილ ჯარს. აი, გაუსწორდა ორბელიანს... მაგრამ სჯობს პოეტს მოვუსმინოთ:

„მე ვიყავ დეჟურნი. გამოვიჭიმე მის წინ, მარამ არც კი მაღირსა შემოხედვა. ახ! ვითარ მცირედ მეჩვენა მაშინ თავი ჩემი!“ შეურაცხყოფილი პოეტის ამ სიტყვებში ყველაფერია ნათქვამი. სამუდამოდ ჩარჩა გულში გრიგოლს ეს ხეპრული, ბატონკაცური ამპარტავნობა, ადამიანის არად ჩაგდების აღმოსავლური ჟესტი, რაც რუსეთის იმპერიაში უკიდურეს საზღვრებს აღწევდა.

— ამ შეურაცხყოფის ატანა ძალმიძს მხოლოდ იმის შეგნებით, რომ, ციციანოვისა არ იყოს, ყოველივე სამსახურის მოვალეობათა და მეფის ერთგულების გამო ხდება, — ეუბნებოდა შემდეგ პოეტი მეგობარ ოფიცერს. — არც კი შემომხედა!

— გულთან ნუ მიიტანთ, თავადო, — მიუგო ღიმილით ოფიცერმა. — იფიქრეთ იმაზე, რომ ნაპოლეონი ან სუვოროვი მის ადგილზე შემოგხედავდათ. აჰ, ბატონო ჩემო, ამ მინისტრებსა და გენერლებს პოეზიის გრძნობა სულ არ გააჩნიათ! შეიძლება მხოლოდ ქალებთან...

მეგობრები ნუგეშს შამპანურში ეძებენ და დარდსა და ვარამს ღვინით იქარვებენ.

ორიოდე კვირის შემდეგ იგივე მეორდება, მცირე განსხვავებით: ამჯერად ჯარებს კორპუსის უფროსი თავადი მიხეილ გორჩაკოვი ათვალიერებს, მენშიკოვისა და პასკევიჩის მომავალი შემცვლელი. ისევ წყობა, კოლონები, ვარჯიში, არტილერია, კავალერია, დისტანციები... და ყველაზე მეტად გრიგოლს ის დისტანცია ეშორება, სამხედრო დიდკაცობის თვალსა და გულს შორის რომ არის.

24 აგვისტოს გენერალ-ფელდმარშალი და უზრწყინვალესი თავადი ივანე პასკევიჩი ჩამოდის. მეორე დღეს ჯარებს ათვალიერებს. ისევ როტები, ხაზები, ქვემეხთა ქუხილი. თოფებითა და ხმლებით გაკეთებულ მრისხანე პირამიდებს ჩაუვლის ახალი, ძლევამოსილი სარდალი, მხედრული მუსიკის ქუხილში, გაჭიმული პოლკის სიმღერაში, ქვემეხთა გრიალში, „ვაშას“ ძახილში... სუვოროვის პატივს იშნოვებდა პასკევიჩი.

დაღამდა. ბანაკზე მწუხრი ჩამოწვა, ცაში კი ჩირაღდნები აენთო. ფელდმარშალის გადახლართული ვენზელი — „ი. პ.“ — შუქურად ელავდა სივრცეში, მთის მწვერვალზე, ახალი ვარსკვლავის მსგავსად, ნიშნად იმისა, რომ პასკევიჩის სახელი ცასა და მიწას შუა ჰკიდია.

შეხედა პოეტმა და უნებლიედ გაჰკრა გონებაში საწუთროს ამაოების ფიქრმა:

— ორმოც, სამოც წელს შემდეგ სახელნი ჩვენნი განჰქრებიან ამა ჩირაღდანივით, მარამა სახელი ვარშავსკისა მომავალთ საუკუნეში აღენთება, ფრთა ნათელი და ცათა სწორი...

პარადს მოჰყვა კორპუსის მანევრი. ბანაკი მოიხსნა. გრიგოლი კოვნოშია. წირვას ესწრება, ჰოსპიტალს ნახულობს და დიდხანს ათვალიერებს ოთახს, რომელშიაც ოცდაოთხი წლის წინ საშინელ ჭექა-ქუხილში შეფარებულ ნაპოლეონს ღამე გაუთევია. ადგილობრივმა მკვიდრმა, რომელსაც პირადად ენახა საფრანგეთის იმპერატორი, ყოველი წვრილმანი აუხსნა, მაგრამ მთავარ კითხვაზე პასუხის გაცემა კი გაუძნელდა:

— ისიც ჩვენსავით კაცი იყო? — ჰკითხა პოეტმა.

— ჰო, ჩვენსავით იყო... მაგრამ ცოტა სხვანაირი ფიქრიანი... ერთთავად ფიქრობდა...

მხოლოდ სამხედრო სამყარო როდი აინტერესებს უცხო ცის ქვეშ მოხვედრილ პოეტს. უკეთ რომ ვთქვათ, სწორედ სამხედრო სამსახური და განდევნილობა აწვება ტვირთად, მხოლოდ მოვალეობას იხდის, თავისუფალ დროს კი პოეზიის, ხელოვნებისა და მეცნიერების შესწავლითაა გართული. როგორც კი საქმიდან მოიცალა, ვამენდელის მონასტერში წავიდა. ეს მონასტერი ძეგლია საშინელი დანაშაულისა: ერთ პოლონელ თავადს შეჰყვარებია ღვიძლი და. ისე ძლიერი ყოფილა ეს სოდომური გრძნობა, რომ ორივე ცოდვაში ჩავარდნილა, მერე კი ცოდვის მოსანანიებლად ეს მონასტერი აუგიათ. მონასტერში მისულმა გრიგოლმა გამძლე კუბოში შენახული ძვლები საკუთარი თვალით იხილა და მძიმე ფიქრები აეშალა:

„ვნახე მათი კუბო, რომელთა შინა მხოლოდ ძვლები იყვნენ დაშთომილნი. სად არს სიმშვენიერე ქალისა, რომელმანცა დააბრმავა გონება ძმისა? სადა არს გრძნობა და ძალა სიყვარულისა, რომელთაცა დაავიწყეს და ძმასა? აწ მხოლოდ რამდენიმე ძვლები და რამდენიმე ნაგლეჯი ტანისამოსისა მოუთხრობენ ამაოებასა ამა სოფლისასა! ნუთუ მართლად

ამით დასრულდება ცხოვრება ჩვენი? ნუთუ იმედი, სინიდისი, ესე საიდუმლო ხმა განგებისა, ესე საიდუმლო მსაჯული ჩვენი, ნუთუ სიყვარული და სურვილი კეთილისა საქმისა მოცემულ არს ჩვენდა მხოლოდ მისთვის, რათამცა განჰქრნენ, დალპნენ ხორცთა თანა ჩვენთა? — არა ჰრწამს სიტყვა ღვთაებრივისა კაცისა: „არა მოვჰკვდები, არამედ გარდავიქცევი სიკვდილისაგან ცხოვრებად“. — „ღმერთო, მიუტევე ამათ შეცოდებანი მათნი!“ — ვსთქვი და გამოველ გარეთ დაფიქრებული“.

ბუნებრივია, ამ სანახაობას მძიმე ფიქრები აღეძრა მგოსნისათვის, მაგრამ დასკვნა მისი — რომ არა ჰწამს სიტყვა ღვთაებრივისა კაცისა: „არა მოვჰკვდები, არამედ გარდავიქცევი სიკვდილისაგან ცხოვრებად“ მხოლოდ ღრმა ფილოსოფიურ-ათეისტურ აზრთა დინებით შეიძლება აიხსნას.

ვამენდელის მონასტერშივე უხილავს მლოცველი ქრმა იესოს ძვირფასი ტილო. იმპერატორ ალექსანდრეს ისე მოსწონებია ეს სურათი, რომ ბერებისთვის ხუთი ათასი ოქრო შეუძლევია, მაგრამ ბერებს მოხერხებული პასუხი მიუციათ: „სურათიც შენია და ჩვენც შენი ვართო“. იმპერატორი უსიტყვოდ გაბრუნებულა.

იმ ხანებში კორპუსში მეფეს ელოდნენ. ოფიცრებს „სწყუროდათ დიდად ხილვა ესრეთ დიდებულისა ხელმწიფისა“, უფრო კი ჯილდოების მიღება, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა და მეგობრები ისევ გრიგოლთან შეიკრიბნენ დარდის გასაქარვებლად. წვიმდა. ერთი დაუპატიჟებელი, უხასიათო ოფიცერი შემოესწროთ. გრიგოლმა თავაზიანობისათვის მიიპატიჟა. არავის ეამა მისი მოსვლა.

— ასეთ წვიმაში ყოველთვის ამისთანა კაცი გამოჩნდებაო! — შესძახა ერთმა და ატყდა გულიანი სიცილი. შემოსწრებული თითქოს დამუნჯდა, მხოლოდ სულელურად იღიმებოდა.

— არ გეწყინოთ, მეგობარო, — ანუგეშა ისევ გრიგოლმა, — ეს დეკემბრის სუსხი შემოგყვათ და იმაზე ამბობენო.

იმ ნაწილში, სადაც გრიგოლი მსახურობს, ზედიზედ ჩამოდიან გენერლები, ზოგჯერ ფელდმარშალიც, მეორდება ჯარის დათვალიერება, მანევრი, და ისევ, ათასში ერთხელ, სასურველი სტუმარი. 16 დეკემბერს გიორგი ერისთავი ესტუმრა. ისე დაემშვიდობნენ ერთიმეორეს, თითქოს საუკუნოდ შორდებიანო.

საბანაკო ცხოვრება კი გრძელდებოდა. კვლავ სევდანარევი სიცილი, ხუმრობა, საღამოები, წვიმა, სუსხი, გაქცეული რეკრუტი. ისედაც პატარა ქალაქი კოვნო, სრულიად დაპატიმრებული შემორჩათ ხელში კორპუსის წასვლის შემდეგ. ბაზარი, სადაც არაფერი იშოვება. ანგრეული ოთახები. ჭუჭყიანი ქვეშაგები. დაცემული შანდალი. უსირცხვილო მეძავები, რომლებიც თავს ორ შაურად ყიდიან. სირცხვილის ნაპერწკალიც არ ჩანს მათს ჩაღამებულ თვალებსა და უტიფრულ გამოხედვაში.

— შემდეგ რაღას იზამენ, რომ დაბერდებიან და ეს ხელობა აღარ გავა? — ჰკითხა პოეტმა მეგობარ ოფიცერს სვეჩნიკოვს.

— თუ საშინელი სენი არ დაშლის მაგ ხამრალოთა სახსრებს, მაშინ შხამი და მდინარეა მათი მეგობარი, — მიუგო სვეჩნიკოვმა. [illegible] ბუნება ყველასათვის გამონახავს შესაფერის [illegible] გოგო ბატონს ემსახურებოდა, მესამე სართულიდან გადმოვარდა. მოარჩინეს. მეორედ წყალში ჩავარდა. მეთევზეებმა იხსნეს. მესამედ მთა ჩამოიქცა, მიწაში ჩაიმარხა. ახლაც იხსნეს. რისთვის გადაარჩინეს? განა სიკვდილი არ ერჩია ასეთ ცხოვრებას, დაუსრულებელ დამცირებასა და გარყვნილებაში გატარებულს?

გულდამძიმებული პოეტი ოთახიდან გამოიძურწება, სტეფანოვთან მიდის. მერე მეგობრები სასეირნოდ გადიან, მუსიკოსებს უსმენენ, სიჭაბუკის სიამესა და ბედის უკუღმართობაზე საუბრობენ.

გვიან ღამით ბრუნდებიან შინ, სოფელ ლოპში. განუყრელი მსახური ბიჭი ნინიკა ბაქრაძე მხიარული გამოეგება, ოფიცერ იორდანის წერილი დაახვედრა და შტაბსკაპიტნობა მიულოცა.

— მადლობა ღმერთს! — შესძახა ღიმილით გრიგოლმა. — არა ვსწყევლი ჩემს ბედსა, თუმცა სხვანი ჩემნი მეგობარნი მაიორებიც არიან, ლოცვა და მოთმინება მმართებს და უნეგემოდ არც მე დამაგდებს ღმერთი, რომელმანცა დამიხსნა თვრამეტის ძლიერის ომისაგან, საპყრობილისაგან, წყალში დალუპვისაგან და სნეულებისაგან, რომელმანცა მიმიყვანა თითქმის სამარემდის. წყალობით მომხედავს მეც ხელმწიფე იმპერატორი. ხომ, ჩემო ნინიკა?

— ჰო, კნიაზო, ისეთი სიზმარი ვნახე, რომ უთუოდ მოგხედავს.

— სიზმარი? ეჰ, ნინიკა! სასიზმროდაც გამისდა საქმე? მაინც რა გესიზმრა?

— ვითომ ღრუბელივით მოდგა რიცხვმრავალი ყიზილბაში. წმინდა ტაძარს მოაშურეს ურწმუნოებმა. შენ კი, კნიაზო, გენერალი იყავი, თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგისავით გაუძეხი ჩვენს წყობას, ნათელი, დიდი, დიდებული, ერეკლეს დროშას მიაფრიალებდი, შუქის სვეტი გადგა თავზე და ისეთი ორდენები გიბრჭყვიალებდა მკერდზე, თვალდიშვილო, რომ ყიზილბაშების წინამძღოლს ყვალი მოჰკვეთა, პირდაღებულ უფსკრულში გადავარდა, მისი ჯარი კი მთებში გაიფანტა და, ჰოი, უფალო. ჭიანჭველებად იქცა!

გრიგოლი უკვე გულიანად იცინოდა:

— ჩემო ნინიკა! შენ საგულისხმო სიზმარი გინახავს! ღმერთმა ჰქმნას, მე გენერალი გავხდე. შენ კი — მგოსანი!

— გენერლობაც შენთვის დამითმია, კნიაზო, და მგოსნობაც. მე კი ისევ ისე ნინიკა ბიჭი ვიქნები. ეგრე ემჯობინება, თორემ ყველა რომ ბატონი გახდეს, უჭმელი დავრჩებით.

26 დეკემბერს შტაბსკაპიტნობის მოსალოცავად მოვიდნენ ტროფიმოვსკი, სვეჩნიკოვი, ტუფიაევი, სტეფანოვი... მთელი დღე მხიარულებაში გაატარეს, მეორე დღეს კი საყდრის დღეობაზე წავიდნენ... გრიგოლი უკვე იცლის იმისათვის, რომ დღეობაში ლამაზ გოგონებთან ვალსი იცეკვოს, კოც-

ნისათვის მოგონილი „პოდუშეჩკი“ შეისწავლოს და მერე ისე დაუახლოვდეს ამ უბირ გოგონებს, რომ „როცა მოუნდება, ჰკოცნიდეს“.

მოკლედ და ცოცხლად გადმოგვცემს გრიგოლი სცენებს, რომელთაც თავისი მხედრული ცხოვრების გზაზე ხედავს: საღამოებს, ებრაელთა ქორწილს, გზაზე გამართულ ცეკვა-თამაშს, და ერთ მორიგ მარცხს, რაც სიყვარულში უიღბლო პოეტს ვილკომირში შეემთხვა. მისი პირდაპირობა, გულახდილობა და მართალი სიტყვა სასიყვარულო ამბების თხრობისას, მეტი რომ არა ვთქვათ, განსაცვიფრებელია. იქ, სადაც სხვა მოიგონებდა ზღაპარს იმაზე, თუ როგორ გადავარდა მისი გულისათვის სამი ქალი მდინარეში, მეოთხემ კი თავი მოიწამლა, გრიგოლი დაუდევრად გადმოგვცემს თავისი პატარა რომანის სამწუხარო დეტალებს.

5 ოქტომბერს ქალაქ ვილკომირში დანიშნული იყო რაუტი. ამ საერთო სეირნობაზე გრიგოლი ვერ წავიდა. ყელი სტკიოდა, თუმცა ამაზე დიდი მიზეზიც ჰქონდა: მეტად ლამაზი სახლის პატრონი ჰყავდა, სახელად დუნია. ვნახოთ, როგორ დაიწყო და როგორ დასრულდება მათი რომანი:

„მიხაროდა, რომ ჩემნი ამხანაგნი წავიდნენ რედუტში. დავრჩი მე მარტო სახლის პატრონთან. ბევრი ვეკურკურე, მაგრამ ვერა გავხდი რა. ბოლოს წავეჩხუბე, გავებუტე და წაველ დასაძინებლად. რა უყო! ძალათ სიყვარული არ შეიძლება!“

მეორე დღესვე დილით პოეტმა ტროფიმოვსკის ასეთი ბარათი დაუტოვა, რუსულად დაწერილი:

„ვერაფერს იტყვი, ბინა კარგია, დიასახლისი — კიდევ უკეთესი, მაგრამ დე, ჯოჯოხეთში წაშავდეს, ან უმჯობესია ბოროტმა სნებამ დაასვას დაღი მის ეგზომ მიმზიდველ სახეს! უკეთური! ორი ღამე არ მეძინა, ორი დღე ვესვეწე, ვევედრე, არ დამიზოგავს მთელი ჩემი მჭევრმეტყველება და სისულელე, რაც კი აწყვეტილ ვნებას გააჩნია. რა გაეწყობა! მე ვნახე, გავიგონე, როგორ ნელ-ნელა იღებოდა მისი ოთახის კარი და როგორ უჩუმრად შედიოდა რომელიღაც მეტოქე! ხუთასი ბომბი და ხელყუმბარა! ჯოჯოხეთში ვიყავი! ორმოცდაათი ათასი რწყილი დამესია. თქვენ გაიგებთ ჩემს უძილობას, ჩემს ტანჯვას. აღარ შემიძლია წერა, ბრაზი და წყენა მეუფლება. მშვიდობით! გისურვებთ ჩემზე ბედნიერი ყოფილიყავით“.

მოტეხილი, სნეული, ქანცგაწყვეტილი ადგა დილით. გულის ტკივილმა გაუხსენა. ნაღველმა მოიცვა: როგორ მივაღწევო დინაბურგს! „ახ! რა ძვირფას არს სიმრთელე კაცისთვის!“

ეს ერთი ეპიზოდიც ნათელჰყოფს, რომ გრიგოლ ორბელიანისათვის უცხო არ ყოფილა შმაგი სიყვარული და აწყვეტილი, ვნებიანი გრძნობა, მაგრამ სადაც არ სჯობდა გაცლაც ვაჟკაცური სცოდნია, ისეთი, როგორიც მისი მწერლურ ღირსებას ეკადრებოდა.

დინაბურგთან არსებითად წყდება პოეტის დღიურები. მოსწყინდა ამ ჰანგზე წერა, თორემ ზღვა მასალას მოგვცემდა თავისი ხანგრძლივი ცხოვრების გზის აღსადგენად.

ვილნოში გრიგოლი მისივე სიტყვით „მკვდრეთით აღადგინა“ ექიმმა პონომარევმა. გვიან გრიგოლი მარიამ დედოფალს რიგიდან სთხოვს ამ მკურნალის შემწეობას.

ვილნოში ისევ მიმდინარეობს მხედრული წრთვნა.

საქართველოში კი ისევ ისე იბადებიან მშვენიერი ასულნი... მხოლოდ გრიგოლისთვის კი არა! ჯერაც იფურჩქნებიან ნინო და ეკატერინე, უდარდელად კისკისებს სოფიო ორბელიანი, გრიგოლის საცოლე, და 1834 წელს იბადება მეორე სოფიო, ალექსანდრე ჭავჭავაძის მესამე ასული. გრიბოედოვის ქვრივი გამდელად იქცევა. საოცარი ინტუიციით, თითქოს წინასწარმეტყველური აღლოთი სწერს გულნაკლული გრიგოლი 1835 წლის 23 მარტს სალომე ორბელიანს-ჭავჭავაძისას, ალექსანდრეს მეუღლეს·

„ეს მესამე დღეა, რა მოველ რიღიდამ აქა, სადაცა დამხვდა წერილი თქვენი, რომელშიაც მწერთ მესამე ქალის ყოლას, ესე იგი მესამე გრაციას: — მოგილოცავთ, მაგრამ, რა გინდა სალომევ! აქამდის ორი ქალი გყვანდა და თითქმის პეტერბურღითგან ისპაანამდის გაგიჟებულნი იყვნენ ხალხნი, ახლა ეგ მესამეც“...

პოლონეთი პოეტს საქართველოსავით შეუყვარდა. პოლონელ თავადებთან მეგობრობაში, რომანტიკოს პოლონელ ქალებთან ალერსსა და შექცევაში განვლო სამმა წელიწადმა. ამან გააძლებინა „ბუნების განმაცხოველებელ“ საქართველოს ჰაერის ნაკლებობაში, გაუადვილა ნინოს, სოფიოსა და ეკატერინეს სიშორის ატანა.

საქართველოში კი ისევ ქორწილია — ჯერ ძმისა, მერე — ეკატერინესი, და ასე გადაება ქორწილი ქორწილს. გრიგოლი კი ვერც ერთს ვერ ესწრება! რამდენჯერაც შინ ჩავა, იმდენჯერ უნდა ტირილი და ვაი-ვაგლახი დახვდეს!

25 ივლისს რიგიდან ზაქარია ორბელიანს სწერს:

„ჩემს საყვარელ დას ეფემიას თავის შვილებით დავჰკოცნი! ახა, ანგელოზო ჩემო! რათ დამივიწყეს, რომ ერთის წიგნით აღარ მახსენეს. — რასა იქს ტატიკო, კიდევ კოჭლობს, თუ აღარა? და ან რას ჰსწავლობს? ურჩიე მელიტონს, რომ ეცადოს სახელმწიფოს ხარჯზე იმის გაგზავნას რომელსამე უნივერსიტეტში... დასანანი იქნება, დიდად დასანანი, რომ მისი ნიჭი და უნარი განუვითარებლად დარჩეს...“

1835 წლის გაზაფხულზე მანანა წინანდალშია, ჩინებულად ატარებს დროს და, სხვათა შორის, უსმენს დიდი პუშკინის ძმას, ლევ პუშკინს, რომელმაც „წინანდლელ ქალებს“, „რუსლანი და ლიუდმილა“ წაუკითხა. მანანა არ დაკმაყოფილდა პოემის შინაარსის რუსულ ენაზე გაცნობით და გადასახლებაში მყოფ გრიგოლს სთხოვა, მითარგმნეო, მერე ისევ შეახსენებს, მაგრამ თარგმანის ნაცვლად ცნობილია

მხოლოდ გრიგოლის ნათქვამი. მანანა გაგიგიჟებიაო, თარგმნასა მთხოვსო.

1835 წლის 10 თებერვალს ზაქარიამ ანჩისხატის ეკლესიაში დაიწერა ჯვარი დეკანოზის ქალზე ქეთევანზე (მზითევი ხუთასი თუმანი აღმოჩნდა, ნაცვლად ზვიდასისა). და გრიგოლს ისღა დარჩენია, მიულოცოს გაბედნიერება ძმას, რომელმაც იმ ხანებში პოდპორუჩიკობაც მიიღო:

„იყვენით მარადის გულწრფელად და ნურარაი იქმნების თქვენ შორის საიდუმლოდ, უკეთუ გსურთ ბედნიერად ცხოვრებაო“, ურჩევს „მოხუცი“ ახლადდაქორწინებულთ.

უნდა შევნიშნოთ, რომ ამ წერილში (1835 წ. 11 აპრილს) უცოლო კაცის მიერ გამოთქმული ღრმააზროვანი პრაქტიკული რჩევა, ცოლქმრული ცხოვრების სიამტკბილობის თაობაზე, ხანგრძლივი დაკვირვების, ჭვრეტის, აღქმისა და ფილოსოფიური განსჯის შედეგი უნდა იყოს.

„განჰხსენით გული თქვენი და მასზე წაიკითხეთ ხასიათი ურთიერთისა. — იყუენით ურთიერთისა პატივისმცემელნი; ვინაითგან საცა არა არს პატივისცემა, არცა არს სიყვარული. — არ დაგავიწყდესთ ნემენცური ანგარიში, ესე იგი, რომ ხარჯი არ გარდამეტებდეს შემოსავალსა. ამა კანონისა დარღვევა ჰყოფს ესოდენ მრავალთა უბედურად. — მეუღლეობითსა ცხოვრებასა შინა, ოდესმე უმცირესი მიზეზი ჰშობს უსიამოვნებასა; ამისთვის ერიდენით და ძალიან ერიდენით, რომ არცა მეგობარი, არცა ნათესავი და თვით ძმაცა თქვენი არ იყვნენ მოწამედ თქვენ შორის უსიამოვნებისა, რომელიცა უიმისოდაც განჰქრების მსწრაფლვე. — დაიცავით ესე და მერწმუნეთ, რომ ცხოვრება თქვენი განვლის ბედნიერად“.

ეს ამონაწერი აქ იმ მიზნითაც დავიმოწმეთ, რომ დავუპირისპიროთ თვით პოეტის მიერ არაერთხელ შემთხვევით ან პირადი უბედურების გამო თქმულ სკეპტიკურ მოსაზრებებს ცოლქმრობასა და ქალის სიყვარულზე. ძმისა და რძლისადმი შემდგომი „დავალება“ ასეთია: პირველად გააჩინონ ვაჟი და უწოდონ ლიპარიტი, ორბელიანთა გვარის მამამთავრის სახელი.

ჭირი და ოჯახური უსიამოვნებანი კი კვლავ ერთმანეთს ესართებიან და გრიგოლის სადარდელი გოლგოთას აღმართივით იზრდება. მელიტონი ლოგინად ჩავარდნილა. ზაქარია ისეთ წერილებს სწერს, თითქოს კიდევაც მომკვდარა ტატოს მამა. გრიგოლი დარდით აღარაა:

„...ცრემლნი მდიან თვალთაგან ამ წერაში... ჩვენც ასეთს სილარიბეში ვართ, რომ შემწეობა მაგთენი არა შეგვიძლიან რა. — ახ! ღმერთო, რა უბედური ოჯახი შეიქმნა სახლი ჩვენი. — ო! რა ძნელია მოსათმენად, რომ კაცი ჰხედავდეს ესრეთ გულის საყვარელს დას უკანასკნელ განწირულებაში, და არ შეეძლოს შემწეობა.“

საქმე იქამდე მიდის, რომ გრიგოლი ზაქარიას ეკითხება, ხომ არ შეიძლება ეფემია ჩვენს სახლში გადავიყვანოთ, თუნდაც დროებითო?

ამჟერად ყველაფერი კეთილად ჩაივლის. მელიტონი მორჩება, 1832 წელს თავის გამორჩენისათვის სტანისლავს მიიღებს, და გრიგოლი ჩვეული ირონიით შენიშნავს: „მოულოცე ჩემმაგიერ და უთხარ, რომ მურთუზალიშვილს რომ ხმალი შემოჰკრა ყბაში-თქო, იმისთვის მოგივიდა ჯილდო-თქო“.

ამდენ დარდიანობაში თმაში ჭაღარაც გამოერია, „მაგრამ აგინებს და იგლეჯს“. ჯერ დაღისტანში არ წასულა, თავზე კი ათოვს!

მხოლოდ დავით ყორღანაშვილის წერილები ავიწყებენ ვილნოს ტალახის ზელვით გართულ პოეტს წუთისოფლის სიავეს. აღდგომა დღეს რომ დავითის წერილს მიიღებს, მომტანს ულვაშებში სამჯერ აკოცებს, დაჯდება, იკითხავს, იცინებს, უბეში ჩაიდებს და ხშირ-ხშირად ამოიღებს ხოლმე.

ოღონდაც! დავით ყორღანაშვილი — ესაა ორთაჭალა, ყანწები, მირზა ჯანა მადათაშვილთან — ამ „ლხინის პაპასთან“ — და გერასიმე ყორღანაშვილთან გატარებული დარდიმანდული დღეები... ახლა უმცროსი ძმები დაქორწინდნენ, თვითონ კი დარჩნენ რიყეზე. დაღისტნის მთები ელიან მოქეიფე მეგობრებს.

რიგასა და ვილნოს მყოფი გრიგოლი არ ივიწყებს ჭავჭავაძეებს, ხშირად სწერს სალომეს, ისევ და ისევ აქებს მის ასულებს, უხარია, რომ ალექსანდრე საქართველოს სენატის წევრი უნდა იყოსო, და მადლიერია, რომ მისი დიდი ორეული პეტერბურგში ცდილობს მისი მდგომარეობის შემსუბუქებას. ერთ-ერთი წერილის პასუხში (1835 წ. 25 ივლისს) ლაპარაკობს რიგის კომენდანტის გენერალ დრიზენის ქალზე, რომელიც სილამაზით განთქმული ყოფილა, და განაგრძობს:

„მერწმუნეთ, თქვენი დარეჯანი და თალალა (მოახლენი. ე. მ.) უმჯობესნი არიან. — დასწყევლოს აქაურობის კრასავიცების სახეები, შემწვარს კარტოფილებს ჰგვანან.. ვინც არ ყოფილა საქართველოში, იმან არ იცის, თუ რა არის ლამაზი ქალი“.

1835 წლის ზაფხულში გრიგოლი შეხვდა ბარონ როზენს, — არა მთავარმართებელს, არამედ გენერალ-ლეიტენანტ რომან როზენს, რომელიც 1830 წელს დივიზიის უფროსად იყო საქართველოში. ბარონმა კარგად მიიღო და საქართველოს ამბებით გაახარა პოეტი.

* * *

შორეული ცის ქვეშ მყოფი პოეტი არ ივიწყებს არც ქართულ ზნეობას და არც ქართული ხუროთმოძღვრების, მწერლობის, მატერიალური კულტურის ძეგლების ბედს. ყოველ შესაფერის შემთხვევაში ის გვევლინება მრჩევლად, დამრიგებლად, სიკეთის გზის მაჩვენებლად.

გრიგოლი წესიერებას, სიღრმესა და გულმოდგინებას მოითხოვს ყოველ საქმეში, რასაც ადამიანი ხელს მოჰკიდებს. თავის მრავალრიცხოვან წერილებში ხშირად ვხვდებით საყვედურებს, დარიგებას, რჩევას სწავლისა თუ სამსახურის საქმეებზე. 1835 წლის ზაფხულში ილიას სწერს:

...„როგორა ხარ მიღებული საზოგადოებისაგან; ვინძლო, ჩემო ილიკოჯან, რომ ჭკვიანურის ყოფაქ-

ცევითა მოიპოვო პატივისცემა და სიყვარული აფიცრებისაგან. რადგანაც აღირჩიე სამხედრო სამსახური, ამისათვის უნდა ეცადო ყოვლის შენის ძალითა და გონებითა, რომ ჰსცნო სრულებით ხელობა შენი".

შემდეგ ურჩევს აწარმოოს დღიური, რათა რამდენიმე წლის შემდეგ გადახედოს და წარმოიდგინოს, რამდენი დღე ფუჭად გაუტარებია, რამდენი საქმიანად.

„მე არასოდეს არ დაგიშლი მხიარულად დროს გატარებასა, — განაგრძობს გრიგოლი, — მაგრამ უნდა იცოდე, რომ მხიარულება არ მდგომარეობს არცა ლოთობაში და არცა ქაღალდის თამაშობაში. ესე წყეულნი ვნებანი ესრეთ ძლიერ არიან მიმზიდველნი ყმაწვილის კაცისა, რომ თუ ძალიან მაგრად არ წინააღუდგა მათ, სრულებით წურბლებსავით ჩაეკვრებიან გულში და დაღუპვენ საუკუნოდ... ერიდე, ერიდე მანამ ყმაწვილი ხარ და როდესაც ჩემა ხნისა შეიქმნები, მაშინ თუნდ ქვევრი დასცალო, არ შეიცვლები ხასიათით, რომელიცა ეხლა შენს ხანში არის რბილ, ჩვილ წმინდა სანთელსავით, რომლისა ზედა ის გამოირჩევა, რასაც დაასომ ბეჭედად".

ეს ბრძნული და საქმიანი დარიგება სრულებითაც არ კარგავს თავის აღმზრდელობით მნიშვნელობას არც დღეს, თითქმის საუკუნენახევრის შემდეგ.

მომდევნო წელს, ილიას გულმოდგინებით კმაყოფილი პოეტი, ისევ მოაგონებს:

„აგრე უნდა შენმა გაზდამ. კაცმა რა გზაც აღირჩიოს თავის ცხოვრებისათვის, უნდა მედგრად ვიდოდეს მასზედ. ყველა ხელოვნება, ყველა ცოდნა კარგია და სასარგებლო კაცისათვის, მაგრამ ერთი უნდა ამოირჩიოს მთავარ მიზნად, ყველა დანარჩენი, ასე ვთქვათ, დამხმარე საშუალება უნდა იყოს".

იმავე წერილში ილიასაგან მოითხოვს გულდასმით დააკვირდეს, აფხაზეთსა და ქუთაისში ყოფნის დროს, ადამიანთა ჩვეულებასა და ხასიათს, აღუწეროს ისტორიული ნანგრევები, ძველი მონასტრები, მათი არქიტექტურა და მისთანები, სად ინახებიან ძველი ქართული წიგნები, „ერთის სიტყვით, ყოველივე წვრილად და წვრილად. — სამხედრო სამსახური ამით არის კარგი, რომ საცა არ გგონია იქ მიხვალ. ამისათვის ყოველივე უნდა ყურადღებით გასინჯო, გამოიკითხო და დასახსომებლად ჩასწერო ჟურნალში".

გრიგოლი ერთგვარ მეცნიერულ დავალებას აძლევს ძმას და კორესპონდენტად ნიშნავს. სხვა საქმეა, რომ ილიას წერა ეზარება და დავალებას ვერ ასრულებს დაჟინებით ურჩევს აგრეთვე ისწავლოს ფრანგული და გერმანული ენები, „ფრიად განათლებული და სწავლული ხალხის ენები".

ცოტა გვიან ისევ ილიას ავალებს — შენ და მიხაკოს (ორბელიანს) ერთმანეთი გიყვარდეთ და გულწრფელად, როგორც მე და ტატოს გვიყვარდა ურთიერთიო.

გადის დრო და უკვე გორიდან აფრთხილებს: სძლიე სიზარმაცეს, მოეშვი ქაღალდს, სიკეთის გზას დაადექი მტკიცედ, ხოლო თუ არ შეგიძლია, ისევ შინ ჩამოდი და როგორც გვიწირავს, ისევე ვწიროთო.

გადასახლებაში გებულობს გრიგოლი 1835 წელს მანანა ორბელიანის მაზლის, მშვენიერ ანა ორბელიანის ქმრის, მაიორ ლუარსაბ ორბელიანის გარდაცვალებას. და ღრმად დამწუხრებული ნუგეშის წერილს სწერს ორივეს — მანანასაც და ანასაც. ამ წერილში მეტი ძალით იგრძნობა, რა გულშემატკივარი, გულჩვილი და ერთგული ყოფილა ჩვენი დიდი რომანტიკოსი ნათესავ-მეგობრებისათვის. დავითის და ლუარსაბის სიკვდილმა დაამწარა ჩემი ცხოვრებაო, არწმუნებს, ქვრივებს, რომლებიც, მისივე მოწმობით, ანათებდნენ საქართველოს (დავითი გარდაიცვალა ხუთი წლით ადრე, 1830 წელს).

* * *

1836 წლის 14-15 სექტემბერი ჯარების დათვალიერების დღეები იყო. ფელდმარშალი პასკევიჩი კოკისპირულ წვიმაში შუბლშეკრული შესცქეროდა მწყობრად მიმავალ კოლონებს, რომელთაც „წვიმა კისერში ჩასდიოდათ", ბოლოს მადლობა უთხრა წინამძღოლებს და თავისი გზით წავიდა.

განა დრო არ არის პორუჩიკი გრიგოლიც თავისი გზით წავიდეს? უფრო მძიმე დამნაშავეები უკვე შინ სხედან. გრიგოლიც გაშვებას ითხოვს. თუ გაუშვეს, ხომ კარგი, თუ არადა თავს მაინც არ გაუტეხენ.

თუმცა გრიგოლი უკვე შტაბსკაპიტანია და არა პორუჩიკი. ძლივს ჩხირი კედელს! ილიაც კვალდაკვალ მოსდევს. მასა და მიხაკოს ქაიხოსრო ორბელიანის ვაჟს, ერთდროულად უბოძეს პორუჩიკობა და, სიღარიბე რომ არ უშლიდეს, გრიგოლი ფულს გაუგზავნიდა ჭკვიან ძმას.

სხვა სასიხარულო ამბავიც ხდება ორბელიანთა ოჯახში. დინაბურგის ჰოსპიტალში გებულობს გრიგოლი, რომ ზაქარიას ცოლს პირველი ვაჟი ეყოლა, სანდრიკო, „და ახლა ნახონ ქეთევანის ბერვა"! სამაგიეროდ მელიტონს კიდევ ერთი პატარა ვაჟი უკვდება, ტატოს ძმა. სამეგრელოში კი ლევან დადიანის ქალს თხოულობს გენერალ-ლეიტენანტი ივანე მუხრან-ბატონი, რომელიც ერთ დროს იმავე ლევანის სარძლოს, ეკატერინე ჭავჭავაძის საქმროდ ითვლებოდა, პეტერბურგშიც კი ჩავიდა ალექსანდრესთან, მაგრამ ცივი უარი მიიღო... ასეთია ცხოვრება.

ნათესავ-მეგობართა დარდი მოკლე ლექსში უკვდავჰყო პოეტის დისწულმა.

ლექსში „ძია გრიგოლს" ნიკოლოზ ბარათაშვილი ნაღვლობს პოეტის გადაკარგვას უცხო მხარეში:

ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი,
წაგართო ავის ენისა გესლმან,
სატრფონი მისნი შემოგარენი
გარდახვეწილსა დაგიხშო ეტლმან!

რას ხედავს ამოს ჩრდილოეთში ძია გრიგოლი? აქ მშვენიერი მანდილოსნები ალამაზებენ მის ყაბახს ამოს.

ჯერ კიდევ წინა წელს მოითხოვა შვებულება, მაგრამ „ყოველივე მისი საქმე ჯანჯალია". ოთხი თვის ამაო ლოდინის შემდეგ ავადმყოფს არზა დაუბრუ-

ნეს: თხოვნის შემოტანის დროს ის პორუჩიკი იყო, ახლა კი შტაბსკაპიტანია. ამრიგად, დაწინაურებული, თითქოს სხვა პირი შეიქმნა. დაე, ხელახლა შემოიტანოს თხოვნა, როგორც შტაბსკაპიტანმა, და მერე ვნახოთო, ასეთია ბიუროკრატული ზედაფენის პასუხი.

ჯავრით აღარ იყო პოეტი. ისევ უნდა ჩაებარებინა ნაწილი და ეცადა თვეობით. მხოლოდ 1837 წლის 15 იანვარს მიდის პოლკის შტაბში მეორე არზის მისართმევად, და ამ ცნობით თავდება გადასახლებული პოეტის უკანასკნელი წერილი. მხოლოდ ორი წლისა და ორი თვის შემდეგ გორიდან ილიასადმი მიწერილი ბარათით ახლდება მახვილგონივრული წერილების სერია, რაც მალე ნიაღვარივით დაეშვება დაღისტნის მთებიდან.

მეორე არზამ გაჭრა.

1837 წელს პოეტი შვებულებას იღებს და საქართველოში მოემგზავრება.

ამიერიდან მთელი მისი სიცოცხლე რუსეთის ტახტის ერთგულ, ნებაყოფლობით სამსახურს ეძღვნება.

## ჩაშლილი რომანი

რა ჩემებრ გული კლდოვანი მიიღებს
ეშყის ბეჭედსა,
დრო იმას ველარ შეჰმუსრავს, თუ არ
შეჰმუსრავს თვით კლდესა.
**„გამოსალმება“.**

რომანი? არავითარი რომანი არ ყოფილაო, ამისი თქმის უფლება არა გვაქვს, მაგრამ გრიგოლ ორბელიანის თავზე საქორწინო გვირგვინი არ დადგმულა. გრიგოლი მარტოა, როგორც ქანდაკი. სხვებს აქორწინებს, ურჩევს, ამზითვებს, არიგებს, თვითონ კი თანამეცხედრეზე თითქოს არც ფიქრობს. თორემ საქართველოში განა სწორედ მისი ჭაბუკობის ჟამს გაწყდნენ გასათხოვარი ქალები? 54 წლის გრიგოლი დიმიტრი ჯორჯაძეს სწერს: მამუკას ქალი გვესტუმრა, სახით მშვენიერი, წელით სარო... „შე წყეულო, ეს მაინც შეირთეო!“ — ურჩევს მეგობარს, თვითონ? ათასში ერთხელ თუ გაიელვებს რომელიმე უცნობი რუსი ქალის სახელი, შემთხვევით გაცნობილი და უმნიშვნელო, თორემ ნამდვილი რომანი არცა ჰქონია. სატრფოსთან მიწერილ წერილებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

თვით მის საკუთარ მოსამსახურე გოგოს სხვა ქუფლება. როცა პოეტი გონს მოდის, გვიანღაა, და მხოლოდ ჯავრის გადასაყოლებლად სწერს ტაბახმელიდან ჩვეული ირონიით „ანანურის დედოფალს“ — ბაბალე საგინაშვილს, 1858 წლის 11 ივლისს.

„ამ თქვენს იასამანს როგორღაც მუცელი უსივდება. მე აქამდის წყალმანკი მეგონა, მაგრამ სხვა რაღაც დამართვია; ათასი რომ გაუწყრე და გაჯავრდე, ბუნებითს ჰსჯულს ვერ ვინ გადავა, ვერ ვინ ასცდება და შენის გაჯავრებით ეს აღარ გაქალწულდება. დამიჯერე, ისევ გაიცინ-გაიხარე! — ვაი, რომ სხვამ დამასწრო ამის კრაოტზე მიბმა; რაღას უშველი! შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი“.

ამბობენ... გრიგოლ ორბელიანის „ბერად აღკვეცის“ მიზეზი დედის აღთქმა კი არა, ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული იყოო... ნინო უნდა შეერთო და რაკი გრიბოედოვმა დაასწრო, აღთქმა დადო, ცოლს აღარ შევირთავ, რადგან ასე ლამაზს ვეღარ ვიპოვნიო.

ჭაბუკმა პოეტმა თავისი განცდები საუცხოოდ გამოხატა ესკიზში „ან... დმი“.

ამ აღსარებაში გრიგოლ ორბელიანის მსჯელობა სიყვარულსა და მეგობრობაზე, მისი „რვა წლის“ ამაო ოხვრაზე და „წარსულისა ბედნიერებისა“ გაქრობაზე. ამ ესკიზის ადრესატად ერთმა მკვლევარმა ნინო ჭავჭავაძე მიიჩნია, მერე კი ცნობილი გახდა, რომ ესკიზი მიმართული ყოფილა იმავე ანტონ ორბელიანისადმი, რომელსაც პოეტმა ცნობილი ლექსი უძღვნა.

გრიგოლის მეორე მუზა ივანე ორბელიანის ასული სოფიოა, იგი მშობლებმა აკვანშივე დაწინდეს გრიგოლისათვის. მაგრამ, ამ სასიყვარულო ამბავს დაგვირგვინება არ ეწერა. სოფიო ძალზე სუსტი აღმოჩნდა, რომ ჭეშმარიტი სიყვარულის ტვირთი ეზიდნა და „უძლურთ გულთ ტრფობა“ მაწრაფლწარმავალი გამოდგა.

1835 წელს გრიგოლისადმი გაგზავნილ ბარათში მანანა ორბელიანი წერს: „სასიამოვნო შენი სოფიკო აქ არის და ვნახე: კიდეც დაველაპარაკეთ მე და ეკატერინე შენზედ. ის უარს არ ამბობს. კიდეც შევირთამო, ოღონდ ვნახოთო. აბა სადა ხარ, ჩემო სიცოცხლე. რომ ერთ საათს ჯვარს გადაეწერდით და იქნებოდი ბედნიერი. მაგრამ „არ საქნელი საქმე არ იქნების“ და აკი არც მოხდა.

პოეტი მზად იყო გულში ჩაემარხა სატრფოს სიშორით გამოწვეული ნაღველი, დარდი და კაეშანი: ოღონდ კი სატრფოს ერთგულება ეხილა. იგი მზად იყო სატრფოს განშორებით გამოწვეული გულისმომწყვლელი სევდა უდრტვინველად გადეტანა, თუკა მისთვის „შორით დაგვის და ოხვრის“ ფილოსოფია უცხო რამ ხილი გახლდათ. იგი მზად იყო სიყვარულშიაც შემომწყრალ ბედს, გარს მოჯარულ უბედურებასთან ერთად შერკინებოდა, მაგრამ მარტოდ შთე-

ნილმა სოფიომ უმუხთლა და თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა კავკასიის მთავარმართებლის ვიღაც მოხელე ბეზაკს.

1835 წლიდან გრიგოლ ორბელიანი საერთოდ წყვეტს სოფიოზე ლირიკულ ოხვრას და კვლავ ჭაბუკობისდროინდელ ცთომილ ვარსკვლავს აედევნება.

ვარდი ხარ? — არა!
ზამბახი? — არა!
მაგრამ შენ ლაწვთზედ აღყვავებული
არიან ორნივ შეზავებულნი.

მართალია, აღმოსავლური ყაიდის ეს ლექსი მხატვრული თვალსაზრისით ძალიან კარგია, მაგრამ ნამდვილი სიყვარულის ჰიმნად ვერ ჩაითვლება. არც იყო მოსალოდნელი ღრმა სიყვარული სოფიოსადმი, რადგან ჭეშმარიტი გრძნობა გრიგოლ ორბელიანის გულს ერთხელ დაეუფლა და მისი გულიცა და გონებაც ალექსანდრე ჭავჭავაძის ტურფა ასულმა მიიტაცა. 1835 წლის 13 დეკემბერს ნინო ჭავჭავაძისადმი შენამსჭვალები პოეტი წერს:

ჰე, საყვარელო, ვის მიერ ძვირფასად მიღირს
კვლად სიცოცხლე...
მიკვირს, ესდენ სიყვარულსა ვითარ იპყრობს
გული ერთი?

გრ. ორბელიანი არ ყოფილა გრძნობის ღრმა მორევში ჩათრეული თავდავიწყებული მიჯნური. მისთვის სიყვარული სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი მაინც და მაინც არც არასოდეს ყოფილა. თვით სოფიო ორბელიანისა და გვიან გრაფის ქალ ოპერმანისადმი მიძღვნილ ლექსებში ნაცნობი ეპითეტები, ფილოსოფიური განზოგადებანი და რიტორიკა მეტია, ვიდრე ბუნებრივი გრძნობა, და თუ 1835 წელს სოფიოს „წელს კვიპაროზს“ უმღერის, 1840 წელს იგივე განცდა გადააქვს ოპერმანის მეუღლის „წელკვიპაროსზე“.

იცის პოეტმა. „უსიხარულოდ, უსიყვარულოდ რა სანატრელ არს სიმრავლე დღეთა!“ იცის, ჭმუნვის ცრემლი არ შეაშრება ადამიანს, „თუ სიყვარული, ზეგარდმო მადლი, ღვთის კურთხევა არ მოევლინა“. ეს აზრი ქონავს მისი შემოქმედების ერთ-ერთ მარგალიტშიც. „სადღეგრძელო“ ჰიმნია არა მარტო გმირობისა, არამედ აგრეთვე სიყვარულისა, რაც ადამიანს აღამაღლებს, ღმერთს უსწორებს. ტკბობა — ესაა უკვდავება, რასაც დასასრული არ ექნება.

ძმანო, ივიწყეთ მცირეს ჟამს მტერი, ომი და
დიდება,
მოიგონეთ სიყვარული, რომლით სიცოცხლე
გვიტკბება,
რომლის შუქი აღგვამაღლებს, რომლით სული
გვინათდება.
რომლით კაცი მშვენიერობს, მაშინ თვით
ღმერთს ემსგავსება.

გვიანაც ამ აზრისაა.

სულს უკვდავება აღარა რჩება, თუ მასში ჩაქრა სიყვარული, წყარო უკვდავებისა.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გრიგოლ ორბელიანს ბრძოლის ველზე გონება მიუძღვის, პოეზიაში — გული. სიყვარულსა და ცხოვრებაში პოეტი-სარდალი მუდამ გრძნობას აძლევს უპირატესობას.

უცხო ქვეყნიდან სწერს 1835 წელს სალომეს, ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლეს: „ახ! ჩემი სოფიკო სად არის, ნეტავ ვახსოვარ თუ შარშანდელს თოვლსავით არღა ვმჰყოფობ იმისთვის? — ბედს უყურეთ, მე ვარ დასავლეთს, ის აღმოსავლეთს, როდისღა უნდა შევიყარნეთ!“

იმავე წლის 25 ივლისს წინანდლის ვარდს ეკატერინეს სწერს წერილს და სოფიო კი „აგონდება“.

„ახ! ჩემი სოფიკო მომაგონდა, სად არის? როდის უნდა ვნახო და ხილვის დროს მიცნობს თუ ლორნეტით შემომხედავს, ვითარცა უცნობსა. გეთაყვანეთ მომწერეთ, რასა გწერს და უფრო უმჯობესი იქნება, რომ გამომიგზავნოთ იმის წიგნი“.

მართლაც, უმჯობესი იქნებოდა და ბუნებრივიც, რომ მიჯნურებს ეწერათ ერთიმეორისათვის წერილები, მაგრამ ეს არ მოხდა, არავითარი დამაკავშირებელი ძაფი არ დარჩა და აკვანში დაწყებული რომანი თანდათან ჩაიფერფლა.

იმავე წლის 16 აგვისტოს პოეტი უკვე მარიამ დედოფალს შესჩივის:

„მე კი, დედოფალო, რიყეზე დავრჩი,—ჩემი სოფიკო თავრიზშია. მე რიღაში, როდის უნდა შევხვდეთ, თმებიც ყოველდღე მითეთრდება უმეტეს და უმეტეს. ვაი! ვაი! ესე არა მცირედ მაწუხებს. —ძნელია, დედოფალო, სახით და გულით უდროოდ დაბერება.— და ამისათვის მეშინიან, ვა თუ ბოლოს ქოქოლა მომაყაროს და მითხრას: მეხი კი დაგეცაო!“

ეს წინასწარმეტყველური სიტყვები მართლაც ახდება. ეტყობა, გრიგოლი არც ისე გულგრილი ყოფილა სოფიოს მიმართ, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

კეკელა სოფიოს პენელოპეს ერთგულება და მოთმინება არ აღმოაჩნდა, რომ თავის ოდისევსს დალოდებოდა. იგი კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს წევრს, ვინმე ნიკოლოზ ბეზაკს ულიმოდა და სწორედ იგი გააბედნიერა. მოულოდნელი მოაშიკე პოეტი კი თან თავის სოფიკოზე ოცნებობდა და თან სიამოვნებით იგონებდა „დღესა მას, როდესაც ეკატერინა ქუდჩაკეცილი დაღისტნულ ლეკსავით ლეკურს თამაშობდა, თან იმღერიდა: „ბროლის ფიცარი, აფიცარი, გულს დაგეკონოს“.

1835 წლის 28 დეკემბერს გრიგოლი მარიამ დედოფალს სწერს:

„ჩემი სოფიკო გაზაფხულს წამოვა პეტერბურღს თავისი დედით და, მგონია, მამისნაცვლითა და მაშინ იხილავთ. თუ რარიგად გააბრწყინვალებს პეტერბურღს თავის სილამაზით და მერცხლის თვალებით და ჩემის ბედით, მეცა ვიქნები მხოლოდ

ხუთასს ვერსზე დაახლოვებული. მაგრამ მეშინიან კი ძალიან, ვაი თუ მანდ გამიფრინდეს საუკუნოდ და ამდენის წლის იმედები ერთს წამს გამიქარვოს. წყეულნი ღვარდიის აფიცრები ამ შემთხვევაში ძალიან საშიშნი არიან“.

ავი სიზმარივით აუხდა გრიგოლს თავისი ნათქვამი. მერცხლისთვალა სოფიკო გაუფრინდა, დიდი ხნის ნალოლიავები იმედი, მართლაც, განუქარდა და დაემსხვრა. ვინ გაზომავდა ვნებული პოეტის ტანჯვას! ან თუნდაც გაეზომა ვინმეს, ასეთი უკურნებელი სენის მალამოს ვინ გამონახავდა.

იმედის სხივი ჩაუქრა, მაგრამ მიტოვებული და ობლად შთენილი პოეტი თავს ასე ინუგეშებს:

„არ შევინანებ,
ოღონდ კი შენს გულს
ზოგჯერ ვახსოვდე...

მაგრამ 1835 წლიდან სოფიოს სახელი თვითონვე მისცა დავიწყების მდინარეს.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ დიდებით მოსილი თავადის, მეფეთა საგვარეულო შტოს შთამომავლის, გენერლისა და სარდლის, სიამეთა დიდი ტრფიალისა და სიყვარულის უზენაეს მადლად გამომცხადებლის ხანგრძლივი ცხოვრების ამბავში ვერ აღმოაჩენთ რაიმე ისეთ სასიყვარულო თავგადასავალს, რომელსაც შესაძლებელი იქნება ჭეშმარიტი გრძნობა, სახმილივით წვა, ქალისადმი ღრმად შენამსჭვალები გულის კვნესა, ნამდვილი მიჯნურობა და სიყვარულით ანთებული ვაჟკაცის აღტაცება ეწოდოს. გ. ორბელიანმა, ეტყობა, გულში ჩაიკლა საკუთარი განცდები, იდუმალების ბურუსში გახვია ნამდვილი გრძნობა, არც თანამედროვეთ ანდო გულისნადები, არც ეტრატზე გადაიტანა იგი, რომ შთამომავლობას მაინც შეეტყო რა ცეცხლი და გენია სწვავდა ამ ბუმბერაზული შემართებისა და ღრმა პოეტური სულის ადამიანს. აკვანშივე დაწინდული სოფიო, ნინო და ეკატერინე, მათდამი მოკრძალებულად გამჟღავნებული ტრფობა, ჩუმი ოხვრა და კაეშანი, აი, რა შეიძლება შეიცნოთ მისი სატრფიალო ლირიკისა და წერილების ღრმად შესწავლის შედეგად. ამ დიდებული პოეტის ძალუმი სატრფიალო სტრიქონები, თითქოს უმისამართოა და მისასადაგებელი ტრფობის საგანი არ გააჩნია.

ჩვენი ღრმა რწმენით, ქართველი პოეტი შეგნებულად დუმდა იმ შემთხვევებზე, რომელთაც ევროპელი რომანად აქცევდა. ქალისადმი რაინდული მოწიწებით აღსავსე, საყვარელ ქალთა სახელების გახმიანებაში ასე ძუნწი და თავშეკავებული პოეტი ნამდვილად გაურბის ამ საგანზე ლაპარაკს. საერთოდ, რატომ არა გვაქვს გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებაში ნამდვილი რომანი? ამ მოვლენის ახსნას არც შევეცდებით და არც არის შესაძლებელი. ადამიანი რთული ფენომენია და იმდენადვე იდუმალი, რამდენადაც ინდივიდუალური. სიყვარულიც ყველამ თავისებური და მიუწვდომელი იცის.

მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ პოეტს არ ჰქონოდა ფარული თუ აშკარა, უმნიშვნელო თუ მნიშვნელოვანი სასიყვარულო გატაცებანი და გრძნობის მოზღვავებანიც კი.



პირველ რიგში აქ სოფიო და ნინო უნდა დავასახელოთ. სოფიოსთან რომანი არ არის გვიანდელი გაცნობისა და მოწონების შედეგი. აკვნიდანვე დაწინდულ ქალთან, რომელიც სხვას მისთხოვდა, არც იყო მოსალოდნელი ღრმა გრძნობა, მაგრამ პოეტი უდავოდ პატივსა სცემს დანიშნულს, უძღვნის ლექსებს, მოიკითხავს და ესიყვარულება წერილებში...

სიყვარული გრიგოლ ორბელიანს როგორღაც მიუწვდომელ იდეალად სურს დარჩეს და ამ სარბიელზე თავის წარმატებების თაობაზე დუმს. ასე მოხდა 1840 წელსაც გორში, სადაც გრენადერთა პოლკის უფროსის ცოლი მოეწონა. ამ ქალის ღირსებებით მოხიბლულმა შექმნა ლექსი „ალბომში ღრაფინია ოპერმანისას“.

რაც შეეხება სოფიოსთან ურთიერთობას, ამ შემთხვევაში პოეტმა გაუძლო სასტიკ გამოცდას, სიშორემ ვერ გაანელა მისი ტრფობის ცეცხლი, სიზმარეულ ხილვაში გარდასული ვარდის ლაწვები ელანდება, იგონებს ნეტარების წამს, როცა „გრძნობით დამთვრალთ“, სულით შედუღებულთ აღარაფერი ახსოვდათ, სიყვარულის მეტი. მაგრამ წავიდა „სამოთხის წამი“, პოეტი უცხო მხარეშია, სოფიოც უფრო მიწიერი არსება გამოდგა, ვიდრე ლექსებში ჩანდა, ვინმე ბეზაკმა დაისაკუთრა ის, ვისაც ბედმა აკვანშივე გაწუჩინა მუზების სამეფოში ნავარდი.

შვებულების უაზრო დაყოვნებამ სამუდამოდ გაუმრუდა გრიგოლს ბედი.

„შენი საყვარელი სოფიკო გაგითხოვდა!“ — ატყობინებს მანანა და იქვე ცდილობს ანუგეშოს: შენ უკეთესის ღირსი ხარ, მე და ნინო გრიბოედოვისას შენთვის გულბაათის ძმისწული ლიზინკა გვყავსო. თუ მოგეწონოს, მოგვწერე, დაგიცდიანო.

ზაქარია უფრო პრაქტიკულ წინადადებებს აძლევს: ნუ ატირდები, თორემ ფულს არ გამოგიგზავნიო, და ეკითხება: უკანვე ხომ არ გამოვართვათ სოფიოს საჩუქრები, როგორც წესია და კანონიო?

უყვარდა თუ არ უყვარდა, მაინც მამაკაცისათვის მძიმე ლახვარი უნდა ყოფილიყო დანიშნული, დაწინდული ქალის გათხოვება. თავის უნუგეშო მდგომარეობას მუდამ გულახდილი გრიგოლი არც ფარავს. 1836 წლის 1 ოქტომბერს მარიამ დედოფალს სწერს:

„ვაპირებ საქართველოში წასვლას, მაგრამ სოფიო გამითხოვდა, ბეზაკმა შეირთო, რომელიც არის პრავიტელი კანცელარიისა, რაი ვჰყო? მეც ვანუგეშებ თავსა ჩემსა მით, რომ არა მარტო მე ვარ ამ სოფელში მოტყუებული“.

მოტყუებული, მიტოვებული პოეტი „სახით და გულით უდროოდ დაბერებაზე“ იწყებს ლაპარაკს და მეგობრებს არწმუნებს: აქა-იქ თმაში ჭაღარაც გამომერია, ვაგინებ და ვიგლეჯო.

მთელი მისი ახალგაზრდობა და სიჭარმაგე ისე წავიდა, მხოლოდ აპირებდა ვინმეს შერთვას: ჯერ სოფიოს შერთვას აპირებდა, მერე ნინო უნდოდა, გრიბოედოვის ქვრივი, ხოლო მისი დის ეკატერინეს შერთვაზე ადრევე ოცნებობდა; შემდეგ ამავე ეკატე-

რინეს უნდოდა მისთვის გაერიგებინა ნიკოლოზ დადიანის ქალი, რომელიც გრიგოლივით სამუდამოდ კენტად დარჩა (ჩაიშალა დადიანის ტურფა ასულის ქორწინება აფხაზეთის მთავარ მიხეილ შარვაშიძესთანაც. ამ უკანასკნელმა გიორგი დადიანის ქალი ალექსანდრა შეირთო).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შამილი

1837 წლიდან 1842 წლამდე კავკასიის ბედს გენერალ-ადიუტანტი, ინფანტერიის გენერალი ევგენი გოლოვინი განაგებდა.

ამ წლებში ორბელიანი საქართველოში იმყოფება, ისვენებს და „ლეკებზე შურის საძიებლად“ ემზადება. ერთი წლის შესვენების შემდეგ შტაბსკაპიტანი გ. ორბელიანი (1838 წ. 28 აგვისტოს) გორში მდგარ „საქართველოს გრენადრეთა პოლკში“ იწყებს სამსახურს. აქ მან ხუთი წელი დაჰყო. აქედან მიიმართება მისი გზა დაღისტნისაკენ, სადაც იმამი შამილი არა მარტო შეუპოვრად ებრძვის რუსეთის ძლევამოსილ მხედრობას, არამედ შეტევაზეც გადადის და სასტიკად ამარცხებს ბრძოლებში სახელმოხვეჭილ რუს გენერლებს.

რუსეთის ტახტის ერთგულ ქვეშევრდომ ორბელიანს აღარ აღელვებდა დარღვევა ქართველ თავადთა ფორმალური თანასწორობისა რუსეთის თავადებთან, რაც ფიქსირებული იყო ერეკლესა და ეკატერინეს შორის დადებულ შეთანხმებაში, რასაც სიტყვიერად აღიარებდა ბარიატინსკი და რომელსაც დროდადრო დიდ მოხელეებს დიმიტრი ყიფიანი შეახსენებდა ხოლმე.

1839 წელს გრიგოლი უკვე დაღისტანშია, იგი სამურის ოლქში იბრძვის გენერალ-მაიორ ანდრია სიმბორსკის რაზმში, რომლის მიზანი იყო დივერსიის მოხდენა შექესა და რუთულის მხარეებს შორის და შამილის ჯარებისაგან სამურის გაწმენდა. იმპერატორ ნიკოლოზ პირველის ბრძანებით კავკასიის ჯარებს ამ დროისათვის უნდა აეღოთ შამილის რეზიდენცია ახულგო. სწორედ ამ მიზნით მოუყარა თავი რუსთა მხედრობამ გრაბეს, რაევსკისა და სიმბორსკის ჯარებს.

სიმბორსკი შამილის ჯარებს თავს შექეს მხრიდან ესხმოდა და მის განკარგულებაში მყოფი მცირე რაზმით მტერს ქანცავდა. მთავარი ძალები კი შამილს ყუბიდან უტევდნენ.

აქ, სამურის გასწვრივ ბრძოლაში ისახელა პირველად თავი ჩვენმა პოეტმა, რომელმაც გვიან დაღისტანი შეაზანზარა.

სიმბორსკის გრიგოლი ადრევე იცნობდა. „ჩინებულიაო“, ათქმევინა თურმე ერთხელ გენერალს, რომელსაც ძნელად თუ დასცდებოდა ქების სიტყვა.

როგორც შემდგომი წერილებიდან ჩანს, ეს სიმბორსკი ვერც ნიჭით ყოფილა გამორჩეული, ვერც ხასიათით და ვერც ზნეობით. მას რომელიღაც უნტეროფიცერისთვის ცოლი წაურთმევია. ეს ამბავი ჩერნიშოვის ყურამდე მისულა და საქმე მისი მოხსნით დამთავრებულა. 1843 წელს მას ნეიდჰარდტის წყრომაც დაუმსახურებია..

ჯერ კი გრიგოლის უფროსია და თავის ნებაზე დაარბენინებს.

აქ მოკლედ უნდა გავიხსენოთ საქმის ვითარება დაღისტანში, სადაც ათეული წლების მანძილზე წარმოებული კავკასიური ომების შუაგულში მთელი 25 წლის მანძილზე იდგა ორბელიანი, როგორც მეფის რეჟიმის დამცველი.

ჯერ კიდევ სტრაბონი ახსენებს ლეკებს (leghi), ამ მამაცსა და შეუპოვარ, „კაცთა მოდგმის ოჯახისაგან მოწყვეტილ ხალხს“, რომელიც კავკასიის მთებში განუდევნიათ ან ბიბლიურ ბუმბერაზებს, ან სახალხო დარდს, ან კაცთა ტომის შემმუსვრელ ეპიდემიას თუ თავისუფლებისაკენ მისწრაფებას“.[1]

პლატონ იოსელიანი, რომელმაც მშვენიერი რუსული ხატოვანი ენით დაწერილი წიგნი უძღვნა თავის მოგზაურობას დაღისტანში (1861 წელს), ამ დაუმორჩილებელ მხარეს „აზიის შვეიცარიას“ ეძახის, და მოითხოვს „კავკასიის ილიადის“ გმირთა უკვდავყოფას.

მართლაც, ამ ომების ისტორიას მრავალი გმირის სახელი შემოუნახავს.

დაღისტანი მამაც და ქედუხრელ ვაჟკაცთა სამშობლოა.

მას არაერთხელ შემმიან თურქები, სპარსელები, მაგრამ სამშობლოს დამცველთ მომხდურნი უძლევიათ და განუდევნიათ. თვით მძვინვარე ნადირ-შაჰი დაამარცხეს 1734—41 წლებში და ყიზილბაშებს კუდით ქვა ასროლინეს. რუსებთან ურთიერთობა ჯერ კიდევ ივანე მესამის დროს ჰქონიათ. 1772 წელს დერბენდში პატივით მიიღეს პეტრე I... შემდეგ მდგომარეობა გამწვავდა. მართალია, 1813 წელს რუსეთთან დადებული გულისტანის ხელშეკრულების ძალით დაღისტანი რუსეთს შეუერთდა, მაგრამ ინგლისი და თურქეთი ვერ ურიგდებოდნენ კავკასიის დაკარგვას. ვერც მთის ხალხი ურიგდებოდა მეფის მოხელეთა ახალ წესებს. დაღისტანში წლების მანძილზე ღვივდებოდა მიურიდიზმის საშიში ცეცხლი. ბოლოს ის აგიზგიზდა ერთიან ხანძრად, რაც მთელს დაღისტანს მოედო. რუსებს ადგილობრივმა მკვიდრებმა გამოუცხადეს ჰაზავათი — საღმრთო ომი. დაღისტანსა და ჩაჩნეთს სათავეში ჩაუდგნენ იმამები: ყაზი-მუჰამედი (1830—1832), ჰამზათ-ბეგი (1832-1834), ბოლოს კი შამილი (1834—1859), რომელიც მთელი 25 წლის განმავლობაში ებრძოდა რუსეთის

[1] Пл. Иоселиани. Путевые записки по Дагестану в 1861 г., т. 1862, 9.

ძლევამოსილ მხედრობას, თვითონვე გადადიოდა მათ წინააღმდეგ შეტევაზე და სახელგანთქმულ გენერლებს მთებიდან კუდამოძუებულთ მოერეკებოდა.

ჩვენს სასიქადულო პოეტს ბედმა არგუნა ხვედრი, რაც იმ დროს გმირობისა და თავის გამოჩენის მთავარ იმედად იყო ცნობილი — შამილის წინააღმდეგ ბრძოლა.

ადრე, როცა ახალგაზრდა გრიგოლ ორბელიანი ჯერ კიდევ ნოვგოროდს მიემგზავრებოდა, ლეკების ბრძოლას რუსების წინააღმდეგ სათავეში ედგა დაღისტნის პირველი იმამი და შეუპოვარი ფანატიკოსი ყაზი-მოლა. ის გიმრში დაიბადა და მრავალი წარმატებით ჩატარებული და მარცხიანი ბრძოლის შემდეგ გიმრშივე მოკლეს 1832 წელს.

1827—1829 წლებში ყაზი-მოლამ ენერგიული მოქმედებით შეკრა დაღისტნის დიდი ნაწილი, სამოთხის ჩვენებათა ნისლით დაბურა ფანატიკოს მთიელთა გონება, გააერთიანა ავარიისა და ყოისუს საზოგადოებანი, ტარკის საშამხლოს დიდი ნაწილი და გამოაცხადა ჰაზავათი — საღვთო ომი რუსების წინააღმდეგ. გონიერმა იმამმა იცოდა, რომ ვიდრე ცენტრალურ დაღისტანს — ავარიას და მის მთავარ ქალაქ ხუნძახს არ დაეპატრონებოდა, შთამაგონებელ მბრძანებლად არავინ ჩათვლიდა. ამიტომ თავისი მხედრობა (ექვსი ათასი კაცი) ხუნძახის სახანოში გაბატონებული ხანის ქალის პახუ-ბიქეს წინააღმდეგ დასძრა.

1830 წლის 12 თებერვალს ყაზი-მოლამ ხუნძახს შეუტია, მისი ლაშქრის ერთ ნახევარს მომავალი იმამი ჰამზათ-ბეგი მიუძღოდა, მეორეს კი — მომავალი მესამე იმამი — შამილი. იერიშს წარმატება არ მოჰყოლია.

ენამჭევრ ყაზი-მოლაზე ამბობდნენ: ერთი ამოსუნთქვით აღვიძებდა ადამიანის გულში ქარიშხალსო, მაგრამ ბრძოლაში ბედი არა ჰქონდა.

1831 წელს, მრავალი მარცხის შემდეგ, პანკრატიევის მიერ შევიწროვებული, ჩირქეიდან და მერე გიმრიდან განდევნილი ყაზი-მოლა გამაგრდა ჩუმკესენტის საიმედო ციხეში. აქ 1 დეკემბერს მამაცმა პოლკოვნიკმა მიკლაშევსკიმ შეუტია და დაამარცხა. ბრძოლაში დაეცა მიკლაშევსკი (ის შეცვალა კლუკი-ფონ-კლუგენაუმ). ყაზი-მოლაც მკვდარი ეგონათ, მაგრამ „ალაჰმა გააცოცხლა“ და ახლა ელსუეტიდან შეუტია რუსებს, მაგრამ გიმრში განდევნეს. აქ 17 ოქტომბერს ბრძოლაში დაიღუპა.

1834 წელს ჰამზათ-ბეგი იმდენად გაძლიერდა, რომ ავარიაში შეიჭრა და იგი თითქმის მთლიანად დაიპყრო. საგულისხმოა, რომ მან ავარიის მბრძანებელ ხანის ქალზე პახუ-ბიქეზე არასაკადრისი ხმები გაავრცელა. ჰამზათ-ბეგმა ხუნძახის აღება მაინც ვერ შესძლო, არც იარაღმა გაჭრა და არც მუქარამ. მაშინ ჰამზათ-ბეგმა ვერაგულად გამოიტყუა ხანის ქალის შვილები და დაახოცვინა. მერე კი პახუ-ბიქეც იგდო ხელთ და სიკვდილით დასაჯა. ასე გამაგრდა ავარიაში ჰამზათ-ბეგი და დაიწყო ყუბასა და დერბენდში სალაშქროდ მზადება.

მას შემდეგ, რაც მეჩეთში სალოცავად მისული ხანთა მქლეტელი ჰამზათ-ბეგი კარს უკან მიმალულმა შეთქმულებმა დამბაჩებით განგმირეს, არენაზე გამოდის დაღისტნის მესამე იმამი, დიდი მებრძოლი და მოაზროვნე შამილი, რომელიც მთელი 25 წელი განაგებს დაღისტანს (ამდენივე წელი გაატარა დაღისტნის ომში მისმა დიდმა მოწინააღმდეგემ — გრიგოლ ორბელიანმა).

1832 წელს ყაზი-მოლას და შამილს გიმრში ალყა შემოარტყა ბარონმა როზენმა, და ხუნძახის მარცხს უარესი დაემატა: ყაზი-მოლა ხიშტებზე ააგეს, შამილი მძიმედ დაჭრეს, გიმრი აიღეს და დააქციეს.

ბრძოლაში დაღუპული ყაზი-მოლას ნაცვლად თავი იმამად გამოაცხადა ჰამზათ-ბეგმა. შამილი ისევ ჩრდილში დარჩა და ისევ სხვის ბრძანებებს ასრულებდა, ვიდრე 1834 წლის 7 თუ 19 სექტემბერს მეორე იმამიც იმ ქვეყნად არ გაისტუმრეს.

ახლა კი დადგა შამილის დრო.

იგი დაიბადა ავარიაში, სოფელ გიმრში 1797 თუ 1798 წელს. პირველი მისი მასწავლებელი, ისტორიკოს ესაძის თქმით, იყო ბუნება და ყაზი-მოლა, სულ ოთხი წლით მასზე უფროსი და მისი განუყრელი მეგობარი.

შამილი არაბულად „ყოვლისმომცველია“. მომავალი დიდი იმამი, ყაზი-მოლას საყვარელი მოწაფე, თორმეტი წლისა შევიდა სკოლაში, ღრმად შეისწავლა არაბული გრამატიკა, ლოგიკა, რიტორიკა. 27 წლისა უკვე ისმენდა ჯემალედინ ყაზი ყუმუხელის მოძღვრებას. ღრმა და პატივმოყვარე შამილი მომავალი იმამის ყაზი-მოლას ხელში სწავლობს იმ ხელოვნებას, რაც შემდეგ ძალზე გამოადგა.

შამილი თავისი მშობლების ერთადერთი ვაჟი იყო (ერთი და ჰყავდა). პირველი მისი სახელია ალი. სუნიტებშიც და შიიტებშიც ეს სახელი დიდი პატივით სარგებლობს, აღმოსავლელ მეცნიერთა ნახევარი ხომ ამ სახელითაა ცნობილი!

როცა იგი შეუძლოდ შეიქნა და ვერაფერმა წამალმა ვერ უშველა, აღმოსავლური ადათის თანახმად, სახელი გამოუცვალეს, შამილი უწოდეს და მთელ ქვეყნიერებას მოჰფინეს ეს სახელი, რაც უწინ არავის სმენია. გვიან, როცა ბიოგრაფმა ჰკითხა, გიშველა თუ არა სახელის გამოცვლამო, შამილმა საღი პასუხი მისცა: „მალე კი მოვრჩი, ოღონდ არ ვიცი, სახელმა მიშველა თუ სხვა რამემო.“

შამილის სიმარჯვე საარაკო იყო. „თორმეტი წლისა ხტებოდა თოკზე, რაც მასზე მაღალ ორ მთიელს ეჭირა ზეაწეულ ხელებში. ხტებოდა თორმეტსაჟენიან თხრილებზე და გვერდით ფეხზე მდგარი კაცის თავზე. არაჩვეულებრივ ღონიერი და მამაცი იყო. ვერავინ დაეწეოდა სირბილში; ვერავინ მოერეოდა ჭიდაობაში. მისი სხეული იყო მოქნილი, როგორც ყმაწვილი ჯამბაზისა... ზამთარ-ზაფხულ ხმალ-ხანჯლით შეიარაღებული, ფეხშიშველა და მკერდ-გაღეღილი დადიოდა“.[1]

ყაზი-მუჰამედის (ყაზი-მოლას) სიკვდილის დღეს

---

[1] М. Н. Чигагова, Шамиль на Кавказе и в России, СПБ, 1889, 13.

კოშკში შემწყვდეულ მის მოწაფესაც იგივე ბედი ელოდა. მაგრამ შამილმა სიმამაცის სასწაული მოახდინა.

შესანიშნავი მოფარიკავე, მსროლელი, ღონიერი, შეუდრეკელი ახალგაზრდა ვაჟკაცი იმ დღეს უქუდოდ გამოვარდა ალყაშემორტყმული კოშკიდან, ელვის სისწრაფით გაარღვია ალყა და გაიქცა. ასობით ადამიანი სახტად დატოვა, მოახლოვებულ მდევარს ხმალი აჰკრა მარცხენა ხელით (შამილი ცაცია იყო) და არავინ გაიკარა.

ბრძოლის ქარცეცხლში მოხდა შამილის სამხედრო ნათლობა. როცა პირველ იმამს ემსახურებოდა, პირველად სასწაულით გადაურჩა სიკვდილს, დაუსხლტა ხუნძახელებს და ყაზი-მუჰამედისკენ გაეშურა, გზაში ხელთ ჩაიგდეს გუმბათელებმა, რომელნიც ავარიის ხანების მხარეზე გადავიდნენ, მას ჩალმა მოხადეს და უმოწყალო ცემა დაუწყეს. მაგრამ მალე რამდენიმე მთიელი გამოესარჩლა და მომავალი იმამი ისევ სასწაულებრივად გადარჩა.

როგორც კი ჰამზათის სიკვდილი გაიგო, შამილმა ორასი მიურიდი იახლა, ახალ გოცატელს დაეცა, ხელთ იგდო ავართა უკანასკნელი ხანი ბულაჩი, მოაკვლევინა იგი და თავი იმამად გამოაცხადა.

ყოისუს უფსკრულში გადასროლილი ბულაჩ-ხანის გვამი მდინარის ფსკერამდე არც კი იქნებოდა ჩასული, როცა პოლკოვნიკი კლუგენაუ გოცატელისაკენ დაიძრა, დაამარცხა იმამი და გოცატელი მიწასთან გაასწორა.

შამილი გაიქცა. ავარიის მმართველად დაინიშნა ასლან-ხან ყაზი-ყუმუხელი.

შამილის ავტორიტეტი ლეკთა შორის მაინც იზრდებოდა. გენერალ-მაიორმა ფეზემ შამილის დათრგუნვა იკისრა. 1837 წლის 28 მაისს ახმედ-ხან მეხთულელის თხოვნით ფეზე ხუნძახში შევიდა. ავარიის ხანებს ეშინოდათ შამილის გაძლიერებისა და რუსებს უთანხმდებოდნენ.

შამილი ტილიტლში იყო გამაგრებული, სხვადასხვა მხრიდან ესხმოდა თავს რუსებს და ამით აშორებდა მათს ყურადღებას აულ აშილტას კლდოვან მწვერვალზე აღმართულ მიუვალ სიმაგრეს, სადაც ჰყავდა ოჯახი და გადამალული ჰქონდა მთელი სიმდიდრე. ფეზე დაჟინებით უტევდა არწივთა ბუდეს. 9 ივნისს ბუჭყიევმა იერიშით აიღო აშილტა. ორი ათასი ქედმოუხრელი მიურიდი დაწვა ბრძოლის ველზე. მალე ახულგოც აიღეს და დაანგრიეს. ფეზე ტილიტლისაკენ დაიძრა და იქაც იგივე ხოცვა-ჟლეტა განმეორდა. შამილმა ქედი მოიხარა. ყურანზე დაიფიცა, რომ თავის ბრბოებს დაშლიდა.[1] ფეზეც მოტყუვდა, ზავი ჩამოუგდო, როგორც თანასწორს, ხელიდან გაუშვა შემთხვევა შამილის დატყვევებისა, რითაც ოცდაორი წლით გააგრძელა ომი.

ამ ზავმა უფრო აამაღლა მთაში შამილის ავტორიტეტი. მან ახალი ახულგო ააშენა და ბრძოლა განაგრძო; დაღისტანი აიშალა და შამილი დიდების შარავანდედით შეიმოსა.

ყაზი-მოლას მოწაფე და ფანატიკოსი შამილი სათავეში ჩაუდგა „ურწმუნოთა“ წინააღმდეგ ადრევე ატეხილ ომს და მტკიცედ სწამდა, რომ ალაჰის ნებას ასრულებდა.

„ო, წინასწარმეტყველო! — ეუბნება ალაჰი მუჰამედს. — გაილაშქრე ურწმუნოთა დასათრგუნავად და იყავ მათ წინაშე სასტიკი: მათი საცხოვრებელი იქნება ჯოჯოხეთი“.

ჯოჯოხეთის და სამოთხის ამბებსაც მეთაურობს შამილი, სწამს მუჰამედი და ცოდვების ისე ეშინია, ნახევარ დროს ლოცვაში ატარებს.

კვირაში ერთხელ მაინც ეწვევა რომელსამე ცოლს და მერე მთელი დღე და ღამე ლოცულობს.

შამილი ხშირად მიმართავდა სიკვდილით დასჯას, თუმცა შარიათი ამის ნებას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში იძლევა. კიდევ უფრო ხშირად მარხავდა ადამიანებს ცოცხლად, თავის განთქმულ ორმოებში. საშინელება რამ იყო ეს ორმოები: ღრმა, ბნელი, ბინძური, დახუთული, ნამდვილი შუასაუკუნეთა დილეგები, სადაც ადამიანები „სენისა და ველურთა სისასტიკისაგან იღუპებოდნენ“.[1]

„მთიელთა ბრძოლამ ცარიზმთან შამილის ხელმძღვანელობით არნახული გაქანება მიიღო. კავკასია იქცა საშინელ, ათეული წლობით გაუმთელებელ ჭრილობად რუსეთის იმპერიის ტანზე“.[2]

1837 წელს შამილის დროშის ქვეშ აღმოჩნდა თავმოყრილი ჩაჩნეთი და დაღისტანი, თითქმის მთელი ავარია. ხალხი ამ გამოჩენილ სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეში ხედავდა ქომაგს, რომელიც დაიცავდა მეფის კოლონიური უღლისა და აგრეთვე საკუთარი ფეოდალებისაგან.

1839 წელს რუსეთის დიდძალი ჯარი ორ ნაკადად დაიძრა: ერთ ნაწილს უნდა დაეჩოქებინა სამხრეთი დაღისტანი, მეორეს კი ალყა შემოერტყა შამილის რეზიდენციის — ახულგოსათვის.

შამილი დაიჭრა, ჩაჩნეთს გაიხიზნა, იქ მომჯობინდა, აამხედრა ხალხი და 1840 წელს ახალი ძალით იფეთქა დაღისტნის ამბოხებამ.

რუსებმა შეუპოვარი ბრძოლების შედეგად დაიკავეს მცირე საჩაჩნო. შამილმა კი 12 000 მეომარი შეკრიბა და საშამხალოში შეიჭრა.

მაგრამ იშკარტისა და გიმრისთან გამართულ ბრძოლებში დამარცხდა და უკან დაიხია (1840 წ. სექტემბერი). რუსეთის ჯარებიც დაღლილი იყვნენ და ბრძოლა აღარ გაუგრძელებიათ.

1841—43 წლებში შამილმა ახალი გამარჯვებები მოიპოვა. იგი 20 000 ჯარით უტევდა მოწინააღმდეგეს და რუსი გენერლები თავდაცვაზე გადავიდნენ. 1843 წლის დამსჯელი ექსპედიციაც თვითონვე დაისაჯა და შამილი გამარჯვებას ზეიმობდა. სწორედ ამიტომ მიიღო 1844 წლიდან ვორონცოვმა უზენაესი

---

[1] Акты, VIII, стр. V—IX.

---

[1] Военный сборник, 1859, № 9 («Шамиль и Чечня), стр. 138.

[2] Н. Кровяков, Шамиль Грозный, 1941, 5.

ძალაუფლება კავკასიაში... მაგრამ მისი მარცხი ცნობილია. შამილმა ალყა შემოარტყა და ფრეიტაგი რომ არ მიშველებოდა, მისი საქმე წასული იყო.

1846 წლიდან ვორონცოვი თავს ანებებს იერიშით სასწაულის მოხდენის ცდებს და ერმოლოვის ტაქტიკაზე გადადის: თანდათან ავიწროვებს სიმაგრეების რკალს იმამის გარშემო.

1848 წელს შამილი დამარცხდა გერგებილთან.

1849 წელს რუსთა მხედრობამ უკუაგდო შამილი, რომელიც თემირხან შურის (ახლანდელი ბუინაკსკის) აღებას და კახეთის ხაზის გარღვევას ცდილობდა.

1850 წლიდან ტყეების გაკაფვით და სიმაგრეების აშენებით შევიწროვდა შამილის სამფლობელოების წრე. შამილის უდიდესი გამოხდომა ამის შემდეგ იყო ლეკის ხაზის გარღვევა და წინანდლის აოხრება 1854 წელს.[1]

1856 წლის პარიზის საზავო ხელშეკრულებამ, რუსეთის იმპერიას ხელ-ფეხი გაუხსნა. თურქეთის დამარცხებამ რუსეთს საშუალება მისცა შამილის წინააღმდეგ 200 000 ჯარისკაცი დაეძრა. ჯარებს ჯერ მურავიოვი და მერე ბარიატინსკი სარდლობდნენ.

შამილის დღეები დათვლილი იყო. და მაინც თავისსავე ბუნაგში გამომწყვდეულმა ლომმა სამი წელიწადი კიდევ იქნია დასისხლიანებული ტორები.

ზოგჯერ გვიკვირს ხოლმე, როგორ უძლებდნენ ლეკები საქართველოს სამეფოს ძლიერებას და როგორ შეინარჩუნეს დამოუკიდებლობა, მაგრამ ვინც შამილის ოცდაათწლიანი ომის ისტორიას თუნდაც ზერელედ გაეცნობა, პირიქით, ის გაუკვირდება, თუ როგორ უძლებდა ერთი მუჭა საქართველო ლეკებს, როცა რუსეთის იმპერიის მამაცმა, შესანიშნავმა რეგულარულმა ჯარებმა ათეული წლების განმავლობაში არა თუ ვერ სძლიეს ლეკებს, თვითონაც მრავალი მძიმე დამარცხება იწვნიეს.

შამილის სამხედრო და ადმინისტრაციული ნიჭი საყოველთაოდ არის აღიარებული.

„შამილი ეკუთვნის იმ შესანიშნავ ადამიანთა რიცხვს, რომელთა სახელები მუდამ ღრმა პატივისცემით იხსენიება“.[2]

ცხადია, მარტო ბუნების პირობებით ვერ აიხსნება ის, რომ „მის წინააღმდეგ რუსეთის გენერლების მიერ მოწყობილი დიდი სამხედრო ექსპედიციები სრული მარცხით თავდებოდა“.[3]

მამაცურად იბრძვის გრიგოლი დაღისტანში. ზედიზედ იღუპებიან ვალოვი, გრენგამერი, პრაპორშჩიკი ვაშკლევიჩი, პოდპოლკოვნიკი ტიზენ-ჰაუზენი... საზარელი ომი ჰქონდათ ექვსი დღე და ღამე განუწყვეტლივ. იჭრებიან და იხოცებიან მეომრები, ზურგში კი ისევ ისე ქორწინდებიან და ქეიფობენ. გრიგოლსაც ეუბნებიან, შეირთე ცოლიო, მაგრამ ისეთი პიკანტური მასხრობით იცილებს თავიდან მეგობრებს, რომ ქაღალდზე არ დაიწერება, თუმცა თვითონ არც დაწერას ერიდება.

პოეზია განზეა. ორბელიანი მთელი არსებით გადაშვებულა ბრძოლის ქარ-ცეცხლში. თავისუფალ დროს გრაფ ოპერმანთან შეიკრებიან ოფიცრები, პოლკის უფროსთან, და არის ერთი თამაში, სიცილი, სმა და ღრიანცელი.

ოპერმანი მეგობრულადაა განწყობილი გრიგოლისადმი, რომელიც სავსებით იმსახურებს ამას ყველასაგან, ვისთანაც ურთიერთობა აქვს.

დაღისტანში ჰაერზე მყოფი გრიგოლი, თან იბრძოდა, თან ჯანს იკაჟებდა. მას მუდამ ახსოვდა თავისი ენამჭევრი მასწავლებლის, მღვდელ ხელაშვილის „გაისეირნ-ქალწულ-ჰაერე“ — ცნება, რაც იმჟამად კლასიკურად აღასრულა.

ლაშქრად მყოფი პოეტი საწერად ვერ იცლის. იშვიათად წერს საქართველოს ამბებს: ყაფლან ორბელიანი ისევ ისე ქვრივადაა, ლევან დადიანის მეუღლე მიიცვალა, მისი რძალი ეკატერინე კი ფეხმძიმედ ბრძანდება; რამაზ ანდრონიკაშვილსა და დავით მუხრან-ბატონს შორის დავაა მამულის გამო და ა. შ.

1839 წლის ლაშქრობის შემდეგ გრიგოლი ავად გახდა, ნუხაში იწვა, და რაკი იმ ხანებში ილიას სიკვდილის ხმაც დააგდეს, ძმები ერთმანეთს გადარჩენას ულოცავენ. კონსტანტინე თარხნიშვილი რომ არა, ამ წერილს საიქიოდან მიიღებდიო, სწერს გრიგოლი ილია ორბელიანს 1839 წლის 23 დეკემბერს. თარხნიშვილი ორბელიანის მეგობარია და ნუხის მხარის გამგებელი.

დაღისტანში ბრძოლები ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობს. შამილი ხშირად განიცდიდა მარცხს. 1839 წელს აული ახულგო დაეცა. მტრის, და ისიც ურწმუნო მტრის ხელში რომ არ ჩავარდნილიყო, შამილის ბრძანებით ყოისუში გადავარდა და თავი დაიხრჩო მისმა ღამ ფატიმათმა.

1841 წელს პოეტი მონაწილეობს გურიის ჯანყის ჩაქრობაში. მოსე არღუთინსკის წინამძღოლობით თავადი ორბელიანი „ანგარიშს უსწორებს“ გურულ გლეხებს.

გურიის „აფეთქებას“ გრიგოლი კაპიტნის წოდებით ებრძოდა. აქვე დააწინაურა არღუთინსკიმ მომავალი ინფანტერიის გენერალი. თუ ლეკებთან ბრძოლაში თავს მამა-პაპათა სისხლის აღებით იმართლებდა, აქ თავის მართლებაზე ლაპარაკი ზედმეტია და გენიალური დისშვილი სრულიად სამართლიანად საყვედურობს ბიძას უდანაშაულო გურული გლეხების სისხლის დაქცევას.

ვერავინ იტყვის, რომ გრიგოლ ორბელიანმა არ იცოდა ხალხის ძნელბედობის ამბავი, არ გაეგებოდა გურულ გლეხთა ჯანყის მიზეზები. „ნალივაიკოს აღსარების“ მთარგმნელმა და ავტორმა ლექსებისა „ჰე, ივერიავ“ და „მისი სახელი კიცხვითა“ — ყველაფერი მშვენივრად იცოდა, მაგრამ პოეტმა ორბელიანმა ადრევე დაგმო ის მდგომარეობა, რამაც გვიან თავადი ორბელიანი აიძულა მეფის მოხელეთა ბრძანებით ტყვია დაეშინა მეამბოხე ქართველი გლეხებისათვის. შეთქმულების წინ დაწერილ პროზაულ შრომაში „საქართველო ჩემის დროისა“ დაწვრილებით ჩამოთ-

---

1 Сов. ист. энц. VI, 759—764

2 იქვე.

3 Всемирная история, 1959, т. VI, 245.

ვლის ყველა მთავარ ბოროტებას, ამბოხებათა გამომწვევ მიზეზებს: „სასამართლო, გარყვნილი მოხელენი და მათი უსამართლობა და ქრთამობა, ლოთობა და ცემა-ტყეპა ჩინოვნიკებისა და ხალხისაგან ღალადისი წყევისა... ბუნტი კახეთში, და მისი უმთავრესი მიზეზი: კომისიონერები, აფიცრებისა და სალდათებისაგან შეურაცხყოფა ცოლ-შვილებისა სოფლებში... ერმოლოვი და მისგან დაჩაგვრა...“

ეს ყველაფერი გასაგებია გვიანაც. მაგრამ შეთქმულება დამარცხდა. უიმედოდ, ჩანასახშივე. მამულის გამოხსნის იმედი განქარდა. ორბელიანმაც იწვნია დამარცხების სუსხი. პატიმრობა, ყაზარმობა, სამშობლოს საზღვრებს გარეთ გადაგდება, სატრფოს დაკარგვა, ნაცნობ-მეგობართა, ნათესავთა და რაყიფთა ტანჯვა იყო ამ ამაო მცდელობის შედეგი. ახლა კმარა! ორბელიანი ბედს ურიგდება, ძალაუფლებისა და ერის ბედის მპყრობელთა ყოველ ბრძანებას მხედრული უდრტვინველობით შეასრულებს და ამიერიდან ერთგულ ქვეშევრდომ ორბელიანის ბაგეს სინანულის სიტყვა აღარ დასცდება სამარის კარამდე.

ამრიგად, ასეა თუ ისე, 1841 წლის სექტემბერში გრიგოლ ორბელიანი პოლკოვნიკ მოსე არღუთინსკის, მომავალი გენერალ-ადიუტანტისა და შამილის წინააღმდეგ მებრძოლი სარდლის, დროშის ქვეშ დგას. ამჯერად ეს დროშა გურული გლეხების სისხლით ილებება.

გურული გლეხების წინააღმდეგ ბრძოლა გრიგოლ ორბელიანის ცხოვრების ქრონიკის ყველაზე უფრო საჩოთირო ფურცელია. როგორც მეფის არმიის ოფიცერი, ჩვენი პოეტი მონაწილეობას იღებდა გურიის 1841 წლის იმ აჯანყების ჩაქრობაში, მოგვიანებით ასე უზადოდ და ბრწყინვალედ რომ ასახა ეგნატე ნინოშვილმა თავის უკვდავ „ჯანყი გურიაში“.

1842 წლის 20 მაისს გრიგოლი ქუთაისიდან სწერს ძმას, ზაქარიას:

„ქუთაისში მინისტრის ბრძანებით განათავისუფლეს გურულები, ბუნტისათვის დაჭერილნი, უნდა გენახა ამათი ტირილი და სიხარული, პირჯვრის წერა და დალოცვა. — მხოლოდ ერთი გაგზავნეს ციმბირში, შალიკაშვილი, რომელიც უწინდელს ბუნტშიაც ერია“.

სამხედრო მინისტრმა ჩერნიშოვმა მართლა ბრძანა მეამბოხე გურულთა განთავისუფლება. ის სარევიზიოდ იყო გამოგზავნილი პოზენთან ერთად, განის რეფორმების და მისი შედეგების შესამოწმებლად. ამ შემოწმების შედეგად სენატმა უარჰყო რუსეთის გუბერნიების წესების ბრმად გადმოღების განისეული მეთოდი და შეიმუშავა ახალი წესები: გრიგოლიც დიდ იმედს ამყარებს ჩერნიშოვსა და პოზენზე.

გურული გლეხების შეწყალებაც ახალი წესების შემოღებასთან იყო დაკავშირებული და გრიგოლიც გახარებული ჩანს.

მაგრამ პოეტს უფრო სასიხარულო ამბავიც მოსდის: მისმა ძმამ ზაქარია ორბელიანმა, მაღალაშვილთან და ყორღანაშვილთან ერთად, ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ლეკებთან ბრძოლაში ყაზიყუმუხის საზღვარზე, მოიგო რიჭის ბრძოლა, აიღო ეს აული და თავისთვის პოდპოლკოვნიკის ხარისხიც უზრუნველჰყო.

მაგრამ ხარისხებს ვინ დაეძებს! ზაქარია გადარჩა „საშინელის ომისაგან“, არ წაახდინა ღმერთმა ორბელიანთა გვარი და „უწინდელი წმინდა სისხლი აღმოჩნდა“ მის ძარღვებში! გრიგოლი აღტაცებულია და ომახიანად იძახის:

— ახ! რატომ მეც მანდ არა ვარ!

ეს მეომრული სურვილი მალე აუსრულდა. გრიგოლი მალე „იქნება მანდ“, და ხუთმეტ-ჩვიდმეტი წლის განმავლობაში იძიებს შურს ქართველთა მაოხრებელ ლეკებზე.

საერთოდ, მომავალ გენერალს სიმამაცე მუდამ აღაფრთოვანებს. სიმხდალე კი აღაშფოთებს. ყორღანოვი და მალალოვი ჩამიკოცნე, დღეს დაიხურეს მაგათ ქუდებიო, სწერს ზაქარიას, და აფრთხილებს — გაქცეულებს ცალი წვერ-ულვაში მოჰპარსეო.

მაგრამ ბედი სიხარულს ყოველთვის ჩააშხამებს ხოლმე. თუ ერთი ძმა ლეკებს ამარცხებს, მეორე — ილიკო — ლეკებმა გაიტაცეს იმავე წლის 20 მარტს ყაზი-ყუმუხში და, ორ სხვა ოფიცერთან ერთად, შამილის ტყვეობაში იტანჯება.

გრიგოლი მწარედ იგონებს ილიკოს ტყვეობას და ზაქარიას ეკითხება, რა ღონისძიება ვიხმაროთ ძმის გამოსახსნელადო. მაგრამ ჯერჯერობით ზაქარიასა და გრიგოლის ყოველი ცდა ამაო გამოდგება და მათ საყვარელ ილიკოს დიდხანს მოუხდება ლეკების აქოთებულ დილეგში ჯდომა.

1842 წლის 9 ივნისს გრიგოლი ქუთაისიდან თბილისს ჩამოდის. მთავარმართებელი გოლოვინი პირადად ეუბნება მადლობას ძმის გამარჯვების გამო, მისი მეუღლე კი ქეთევანს ავსებს კომპლიმენტებით. მთელი ქალაქი ილიას ტყვეობასა და ზაქარიას გამარჯვებაზე ლაპარაკობს, და თვით სარდლებს შურთ მოსე არღუთინსკისა, რომელმაც ახლა უფრო სახელოვანი გამარჯვება მოიპოვა, ვიდრე გურულ გლეხთა „დაწყნარება“ იყო: 1842 წლის 25 მაისს ყუმუხში დაბანაკებულ არღუთინსკის სამ ბატალიონსა და 1160 მილიციელს შამილმა 15000 კაცით ალყა შემოარტყა, ორი მხრიდან შეუტია და განსაცდელში ჩააგდო, მაგრამ დამარცხდა და ყაზი-ყუმუხიდან წასვლა მოუხდა. გენერალი კლუკი კლუგენაუ იქვე ახლოს იყო დაბანაკებული, მაგრამ ვერ მიეშველა. ზაქარიაც მოსეს რაზმში იყო. თქმულიდანაც ჩანს, რომ სამივე ძმა — გრიგოლი, ზაქარია და ილია ერთიმეორეზე მამაცურად იბრძვიან დაღისტანში და ასახელებენ არა მარტო ორბელიანთა გვარს, არამედ მთელს საქართველოს.

არღუთინსკიმ ყაზი-ყუმუხში მართლაც საგულისხმო გამარჯვება მოიპოვა. მის გამარჯვებაზე მთავარმართებელმა თქვა, ამ შვიდი წლის განმავლობაში მსგავსი არაფერი გაგვიკეთებიაო. დავით ყორღანაშვილი თავის მინაწერში გრიგოლის თქმულს დასძენს: რა ენაღვლებოდათ, ადრე გამოეგზავნათ ეგ სომეხთა სახელის განმანათლებელი: ვინც კუზიანი სომეხი მოიპოვებოდა, სულ გასწორდნენო.

სარდლობა და ხალხი ერთნაირად გმობს ფრანც

კლუკი ფონ კლუგენაუს, ჩრდილოეთ დაღისტნის ჯარების სარდალს, რომელიც თორმეტი ბატალიონით არ მიეშველა ალყაშემორტყმულთ.

არც გენერალ სერგეი ბეზობრაზოვს გაუღიმა ბედმა, კავალერიის სარდალს, არც ბორის ჭილაშვილს... ტანმორჩილმა არღუთინსკიმ ბევრი გენერალი დაჩრდილა, მოსე წინასწარმეტყველის შეუპოვრობით რომ ებრძოდა მაჰმადის ერთგულ მიმდევარს — შამილს.

1842 წლის აგვისტოში გრიგოლი გრენადერთა პოლკის ერთ-ერთი ბატალიონის უფროსად ინიშნება და ქალაქ ალექსანდროპოლშია, სომხეთში.

ილიას ტყვეობის დროს გრიგოლი საქართველოშია და ყოველ წერილში ეკითხება ზაქარიას, რა ღონისძიებებია საჭირო ილიას გამოსახსნელად, თუ შამილის შვილს ხელმწიფე არ დათმობსო.

პოეტი დიდად შეაწუხა ძმის ტყვეობამ. საერთოდ, ნათესავების უაღრესად მოყვარული, ძმებზე გადაგებული, სიმშვიდეს ვერ პოულობდა.

„შენი ჭირიმე, კნიაზო! — სწერს მოსე არღუთინსკის 1842 წლის 11 ივნისს. — ცრემლებით გეხვეწებით ჩემის ძმის გამოხსნისათვის. მე გამყიდეთ, მე დამატყვევეთ, ოღონდ იმ საბრალოს უშველეთ რამე. ის თურმე ხაროში გდია... ჩემი იმედი, ჩემი ნუგეში და ღმერთი თქვენა ხართ“.

იმ ხანებში მოსე არღუთინსკის გამარჯვებით მთელი თბილისი ხარობდა. გრიგოლი ასე სწერს სარდალს: „ახლა თქვენის სახელით ჩვენც ვდიდგულობთ და აქეთ-იქით ამაყურად ვიყურებითო“, თანაც სთხოვს, ოღონდ ნუ გამაჩერებ ალექსანდროპოლში, ოღონდ წამიყვანე შენთან და თუნდაც უბრალო ჯარისკაცად მამსახურეო.

ამრიგად, 1842 წლის ზაფხულში ორბელიანს გული ისევ დაღისტანში მიუწევს, ბრძოლის ქარცეცხლში, რომ ყოველნაირად შური იძიოს თავისი პაპის სიმშვიდის შემაშფოთებელ ლეკებზე. იგი ბევრს ოცნებობს, რომ „ორ ლომ ძმას შუა“ იჯდეს „ჭეშმარიტად ბედნიერი და უდარდელი“, მაგრამ შამილის ერთგული ხალხის მიერ გათხრილ ხაროში იტანჯება ილია, თემირ-ხან-შურის მხარეშია ზაქარია, ალექსანდრეპოლში გზავნიან გრიგოლს...

1842 წლის შუა ივნისში გადადის გრიგოლი ალექსანდროპოლში, სადაც ბატალიონს აბარებენ. ასე გაეცალა სანდრიკოს, ზაქარიას ბიჭს, რომელიც ისეთი ცელქია და დიდგულა, რომ „იმის ბატონობისაგან ილაჯი არ არის“.

ალექსანდროპოლს მყოფი პოეტი დაღისტანში გრაბეს დამარცხების ამბავს გებულობს და ზაქარიას გაოცებული სწერს: შენ და არღუთინსკიმ მცირე რაზმით სძლიეთ იმოდენა ჯარს, როცა ყველას დაღუპული ევონეთ, და გრაბეს იმოდენა რაზმი რამ შეაყვანინა ისეთ ვიწროებში, სადაც ერთად ორი კაცი ვერ გაივლისო?

პავლე გრაბე, გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიის ხაზის ჯარების სარდალი, 1839 წელს რომ წარმატებით ებრძოდა შამილს და პირველი რეზიდენცია, თითქმის მიუდგომელი ახულგო წაართვა, ახლა სასტიკად დამარცხდა: მან მეორე რეზიდენციის, დარღოს აღებაც ასევე უმტკივნეულო ოპერაციად ჩასთვალა და ათი ათასი კაცით დაიძრა ანდიის მხარეს, რათა შამილის ბუნაგზე იერიში მიეტანა. მაგრამ ამჯერად მარცხიანი გამოდგა დაღისტნელი ჰანიბალი. გრაბე, რომელსაც წარმატებით უბრძოლია ფრანგებსა და თურქებთან, იჩქერიის ტყეში ათი ათასი კაცით ხაფანგში გაება. ნაიბმა შუაიბ-მოლამ გენერალი სასტიკად დაამარცხა და იმავე გზით დაახევინა უკან. ვიწროებში გაიჭედა არმია, ხეობა გვამებით აივსო. ჰაერი კვნესამ შეძრა. თბილისში ხმა გავარდა: გრაბე რაზმიანად დაიკარგაო. გრაბე ამ მარცხისათვის მოხსნეს. გვიან იგი დონის კაზაკებს წინამძღოლობდა.

სომხეთში მყოფი მომავალი გენერალი თვალნათლივ ხედავს დაღისტნის ჯარების სარდლის შეცდომას, მის წინდაუხედაობას და ამაო ვაჟკაცობას. გრაბეს შამილი თავის ერთ მთავარ მტრად თვლიდა, მაგრამ ამ ექსპედიციამ გენერლის სამხედრო კარიერას ჩრდილი მიაყენა.

გრაბეს მარცხს დიდხანს იგონებს გონებამახვილი პოეტი.

— შამილი წყალსა გვთხოვს, ჩვენ კი ღვინოს ვაძლევთო. იმედი მაქვს, ასეთ ხელის შეწყობას არ მოელოდა ჩვენგან უზდენის შვილი. არა, უნდა გავბრუნდე დაღისტანს!

გადის დრო. გრიგოლი ისევ სომხეთშია, ალექსანდროპოლის გადაყრუებულ კომენდანტს უსმენს, ჰიპოხონდრიას შეუპყრია, უსაქმოდ იტანჯება, სულ ილიას გამოხსნაზე ფიქრობს, დაღისტანში კი მოსე არღუთინსკი, იასე ანდრონიკაშვილი, დანიელ-სულთანი და სხვა გენერლები შამილს არ ასვენებენ.

დანიელ-სულთანი, ელისუს მმართველი, რუსეთის სამსახურშია 1844 წლამდე, ვიდრე გენერალ შვარცთან უკმაყოფილება არ მოუხდა და კვლავ შამილს არ მიემხრო. შამილი ალერსიანად შეხვდა, ნაიბობა მისცა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მის შვილს ყაზი-მაჰმადს ცოლად სულთნის ასული ჰყავდა, ნდობა მაინც არ აღირსა და აკი შემორიგებული არც აღმოჩნდა ნდობის ღირსი: 1859 წელს, როცა რუსებმა ღუნიბს ალყა შემოარტყეს, განწირულ იმამს ისევ უღალატა და ბარიატინსკის ეახლა.

დანიელ-სულთანს ქვემოთაც შევხვდებით. ხუთმეტი წლის განმავლობაში ებრძოდა შამილს და ახლო ურთიერთობა ჰქონდა დაღისტნის სარდლებთან.

გრიგოლი დაწვრილებით კითხულობს დაღისტნის ამბებს და გული ისევ ავარიაში მიუწევს.

ამ მოლოდინში ახალი, 1843 წელიც დადგა.

☐ გაგრძელება იქნება ☐

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს. ჩხარტიშვილი

# 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია

მეფის თვითმპყრობელობის დამხობის 50 წლისთავი

1917 წლის თებერვლის რევოლუცია იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პროლოგი. რუსეთის 1905 წლის რევოლუციამ და პირველმა იმპერიალისტურმა ომმა საფუძველი ჩაუყარა კაპიტალიზმის საერთო კრიზისს.

ახასიათებდა რა რუსეთის მიზნებს პირველ იმპერიალისტურ ომში, ვ. ი. ლენინი წერდა:

„რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის ამოცანა... შეიძლება მოკლედ ასე გამოითქვას: ინგლისისა და საფრანგეთის დახმარებით დაამარცხოს ევროპაში გერმანია, რათა გაძარცვოს ავსტრია (წაართვას გალიცია) და თურქეთი (წაართვას სომხეთი და განსაკუთრებით კონსტანტინოპოლი)".[1]

ომმა გამოავლინა ცარიზმის სიდამპლე, გაამწვავა წინააღმდეგობა თვითმპყრობელობასა და ხალხს, ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის.

რუსეთმა ომი სრულიად მოუმზადებლად დაიწყო, რის გამოც ქვეყანა ეკონომიურ კატასტროფამდე მივიდა. სახალხო მეურნეობა განიცდიდა მუშახელის ნაკლებობას, რადგან არმიაში 14 მილიონამდე კაცზე მეტი იქნა გაწვეული, არ იყო სათბობი, არ ყოფნიდა ნედლეული, ჩერდებოდა ქარხნები და ფაბრიკები. რკინიგზის ტრანსპორტი ვერ ასრულებდა ფრონტისა და ზურგის დავალებებს. ქვეყანაში აყვავდა სპეკულაცია. ომი ნთქავდა ქვეყნის რესურსებს.

არმიები ფრონტზე განიცდიდნენ შეიარაღების, საომარი მასალების, ტანსაცმლის, კვების პროდუქტების ქრონიკულ ნაკლებობას. ხშირად სამ ჯარისკაცზე ერთი შაშხანა მოდიოდა. ვაზნების წლიური ნორმა 3 მილიარდ ცალს შეადგენდა, რუსეთის მრეწველობა კი მხოლოდ ამის ერთ მეექვსედს ამზადებდა. კიდევ უფრო ცუდად იყო მოწყობილი საარტილერიო ყუმბარებით მომარაგება. ამას თან ემატებოდა მეფის გენერალიტეტის უუნარობა ხელმძღვანელთა ჯარებისათვის. ამიტომ არმია დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიდა. სამაგიეროდ ზურგში ბურჟუაზია მდიდრდებოდა.

ასეთი მდგომარეობა ხელს უწყობდა არმიისა და ხალხის სიძულვილის და უკმაყოფილების გაღვივებას ცარიზმის მიმართ. ქვეყანაში იქმნებოდა რევოლუციური სიტუაცია.

ომმა სასწორზე დადო ხალხთა ბედი, სოციალისტური მოძრაობის ბედი. იგი გახდა გამოცდა ყველა პარტიისა და მიმდინარეობისათვის, რომლებიც თავიანთ თავს სოციალისტურს უწოდებდნენ. ამ განსაცდელს ვერ გაუძლეს მე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 23, გვ. 159.

ორე ინტერნაციონალის პარტიებმა, მათ შორის რუსმა მენშევიკებმა და ესერებმა, რომლებმაც უღალატეს მუშათა კლასის ინტერესებს, ინტერნაციონალიზმის პრინციპებს და მხარი დაუჭირეს ბურჟუაზიას.

ომის დასაწყისში გარკვეულად განსხვავებული პოზიცია დაიკავეს ქართველმა მენშევიკებმა. ხალხთა მასების ანტისაომარი განწყობილების გამო მათ მხარი არ დაუჭერიათ ომისათვის. კიდევ მეტი, ომის დაწყებისთანავე მენშევიკურმა საოლქო კომიტეტმა გამოუშვა ანტისაომარი ფურცელი: „გამოუცხადეთ ომი ომს!“. მაგრამ 1915 წლის შემოდგომაზე ქართველ მენშევიკთა უმრავლესობა გადავიდა ნ. ჟორდანიას მხარეზე, რომელიც თავიდანვე იდგა სოციალ-შოვინიზმისა და ობორონცობის პოზიციებზე.

ფაქტიურად სოციალ-შოვინისტების პოზიციაზე იდგნენ, ე. წ. „ცენტრისტები“ — კაუცკი გერმანიაში, მარტოვი, ტროცკი და სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია ჩხეიძის მეთაურობით რუსეთში. ისინი მოითხოვდნენ თავის შეკავებას სამხედრო კრედიტების დამტკიცების დროს, რაც არ ნიშნავდა ომის წინააღმდეგ გამოსვლას.

„ტროცკი, რომელიც, როგორც ყოველთვის, — წერდა ვ. ი. ლენინი, — პრინციპულად არაფერში არ ეთანხმება სოციალ-შოვინისტებს, მაგრამ *ყოველივე პრაქტიკულში* ეთანხმება მათ (სხვათა შორის, ჩხეიძის ფრაქციის „ბედნიერი შუამავლობის“ წყალობით, — მგონი, ეს ასე იწოდება დიპლომატიურ ენაზე?).[1] ტროცკი ეფარებოდა მაღალფარდოვან ფრაზებს: „რევოლუციური ბრძოლა ომის წინააღმდეგ“.

ჩხეიძის ფრაქცია სახელმწიფო სათათბიროში, მარტოვი და სხვა „ცენტრისტები“ აყენებდნენ ლოზუნგს: „არც გამარჯვება, არც დამარცხება!“, რაც ფაქტიურად სოციალ-შოვინიზმის პოზიციაზე დგომას ნიშნავდა. ვ. ი. ლენინი წერდა: „არც გამარჯვება — არც დამარცხება“ (ფრჩხილებში შევნიშნავთ: ვისი, ცხადია; *ახლანდელი მთავრობებისა*, ახლანდელი გაბატონებული კლასებისა!)[2]“.

ერთადერთი პარტია, რომელიც მომზადებული შეხვდა ომის განაცდელს იყო ბოლშევიკების პარტია. ბოლშევიკებმა ომისადმი დამოკიდებულების საქმეში დაიკავეს ინტერნაციონალისტური პოზიცია. ვ. ი. ლენინმა შეაიარაღა პარტია მეცნიერული ტაქტიკით ომის, ზავისა და რევოლუციის საკითხებში. პარტიამ გააჩაღა შეუპოვარი ბრძოლა იმპერიალისტური ომის, როგორც უსამართლო ომის წინააღმდეგ. იგი გამოდიოდა „სამშობლოს დაცვის“ იმპერიალისტური ლოზუნგის წინააღმდეგ, მოუწოდებდა მშრომელ მასებს ებრძოლათ ომში საკუთარი მთავრობის დამარცხებისა და იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისათვის.

ომის, ზავისა და რევოლუციის საკითხების დამუშავებასთან ერთად ვ. ი. ლენინმა ომის წლებში განავითარა სოციალისტური რევოლუციის თეორია. ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა, რომ კაპიტალიზმის პროგრესულობის ეპოქა დამთავრდა და იგი ლპობად კაპიტალიზმად გადაიქცა, რომ იმპერიალიზმი სოციალისტური რევოლუციის წინადღეა. კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობა იმპერიალიზმის ეპოქაში წარმოადგენს კანონს და აქედან გამომდინარე სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ერთდროულად ყველა ქვეყანაში შეუძლებელია. სოციალისტური რევოლუცია გაიმარჯვებს თავდაპირველად ერთს ან რამდენიმე ქვეყანაში, რჩებიან რა დანარჩენი ქვეყნები განსაზღვრუ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 21, გვ. 342.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 21, გვ. 340.

ლი დროის განმავლობაში ბურჟუაზიულნი ან წვრილბურჟუაზიულნი. ერთს ქვეყანაში გამარჯვებული პროლეტარიატი სოციალისტური წარმოების მოწყობის შემდეგ დაუპირისპირდებოდა დანარჩენ კაპიტალისტურ მსოფლიოს, მიიმხრობდა სხვა ქვეყნების დაჩაგრულ კლასებს, ააჯანყებდა მათ და აუცილებლობის შემთხვევაში შეიარაღებულ ძალითაც კი გამოვიდოდა ექსპლოატატორული კლასებისა და მათი სახელმწიფოების წინააღმდეგ. ყოველგვარი ომი, რომელსაც ასეთი სახელმწიფო გასწევდა თავდაცვისათვის კაპიტალისტური მსოფლიოს წინააღმდეგ, იქნებოდა სამართლიანი ომი. „ეს იქნებოდა ომი სოციალიზმისათვის, ბურჟუაზიისაგან სხვა ხალხთა განთავისუფლებისათვის“.[1]

ბოლშევიკები, რომლებმაც გააჩაღეს პრაქტიკულ-რევოლუციური მუშაობა იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისათვის, ხელმძღვანელობდნენ ანტისაომარ გამოსვლებს, უშვებდნენ ფურცლებსა და პროკლამაციებს. 50-ზე მეტმა ბოლშევიკურმა კომიტეტმა ომის პერიოდში გამოუშვა 600 სახელწოდების პროკლამაცია და ფურცელი თითქმის ორი მილიონი საერთო ტირაჟით. ამავე პერიოდში გამოდიოდა ოცამდე ბოლშევიკური გაზეთი, რომელთა საერთო ტირაჟი უდრიდა 90 ათას ეგზემპლარს.

დიდ ბრძოლას ეწეოდნენ ომის წინააღმდეგ ამიერკავკასიის ბოლშევიკები, რომლებსაც სათავეში ედგნენ ისეთი გამოჩენილი რევოლუციონერები, როგორიც იყვნენ: ს. შაუმიანი, ნ. ნარიმანოვი, ფ. მახარაძე, ა.ჯაფარიძე, ს.ქავთარაძე, ბ. სარდაროვი, ი. ზევინი, ი. ფიოლეტოვი, ს, ხანოიანი, ს, თავდიშვილი, მ. კახოიანი, ა. სტოპანი, ს. ტერგაბრიელიანი, მ. ტოროშელიძე, მ. მამედიაროვი, ა. მიქოიანი, შ. ასკურავა, ს. კასიანი, ნ.კოლესნიკოვა და სოციალიზმის საქმისათვის სხვა მამაცი მებრძოლების მთელი პლეადა. ბოლშევიკები მიუხედავად რეპრესიებისა და მრავალი დაპატიმრებებისა, მტკიცედ იდგნენ ომის; ზავისა და რევოლუციის საკითხებში ლენინურ პოზიციებზე.

ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილ მანიფესტს „ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია“, რომელიც ვ. ი. ლენინის მიერ იყო დაწერილი. მანიფესტში ჩამოყალიბებული იყო ლენინური ტაქტიკა ომისადმი დამოკიდებულებისა.

ამიერკავკასიაში ბოლშევიკებმა დააარსეს არალეგალური სტამბები და მოაწყეს ანტისაომარი ფურცლებისა და პროკლამაციების მასობრივი ბეჭდვა, რომელიც ვრცელდებოდა მთელ ამიერკავკასიაში და კავკასიის ფრონტის ჯარებში. მათ შეძლეს 1915 წლიდან აღედგინათ სისტემატური კავშირურთიერთობა ვ. ი. ლენინთან და პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან. 1915 წლის 1 ოქტომბერს ს. შაუმიანი აცნობებდა ვ. ი. ლენინს, რომ ამიერკავკასიის ბოლშევიკები მტკიცედ დგანან ომის საკითხში ცენტრალური კომიტეტის პოზიციაზე. „საერთოდ, — სწერდა იგი ვ. ი. ლენინს ქარაგმულად, — მე და ჩვენს ნათესაობას მაღლა გვიჭირავს ჩვენი ოჯახის დროშა და რომ თქვენ შეგიძლიათ გულდამშვიდებული იყოთ ჩვენი რეპუტაციისათვის“.[2]

1915 წელს თბილისელმა ბოლშევიკებმა ა. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით გამოუშვეს საპირველმაისო პროკლამაცია „ამხანაგო მუშებო!“. იგი გავრცელდა მთელ საქართველოში, კავკასიის ფრონტის ჯარებში, ბაქოს მუშებს შორის. პროკლამაცია ახასიათებდა ომს, როგორც იმპერიალისტურს, რომლის მიზანი იყო სხვისი ქვეყნების დაპყრობა და გაძარცვა, მოუწოდებდა მშრომელ

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 23, გვ. 94.

[2] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 31, საქ. 118. ფურც. 128.

მასებს ომის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, ცარიზმის დამხობისა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებისათვის ბრძოლის გაძლიერებისაკენ, ამხილებდა ომის გამჩაღებლებს.

„მართლაც, — ნათქვამი იყო პროკლამაციაში, — ვინ და რატომ დაიწყო ეს ომი? ხალხებმა? არა! არც ერთ მეომარ ხალხს არა სურდა და ამის შესახებ მას არავინ არ შეეკითხვია. თანამედროვე ომებს საფუძვლად უდევს წმინდა დამპყრობლური იმპერიალისტური პოლიტიკა. მუდმივი არმია და სისხლისმღვრელი ომები კაპიტალისტურ ბურჟუაზიას ესაჭიროება ქვეყნის შიგნით უშიშროების დაცვისათვის შინაური მტრის წინააღმდეგ ბრძოლისა და ახალი ბაზრების, ახალი ტერიტორიების მტაცებლური დაპყრობისათვის, თავისი ჯიბის გასასქელებლად, ახალი მოგებისათვის, ახალი უზომო გამდიდრებისათვის".[1]

იმავე წლის მენშევიკების საპირველმაისო პროკლამაციაში სულ საწინააღმდეგო ეწერა: ჩვენ არ მოგიწოდებთ გაფიცვებისა და დემონსტრაციებისაკენ, — ასწავლიდნენ მენშევიკები მშრომელებს, — ეს ჩვენი მტრებისათვის იქნებოდა ხელსაყრელიო.[2]

ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა 1915 წლის აგვისტოში სტ. შაუმიანის ინიციატივით გადმობეჭდეს და გაავრცელეს პარტიის პეტერბურგის კომიტეტის ანტისაომარი მოწოდება „ამხანაგო მუშებო და ჯარისკაცებო!" ამ მოწოდებაში ნათქვამი იყო, რომ „მეფის მთავრობა, ჩაება რა საერთო ევროპულ სისხლისმღვრელ ომში, იცავს ბურჟუაზიისა და მემამულეების ინტერესებს და ეძებს გასაღების ბაზრებს".[3] მოწოდება ასწავლიდა მშრომელ მასებს, რომ იმპერიალისტური ომის შეწყვეტა და მისი სამოქალაქო ომად გადაქცევა შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატს გლეხობასთან კავშირში.

იმპერიალისტური ომისადმი ლენინური დამოკიდებულების ნიმუში იყო ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების თათბირის გადაწყვეტილებები. თათბირი შეიკრიბა 1915 წლის ოქტომბერში და მას ფაქტიურად კონფერენციის მნიშვნელობა ჰქონდა. თათბირის მუშაობას ხელმძღვანელობდნენ ს. შაუმიანი, ფ. მახარაძე, ი. ფიოლეტოვი და სხვა პარტიული მუშაკები. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა თათბირის რეზოლუციას მიმდინარე მომენტის შესახებ, რომელსაც საფუძვლად დაედო პარტიის ცენტრალური კომიტეტის მანიფესტი: „ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია".

„მთავარი გაკვეთილი, — ნათქვამი იყო რეზოლუციაში, — რომელიც გამოტანილი უნდა იქნას ამ საშინელი კატასტროფიდან, ის არის, რომ მხოლოდ კაპიტალისტური წყობილების მოსპობას, რომლის რეჟიმია ულმობელი „ბრძოლა ყველასი ყველას წინააღმდეგ", მათ შორის კლასებისა კლასების წინააღმდეგ, სახელმწიფოებისა სახელმწიფოების წინააღმდეგ, და ამ წყობილების შეცვლას სოციალისტური წყობილებით შეუძლია იხსნას ხალხები შემდგომი გამხეცებისა და თვითგაულეტისაგან და გამოიყვანოს კაცობრიობა შემდგომი პროგრესის გზაზე. აქედან გამომდინარე, ევროპის ყველა სოციალისტური პარტიის ძირითად ამოცანად ჩვენ ამჟამად მიგვაჩნია სოციალური რევოლუციის გაძლიერებული პროპაგანდა".[4]

ამიერკავკასიის ბოლშევიკების თათბირს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი. ფ. 33, ს. 213.

[2] საქ. სსრ ცსა (ქ. თბილისი) ფ. 7, საქ. 2898, ფურც. 48.

[3] იქვე. საქ. 4346, ფურც. 51.

[4] საქ. სსრ ცსა (ქ. თბილისი), ფ. 2, საქ. 3671, ფურც. 14.

ომის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საქმეში. ამ გადაწყვეტილებათა შესახებ ს. შაუმიანის მეშვეობით ჩქარა შეიტყო ვ. ი. ლენინმა, პარტიის ცენტრალური ორგანო გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“ 1916 წლის თებერვალში მათ შესახებ შემდეგს წერდა: „ჩვენ გვატყობინებენ, რომ ს. დ. ბოლშევიკებმა კავკასიის ინტერნაციონალისტების — რუსების, ქართველების, სომხებისა და თათრების — სახელით გამოუშვეს მანიფესტი, რომელშიც მოცემულია მათი შეხედულება ომზე. დოკუმენტი მთლიანად დგას რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მანიფესტის ნიადაგზე“.[1]

ამ გადაწყვეტილებათა დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებდა ის ფაქტიც, რომ 1916 წლის 31 იანვარს შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი წერდა კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწეს „პორაჟენცების-ლენინელების“ მტკიცე ორგანიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საჭიროებაზე და აქვე აღნიშნავდა, რომ მათ „მოაწყეს თათბირი, რომელზეც გამოტანილი იქნა რიგი გადაწყვეტილებებისა ლენინური საპროგრამო მოთხოვნების სულისკვეთებით“.[2]

ბოლშევიკები ბაქოს თათბირის შემდეგ კიდევ უფრო აძლიერებენ ანტისაომარ პროპაგანდას როგორც ზურგში, ისე ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებში. ხელმძღვანელობენ მუშათა საგაფიცვო მოძრაობას და რევოლუციურ გამოსვლებს ჯარებში, გამოდიან სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში „მუშათა ჯგუფების შექმნის წინააღმდეგ. მათ ამ მხრივ დიდ წარმატებებს მიაღწიეს და ჩაშალეს კავკასიის ცენტრალურ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის და რიგი სხვა კომიტეტების „მუშათა ჯგუფების“ არჩევნები.

1916 წელს რსდმპ კავკასიის ბიურომ გამოსცა საპირველმაისო პროკლამაცია „ამხანაგო მუშებო!“,[3] რომელიც გავრცელდა მთელ ამიერკავკასიაში და კავკასიის ფრონტის ჯარებში. მასში შეჯამებული იყო ომის ორი წლის შედეგები, მისი გამანადგურებელი ხასიათი: უმუშევრობის ზრდა, სამეურნეო ნგრევა, მშრომელი მასების მდგომარეობის შემდგომი გაუარესება. ბოლშევიკები მოუწოდებდნენ მუშებს არ მიეღოთ არავითარ ფორმაში მონაწილეობა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების მუშაობაში. ბოლშევიკები ნიღაბს ხდიდნენ ბურჟუაზიის ოინებს, რომლის მიზანიც მასების მოტყუება და ომის გამარჯვებამდე მიყვანა იყო. ბოლშევიკური საპირველმაისო პროკლამაცია მოუწოდებდა ჯარისკაცებს მხარში ამოდგომოდნენ მუშებს, რათა განეხორციელებინათ საყოველთაო-სახალხო ამოცანა — ცარიზმის დამხობა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება.

ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ ალ. ჯაფარიძე, ს. ალავერდოვი, პ. არველაძე, ზ. ბოგდანოვი, გ. ყორღანოვი, ო. გაბუნია, ი. კოჩეტკოვი და სხვა ბოლშევიკები.

ფრონტის ჯარებში მრავალი ანტისაომარი ფურცელი ვრცელდებოდა, რომელთა ავტორები სამხედრო სამსახურში მყოფი რევოლუციონერები იყვნენ. აღსანიშნავია, რომ 1916 წლიდან ანტისაომარ მოწოდებებში დიდი ადგილი უკავია უმცროსი ოფიცრებისადმი მიმართვებს. ოფიცრების ეს ნაწილი ძირითადად ამ დროისათვის დაკომპლექტებული იყო მუშათა და გლეხობის წრიდან გამოსული ახალგაზრდებით. ეს პროკლამაციები ოფიცრებს მოუწოდებდნენ სათავეში ჩადგომოდნენ ჯარისკაცებს ზავისათვის ბრძოლაში.

---

[1] გაზ. „სოციალ-დემოკრატია“, 1916 წლის 29 თებერვალი, № 51.

[2] საქ. სსრ ცსა (ქ. თბილისი) ფ. 2, საქ. 4729, ფურც. 7.

[3] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 33, საქ. 216.

ხალხთა ფართო მასები საკუთარ გამოცდილებით რწმუნდებოდნენ იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის ბოლშევიკური ლოზუნგის სისწორეში. მეფის ხელისუფლებით უკმაყოფილება ყოველდღიურად იზრდებოდა და ღრმავდებოდა. ომის დასაწყისში მუშათა საგაფიცვო მოძრაობა შენელდა, 1915 წლიდან იგი ხელახლა სწრაფად ვითარდება, რაშიც დიდი როლი შეასრულა ბოლშევიკების ხელმძღვანელობამ.

1915 წელს მოხდა 1063 გაფიცვა, ე. ი. 15-ჯერ უფრო მეტი, ვიდრე 1914 წელს. განსაკუთრებით შესამჩნევი იყო მსხვილი სამრეწველო საწარმოთა მუშათა აქტივობა. 1916 წელი წარმოადგენდა თვით რუსეთისათვისაც უჩვეულო წელს საგაფიცვო მოძრაობაში. გაფიცვათა რაოდენობა გაიზარდა 1542-მდე, ხოლო მათი მონაწილეებისა — 1 მილიონ 172 ათასამდე.

მუშათა საგაფიცვო მოძრაობის ზრდა 1915 წლიდან შესამჩნევია საქართველოშიც. გაფიცვებში მონაწილეობდნენ თბილისის საწარმოები. გაფიცვებს ადგილი ჰქონდა საქართველოს სხვა ქალაქებშიც. განსაკუთრებით დიდი გაფიცვა მოხდა ტყიბულში საზოგადოება „ნახშირის“ საბადოებში. იგი ატარებდა შეუპოვარ ხასიათს და მუშათა გამარჯვებით დამთავრდა. მუშებმა მიაღწიეს 8 საათიანი სამუშაო დღის დაწესებას და ხელფასის გადიდებას. გაფიცვები ძირითადად ეკონომიურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ ზოგჯერ ეკონომიურ ნიადაგზე დაწყებული გაფიცვა პოლიტიკურ ელფერს ღებულობდა.

უკმაყოფილება სოფელსაც მოედო. გლეხთა ორგანიზაციულ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა გორის, სიღნაღის, შორაპნის, ზუგდიდის, სენაკისა და სხვა მაზრებში. მაგრამ ყველაზე სერიოზულ მღელვარებებს ადგილი ჰქონდა ოზურგეთის მაზრაში, რაზეც ნათლად მეტყველებენ ქუთაისის გუბერნატორის მოხსენებები პოლიციის დეპარტამენტისადმი 1915 წლის შემოდგომაზე.[1]

ამ მოხსენებებში გამოთქმული იყო შიში, რომ რუსეთში მღელვარებების შემთხვევებში ქუთაისის გუბერნიაში მოსალოდნელი იყო გლეხთა უფრო მასობრივი გამოსვლები.

1916 წელს რუსეთის სამრეწველო ცენტრებში საგაფიცვო მოძრაობის გაძლიერებამ გამოიწვია მუშათა გაფიცვების გაფართოება განაპირა მხარეებშიც. 1916 წლის დამდეგიდან საგაფიცვო მოძრაობა საქართველოშიც უფრო მასობრივ ხასიათს ღებულობს 1915 წელთან შედარებით. თუმცა თავისი ხასიათით და მასშტაბით იგი უფრო სუსტი იყო, ვიდრე ცენტრალურ რუსეთში.

1916 წლის პირველ ნახევარში ადგილი ჰქონდა თბილისის რკინიგზის მთავარ სახელოსნოების, თბილისის სპილენძის საგლინავი ქარხნის, თამბაქოს ფაბრიკა „კომეტას“, მექანიკური ქარხნის „მოლოტის“, იარალოვის მექანიკური ქარხნის, ტრამვაის, ადელხანოვის ტანისამოსის საკერავი სახელოსნოს და სხვა საწარმოთა მუშებისა და მოსამსახურეების გაფიცვებს, ამ პერიოდში რკინიგზის მთავარ სახელოსნოს მუშებმა სამჯერ შეწყვიტეს მუშაობა და ადმინისტრაციას წაუყენეს ეკონომიური ხასიათის მოთხოვნები. ჟანდარმერია აღნიშნავდა, რომ რკინიგზელი მუშების ამ გამოსვლებს ხელმძღვანელობდნენ ბოლშევიკები — „მემარცხენე მიმართულების ცალკეული მუშები“.[2]

1916 წლის პირველ ნახევარში გაფიცვებში მონაწილეობდნენ ბორჯომის მინის ქარხნის, ფოთის ნავთსადგურის, ჭიათურის მარგანეცის მაღაროებისა და ტყიბულის ქვანახშირის საზოგადოების „ნახშირის“ საბადოების, სოხუმის ზოგიერთი საწარმოთა მუშებიც.

---

1 საქ. სსრ ცსა (ქ. თბილისი) ფ. 2, ს. 3652, ფურც. 39-40; 49; 83.

2 საქ. სსრ ცსა (ქ. თბილისი), ფ. 321, აღწ. 5, საქ. 427, ფურც. 407.

მეფის ჯარების დამარცხებამ ფრონტებზე, ხალხის მატერიალური მდგომარეობის მკვეთრმა გაუარესებამ გამოიწვია მთელ ქვეყანაში სტიქიური მღელვარება. იგი ფართოდ მოედო 1916 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე საქართველოს, თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, გორში, სამტრედიაში მოხდა სტიქიური გამოსვლები, რომლებმაც მიიღეს „ქალთა ბუნტების“ სახელწოდება. მაგრამ მასში მარტო ქალები როდი მონაწილეობდნენ. დამშეულები არბევდნენ სასურსათო მაღაზიებს, გამოჰქონდათ საწყობებიდან პროდუქტები, რომლებიც ვაჭრებს და სპეკულანტებს ჰქონდათ გადამალული. მღელვარებამ მეფის ხელისუფლები ძლიერ შეაშფოთა.

მეფის ხელისუფლებმა მიიღეს სასტიკი რეპრესიული ზომები მღელვარების ჩასაქრობად. მაგრამ ამავე დროს დახმარებისათვის მოუწოდეს მენშევიკებს: მენშევიკებმა მოაწყეს დასავლეთ საქართველოს რაიონებში სახელმწიფო სათათბიროს წევრის კ. ჩხეიძის მოგზაურობა მღვდლისა და თავადის თანხლებით. ჩხეიძე მოუწოდებდა დამშეულთ შეეწყვიტათ მღელვარება და ებრძოლათ მჩაგვრელთა წინააღმდეგ მხოლოდ „კულტურული საშუალებებით“. ვ. ი. ლენინმა დაგმო ჩხეიძის მოქმედება და მას „ოპორტუნისტული სისაძაგლე“ უწოდა.

1916 წლის მეორე ნახევარში მუშათა საგაფიცვო მოძრაობა შედარებით ნელა ვითარდება. გაფიცვებს და მღელვარებას ადგილი ჰქონდა თბილისის დეპოსა და სავაგონო პარკში, ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა, ბოზარჯიანცის და საფაროვის, ენფიაჯიანცის თამბაქოს ფაბრიკების, ალიხანოვის და ტოლეს ქარხნების, ადელხანოვის ტყავის სახელოსნოს და სხვ. საწარმოთა მუშებს შორის. ზოგიერთ საწარმოს მუშები გაფიცვებში რამდენჯერმე მონაწილეობდნენ. გაფიცვები და გაფიცვებისგარეშე გამოსვლები მოეწყო ქუთაისის სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებში, ჭიათურის მაღაროებში, ტყიბულის შახტებში, ბათუმის ზოგიერთ საწარმოში. არა სრული ცნობებით, 1916 წელს ადგილი ჰქონდა საქართველოში 68 გაფიცვას. აქ არ შედის გაფიცვების გარეშე გამოსვლები. მათში მონაწილეობდა 21,5 ათასზე მეტი კაცი.[1] ეს რამდენჯერმე აღემატებოდა 1915 წელს გაფიცვებში მონაწილეთა რაოდენობას. აქედან წლის პირველ ნახევარში მოხდა 33 გაფიცვა, რომლებშიც მონაწილეობდა 14538 კაცი, მეორე ნახევარში ჩატარდა 35 გაფიცვა, მონაწილეთა რაოდენობა შეადგენდა დაახლოებით 7 ათას კაცს (6992). საგაფიცვო მოძრაობა 1916 წლის ბოლოს შედარებით შენელდა. მაგრამ ეს იყო სიწყნარე დიდი ქარიშხლის წინ. ასევე იყო რუსეთის სამრეწველო ცენტრებშიც.

მუშათა საგაფიცვო მოძრაობის გაშლა 1915-1916 წლებში და გლეხთა რევოლუციური გამოსვლები ,მეფის არმიის დამარცხებები და ჯარისკაცთა საშინელი უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობის გაუარესება ხელს უწყობდა არმიაში უკმაყოფილების ზრდასა და „პორაჟენცული“ განწყობილების ზრდას. როგორც პროტესტის ნიშანი ომის წინააღმდეგ არმიაში ფართოდ გავრცელდა დეზერტირობა, დაძმობილება მტრის ჯარისკაცებთან და უარისთქმა შეტევებში მონაწილეობაზე.

კავკასიის ფრონტის არმია შიმშილობდა, არ ჰქონდა საჭურველი, საომარი მასალა და ტანსაცმელი, საშინელი ანტისანიტარია და ეპიდემიები მუსრს ავლებდნენ ჯარისკაცებს. 1916 წლის შემოდგომაზე პირადი შემადგენლობის თითქმის ერთი მეოთხედი სამხედრო ლაზარეთებსა და საავადმყოფოებში იწვა, ბევრი ავადმყოფი სანგრებში იხოცებოდა.

---

[1] М. В. Церцвадзе. Революционное движение в Грузии в 1914—1917 годах, М. 1957. стр. 238, 254.

არმიის განწყობილებას ყველაზე კარგად გამოხატავდნენ ჯარისკაცთა წერილები თავიანთი ნათესავებისადმი ზურგში. მათში აღწერილია ჯარისკაცთა ცხოვრების საშინელი და აუტანელი პირობები, რომლის შედეგადაც არმიამ თავისი მებრძოლი სული დაკარგა. წერილები ხატავდნენ ომით დაღლილობასა და ზავისაკენ მისწრაფებას.

„მასების განწყობილება ზავის სასარგებლოდ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ხშირად გამოხატავს პროტესტის, აღშფოთებისა და ომის რეაქციულობის შეგნების დასაწყისს“[1]. ამას ადასტურებდა კავკასიის ფრონტის ჯარისკაცებსა და უმცროს ოფიცერთა წერილები.

1916 წლის დეკემბერში კავკასიის ფრონტის შტაბის სამხედრო ცენზურის განყოფილების უფროსი წერდა:

„უკანასკნელმა ამბებმა (მეფის არმიის დამარცხებებმა — ს. ჩხ.) ძლიერ დაადარდიანეს და შეაშფოთეს ჩვენი არმიის რიგები. სულის სიმხნევე ბევრმა დაჰკარგა, ხოლო გამარჯვების იმედი უკვე ისეთი აღარაა, როგორც წინათ... თუ წინა ცნობებში იშვიათად გვხვდებოდა სასოწარკვეთილი წერილები, ახლანდელ ცნობებში, პირიქით, იშვიათად გვხვდება წერილები, რომლებიც სავსე იყოს მომავლის იმედებით“.[2]

ბოლშევიკური ფურცლები და მოწოდებანი დიდ გამოხმაურებას ჰპოულობდა ჯარისკაცებში, რაც ხელს უწყობდა „პორაჟენცული“ სულისკვეთების შექმნას.

არმიაში პროტესტისა და „პორაჟენცული“ განწყობილებების გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა იყო მასობრივი დეზერტირობა. 1916 წლისათვის რუსეთის არმია 1,5 მილიონ დეზერტირს ითვლიდა. მასობრივი იყო დეზერტირობა კავკასიის ფრონტის ჯარებშიც. მან თავი იჩინა ომის დაწყებისთანავე, მაგრამ განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი მიიღო 1916 წლის მეორე ნახევარში. დეზერტირებს მალავდა მოსახლეობა. იყო ნაწილები, საიდანაც გაქცეულა პირადი შემადგენლობის უმრავლესობა. დეზერტირებთან ბრძოლისათვის მეფის ხელისუფლება სასტიკ ზომებს ღებულობდა. 1916 წლის მეორე ნახევარში სიღნაღის მაზრაში დააკავეს 1500-ზე მეტი დეზერტირი, თბილისში — 700-მდე, ათასობით დეზერტირი დაკავებული იქნა სხვა მაზრებში. ეს იყო მხოლოდ იმის მცირე ნაწილი, რაც მოქმედი და ზურგის ნაწილებიდან იყვნენ გამოქცეულნი.

არმიის გარევოლუციონერების, სტიქიური პროტესტისა, ომის წინააღმდეგ ბრძოლის უფრო მაღალ ფორმას წარმოადგენდა შეტევაში მონაწილეობაზე უარისთქმა არა მარტო ცალკეული ჯარისკაცების, არამედ ქვეგანაყოფების, მთელი ნაწილების მხრივ, ხოლო 1917 წლის დამდეგს შეტევაზე უკვე უარი განაცხადა ზოგიერთმა შენაერთმაც. ცალკეულ ასეთ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა ომის დასაწყისში და 1915 წლის განმავლობაში. მაგრამ იგი განსაკუთრებით გახშირდა 1916 წლის მეორე ნახევარში და 1917 წლის დამდეგს. მეფის ხელისუფალთა ყოველი ცდა ამაო რჩებოდა. არმიაში უკმაყოფილება საშიშ ფორმას იღებდა.

1917 წლის დამდეგისათვის რუსეთში შეიქმნა რევოლუციური სიტუაცია. ეს წელი დაიწყო 9 იანვრისადმი მიძღვნილი გრანდიოზული პოლიტიკური გაფიცვით, რომელსაც სათავეში პეტროგრადის პროლეტარიატი ედგა. იანვარ-თებერვალში გაფიცული იყო 1300 ათასი კაცი. გაძლიერდა გლეხთა და ჯარისკაცთა რევოლუციური გამოსვლებიც. იანვარ-თებერვალში გაფიცვებში მო-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 21, გვ. 383.

[2] საქ. სსრ ცსა (ქ. თბილისი), ფ. 521, აღწ. 5, საქ. 430, ფურც. 2.

ნაწილეობდნენ თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების, ტყიბულის ქვანახშირის საბადოების და სხვა საწარმოთა მუშები. სურსათისა და პირველი მოთხოვნილების სხვა საგნების ზღაპრული სიძვირე ახალი მღელვარების წარმოშობის შესაძლებლობას ქმნიდა. თბილისის პოლიცმეისტერი ამ პერიოდში წერდა, რომ „აგენტურა საერთო განწყობილებას აფასებს „ცუდად"[1]. საქართველოს მშრომელთა რევოლუციურ განწყობილებაზე დიდი გავლენა მოახდინა ბაქოს მუშათა პოლიტიკურმა გაფიცვამ, რომელიც 17 იანვარს დაიწყო. 10 თებერვალს მოხსენებაში გუბერნატორისადმი თბილისის პოლიცმეისტერი წერდა: „აგენტურას უკანასკნელ დღეებში შემაშფოთებელი ცნობები მოაქვს. ღარიბ ფენებში ძლიერდება ხმები დარბევის აუცილებლობის შესახებ. საუბრის დროს ყოველთვის მიუთითებენ ბაქოსა და მოსკოვზე... საერთოდ, მეტად სერიოზული მდგომარეობა იქმნება, რაღაც მწიფდება... აღშფოთებული მოსახლეობა დიდ იმედებს ამყარებს ჯარისკაცების მხრივ დახმარებასა და დაცვაზე"[2] (ხაზგასმა ჩვენია — ს. ჩხ.). ასეთივე მდგომარეობის შესახებ წერდნენ პოლიციის მოხელეები ბათუმში[3] და სხვა ქალაქებში. ამრიგად, რევოლუციის მოახლოება საქართველოშიც საყოველთაოდ იგრძნობოდა. თუმცა დიდ რევოლუციურ გამოსვლებს ადგილი არ ჰქონია, მაგრამ საქართველოს მუშათა კლასი, გლეხობა, კავკასიის ფრონტის ჯარისკაცები სავსებით მომზადებულნი იყვნენ მხარი დაეჭირათ რუსი პროლეტარიატისათვის ცარიზმის დასამხობად გამართულ ბრძოლებში.

რევოლუციის მოახლოებით შეშფოთებული მეფის მთავრობა ღებულობდა სასტიკ ზომებს მის თავიდან ასაცილებლად. იგი ფარულად ემზადებოდა გერმანიასთან „სეპარატიული ზავის" დასადებად. გადაწყდა სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნა და ხელისუფლების სამხედრო დიქტატურის ხელში გადაცემა.

სეპარატული ზავის დადებისათვის მზადებამ გააერთიანა ერთ ბლოკში ანტანტის ქვეყნების ბურჟუაზია და რუსეთის იმპერიალისტური ბურჟუაზია. ანტანტის ქვეყნებს ეშინოდათ არ დაეკარგათ რუსეთის არმიების დახმარება, ხოლო რუსეთის ბურჟუაზიას — დიდი სამხედრო მოგება. ამიტომ მათ გადაწყვიტეს ჩაეტარებინათ სასახლის გადატრიალება, ჩამოეგდოთ ნიკოლოზ მეორე და ტახტზე აეყვანათ მისი მცირეწლოვანი შვილი, მეფის ძმის, ბურჟუაზიულ წრეებთან ახლო მყოფი, მიხეილის რეგენტობით. ორივე შეთქმულება მიმართული იყო რევოლუციის წინააღმდეგ. მაგრამ არც ერთ მათგანს განხორციელება არ ეწერა. ხალხის უფრო და უფრო ფართო მასები რწმუნდებოდნენ, რომ აუტანელი მდგომარეობიდან მხოლოდ ერთი გამოსავალია — მეფის თვითმპყრობელობის დამხობა.

რევოლუციის დამწყებისა და მეთაურის როლი წილად ხვდა პეტროგრადის პროლეტარიატს. დედაქალაქში განსაკუთრებით მწვავე მდგომარეობა შეიქმნა თებერვლის მეორე ნახევარში. 17 თებერვალს გაიფიცა პუტილოვის ქარხნის ერთი სახელოსნო. ადმინისტრაციამ გადაწყვიტა 23 თებერვლიდან დაეხურა საწარმო. ამან მუშათა ახალი აღშფოთება გამოიწვია. 23 თებერვალს (8 მარტს) დედაქალაქის მშრომელებმა იდღესასწაულეს ქალთა საერთაშორისო დღე. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით გაიმართა ქალთა დემონსტრაცია. ამ დღეს პეტროგრადში გაიფიცნენ 60 ქარხნის მუშები, რომელთა რაოდენობა

[1] საქ. სსრ ცსა (ქ. თბილისი), ფ. 2, საქ. 4490, ფურც. 3.
[2] იქვე, ფურც. 9.
[3] იქვე, საქმე 4984, ფურც. 3.

128 ათასს აღემატებოდა. 23 თებერვალს საღამოს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მითითება მისცა გაფიცვების განგრძობის შესახებ მათი საყოველთაო გაფიცვად გადაქცევის მიზნით. გაფიცვები ახალი ძალით გაიშალა. 24 თებერვალს გაფიცვებში უკვე მონაწილეობდა 200 ათასზე მეტი კაცი, ხოლო 25 თებერვალს დედაქალაქში გაფიცვებმა საყოველთაო ხასიათი მიიღო.

26 თებერვალს ბოლშევიკების მოწოდებით მუშები პოლიტიკური გაფიცვიდან აჯანყებაზე გადადიან. ისინი ახდენდნენ პოლიციის განიარაღებას და თვითონ იარაღდებოდნენ.

რევოლუციური მოვლენების ზეგავლენით დაიწყო არმიის შერყევა. ჯარისკაცები ყოყმანობდნენ. მათ შორის ბოლშევიკებმა გაავრცელეს ფურცლები, რომლებშიც მოუწოდებდნენ ჯარისკაცებს გადასულიყვნენ მუშათა მხარეზე. 27 თებერვალს დილით დაიწყო ჯარისკაცთა მასობრივი გადასვლა რევოლუციის ბანაკში. აჯანყებულებმა ხელში ჩაიგდეს ციხეები და გაათავისუფლეს პოლიტიკური პატიმრები. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოუწოდა მშრომელებს ბოლო მოეღოთ ცარიზმისათვის და შეექმნათ რევოლუციური ხელისუფლება, დაემყარებინათ დემოკრატიული რესპუბლიკა, შემოეღოთ რვა საათიანი სამუშაო დღე, მოეხდინათ მემამულეთა მიწების კონფისკაცია.

მუშათა კლასის, გლეხობისა და ჯარისკაცთა რევოლუციური დაწოლის შედეგად მეფის მონარქია დაემხო. ეს მოხდა 1917 წლის 27 თებერვალს (12 მარტს). ეს იყო რუსეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება.

რევოლუციის გამარჯვების პირველსავე დღეს, 27 თებერვალს, საწარმოებში და ჯარის ნაწილებში არჩეული დელეგატებისაგან შეიქმნა ერთიანი რევოლუციური ორგანიზაციები — მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები. 28 თებერვლიდან 2 მარტამდე მუშებმა და ჯარისკაცებმა მოიპოვეს გამარჯვება მთავარ სამრეწველო ქალაქებში, ხოლო შემდეგ რევოლუცია მთელ ქვეყანაში გავრცელდა. ყველგან იქმნებოდნენ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები.

საბჭოები წარმოადგენდნენ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის, რევოლუციისა და მუშათა კლასისა და გლეხობის ხელისუფლების ორგანოებს. მაგრამ საბჭოების გვერდით, რომლებიც ახორციელებდნენ მუშათა და გლეხთა რევოლუციურ-დემოკრატიულ დიქტატურას, წარმოიშვა დროებითი მთავრობა, რომელიც ბურჟუაზიისა და მემამულეთა ორგანოს წარმოადგენდა. იგი შეიქმნა 2 მარტს. მასში შევიდნენ მემამულეთა და კაპიტალისტთა წარმომადგენლები, ხოლო დემოკრატიის წარმომადგენლად შეყვანილი იქნა ესერი კერენსკი. ასე შეიქმნა ქვეყანაში ო რ ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ა ნ ო ბ ა: დროებითი მთავრობა და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო.

რუსეთში რევოლუციის გამარჯვება არ იყო მოულოდნელი. იგი მომზადებული იყო მთელი წინანდელი განვითარებით.

„თუ არა სამი წლის უდიდესი კლასობრივი ბრძოლები და რუსეთის პროლეტარიატის 1905-1907 წლების რევოლუციური ენერგია, — წერდა ვ. ი. ლენინი,—ისე შეუძლებელი იქნებოდა ესოდენ სწრაფი მეორე რევოლუცია, სწრაფი იმ აზრით, რომ მისი დ ა წ ყ ე ბ ი თ ი ე ტ ა პ ი რამდენიმე დღეში დამთავრდა...

თუ არა 1905-1907 წლების რევოლუცია, თუ არა 1907-1914 წლების კონტრრევოლუცია, ისე შეუძლებელი იქნებოდა რუსი ხალხის და რუსეთში მოსახლე ხალხების ყველა კლასის ასეთი ზუსტი „თვითგამორკვევა“, შეუძლებელი იქნებოდა ამ კლასების ურთიერთისადმი და მეფის მონარქიისადმი დამოკიდე-

ბულების განსაზღვრა, რამაც თავი იჩინა 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის 8 დღის განმავლობაში. ეს რვა დღის რევოლუცია, თუ შეიძლება ასე მეტაფორულად გამოიხატოს, ზუსტად იქნა „გათამაშებული“ ათიოდე მთავარი და მეორეხარისხოვანი რეპეტიციის შემდეგ; „მსახიობები“ თავიდან ფეხებამდე იცნობდნენ ერთმანეთს, ჩინებულად იცოდნენ თავიანთი როლები, თავიანთი ადგილები, გარემო, პოლიტიკურ მიმართულებათა ყველა რამდენადმე თვალსაჩინო ელფერი და მოქმედების ხერხები“.[1]

რევოლუციამ გაიმარჯვა იმიტომ, რომ მუშათა კლასი იყო რევოლუციის წამომწყები და სათავეში ედგა ჯარისკაცების ფარაჯებში გადაცმულ გლეხთა მილიონიანი მასების მოძრაობას — „ზავისათვის, პურისათვის, თავისუფლებისათვის“.

„რუსეთის მუშებს, — წერდა ვ. ი. ლენინი, — წილად ხვდათ პატივი და ბედნიერება პ ი რ ვ ე ლ თ დაეწყოთ რევოლუცია, ესე იგი დაეწყოთ დიადი, ერთადერთი კანონიერი და სამართლიანი, ომი ჩაგრულებისა — მჩაგვრელთა წინააღმდეგ“.[2]

საბჭოებში უმრავლესობა ხელში ჩაიგდეს მენშევიკებმა და ესერებმა, რომლებმაც ნებაყოფლობით გადაცეს ხელისუფლება ბურჟუაზიას და შესაძლებელი გახადეს დროებითი მთავრობის შექმნა, ორხელისუფლებიანობის გაჩენა.

ბურჟუაზიის მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდება მთელი რიგი მიზეზებით აიხსნება. რევოლუციამ შექმნა პირობები პოლიტიკაში მონაწილეობა მიეღოთ მილიონობით ადამიანებს, რომლებსაც საამისო გამოცდილება არ ჰქონდათ. ეს ადამიანები თავიანთი მდგომარეობით ძირითადად წვრილბურჟუაზიას ეკუთვნოდნენ. „უზარმაზარმა წვრილბურჟუაზიულმა ტალღამ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — წალეკა ყველაფერი, ჩაახშო შეგნებული პროლეტარიატი არა მარტო თავისი სიმრავლით, არამედ იდეურადაც, ე. ი. მოიცვა მუშათა ფრიად ფართო წრეები და გადასდო მას წვრილბურჟუაზიული შეხედულებანი პოლიტიკაზე“.[3]

პეტროგრადში რევოლუციის გამარჯვების ამბავი ჩქარა გახდა ცნობილი საქართველოს მშრომელებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ხელისუფლები და აგრეთვე მენშევიკები და სხვა წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული პარტიები რამდენიმე დღის განმავლობაში საიდუმლოდ ინახავდნენ პეტროგრადიდან მიღებულ ცნობებს, ადგილებზე იმართებოდა მიტინგები და კრებები, რომლებზეც მშრომელები მხარს უჭერდნენ და დახმარებას ჰპირდებოდნენ პეტროგრადის მუშებსა და ჯარისკაცებს. მაგალითის მიმცემნი თბილისელი მუშები იყვნენ. 3 მარტს თბილისის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში მოეწყო მუშათა 3 ათასიანი მიტინგი. მიტინგზე მიღებული იქნა მისალმება პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებისადმი. ამ მისალმებაში მუშები წერდნენ: „გამოვთქვამთ თქვენდამი ჩვენს სრულ თანაგრძნობას ძველ ხელისუფლებასთან ბრძოლაში, რომელმაც ქვეყანა მიიყვანა სრულ დანგრევასა და დაცემამდე. განაგრძეთ მთელი ქვეყნისა და ჩვენი კლასის საერთო კეთილდღეობისათვის თქვენ მიერ დაწყებული მუშაობა. ჩვენ თქვენთან ვართ“.[4]

ოფიციალურად ცნობები პეტროგრადის ამბების შესახებ მენშევიკურმა გაზეთმა „თანამედროვე აზრმა“ გამოაქვეყნა მხოლოდ 5 მარტს. მენშევიკები

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 23, გვ. 394-395.
2 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 23, გვ. 461.
3 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 24, გვ. 53.
4 გაზ. „ტიფლისკი ლისტოკი“, 1917 წლის 5 მარტი. № 52.

მოუწოდებდნენ მუშებს მხარი დაეჭირათ დროებითი მთავრობისათვის „რეაქციასთან“ ბრძოლაში და დაეცვათ წესრიგი, ე. ი. ფაქტიურად შეესრულებინათ მეფის ყოფილ ხელისუფალთა განკარგულებანი. მენშევიკებმა 4 მარტს მოლაპარაკებაც კი გამართეს ყოფილ მეფისნაცვალთან. მოლაპარაკების საფუძველზე ამ უკანასკნელმა მიმართა სპეციალური ცირკულარით გუბერნატორებს, რომელშიც აღნიშნავდა, რომ მოსახლეობა ინარჩუნებს სრულ სიმშვიდეს და ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სოციალ-დემოკრატების ჩათვლით, გვპირდებიან წესრიგის დაცვას. ამრიგად, მენშევიკების და სხვა წვრილბურჟუაზიული პარტიების მესვეურთა უმოქმედობით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მეფის ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა გარკვეული დროის განმავლობაში შეინარჩუნეს ძალაუფლება. ამიერკავკასიიდან უვნებლად 6 მარტს საკუთარი მატარებლით გაემგზავრა მეფისნაცვალი. მოგვიანებით დააპატიმრეს ჟანდარმთა სამმართველოს მოსამსახურენი, პოლიცმეისტერები და გუბერნატორები.

მუშათა კლასის პოლიტიკური აქტივობის შედეგად, როგორც რუსეთის სამრეწველო ცენტრებში, ისე საქართველოში და ამიერკავკასიაში, დაიწყო საბჭოების შექმნა. 4 მარტს შეიქმნა თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭო, ხოლო 6 მარტს ჩამოყალიბდა თბილისის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო. მათი შექმნის პირველი ინიციატორები ბოლშევიკები იყვნენ ფ. მახარაძის მეთაურობით. მაგრამ შემდეგში საბჭოებში უმრავლესობა ხელში ჩაიგდეს მენშევიკებმა და ესერებმა. აქ მოულოდნელი არაფერი იყო, რადგან საქართველოში უფრო ძლიერი იყო ის წვრილბურჟუაზიული სტიქია, რომელზეც ვ. ი. ლენინი წერდა თებერვლის რევოლუციის პირველ პერიოდში.

1917 წლის 9 მარტს დროებითი მთავრობის დადგენილებით ახალი „წესრიგის“ დასამყარებლად და „ამიერკავკასიის მხარის მოსაწყობად“ შეიქმნა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი („ოზაკომი“). მის შემადგენლობაში შევიდნენ სახელმწიფო სათათბიროს წევრები კადეტი ბ. ხარლამოვი, კადეტი მ. პაპაჯანოვი, მუსავატელი მ. ჯაფაროვი, სოციალისტ-ფედერალისტი კ. აბაშიძე და მენშევიკი ა. ჩხენკელი. ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი იყო ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის ორგანო, რომელიც შეუდგა ადგილობრივი ხელისუფლების მოწყობას, რომლის შექმნა თვით „ოზაკომის“ ჩამოყალიბებამდე დაიწყო.

ბოლშევიკური პარტიის წინაშე დადგა ამოცანა გამოეაშკარავებინა დროებითი მთავრობის იმპერიალისტური ხასიათი, გამოემჟღავნებინა მენშევიკებისა და ესერების გამცემლობა და დაემტკიცებინა, რომ ზავისა და თავისუფლების მიღწევა შეუძლებელია, თუ დროებითი მთავრობა არ შეიცვლა საბჭოების მთავრობით.

დაიწყო რევოლუციის განვითარების ახალი ხანა, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის პერიოდი, რომელიც ახალ ისტორიულ ეპოქას მოიცავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## იპოლიტე ვართაგავა

ეს კრიტიკული სტატია უკვე აწყობილი იყო, როცა რედაქციამ მიიღო სამწუხარო ცნობა: ქართველ საბჭოთა მწერლების რიგებს გამოაკლდა უხუცესი მწერალი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იპოლიტე ვართაგავა.

ის იყო ცოცხალი მატიანე ჩვენი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ცხოვრებისა. ამ ათიოდე წლის წინად გამოქვეყნებული ორი ტომი და ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი მესამე ტომი მისი მემუარებისა შეიცავს მდიდარ ფაქტობრივ მასალას, სადაც აღბეჭდილია თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა ქართული ლიტერატურის ისტორიისა და დახატულია მრავალი დიდი თუ მცირე მოღვაწის პორტრეტები, დაწყებული გასული საუკუნის 90-იანი წლებით და დამთავრებული ჩვენი საუკუნის სამოციანი წლებით. იპოლიტე ვართაგავამ დიდ ხანს იცოცხლა და დიდი საქმეც გააკეთა. თავი რომ დავანებოთ მის ხანგრძლივ პედაგოგიურ მოღვაწეობას, იმ საგულისხმო ფაქტს, რომ მან ჭეშმარიტი ჰუმანური და პატრიოტული სულისკვეთებით აღზარდა კულტურის ბევრი მუშაკი, პედაგოგი, მწერალი, ხელოვანი და საზოგადო მოღვაწე, მისი სახელის დასამკვიდრებლად ქართული ლიტერატურის ისტორიაში კმარა მარტო მისი ლიტერატურულ-კრიტიკული მემკვიდრეობა, რომელიც რამდენიმე ტომს მოიცავს. გადაჭარბება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ იშვიათია მე-19 და მე-20 საუკუნის ისეთი ქართველი მწერალი, რომლის შემოქმედებასაც არ შეეხებოდეს მისი კალამი. როგორც კრიტიკოსი, იგი გულისხმიერი იყო იმ მწერლების მიმართაც, რომელნიც ლიტერატურულ სარბიელზე რელიეფურად არ ჩანდნენ, მაგრამ თავის კვალს მაინც ავლებდნენ ქართული მწერლობის განვითარების საერთო პროცესში. იპოლიტე ვართაგავა არის ავტორი შრომებისა: „მოკლე მიმოხილვა ქართული მწერლობისა უძველესი დროიდან", პოეტი — მოქალაქე გრიგოლ აბაშიძე" (1912 წ. გამოქვეყნებული), „მოთხრობები დუტუ მეგრელისა", „ია ეკალაძის შემოქმედება", „იროდიონ ევდოშვილის პოეზია", „სიმღერა მთის შვილის ვაჟა-ფშაველასი", „სოფელი და სოფლელები სოფრომ მგალობლიშვილის შემოქმედებაში", „შიო მღვიმელი და ბავშვთა სამყარო", „სული ახალი საქართველოსი — ნიკოლოზ ბარათაშვილი", ამასთან ი. ვართაგავა არის ავტორი მონოგრაფიებისა რაფიელ ერისთავის, ია ეკალაძის, შალვა დადიანის, მიხ. ჯავახიშვილის, ი. გრიშაშვილის, ლეო ქიაჩელის შემოქმედებაზე. მას ეკუთვნის მრავალი საბჭოთა მწერლის, მათ შორის, ალიო მირცხულავას, ალ. აბაშელის, ს. კლდიაშვილის კრიტიკული განხილვა-შეფასება, რაც ჯერ გამოქვეყნებული არ არის. აღსანიშნავია აგრეთვე მისი შრომები: „სიტყვიერების თეორია", „მე-19 საუკუნის ქართულ ჟურნალ-გაზეთების გამოჩენილი რედაქტორები", „ქართველ მწერალთა სილუეტები" და სხვ.

სიკვდილის უკანასკნელ დღეებამდე იპ. ვართაგავას არ შეუწყვეტია მუშაობა. გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე მან „მნათობის" რედაქციას მოაწოდა სტატია პოეტ ხუტა ბერულავას შემოქმედებაზე. როგორც თვითონვე რედაქციისადმი გამოგზავნილ ბარათში აღნიშნავდა, ეს წერილი, მართლაც, ამ უხუცესი მწერლის უკანასკნელი ნაწერი აღმოჩნდა.

## ხუტა ბერულავა

არ მავიწყდება შენს მონა-მორჩილს,
რომ შენ ხარ ჩემი ყველაზე ტკბილი,
ყველაზე ძველი, ყველაზე ნორჩი,
ყველაზე უფრო ნანატრი შვილი.

თქვენ, ალბათ, გახსენდებათ ეს სტრიქონები პოეტ ხუტა ბერულავას ლექსიდან: „ეს ოცი წელი და გაოცება" (წიგნიდან „ეს ოცი წელი").

აღნიშნული კრებული შეჯამებაა პოეტის ყველაზე საუკეთესო ქმნილებებისა, მისი განვლილი გზისა.

წიგნი უნებურად გვაგონებს იმ გალე-

რეას, სადაც მხატვარი თავისი ათეული წლების ნამუშევარს ერთბაშად გამოიტანს სამსჯავროს წინაშე და, პირველ ყოვლისა, თვითონ შეაფასებს მას.

„ყველაზე უფრო ნანატრი შვილი,“ — აი, როგორ მიმართა ხუტა ბერულავამ თავის ლექსს, თავის პოეზიას და ეს არც გასაკვირია: „კარგი წიგნი ავტორისა — ეს უკვდავი ბავშვია, რომელიც თავის მშობელს მარადიულ სიცოცხლეს ანიჭებს“, — აი, გასული საუკუნეების ბრძნული ნათქვამი.

ხელოვანი ადამიანი წლების განმავლობაში ისევე ზრდის თავის შემოქმედებას, როგორც დედა შვილს.

და რა წამს შვილს აეშლება სახეზე გერმა, რა წამს ჩამოყალიბდება მასში დამოუკიდებელი პიროვნება, იგი ტოვებს დედის კალთას, მკერდს, ტოვებს იმ ბუდეს, რომელშიაც დაფრთოვანდა და ამიერიდან იგი მარტო დედას აღარ ეკუთვნის: ის ხალხის და საზოგადოების კუთვნილებაა.

ასევეა ხელოვანის და მისი შემოქმედების ბედიც...

ხუტა ბერულავა ათეული წლების განმავლობაში მტკიცედ მიაბიჯებს ქართულ პოეზიაში.

კრიტიკის სასწორი მუდამ მის სასარგებლოდ იხრება. ამას განაპირობებს მისი ნიჭი, მისი პოეტური ტალანტი. თუმცა იგი იმავე ზემოთდასახელებულ ლექსში ზომაზე მეტ თავმდაბლობას იჩენს და მკითხველის წინაშე საჯაროდ აცხადებს:

რომ პოეზიის ცხრაკლიტულ კართან
უგასაღებოდ ვარ ატუზული.

თავის შესანიშნავ ლექსს — „დავითიანის გადამრჩენელი“ პოეტი ხუტა ბერულავა უკეთებს ასეთ ეპიგრაფს: „კრემენჩუგში მყოფ ქართველთა ელჩს, მირიან ბატონიშვილს, გურამიშვილმა თავისი წიგნი გამოატანა საქართველოში“... და შემდეგ სწერს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას ეპატიოს, თუკი მოკვდავი
უკვდავებასთან იდგა მეფურად...
მასში იპოვა მხსნელი ვარსკვლავი
მშობლიურ მიწას მოშორებულმა.
და ჩააბარა, როგორც შვილს შვილი,
ის, რაც სიცოცხლის ნუგეშად დარჩა.
შიგ იყო კაცის დარდი, შიმშილი,
ოცნება, ფიქრი, იმედი, გარჯა.

„დავითიანი“ ეს არის სულიერი და, საერთოდ, ერთადერთი მემკვიდრე დავით გურამიშვილისა. და რაოდენ სიყვარულის ღირსია ის ადამიანი, ვინც ეს განძი გადაურჩინა საქართველოს.

და... დავიწყებას მსურს გადაურჩეს
„დავითიანის“ გადამრჩენელი.

მართლაც, „დავითიანი“ ისეა დაკავშირებული მირიან ბატონიშვილის სახელთან, როგორც მისი უკვდავების გარდაუვალი ბედისწერა.

ძნელია ადამიანისათვის, იდგეს პოეზიის სამსახურში.

ლადო ასათიანის ლექსს, რომ „პოეტის გარდა ყველას ქონია დღე დასვენების“, პოეტი ხუტა ბერულავაც უყოყმანოდ ეთანხმება და წერს:

არა მაქვს ძილი მყუდრო და მშვიდი,
რაც დავიბადე ჩემდა მტანჯველად.

— შვილი ვარ შენი, — მიმართავს ბერულავა პოეზიას...

— და უდედომ დედა გიწოდე, — მშობლად მიიჩნევს პოეზიას. ლექსი, პოეტის აზრით, ესაა ჩირაღდანი, რომლითაც შეიძლება სიმართლის მიტანა კაცის გულთან. ხოლო ეს რომ პოეტმა შესძლოს, საჭიროა, პირველ ყოვლისა, ის თვითონ იყოს ხელოვანი, ხელოვანი, რომლის შესახებ ბელინსკი წერს: „ხელოვანი იბადება, და არავინ არ შეიძლება ხელოვანი გახდეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას განზრახვა აქვს ხელოვანი გახდეს“.

ლექსში — „წიგნის გამყიდველს“ — პოეტი ხუტა ბერულავა ამბობს: დღეს

რომ თაროზე ჩემი ლურჯი წიგნები სხედან, „ნეტავ, თუ ვინმეს აღელვებენ, ამბროსი ძია?!“

ამ შეკითხვაზე ჩვენ უბრალოდ ვუპასუხებთ: ჭეშმარიტი პოეზია ყოველთვის აღელვებდა და აღელვებს ადამიანებს.

თუ ხუტა ბერულავას ლექსთა კრებულს კარგად გავეცნობით, ჩვენ მასში ადვილად ამოვიკითხავთ ისეთ თემებს, რაც საერთოა ყველა ადამიანისათვის, რაც ამაღელვებელი და პრობლემატურია, რაც წმინდა და მარადიულია.

კრებულში ერთდროულად ჩვენ გავეცნობით პოეზიისადმი მიძღვნილ ლექსებს, როგორც პოეტის ყოველგვარი აზროვნების საწყისს.

ჩვენ აქ ჩამოვთვლით რამდენიმე ლექსის სათაურებს. ისინი თვითონ მიგვითითებენ თემებზე: „ოდა ბაგრატიონს“, „ჩემო მამულო“, „ცოტნე დადიანს“, „ვლადიმერ ლენინს“, უსათაურო — „მინდა შევიმკო თმები გვირილით“, „სიჩუმეა ანანურის ციხესთან“, „თბილისის ზღვასთან“, „ენგურის ქალალდი“, „კოლხური მელოდიები“ და უამრავი სხვა.

აქ მოცემულია მთელი პირადული სამყარო.

აქ წარსული ერწყმის თანამედროვეობას.

აქ არის ლენინი...

ლექსი „კოლხური მელოდიები“ ერთ-ერთი წამყვანი ნიმუშია პოეტის კრებულში და მიძღვნილია მშობლიურ კოლხეთისადმი.

ამ ლექსში მკითხველს ძირითადად არ ესმის წარსული დროის შორეული გამოძახილი, მაგრამ შიგადაშიგ ეს განწყობაც იგრძნობა:

ვარ გათანგული ნაცნობ მოტივით,
როგორც გარშემო ბუნება მთელი,
და ენგურს მისი მცირე ტოტივით
ჩემს თვალწინ ერთვის სიმღერა ძველი.

კოლხეთის წარსულის წიაღში ჩვენ ვეცნობით ლეგენდარული მეფეების — წათეს და გუბაზის სახელებს, ხოლო მათ გვერდით — რომის კეისრის და პომპეუსის ბრძოლებს.

ძველი საბერძნეთის ზღვაოსნებმა ფათერაკებით აღსავსე შორეული გზები მჭიდროდ დაუკავშირეს კოლხეთს. ბერძნებს კოლხეთში შემოჰქონდათ ძვირფასი საქონელი, ხორბლით სავსე ამფორები და გაჰყავდათ იქიდან მონები, გაჰქონდათ ხე-ტყე.

ბერძენთა საზღვაო მოგზაურობებში დიდი მოძალადეობაც იგრძნობა კოლხების მიმართ, მაგრამ თავის მხრივ იმავე ბერძნებმა ბრწყინვალე საისტორიო ცნობები დაგვიტოვეს ჩვენი სახელოვანი წინაპრების შესახებ.

კოლხეთი ბერძნებს წარმოედგინათ ზღაპრულ ქვეყნად, სადაც შეიძლებოდა ოქროს საწმისის მოპოება, და ამის გამო იქ აწყობდნენ არაერთ საზღვაო ლაშქრობებს.

ოქროს საწმისის ლეგენდა იმდენად სახელგანთქმული იყო, რომ იგი არ გამოპარვია თვით ჰომეროსსაც კი.

აი ეს არის „სიმღერა ძველი“, რომელიც ჩაესმის პოეტს. ეს არის კოლხური მელოდიები.

მაგრამ აქ არის დღევანდელი კოლხეთიც:

დილა არის თუ ღამის მწუხრია,
ადიდებს ვაჟკაცს და არა მონას
შალამბერიძეს და სხულუხიას
მამულის ტრფობა მან შთააგონა.

კოლხური მელოდიები ეს არის ხმა, რომელმაც პოეტს ასწავლა უკვდავი სიტყვის ყადრი და დააფიცა რუსთაველის ენა. „მე საქართველო მან შემაყვარა“. მანვე შეაყვარა სამშობლო ჩვენს გმირებს — შალამბერიძეს და სხულუხიას. და ადამიანს, რომელიც კოლხეთის მიწაზე დაბადებულა და რომელსაც თავისი კარიბჭის ზღურბლზე გადმოუბიჯებია, კოლხური მელოდიები თან წაყვება სულიერ საგზლად; წაყვება, როგორც კერიის სითბო, გმირთა ამოკვნესა და წინაპართა ძახილი.

და ყველაფერი ეს აძლევს საწყისს ადამიანის გმირობას და გამბედაობას:

ბჟა დია ჩქიმი
თუთა მუმა ჩქიმი;
ხვიჩა ხვიჩა მურიცხეფი
და დო ჯიმა ჩქიმი

ეს არის ცოტნე დადიანის გმირობის გახსენება.

ეს არის ხილვა წინაპართა ფესვისა და ეს არის „სიმღერა ძველი“, რომელიც ჩაესმის პოეტს...

მაგრამ ახლა არა კოლხეთში, არამედ სხვაგან — ხევსურეთში. უსათაურო ლექსია და ამიტომ სათაურად თვით სტრიქონს დაგისახელებთ: „ხევსურო მელექსეებო“...

წაიკითხეთ თავიდან ბოლომდე ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და თქვენ მოგეჩვენებათ, რომ ლექსს კი არ კითხულობთ, არამედ ფანდურზე აწყობილ სიმღერას ისმენთ. ეს რვამარცვლიანი ლექსი თავიდან ბოლომდე ნაკადულივით მორაკრაკებს. აი, სწორედ ასეთ ლექსზე იტყვიან ხოლმე ხშირად: ერთი ამოსუნთქვით დაწერილიაო.

ვინც ოდესმე ხევსურეთში ყოფილა, დაგვეთანხმება, რომ ეს ლექსი ძალზე კოლორიტულია იქაური ადამიანის ბუნებისათვის.

საქვეყნოდ ცნობილი ამბავია: ხევსურები ისე, როგორც მოხევეები და ფშაველები, ბრწყინვალე მოლექსეები არიან.

ძნელია გადაჭრით იმის თქმა, თუ რა გარემოებამ შეუწყო ხელი ხევსურეთში კაფიობის განვითარებას. ამ მიზეზს ხუტა ბერულავა თავისებური პოეტური სახეებით ხსნის:

ამ ცისქვეშ მეც რომ მამყოფა,
ზაფხულ და ზამთარ ერთიან,
იქნებ, მექუხა ისეთი,
გეთქვათ: კაფიის ღმერთია!

ჭეშმარიტად, ზვიადმა სამყარომ უთუოდ ხელი შეუწყო ხევსურ მელექსეებს, რათა გამოეჩინათ თავიანთი პოეტური ნიჭი. მკაცრი ზამთარი და თვეობით კარჩაკეტილობა ხევსურებს აძლევდა იმის საშუალებას, რომ უფრო კარგად ესაუბრათ წინაპართა აჩრდილებთან და ეფიქრათ ლექსზე.

და თუ დღეს ჩვენ კარგად გადავხედავთ აკაკი შანიძის რედაქტორობით გამოცემულ ხევსურული ლექსის უამრავ ნიმუშს და, აგრეთვე, სხვათა მიერ შეკრებილ ფოლკლორულ მასალას, ვნახავთ, თუ რაოდენ ამოუწურავია ხევსურული ხალხური ლექსი.

...მე თქვენი არა მიკვირს რა,
მელექსეებო ხევსურთა,
ეს ერბოსავით ჰაერი
მეც რომ თქვენსავით მესუნთქა.

იქ, სადაც იქმნებოდა ვეფხვის და მოყმის ლექსი, გასაკვირი მართლაც არაფერია...

ხუტა ბერულავას წიგნში შევხვდებით ლექსს, რომელიც მისი პოეზიის ღირსეული ნიმუშია.

გესაუბრებით უსათაურო ლექსზე: „შენი მზე და მთვარე, ლიახვი და მტკვარი“. ეს თორმეტმარცვლიანი ლექსია, თითო სტროფი ხუთი სტრიქონით, თავისებური რითმოვანება ანიჭებდა ამ ლექსს მუსიკალობას.

აღნიშნული ლექსის გვერდით მინდა დავასახელო სიმღეროდ ქცეული მეორე უსათაურო ლექსი — „მინდა შეგიმკო ჰმები გვირილით“. ეს არის, უბრალოდ, ინტიმური ლირიკა, რომელსაც დიდი პრეტენზიები არ გააჩნია, მაგრამ იკითხება სადად, ძალიან სადად, მაგრამ შთამბეჭდავად.

„საუბარი ახალ წელთან“ ეს არ არის ისეთი ლექსი, რომელმაც მილოცვის დეპეშები უნდა გაგვახსენოს, ან მარტო კეთილი სურვილები უთხრას თავის მკითხველებს.

აქ უფრო რთული პრობლემაა დასმული; წელთა სრბოლის და ასაკის პრობლემა:

გზა მშვიდობისა ძველს, მიმავალს... ხომ
გული გაწყდება,
რომ ერთი წელი მოემატა ჩვენს ხნოვანებას...

აქ პოეტური საუბარია რუსთაველის გამზირზე, რომელიც ასე უყვარდა ლადო ასათიანს და ვედრების სახით ამ-

ბობდა: „რუსთაველის პროსპექტზე სიარული ნუ მომიშალოს ღმერთმა".

აქ, ხუტა ბერულავას ლექსის თქმისა არ იყოს, შეიძლება გაიაროს ადამიანმა თამამი აზრით; აქ მიდის ხალხის ტალღა, მიდიან გოგონები, ახალგაზრდები, მოხუცები და, რაც მთავარია:

ამაღლებული და ბედნიერი
მიდის თბილისი, როგორც მდინარე.

ეს ყველაფერი საინტერესოა. აქაა დიდი მოძრაობა, ხოლო მოძრაობაში — ფიქრი და აზროვნება.

პოეტი ლექსში საკუთარ თავს უპირისპირებს იმ ადამიანებს, რომლებსაც შემოქმედებითი ცეცხლი არ გააჩნიათ და, თუ კი ამდაგვარი რაიმე გააჩნიათ, ისიც სულის ერთი შებერვით ჩაუქრებათ.

მაგრამ პოეტს?

— არასოდეს, არასოდეს რადგან მისი ნიჭი ხალხისაა.

შენ ხმას ზარივით გაქვს წკრიალი,
და ჩვენი ხალხის ნამდვილ ოქროპირს
ისევ წინ გაქვს ქამი ბრწყინვალე
წვის, შთაგონების და ბობოქრობის.
შენ კვლავ აიღებ ახალ მწვერვალებს,
გვახარებ ფიქრთა ათას ვარდობას..
მაშ გაუმარჯოს შენს ჩანგს მღელვარეს
და შენი ლექსის ახალგაზრდობას...

ლექსი „ვლადიმერ ლენინს" ეს არის შესანიშნავი ოდა დიდი ბელადისადმი.

ხუტა ბერულავამ აიღო სიტყვის უბრალო სალებავი და შექმნა პატარა, მაგრამ დაუვიწყარი ტილო.

მოვუსმინოთ თვითონ ლექსს:

ადამიანი როდესაც კვდება,
ორი თარიღი დარჩება საფლავს:
ერთი აღნიშნავს მის დაბადებას,
მეორე — მისი სიკვდილის ამბავს.
. . . . . . . . . .
შენ კი... სიცოცხლის დიად თავდებად
ერთი თარიღი გარგუნა ბედმა.

როდესაც ჩვენ ხუტა ბერულავას კრებულს ვიხილავთ, აქ თემატიურობის მიხედვით არ ვაწარმოებთ მის გარჩევას, რადგან, პირველ ყოვლისა, თემატიურობა თვით წიგნშიც არ არის დაცული. ამდენად, ჩვენ პირდაპირ მივყვებით გვერდებს და ვაზროვნებთ იმისდა მიხედვით, თუ როგორ გვესაუბრებიან თვითონ ლექსები.

გულგრილად ვერ ჩავიკითხავთ ლექსებს: „ოდა ბაგრატიონს", „ჩემი ბავშვობა, ხომ იცი"..., „ჩუმად ჩნდებიან შუბლზე შრეები", „ნანული" „ლენტეხელ ამხანაგებს" და სხვა.

მაგრამ როდესაც „ცოტნე დადიანს" ვკითხულობთ, ჩვენ მას ასე უბრალო მოხსენიებით ვერ მოვიტოვებთ უკან.

ცოტნე დადიანი საქართველოს გმირთა გმირებს შორის იხსენიება, როგორც უმამაცესი ადამიანი და უდიდესი მამულიშვილი, განუმეორებელი მეგობრული გრძნობის მადიდებელი ადამიანი.

ლეგენდად შემორჩენილი მისი მეგობრული თავდადება უკვე საუკუნეების მანძილზე სიმამაცის არნახულ მაგალითად რჩება.

თორმეტმარცვლოვანი ლექსით და ჯვარედინი რითმებით შესრულებულია ოდა ცოტნე დადიანისა. წერის ჩვეულებრივი კლასიკური სტილია, მაგრამ ეს საკითხი ჩვენთვის გადამწყვეტი არაა. აქ მთავარია აზრი, კოლორიტი და ფსიქოლოგიური პორტრეტი, რომელიც პოეტმა წარმოგვიდგინა.

ხუტა ბერულავა უხმობს ცოტნე დადიანის ყველა მემატიანეს და თხოვს მათ:

თქვას თვითეულმა, როგორც მოწმემ
ალალმართალმა,
რაც პერგამენტის კაბადონზე არ ჩაეტია, —
როგორ დაიწყო, როგორ დამთავრდა
მისი სიცოცხლე, ამაღლება და ტრაგედია.

შესანიშნავი ლირიკული სტროფია, რომელიც უხვადაა აზრით დატვირთული. აქ ამასთანავე ბრწყინვალე ეპითეტია: „პერგამენტის კაბადონები".

ორი გვირგვინი ქართული პოეზიისა — ვაჟა და ილია; ორი ლექსი მათდამი მიძღვნილი: „ილიას სურათთან" და „დედაო მიწავ!"

ილია ჭავჭავაძე — პოეტი, მწერალი, რედაქტორი, პუბლიცისტი, დრამატურ-

გი, ბანკის მმართველი, ფილოსოფოსი და საზოგადო მოღვაწე.

ასეთი იყავ! ასეთი მიდგას
მე თვალწინ შენი წმინდა სურათი,
ასე ებრძოდი ცხოვრების ივავს
ყვარლის მთებიდან წიწამურამდი...

თურმე შიმშილს და დახეულ ჩოხას არ შეუძლია შელახოს გენიოსის ბედი და მომავალი: აი, ასეთი აზრი შეიძლება გამოვიტანოთ ვაჟასადმი მიძღვნილ ხუტა ბერულავას ლექსიდან.

მაგრამ სიმაღლეს, გასაოცარ სიმაღლეს მისას
თვით შურის თვალიც ვერ შესწვდება, ვერ
შეეხება...

ილია და ვაჟა დღეს თვითონ გადაქცეულან შემოქმედთა შთაგონების წყაროდ. ისინი დღემდე რჩებიან ქართული მწერლობის ქვაკუთხედებად.

აი, ამაზე მეტყველებენ ზემოთ დასახელებული ლექსები.

აი, ამ დაჯერებული სინდისის კარნახით უძღვნის პოეტი ლექსებს წინაპარ მგოსნებს.

ჩვენს თვალწინ იკარგებიან ჩვენთვის მარად საყვარელი ადამიანები, ჩვენი ვალმოხდილი მოხუცები — ბებიები და ბაბუები. ამ სურათს პოეტი ასეთი ფერებით გადმოგვცემს:

შეხედა ასულს და წყურვილი დაიცხრო ამით,
ერთგულ მეუღლეს დაუმალა ცრემლების
ნამი.
შეხედა ტკბილთა შვილიშვილთა და...
ვით სანთლები,
ჩაჰქრნენ თვალები, შემკრთალნი და
ლამენათევნი.

ვის კალთაშიაც სული დაულევია მომაკვდავ ადამიანს, მხოლოდ იგი თუ იგრძნობს ამ ლექსის თავისებურ ელეგიურობას ადამიანის წარმავალი სიცოცხლის მიმართ. ელეგია მომაკვდავი ადამიანის წუთებშიაც შეიძლება აღმოვაჩინოთ...

ეროვნული

„ეს ჩემი ლექსი, როგორც სიცოცხლე" — ოდა ანთიმოზ ივერიელისა, ამ დიდი მამულიშვილისა და მოღვაწისა. მის სახელთან მარად განუყოფელია ქართული ეროვნული მწერლობის განვითარების, ქართული სტამბის შექმნისა და დაარსების საქმე ჩვენში.

მან გაახარა მეფე ქართველთა,
შენც ვახტანგივით ხარობდი, ალბათ,
როცა თბილისის ცაზე გათენდა
და დაიბადა ქართული სტამბა.

ანთიმოზ ივერიელი იმ დიდ მოღვაწეთა რიგში დგას, რომლებიც ემსახურებოდნენ საზღვარგარეთ დაარსებულ ქართული კულტურის ცენტრებს, მაგრამ სამშობლოსთან განუწყვეტელი კავშირი ჰქონდათ და მათ ნაღვაწს შორეული საქართველოს სიყვარული და მოგონება ასულდგმულებდა.

რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტის გარეუბანში არის ცნობილი მუზეუმი „მოგოშვაია", თვით ეს ძველი ციხესიმაგრე აგებულია XVI ს. იტალიური სტილით ერთ-ერთი რუმინელი ფეოდალის მიერ. აი, ამ ძველ შენობებში დღეს გახსნილია რუმინეთის ეროვნული მუზეუმი. მთავარი კორპუსის მეორე სართულზე თითქმის ერთი ოთახი აქვს დათმობილი ანთიმოზ ივერიელის ცხოვრებას და მოღვაწეობას. აქ გამოფენილია მისი სურათები და მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე გამოცემული ანთიმოზის თხზულებანი.

ჩვენს მუზეუმებში კი ამის მსგავსსაც ვერაფერს წააწყდება მნახველი და დაინტერესებული პიროვნება. და ვიდრე გვიან არ არის, საჭიროა დროზე მივხედოთ ამ მიუტევებელ საქმეს.

დაე, მშობლიურ მთებზე, ველებზე
ჩირაღდანივით აგწიოს ხალხმა!

საერთოდ, ხუტა ბერულავას პოეზიაში მკითხველი უხვად წააწყდება ოდებს — მიძღვნილს გამოჩენილი ქართველი მამულიშვილებისადმი. აღნიშნული ოდები იგივე ფერწერული პორტრეტებია, რომელთაც მხატვარი ასრულებს.

მაგრამ როგორც ფერწერაში, ასევე ლექსშიც, რთულია ადამიანის პორტრეტების შექმნა. აქ მარტო ნიჭი არ კმარა: საჭიროა ხედვა, რომ უფრო კარგად აღვიქვათ ჩვენს მიერ შერჩეული ობიექტის სულიერი სამყარო.

ამ მხრივ ხუტა ბერულავას თამამად შეიძლება ვუწოდოთ ნამდვილი მხატვარი. აი, ჩემი სიტყვის დამადასტურებელი პორტრეტებიც: „ვლადიმერ ლენინს“, „ოდა ბაგრატიონს“, „ცოტნე დადიანს“, „ილიას სურათთან“, „დედაო მიწავ“! „მხოლოდ თაყვანი, მშობელო ხალხო“, „ადამ მიცკევიჩის ძეგლთან“, „პაპაჩემის სილუეტი“, „ორი ძეგლი“, „შენც მეგობარო“...

არა სიკვდილი, უკვდავება მოვიდა მაშინ,
როცა სიცივემ მის გულშიაც დაისადგურა,
დაუცხრომელი მღელვარება შეგეტყო ხმაში
და ამ ცასავით იდუმალი დარდი გარგუნა...
....არა წასვლისა, უკვდავების რეკდეს
ზარები,
იგი აქ რჩება, ამ ტაძრის და სიცოცხლის
ახლო..
მხოლოდ თაყვანი და სიჩუმე სევდანარევი,
მხოლოდ სიჩუმე და თაყვანი, მშობელო
ხალხო!

(ლექსიდან — „მხოლოდ თაყვანი, მშობელო ხალხო!“).

აი, პოეტური პორტრეტის, პოეტური ფერწერის შესანიშნავი ნიმუში. ამ პორტრეტში სადად, მაგრამ დამაჯერებლად გახსნილია აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახე. დანარჩენ პორტრეტებზე ჩვენ უკვე შესაბამისად ვილაპარაკეთ. ხოლო რომლებსაც არ შევხებივართ, გაკვრით განვიხილავთ ქვემოთ.

აი, ჩვენ საინგილოში მივდივართ.. ვუახლოვდებით კაკლების ცნობილ ხეივანს, ამ თვალუწვდენ ხეივანს, ამ საუკუნოვანი ხეების ჩრდილებს. ვუახლოვდებით და ვგრძნობთ ხავსის სუნს, სიძველეს და, რაც მთავარია, იმ დიდ სიამაყეს, რომელსაც მემკვიდრეობასა, ანუ შთამომავლობაზე ფიქრი შეიძლება ვუწოდოთ.

ძმებო ხეებო, თქვენი ვალია
არ დაიკარგოს ამაგი მისი,
ვინც თქვენზე ზრუნვას დღე შეალია
და თქვენი ჩრდილის ვერ გახდა ღირსი...
...და განა რამე თავისთვის სურდა?
თავს გევლებოდათ როგორც მშობელი,
რომ ყველა გამვლელს ჰქონოდა მუდამ
სილამაზე და საჩრდილობელი.

ცხადია, პირველ რიგში, მაინც გლეხის მარჯვენას და მის დაღვრილ ოფლს ვცემთ თაყვანს, მაინც ამ უსახელო ადამიანებს ვადიდებთ.

ლექსი — „საინგილოში“. იქ ყოფნით გამოწვეული შთაბეჭდილების ნაყოფია. დადის პოეტი ამ უძველეს ქართულ მიწაზე, ამ უძველეს ქართველებს შორის, ინგილოებს რომ ეძახიან, და გრძნობს, რომ არსად არ შეიძლება იყოს უფრო ლამაზი მთები, ვენახები, და სავენახო: „მეგონა, იყო ერთი მტკაველი და მერე როგორ ვცდებოდი თურმე,“ — განაგრძობს პოეტი და ბოლოს უდიდესი ტკივილით ამთავრებს:

წარსული... არა, მიჯობს დუმილი,
თორემ ვგრძნობ ტკივილს განუკურნებელს,
მე ვდგავარ კლდეზე მიჯაჭვულივით
და გადავცქერი საუკუნეებს.

იგივე საინგილოს ლექსთა ციკლის დეტალია „ორი დობილი“. იგი პირადულ განცდათა თუ შთაბეჭდილებათა გამოვლენაა.

ისევ ისტორიის წიაღში გასეირნება:

აქ საუკუნეთა შფოთავენ ქარები
და ქართულ ნაყალმარს ფერი ვერ მოსტაცეს.
ისე ვით შევალო ვარძიის კარები,
შენდობა არ ვუთხრა იმ ქართველ ოსტატებს.

ბუნებრივია ეს აღტაცება, ეს სინანული, რაც ამ ლექსშია თქმული. ვარძია მსოფლიო ხელოვნების — ერთ-ერთი საუკეთესო ნახუროთმოძღვრებია, რომლის მშენებლობა მჭიდროდ არის დაკავშირებული თამარ მეფის მამის გიორგი მესამის და თვით თამარის სახელთან. რა თქმა უნდა, შემდგომ წლებში

ვარძიის მშენებლობა სხვა დიდებულთა სახელს უკავშირდება, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

1283 წლის მიწისძვრამ, სხვა დიდებულ ძეგლებთან ერთად, დაანგრია ვარძიის ქვაბები. უნებურად გვახსენდება სიტყვები მ. ილინის წიგნიდან — „რომელი საათია“: „არცერთი ნივთი ქვეყნიერებაზე არ რჩება უცვლელი. წლიდან წლობით, საუკუნიდან საუკუნემდე ნივთები იცვლიან ფორმას, ხან უფრო დიდი ხდებიან, ხან პატარა, ხან რთული, ხან მარტივი. ყოველ წვრილმანს თავისი საკუთარი გრძელი ისტორია აქვს“.

აღნიშნული სიტყვები ვარძიის ქვაბებზეც შეიძლება გავიმეოროთ. მართლაც, რა იყვნენ ეს ქვაბები თამარის დროს და როგორ სანახევროდ ჩამონგრეულან დღეს. და იმ ქვასაც კი, რომელიც ახლა მტკვრის ნაპირას აგდია ზევიდან მოხეთქილი, აქვს თავისი ისტორია, რომელსაც უნდა გაეწიოს ანგარიში, რომელსაც ჰირდება ჩვენი თანაგრძნობა...

ხუტა ბერულავას წიგნის მომდევნო ლექსები: „ასი წლის შემდეგ“, „იყო და არა იყო რა“ „პაპაჩემის სილუეტი“ — ეხებიან სიცოცხლის წარმავლობის ურთულეს საკითხს, რომელიც მუდამ აფიქრებდა კაცობრიობას.

მართლაც, ისე შეუმჩნევლად ქრებიან ჩვენ შორის მყოფი ადამიანები, რომ ანდერძის თქმასაც კი ვერ ასწრებენ.

ეს აწუხებს ყველაზე უფრო მეტად პოეტს და აიძულებს მას, დაემხოს მიწაზე და ისმინოს წინაპართა ძახილი:

უკან ვიხევ, ნელა, ნელა... ჩუმად!
ხალხო, მიწის ლაპარაკი მესმის,
და იქიდან, როგორც განძი, უმალ
მე ამომაქვს მონადირის ლექსი.

ვინ არის ეს მონადირე, ვისი ძახილიც ჩაესმის პოეტს? — ვფიქრობთ უნებურად.

— ეს მისი გარდაცვლილი ბაბუის ორეულია, — პასუხობენ პოეტის სტრიქონები:

კოჩა იყო, კაცი ერქვა მართლა,
არც არასდროს არ სდომია მეტი,
არა მდგარა დადიანის კართან
და არც მისი უნატრია ბედი.

მართალია, ლექსები — „ასი წლის შემდეგ“ და „პაპაჩემის სილუეტი“ უშუალოდ ხ. ბერულავას ბაბუის სამახსოვრო სტრიქონებად ჟღერენ, მაგრამ ისინი ადამიანთა საერთო სევდას და განწყობას გამოხატავენ.

აქ ჩამოთვლილ ლექსთა ციკლში უნდა გავაერთიანოთ პოეტის ზემოთ განხილული ლექსი „მჭედლის სიკვდილიც“. აგრეთვე — „მე ამ ცხოვრების მეძატიანე“, „შენი შვილები ადიდე, დედავ“! და სხვები.

საერთოდ კი, უნდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ სიცოცხლის წარმავლობის საკითხს საკმაოდ დიდი ადგილი უკავია ხ. ბერულავას წიგნში. იგივე საკითხი ხელოვანთა შემოქმედების უმთავრესი ობიექტი ყოფილა ოდითგანვე; იგი ამასთანავე უბრალო, მომაკვდავ ადამიასთა დაფიქრების საგანი იყო.

ეს საკითხი აფიქრებს ხუტა ბერულავასაც...

ჩვენ აღარაფერს ვამბობთ ისეთ ლექსებზე, რომლებიც სამშობლოს ძლიერებას უმღერიან. ესენი არიან: „ჩემო მამულო!“, „ასე სრულიად საქართველოში“ და სხვა.

ჭეშმარიტად: ყველა ნამდვილი მამულიშვილის ვალია, უმღეროს სამშობლოს. ეს საუკუნოვანი დებულებაა.

ხ. ბერულავას არაერთი ნაწარმოები ხალხთა შორის მეგობრობის გრძნობით არის გამსჭვალული. მთელ რიგ უცხო ქვეყნებში მოგზაურობამ, როგორიც არის პოლონეთი, ჩინეთი, და სხვა, მას შთააგონა ძმობისა და ურთიერთდაახლოების იდეა.

ეს უპირველესი საწყისია მშვიდობისა.

და პოეტი მივიდა ადამ მიცკევიჩის ძეგლთან ასეთი სიტყვებით:

მომიტანია სიყვარული ქვეყნისოდენა,
ვთბები შენი და მიწის შენის სიახლოვეთი,
მე პოეტი ვარ, მაპატიოს თვითონ
შოპენმა,
ყველაზე უწინ შენთან მოვედი!

ჩვენი სამშობლოს ძლიერების წყაროა ერთა სიმრავლე და სიყვარულის უძლეველი კავშირი ამ ერებს შორის. ამ კავშირმა გადაარჩინა ჩვენი ქვეყანა ინტერვენტთა შემოსევებისა თუ მეორე მსოფლიო ომის დროს; ხოლო ახლა, როცა მსოფლიო ორ მოწინააღმდეგე ბანაკადაა გაყოფილი, ყველაზე უფრო გვჭირდება მშვიდობა, როგორც უძლიერესი იარაღი კაცობრიობის ბედის გადასაწყვეტად.

ასეთ დროს მეგობრობა საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის ერთი უპირველესი აუცილებლობაა.

მოვისმინოთ ნაწყვეტი ხ. ბერულავას ლექსიდან „რუსეთის პოეტებს“.

ერთნაირ გვიყვარს ჩაფიქრება სამშობლოს ბედზე,
ვიწვით ერთნაირ აღმაფრენით, წმინდა სურვილით,
თვითეულ სიტყვას, როგორც ოქროს, ჩვენს მკერდში ვეძებთ,
რომ ხალხს მშობლიურს შევთავაზოთ სიყვარულივით!...
...კურთხეულ იყოს ეს შეხვედრა ლექსის და მგოსნის!
უკვდავი იყოს ჩვენი ძმობის ფუძე და ფესვი!
მიიღეთ, როგორც ხშირად ვამბობთ სადღეგრძელოში,
ეს დიდი გრძნობით ანთებული პატარა ლექსი...

დასასრულ, ორ ლირიკულ ნიმუშს განვიხილავთ. ესენია: „თეთრი ლექსი“ და „ამბავი თბილისის დაბადებისა“.

პირველი მათგანი ურითმო, ათმარცვლიანი ლექსია და შედგება ხუთი ქვეგანყოფილებისაგან. ამ ლექსის უმთავრესი თემაა ფიქრი და ადამიანი; ადამიანი-ჯანსაღი, მომაკვდავი, ქალიშვილი, ახალგაზრდა და ბოლოს — „სულნი წასულნი“

ადამიანი ჯანსაღი... იგი „ეჩურჩულება შუქიან სარკმელს“.

ცხოვრობს კი არა, კაშკაშებს თითქოს
განთიადიდან განთიადამდე...
...მისთვის არსებობს მხოლოდ მწვერვალი
და მხოლოდ სიტყვა თავაწყვეტილი.
ჯადოქარივით ქსოვს, ძერწავს, ხატავს,
ცისა და მიწის ელვარე ფერებს.

ამ ქვეყანაზე სხვა ადამიანიც ცხოვრობს, რომელიც იწვის და გზას უნათებს „მაშვრალ ადამიანებს“, და ერთ მშვენიერ დღეს იგი სამუდამოდ დაემშვიდობება „მეუღლეს, შვილთა და ძმათა“.

იყო და აღარ არის ადამიანი, მაგრამ იმედად მისდა დარჩა ქალიშვილი პირიმზე და „ჭაბუკი მკვირცხლი“.

შთაგონებული ამ სილამაზით,
ამ სილამაზით გაოცებული.

პირიმზისა და მკვირცხლი ჭაბუკის სახით პოეტი ცდილობს გაერკვეს ადამიანის უკვდავების არსში, რომელიც შთამომავლობაში იღვიძებს ყოველთვის.

მეხუთე ქვეგანყოფილებაში ხუტა ბერულავა მოუხმობს წასულთა აჩრდილებს, ვინც დაიფერფლა სამშობლოსათვის. მათი ხსოვნიდან პოეტი აკეთებს დასკვნას, რომ საქაო მზე და ნათელი სამარადისოდ არავის შერჩენია.

დამეთანხმებით, რომ ძალიან სევდანარევი და უიმედობის მთქმელი სტრიქონებია. მაშ რისთვის ჭირდება პოეტს ასეთი ლექსი? — რომელ ადამიანს ახარებს ფიქრი წარმავლობისა?

რა თქმა უნდა, არავის...

რა თქმა უნდა, არც თვით პოეტს.

მაგრამ წარმავლობის წინაშე დუმილიც არაა ვაჟკაცობა. საჭიროა რაღაც ვთქვათ ისეთი, რომ სიკვდილის რაობა არარაობად ვაქციოთ.

ბოლოსდაბოლოს, მაინც რა სურდა ეთქვა პოეტს?

— მე მსურდა მეთქვა ეს ძნელი სიტყვა,
როგორც სიცოცხლის საგალობელი.

„ამბავი თბილისის დაბადებისა“ — ეს არის გრძელი ლექსი, რომელსაც პოემის პრეტენზია არ გააჩნია. მისი სიუჟეტი ისეთია, რომ ჩვეულებრივ ლექსშიაც კი თავისუფლად ჩაეტევა, თუმცა პროზის საშუალებით ეს სიუჟეტი შეიძლება ტომებად ვაქციოთ.

თბილისის დაარსების ლეგენდა, რომელიც საუკუნეების წიაღიდან მოვიდა

ჩვენამდე, ბოლოსდაბოლოს, გაიარა ათასობით მხატვრის, ათასობით მწერლის და პოეტის ხელში.

პოეტ ხ. ბერულავას მიზანი არ ყოფილა ის, რომ ცნობილ ლეგენდაში რაიმე ახალი დეტალი აღმოეჩინა. არა! ის, როგორც თავისი ქვეყნის პატრიოტი, მოვალეობად თვლის, რომ ამ დიდ ლეგენდას სიხარული შეურითმოს და აღფრთოვანების სურვილი შეუეროთს.

ლექსის ბოლო სტრიქონებს ჩვენ მივყავართ თბილისის ქუჩებამდე. თბილისი პოეტის ხოტბის საგანია:

მე მხოლოდ ესლა მწყურია,
სულ მისი ზეცა მხურავდეს
და ფიქრებს ვეუბნებოდე
სიცოცხლის დასასრულამდე.
მე მხოლოდ ისლა მწყურია,
როგორც გუგუნი მთებისა,
ისმოდეს ქვეყნად ამბავი
თბილისის დაბადებისა!...

ლექსი „ისმინე გულო“ — ეს არის ფიქრი პოეზიაზე და საკუთარ თავზე.

რთულია პოეზიის სამსახური და, მითუმეტეს, რთულია დღევანდელი ლექსის კვალდაკვალ სიარული. პოეტისთვის აუცილებელია ბუნებრივი ნიჭი, მაგრამ თუ ამ ნიჭთან ერთად შეერთებული არ არის შრომა, ისე შედეგების მიღწევა არ შეიძლება. თუ არ დავძაბეთ საკუთარი ნერვები, თუ არ ავიტკივეთ გული, ისე ამაოა ფიქრი, ისე ამაოა ყოველივე მონდომება.

აი, აქ უნდა ვეძიოთ პოეტის ამ სტრიქონების გამართლება:

მისმინე, გულო, მე დღეს შენთან საუბარს
ვლამობ —
შენი ყველაზე სასტიკი და მოსისხლე მტერი.

ბიბლიოთეკა

თავის ლექსებში ხუტა ბერულავა არ ღალატობს ქართულ პოეზიაში დამკვიდრებულ წერის კლასიკურ სტილს. წერს ძირითადად ათმარცვლოვანი ლექსით და ჯვარედინი რითმებით, ხოლო შიგადაშიგ იყენებს რვა, თორმეტ და თოთხმეტმარცვლიან ლექსსაც.

ხუტა ბერულავას ლექსებში ვერ შევხვდებით ბუნდოვან აზრებს, მსჯელობა ნათელია და ყველა მკითხველისათვის გასაგები. პოეტისათვის უცხოა ე. წ. „მოდერნი“, თუ „ფილოსოფიური ლექსი“.

შემოქმედების დანიშნულების შესახებ ჰემინგუეი წერდა: „იმისგან, რაც ნამდვილად მოხდა, რაც სინამდვილეში არსებობს, რაც იცი ან რაც არ შეიძლება იცოდე.. ყველა ამისაგან, შენივე ფანტაზიით, ქმნი არა რაიმე გამოსახულებას, არამედ რაღაც ახალს, ყოველგვარ არსებულზე უფრო ჭეშმარიტს, და მას სიცოცხლეს ანიჭებ თუ კარგად გაართვი საქმეს თავი, უკვდავებაც ხელთა გაქვთ. აი რისთვის წერ! სხვა მიზეზი მე არ ვიცი. თუმცა, იქნება სხვა მიზეზებიც იყოს, რაც არავინ არ იცის“.

ხუტა ბერულავას სახელი უკვე დიდიხანია ცნობილია მკითხველი საზოგადოებისათვის, მისმა ლექსებმა უკვე გაიკვლია გზა ხალხის გულისკენ და დაიმკვიდრა კიდეც თავისი ადგილი ქართულ პოეზიაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რ. სამარინი

# შოთა რუსთაველი და XII საუკუნის მსოფლიო ლიტერატურული პროცესი

თუ გავითვალისწინებთ საერთაშორისო ინტერესს ვეფხისტყაოსნისადმი და იმ ტრიუმფალურ გამარჯვებას, რაც XX საუკუნეში მსოფლიო ასპარეზზე დიდებული მესხის ქმნილებამ მოიპოვა, უნდა ვაღიაროთ, რომ თემა „რუსთაველის მნიშვნელობა მსოფლიო ლიტერატურაში“ ამოუწურავი და უწყვეტია, როგორც ისტორიულად დროის მიხედვით, ისე გეოგრაფიული სივრცის მხრივ. ერთ წერილის ფარგლებში შეუძლებელია ამ თემასთან დაკავშირებული მარტო სახელებისა და ფაქტების ჩამოთვლა, ამიტომ ნებას მივცემ ჩემს თავს შევეხო მხოლოდ დიდი პოეტის ეპოქას, უფრო ზუსტად კი ჩემი წერილის შინაარსი ასე შეიძლება განისაზღვროს: რუსთაველის პოემა და XII—XIII სს. ლიტერატურული პროცესი.

ყველა ჩვენთაგანი სათანადოდ ვაფასებთ მე-12 საუკუნეში შექმნილ დიდებულ ქმნილებებს — ნიბელუნგების სიმღერას, როლანდის სიმღერას, ამბავს იგორის ლაშქრობისას, ვეფხისტყაოსანს, სარაინდო რომანს, ტრუბადურების პოეზიას, ისლანდიურ საგებს, აღმოსავლეთის ქვეყნების ბრწყინვალე ეპიურ და ლირიკულ პოეზიას, მინიატურებს, მე-12 საუკუნის მონუმენტურ ტაძრებს და ციხე-სიმაგრეებს... და მაინც მე-12 საუკუნის კულტურის შეფასებისას თვალში გვხვდება თითქოსდა შემაჯამებელი ცნება „შუა საუკუნეთა წყვდიადი“, „XII საუკუნე... დედამიწას ფარავს უკუნი საბურველი...“ სწორედ ასე იწყება ერთი წერილი „ლიტერატურნაია გაზეტას“ რუსთაველისადმი მიძღვნილ საიუბილეო ნომერში (1966 წ. 24, IX).

ჩემი აზრით, ასეთი შეხედულება, მართლაც, რომ სერიოზული გაუგებრობაა, რომელიც, სხვათაშორის, შემონახულია მხოლოდ ლიტერატურისმცოდნეობაში, რადგან ისტორიკოსები და ხელოვნებისმცოდნეები დიდიხანია აღარ თვლიან მე-12 საუკუნეს „წყვდიადის სამეფოდ“. ამის გამო ბუნებრივია, როცა მკვლევარნი მსჯელობენ მათ მიერ ასე მკაცრად დახასიათებული ეპოქის რომელიმე ღირსშესანიშნავ ნაწარმოებზე, ცდილობენ მოწყვიტონ იგი აღნიშნულ ეპოქას და რენესანსის წინამორბედად მიიჩნიონ, რათა თუნდაც გონების თვალით დაუკავშირონ იგი ეპოქას, რომელიც ჩვენში გარკვეულად იდეალიზებულად არის წარმოდგენილი.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენთვის აშკარად კარგად შემეცნებული დიდი ქართველი პოეტის შემოქმედების მსოფლიო მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, ემყარება იმ თავისებურ ადგილს, რაც მას საკუთარი ეპოქის ლიტერატურაში უკავია.

რასაკვირველია, მე-12 საუკუნის ნოვატორულ, შესანიშნავ ხელოვნებასა და რენესანსს შორის არის პირდაპირი და მჭიდრო კავშირი. მაგრამ აქედან არ

---

მოხსენდა გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტს რუსთაველისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე, 1966 წლის 2 ოქტომბერს, მოსკოვში.

გამომდინარეობს, რომ მე-12 საუკუნის დიდებული ხელოვნება დიდებულია მხოლოდ ამ კავშირის გამო.

იგი თავისთავად არის მნიშვნელოვანი. მთლიანობაში აღებული, თვით წარმოადგენს მსოფლიო კულტურის ისტორიის აუცილებელ ეპოქას და სწორედ ამით არის ჩვენთვის ძვირფასი. არ შეიძლება და არც უნდა მივუყენოთ მე-12 საუკუნის ეპოქის ხელოვნებას ეტალონად რენესანსული ეპოქის მოთხოვნილებანი. ამასთან, არ უნდა დავივიწყოთ, თუ რამდენად იყო დავალებული რენესანსის ხელოვნება, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ევროპული ერების ხელოვნება, შუა საუკუნეთა კულტურის ტრადიციებისაგან, განსაკუთრებით კი, XII საუკუნისაგან. ამ მემკვიდრეობიდან ზოგ რამეს უარყოფდნენ და ემიჯნებოდნენ ახალ საუკუნეთა მწერლები, მოაზროვნეები, პოეტები, მაგრამ ბევრ რამეში სწორედ მას ემყარებოდნენ. აი, სწორედ ამ მემკვიდრეობით კავშირს ივიწყებენ ჩვენში ძალზე ხშირად და იფარგლებიან სქემატური შეპირისპირებით, რომლის ერთ მხარეზე დგას „ნათელი“ რენესანსი, ხოლო მეორე მხრივ „ბნელი“ შუა საუკუნეები. ამ დაპირისპირებაში კი იჩაგრება ეს უკანასკნელი, რომლის ყველა ღირსება, ზოგიერთი მეცნიერის ხელში, ისევ და ისევ რენესანსის საუნჯეში იყრის თავს. ამასთან დაკავშირებით შეუძლებელია არ აღინიშნოს ს. დ. ლიხაჩოვის ნაშრომი „ადამიანის სახე რუსულ ლიტერატურაში“ და მ. მ. ბახტინის „რაბლე“, როგორც ისეთ გამოკვლევათა ნიმუშები, რომლებშიც აშკარად შეიმჩნევა სწრაფვა — ობიექტურად იქნას აღდგენილი შუა საუკუნეთა მემკვიდრეობისა და რენესანსის დიდი რევოლუციური ხელოვნების მჭიდრო კავშირი.

XII საუკუნე საოცარი და განუმეორებელი ეპოქაა მსოფლიო კულტურის ისტორიაში. ფეოდალური საზოგადოების აყვავება მსოფლიოს მთელ რიგ ძლიერ სახელმწიფოებში, მრავალფეროვან ფეოდალურ სტრუქტურათა რთული საზოგადოებრივი სიმრავლობა, რაც ჯვაროსანთა ეპოქის მიერ მოტანილი საერთაშორისო კავშირების მეოხებით სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, ქმნიდა შესაძლებლობას, რათა ახალ საფეხურზე ასულიყო მთელ მსოფლიოში, აღმოსავლეთსა და დასავლეთში ადამიანის აზრისა და ხელოვნების განვითარება. XII საუკუნე ეს არის ეპოქა ფეოდალური სამყაროს დიდი სახელმწიფო ორგანიზმების ფორმირებისა, რომელთა ჩარჩოებში უკვე კარგად ჩანს მომავალეროვნებათა კონტურები. ეს არის საუკუნე არამარტო ულმობელი ბერნარდ კლერვოსელისა, არამედ საუკუნე აბელიარისა, რომელმაც წამოაყენა მაღალი პრინციპი: „რომ ირწმუნო, უნდა შეიმეცნო! ეს არის არა მხოლოდ ფეოდალური თეოკრატიის გაძლიერების ეპოქა, არამედ ეპოქა ალბიგელებისა, ეპოქა ფრანჩესკო ასიზელის და ამასთან ავეროესისა.

XII საუკუნის ლიტერატურულ პროცესში უფრო თვალნათლივ ვლინდება ამ ეპოქის კულტურული პროცესის მრავალსახეობა და სირთულე. ჯერ კიდევ ცოცხლობს და პირველი ფიქსაციის სტადიაში იმყოფება მრავალი დიდებული ეპიკური ქმნილება, რომლებიც ჩამოყალიბდნენ ბევრად უფრო ადრინდელ ხანებში: „როლანდის სიმღერა“, „პოემა ჩემს სიდზე“, „ნიბელუნგების სიმღერა“ და მრავალი სხვა, — მაგრამ ამასთან ერთად აღმოცენდა ღრმად ინდივიდუალური შემოქმედება პოეტებისა — ლირიკოსებისა; დაწყებული ბალადიდან პროვანსამდე, სწრაფად ვითარდება ქალაქური ფენების ხელოვნების სხვადასხვა სახეები — მათ შორის გვაქვს ანტიფეოდალური სატირის ნიმუშები, რომლებიც შეიცავენ ფეოდალური საზოგადოების ასახვის ძალზე მნიშვნელოვან და ახალ ნიშნებს; და, რაც მთავარია, იბადება ახალი სახეობა პოეტური თხრობისა, რომელშიც ფოლკლორისა, ანტიკური და აღმოსავლური

ლიტერატურული ტრადიციების მემკვიდრეობის ათვისებასთან ერთად აშკარად იგრძნობა ღრმად ინდივიდუალური ავტორისეული შტრიხები. ეს არის მხატვრული ნაწარმოების ახალი ტიპი, რომელმაც დასავლეთში განიმტკიცა რომანის სახელწოდება და, რომელიც მართლაც, წარმოადგენს მნიშვნელოვან ეტაპს მსოფლიო ლიტერატურაში ამ ჟანრის განვითარების გზაზე. ამ მონუმენტური თხრობითი ჟანრის ბრწყინვალე წარმომადგენლები — კრეტიენ დე ტრუა, ბენუა დე სენტ მორი, ფონ ფელდეკე, ფონ ეშენბახი, ჰარტმან ფონ აუე და მრავალი სხვა არიან სწორედ ამ მოელვარე და ნათელი XII საუკუნის შვილები, ისევე როგორც ნიზამი განჯელი და შოთა რუსთაველი. მსოფლიო ლიტერატურის პოეტური თხრობის ახალი მონუმენტური ჟანრი, რომლის ჩამოყალიბება ამ პოეტების სახელს უკავშირდება, არის განსაცვიფრებლად რთული, მრავალწახნაგოვანი, მდიდარი, შეიძლება ითქვას, სინთეტიური, რადგან აქ აშკარად და პირდაპირ ჩანს ანტიკურ ტრადიციათა გავლენა, ხოლო ერთმანეთში დიდებულადაა ჩაწნული აღმოსავლური და დასავლური ლიტერატურის საუკეთესო მხატვრული მონაპოვარი. ეპიური საწყისი, რომელიც საფუძვლად უდევს აღნიშნულ ჟანრს, გაპოხიერებულია მდიდარი ლირიკული მასალით; დიდი ყურადღება ეთმობა მორალურ და ეთიკურ პრობლემებს; ამ ჟანრის მრავალ ნიმუშში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ფილოსოფიური მასალა, რომელიც მეტწილად რელიგიურ-ეთიკური განსჯის ფორმითაა გამოხატული. ამ ახალ ჟანრში ახლებურადაა განხილული ადამიანის სახე: გმირი თუ გმირი ქალი — წარმოადგენენ იდეალურ ფიგურებს, რომლებიც ატარებენ ახალი საერო მორალის პრინციპებს, რაც ობიექტურად ქმნის საეკლესიო მორალის კონტრასტს. ამასთან, ახალი ჟანრისათვის დამახასიათებელ გმირთა იდეალურობის მიუხედავად, ეს სახეები დამუშავებულია გარკვეულ ფსიქოლოგიურ ასპექტში: ესენი არიან პიროვნებანი, ინდივიდები, რომლებიც ჯერ მხოლოდ პირობითი შტრიხებით თუ არიან შესრულებულნი, შუა-საუკუნეთა მინიატურაში გამოხატულ ადამიანთა მსგავსად, მაგრამ ისინი უკვე ძალზე შორს დგანან წმინდა ეპიურ თხზულებათა სტატიკური და მკაცრი სახეებისაგან (თუმცა ამ ეპიურ თხზულებათა დიდი ნაწილი ჩაწერილია XII საუკუნეში და ეტყობათ კიდეც ახალი საუკუნის კვალი, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ისინი ბევრად ადრეულ ეპოქებს განეკუთვნებიან). მთელი სირთულე მორალური და ფსიქოლოგიური პრობლემებისა, რასაც ფაქტიურად წყვეტს ახალი ჟანრი, ნათელი შეიქმნება, თუ გავიხსენებთ ტრისტანისა და იზოლდას სიყვარულის ისტორიას იმ ვარიანტებში, რომლებიც უკვე XII საუკუნეში იყვნენ ცნობილნი — გოტფრიდ შტრასბურგელის (1210) მიერ ჩატარებულ სამუშაომდე, რითაც მაქსიმალურად გაღრმავდა და გამდიდრდა რომანის ფსიქოლოგიური და მორალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები.

სირთულე და ტევადობა ახალი ჟანრისა დასავლეთში განსაკუთრებით მძლავრად ვლინდება კრეტიენ დე ტრუასა და ფონ ეშენბახის რომანებში პარციფალზე და წმინდა გრაალზე. პირველ რიგში, ნათელია, რომ ორსავე შემთხვევაში ჩვენ წინაშე არის რთული ნაერთი კელტური ფოლკლორული საფუძვლისა, რომელიც სათავეს იღებს მეფე არტურის ლეგენდების ციკლიდან (ან ბრეტონული ლე მასზე) და საკუთრივ ლიტერატურული ტრადიციიდან, რომელიც მომდინარეობს რომელიღაც ჯერ კიდევ დაუდგენელი სასულიერო ძეგლიდან, ან იქნებ ერეტიკული ლიტერატურიდან (გადმოცემა წმ. გრაალზე). მეორე მხრივ, ასევე ნათელია, რომ ამ ორივე აღმოსავლური და დასავლური სიუჟეტის გენიალურმა შეერთებამ განიცადა ღრმად ინდივიდუალური დამუ-

შავება მათი ავტორების — კრეტიენისა და ეშენბახის გემოვნებისა და მორალური მრწამსის შესაბამისად, ამასთან ეშენბახის „პარციფალში“ ძალზე გაღრმავებულია კრიტიკული კონცეფცია უსამართლო საზოგადოების მიმართ. ხოლო ამ საზოგადოებას უპირისპირდება ღვთაებრივად სპეტაკი და შეურყეველი ჭაბუკი პარციფალი. ეშენბახთან მთელი ძალით ახმიანდა აგრეთვე მისტიკური მოტივები, რომლებიც დაკავშირებული იყო გრაალის ლეგენდასთან. ორსავე შემთხვევაში ავტორებმა უხვად გამოიყენეს კურტუაზული ლირიკის მხატვრული მიღწევები (ეშენბახი თვით იყო შესანიშნავი ლირიკოსი პოეტიც). მათ რომანებში წარმოდგენილი ზღაპრული სამყარო ისევე აღიქმება, როგორც იმ ეპოქების საფრანგეთი ან გერმანია მთელი თავისი დამახასიათებელი სიტუაციებით, რომლებიც ადვილად შეიცნობა ნაწარმოებთა პირობითი გეოგრაფიული სარჩულის ქვეშ. არ გვაეჭვებს ჩვენ ავტორთა დიდი ჰუმანიზმიც, რომელიც ორსავე შემთხვევაში ქმნის ძლიერსა და ღრმას, ამასთან აშკარად კრიტიკულ მხატვრულ სურათს ბოროტებითა და ძალადობით აღსავსე ფეოდალური საზოგადოებისას. რაინდი პარციფალი ორივესთან ადამიანის იდეალურ თვისებათა მატარებელია და არა კუშტი ვასალი ან თვითნება სიუზერენი ქესტიდან ან ნიბელუნგების სიმღერიდან.

მაგრამ არც მაღალი მხატვრული ოსტატობა, არც თავისებური ჰუმანიზმი ჯერ კიდევ არ აყენებს არც კრეტიენს და არც ეშენბახს აღორძინების პოეტების რიგში, ისევე როგორც გოტიკური ტაძრების გენიალური სკულპტურები, რომლებიც სწორედ კრეტიენისა და ეშენბახის თანადროულია, მიუხედავად არაჩვეულებრივად მფეთქავი დინამიურობისა, ჯერ კიდევ ძალზე შორსაა მიქელანჯელოს დავითისაგან.

დასასრულ, ადრეულ შუა საუკუნეთა მხატვრული ძეგლებისაგან განსხვავებით, კრეტიენისა და ეშენბახის რომანები ხასიათდებიან ღრმად ინდივიდუალური ოსტატობით, მათში აშკარად ჩანს მათივე შემქმნელთა ინდივიდუალობა, ესაა ავტორისეული, თითქოს „ხელმოწერილი“ თხზულებები, თუმცა ავტორები საკუთარ თავზე ძალზე ცოტასა და ძალზე ბუნდოვნად ლაპარაკობენ. ორივე ნაწარმოებში ჩვენ მოწმენი ვხდებით არა მარტო სინამდვილის ფართო განზოგადებისა, არამედ მათი ავტორების პიროვნული განცხადებისაც, რაც ამ ორ რომანს, მიუხედავად საერთო სიუჟეტისა და კრეტიენისადმი ეშენბახის შესაძლო დამოკიდებულებისა, ხდის სავსებით განსხვავებულ თხზულებებად, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც სულით, ასევე კონკრეტული ცხოვრებისეული მასალითაც. მაგალითად, ყურადღებას იქცევს ეშენბახის განსაკუთრებული ინტერესი აღმოსავლური კოლორიტისადმი, თვით ბუნდოვანი მითითება ავტორისა, თითქოს პარციფალის ამბავი მან მოიპოვა რომელიღაც „წარმართული წყაროდან“. ძალზე ეგზოტიკურად ვამოიყურება შავკანიანი პრინცი ფაირეფისი. საერთოდ, ეშენბახის რომანში აშკარად შეიგრძნობა გაფართოებული სამყაროსა და შორს გაწეული ჰორიზონტების შეგრძნება, ზღვის გაღმა მიწების ცთუნებანი — ჯვაროსანთა ლაშქრობების შედეგი, რაც არამარტო ევროპული ფეოდალიზმის ექსპანსიონისტურ ზრახვათა გამოხატულება იყო, არამედ კულტურულ ღირებულებათა გაცვლის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთგაცნობის მძლავრ სტიმულსაც წარმოადგენდა.

რუსთაველის ვეფხისტყაოსნის გმირების მსგავსად, ამ რომანთა გმირებიც ადგილიდან დაიძრნენ, მოგზაურობენ, მათი ცხენების ფლოქვები თელავენ ძველსა და ახალ ისტორიულ გზებს. XI და განსაკუთრებით XII საუკუნის აყვავებული ქართული კულტურა ქმნიდა რუსთაველის პოემისათვის მყარ

საფუძველს. მას ჰქონდა საშუალება დამყარებოდა ქართულ ფილოსოფიას, ისტორიოგრაფიას, პოეტურ ტრადიციას, ბიზანტიის გზით შესულ ანტიკურ მემკვიდრეობას, თვით ბიზანტიური ლიტერატურის გამოცდილებასაც, რადგან ამ ხანებში აქ შეიქმნა შესანიშნავი რომანები და ქრონოგრაფები. ახლო ურთიერთობა აღმოსავლეთთან და მის ლიტერატურულ ცხოვრებასთან, განსაკუთრებით იმ დროის არაბულ და ირანულ-ტაჯიკურ მწერლობასთან, მდიდარ ეპიკურსა და ლირიკულ პოეზიასთან, ქმნიდა შესაძლებლობას, რომ ქართველი პოეტი საფუძვლიანად გასცნობოდა აღმოსავლეთის მსოფლიო მნიშვნელობის საუნჯეებს, რომლებიც მხოლოდ შორიდან თუ სჭრიდა თვალს მის დასავლეთელ თანამოძმეებს. ქართველი „აზნაურნი“, რომელთა ფენას, სრული შესაძლებლობა გვაქვს ვიფიქროთ, ეკუთვნოდა თვით შოთაც, არა ნაკლებ ჩამოყალიბებულ და თავისი ბუნებით გმირულ წოდებას ქმნიდნენ, როგორც ეს ჩვენ გვაქვს ევროპული რაინდობის მაგალითზე. XII საუკუნის საქართველოში შეიქმნა, ღრმად ნოვატორული ნაწარმოები, რომელიც ამოზრდილია ხალხურ საფუძველზე და რომელიც ამასთან ითვალისწინებს მაშინდელი დროის მსოფლიოს ძალზე მოწინავე კულტურულ ტრადიციებს. რუსთაველი თვითონაც საუბრობს ვრცელ თხრობით ჟანრზე, რაც მისთვის სავსებით შეგნებული ამოცანაა:

„ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის
დიდი რბევა
მობურთალსა — მოედანი, მართლად ცემა,
მარჯვედ ქნევა,
მართ აგრეთვე მელექსესა — ლექსთა გრძელთა
თქმა და ხევა.
რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან
ლევა“...

„გრძელი ლექსი“ რუსთაველის ხელში გადაიქცა მისი თანამედროვე ცხოვრების ამსახველ ფართო მხატვრულ ტილოდ. სახეები და კონფლიქტები აქ კარგად გამოსჭვივის რაინდული თხრობის გარეგნული საბურველიდან, ხოლო ეს უკანასკნელი, როგორც ჩანს, აძლევდა პოეტს შესაძლებლობას უფრო გაბედულ და ფართო განზოგადებისათვის, ვიდრე XII საუკუნის საქართველოს სინამდვილის უშუალოდ პოეტურ ენაზე გადატანა. რუსთაველის „გრძელი ლექსით“ გადმოცემულ საკარო და ციხე-სიმაგრეთა ცხოვრების ვვერდით ჩვენ აქ ვხედავთ ომისა და ნადირობის ეპიზოდებს, რომლებიც აშკარად მოგვაგონებენ ანალოგიურ სცენებს ამიერკავკასიის ხალხების მწერლობიდან. სარაინდო ცხოვრების გმირული კოლორიტი ალაგ-ალაგ იცვლება ქალაქური ცხოვრების ეპიზოდებით. თუ ავთანდილისა და თინათინის, ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის სიყვარული ერთი მხრივ აშკარად გვაგონებს ევროპულ კურტუაზულ რომანში გადმოცემულ ანალოგიურ გრძნობებს, მეორე მხრივ, აქ არ შეიძლება არ მოვიგონოთ არაბული და ირანულ-ტაჯიკური პოემების გმირები თავისი რომანტიული განცდებითა და გონებაშმაგობით. ასევე პოემაში ჩართული ეპიზოდი ავთანდილისა და ფატმანის მიჯნურობისა თავისი სიმსუბუქითა და უშუალობით უეჭველად გაგვახსენებს „ათას ერთი ღამის“ სახეებს ან იტალიური ნოველისტის პერსონაჟებს. ეპისტოლარული თავები რომანისა, რომელსაც თავისი ნოვატორული სულით ბადალი არ მოეპოვება იმ ხანების ლიტერატურაში, ჟღერენ ვითარცა რუსთაველის „გრძელი ლექსის“ გმირთა მონოლოგები და დიალოგები და პოეტის მრავალფეროვან თხრობაში შეაქვთ დრამატული ელემენტი. ჩვენ არ მოგვიხდება საუბარი რუსთაველის პოემაში არაჩვეულებრივად რთულ ლირიკულ მასალაზე, რომელიც ახლო კავშირშია იმდროინდელ ქართულ და ახლო-აღმოსავლეთის ლირიკულ პოეზიასთან. პოემაში აშკარად ისმის ხალხური სატირის გამოძახილი. ანდაზებში

გამოხატული იუმორი, მხიარული სიცილი ხალხური თხრობისა. „გრძელი ლექსი“ ვეფხისტყაოსან მოყმეზე — ეს არის ბრწყინვალე სინთეზი, რომელიც მოიცავს იმდროინდელი ცხოვრების უმთავრეს ასპექტებს და გვიხატავს XII საუკუნის ადამიანთა განზოგადებულ სახეებს. აქ შეჯამებულია არამარტო მსოფლიო ლიტერატურის გამოცდილება, არამედ მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის მიღწევებიც. მაინც, პოეტის ყველაზე უფრო დიდი ნოვატორული აღმოჩენაა თავისი სულიერი ძალებით ემპირულ სინამდვილეზე ამაღლებული გმირთა გიგანტური სახეები, რომლებიც ასე გვხიბლავენ რუსთაველის უკვდავ ვეფხისტყაოსანში. მეგობრობა, ძმადნაფიცობა, სიყვარულის მრავალფეროვანი ნიუანსების გადმოცემა, მშობლიური მიწის ერთგულება, გმირთა სულიერ სამყაროში ძლიერი სიხარულისა თუ მწუხარების მონაცვლეობა — ყოველივე ამისათვის მონახულია ისეთი მხატვრული სიტყვა, რომლის ბადალი, როგორც სიღრმით, ისე სიძლიერით ძნელია მოიძებნოს იმ დროის რომელიმე პოეტურ ქმნილებაში. ეს, ალბათ, იმითაც არის გამოწვეული, რომ ვეფხისტყაოსნის გმირები თავიანთი განცდებით არაჩვეულებრივად წრფელნი და უშუალონი არიან, ალბათ, იმის გამო, რომ ისინი მთლიანს, იდეალურ პიროვნებებს წარმოადგენენ და გამოხატავენ პოეტის ოცნებას ადამიანის სიკეთესა და მშვენიერებაზე. თუმცა პოეტი ერთ ადგილას მოიგონებს, რომ „მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა“, მაგრამ რუსთაველის რაინდები, ახლო აღმოსავლეთის პოეზიის მიჯნურთაგან განსხვავებით, სიყვარულით შეპყრობილნიც არ ივიწყებენ მეგობრის მოვალეობას, თავის ადამიანურ ვალს სხვა ადამიანთა მიმართ. „გრძელი ლექსის“ მოზაიკურ ფონზე ასე ოსტატობით გაშლილი ბრწყინვალე და გიგანტური სახეები ადამიანებისა, რომლებიც ემსახურებიან კეთილი საქმის გამარჯვებას, რუსთაველს განუზომლად მაღლა აყენებს თავისთავად მდიდარი სამყაროს მქონე XII-XIII საუკუნეთა ეპიკურ პოეზიაზე. რუსთაველის პოემა მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი მონაპოვარია. ამავე დროს იგივე რუსთველური სახეები გვაძლევენ უფლებას ვაღიაროთ, რომ უკვე XII საუკუნეში, ბევრად ადრე აღორძინების ხელოვნებამდე, ქართულ კულტურულ სამყაროში ჩამოყალიბდა ჰუმანისტური კონცეფცია ადამიანისა, რომელიც დიდი სულიერი დაძაბვით აღმოაჩინა გენიალურმა პოეტმა ამისათვის არცთუ ძალზე ხელსაყრელ პირობებში. პოემაში მოქმედ მშვენიერ ქალებთან და ბრწყინვალე რაინდებთან ერთად არ შეიძლება არ მოვიგონოთ, შეიძლება ითქვას, უპირველესი გმირი პოემისა — თვითონ პოეტი, რომლის სახე მთელ პოემას გასდევს, რომლის სიტყვა, მკითხველისადმი უშუალოდ მიმართული, მონოლოგივით ჟღერს პოემის პროლოგსა და ეპილოგში და ხშირად ჩაერთვის თვით ეპიური თხრობის მდინარებაში, პოეტის ეს ლირიკული ავტოპორტრეტი, რომელიც თითქოსდა უჩინარია პოემის მრავალფეროვან სამყაროში, მაინც გამუდმებით იპყრობს ჩვენს ყურადღებას. მსგავსად XII-XIII საუკუნის ბრწყინვალე სკულპტორებისა და მხატვრების ანონიმური ავტოპორტრეტებისა, რომლებიც ჩაკარგულია ამ ხელოვანთა მიერ შექმნილ სახეთა სიმრავლეში, ვეფხისტყაოსანს ანიჭებს მარად უჭკნობ ადამიანურ მშვენებას, რომლის სურნელება მოჰქრის მისი ყოველი სტრიქონიდან. მკვლევარნი ხშირად ადარებენ რუსთაველს დანტეს: პოეტის ლირიკული ავტოპორტრეტი, რომელიც, შეიძლება ითქვას, პოემის ყველაზე შესანიშნავი სახეა, — კიდევ ერთი საბუთია ამ ორი პოეტის სიახლოვისა, არ დასავიწყარ განსხვავებასთან ერთად. რუსთაველი თავისი დროის ქართველი რაინდია, ასე რომ ეთაყვანება ყოველგვარ რაინდულს, დანტე კი, რაინდულ იტალიასთან გარკვეული სიახლოვის მიუხედავად, — ქალაქის მკვიდრია და ამდენად შეყვარებული მშობლიური ქალაქის შუკებსა და სამრეკლოებზე.

პოემის გმირთა სახეები მონუმენტურია როგორც ჩანს, იმის გამო რომ მათში განხორციელებულია სახალხო წარმოდგენა ძლიერ გრძნობებსა და ადამიანურ ვალზე საზოგადოების წინაშე. ეს არ უნდა გავიგოთ, როგორც ხალხურობა საერთოდ, აბსტრაქტულ პლანში, არამედ როგორც თვით XII საუკუნის ხალხურობა, რომელიც ასახავს ამ ეპოქის საქართველოს მთელს პოლიტიკურსა და კულტურული განვითარების სირთულეს. ამასთან ერთად, სწორედ იგივე სახეები უნდა აახლო-

ვებდეს ყველაზე უფრო რუსთაველს ოენესანსის ესთეტიკასთან.

რუსთაველის „გრძელი ლექსი“ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში განსაკუთრებულია თავისი პოეტური სტილითა და მაღალი ლექსის ტექნიკითაც. ვეებერთელა პოეტური ტილოები, რომლებიც ამ ხანებში შეიქმნა როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში, გამოირჩევიან შედარებით უხეში პოეტური ქსოვილითა და პრიმიტიული აქსესუარით (დასავლეთი), ან უკიდურესი მრავალსიტყვაობითა და ვერსიფიკატორული გატაცებით (აღმოსავლეთი). რუსთაველის გენიალური ლექსი, რომელმაც შეისისხლხორცა ქართული ფოლკლორული და ლიტერატურული ლექსთწყობის ყოველგვარი მონაპოვარი, გვაოცებს დანტესებური ლაკონიზმით, ხოლო საჭირო შემთხვევაში მისი ლექსი მეტაფორებისა და პოეტური სახეების დაუოკებელ ნაკადად მოედინება.

პოემის ნოვატორული ხასიათი, მომავლისაკენ მიმართული მზერა, რაც მას ჩვენთვის ასე გასაგებსა და ძვირფასს ხდის, როგორც ჩანს, აიხსნება XII საუკუნის საქართველოს ისტორიული და კულტურული თავისებურებებით. სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოიშვა და საკმაოდ ხანგრძლივად იარსება ერთიანმა და ძლიერმა ფეოდალურმა სახელმწიფომ, რომელმაც განახორციელა ქართველი ხალხის სწრაფვა ერთიანობისაკენ და მისცა ასპარეზი, რათა მსახურეულ აზნაურთა წრეებიდან პოლიტიკურსა და კულტურულ სფეროში დაწინაურებულიყვნენ ბრწყინვალე მოღვაწეები, მხატვრები, პოეტები. ამ ეპოქის გმირულმა შინაარსმა ჰპოვა თავისი ადექვატური გამოხატულება XII საუკუნის ქართულ ხელოვნებაში — უწინარეს ყოვლისა, ხუროთმოძღვრებასა და პოეზიაში. მაგრამ ამ ეპოქის ყველაზე ორგანული ნაყოფი ხელოვნების სფეროში მაინც არის რუსთაველი, რომელმაც ერთბაშად ახალ სიმაღლეზე აიყვანა ქართული ლიტერატურა და მიანიჭა მას მსოფლიო მნიშვნელობა.

როგორც უკვე ითქვა, რუსთაველმა განსაკუთრებული ადგილი მოუპოვა პოემაში თვით პოეტს, იგი არის საქართველოს ძლიერების არამარტო მადიდებელი, რომელიც ქებათ-ქებას უძღვნის ბრძენ მმართველსა, რაინდობას, არის არამარტო ფხიზელი და მახვილ გრძნობის მქონე მოგზაური, რომელსაც ესმის ჩივილიცა და ყვედრებაც, არამედ თავისი ეპოქის თანამედროვეცაა, რომელიც დაფიქრებული მსჯელობს მასზე და თავის მზერას მომავლისაკენ მიმართავს.

ძნელია აუღელვებლად წაიკითხო პოემის ეპილოგის ის სტრიქონები, სადაც მის ეპოქაზე ამაღლებული პოეტი წინასწარმხედივით გვესაუბრება მრისხანე ეპოქაზე, რომელიც ულმობლად მოისწრაფოდა მისი აყვავებული სამშობლოს გასათელად. საუკუნეც არ გასულა მას შემდეგ, რაც შეიქმნა დიდებული ეპოპეა სამი რაინდის გმირობაზე. საქართველოს მზე დააბნელა მონღოლთა ველურმა თავდასხმებმა — ამ საერთო უბედურებამ, როგორც აღმოსავლეთ ევროპისათვის, ისე ახლო-აღმოსავლეთისათვის. გაწყდა რუსთაველის ტრადიციაც ქართულ მწერლობაში; შეუძლებელი შეიქმნა მისი განვითარება, რადგან თვით ამ პოეზიის საფუძველი — ქართული საზოგადოება — საუკუნეთა მანძილზე გმინავდა მონღოლთა კირთების ქვეშ. მაგრამ შემდეგაც, როცა ახალ-ახალი უბედურება მოევლინა ქართველ ხალხს, როცა იგი ერთი ქაჯის ხელიდან მეორეში გადადიოდა, რუსთაველის სახელი ჩაუქრობელი ლამპარივით ენთო სხვა სათაყვანებელ გმირებთან ერთად. მოვიდა ის დროც, როცა ახალი ძალით იფეთქა ხალხის გულში შემონახულმა ხსოვნამ დიდებული პოეტისა, როცა საბჭოთა საზოგადოებამ შესძლო ყველასათვის დაენახვებინა ამ უდიდესი პოეტის მსოფლიო მნიშვნელობა, — და აი, მსოფლიოს ლიტერატურის უპირველეს სახელთა შორის თავისი საპატიო ადგილი დაიკავა დიდებულმა მესხმა, პოეტმა, რომელიც აგრე რიგად ამაოლდა საკუთარ ეპოქაზე და მოგვაგონებს იმ ამაყ ძველ ციხე-კოშკებს, რომლებიც ახლაც ბრწყინავენ მისი მშობლიური მიწის მთებსა და კლდეებზე — წმინდა გიორგის გმირულ მიწაზე.

მსგავსად ამ ციხე-კოშკებისა რუსთაველის პოემა არის წარსულის არა უბრალო ძეგლი, არამედ სიცოცხლით სავსე ნაწილი ჩვენი თანამედროვეობისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგიზ ბუაჩიძე

# ალ. ჭავჭავაძის პოეზიის ხასიათისათვის

ეპოქა, რომელშიაც ალ. ჭავჭავაძე ცხოვრობდა, დიდი გარდატეხით აღინიშნა. რუსეთთან შეერთებით ახალი პერიოდი დაიწყო საქართველოს ისტორიაში. ახალმა ვითარებამ ღრმა კვალი დააჩნია ერის მატერიალურ და სულიერ ცხოვრებას, მისი კულტურისა და ლიტერატურის განვითარებას.

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი მნიშვნელოვანი იყო, აგრეთვე, თვით რუსეთის, რუსი ხალხის ცხოვრებაში. თუ შევეხებით მხოლოდ ლიტერატურის განვითარების პროცესს, დავინახავთ, რომ მასზე უდიდესი გავლენა მოახდინა ჯერ 1812 წლის სამამულო ომმა, ხოლო შემდგომ 14 დეკემბრის პოლიტიკურმა ამბოხებამ. რაც შეეხება ახლადშეერთებულ ამიერკავკასიას, კერძოდ, საქართველოს,—ამ ახალმა თემამ რუსულ მწერლობაში ახალი, მანამდე უცნობი სახეები და მოტივები შეიტანა, გაამდიდრა იგი.

რუსეთთან შეერთებამ ქართული ლიტერატურის განვითარებას, ხალხის სულიერ ცხოვრებას ახალი გზა და კალაპოტი მისცა და, ამავე დროს, ამ მოვლენამ თვით რუსულ ლიტერატურას ახალი, თავისებური ელფერი შემატა.

ისტორიული გზისა და ბედის გარდატეხის პერიოდში, სოციალური და ნაციონალური განვითარების გზაჯვარედინზე იმ დროის გამოჩენილ მოღვაწესა და შემოქმედს ალ. ჭავჭავაძეს, რომელიც ორი ეპოქის მიჯნაზე, ორი კულტურისა და ლიტერატურის შეხების ცენტრში იდგა, არ შეეძლო რამდენადმე მაინც არ აესახა თანადროულობის აქტუალური საკითხები.

მართლაც, თუ ღრმად დავაკვირდებით ალ. ჭავჭავაძის მრავალმხრივ მოღვაწეობასა და მხატვრულ შემოქმედებას, ჩვენ თამამად შევძლებთ იმ დასკვნის გაკეთებას, რომ მათში არა მხოლოდ „რამდენადმე“, არამედ მთელი სისავსითა და მრავალფეროვნებით აისახა ეპოქის მწვავე სოციალურ-პოლიტიკური და ეროვნულ-პატრიოტული საკითხები, გამოიხატა ხალხის გულისთქმა და მისწრაფებანი, საზოგადოების მოწინავე იდეები.

მაგრამ საკმაო დროის მანძილზე, თვით საბჭოთა ეპოქამდე, ლიტერატურის კრიტიკოსთა და ისტორიკოსთა არა ერთი თაობა უარყოფდა ე. წ. „მოქალაქეობრივი მოტივების“ არსებობას ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში და მას მხოლოდ „სიყვარულის, ტრფიალის და ღვინის მგოსნად“ აღიარებდა.[1]

პროფ. ა. ცაგარელმა მეცხრამეტე საუკუნის 70-იან წლებში „დროებაში“ გამოაქვეყნა კრიტიკული წერილი „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“, რომელშიაც ალ. ჭავჭავაძე მხოლოდ ანაკრეონტულ განწყობილებების პოეტად გამოაცხადა. „იგი უმეტესად სამღერ. სამხიარულო და სატრფიალო საგნებზე ლექსობს: აზრათა აქვს კაცს მძიმე სიცოცხლის უღელი შეუმსუბუქოს და მხიარული ლექსით ვითომ დაავიწყოს „სოფელი მომღერალი“, დაამღეროს მშვენიერ საგნებს, რომლებსაც ან უსულო საგნები ან ადამიანები წარმოადგენენ. —მაგალითად, ვარდს, ღვინოს, დილა-საღამოს. მთვარეს, ამომავალ და ჩამავალ მზეს, მოჩუხჩუხე წყაროს, იადონს და ბულბულს... აგრეთვე. რასაკვირველია, შეღაღადებს სიყვარულს. ქალებს...“

ა. ცაგარელის აზრით, „ალ. ჭავჭავაძე მამულის ბედზე ყურმიყრუებულია. არც ერთი მისი ლექსი არ მოაგონებს ადამიანს სამშობლოს. მის მდგომარეობას“.

1881 წელს დ. ბაქრაძე „ივერიაში“ გამოქვეყნებულ კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიულ წერილში აღნიშნავდა: „ბევრ ლექსებს ალ. ჭავჭავაძისას აკლიათ ძლიერება, შთაბეჭდილებასაც ვერაფერს ვერ სახავენ მკითხველის გულში და გრძნობაც მხოლოდ მაშინ დაეტყობათ ხოლმე, როდესაც გამომთქმელად ჰყავთ ტკბილხმოვანი საზანდარი ან ბანის მიმცემად—ჩონგურის ღღერა“.

1886 წელს ზ. ჭიჭინაძემ მეტად არაობიექტურად გააკრიტიკა მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურა და, კერძოდ, ალ. ჭავჭავაძე, რომლის შესახებ გა-

---

[1] ეს საკითხი საინტერესოდაა გაშუქებული ი. ბოცვაძის ნაშრომში „ალ. ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში“, 1958.

ნაცხადა, რომ პოეტმა „ვერ აღბეჭდა თავისი ნავალი, მან თითქმის ისე გაატარა თავისი სიცოცხლე და ცხოვრება, რომ მარტო სიმკვდრით სავსე ნაწარმოებ ლექსებს გარდა ჩვენ სხვა არა დაგვიტოვა-რა, სადაც იოტის ოდენა ღირსებანი არაფერია და საიდანაც ვერც ჩვენ ვსარგებლობთ და გამოგვაქვს რამე ქართულის ლიტერატურისათვის და რომელიც ვერავითარ ჰაზრს და მიმართულებას ვერ მისცემს ქართული ახალგაზრდობის გონებით და ჰაზროვნებით ლტოლვილებაების აღორძინებას“.

ორი წლის შემდეგ ზ. ჭიჭინაძემ კვლავ სცადა ქართული მწერლობის გაბიაბრუება თავის ბროშურაში „წერილები ქართულ მწერლობაზე“, რომელიც სანდალას ფსევდონიმით დაიბეჭდა, და ისეთი უცნაური დახასიათებები ჩამოარიგა, როგორიც იყო: ალ. ჭავჭავაძეზე— „ჩვენი ერის გონებითი განვითარების აღორძინებისათვის ერთი ჩალის ან იოტის ოდენი რამეც არ გაუკეთებია“; ნ. ბარათაშვილზე — „როგორც მკვდარი და ცრუ იდეალისტი, ისე დაძრწის თავ გადაგლეჯილი, გულ მწუხარი და თვალ ცრემლიანი თავის ლექსებში“, გრ. ორბელიანზე—„თავის მკვდარი და უსაგნო ლექსების ტიტინით მთელი ქართველობის თავადაზნაურობა, ბაზაზებ-მოქალაქენი და თვით კინტუებიც უკიდურეს გარყვნილებაში ჩააგდო...“ და სხვა.

ცნობილია, თუ რა საკადრისი პასუხი გასცა ილიამ „სანდალას წიგნს“.

ვერც იონა მეუნარგიამ შეძლო, მიუხედავად დიდი დამსახურებისა პოეტის ბიოგრაფიის შედგენის საქმეში, ალ. ჭავჭავაძის პოეზიის სწორი დახასიათება. იგი მასში „ქართულ ხმას“ ვერ ხედავდა.

საბოლოოდ, თავისი დროისათვის ყველაზე სწორად, ილიამ და აკაკიმ მოგვცეს ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში მოქალაქეობრივი მოტივების განსაზღვრა. მაგრამ ილია ამ მოტივებს მხოლოდ „ცალკეულ მაგალითებს“ უწოდებდა და პოეტის შემოქმედების „უმთავრეს ძარღვად“ მაინც „სიყვარულისა და ტრფიალების ჭირსა და ლხინს, და მაშასადამე, სიყვარულისა და ტრფიალების პოეზიას“ აღიარებდა.

კიტა აბაშიძე თვლიდა, რომ „ალ. ჭავჭავაძე არ იყო საეროვნო მწერალი, საერო დარდისა და ვარამის გამომხატველი“, რომ „უიმედობითა და უსასოებით მოცულ პოეტს ერთ დროს უნდოდა თავდავიწყებულ ქეიფს გაჰყოლოდა, რადგან ყოვლის მკურნალ წამლად მიაჩნდა...“

რევოლუციამდელი ქართული კრიტიკის ზოგიერთმა წარმომადგენელმა, მაგალითად; ი. გომართელმა. ი. ფანცხავამ, ი. ფერაძემ, სცადეს ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების უფრო ღრმა და ობიექტური გამოკვლევა. მათ ბევრი სწორი შეხედულება გამოთქვეს, მაგრამ არსებული ტრადიციის დარღვევა ვერ შეძლეს, რადგანაც მათ ნაშრომებსაც ეტყობათ მეტ-ნაკლები მერყეობა პოეტის მოქალაქეობრივი იდეებისა და მრწამსის გამოვლინებისა და შეფასების დროს.

საბჭოთა პერიოდის კრიტიკოსებთაგან პირველად ვახტანგ კოტეტიშვილმა მიუთითა, რომ ალ. ჭავჭავაძის პოეზიის მ თ ა ვ ა რ ი მოტივია პატრიოტიზმი, რომ მის შემოქმედებაში გარკვეულად ისმის სოციალური მოტივიც. „პატრიოტიზმის გარდა,—წერდა მკვლევარი,—ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში ისმის სრულიად გარკვეული სოციალური მოტივი, რაც დღემდე ჩვენს ლიტერატურაში სავსებით შეუმჩნეველი იყო. ეს არის პროტესტი არსებული სოციალურ-პოლიტიკური წყობის მიმართ, მონობის ყოველგვარი ფორმის დაგმობა, წოდებრივი განსხვავების უარყოფა, ეკონომიური ექსპლოატაციისადმი ზიზღი...“[1]

საბჭოთა ლიტერატურის მცოდნეები თავიანთ გამოკვლევებში ქართული რომანტიზმისა და, კერძოდ, ალ. ჭავჭავაძის შესახებ,—გ. აბზიანიძე, ლ. ასათიანი, დ. გამეზარდაშვილი, ა. კენჭოშვილი, ა. მახარაძე, შ. რადიანი და სხვები,—ფართოდ და მრავალმხრივ, ახალი, წინად უცნობი მასალების გამოყენებით, აშუქებენ დიდი პოეტის შემოქმედებას. მათ შრომებში განხილულია ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში გამოვლინებული სოციალურ-პოლიტიკური იდეებიც.

მაგრამ ზოგიერთი მკვლევარი, არსებული მასალის მიუხედავად, კვლავ გაუბედავად, მორიდებით და ყოყმანით უთმობს პირველ ადგილს ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში პატრიოტულ, იმ დროისათვის აქტუალურ პოლიტიკურ იდეებს. ამ ნაკლს ნაწილობრივ პოეტის ისეთი გამოჩენილი მკვლევარიც ვერ ასცდა, როგორიც ი. გრიშაშვილი იყო.

ზემოთგანხილულმა ტრადიციულმა, არსებითად მცდარმა შეხედულებამ ალ. ჭავჭავაძის პოეზიის ხასიათზე, თავისი სიცოცხლისუნარიანობა იმითაც დაამტკიცა, რომ მისი გამოძახილი უახლეს ნაშრომებშიც კი გვხდება. მაგალითად, გ. ასათიანის საინტერესო წიგნში „ქართველი ლირიკოსები“ ალ. ჭავჭავაძის პოეზიის ამგვარი დახასიათებაა მოცემული:

„ალ. ჭავჭავაძის პოეზიის მთავარ საგანს ადამიანის პირად, სუბიექტურ განცდათა სამყარო წარმოადგენს და ეს პატარა ინტიმური სამყარო, როგორც ეპიკურეს ბაღი, შეგნებულად არის მის მიერ იზოლირებული, საიმედოდ შემოღობილია გარეშე, ობიექტური სინამდვილისაგან“.[2]

ყველაფერ ამის გამო საჭიროდ მიგვაჩნია ერ-

[1] ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1961, გვ. 71.

[2] გ. ასათიანი, ქართველი ლირიკოსები, 1963, გვ. 18.

თხელ კიდევ დავუბრუნდეთ თითქოს უკვე გარკვეულ საკითხს: ალ. ჭავჭავაძის პოეზიის ხასიათის განსაზღვრას.

* * *

სამშობლოს სახის დახატვაში ალ. ჭავჭავაძე აკაკი წერეთლის უშუალო წინამორბედია. ალ. ჭავჭავაძისათვის სამშობლო სატრფოა, რომელიც „პატიმარია“, პყრობილია და ძველი დიდებისაგან განძარცული.

მას ვჭვრეტ პატიმრად, ვის მონებს გული.
მისთვის გლახ-განწირული,
მაქვს მწუხარება ზედა-ზედ რთული,
მარად მეახლვის წყლული...
(„ვისაც გსურთ“)

ალ. ჭავჭავაძისათვის სამშოლო ის მნათობია, რომელთანაც ყოფნა პოეტს ყოველთვის სურს:

შენთან არს გული, მნათობო, ვიყო სად გინა,
გინა ვის ვჭვრეტდე, მნათობო, შენ მიდგ
თვალწინა...
(„შენთან არს გული, მნათობო“)

პოეტის სათაყვანებელი სამშობლო ჭირში ჩავარდნილა. დამხობილა ძველი სახელი და მის ნაცვლად სევდა და ურვა დამკვიდრებულა. ხშირად პოეტის თვალწინ წარმოდგება დიდებით მოსილი წარსული. ამ დროს იგი ბედნიერია, მაგრამ, როცა ეს ჩვენება ქრება, კვლავ უბედური სინამდვლე ესახება და იგი მწარედ დასტირის მამულს:

უწყალო სენმან, ყოველთ მაწყენმან,
გვიკოდა გულნი,
გვყო ჭირთა მთმენად, მგლოვარენად ყოვლნი
სულდგმულნი,
სუსტ-გვქმნა ვათაგან მთიებთაგან
დაშორებულნი
. . . . . . . . . . .
ჩვეულნი ლხინსა, მიგვცა ჭირსა
უბედობამან,
მოგვაკლო შვება, გვმატა ვება შავ-სვეობამან...
(„უწყალო სენმან“)

სამშობლოს თემის სხვადასხვა ვარიაციებია ალ. ჭავჭავაძის ლექსებში: „ოჰ, ვით გვიმტყუვნა“, „ვისაც გსურთ“, „ეჰა, ჩემო ოცნებავ“ „დიმიტ. ვ. “, „კავკასია“, „მწამებ ხსოვნისა“ და მრავალი სხვა.

სამშობლოს თემა უშუალოდაა დაკავშირებული პატრიოტიზმის გრძნობასთან, ძლიერ კარგად აქვს შემჩნეული ვ. კოტეტიშვილს, რომ, როცა პოეტი არ ასახელებს თავისი ჭმუნვის საგანს, მას ხშირად საქართველო ჰყავს მხედველობაში.

ღრმა პატრიოტიზმის გამოვლინების შესანიშნავი მაგალითია ლექსი „უგვანთა ტრფობა“, რომელიც უმეტეს მკვლევართ რატომღაც მხოლოდ პირადი სიყვარულის გრძნობის ასპექტში აქვთ განხილული.

უგვანთა ტრფობა, უგრძნოთ ტკბობა ვისგან
ვსმენია?
მეც მმართებს მოვთქვა, ცრუ-[illegible]
რაიც მთმენია:

ჯერეთ ნორჩ ხანში, უცხო ხალხში ოდესაც
ვრბოდი,—
არა ვარ მცირე დასამცირე, ამას ვამბობდი;
შვენებით სრული, გაბადრული მსწრაფლ
ვამაყობდი.
ამით ვიცოცხლე და სიცოცხლე არ
მომწყენია.

ეს ლექსი ავტობიოგრაფიულ მოტივებზე შექმნილ, მაღალი მოქალაქეობრივი გრძნობით გამსჭვალულ ნაწარმოებად მიგვაჩნია.

ვის გაუგია ულირსთა სიყვარული ან უგრძნობო ტკბობა?—სვამს კითხვას პოეტი. ამასთან დაკავშირებით მას სურს ზოგი რამ აღიაროს, რის შესახებაც ბევრი ცრუ მითქმა-მოთქმა გაუგონია და მოუთმენია. იგი იხსენებს ბავშვობას, რომელიც პეტერბურგში გაატარა. ჯერ სულ ნორჩი იყო, როცა უცხო ხალხში რბოდა და ამბობდა:—არა ვარ მცირე, რა მაქვს დასამცირებელი? მართლაც, რა უნდა ჰქონოდა, გარდა უცხოობისა, მცირე ერის შვილობისა? ამ უცხოობის მიზეზი მისი ქართველობა იყო, რითაც იგი „მსწრაფლ ამაყობდა, ამით ცოცხლობდა და სიცოცხლე არ მოსწყენია“ (ამას პირველად ვ. კოტეტიშვილმა მიაქცია ყურადღება). მაგრამ ეს ქვეყანა, ეს სინამდვილე დაუნდობელია. გული დასწვა მას ცხოვრებამ. უცხო, მლიქვნელმა ენამ და ძალამ მისი სული და გული მიიპყრა, დაიმონა, დაატყვევა, ჭირში შთააგდო და ახლა ამაზე ჩივის მგოსანი, მაგრამ ვერავისათვის შეუსმენია და შეუგნებინებია თავისი მდგომარეობის გამოუვალობა. ამიტომ აფრთხილებს იგი სხვებს, მასავით არ მიენდონ ბედს, თორემ კრულნი იქნებიან. ხოლო ვისაც პოეტის განკითხვა სურს მისი მოქმედების გამო, იკითხოს იქ, „სად ჩემი ჩაგვრა და დაჩაგვრა დამითმენია“.

სავსებით გასაზიარებელია ვ. კოტეტიშვილის აზრი: „ალ. ჭავჭავაძე საქართველოს გარკვეულად არ ახსენებს... მაგრამ დიდი ჩაკვირვება არ არის საჭირო, რომ ხშირად ალ. ჭავჭავაძის სატრფოს სახით საქართველო დაინახოთ. ასეთი განპიროვნება ხომ შემდეგში დაკანონდა კიდეც. და ყველაზე მეტად აკაკი წერეთლის პოეზიაში. თუ აკაკის სატრფო საქართველოა, ალ. ჭავჭავაძის სატრფო რადად უნდა იქნას ნაგულისხმევი ყოველთვის სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით?“[1] ეს მოსაზრება პოეტის მთელს ლირიკას შეეხება.

უეჭველია ის აზრი, რომ ალ. ჭავჭავაძემ მეც-

[1] მითითებული შრომა, გვ. 60.

ხრამეტე საუკუნის ქართულ პოეზიაში საფუძველი ჩაუყარა პატრიოტულ ლირიკას. ამის შესანიშნავი მაგალითია მისი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „ვაჰ, დრონი, დრონი“:

ვაჰ დრონი, დრონი, ნაგებნი მტკბარად,
წარილტვნენ, გაჰქრნენ სიზმრებრივ ჩქარად;
მე იგივე ვარ მარად და მარად!
არ ვსდევ ჟამთა ცვლას,
მე იგივე ვარ მარად და მარად!

. . . . . . . . . . . . .

გლახ ბედისაგან ესრეთ დასჯილი,
იმედოვნებას ვუწოდებ ფარად,
მე იგივე ვარ მარად და მარად.

. . . . . . . . . . . . .

მე ერთმან ერთ გზის ერთს ვუძღვენ თავი,
მასვე ვმონებდე მტკიცედ და მყარად—
მე იგივე ვარ მარად და მარად...

როგორც მკვლევარი სამართლიანად აღნიშნავს,[1] მართალია, სამშობლოს სიყვარულის მოტივი ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში, სავსებით გასაგები მიზეზების გამო, ისე ძლიერად არ არის წარმოდგენილი, როგორც ვთქვათ, აკაკი წერეთლის ლირიკაში, მაგრამ ამ მოტივს მაინც ძირითადი ადგილი უჭირავს მის პოეზიაში. საინტერესოა ისიც, რომ „პატიმრის“ მდგომარეობაში სამშობლოს წარმოდგენა, როგორც თავისებური პოეტური სახე, პირველად ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში გვხვდება. ეს სახე შემდგომ პოეტურ განვითარებას აკაკის ლირიკაში პოულობს.

საინტერესოა, რომ ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში ჩვენ ვხვდებით მოქალაქეობრივი მოტივების არა მარტო ჰარბ გამოვლინებას, არამედ საზოგადოების უმოქმედო ძალთა კრიტიკასაც. ამ შემთხვევაში პოეტური მხილების მახვილი მიმართულია იმ ქართველი თავადაზნაურების წინაალმდეგ, რომელნიც მხოლოდ გამორჩენაზე ფიქრობდნენ, მწარე ისტორიული ხინამდვილისაგან განწირულნი, გამოსავალს ვერ პოულობდნენ და ლოთობაში ჰკლავდნენ დროს. იგი აკრიტიკებს მათაც, ვინც გულგრილად შეჰყურებდა თვითმპყრობელობის თარეშს და ძილს მისცემოდა. ამის მკაფიო მაგალითია ლექსი „ოჰ, წარმავალნო“, რომელიც ბნელ საპატიმროში ჩაგდებული კაცის ამოკვნესაა:

. . . . . . . . . . . . .

ოჰ, ვაენო, ჰსჭვრიტეთ ამა სახლსა,
სადგურსა ბნელსა, ყოვლით თალხსა.
არ გებრალვისთა ეგდენთ ხალხსა
მას შინა მყოფი
თქვენი მთმობი!?

შემდეგ წარსულის გახსენებაა:

წარმოიდგინეთ იგი ჟამნი,
ყოვლად ძვირფასნი მისნი წამნი,
როს ვიქადოდით ყოვლნი გვამნი
პატრონის ყოლით,
მის წინ ბრძოლით!

შემდეგ კრიტიკაა, საყვედურია საზოგადოების მიმართ და მათთვის პოეტის ანალოგიური ბედიც მინიშნებულია:

ვხედავ, თქვენ შორის სულ გამქრალა
ერთგულებისა ნაპერწკალა!
ჰსცანით, რომ გყოფენ დღეს თუ ხვალა
თქვენც ჩემებრ მთმენად.
მოუსვენად!

. . . . . . . . . . . . .

როგორც მკვლევარები სამართლიანად აღნიშნავენ, ალ. ჭავჭავაძის მოქალაქეობრივი იდეების გამომხატველ ლექსებში სატირის ნაკადიც შეინიშნება. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ა. კენჭოშვილს, ი. ბოცვაძეს და ზოგიერთ სხვას, რომ განთქმული „მუხამბაზი ლათაიურის“ (ე. ი. „მუხამბაზი კრიტიკულის“) შინაარსი, მისი ანალიზი და შედარება პოეტის სხვა ლექსებთან არავითარ საფუძველს არ იძლევა ეს ლექსი ალ. ჭავჭავაძის მორალურ კრედოდ გამოვაცხადოთ. პირიქით. და სავსებით მართალია მკვლევარი, როცა წერს: „ალ. ჭავჭავაძე... წრეგადასულ ეპიკურეისტულ დროს ტარებას ასახავს, მაგრამ ფაქტიურად თვით პოეტის კრედოს კი არ გამოხატავს,—თითქოს ცოდნის გმობის ხარჯზე ღვინოს აქებდეს („დავეხსნეთ ცოდნის ძებნასა, ღვინო სჯობს ყველა მცნებასა“), არამედ თითქმის პირველ ქართულ „ლათაიას“, „გინა კრიტიკას“ წერს,—გადაჭრით გმობს ქართველი თავადაზნაურობის ერთი ნაწილის მცონარ-ლოთურ ცხოვრებას“.[1]

ლექსში „შექცევათათვის“ პოეტი აკრიტიკებს იმ თავის თანამედროვეთ, რომელნიც უზომო „ლხინის მორევში“ ჩაფლულან და „მუხამბაზ ლათაიურში“ ირონიულად ჩამოყალიბებულ „მცნებათა“ საწინააღმდეგოდ, ზომიერებასა და თავდაჭერას ქადაგებს:

თქვენ, რომელნი ლხინთ მორევში
დაფლულნი და უძლურ ქმნილნი,
უგონობას სიამეთ რაცხთ განუფხიზლად
დათრობილნი,
სიამოვნე, თუცა გწადისთ ჯერარს გქონდეთ
მისი ცნობა,
იგი მუნით გარდეგების, სად იხმარვის
უზომობა.

---

[1] ი. ბოცვაძე, ალ. ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, გვ. 62.

[1] ა. კენჭოშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, 1953, გვ. 57.

სამშობლოს სიყვარულთან, პატრიოტიზმის ცხოველ გრძნობასთანაა დაკავშირებული ის სევდა-კაეშანი, რომელიც ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში მეტად საგრძნობია. ეს სევდა უმეტესად პოეტის მაღალი მოქალაქეობრივი იდეალების გამოძახილია და არა ის „მოწუწუნე პესიმიზმი“, რასაც მთელი ასი წლის მანძილზე თავს დაჰკიჟინებდნენ ქართველ რომანტიკოსს.

ღრმა პატრიოტული სევდით არის გამოწვეული პოეტის ცნობილი „მუსტაზადი“:

> უწყალო სენმან, ყოვლთ მაწყენმან გვიკოდა
> გულნი...

ვ. კოტეტიშვილი წერს: „განა ნათელი არ არის ამ ლექსის დედააზრი? ეს ღრმა სევდა არის სამშობლოს მდგომარეობით გამოწვეული. იყო დრო, საქართველო „ავად თუ კარგად თავის თავს ეყუდნა“, „პატრონი“ ჰყავდა, დღეს კი პატრიოტებმა და მათ შორის ალ. ჭავჭავაძემ განიცადეს სასტიკი იმედგაცრუება. მისი მგრძნობიარე ბუნება ვნებიანად ესწრაფვოდა თავისუფლებისაკენ. სინამდვილე კი პოლიტიკური რეაქციის სახით წარმოუდგა, რომელსაც პოეტი „ქაჯს“ უწოდებს“.[1]

ალ. ჭავჭავაძის მთელი შემოქმედება მძაფრად გამოხატავს პოეტის ზიზღს კოლონიური პოლიტიკისადმი. ზოგჯერ, როგორც ეს არაერთხელ აღნიშნულა, იგი მიმართავს ალეგორიას და მეფის ბიუროკრატ მოხელეებს ამგვარად ამკობს: „გულით მრუდენი“, „პირბნელი სათნი“. „ლიზლნი“, „ავნი“, „ქაჯები“, „მგლები“. „ეშმაკთ სადგურნი“...

დაძლეული აქვს პოეტს თავისი სევდა-კაეშანი, თუ მართლაც პესიმიზმის „ხრამში არის გადაჩეხილი?“ უმეტესი მკვლევარებისა „გოგჩის ტბის“, ამ გრანდიოზული ლექსის გარჩევისას, ამტკიცებენ, რომ ალ. ჭავჭავაძის სევდა გამოუვალი პესიმიზმით მთავრდება, იგი შერიგებულია ბედს. „გოგჩის ტბა“ „... დამთავრების აკორდია, მღელვარების დაცხრომა და ერთგვარი ფილოსოფიური შერიგებაა ბედისწერასთან“ (ვ. კოტეტიშვილი).

დიახ, „გოგჩა“ არის ფილოსოფოსის ჭვრეტა, ბრძენის მსჯელობა წარსულის ნანგრევებთან, მაგრამ „ფილოსოფიური შერიგება ბედისწერასთან“ ჩვენ აქ ვერ ამოვიკითხეთ. ძველი დიდების „ნაშთნი“ რომ პოეტის გულს „სევდით ავსებენ“, რომ „მხოლოდ აწმყოზე არ უნდა იყოს დაბმული“ ადამიანის მხედველობა, რომ გოგჩის ნანგრევები რომანტიკოსს წარმოათქმევინებენ—„აჰა ჩვენისა მომავლისაც ნამდვილი ხატი!“—მოკლედ, ამ ბრწყინვალე ლექსის ყოველი სტრიქონი რომ ღრმა ფიქრთა და განცდათა ანარეკლია ე. წ. „მსოფლიო სევდით“ მონაბერი, ეს კიდევ არ ნიშნავს „ბედისწერასთან შერიგებას“. ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში არის ლექსები, რომლებიც გამოხატავენ პოეტის ბრძოლის წყურვილს, იმედს ნათელი მომავლისადმი. თუმცა ეს იმედიც ზოგჯერ კაეშანდაკრულია, მაგრამ სულ სხვა მიზეზით — პოეტის სამშობლო კვლავ იქნება თავისუფალი. მაგრამ მოესწრება კი ამას იგი?

> მე ამას ვჰსტირი განაწირი, ვაჰ თუ ვესწრა
> ვერ!...
> თვარაღა ჟამი, გულთ მაამი, კვლავცა იქნების.
> („პყრობილისაგან თანაპყრობილთა მიმართ“)

ან კიდევ თქმული სამშობლოსთან განშორებისას:

> მას ვჰსტირ, რომ ვშორდები თვალთ
> დამტირებსა.
> თვარა ვით შემაკრთონ ტანჯვა-ჭირებსა:
> სიცოცხლე გვიძღვნია თავ გამწირებსა!..
> („მსურდა ოხვრა“)

სავსებით სწორია მკვლევარი, როცა აღნიშნავს: „ოფიციალური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის დროს პოეტს გარკვეული რწმენაც ამოძრავებდა“ და შემდეგ: „ალ. ჭავჭავაძისა და ნ. ბარათაშვილის... სულით ობლობა არასოდეს სულიერ დაცემულობამდის არ მიდის და მათში ყოველთვის ღვივის იმედის ნაპერწკალი და, რაც მთავარია, ამ იმედიანობაზე დამყარებული მებრძოლი განწყობილებანი“[1]

„გოგჩასთან“ დაკავშირებით ჩვენ მთლიანად ვერ ვეთანხმებით გ. ასათიანსაც, რომლის საერთო კონცეპციიდან გამომდინარე აზრით „გოგჩა“, როგორც გარკვეული ეტაპი ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებითი ევოლუციისა, — აშკარად შეიცავს თვითუარყოფის, ე. ი. საკუთარი პოეტიკის დაძლევისა და გადააზრების ელემენტებს“.[2] ვიზიარებთ რა მკვლევარის მიერ მოცემულ ამ ლექსის საერთო დახასიათებას, ჩვენ მიგვაჩნია, რომ „გოგჩა“ ალ. ჭავჭავაძის პოეტიკის ბუნებრივი, კანონზომიერი განვითარების შედეგია, ე. ი. მასში ახალი ელემენტების დამკვიდრება ხდება არა იმდენად „თვითუარყოფის“, რამდენად „თვითგანვითარების“ შედეგად. ეს უხერხული „ტერმინი დიალექტიკურად შეიცავს თვითუარყოფის ელემენტებსაც, რადგან ყოველგვარი განვითარება რაღაცის უარყოფაა, მაგრამ ჩვენ უფრო სამართლიანად მიგვაჩნია მასში ნიუანსირებული აზრის გამოყენება ალ. ჭავჭავაძის პოეზიის, გინდა პოეტიკის, დასახასიათებლად.

---

[1] მითითებული შრომა, გვ. 61

1. აპ .მახარაძე, ქართული რომატიზმი, 1960. გვ. 67, 68-69.

[2] გ. ასათიანი, ქართველი ლირიკოსები. გვ. 27.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ალ. ჭავჭავაძის ლექსი „ვაჰ, სოფელსა“. ფაქტიურად ახალ ქართულ მწერლობაში ეს პირველი ლექსია, რომელშიაც საოცარი ძლიერებით არის დაყენებული სოციალური საკითხი. ამ ლექსით კიდევ ერთხელ მტკიცდება ის თეზისი, რომ ალ. ჭავჭავაძე მეტად მრავალფეროვანი, თავისი ეპოქის უაღრესად პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი იყო.

ზოგიერთი მკვლევარი ამ ლექსშიც პესიმისტურ იდეებს ეძებდა. ისევე, როგორც სხვა ლექსებში, მასში მხოლოდ „ვარდ-ბულბულიანის“ შორეულ, ეპიგონურ გამოძახილს ხედავდნენ. ამგვარი უმართებულო, წინასწარაკვიატებული შეხედულებებით დიდხანს იჩრდილებოდა ქართველი პოეტის შემოქმედების ჭეშმარიტად ეროვნულ-პატრიოტული და სოციალური მიმართება.

„ვაჰ, სოფელსა“ სოციალურ-კლასობრივ ჩაგვრას ეწინააღმდეგება, მასში ცოვრების პესიმისტური იდეა კი არ არის გამოვლენილი, არამედ ეროვნული და სოციალური მჩაგვრელების განადგურების ოპტიმისტური თვალსაზრისია გამოთქმული.

ვაჰ სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა,
ბოროტებისა და სიცრუვის ჭურთა,
კეთილ მოყვარების დათრგუნვის მსურთა
    უსაფუძვლოთა
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და
                ხვეჭით!

პოეტი ნათლად ხედავს ქვეყნად გამეფებულ უთანასწორობას, შურს კეთილმოქმედთა მიმართ; მისი აზრით, საზოგადოების ნაწილი გამდიდრებულა მხოლოდ სხვისი ჩაგვრით. მტაცებლობით:

აქ აქებენ ძვირსა მზაკვარნი, სულნი,
სძრახვენ კეთილ-მოქმედთ შურით შემკულნი;
ზოგადნი არიან გამდიდრებულნი, —
    განა რითა, ძმანო?
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და
                ხვეჭით.

სახელმწიფოები ერთმანეთს ებრძვიან, ადამიანებს უწყალოდ ქლეტენ და მდიდრდებიან ისევ ჩაგრულთა ხარჯზე:

სამეფონი ურთიერთსა მქცევლობენ,
შეუწყალოდ, მხეცებრ კაცთა მხევლობენ;
მდიდრდებიან, რომელნიცა მძლევლობენ,
    და ყვავილოვნებენ
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და
                ხვეჭით...

შემდეგ სტროფებში მინიშნებულია ხელმწიფეთა და მათ გარშემო შემოკრებილ მოხელეთა შური და მტრობა, ძმათა შორის ბრძოლა მხოლოდ გამორჩენის, შეძენის, გამდიდრების გულისათვის:

ხელმწიფენი, რომელთ სვესაც ვემურვით,
არნ მოცულნი უმრავლესითა ურვით,
ფიქრ-მრავლობენ განდიდებისა სურვით,
    ატარებენ ჟამთა
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და
                ხვეჭით.
მოხელენი, მათ გარეშე მდგომელნი,
ძმათა თვისთა შურ-მტერობის მდომელნი.
ჰკვლენ ერთმანეთს, ნაძარცვთ
                გამომრჩომელნი.
    და შეექცევიან
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და
                ხვეჭით.

ამ შესანიშნავი ლექსის ბოლო სტროფი მჩაგვრელთა მიმართ მუქარის გრძნობით არის გამსჭვალული:

რომელნიც ამწარებთ ღარიბთ ცხოვრებას
და სთხოვთ ურცხვად, უსამართლოდ
                მონებას,
მოელოდეთ მათთან თანასწორობას.
    არ მარადის იშვათ
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და
                ხვეჭით!

შესაძლებელია ეს ლექსი თარგმანსაც წარმოადგენდეს (ან მიბაძვას), რაზედაც არის ყრუ მითითება (ზ. ჭიჭინაძისა) და რასაც ის გარემოებაც ემატება, რომ ლექსი შინაარსით მეტად ახლოს დგას სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართულ ფილოსოფიურ ნაწარმოებთან—„ახლოის განჩხრეკილ კაცთან“, რომელიც ალ. ჭავჭავაძეს ფრანგულიდან უთარგმნია. მაგრამ ეს არსებითად არაფერს ცვლის.

„ვაჰ, სოფელსა“ წარმოადგენს იმ დროისათვის მეტად პროგრესულ სოციალურ შეხედულებათა გამოხატულებას, ალ. ჭავჭავაძის მოქალაქეობრივი მოტივების ბრწყინვალე ილუსტრაციას.

„კავკასიაშიც“ კი, პოეტის ამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ლექსში, რომლითაც ქართულ პოეზიაში კავკასიონის დიდებული აღწერა მკვიდრდება, არ მალავს პოეტი ცარიზმის შემოსვლით გამოწვეულ კავკასიის ტკივილებს. მიუხედავად იმისა, რომ იგი ამ ისტორიული აქტის დადებით მხარესაც—„განიხსნა გზა და ეშვათ ივერიელთ სასოება, რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება“,—ხედავს:

— და კავკასი მკვნესარედ
ეხოთა მიერ წყლულთა თვისთა ცხად
                ჰყოფდა მწარედ!

ამრიგად, ჩვენთვის ეჭვმიუტანელია ის საერთო დასკვნა, რომ ალ. ჭავჭავაძის შემოქმე-

დების დიდი ნაწილი, კერძოდ, ნაწარმოებნი: „ვაჰ, დრონი, დრონი“, „მუხამბაზი ლათაიური“, „პავლე პირველის სასახლისადმი“, „უწყალო სენმან“, „ოჰ, ვით გვიმტყუვნა“, „სხვადასხვა დროისათვის კაცთა“, „გოგჩა“, „ვაჰ, სოფელსა ამას“, „ოჰ, წარმავალნო“, „ვისაც გსურთ“, „ვაჰ, სუსტსა სენსა“, „მსურდა ოხვრა“, „ნუ მომკალ მწარედ“, „პყრობილისაგან თანაპყრობილთა მიმართ“, „ისმინეთ, მსმენნო“, „ეჰა, ჩემო ოცნებავ“, „დიმიტ. ვ“. „კავკასიი“, „უგვანთა ტრფობა“, „მწამებ ხსოვნისა“, „შექცევათათვის“, „კვლავ მარად ამ ჩემს სურვილსა“ და კიდევ ზოგიერთი თანადროულობის სხვა პოლიტიკურ, სოციალურ და ფილოსოფიურ იდეებთან ერთად, ნათლად გამოხატავენ პოეტის ეროვნულ გრძნობას, პატრიოტულ სულისკვეთებას, მოქალაქეობრივ გულისტკივილს, ოპოზიციურ განწყობილებას და ხალხის გულისწყრომას ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მიმართ.

მე აქ აღარ ვეხები „საქართველოს მოკლე ისტორიულ ნარკვევსა და მდგომარეობას 1801-დან 1831 წლამდე“, რომელიც ალ. ჭავჭავაძემ ნიკოლოზ I წარუდგინა ქართველი ხალხის დაცვის მიზნით და რომელშიაც არა ერთი მართალი სურათი დახატა რუსეთის სამხედრო ადმინისტრაციის თავგასულობისა საქართველოში; არ ვიძლევი, აგრეთვე, ანალიზს პოეტის მრავალრიცხოვანი თარგმანებისა რუსულიდან და ფრანგულიდან, რომელთაც მისთვის არა მარტო მხატვრული მნიშვნელობა ჰქონდა. ცხადია, ალ. ჭავჭავაძე არჩევდა და თარგმნიდა ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც მისთვის საინტერესო სოციალურ და პოლიტიკურ იდეებს შეიცავდნენ, პუშკინის „ანჩარს“, ვოლტერის „ტაქტიკას“, უცნობი ავტორის „ახლოით განჩხრეკილ კაცს“, კორნელის „სინნას“ და სხვა ავტორთა თხზულებებს, როგორც ცნობილია, უსაფუძვლოდ არ მიუქცევია ქართველი პოეტის ყურადღება.

ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში ვხვდებით იმ დროს ყველაზე მოწინავე იდეების ანარეკლს. მათი წრე მეტად დიდია — ფრანგი განმანათლებლებიდან რუს დეკაბრისტებამდე. მაგრამ უმთავრესი ძარღვი პოეტის შემოქმედებისა მაინც მისი საკუთარი სამშობლოს თემასთან არის დაკავშირებული.

ამრიგად, ალ. ჭავჭავაძის პოეზია „ობიექტური სინამდვილისაგან შეგნებულად იზოლირებული პატარა ინტიმური სამყარო და ეპიკურეს ბაღი“ კი არ არის, არამედ ეპოქის მოწინავე იდეების ღრმად ამსახველი შემოქმედებაა, გამსჭვალული მაღალი მოქალაქეობრივი იდეალებით, პატრიოტიზმით, სოციალური პროტესტის იდეით, დამონებული სამშობლოსადმი უდიდესი სიყვარულის გრძნობით.

ესაა ალ. ჭავჭავაძის პოეზიის ხასიათის *განმსაზღვრელი* თავისებურება, ხოლო მისი მდიდარი შემოქმედების ყველა სხვა მხარე, კერძოდ, მაღალპოეტური სატრფიალო მოტივი, ამ ძირითადზე, მთავარზე და მნიშვნელოვანზე არის დამყარებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ კვესიტაძე

# ათასი ფუთი ბრალდება

## განცდილი და გაგონილი

### დარცხვენილი ჰერკულესი...

კასსელი გერმანიის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს, მდინარე ფულდას ნაპირზე. ერთ დროს ის ჰესსენის პროვინციის დედაქალაქი იყო. შემდეგ მსხვილი საწარმოო ცენტრი გახდა. ომის დროს აქ გერმანიის საავიაციო და ქიმიური ქარხნები იყო განლაგებული. ამერიკელებმა ჯერ ასამდე ბომბდამშენი და გამანადგურებელთა რამდენიმე ესკადრილია გამოგზავნეს, რომელთაც ქალაქში უწესრიგოდ ჩამოყარეს ყუმბარები და გაფრინდნენ. გერმანული გამანადგურებლები ამ თვითმფრინავებს დაედევნენ და საჰაერო ბრძოლა გაუმართეს კასსელიდან დაშორებით. ეს ფანდი იყო. ნახევარი საათის შემდეგ, კასსელს ორი ათას ხუთასი მძიმე ბომბმშენი დაესხა თავს. ყოველ ესკადრილიას თავისი კვარტალი ჰქონდა მიჩნეული. ყუმბარმშენები მთელი საათის განმავლობაში „აუთოვებდნენ“ ქალაქს, ვიდრე მთლიანად არ მოსპეს.

ადვილი წარმოსადგენია, რა კოშმარული იყო ეს ღამე კასსელის მცხოვრებლებისათვის. ჩვენს მასპინძელს, გენერალ ტიმბერლეიკს, იმიტომ მივყავდით იქ, რომ ეჩვენებინა ამერიკული ავიაციის ძალა. თან სანაძლეოს გვიდებდა, რომ კასსელში ვერც ერთ სახლს ვერ ვნახავდით დაუნგრეველს. ეს, მართლაც, ასე იყო. ჩვენ თვალწინ შემზარავი სურათი გადაიშალა: ყველგან ჩონჩხები შენობებისა. ზოგი მათგანი რამდენიმე საუკუნე იდგა იქ. ბევრიც ახალი ანაგები იყო. ჩვენი ვილისები მოხერხებულად დაძვრებოდნენ ან ნანგრევებს შორის. ცოცხლად დარჩენილი მოსახლეობა სარდაფებში ცხოვრობდა. ნანგრევებში ბავშვები იროდნენ და რაღაცეებს ეძებდნენ. ისინი გაბოროტებული თვალით უყურებდნენ ჩვენს მანქანებს, მე არ დამავიწყდება ამ ბავშვების შიშით სავსე თვალები. ისინი ჯერაც არ იყვნენ დამშვიდებულნი. მათ გამოხედვაში არ იგრძნობოდა ბავშვური ცნობისმოყვარეობა, არც ხალისი. ისინი ნაღვლიანად, ოდნავ დამცინავად, თუ ზიზღით მოგვჩერებოდნენ. დიდები თავს გამოყოფდნენ ნანგრევებიდან, რაღაცას ჩაილაპარაკებდნენ და სარდაფებში იმალებოდნენ. ვილისები კი ისევ თაგვებივით დაძვრებოდნენ ნანგრევებს შორის. ჯერ კელნის ქუჩას გამოვყევით, ვიქტორიას ქუჩა გადავსერეთ და ბანკის უზარმაზარი შენობის ნანგრევებს ჩავუარეთ. მერე მარცხნივ გადავუხვიეთ, ლუთერის ქუჩაზე გავედით და უძველეს ეკლესიასთან შევჩერდით. ლიტერატურიდან ვიცოდი, ეს ეკლესია ცნობილი გერმანელი მხატვრის ტიშბაინის ფრესკებით რომ იყო მოხატული, მაგრამ ახლა ისე მიელეწ-მოელეწათ, რომ სულერთია, კაცი მათ რამე ნიშანსაც ვერ გაარჩევდა. ამის შემდეგ „იმპერატორის მოედანზე“ გავედით. ცნობილი იყო ამ მოედნის საოცარი აგებულება. შენობები ისე იყო განლაგებული, რომ თუ ვინმე მოედნის ცენტრში დადგებოდა და დაიყვირებდა ექვსმავი ეხო უპასუხებდა. ეს რომ ტიმბერლეიკს ვუამბე, დაინტერესდა. მანქანები მოედნის ცენტრში დააყენა და საყვირები მიუშვა. არავითარი ექო. ირგვლივ უზარმაზარი შენობების ჩონჩხები შემოგვცქეროდნენ დუმილით. ტყუილი ყოფილაო, დაასკვნა ტიმბერლეიკმა. ცხადია, ეს ტყუილი არ იყო, მაგრამ აბა, დანგრეული სახლების ჩონჩხები რა ექოს გამოსცემდნენ!..

ჩვენ ერთხანს კიდევ ვიხეტიალეთ ქალაქის ნანგრევებს შორის და მერე პლატოზე ავედით, რომელიც ისე დაჰყურებდა კასსელს, როგორც მთაწმინდა თბილისს, აი, აქ კი ვნახეთ ერთადერთი დაუნგრეველი ნაგებობა — ჰერკულესის 30 მეტრიანი უზარმაზარი ქანდაკება, გლიკონის ანტიკური ძეგლის მიხედვით შესრულებული.

ესეც ირონია სინამდვილისა!..

...ბერძნული მითოლოგიის გმირთა-გმირი ჰერაკლე, ანუ რომაულად ჰერკულესი, ადრე მზის ღმერთი იყო, რომელიც თავისი ელვის ისრებით სპობდა სიბნელესა და ბოროტებას. შემდეგ მეცნიერებმა ერთ-ერთ თანავარსკვლავედს ჰერკულესი უწოდეს, მის ახლო მდებარეს კი ჰიდრა, რომელიც მან დაამარცხა. გლიკონის ქანდაკება გამოხატავს ამ უებრო გმირის კუნთებადქცეულ სხეულს, რომელიც ახლა თითქოს ოდნავ დაღლილი დაყრდნობია რაღაცას და მორცხვად თავდახრილი დაჰყურებს დანგრეულსა და დალეწილ კასსელს.

იმ გოლიათმა ტიმბერლეიკმაც თავი ანტიკურ გმირად წარმოიდგინა და ამაყად თქვა:

— ხედავთ, ახლა ჩვენც ჰერკულესივით დავყურებთ ამ ნაცარტუტადქცეულ კართაგენს!

გაგრძელება იხ. „მნათობი“, № 1.

...კასსელის „დაკოვენტრებით“ შვიდგზის „წურძიებული“ გერმანელები დარწმუნდნენ, რომ ინგლის-ამერიკელებთან ასეთ საჰაერო დუელს ჩვეულებრივი ავიაციით ვერ მოიგებდნენ და მთელი იმედი იმ ახალ „სასწაულმოქმედ იარაღზე“ გადაიტანეს. ეგონათ, მოკავშირეთა შემოტევას კონტინენტზე ამ იარაღით შეაჩერებდნენ. ამიტომ ნერვიულობდნენ, აჩქარებდნენ მერაკეტეებს. ვერნერ ფონ ბრაუნის „ტექნიკური ტვინის ტრესტი“ დღედაღამ მუშაობდა. თათბირები თათბირებზე ეწყობოდა. ჰიტლერს უჩვენეს ფილმი პირველი რაკეტული იარაღების გამოცდისა. ამ უზარმაზარი, საჰაერო, ურჩხულის ფრთების სიგანე16 ფუტს აღწევდა, სიგრძე — 25-ს, სიჩქარე — 350-400 მილს საათში, მოქმედების რადიუსი 150. 1944 წლის ივნისის მეორე ნახევრიდან სექტემბრის მეორე ნახევრამდე, როცა ჩვენი მოკავშირეები თავიანთ „პლაცდარმს აფართოვებდნენ შერბურის რაიონში, ინგლისისაკენ 7400 ასეთი „მფრინავი მეტეორი“ გაუშვეს. აქედან, როგორც ამბობენ, 2300-მა ლონდონამდე მიაღწია და მნიშვნელოვანი ნგრევაც გამოიწვია. მართალია, არც ისეთი, როგორსაც მოელოდნენ, მაგრამ მაინც. ინგლისელებმა მოახერხეს საჰაერო დაცვის რეორგანიზაცია და ლონდონისკენ გაშვებულ რაკეტებს ჰაერშივე აფეთქებდნენ ან ქალაქის თავზე გაჭიმულ ლითონის ბადეებით იჭერდნენ. ამან ჩაშალა ჰიტლერის ეს „საგანგებო ოპერაციაც“, მაგრამ „გაპარსული ნადირები“ მაინც არ ისვენებდნენ. ჰიტლერმა ახლა „წურისძიების ახალი სასწაულმოქმედი იარაღით“ სცადა ინგლისის დაშინება.

1944 წლის 7 სექტემბერს გაშვებული იქნა „ფაუ-2“ ეს უკვე მთელი კონვეიერი იყო საჰაერო ურჩხულებისა. სამხედრო სპეციალისტები წერენ, ატომის ყუმბარების აფეთქებამ, ხიროსიმასა და ნაგასაკში ააცილა საზოგადოების ყურადღება ამ მართლაც საშინელ იარაღს, თორემ ის ტექნიკის უდიდეს საოცრებად ჩაითვლებოდაო იმ დროს.

მართლაც, წარმოიდგინეთ საბარგო მატარებლის მსგავსი საჰაერო ხომალდი, რომელიც 70 მილის სიმაღლეზე მიფრინავს, საათში 3500 მილის სისწრაფით, — ე. ი. ხმაზე უფრო სწრაფად, ისე რომ არც თვალით ჩანს და არც ხმა ისმის. არც არავინ მართავს მას ადამიანთაგან, გარდა სტაციონარული რადიო-პულტისა გაშვების ადგილიდან.

ჩერჩილი მანამდე სრულიად სკეპტიკურად უყურებდა ჰიტლერელების „რაკეტულ ისტერიას“. ეს შეუწყნარებელი შეცდომა იყო. ინგლისელებს თავის დროზე ჰქონდათ მიღებული სრული ინფორმაცია პენემიუნდეს რაკეტოდრომის შესახებ, მაგრამ პრემიერმა ყური არ ათხოვა სამხედრო სპეციალისტების გაფრთხილებას. ახლა კი, როცა „ფაუ-2“ გამოჩნდა ინგლისის ცაზე, ჩერჩილი იძულებული გახდა საგანგებო ზომები მიეღო ლონდონის დასაცავად.

ამ დროისათვის გერმანელებს თავიანთი ტერიტორიაზე უკვე ასამდე რაკეტოდრომი ჰქონდათ აშენებული. ცენტრი კი ისევ ჰენემიუნდეში იმყოფებოდა. საჭირო იყო სწრაფი მოქმედება, და მოკავშირეთა ავიაციამ, მართლაც, მიიღო დავალება მოესპო ეს ბუნაგი. ოპერაცია გულმოდგინედ მზადდებოდა. რამდენიმე ხნის განმავლობაში ბერლინის დასაბომბად მიმავალი ესკადრილები ჰაერში „რატომღაც“ გზას იმრუდებდნენ და ჰენემიუნდეს გადაუფრენდნენ, თუმცა არცერთ ყუმბარას არ აგდებდნენ იქ. ჰენემიუნდელები მიეჩვივნენ ყოველ ღამე მათ თავზე ინგლის-ამერიკელების თვითმფრინავების გადაფრენას და გულდამშვიდებულნი თავშესაფარშიც არ შედიოდნენ. არც სირენები ტეხდნენ განგაშს და არც საზენიტო არტილერია იღებდა ხმას. ყველა დარწმუნებული იყო, რომ მტერმა არაფერი იცის მათი ადგილმდებარეობის შესახებ.

...18 ავვისტო მთვარიანი ღამე იყო. პენემიუნდეში ყველა საქმით იყო გართული, რომ ადგილობრივმა რადიოსადგურმა გამოაცხადა, ჩრდილოეთ-დასავლეთიდან მტრის თვითმფრინავები გვიახლოვდებიანო, მაგრამ რაკი ასეთ რამეს მიჩვეული იყვნენ, ამისათვის ყურადღება არავის მიუქცევია. რაკეტოდრომი ჩვეულებრივად წყვდიადში იყო ჩაფლული. მხოლოდ მთვარის რბილი სხივები ანათებდნენ ზღვის ნაპირას განლაგებულ შენობებს: ყველას ეგონა, თვითმფრინავები ბერლინისაკენ მიდიანო, მაგრამ ამ დროს მფრინავებმა ჰაერში ე. წ. „საშობაო ნაძვის ხედ“—სპეციალური გამანათებელი მაშხალები ჩამოკიდეს პარაშუტებით და დღესავით გაანათეს იქაურობა.

მერე დაიწყო!.. ექვსასმა „მფრინავმა ციხე-სიმაგრემ“ საჰაერო ხალიჩა გაშალა პენემიუნდეს თავზე და სეტყვასავით დააყარა ყუმბარები მის ობიექტებს...

მილიონნახევარმა კილოგრამმა ასაფეთქებელმა მასალამ სულ ნაცარტუტად აქცია იქაურობა...

...ჰიტლერმა იმავე ღამეს გაიგო პენემიუნდეს დაბომბვის ამბავი, და ჩვეულებრივმა ისტერიამ მოუარა. ისე იყო გაცოფებული, რომ არ იცოდა, ვის დატაკებოდა. მერე, ეტყობა, გერინგის მოერიდა და ადიუტანტს უბრძანა, სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროს გენერალ ეშონეკს დამაკავშირეო.

აიღო თუ არა ყურმილი ეშონეკმა, ჰიტლერის გამყინავი ხმა გაიგონა.

— იცით თუ არა, რა მოხდა პენემიუნდეში?

— დიახ, ჩემო ფიურერ! „უპასუხა ეშონეკმა.

— მაშინ ისიც გეცოდინებათ, რა უნდა გააკეთოთ! — მოესმა მას ისეთივე შემზარავი ხმა.

სულ ეს იყო. ჰიტლერმა ყურმილი დადო. ეშონეკი კი, რა თქმა უნდა, მიხვდა, რას ნიშნავდა ეს. ბრალი კი არაფერში მიუძღოდა. პენემიუნდეზე თავდასხმა რომ დაიწყო, მაშინვე გაგზავნა ბერლინიდან გამანადგურებლები, რომლებმაც 47 „მფრინავი ციხე-სიმაგრე“ ჩამოაგდეს, მაგრამ საქმეს ეს რას შველოდა. გერმანიის სარაკეტო ცენტრი უკვე განადგურე-

ბული იყო. ჰიტლერის რისხვა კი რატომღაც მას ატყდებოდა. იგრძნო კიდეც კისერზე, რომ მარყუჟი ჰქონდა ამოსკვნილი, და სხვა რომ ვერაფერი იღონა, დაჯდა, გამოსამშვიდობებელი წერილი მისწერა ცოლს და...ტყვია იკრა შუბლში...

დილით კალტენბრუნერი გაჩნდა პენემიუნდეში, სპეციალური ზომებიც იქნა მიღებული, მაგრამ გვიან იყო... ამის შემდეგ ინგლის-ამერიკელები ყოველღამ ბომბავდნენ გერმანიის სარაკეტო ბაზებს ლაიპციგში, დიუსელდორფში, კელნში, ვილჰელმსჰაფენში და სხვაგან...

რაკეტული ისტერია თანდათან დაცხრა.

...ინგლის-ამერიკელები კი უკვე ისე იყვნენ ფეხმოკიდებულნი კონტინენტზე, რომ მთელი ფრონტით შეეძლოთ შეტევის განვითარება... 7-სა და 8 ივლისს დაიწყო ნავთსადგურ კანის იერიში. დილიდანვე 2200 თვითმფრინავი დაესხა ქალაქს, შვიდი ათასი ტონა ყუმბარა ჩამოყარეს და ნავთსადგურის ნახევარიც აიღეს. ათი დღის შემდეგ ისევ განახლდა შეტევა. ახლა 2000 თვითმფრინავი დასტრიალებდა კანს. სამი დღის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ, მოკავშირეებმა ხელთ იგდეს ეს მნიშვნელოვანი ნავთსადგური. შემდეგ თვით ინგლისელი სამხედრო სპეციალისტები წერდნენ, რომ ქ. კანის ასეთი ტოტალური დაბომბვა არც სამხედრო და არც მორალური თვალსაზრისით გამართლებული არ იყოო, მაგრამ, როგორც ჩანს, მონტგომერი იზიარებდა ჩერჩილის თეორიას „სტრატეგიული დაბომბვის" შესახებ, კოლოსალური უპირატესობა ჰაერში, აძლევდა მათ ამის საშუალებას. სამხედრო ლიტერატურაში აღწერილია იმ პერიოდის რამდენიმე საჰაერო ოპერაცია, რომელშიც 3-4 ათასი მარტო მძიმე ყუმბარმშენი იღებდა მონაწილეობას, შედარებით, მცირე ტერიტორიის დასაბომბად. კორესპონდენტები აღწერდნენ, ცაზე ცარიელი ადგილი არ რჩებოდაო ასეთი მასიური თავდასხმის დროს.

...მძიმე ბრძოლების შედეგად, სადესანტო პლაცდარმი უფრო გაფართოვდა: 100 კილომეტრი სიგანე და 30-50 კილომეტრი სიღრმე. მართალია, წინასწარი ვარაუდით, ორი ამდენი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ოპერაციების გასავითარებლად ესეც საკმარისი აღმოჩნდა. ჰიტლერს რომ შესძლებოდა რამე რეზერვების გადასროლა დასავლეთის ფრონტზე, შეიძლებოდა მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის მაინც მიეღწია, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. ძალლით — კაცამდე რომ ყველა ფრონტზე გაეწვია, საჭირო რეზერვებს მაინც ვერ მოაგროვებდა. თეირანის კონფერენციის გადაწყვეტილებით კი, პარალელურად მთელი აღმოსავლეთის ფრონტი უნდა გადასულიყო შეტევაზე. ეს დროც ახლოვდებოდა. ორ ცეცხლს შორის მომწყვდეულ გერმანიას სად ჰქონდა იმის ძალა, რომ ოთხი ათას კილომეტრზე გაჭიმულ ფრონტებზე გამკლავებოდა მოკავშირეთა მძლავრ კოალიციას. ეს ხომ პოლონეთი, დანია, ან ლუქსემბურგი არ იყო და ისიც — ცალ-ცალკე.

## ჯოჯოხეთის თანამგზავრები.

ამის შემდეგ ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ჰიტლერული გერმანია კატასტროფული სისწრაფით უახლოვდებოდა თავის დასასრულს. მხოლოდ გამოუსწორებელ ფანატიკოსებს სჯეროდათ რაღაც „საოცრების", და ძველებური სიჯიუტით განაგრძობდნენ წინაალმდეგობას. გენერალიტეტიც შედრკა. ნაციზმის მეთაურებიც უფრო ღრმად ჩაუფიქრდნენ მდგომარეობას. მესამე იმპერიის ბედი და მათი პირადი ცხოვრება ისე გადაენასკვა ერთმანეთს, რომ მათი არსებობის საკითხიც დადგა. ჰიტლერის უახლესმა მიმდევრებმაც იგრძნეს ეს საშიშროება. ნათლად გამოჩნდა „დილემის რქები": ჰიტლერთან ერთად ბოლომდე უფსკრულისაკენ, თუ სადმე განზე გადგომა. თვითონ ჰიტლერისათვის ასეთი დილემა არ არსებობდა. იგი კვლავ ჯიუტად იცავდა თეზას: ყველაფერი, ან არაფერი. თან კატასტროფიული სისწრაფით მიექანებოდა უფსკრულისაკენ. ისიც უნდოდა, სხვაც მის გზას გაჰყოლოდა. ამაზეა ნათქვამი: „კაცი ჯოჯოხეთში მიდიოდა და თანამგზავრებს ეძებდაო". ბევრმა ასეთი თანამგზავრობა არ ისურვა. ამან სადღაც დაარღვია მითი „ჰიტლერული გვარდიის" მონოლითურობის შესახებ. ეს „მონოლითურობა" არც ფიურერის უახლეს პალადინებს აღმოაჩნდათ. ყველა თავისთვის ეძებდა მაშველ რგოლს. გენერლებიცა და სამოქალაქონიც. მათ უნდოდათ ჰიტლერი ჩამოეშორებინათ გზიდან, ზავი შეეკრათ ინგლის-ამერიკასთან და ერთიანი ძალით განეგრძოთ ბრძოლა საბჭოთა არმიის წინააღმდეგ აღმოსავლეთის ფრონტზე. მაშინ ყველასათვის ცხადი იყო, რომ ინგლისელები და ამერიკელები ჰიტლერთან ლაპარაკს არ მოისურვებდნენ. ეს ჰიტლერმაც იცოდა. თქვა კიდეც: დასავლეთთან შეთანხმებას მეც ვეცდებოდი, მაგრამ ჩემთან ლაპარაკი არავის არ უნდაო.

— ასე რატომ ვძულვარ მე ინგლისელებს? — ჰკითხა ერთხელ ჰენდერსონს.

— იმიტომ რომ არ გენდობიან. — მიუგო ელჩმა.

ასეც იყო. ჰიტლერის სიტყვას მართლაც კარებამდე არავინ ენდობოდა. სხვებს კი ამის იმედი ჰქონდათ ამიტომაც გადაწყვიტეს გაეწირათ „სწორუპოვარი ფიურერი" და ხელები გაეხსნათ თავისუფალი მოქმედებისთვის. ეს კი არც ისე ადვილი იყო. ამგვარ ცდას ბევრჯერ ჰქონდა ადგილი; ჯერ კიდევ ომის

დაწყებამდეც, მაგრამ უშედეგოდ. ჰიტლერმა ისე განმტკიცა თავისი პირადი ძალაუფლება არმიაში, რომ მისი თავიდან მოშორება ვერ შეძლეს. მან თავის დროზე აული ალლო გენერალიტეტის ერთი ნაწილის ორჭოფულ დამოკიდებულებას მის პოლიტიკასთან. ამიტომ ძალაუფლების ხელში ჩაგდებიდანვე თანდათან ჩამოიშორა რაიჰსვერის „უკმაყოფილო" და „არასაიმედო" გენერლები; ომის დაწყების წინ კი შეიარაღებული ძალების უმაღლეს სარდლობას თვითონ ჩაუდგა სათავეში. 1938 წლის 4 თებერვალს კანონიც გამოსცა, რომლის ძალით „უმაღლეს სარდლობას უშუალოდ და პირადად ანხორციელებს თვითონ ფიურერი და რაიჰსკანცლერი გერმანიის იმპერიისა".

...ვიდრე ამას მიაღწევდა, ჰიტლერმა ძალაუფლების ხელში ჩაგდებიდან ოთხი წლის განმავლობაში მოახდინა არმიის ხელმძღვანელობის სრული რეორგანიზაცია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები იქნა მიღებული 1938 წელს, როცა ჰიტლერი ომის დაწყებას აპირებდა. ნიურნბერგის პროცესზე საკმაო ყურადღება დაუთმეს ამ საკითხს და გამოააშკარავეს, თუ რა ბინძური მეთოდებით მოხდა ყოველივე ეს. ჯერ ხომ ყოფილი რაიჰსვერის გამოჩენილი გენერლები: ფონ სექტი, გრენერი, შლაიხერი, ჰამმერშტაინი და სხვები ჩამოაშორეს არმიის უმაღლეს ხელმძღვანელობას: ზოგი მოკლეს, ზოგსაც ღირსება ახადეს, ან ისე გადააყენეს. მერე სამხედრო სამინისტრო გააუქმეს და ამით სახმელეთო ჯარების, ავიაციისა და ფლოტის მთავარსარდლები უშუალოდ ჰიტლერს დაექვემდებარნენ. სამხედრო მინისტრი და ჰიტლერის პირველი ფელდმარშალი ბლომბერგი სულ გააძევეს არმიიდან, თანაც უცნაური საბაბით...

...საკმაოდ ხანდაზმულმა ფელდმარშალმა ცოლად შეირთო საეჭვო ყოფაქცევის ქალი — ვინმე ერიკე გრიუნ. მათ ქორწილს ჰიტლერი და ბლომბერგის ძველი მეტოქე გენერალი გერინგიც ესწრებოდნენ. გერინგი სულ იმის ცდაში იყო, რომ ბლომბერგი როგორმე ჩამოეშორებინა გზიდან. ამას მისი ხელქვეითებიც გრძნობდნენ და ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ თავიანთ შეფისთვის. ასეთი მომენტიც დადგა:

გერინგი თავის სასახლეში, „კარინჰოლში" ისვენებდა. თავის დროზე ეს სასახლე დიდი მითქმამოთქმის საგანი იყო. გერინგმა იგი პირველი ცოლის, კარინის საპატივცემლოდ ააგებინა. იქვე გამართა უზარმაზარი აკლდამა, სადაც კარინის ნეშტი ესვენა. თვითონ სასახლე მუხის უხეშად გარანდული მორებისაგან იყო ნაგები. შიგნითა სათავსოები კი გასაოცარი სიმდიდრით მოწყობილი — ოქროს სახელურებიანი კარ-ფანჯრებით, ოქროს ფილებით მოგებული აბაზანით, სამხატვრო გალერეიით და სხვა ასეთით. კარინჰოლის ვრცელ პარკში მარმარილოს ქანდაკებები იდგა, გარშემო კი უღრანი ტყე ეკრა, სადაც გერინგი ნადირობდა. იგი რომაული სენატორივით მეწამული ტოგითა და ოქრონაქარგი ქოშებით დადიოდა ბაღში, სამკერდე ბრილიანტებით ჰქონდა მოჭედილი, ათიდან რვა თითზე ძვირფასქვებიანი ბეჭდები ეკეთა. ფრჩხილებს წითლად იღებავდა. პირისფარეშები და მზარეულები გაწვალებული იყვნენ „კეისრისათვის" რაღაც განსაკუთრებული ნელსაცხებლებისა და კერძების მომზადებით. თერძები მისთვის „სრულიად განსაკუთრებულსა" და განახვავებულ მუნდირებს კერავდნენ. გენერლები გაოცებულნი იყვნენ, როცა მის წითელაბშლაგებიან ცისფერ მუნდირს უყურებდნენ. უფრო ის უკვირდათ, ავიაციის მარშალი რომ კავალერისტივით ოქროს დეზებს ატარებდა. ასეთი უცნაურობა ჰიტლერსაც სჭირდა. გაკვირვებული ბიოგრაფები წერენ: ცხენზე ის არც ერთხელ არ მჯდარა, მაგრამ ყოველთვის კავალერისტის მაღალყელიან ჩექმებს იცვამდა და ხელზე ჰიპოპოტამის ტყავისაგან გაკეთებულ მათრახს არ იშორებდაო.

გერინგი კი სულ რაღაც „განსაკუთრებულს" მოითხოვდა თავისთვის. ის მართლაც ერთადერთი რაიჰსმარშალი იყო გერმანიაში. ასეთი ტიტული სპეციალურად მისთვის შემოიღო ჰიტლერმა. გერინგმა შეიფერა ყველაფერი ეს. „მე ვარ ღმერთი და კეისარი", — ასე შთააგონა თავის თავს და სხვებსაც, ვინც მას უყურებდა, რომაელი იმპერატორივით რომ ვარჯიშობდა მშვილდის სროლაში...

გერინგი „კარინჰოლში" ზოგჯერ საქმიან მოლაპარაკებასა და დიდ წვეულებასაც მართავდა, მაგრამ სპეციალური მიწვევის გარეშე იქ ვერავინ გაბედავდა მის შეწუხებას...

...იმ დღეს რაღაც უცნაური ამბავი მოხდა. ყოველგვარი გაფრთხილებისა და წინასწარი თხოვნის გარეშე, მას მიადგა ბერლინის პოლიციის მეთაური გრაფი ჰელდორფი. გერინგი ჯერ გაბრაზდა, ასეთი გადაუდებელი საქმე რა გაქვს, რომ აქ მაწუხებო, მაგრამ ჰელდორფის მოსვლის მიზანს რომ გაეგონა მაშინვე აპატია „ეს თავხედობა". გრაფმა მიუტანა „უტყუარი მასალები" იმის შესახებ, რომ ფელდმარშალ ბლომბერგის ცოლი, ერიკე გრიუნ, უზნეო ქალია, რომ საროსკიპოებში „მუშაობდა" და ისიც არა ერთში, თურმე შვიდი ქალაქის პოლიციაში ყოფილა რეგისტრირებული, როგორც როსკიპი, რის გამოც რამდენჯერმე გაუსამართლებიათ კიდეც, უკანასკნელად — პორნოგრაფიული სურათების გავრცელებისთვისაც კი.

ჰელდორფმა ეს მასალები ჯერ კაიტელს მიუტანა, რადგან ის დანათესავებული იყო ბლომბერგთან (კაიტელის ვაჟმა რამდენიმე კვირის წინ შეირთო ბლომბერგის ქალიშვილი პირველი ცოლისაგან). ვინ იცის, რა მოსაზრებით, მაგრამ ფაქტია, რომ კაიტელმა სთხოვა ჰელდორფს, ეს მასალები გერინგისათვის გადაეცა, რაც მან შეასრულა კიდევაც.

...გერინგი ცას ეწია სიხარულით. დაავლო ხელი ამ მასალებს და მაშინვე ჰიტლერთან გაქანდა ბერლინში. მიუხედავად იმისა, რომ ბლომბერგს ადრეც ჰქონდა ნათქვამი ორივესთვის, ჩემს საცოლეს „ისტორია ჰქონდაო“, ჰიტლერმა ისე შეიცხადა ეს ამბავი, თითქოს პირველად გაიგო, — ავარდ-დავარდა, იყვირა, იბობოქრა, ხოლო როცა ისტერიამ გაუარა, იხმო ბლომბერგი და გამოუცხადა, „ამ სამარცხვინო ინციდენტის“ შემდეგ, თქვენი არმიაში დარჩენა შეუძლებელიაო“. ბლომბერგი, რა თქმა უნდა, მიხვდა საიდან უბერავდა ქარი და მაშინვე გადადგა. შემდეგ კი, მოწმედ გამოძახებულმა, ყველაფერი ჩამომარცვლა ნიურნბერგის პროცესზე. შახტმაც დაადასტურა, ბლომბერგის გადაყენება გერინგის ინტრიგების შედეგი იყოო. ამის გაგონებაზე გერინგი გაცოფდა, მაგრამ რა უნდა ექნა, როცა ბლომბერგისა და შახტის ჩვენების გარდა, ამას სხვა საბუთებიც ადასტურებდა...

შუადღით, სადილობის დროს, ის მაინც მიუახლოვდა შახტის მაგიდას და შეუბღვირა:

— რა გაიძულებთ, რომ ასეთი განცხადებები გააკეთოთ მტრების წინაშე?

— სიმართლე! — მოკლედ მოუჭრა შახტმა და ზურგი შეაქცია.

— ამაზე მანამ არ გიზრუნიათ, ვიდრე ამ ციხეში ამოჰყოფდით თავს — შეუტია გერინგმა, მაგრამ მათ შორის ხელკეტებით შეიარაღებული სამხედრო პოლიციელები ჩადგნენ.

— მშიშრები, მოღალატეები, ვიგინდარები! — ბორგავდა გერინგი, თუმცა ბრალდებულთა შორის, შტრაიხერის გარდა, თანამგრძნობი ვერავინ იპოვა...

...ბლომბერგის გადაყენების შემდეგ, სახმელეთო ჯარების სარდლის თანამდებობაზე გენერალი ვერნერ ფონ ფრიჩი დაასახელეს. არც ეს შედიოდა კარიერისტ გერინგის გეგმებში, და „საქმის მცოდნეები“ მაშინვე დატრიალდნენ. ამჯერად უფრო ბინძური ფარსი გათამაშდა. ამის გამოაშკარავებამ კი სულ მოუღო ბოლო გერინგის, როგორც „ღირსეული ოფიცრის“, რეპუტაციას. ე. წ. „გენერლების ოპოზიციის“ პირველი გააქტიურებაც „ფრიჩის საქმესთანაა“ დაკავშირებული. ალბათ, ამიტომ იყო, რომ პროცესზე ამან განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. გამოირკვა, რომ ეს საქმეც გერინგმა და ჰიმლერმა დაატრიალეს. ჯერ გაიხსენეს, რომ 1934 წელს „რემის პუტჩთან“ დაკავშირებით, ვიღაცამ შეადგინა ცნობა „ვერნერ ფონ ფრიჩთან თუ ფრიშთან“ უზნეო კავშირის შესახებ. მაშინ ასეთი საქმეები განსაკუთრებული გამოძიების ობიექტი იყო, რადგან მოიერიშეთა რაზმების ბევრი მეთაური და უფრო დიდებიც იჭვმიტანილნი იყვნენ ამგვარ უზნეობაში. ერნსტ რემიც რამდენჯერმე იქნა გასამართლებული. არც თვითონ უარყოფდა ამას და აცხადებდა „სამსახურის საათების შემდეგ, რას ვაკეთებ, ეს არავის ეკითხებაო“.

იმ დროს პრესაშიც იბეჭდებოდა მამხილებელი ცნობები ამის თაობაზე, ამიტომ ჰიტლერს რომ „ფრიჩის საქმეები“ მოუტანეს, იყვირა, არა მსურს ასეთი ბინძური ამბების მოსმენაო, და ბრძანა ეს მასალები დაეწვათ.

ახლა კი, როცა ფრიჩის კომპრომეტირება გახდა საჭირო, გერინგმა სადღაც ციხეში მოძებნა ის კაცი, ვინც ფრიჩზე საბუთი შეადგინა და სიკვდილის მუქარით პირობა დაადებინა ყველაფერი ისე ეთქვა ჰიტლერისათვის, „როგორც საჭირო იყო“.

ასეც მოხდა. ჰიტლერმა ის უკანა ოთახში შეიყვანა, თავისთან კი ფრიჩი იხმო და ის საშინელი ბრალდება წაუყენა. გენერალი ჯერ გაოცდა, მერე აღშფოთდა. პროტესტი განაცხადა და ოფიცრის პატიოსანი სიტყვაც დაიმოწმა, რომ ყველაფერი ეს ტყუილია. მაშინ ჰიტლერმა უკანა ოთახის კარები გააღო და დაიძახა:

— ეი, შენ, რომელი ხარ მანდ? გამოდი!

მან გვარიც არ იცოდა კაცისა, რომელსაც სახელგანთქმულ გენერალს უყენებდა პირისპირ. „მოწმე“ გამოვიდა და კაბინეტში მყოფთ მიაშტერდა.

— აბა, რომელია? — ჰკითხა ჰიტლერმა.

„მოწმე“ უკვე დამუშავებული იყო გერინგის მიერ, ის ფრიჩსაც იცნობდა და ამიტომ თავისი „მოვალეობის შესრულება“ არ გაძნელებია:

— აი, ეს! — მიუთითა მან ფრიჩზე.

ჰიტლერმა „ფაქტი“ დადასტურებულად მიიჩნია და ფრიჩი გადააყენა. შეურაცხყოფილმა გენერალმა გენერალური შტაბის უფროსს ბეკს შესჩივლა თავისი უბედურება და მოითხოვა სპეციალური გამოძიება. სხვებიც აღშფოთებული იყვნენ ფრიჩის ასეთი უხამსი შეურაცხყოფით. მერე ამან ვითომ შეთქმულების სახეც მიიღო. შახტმა, რედერმა, ბრაუხიჩმა და რუნდშტეტმა პროტესტი განაცხადეს. ამბობენ თითქოს ჰიტლერის დამხობაც მოინდომესო; ყოველ შემთხვევაში გენერალმა გიზევიუსმა პროცესზე თქვა, რომ ბრაუხიჩმა ამაზე თავისი მზადყოფნა აღუთქვა. მაგრამ შეეშინდა, ჰიტლერის ყოვლისშემძლეობის მითისა და ითხოვა, ჯერ გადავდოთო. მაშინ ფრიჩმა, დარწმუნებულმა, რომ ყველაფერი ეს ჰიმლერის საქმეა, დუელში გამოიწვია ის. ამის შესახებ წერილიც დაწერა და რუნდშტეტს გადასცა. ამ უკანასკნელმა ფრიჩის წერილი თავისთან შეინახა; გამოძიება კი მაინც დაინიშნა. სპეციალური სამხედრო ტრიბუნალიც დააარსეს, სადაც რამდენიმე კვირა გრძელდებოდა „ფრიჩის საქმის“ განხილვა. ჰიტლერი მიხვდა, რომ საქმე კარგად არ მიდიოდა და ტრიბუნალის თავმჯდომარედ გერინგი დანიშნა. არც ამით გამოვიდა რამე. იმ „მოწმემ“ განაცხადა, ტყუილი ვთქვიო. მერე ისიც გამოირკვა, რომ გენერალი ფრიჩი ვიღაც კაპიტან ფრიშში „შეეშალათ“, და გერინგი იძულებული გახდა უკან დაეხია.

ტრიბუნალის უკანასკნელი სხდომა რომ გაიხსნა, გერინგს უცებ ჰიტლერთან გამოუძახეს. ამ დროს გერმანიის ჯარები უკვე ავსტრიაში შედიოდნენ და ფრიჩისათვის არავის ეცალა. ჰიტლერმა კი მისწერა მას წერილი, „თქვენი სრული უდანაშაულობის დამტკიცება მეც მახარებსო“, მაგრამ ფრიჩმა „სრული რეაბილიტაციისათვის“ თანამდებობაზე აღდგენი

მოითხოვა, ეს კი ჰიტლერისა და გერინგის გეგმაში არ შედიოდა. ამიტომ „საქმის მისაფუჩეჩებლად“ ფრიჩი დივიზიის მეთაურად დანიშნეს. შეურაცხყოფილმა ფრიჩმა ვერ აიტანა ეს. პოლონეთის კომპანიის დროს მან ჯარისკაცივით აიღო თოფი, მოწინავე ხაზზე გავიდა და, როგორც ამბობენ, „ტყვიას შეუშვირა შუბლი“ დაიჭრა კიდეც, მაგრამ ჰოსპიტალში წაყვანაზე უარი სთქვა, სისხლისაგან დაიცალა და მოკვდა...

...„ურჩი გენერლების“ წმენდა კი გრძელდებოდა. ავსტრიის ამბებმა და ამის გარშემო ატეხილმა აჟიოტაჟმა ჰიტლერის პოზიციები უფრო განამტკიცა. „ოპოზიციონერი“ გენერლები ბრაუხიჩი და სხვებიც აყვნენ ამ აჟიოტაჟს. ერთი მხოლოდ ბეკი დარჩა ძველ პოზიციაზე, და ისიც გადააყენეს. ამის შემდეგ გენერალური შტაბიც დააქვეითეს და მის ნაცვლად ე. წ. OKW — არმიის უმაღლესი სარდლობა შეიქმნა, რომლის სათავეში პოლკოვნიკი კაიტელი დააყენეს, ოპერატიული განყოფილების უფროსად კი — იოდლი. სახმელეთო ჯარების სარდლად ბრაუხიჩი დაინიშნა, საზღვაო ფლოტისა რედერი, ხოლო საჰაერო ძალებისა — გერინგი. ამით არმიის ნაცისტური ხელმძღვანელობა გაძლიერდა, უკმაყოფილო გენერლებმა კი ბეკის მეთაურობით ოპოზიციური ჯგუფი შექმნეს, რომელშიც სამოქალაქო პირებიც იღებდნენ მონაწილეობას, ქ. ლაიპციგის ყოფილი ბურგომისტრისა და მინისტრის კარლ გერდელერის მეთაურობით...

## გენერლების შეთქმულება

ნიურნბერგის პროცესზე ბევრი ლაპარაკი იყო გერმანიის ამ „შინაგანი ოპოზიციის“ თაობაზე. დასავლეთის ისტორიოგრაფიაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამ საკითხს. ჩვენშიც ბევრი გამოკვლევა დაიწერა ამაზე და დღეისათვის საკითხი თითქმის მთლიანად გარკვეულია. ბევრი რამ კი პროცესის მიმდინარეობის დროსაც იყო ცნობილი. სამხედრო და სამოქალაქო ოპოზიციის ერთიანმა მიზნებმა, არ დაეშვათ გერმანიის სამხედრო კონფლიქტი დასავლეთის სახელმწიფოებთან, სახელმწიფო გადატრიალების საკითხი მოამწიფა. „შეთქმულები“ ამას ინგლისისა და ამერიკის დახმარებით აპირებდნენ. ამ მიზნით გერდელერმა ორჯერ იმოგზაურა ამერიკაში, იყო ინგლისსა და საფრანგეთშიც. იგი აფრთხილებდა ამ ქვეყნის მთავრობებს, ჰიტლერი ომს აპირებს დასავლეთის სახელმწიფოების წინააღმდეგო, მაგრამ მაშინ მას ცალი ყურიც არ ათხოვეს. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ გერმანია მხოლოდ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აპირებდა ბრძოლას, რაც ხელს უწყობდა მათაც, ამიტომ ბეკისა და გერდელერის ოპოზიცია მაინც და მაინც ყურადღების ღირსად არ ჩათვალეს.

„მივმართოთ გერმანული ექსპანსია აღმოსავლეთისაკენ, ჩვენ კი ვიცხოვროთ მშვიდად დასავლეთში“ — ასეთი იყო მათი პოლიტიკა. ამისთვის აიარაღებდნენ და აქეზებდნენ ისინი გერმანიას. ამიტომაც უგულვებელყოფდნენ ოპოზიციონერების სიგნალებს, რომ ჰიტლერის გეგმებში შედის ომი დასავლეთთანაცო, მართალია ნიურნბერგის პროცესზე ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, ჰიტლერი თუ მართლა ასეთ ომს აპირებდა, ჩვენ არ ვიცოდითო, მაგრამ, ყველა ხვდებოდა, „ასე ძაფზე გამოსკვნილი მტკიცება“ რომ „ბედაური ტყუილი“ იყო. სხვა რომ არა იყოს რა, ეს ნათლად დაადასტურა პროცესზე გამოქვეყნებულმა ე. წ. ჰოსბახის დოკუმენტმა. გერინგმა და კაიტელმა ბევრი ატრიალეს ხელში ეს დოკუმენტი, მაგრამ მის აუტენტურობაში მაინც ეჭვი ვერ შეიტანეს. ჰიტლერის პირად ადიუტანტსა და გენერალური შტაბის პოლკოვნიკ ჰოსბახს გერმანული პუნქტუალობით ჰქონდა შედგენილი ოქმი იმ თათბირისა, რომელიც 1937 წლის 10 ნოემბერს ჰიტლერმა რაიხსკანცელარიაში მოიწვია. თათბირს ესწრებოდნენ ჯარების სახეობათა მაშინდელი მთავარსარდლები: ფრიჩი, რედერი, გერინგი, აგრეთვე, სამხედრო მინისტრი ბლომბერგი, საგარეო საქმეთა მინისტრი ფონ ნოირატი, პოლკოვნიკი კაიტელი და სხვები. აქ, ამ თათბირზე, ჰიტლერმა სრულიად აშკარად გამოამჟღავნა თავისი საომარი გეგმები, რამაც შემდეგ ფრიჩის, ბლომბერგის, ნოირატისა და, ნაწილობრივ, რედერის შეშფოთება გამოიწვია.

„85 მილიონი გერმანელია ევროპაში, ერთ მტკიცე რასიულ ერთეულად შეკრული. მათთვის სასიცოცხლო ფართობია საჭირო. ამ საკითხის გადაჭრაზეა დამოკიდებული გერმანიის მომავალი“, — თქვა ჰიტლერმა და ვრცლად მიმოიხილა „სასიცოცხლოს ფართობის მშვიდობიანად მოპოვების გზები“, რაც სხვადასხვა მიზეზების გამო შეუძლებლად სცნო და შეიარაღების საკითხზე გადავიდა:

— ოთხნახევარი წლის განმავლობაში ჩვენ საკმაოდ შევიარაღდით, — განაგრძო მან, — ახლაც ყოველდღიურად ვზრდით სამხედრო ძლიერებას. რა სიტუაცია იქნება 1943-45 წლებში, არავინ იცის. ჩვენ კი მეტი ცდა არ შეგვიძლია. საჭიროა მოქმედება. თუ ცოცხალი ვიქენი, გადაწყვეტილი მაქვს 1943-45 წლებისათვის სასიცოცხლო ფართობის საკითხი მოვაგვარო. ახლაა ამის შესაფერი მომენტი. საფრანგეთი ისეა ჩაფლული საკუთარ შინაგან სიძნელეებში, რომ ჩვენთვის წინააღმდეგობის გაწევის თავი არა აქვს. ამიტომ საჭიროა ვიმოქმედოთ ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ. ჯერ ეს ქვეყანა უნდა გავიგდოთ ფეხქვეშ, რომ ფლანგები უზრუნველყოფილი გვქონდეს აღმოსავლეთისკენ გასალაშქრებლად. ჩეხებს რომ დავამხობთ, საერთო საზღვრები გვექნება უნგ-

რეთთან. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, თუ რა პოზიციას დაიკავებენ: საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, პოლონეთი და რუსეთი. მე ვფიქრობ, რომ ინგლისი და საფრანგეთი უმტკივნეულოდ ჩაგვიგდებენ ხელში ჩეხოსლოვაკიას. ინგლისი არ მოისურვებს გერმანიის წინააღმდეგ ომს. ეს გავლენას მოახდენს საფრანგეთზეც. ინგლისის მხარდაჭერის გარეშე, ის ვერ გაბედავს იერიში მოიტანოს ჩვენს დასავლეთის სიმაგრეებზე. ამიტომ დროა ვიმოქმედოთ ჩეხოსლოვაკიის შემოერთებაზე (Angliederun") ეს 5-6 მილიონ კაცს გამოგვიკვებავს, ჩვენს საზღვრებს გააფართოვებს და თორმეტიოდე დივიზიასაც შეგვმატებს. იტალია ამაში არავითარ წინააღმდეგობას არ გაგვიწევს. რაც შეეხება ავსტრიას, ესეც იმაზეა დამოკიდებული დუჩე თუ იქნება ცოცხალი ამ დროისათვის... ამგვარი გამარჯვებების პირობებში პოლონეთი და რუსეთიც არ მოინდომებენ ჩვენს წინააღმდეგ ომს.

ამის შემდეგ ჰიტლერმა განაცხადა, მოქმედების დაწყების ვადად ვნიშნავ 1938 წლის ზაფხულსო.

გენერლებმა ფრიჩმა და ბეკმა, აგრეთვე, საგარეო საქმეთა მინისტრმა ნოირატმა აღნიშნეს, რომ გერმანია ჯერ მზად არ არის ასეთი დიდი მასშტაბის საომარი ოპერაციებისათვისო. ეშინოდათ, რომ ჰიტლერის გეგმები გამოიწვევდა სამხედრო კონფლიქტს ინგლისთან და საფრანგეთთან. ჰიტლერი აინუნშიც არ აგდებდა მათ გაფრთხილებას. პირიქით, სამი თვის შემდეგ სამივე „ოპოზიციონერი" მოხსნა თანამდებობიდან. სხვა გენერლებს კრინტიც არ დაუძრავთ, არც ინგლისსა და საფრანგეთს, რომელთაც დროზე აცნობეს ამის შესახებ. აშკარა იყო, რომ ჰიტლერის გეგმები მათ სურვილებსაც ეთანხმებოდა. ამიტომ დარჩა გერდელერის, ხოლო შემდეგ შახტისა და ბრიუნინგის გაფრთხილება ხმად მღაღადებლად.... ლონდონსა და პარიზსა შინა...

...გერდელერის „მშვიდობიანი მისიის" ჩაშლის შემდეგ ბეკის „სამხედრო ოპოზიცია" ამოქმედდა. უკმაყოფილო გენერლები მოითხოვდნენ ოფიცრობის პრივილეგიების აღდგენას და მჭიდრო სამხედრო კავშირს დასავლეთის მილიტარისტულ წრეებთან. რაც შეეხება აღმოსავლეთისკენ ლაშქრობას, ეს ყველას სანუკვარი ოცნება იყო. სხვა რამ გარკვეული გეგმა მათ არ ჰქონიათ. იმუქრებოდნენ კი: თუ ჰიტლერის პოლიტიკა დასავლეთის სახელმწიფოებთან სამხედრო კონფლიქტს გამოიწვევს, უფრო რადიკალურ ზომებს მივმართავთო. ბეკი ამ „რადიკალურ ზომებში" ჰიტლერის დაპატიმრებას გულისხმობდა. თვითონ ჰიტლერსაც თითქოს გული უგრძნობდა, რომ ბეკი მას კარგს არაფერს უქადდა და მუდამ მიზანში ჰყავდა ამოღებული. ერთხელ თქვა კიდეც: „ერთადერთი კაცი, რომლისაც მე მეშინია, ეს არის ბეკი. მას შეუძლია რამე მოიმოქმედოს ჩემს წინააღმდეგ!.."

ბეკი მართლა მოქმედებდა! მან შეკრა შეთქმულთა წრე და გადაწყვიტა „საჭირო მომენტში" დაეპატიმრებინა ჰიტლერი და „დაებრუნებინა ის თავის მხატვრობისთვის", ან გაგიჟდაო, გამოეცხადებინა. იყო მომენტი, როცა მისი მომხრე ახალგაზრდა ოფიცრები ჩასახლდნენ რაიხსკანცელარიის ახლო კერძო ბინებში და უცდიდნენ ნიშანს, რათა შეჭრილიყვნენ ჰიტლერის რეზიდენციაში და დაეპატიმრებინათ. თუ ჰიტლერის მომხრეები მოასწრებდნენ ქალაქში ესესელთა ნაწილების გამოძახებას, წინ შეთქმულ გენერალ ჰოპნერის ტანკისტები აღუდგებოდნენ და განაიარაღებდნენ. დღეც დაინიშნა ამ ოპერაციის ჩასატარებლად, მაგრამ ჰიტლერმა თითქოს იყნოსა საშიშროება. იგი წინა დღით ბერლინიდან ბერჰტესგადენში გაემგზავრა და შეთქმულები ცარიელზე დასტოვა.

..ჩეხოსლოვაკიის კრიზისმა მდგომარეობა უფრო გაამწვავა — ჰიტლერი მიხვდა, დასავლეთის სახელმწიფოები რომ მას დიდ წინააღმდეგობას არ გაუწევდნენ, და გადაწყვიტა შეტევაზე გადასულიყო. მისი ბრძანებით შედგენილი იქნა გეგმა „გრიუნ" („მწვანე"), რომლის მიხედვითაც გერმანიის ჯარებს ჯერ სუდეტის ოლქის, მერე ბოჰემიისა და მორავიის, ხოლო დასასრულ მთელი ჩეხოსლოვაკიის სამხედრო ოკუპაცია უნდა მოეხდინათ. ჩეხოსლოვაკია, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ერთა ლიგის წევრი იყო. გარდა ამისა მას მეგობრობისა და ურთიერთდახმარების პაქტი ჰქონდა დადებული, როგორც საფრანგეთთან, ისე ინგლისთან. ასე რომ, გერმანიის სამხედრო კონფლიქტს ჩეხოსლოვაკიასთან ავტომატურად უნდა გამოეწვია ომი ევროპაში. მიუხედავად ამისა, ჰიტლერმა კატეგორიულად განაცხადა: „ჩემი ურყევი გადაწყვეტილებაა უახლეს დროში სამხედრო საშუალებებით გავანადგურო ჩეხოსლოვაკია".

გერინგმა და რიბენტროპმა სცადეს დროზე შეეჩერებინათ ჰიტლერი ამ სახიფათო ნაბიჯისაგან. მათაც ეშინოდათ, რომ ეს გამოიწვევდა „ნაადრევ ომს" ინგლისსა და საფრანგეთთან. ამ მიზნით რიბენტროპი პირველი გაემართა ჰიტლერისაკენ, რომ გაეფრთხილებინა. ზედ რაიხსკანცლერის კაბინეტთან წამოეწია მას გერინგი, რომელსაც ეზიზღებოდა „ეს გადიპლომატებული ღვინის ვაჭარი", დემონსტრატიულად გაჰკრა გვერდი მას და თვითონ შევიდა ფიურერის კაბინეტში. გერინგს უკან შეურაცხყოფილი რიბენტროპიც მიჰყვა. ჰიტლერმა დაამშვიდა ისინი: მაცალეთ ორი დღე და, თუ ჩემბერლენი და დალადიე მხარს არ დამიჭერენ, ან საქმე ომამდე მივა, მე თავს მოვიკლავ და ამით გაგათავისუფლებთ ჩემს მიერ აღებულ ვალდებულებებისაგანო. ზოგმა დაიჯერა ეს, ზოგმა არა. ყოველ შემთხვევაში „სათადარიგო ზომებიც" იქნა მიღებული. ჰიტლერი თავის გეგმას აწყობდა, „ოპოზიცია" — თავისას. მერე როცა საქმე საქმეზე მიდგა, არც გერინგსა და არც რიბენტროპს ხმა არ გაუღიათ ამ გეგმის საწინააღმდეგოდ. პირიქით, გერინგი „გრიუნის" აქტიური გამტარებელი გახდა. დიპლომატიურ დემარშების დროს

მას თავი გამომწვევად ეჭირა. უხეშობა და ძალდატანება ხომ მისი „შემოქმედების ხერხი იყო...

...იმ დღეებში გერინგმა ისადილა საფრანგეთის ბერლინელ ელჩ ფრანსუა პონსესთან. დარბაზის კედელზე, „რატომღაც“, ევროპის უზარმაზარი რუქა ეკიდა. სადილობის დროს გერინგმა უთხრა პონსეს:

— შეხედეთ. ამ რუქაზე ჩეხოსლოვაკიის კონტურებს! განა ეს საღი გონების შეურაცხყოფა არ არის? ეს ხომ ბრმა ნაწლავია — რუდიმენტული ორგანო ევროპის სხეულზე. ცხადია, ის უნდა ამოიკვეთოს!

პონსემ პასუხის გაცემას გაჩუმება არჩია. გერინგმა ვითომ სხვათა შორის, იკითხა:

— საინტერესოა, რა პოზიციას დაიკავებს ასეთ შემთხვევაში საფრანგეთი?

— ჩვენ შევასრულებთ ნაკისრ ვალდებულებებს ჩეხოსლოვაკიის მიმართ, — უპასუხა ფრანსუა პონსემ...

გერინგმა თვალები დაუბრიალა ელჩს და საკმაოდ უხეშად მიაძახა:

— მით უარესი თქვენთვის!..

## ძეხვი და პოლიტიკა

ომის საფრთხე კი თანდათან აშკარა გახდა. გერმანიაში საყოველთაო მობილიზაცია გამოცხადდა. მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო მაშინ ამ ამბებმა. ჰიტლერმა საბოლოოდ გააუქმა ვერსალის ხელშეკრულება და აშკარად გამომწვევი პოზიცია დაიჭირა. ინგლის-საფრანგეთი კი სრულიადაც არ იყვნენ მზად ომისათვის. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ჰიტლერი მთელ თავის შეიარაღებულ ძალებს მხოლოდ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართავდა. ახლა კი „ასე მოულოდნელად“ ომის საშიშროება მათ ქვეყნებსაც მიადგა. უნდა ითქვას, რომ თავდაპირველად საფრანგეთს უფრო აქტიური პოზიცია ეჭირა, ვიდრე ინგლისს... თუმცა არც დალადიეს მთავრობა ბრწყინავდა გაბედულებით. მან იმ კრიზისის დღეებში საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელი პოლ ბონკურს შესთავაზა, მაგრამ იმ პირობით, თუ ის ხელს აიღებდა ჩეხოსლოვაკიის იარაღით დაცვის პოლიტიკაზე.

— თქვენი პოლიტიკა, — უთხრა მან პოლ ბონკურს, — რა თქმა უნდა, შეეფერება საფრანგეთის ღირსებას, მაგრამ მე არ ვფიქრობ, რომ მას ძალუძს ამის შესრულება.

პოლ ბონკურმა უარყო დალადიეს წინადადება და საგარეო საქმეთა მინისტრად ჟორჟ ბონე დაინიშნა, რომელმაც კაბინეტის პირველსავე სხდომაზე განაცხადა, თუ საფრანგეთს ომი მოუხდა გერმანიასთან, ჩვენი ავიაცია ორ კვირაში განადგურდებაო. ინგლისსაც ამის შიში ჰქონდა. ეს ისევ ჰიტლერს უწყობდა ხელს. მან იცოდა, რომ „ის კატის კნუტები“ — ჩემბერლენი და დალადიე გადამჭრელ ნაბიჯს არ გადადგამდნენ და ისიც „რაღაც არანორმალურ ჩეხოსლოვაკიისთვის“. არც მათი მთავრობები და პარლამენტები გამოიდებდნენ თავს. ჩეხოსლოვაკიის ელჩმა ლონდონში მასარიკმა თქვა:

— მე ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ ინგლისის პარლამენტის წევრთა უმრავლესობამ არც იცის, სად არის ჩეხოსლოვაკია. როცა ეს მათ ვუჩვენე რუქაზე, ერთმა მათგანმა წამოიძახა:

— ო, რა საინტერესოა! შეხედეთ, რა სასაცილო ფორმა აქვს მას; ასე გეგონებათ ძეხვიაო!..

...გერმანელები, მოგეხსენებათ, გულგრილნი არ არიან ძეხვისადმი. ჰიტლერმაც მაშინვე დააღო პირი ამ „ძეხვის“ ჩასაყლაპავად. ყოველი ასეთი „აქციის“ დროს ის, მართლაც, მუცელზე ისვამდა ხელს და ცალ ფეხზე ხტოდა. ბეჰემოტი გერინგი კი მაგიდაზე აბობღდებოდა და დაპყრობილი ქვეყნის რუქაზე იწყებდა ბუქნაობას.

მათი მორიგი მსხვერპლი „ის არანორმალური“ ჩეხოსლოვაკია იყო. „საქმე“ სუდეტის ოლქიდან დაიწყო. ჰიტლერი ჩინებულად იყენებდა დროის ფაქტორს. ბორბალი რომ ერთხელ დატრიალდებოდა, მერე ყველაფერი საჩქარო იყო, სულმოუთქმელი, მისასწრები!..

14 სექტემბერს ჩემბერლენი თხოვს ჰიტლერს, შევხვდეთო. 15 სექტემბერს ის უკვე ბერჰტესგადენშია, დროს მოგება უნდა, მაგრამ ვინ აცდის! ჰიტლერი მოითხოვს სუდეტის ოლქის დაუყოვნებლივ შემოერთებას. ჩემბერლენი სამ დღეს თხოულობს და გარბის ლონდონში. ჰიტლერი სპორტპალასში გამოდის, მკერდზე მჯიღს იცემს და საქვეყნოდ სდებს „პატიოსან სიტყვას“, რომ სუდეტის ოლქის შემოერთების შემდეგ, არავითარ ტერიტორიულ პრეტენზიებს არ წამოვაყენებო. ზოგი ამასაც იჯერებს, ზოგი არა.

საბჭოთა კავშირმა ექვსჯერ მისცა ჩეხოსლოვაკიას და მის მოკავშირეებს წინადადება ურთიერთდახმარების პაქტის დადების შესახებ, მაგრამ ისინი არ გამოეხმაურნენ ამას. ინგლის-საფრანგეთის რეაქციული წრეები გაიძახოდნენ: „სჯობს დაგვამარცხოს ჰიტლერმა, ვიდრე გავიმარჯვოთ სტალინთან ერთად“. უფრო ინდიფერენტულნი კი აცხადებდნენ: „რაც მსოფლიოში ჩეხი და სლოვაკია, ერთი ფრანგი ჯარისკაცის სიცოცხლედ არ ღირსო“.

ასეთი განწყობილების შედეგი იყო ჩეხოსლოვაკიის გაყიდვა. ლონდონში სასწრაფოდ დგება ინგლის-საფრანგეთის მიმართვა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტისადმი, „დაუთმოს გერმანიას სუდეტის ოლქი“. პრეზიდენტი ბენეში ამაზე უარს ამბობს. ჩემბერლენი და დალადიე აძალებენ... ბენეში „დიდი მწუხარებით“ თმობს... ჩემბერლენი გახარებულია. ის კურიერივით გარბის ბად-გოდესბურგში და უცხადებს ჰიტლერს:

— შეთანხმება მიღწეულია, ჩეხოსლოვაკია გითმობთ სუდეტის ოლქს,—ამბობს ის და ღრმად ჯდება სავარძელში. ჰიტლერს ეცინება. მას სრულიადაც არ აკმაყოფილებს „მარტო სუდეტის ოლქი“. უკვე ბოჰემია და მორავეთიც უნდა. ამიტომ გადაჭარბებული, რამდენადმე ირონიული თავაზიანობით, მიმართავს ჩემბერლენს:

— დიდად ვწუხვარ, ბატონო ჩემბერლენ, მაგრამ ეს ჩვენ უკვე აღარ გვაკმაყოფილებს.

ჩემბერლენს თითქოს მდუღარე გადაასხესო, ისე წამოვარდა სავარძლიდან. წამოდგა ჰიტლერიც. მან ახალი მოთხოვნები წამოაყენა ბოჰემია-მორავეთის შემოერთების შესახებ და კატეგორიულად განაცხადა:

ჩვენ დაუყოვნებლივ მოვახდენთ ამ რაიონების ოკუპაციას!...

ჩემბერლენს ისე უყვიროდა, თითქოს მის წინაშე მსახური მდგარიყოს და არა ინგლისის პრემიერი. თუმცა რა პრემიერი! მაღალი, აწოწილი ჩემბერლენი წელში მოიხარა და ის-ღა იკითხა:

— კი, მაგრამ რამდენ ხანში უნდა მოხდეს ამ რაიონებიდან ჩეხების ევაკუაცია?

დრო! ყველაფერი არის დრო! სისწრაფე, მოულოდნელობა!.. და ჰიტლერი კარნახობს:

— ევაკუაცია უნდა დაიწყოს 26 სექტემბერს დილის 8 საათზე და დამთავრდეს 28-ში!

— ეს ხომ ულტიმატუმია! — ბედავს ხმის ამაღლებას ჩემბერლენი.

— დიქტატი! — ერევა მათ საუბარში ელჩი ჰენდერსონი.

— მართლა? — ვითომ უკვირს ჰიტლერს, — არა, ეს მხოლოდ მემორანდუმია, ვერა ხედავთ, ამ ქაღალდს აწერია: მემორანდუმი!

ამ დროს ადიუტანტს შემოაქვს რაღაც დეპეშა და ჰიტლერის წინ დებს. ჰიტლერი კითხულობს და შმიდტს მიმართავს:

— უთარგმნეთ ეს ბატონ პრემიერ-მინისტრს!

შმიდტი თარგმნის:

— ბენეშმა, ეს-ეს არის, გამოაცხადა რადიოთი ჩეხოსლოვაკიის არმიის სრული მობილიზაცია!

— ომი გინდათ?— იყვირა ჰიტლერმა, — კეთილი, იყოს ომი!

ჩემბერლენს ომი არ უნდოდა და ჩეხების ევაკუაციის ვადის გაგრძელება ითხოვა. ჰიტლერი მიხვდა, რომ ის უკვე თითზე ჰყავდა დახვეული და კმაყოფილმა უთხრა:

— კეთილი, იყოს ასე, თქვენ იქნებით ერთადერთი კაცი მსოფლიოში, რომელთანაც მე რაიმე დათმობაზე წავედი. ვაძლევ ჩეხოსლოვაკიას დამატებით 48 საათს!

თითქოს ეს, მართლაც, რამე დათმობა იყო!

ამრიგად ჰიტლერმა დრო დანიშნა. ახლა კი ჩემბერლენმა უნდა სდიოს მის დინებას და დღესვე გადასცეს ეს მემორანდუმი ჩეხოსლოვაკიის მთავრობას. ამ დავალებას ჰენდერსონი იღებს. იგი იხმობს პოლკოვნიკ მაკფერლეინს. რამდენიმე წუთის შემდეგ, მანქანა გიჟური სისწრაფით მიჰქრის პრაღისკენ. ჩქარა... ჩქარა... მიერეკება მას დანიშნული დრო... მაგრამ წინ უამრავი დაბრკოლებაა... დანაღმული გზები... გადათხრილი — სანგრებია... პოლკოვნიკი სტოვებს მანქანას და ერთხანს ფეხით გარბის... იცის, თუნდაც ერთი საათით დაგვიანებამ შეიძლება ომი გამოიწვიოს.

დაუჯერებელია.. მაგრამ ფაქტი, რომ ეს დამოკიდებულია იმაზე, მოასწრებს თუ არა პოლკოვნიკი ამ მემორანდუმის დროზე ჩაბარებას... და ის გარბის ღამით... ტყეში...

...საბედისწერო მომენტი კი კატასტროფიული სისწრაფით ახლოვდება... ლონდონში დაბრუნებულ ჩემბერლენს ჭირის ოფლი ასხამს. შუაღამე გადასულია, მაგრამ ისევ ზის თავის კაბინეტში და ადგენს მოხსენებას, რომ მეორე დღეს წარსდგეს პარლამენტის წინაშე. მაგრამ რა უნდა უთხრას დეპუტატებს? ხალხს? ჰიტლერი ხვალ შეიძლება შეიჭრეს ჩეხოსლოვაკიაში, ის კი ისევ ზის და მოხსენებას ადგენს. უკვე დილის ხუთი საათია. შეიძლება კიდევ მოესწროს რამე!.. იქნებ ჰიტლერმა კიდევ რამდენიმე დღით გადასდოს თავისი გეგმის შესრულება... მხოლოდ რამდენიმე დღით!..

იგი ნელ-ნელა დგება და წელში იმართება. მთელი ღამის უძილობამაც ისე იმოქმედა, რომ ძლივს მიდის ფანჯარასთან და ფარდას სწევს...

ლონდონს დილის რიჟრაჟი შემოდგომია...

დაყოვნება არ შეიძლება, დრო გადის... დრო, რომელიც ისევ ჰიტლერისთვის მუშაობს... იგი არც ახლა აცლის ვინმეს სულის მოთქმის საშუალებას... რაში ენაღვლება, რომ სახელმწიფოებისა და ხალხების ბედი ასე წუთებითა და წამებით წყდება... მისი ტანკები უკვე ჩეხოსლოვაკიის საზღვრებს უახლოვდებიან, ჩემბერლენი კი თავის კაბინეტში წრიალებს და არ იცის, რა ქნას...

უცებ, თითქოს გონება გაუნათდა... მუსოლინი! იქნებ, მუსოლინმა იმოქმედოს ჰიტლერზე... და ჩემბერლენი ეცა ტელეფონს...

...ინგლისის ელჩი რომში ლორდი პერტი ლოგინიდან წამოაგდეს. ხაზზეა ჩემბერლენი. იგი ავალებს ელჩს დაუყოვნებლივ ნახოს მუსოლინი, რომ თხოვოს ჰიტლერს გადადოს თავისი გადაწყვეტილების შესრულება, თუნდაც ორი დღით, რომ ოთხი სახელმწიფოს მეთაურები ჰიტლერი, მუსოლინი, დალადიე და ის შეხვდნენ ერთმანეთს „უკვე წყალწაღებული მშვიდობის“ გადასარჩენად და... დაიწყო, „რწყილისა და ჭიანჭველას“ ამბავი: ინგლისის ელჩი მაშინვე დაუკავშირდა საგარეო საქმეთა მინისტრს ჩიანოს. ჩიანო გაიქცა მუსოლინთან მუსოლინმა ტელეფონთან გამოიძახა თავისი ელჩი ბერლინში გრაფი ატტოლიკო.

— გელაპარაკებათ დუჩე, მისმენთ? — ჩასძახა ტელეფონში მუსოლინიმ.

— დიახ, გისმენთ! — მიუგო ატტოლიკომ.

— ახლავე წადით კანცლერთან და გადაეცით, რომ ინგლისის მთავრობამ თავისი ელჩის საშუალებით მაცნობა თანხმობა მიიღონ გერმანიის წინადადებები, ოღონდ ფიურერმა გადასდოს ჩეხოსლოვაკიაში ჯარების შეყვანა რამდენიმე დღით... პირად შეხვედრამდე, გადაეცით, რომ ეს წინადადება მეც მისაღებად მიმაჩნია...

— მისმენთ? — გაიმეორა მუსოლინიმ.

— დიახ, გისმენთ! — უპასუხა ისევ ატტოლიკომ.

— აბა, ჩქარა, ჩქარა!.. — გაისმა ტელეფონში მუსოლინის ხმა. რწყილი ისევ ახტა-დახტა და.... ხუთი წუთის შემდეგ ატტოლიკო ურეკავს რიბენტროპს. იგი ისეა აფორიაქებული. რომ ავიწყდება, ჩვეულებრივი დიპლომატური წესი და ინგლისურად ეუბნება:

— სასწრაფო დავალება მაქვს დუჩესგან. ახლავე უნდა ვნახო ფიურერი. ძალიან საჩქარო საქმეა, ძალიან საჩქარო... მალე! მალე!...

რიბენტროპი ურჩევს — მანქანას გაუკეთოს იტალიის დიდი სახელმწიფო დროშა და უმალვე წავიდეს რაიჰსკანცელარიაში. მას დაუყოვნებლივ მიიღებენ...

...უკვე დილის 11 საათია. ჰიტლერი ატარებს თათბირს გენერლებთან და აძლევს უკანასკნელ მითითებებს. ამ დროს შემოდის მისი ადიუტანტი და ყურში უჩურჩულებს, სასწრაფო საქმეზე იტალიის ელჩი მოვიდაო. ჰიტლერი წყვეტს თათბირს და გამოდის დერეფანში. ატტოლიკოს არც აქ ახსენდება მიღებული წესი და იქვე დერეფანში გადასცემს მას მუსოლინის თხოვნას...

— კეთილი, რაკი დუჩესაც ასე სურს, გადაეცით, რომ მე თანახმა ვარ... ამბობს ჰიტლერი.. და აძლევს „ჯაგარს“... ატტოლიკო გარბის რიბენტროპთან... რიბენტროპი ურეკავს ჩიანოს.. ჩიანო მუსოლინის... მუსოლინი უკავშირდება ლონდონს...

...თოკი თითქმის დაიგრიხა.. თემთა პალატა შეკრებილია. ყველა უცდის ჩემბერლენის გამოსვლას იციან, რომ რაღაც სენსაციური განცხადება უნდა გააკეთოს. ჩემბერლენი ნელა მიემართება ტრიბუნისაკენ და გაბზარული ხმით იწყებს ლაპარაკს. სწორედ იმ დროს როცა უნდა თქვას, რომ ახლა, ალბათ, გერმანიის ჯარები შედიან ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზეო... შემოდის მისი მდივანი და ჩუმად ეუბნება, ჰიტლერი თანახმააო.

ჩემბერლენს სახე გაუნათდა. იფიქრა „ჭიანჭველასავით“, ხავსსმოჭიდებული მშვიდობა გადარჩენილაო, და იქვე, დეპუტატების თვალწინ, დემონსტრაციულად დახია თავისი მოხსენება. მერე აჩოჩქოლებული დარბაზი დაამშვიდა და ასე მიმართა:

— მე უნდა მოვახსენო თემთა პალატას, რომ ჰიტლერმა მიმიწვია მიუნჰენში, რათა მუსიო დალადიესა და სენიორ მუსოლინთან ერთად შევხვდე მას. იმედი მაქვს პალატა ნებას დამრთავს გავემგზავრო იქ და ვნახო, რა შეიძლება გაკეთდეს...

თემთა პალატა ოვაციით შეხვდა ამ ცნობას...

...ამ დროს გერმანიაში ოპოზიციონერებიც აწყობდნენ თავიანთ გეგმებს. ისინი შეთანხმდნენ, ომის რეალური საშიშროების შემთხვევაში დაეპატიმრებინათ ჰიტლერი, კანცლერად კი, პირველი ვარიანტის მიხედვით, გერინგი, ხოლო შემდეგი გადაწყვეტილებით, ბარონი ფონ ნოირატი დაენიშნათ... და სწორედ იმ დროს, როცა ჩემბერლენი თემთა პალატის ტრიბუნაზე იდგა, ბეკის ოპოზიციის წევრი, ბერლინის სამხედრო ოლქის სარდალი, გენერალი ვიცლებენი გაემართა გენერალური შტაბის უფროს ჰალდერისაკენ, რომელიც მხარს უჭერდა შეთქმულებას, რათა მიეღო მისგან წერილობითი ბრძანება ჰიტლერის დაპატიმრების შესახებ. ვიცლებენი რომ ჰალდერის კაბინეტში შედიოდა, იმ მომენტშივე გადმოსცემდნენ რადიოცნობას ჩემბერლენისა და დალადიეს ჰიტლერთან და მუსოლინთან მომავალი შეხვედრის შესახებ. ჰალდერმა, ალბათ ალღო აუღო თუ რა მოჰყვებოდა ამ შეხვედრას. ან ამას რა დიდი გულთმისნობა უნდოდა! ჯერ ერთი, რამდენიმე ხნით ადრე, ოპოზიციონერებმა ყალბი პასპორტით ლონდონში გაგზავნეს თავიანთი ემისარი ევალდ ფონ კლაისტ-შმეცინი, რომელიც ჯერ ვანსიტარტს ესაუბრა, მერე ჩერჩილს, ბოლოს კი ჩემბერლენსაც მოახსენეს ამის თაობაზე, მაგრამ უშედეგოდ. კლაისტის ცნობას ჰიტლერის შესაძლებელი დაპატიმრებისა და მოკვლის შესახებ, ისინი გულგრილად შეხვდნენ; ოპოზიციონერ გენერლებს კი „იაკობინელები“ უწოდეს და დატუქსეს კიდეც მათი წარმომადგენელი. ამითაც ცხადი გახდა, რომ ინგლისელები „იმ რაღაც ჩეხოსლოვაკიის“ გამო ომს არ აუტეხდნენ „კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მედროშეს — ჰიტლერს“.

ეს, როგორც ჩანს, გენერალურმა შტაბმაც დაყნოსა, მისმა უფროსმა ჰალდერმა არ ისურვა გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა, არ მისცა ვიცლებენს ბრძანება ჰიტლერის დაპატიმრების შესახებ. არც ბრაუხიჩმა მოინდომა ამ საქმეში ჩარევა. მართალია, წინასწარ კი იქადდა, თუ ჰიტლერმა გაამწვავა დამოკიდებულება დასავლეთის სახელმწიფოებთან, გადავდგებიო, მაგრამ ესეც ბედაური ტყუილი გამოდგა. როცა საიდუმლო სამხედრო თათბირზე ჰიტლერმა ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ ლაშქრობა გამოაცხადა, ბრაუხიჩმა პირზე ხავსი მოიკიდა და ხმაც არ გაუღია საწინააღმდეგოდ.

საღამოთი რომ ის ბეკსა და ვიცლებენს შეხვდა, თავი იმართლა, რა ვქნა, მე ჯარისკაცი ვარ და ბრძანებებს უნდა დავემორჩილოო. ჰალდერმაც და ვიცლებენმაც „მორჩილება“ ირჩიეს. ერთი მხოლოდ ბეკი გადადგა თანამდებობიდან...

ვინ იცის, მაშინ რომ ჰალდერს და სხვა გენერლებს გადაედგათ ის „გადამწყვეტი ნაბიჯი“, მართლაც „ჭიანჭველასავით წყალ-წაღებული მშვიდობაც“ გადარჩენოდა წარღვნას ევროპაში...

მაგრამ ეს „თოკიც“ ქვიშისგან აღმოჩნდა დაგრეხილი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მიუნჰენის ტრაგედია...

ევროპის პოლიტიკური ცხოვრების ბორბალი კვლავ უკუღმა ტრიალებდა. „ჭიანჭველები“ კი ისევ ხავსს ეჭიდებოდნენ. მიუნჰენის ყავისფერ სასახლეში შეიკრიბნენ ჰიტლერი, მუსოლინი, ჩემბერლენი და დალადიე. სექტემბრის თბილი საღამო იყო, მაგრამ ჰიტლერმა ისინი მაინც ბუხართან მიიღო. იქვე იყვნენ გერინგი და რიბენტროპი. ირჩეოდა ჩეხოსლოვაკიის საკითხი. თვითონ ამ ქვეყნის წარმომადგენლები კი ოტელ „რეგინაში“ ისხდნენ, გესტაპოელებით გარშემორტყმულნი, და უცდიდნენ „ამა ქვეყნის მეუფეთა“ განაჩენს. „მეუფენი“ კი უსირცხვილოდ ვაჭრობდნენ სხვისი ტერიტორიებით. დალადიე მოითხოვდა, სუდეტის ნაწილი გერმანიას მიეცესო. მუსოლინიც ამ აზრის იყო, მაგრამ ჰიტლერმა გაიდგა ფეხი: მთელი მინდა და არა ნაწილიო. ეს დავა ორ საათნახევარს გაგრძელდა. მერე მუსოლინი აყვირდა, „გაათავეთ, მეჩქარებაო“ და... გაათავეს კიდეც! ჩეხოსლოვაკიას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, დოკუმენტს ხელი მოაწერეს და „ბრალდებულებს“ უხმეს.

ჰელმუტ მასარიკი და ორი მისი თანმხლები პატიმრებივით მიიყვანეს ყავისფერ სასახლეში.

შუაღამე გადასული იყო. დალადიე და მისი საგარეო საქმეთა მინისტრი შეუმჩნევლად გაიპარნენ ოთახიდან. ამბობენ შერცხვათ და იმიტომო. ჩემბერლენი კი წამდაუწუმ ამთქნარებდა და, ვითომც არაფერიო, ისე განურჩევლად უყურებდა გაოგნებულ ჩეხებს, რომელთაც თავიანთ „საბოლოო გადაწყვეტილებას“. უკითხავდნენ.

— არავითარი გასაჩივრება არ დაიშვებაო, — გამოუცხადეს ბოლოს და წასასვლელად გაემზადნენ...

ჰიტლერს არც გაუცილებია ისინი. იდგა აივანზე გერინგთან ერთად და დოინჯშემოყრილი უყურებდა, სტუმრები რომ ავტოებში სხდებოდნენ. მერე გერინგს მიუბრუნდა და ზიზღით უთხრა:

— ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა, ეს რა ჭიანჭველები იდგნენ ჩემს წინაშე!..

...მიუნჰენელები კი „გამარჯვებას“ ზეიმობდნენ.. დალადიეს 500 ათასი კაცი უცდიდა ბურჟეს აეროდრომზე. მან ძლივს მიაღწია თავის რეზიდენციამდე. აღფრთოვანებულმა ბრბომ მისი გამოჩენა მოითხოვა. ის კი დარცხვენილი გამოვიდა აივანზე. ოვაციები რომ დაცხრა, დალადიემ, ჩაიბურტყუნა:

— სულელები! რომ იცოდნენ, რას უკრავენ ტაშს!...

ლონდონში უფრო უტიფარი ჩემბერლენი ორატორობდა:

— მიუნჰენი — ეს არის მშვიდობა ჩვენი თაობისთვის...

გაიმართა გრანდიოზული მეჯლისი, რომელზედაც 1800 კაცი იქნა მიწვეული. კიდევ უფრო დიდი ზეიმი მოაწყო ამერიკის ლონდონელმა ელჩმა ბულიტმა. ყველაზე მეტად კი რატომღაც პოლონეთის წარმომადგენელმა გამოიდო თავი. მან 2 ათასი კაცი დაპატიჟა... პროჟექტორები, მაშხალები, შამპანური... ღამის ორგიები!.. გალეშილი ელჩი ლუკასევიჩი ფეხშიშველი ცეკვავდა მწვანე მოლზე...

უგუნურები! არც კი იციან რომ ისინი ვულკანზე ცეკვავენ! — შენიშნა ვიღაცამ.

...„თხა თხაზე ნაკლებიო“... და პარიზში ფილიპ როტშილდმა ისეთი ბალი მოაწყო, ამბობდნენ, მთელი ქალაქი იღებდაო მონაწილეობას. ზეიმი მეორე დღესაც გაგრძელდა.

— მე კმაყოფილი ვარ! — იძახდა უკმაყოფილო დალადიე.

სხვებიც აყვნენ ამ აჟიოტაჟს. ზეიმი, ეიფელის კოშკის აგების 50 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით, სახალხო დღესასწაულად იქცა. კოშკის გარშემო ზღვა ხალხი ირეოდა... ყველა თავის საქმით იყო გართული და არავის შეუმჩნევია ახალგაზრდა ჩეხი ლეიტენანტი, რომელიც ისე ადიოდა კოშკზე, როგორც ეშაფოტზე. სახეზე ადამიანის ფერი არ ედო. მიიწევდა მაღლა... სულ მაღლა და, როცა მწვერვალს მიაღწია საოცარი განწირული ხმით დაიძახა:

— გაუმარჯოს ჩეხოსლოვაკიას!... და გადმოეშვა ძირს...

ეს იყო მისი ქვეყნის პროტესტის ნიშანი!... ზეიმი ჩაიშალა... შეძრწუნებული ხალხი გაიქცა მოედნიდან...

ქვაფენილზე კი ახალგაზრდა ლეიტენანტ ბენეშის დამსხვრეული სხეული დარჩა...

...1945 წლის გაზაფხულზე ჩვენი ფრონტის ჯარის ნაწილებთან ერთად ბრატისლავაში შევედით.

ამის შემდეგ სიტყვა „მიუნჰენი“ იქცა „ღალატის“ სინონიმად. ბენეში გადადგა. საგარეო საქმეთა მინისტრმა თქვა: „ყოველ შემთხვევაში ჩვენ არა ვართ უკანასკნელნი, ასეთივე ბედი მოელის სხვებსაც“.

აღშფოთებულმა დემონსტრანტებმა საფრანგეთის დროშები ჩამოგლიჯეს.

სირცხვილი! სირცხვილი! სირცხვილი! — გაიძახოდნენ ისინი პრაღის ქუჩებში...

გათავისუფლებული ხალხი ზეიმით ხვდებოდა საბჭოთა მეომრებს... მეორე თუ მესამე დღეს ქალაქში პრეზიდენტი ედუარდ ბენეში ჩამოვიდა. მოედანზე დიდი მიტინგი გაიმართა. სახელდახელოდ გამართულ ტრიბუნაზე იდგა ბენეში და ხალხს ულოცავდა გამარჯვებას. მე აქამდე შემრჩა ფოტოსურათი ტრიბუნისა, რომელზედაც მის გვერდით ვიდექი, როგორც ჩვენი შტაბის წარმომადგენელი.

საღამოს ჟამს ბენეშმა მიგვიწვია თავის რეზიდენციაში. საუბრის დროს მან ჯიბიდან ამოიღო ძმიშვილის, ახალგაზრდა ლეიტენანტის სურათი და გვიამბო, როგორ გადმოვარდა ეიფელის კოშკიდან.

— ეს არის ჩემი ქვეყნის ტრაგედიის სიმბოლო! — სთქვა მან.

იმაზე კი არაფერი უთქვამს, ამ ტრაგედიის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მისი ორჭოფული პოლიტიკა რომ იყო მიუნჰენის დღეებში... თორემ, ვინ იცის, 1945 წლის „ეს საზეიმო განწყობილება“ ჯერ კიდევ 1938 წელს დაუფლებოდა „მის ხალხს“...

...მაშინ კი ჩეხოსლოვაკიის ბედი სულ უკუღმა დატრიალდა. საბჭოთა კავშირს არ მიეცა საშუალება შეესრულებინა თავისი სამხედრო ვალდებულებანი ამ ქვეყნის მიმართ. რათა დროზე აელაგმა თავსგასული ჰიტლერი. ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები მზად იყვნენ. ნატვრის სუფრა გაეშალათ მისთვის ევროპაში. უნდოდათ თვითონ მშვიდად ეცხოვრათ, ხოლო „ის გიჟი ეფრეიტორი“ საბჭოთა კავშირისთვის დაეტაკებინათ.

ჰიტლერს დიდი ომი სურდა და არა „წვრილმანი“ დათმობები. მიუნჰენის შემდეგ გამართულ ერთ-ერთ საიდუმლო სამხედრო თათბირზე ის ჩემბერლენსა და დალადიეს შესახებ ამბობდა:

— მე ვნახე ეს უმწეო ჭია-ღუები მიუნჰენში. ისინი იმდენად მხდლები არიან, რომ ვერ გაბედავენ შეტევაზე გადმოსვლას. არც არაფერი შეუძლიათ, ბლოკადის მეტი. მე მხოლოდ იმისი მეშინია, რომ ჩემბერლენი ან ვინმე მისთანა ჭუჭყიანი ღორი ისევ მოვა ჩემთან ახალი დათმობებით. მე მაშინ კისრიტეხით ჩავუშვებ მას კიბეებზე, თუნდაც ამისთვის დამჭირდეს თვითონ ჩავაზილო მუცელში წიხლი მთელი ქვეყნის რეპორტიორების წინაშე...

ამგვარად, გათამამებულმა ჰიტლერმა კიდევ უფრო გაამწვავა ურთიერთობა დასავლეთის სახელმწიფოებთან, რამდენიმე დღეში დაივიწყა თავისი „პატიოსანი სიტყვა“ და გარანტიები, ევროპაში მეტ ტერიტორიულ პრეტენზიებს არ წამოვაყენებო და სუდეტის ოლქის, ბოჰემიისა და მორავეთის შემდეგ, მთელ ჩეხოსლოვაკიას მოუნდომა ისე შთანთქმა, რომ საჭიროდაც არ ჩათვალა ამის შესახებ რამე წინასწარი მოლაპარაკება გაემართა ინგლის-საფრანგეთთან, რომლებიც ლოკარნოს ხელშეკრულების ძალით ვალდებული იყვნენ დახმარებოდნენ ჩეხოსლოვაკიას. „საქმე“ უფრო მარტივად წარიმართა. ჰიტლერმა ბერლინში გამოიძახა ჩეხოსლოვაკიის ახალი პრეზიდენტი ხაჰა და საგარეო საქმეთა მინისტრი ხვალკოვსკი. მათ ღამის პირველ საათამდე აცდევინეს მისაღებში. ჰიტლერი, ამ დროს, კაიტელს ეთათბირებოდა და ბრძანებაც მისცა დაეწყოთ პრაღაზე შეტევა...

...ნაშუაღამევს ხაჰა და ხვალკოვსკი რომ კაბინეტში შეიყვანეს, ჰიტლერი მათ თავაზიანად მიეგება და ისე ნაძალადევი ღიმილით განუცხადა:

— დღეს, დილის 6 საათზე, გერმანული არმია ყოველი მხრიდან შეუდგება ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციას.

პრეზიდენტსა და საგარეო საქმეთა მინისტრს მოულოდნელობისაგან ენა ჩაუვარდათ მუცელში. ჰიტლერმა კი რაღაც უცნაური თეატრალური ჟესტი გააკეთა და თქვა:

— შაბათს მე კამათლები გავაგორე და, რა ვქნა, ასე დაჯდა...

ამის შემდეგ, ხაჰასა და ხვალკოვსკის წინ დაუდო გამზადებული ულტიმატუმი და უბრძანა:

— ან ახლავე მოაწერეთ ამას ხელი ან გარიჟრაჟისას ჩემი თვითმფრინავები ნაცარტუტად აქცევენ პრაღას!...

ხაჰა შეძრწუნებულია, უარს ამბობს, იძახის, ეს ძალადობააო, მაგრამ აქ საქმეში ერევიან გერინგი და რიბენტროპი, რომლებიც დიპლომატიური ხერხების მაგივრად ზემოქმედების წმიდა ფიზიკურ მეთოდებზე გადადიან. ისინი 80 წლის პრეზიდენტს მრგვალი მაგიდის გარშემო იმდენხანს არბენინებენ ვიდრე გული არ შეუწუხდება და არ დაეცემა.

ადიუტანტები ექიმებს უძახებენ და ნემსებს უკეთებენ პრეზიდენტს; მერე ისევ აწვალებენ, სანამ გონს არ დაკარგავს... ისევ ნემსები, ისევ დაძალება და...

დილის 4 საათზე ხაჰა მოტყდა. თვითონ მოაწერა ხელი თავისი ქვეყნის სასიკვდილო განაჩენს...

...ორი საათის შემდეგ გერმანული ტანკები უკვე პრაღისკენ მიემართებიან...

ეს რომ დალადიემ შეიტყო, იმასაც კინაღამ გული შეუღონდა. ჰიტლერმა დაარღვია ყველა პირობა, აბუჩად აიგდო მიუნჰენის გადაწყვეტილებებიც და თვითნებურად მოსპო სახელმწიფო, რომლის ხელშეუხებლობას თითქოს იცავდა ორი დიდი სახელმწიფო. ინგლისი და საფრანგეთი.

მართალია ჩემბერლენმა და დალადიემ სცადეს პროტესტის განცხადება, მაგრამ გადიდგულებულმა ჰიტლერმა მათ ყური არ ათხოვა. ჩვენ თვითონ შევთანხმდით ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტთან და თქვენ ვინ რას გეკითხებათო...

ესეც მიუნჰენის შედეგი იყო...

...და განა მარტო ეს? ჩეხოსლოვაკიის შემდეგ პოლონეთის საკითხი დადგა. მიუნჰენით გათამამებულმა ჰიტლერმა იფიქრა, ეს არის ქვეყნის ღერძს ხელი ჩავავლეო და ახლა პოლონელებს მოუნდომა კისერზე ბაწრის შებმა... ჰიტლერი თანდათან აშიშვლებდა თავის „საბოლოო გეგმებს“. ღელვის ფოთლებად კი ამ შემთხვევაშიც ყალბ დიპლომატიურ დემარშებსა და განცხადებებს იყენებდა. არც ცრუ ხელშეკრულებების დადებას ერიდებოდა, თუმცა ყველამ იცოდა, რომ საჭიროების შემთხვევაში ყოველგვარ ხელშეკრულებას ქაღალდის ისეთ ნაგლეჯად აქცევდა, რომელსაც, თავს თუ ნებას მივცემთ და მისივე გამოთქმას ვიხმართ, „გარკვეულ ადგილას ხმარობენ გარკვეულ მიზნისთვის“.

ამიტომ იყო რომ ჩეხოსლოვაკიის ხელში ჩაგდების შემდეგ ისევ გაიმეორა ძველი დაპირება, „ამიერიდან გერმანიას არ ექნებათ ტერიტორიული პრეტენზიები ევროპაში“. მერე გამოირკვა, რომ ჩეხოსლოვაკია თურმე ტრამპლინი იყო პოლონეთზე თავდასასხმელად. ჰიტლერს ეს დიდი ხნით ადრე ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ მაინც ფრთხილად მოქმედებდა. თავდაუსხმელობის პაქტიც დასდო პოლონეთის მთავრობასთან; ცხადია, სხვების თვალის ასაბმელად, თორემ გულში სულ სხვა ედო. სწორედ იმ დღეებში ეუბნებოდა ის რაუშნინგს „ხელშეკრულება პოლონელებთან დროებითი ამბავია; მე არ მაქვს სერიოზული განზრახვა ვიმეგობრო მათთანო“.

მიუხედავად ამისა, ჰიტლერი მაინც „თანდათანობითობის“ ტაქტიკას ირჩევდა. მან ჯერ დანციგის საკითხი დასვა. ინგლისი და საფრანგეთი შეშფოთდნენ ჰიტლერის ამ ახალი მოთხოვნილებით, მაგრამ ამჯერადაც წაუყრუეს, ვითომ ესეც არაფერიო. თან ის უხაროდათ გერმანიამ თავისი ტევტონური მახვილი აღმოსავლეთისკენ რომ მიმართა. ფიქრობდნენ, პოლონეთი იმისთვის უნდა რომ შემდეგ საბჭოთა კავშირს დაეტაკოსო.

ამასობაში ჰიტლერმა ბერჰტესგადენში მოიწვია პოლონეთის ბერლინელი ელჩი და ასეთი წინადადება მისცა, თუ დანციგს მომცემთ, თავდაუსხმელობის პაქტს 25 წლით გავაგრძელებო. მისთვის სულერთი იყო ასეთი პაქტი 5 წლით დაიდებოდა თუ 25-ით. როცა მოეხალისებოდა ან „გერმანიის ინტერესებისათვის“ საჭიროდ ჩათვლიდა, სულერთია, „ქაღალდის ამ ნაგლეჯს“ 5 წუთში გაგზავნიდა „გარკვეულ ადგილას“.

პოლონეთი ცხადია, მიხვდა ამ ფანდს და არ დაეთანხმა საერთაშორისო ხელშეკრულებებით „თავისუფალ ქალაქად, გარანტირებულ დანციგის გერმანიასთან შეერთებას. ამის თაობაზე საგარეო საქმეთა მინისტრმა ბეკმა ოფიციალური განცხადებაც გაუკეთა რიბენტროპს, მაგრამ მაშინ არა მარტო რიბენტროპმა, არამედ ჰიტლერმაც დაარწმუნა ბეკი, რომ „გერმანია არავითარ შემთხვევაში არ გადადგამდა ცალმხრივ ნაბიჯს დანციგის ძალით შემოსაერთებლად“, თუმცა ყველა გრძნობდა, რომ ეს გაჭიმული თოკიც მალე გაწყდებოდა. კაიტელს უკვე მიღებული ჰქონდა განკარგულება მოემზადებინა ოკუპაციის გეგმა.

სანამ ეს გეგმა დგებოდა, რიბენტროპი ჩავიდა ვარშავაში და საჯაროდ განაცხადა, რომ გერმანია კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცება სურს პოლონეთთან.

ამასობაში გერმანიამ არა მარტო სუდეტი, ბოჰემია და მორავეთი, არამედ მთლიანად დაიპყრო ჩეხოსლოვაკია. ჰიტლერის ასეთი თვითნებობით შეშინებული ბეკი 21 მარტს ისევ ჩავიდა ბერლინში და ესაუბრა რიბენტროპს, რომელმაც „პატიოსანი სიტყვით“ დააიმედა მინისტრი და ისე დააბრუნა ვარშავაში.

ორი დღის შემდეგ გერმანიის ჯარები სრულიად მოულოდნელად შეიჭრნენ მემელის ოლქში. ახლა კი იყვირა პოლონეთმა, ეს რა ამბავიაო! მას ინგლისიც გამოეხმაურა, თუ გერმანია პოლონეთს ომს დაუწყებს, დაუყოვნებლივ დავეხმარებით ჩვენს მოკავშირესო. საფრანგეთმაც ასეთივე განცხადება გააკეთა. ამას ჰიტლერმა იმით უპასუხა, რომ ბრძანება გასცა საერთო სამხედრო მზადყოფნის შესახებ; დანიშნა პოლონეთის ტერიტორიაზე შეჭრის ვადაც: 1939 წლის 26 აგვისტო და მარშალ პილსუდსკის მთავრობას შეუბღვირა, წყალს ნუ მიმღვრევო. მგლისა და ცხვრის არ იყოს, ზევით გერმანია იდგა, ქვევით — პოლონეთი და წყალს როგორ აუმღვრევდა, მაგრამ მგელი იმის მგელია, რომ ცხვართან ყოველთვის „მართალი“ იყოს. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. გერმანელებმა პოლონელებს დააბრალეს დადებულ ხელშეკრულებებს არღვევთო და მუქარაზე გადავიდნენ; აგრესიული მიზნების დასაფარავად კი მაინც მოაწერეს ხელი კომუნიკეს თავდაუსხმელობის შესახებ. ამ კომუნიკეს რომ ხელს აწერდა, აღმოსავლეთ საზღვრებზე განლაგებული გერმანიის დივიზიები მხოლოდ ნიშანს უცდიდნენ. ჰიტლერი კი რაიხსტაგის სხდომაზე ირწმუნებოდა არავითარ საომარ მზადებას არ ვახდენ, ეს სულ პოლონელების მონაჭორიაო...

...იმ დღეებში ბერჰტესგადენში ჰიტლერმა „მოლაპარაკება“ გამართა დანციგის უმაღლეს კომისართან ბუკჰართთან. დამსწრე წერს: ჰიტლერი ოფლში გაღვრილი იდგა.. გულსაკინძი ჩამოგლეჯილი ჰქონდა. თვალები ბუდიდან გადმოცვენილი, თუ რამ მაგიდაზე ელაგა ყველაფერს იატაკზე ყრიდა. რაც ხელში მოხვდებოდა, ამსხვრევდა; მერე ფეხს გაჰკრავდა და კედელს მიანარცხებდა, თან ყვიროდა:

— ისეთ სამხედრო ძალას დავატეხ პოლონეთს, რომ რამდენიმე დღეში გავსრეს. მე უკვე 50 წლის ვხდები, ახლა მინდა ევროპაში ვიბატონო და არა 60 წლისამ...

ჰიტლერის ასეთი პოზიციით შეშფოთებული ჩიანო

ფუშლში შეხვდა რიბენტროპს. იტალიას მაშინ არ უნდოდა ომი. ჩიანომ უთხრა რიბენტროპს, თუ დიდი ომი დაიწყო იტალია არ დაეხმარება გერმანიასო. მუსოლინიმ ამის გამო თქვა უარი ჰიტლერთან შეხვედრაზე. რიბენტროპმა განუცხადა ჩვენ მაინც ვიომებთო და წავიდა. სახტადდარჩენილმა ჩიანომ თავის დღიურში ჩაწერა იმ დღეს:

„გერმანია შეიპყრო ნგრევის მანიამ“.

...ამდენ დავიდარაბაში პოლონეთის მთავრობას შეეშინდა ნამჯას პურიც არ გადავატანოო და 5 მაისს გერმანიას აცნობა მზად ვართ მოლაპარაკება გავმართოთ დანცინგის საკითხზეო, მაგრამ ჰიტლერს მარტო დანცინგი კი არ აინტერესებდა, არამედ მთელი პოლონეთის დაპყრობა, ე. ი. ომი. დანცინგი აქაც ისეთივე საბაბი იყო, როგორც სუდეტი ჩეხოსლოვაკიის კრიზისის დროს... ეს სრულიად აშკარა გახდა ნიურნბერგის პროცესზე, როცა წაიკითხეს ადგილი ჩიანოს დღიურებიდან, სადაც აღწერილია მისი შეხვედრა რიბენტროპთან.

— რა გინდათ თქვენ, დანცინგის კორიდორი თუ მთელი დანცინგი? — კითხა ჩიანომ.

— ახლა უკვე არც ერთი და არც მეორე. ჩვენ გვინდა ომი! — მიუგო რიბენტროპმა და ყინულივით ცივი თვალებით მიაჩერდა „კოლეგას“.

— არა, ასე არ მითქვამსო, ირწმუნებოდა რიბენტროპი პროცესზე — ეს ჩიანოს მონაგონიაო, მაგრამ ვინ დაუჯერებდა, როცა ეს დღიურები როდი იყო ერთადერთი მამხილებელი საბუთი.

რიბენტროპს 1939 წლის 22 მაისს ჰიტლერთან მოწვეული თათბირიც შეახსენეს, რომელსაც გერინგთან, კაიტელთან და სხვებთან ერთად ისიც ესწრებოდა. კითხვაც მისცეს, რა გადაწყდა ამ თათბირზეო. რიბენტროპი საერთოდ ყველაფერს უარყოფდა; მე არაფერი არ ვიცოდი პოლონეთის წინააღმდეგ თუ აგრესია მზადდებოდაო, თქვა მან. ყველასათვის აშკარა იყო, რომ ასეთი რამ არ შეიძლება არ ცოდნოდა საგარეო საქმეთა მინისტრს, მაგრამ რიბენტროპი ამას ანგარიშს არ უწევდა, არ ვიცი, არ მახსოვსო— ამბობდა ის.

გამომძიებელმა ჰკითხა:

— ამ თათბირზე ლაპარაკი იყო პოლონეთის წინააღმდეგ ომის აუცილებლობაზე. ამას მსოფლიო ომი მოყვა და როგორ შეიძლება ეს თქვენ, იმ დროინდელ საგარეო საქმეთა მინისტრს არ გცოდნოდათ?!

— არ ვიცი! — ჩაიქნია ხელი რიბენტროპმა.

— იქნებ ის მოიგონოთ, რა სთქვა ჰიტლერმა ამ თათბირზე?

— არც ეს მახსოვს — დაუმატა მან უხალისოდ.

— ხომ არ უთქვამს საკითხი დანცინგს კი არ ეხება, არამედ მთლიანად პოლონეთს და საერთოდ ტერიტორიების დაპყრობას აღმოსავლეთში? — არ მოეშვა გამომძიებელი.

რიბენტროპი სდუმდა. იგი გრძნობდა, ასეთ კითხვებს ისე არ მომცემენ, დამადასტურებელი საბუთებიც რომ არ ჰქონდეთო, მაგრამ მაინც არ გატყდა:

— არა, არ მახსოვს! — გაიმეორა მან.

მაშინ წინ ამ თათბირის დაწვრილებითი ოქმი დაუდეს — შედგენილი შმუნდტის მიერ. რიბენტროპმა ნელ-ნელა გაახილა თვალები, ეს დოკუმენტი და დიდხანს კითხულობდა. ოქმში დაწვრილებით იყო გადმოცემული ჰიტლერის სიტყვის შინაარსი. მან სრულიად აშკარად განაცხადა, რომ პოლონეთზე თავდასხმა უკვე გადაწყვეტილია და რომ „საკითხი დანცინგს კი არ ეხება, არამედ ტერიტორიების დაპყრობას აღმოსავლეთში“. პოლონეთი დიდ წინააღმდეგობას ვერ გაგვიწევსო—თქვა მან და დაუმატა, რომ ის ითვალისწინებს ინგლისთან და საფრანგეთთან ომის შესაძლებლობას; დაიქადნა კიდეც, რამდენიმე დარტყმით მოვსპობ ორივე სახელმწიფოსო.

— შესაძლებელია სამკვდრო-სასიცოცხლო ომი ინგლისთან და საფრანგეთთან — ამბობდა ის — მაგრამ უნდა გადაწყდეს 80 მილიონი გერმანელის ყოფნა-არყოფნის საკითხი. ინგლისი მოტორია, რომელიც ამოძრავებს ჩვენს წინააღმდეგ დარაზმულ ძალებს. მართალია ის ძლიერი და მდიდარი სახელმწიფოა, 300 წლის მსოფლიო ომების გამოცდილების მქონე, მაგრამ მთავარია მათი ფლოტი გამოვიყვანოთ მწყობრიდან და მოვუშალოთ კომუნიკაციები. ფლოტი თუ გავუნადგურეთ (losschlagen) ინგლისის კაპიტულაცია გარდუვალი იქნება. კონტინენტზე ის ვერ იბრძოლებს. ამიტომ ჩვენი მიზანია მისი დაჩოქება.

რიბენტროპს კი ვითომ ეს „არ ახსოვს“. არც ის ახსენდება ამ თათბირის შემდეგ საერთო მობილიზაცია რომ გამოცხადდა, ვითომ ომისთვის კი არა, საშემოდგომო მანევრებისთვის ვემზადებითო.

ყველაფერი ეს მართლაც საიდუმლოდ კეთდებოდა. მურვან ყრუ პოლიტიკოსები კი წერდნენ „ომის დრაკონები სდუმანო“. იმას კი არ უწევდნენ ანგარიშს, რომ ჰიტლერი საერთოდ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ასეთი ოპერაციების „ნამდვილი მიზნების“ დასაიდუმლოებას. „მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმ გადაწყვეტილებათა საიდუმლოების დაცვას, რაც თანდათან უნდა იქნეს გატარებული, რადგან საიდუმლოებაა გამარჯვების მთავარი წინამძღვარი“ —სთქვა მან და ეს მოთხოვნა სამ პუნქტად ჩამოაყალიბა:

1. არავის არაფერი არ უნდა ვუთხრათ, რაც მათ არ უნდა იცოდნენ;

2. არავინ არ უნდა გაიგოს იმაზე მეტი, რაც მან უნდა იცოდეს;

3. არავინ არაფერი არ უნდა იცოდეს, ვიდრე ეს საჭირო იქნება.

ამიტომ იყო, რომ ჰიტლერმა აკრძალა ამ გადაწყვეტილების შესახებ რამე ეცნობებინათ ბერლინი—რომი —ტოკიოს ღერძის სახელმწიფოებისათვისაც კი.

მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ, ინგლის-საფრანგეთთან მოსალოდნელი ომისა და ამ ომში გერმანიის მხარეს იტალიის აუცილებელი ჩაბმის საჭიროებამ აიძულა ჰიტლერი პოლონეთის წინააღმდეგ ოპერაციის დაწყების წინ თავისი გეგმები გაეცნო მუსოლინისთვის. წინასწარი მოლაპარაკებაც შედგა

რიბენტროპსა და ჩიანოს შორის. ჩიანო სახტად დარჩა ამ მოულოდნელობისაგან. ასე საჩქარო რა არის, დუჩეც ხომ უნდა მოემზადოს ომისათვისო; მაგრამ ჰიტლერს საქმის გადადება არ უნდოდა. ისევ დროს მოგება იყო საჭირო. ერთხელ დატრიალებული ბორბალი: რაინის ოლქი-ავსტრია-სუდეტი-ბოჰემია-მორავეთი-ჩეხოსლოვაკია-მემელის ოლქი — არ უნდოდა შეჩერებულიყო.

ჩიანო გრძნობდა, რომ ამას შეიძლება მსოფლიო ომი გამოეწვია და ყოველმხრივ ცდილობდა გაეხანგრძლივებინა საქმეთა ვითარება. ჰიტლერს კი ამ შემთხვევისთვისაც ჰქონდა „კამათლები გაგორებული". რიბენტროპი კი არწმუნებდა ჩიანოს, რომ ინგლისი არც გერმანია-პოლონეთის კონფლიქტში ჩაერევა აქტიურადო მან სანაძლეოც დადო მასთან: თუ ინგლისი არ ჩაებმოდა ამ ომში, ჩიანოს მისთვის უნდა მიეცა რომელიმე იტალიელი მხატვრის ძვირფასი სურათი და თუ პირიქით მოხდებოდა, რიბენტროპი მას ძველი იარაღების კოლექციას აჩუქებდა.

ასეა. კანცლერი ზარს აგორებდა, საგარეო საქმეთა მინისტრი სანაძლეოს დებდა...

და ამგვარად წყდებოდა დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხები, რამაც შემდეგ მსოფლიო კატასტროფა გამოიწვია...

## გლაივიცის კომედია...

1939 წლის 22 აგვისტოს ჰიტლერმა კიდევ ერთი თათბირი გამართა თავის გენერლებთან ობერზალცბურგში. აქ მან გადახაზა ყველა მანამდე არსებული ხელშეკრულება და პირდაპირ გამოსთქვა თავისი ნამდვილი ზრახვები:

— პირველ რიგში ჩვენ გვსურს ომი დასავლეთის სახელმწიფოებთან — განაცხადა მან — ჩემი მიზანია მოვსპო მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალა... ეს მხოლოდ ჩემზეა დამოკიდებული, ჩემს პიროვნებაზე, ჩემს პოლიტიკურ უნარზე — ყვიროდა ის — ფაქტია რომ არავისი ისეთი ნდობა არა აქვს ხალხს, როგორც ჩემი. არც მომავალში იქნება ისეთი ადამიანი, რომელსაც ჩემზე დიდი ავტორიტეტი ექნება. მაშასადამე, ჩემი არსებობაა უდიდესი ღირებულების ფაქტორი. მე კი შეიძლება ყოველ წუთს მომკლას რომელიმე არამზადამ ან იდიოტმა. მეორე ასეთი ფაქტორია მუსოლინი. მის არსებობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. დუჩე ყველაზე მაგარნერვებიანი კაცია იტალიაში.

ამგვარი ავტორიტეტული ფაქტორების მეორე მხარეს სრულიად ნეგატიური მდგომარეობაა. ინგლისსა და საფრანგეთს არ ჰყავთ ჩვენისთანა გამოჩენილი პირები. მათი ხელმძღვანელები საშუალოზე დაბალ დონეზე დგანან. ისინი არ არიან მოქმედების ადამიანები. პირადი ფაქტორების გარდა ახლა პოლიტიკური მდგომარეობაც გვიწყობს ხელს. ყოველივე ეს კი არ გვექნება 2-3 წლის შემდეგ. ამიტომ უნდა ვიჩქაროთ სასიცოცხლო ტერიტორიების დაპყრობა.

— ჩვენ დასაკარგი არაფერი გვაქვს, მოსაგები კი ბევრი — დაასკვნა მან — მოწინააღმდეგეებს, პირიქით, დასაკარგი ბევრი აქვთ, მოსაგები არაფერი! საჭიროა დიდი რისკი, ფოლადის ნერვები, რკინის გადაწყვეტილებანი. პოლონეთი ახლა ისეთ მდგომარეობაშია, როგორშიც მე მინდა რომ იყოს...

..ამ თათბირზეც გენერლებს, როგორც ერთგულებს, ისე „შეთქმულებს", საწინააღმდეგოდ ხმა არ გაუღიათ, რადგან თვითონაც ომი სწყუროდათ.

შახტი ამბობდა ნიურნბერგში:

— ჩვენი გენერლებისას კაცი ვერაფერს გაიგებს. მე არ მესმის მათი ასეთი უგონო მილიტარისტული გახელება. ოღონდ ომი იყოს და სხვა არაფერი უნდათ. თუ ჰიტლერი იტყოდა: „მოდით ვიომოთ!"— ისინი მაშინვე გაიჯგიმებოდნენ, კისერს წინ წაიგრძელებდნენ და ანგარიშმიუცემლად ყვიროდნენ: „ვიომოთ? დიახ, რა თქმა უნდა, ეს ბუნებრივია, უნდა ვიომოთ!"

აიღეთ მაგალითად ეს გენერალი ჰალდერი. მას არაფრად ეპიტნავებოდა ჰიტლერი. იგი უნდა დამხმარებოდა მე, რომ 1938 წელს აგველაგმა ის. მაგრამ ჰიტლერმა თქვა მე დიდ ომს ვაპირებო და ჰალდერი მაშინვე შეტრიალდა:

— ომი? oო, დიახ, ეს კარგია!

არავითარი ფიქრი, არავითარი ალტერნატივა, ოღონდ იყოს ომი!

ასეთ დროს შახტს რომ ჰკითხავდნენ, მაშ თქვენ რისთვის უწყობდით ხელს გერმანიის გამალებულ შეიარაღებასო, ის იძულებული ხდებოდა მიკიბულ-მოკიბულ პასუხებზე გადასულიყო...

..ჰიტლერი უფრო პირდაპირი იყო. მან უკან მოუხედავად განუცხადა თავის გენერლებს:

— თქვენ დაიწყეთ და სათანადო პროპაგანდისტულ საბაბს მე მოგცემთ, სულერთია მართალი იქნება ეს თუ არა, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მართალი ის არის ვინც იმარჯვებს; გამარჯვებულებს კი არ შეეკითხებიან, ჰქონდა მათ ამის უფლება თუ არა. მთავარია არა უფლება, არამედ გამარჯვების უზრუნველყოფა!..

...პოლონეთზე თავდასხმის „საბაბი" კი მართლაც პროვოკაციული იყო. ნიურნბერგის პროცესზე ყველაფერი ეს გამომჟღავნდა. ოპერაციას კოდურ სახელად „ჰიმლერი" დაარქვეს. ვინც ამ ოპერაციაში უშუალო მონაწილეობას იღებდა ყველანი დახოცეს კვალის დასაფარავად, მაგრამ რაღაც სასწაულებით ერთი მათგანი გადარჩა. ეს იყო ალფრედ ნაუჟოკსი, რომელიც მოწმედ გამოიძახეს ნიურნბერგში.

— 1939 წლის 10 აგვისტოს — სთქვა მან — გამომიძახა ჰაიდრიხმა და მიბრძანა მომეწყო პოლონეთის საზღვარზე მდებარე გლაივიცის რადიოსადგურზე თავდასხმის ინსცენირება. ეს საჭიროა უცხოეთის პრესისა და პროპაგანდისტებისათვის, მითხრა ჰაიდრიხმა. 4-5 კაცის თანხლებით მე უნდა გავმგზავრებულიყავი გლაივიცს და მეცადა იქ სიგნალისთვის. პირველივე ნიშნისთანავე პოლონურ მუნდირებში ჩაცმულ გერმანელების საშუალებით უნდა დამეპყრო რადიო სადგური და ერთხანს შემეჩერებინა კიდეც. ერთ-ერთი გერმანელი პოლონურ ენაზე უნდა გამოსულიყო მიკროფონთან და ეთქვა, რომ დადგა დრო გერმანელებთან შეტაკებისა, და რომ პოლონელებს სურთ მოსპონ ყველა გერმანელი...

ასეც მოხდა. ციხიდან გამოიყვანეს გერმანელი ტუსაღები, ჩააცვეს პოლონური ფორმები... მიუსიეს გლაივიცის რადიოსადგურს... „დაიპყრეს“ ის და მოწოდებაც წაიკითხეს... მერე „დაზარალებულმა“ გერმანელებმა „კონტრიერიში“ მოაწყვეს, დახოცეს ყველა „პოლონელი“ და „დაიბრუნეს დაკარგული პოზიციები“. მეორე დღეს გერმანული პრესა და რადიო ახმაურდა, არიქა, პოლონელები დაგვესხნო.

— პროვოკაციაა!.. — იყვირეს პოლონელებმა, მაგრამ ვინ დაუჯერა. ჰიტლერი და გებელსი მაინც უტიფრად აბრალებდნენ პოლონეთს ამ „თავდასხმის“ მოწყობას. ეს პროვოკაცია კი ისეთი თეთრი ძაფებით იყო მობლანდული რომ, ცხადია, ყველა მიხვდა მომხდარი ამბების ნამდვილ აზრს...

...გლაივიცის სისხლიან კომედიას წინ გამალებული დიპლომატიური დემარშები უძღოდა. 25 აგვისტოს ინგლისი და პოლონეთი შეთანხმდნენ ურთიერთ დახმარებაზე. თავდასხმის ვადა 6 დღით გადაიდო. ამასობაში საფრანგეთიც ჩაერია საქმეში. პრემიერმა დალადიემ განაცხადა, ომის შემთხვევაში საფრანგეთიც დაეხმარება პოლონეთსო. პრეზიდენტმა რუზველტმაც მოუწოდა ევროპის სახელმწიფოებს თავი შეეკავებინათ შეიარაღებულ კონფლიქტისაგან. ჰიტლერმა, როგორც იტყვიან, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. მან არაფრად არ ჩააგდო პრეზიდენტის გაფრთხილება. ისიც საყურადღებოა, რომ რუზველტმა ჯერ კიდევ გაზაფხულზე გაუგზავნა გამაფრთხილებელი წერილი ჰიტლერს, მაგრამ გათამამებულმა კანცლერმა თავის თავს ნება მისცა არც ეპასუხა ამ წერილზე. ეს უპრეცენდენტო შემთხვევა იყო სახელმწიფოთა მეთაურების ურთიერთობის პრაქტიკაში, რაც კიდევ ერთხელ განმეორდა. ჰიტლერმა არც ახლა გასცა პასუხი რუზველტის წერილზე. 24 საათის შემდეგ რუზველტმა კიდევ ერთი წერილი გაუგზავნა ჰიტლერს და პოლონეთის მთავრობას. ასეთივე წერილით მიმართა რომის პაპმა გერმანიას. პოლონეთმა მაშინვე აცნობა პრეზიდენტს რომ ის თანახმაა არბიტრაჟის საშუალებით გადაწყდეს სადაო საკითხები. ამის პასუხად გერმანიამ ნოტა გაუგზავნა ინგლისს, დანცინგის გერმანიასთან შემოერთების შესახებ, მაგრამ, როგორც ჩანს, ომის შიშით, ვაი თუ მიუნჰენის მსგავსად ამაზეც დამეთანხმნენო, სრულიად მოულოდნელად ე. წ. „პოლონეთის კორიდორიც“ მოითხოვა. ინგლისი მიხვდა გერმანიის მოთხოვნებს რომ საზღვარი არ ჰქონდა და უარით უპასუხა. საფრანგეთის პრემიერმა დალადიემაც გამაფრთხილებელი წერილი მისწერა ჰიტლერს, რაც ასეთი სიტყვებით თავდებოდა: „თუ ფრანგული და გერმანული სისხლი ისევ დაიღვრება, როგორც ამ 25 წლის წინ, უფრო ხანგრძლივსა და სისხლისმღვრელ ომში, მაშინ ორივე ხალხი ერთგულად იბრძოლებს გამარჯვებისათვის, ნამდვილად გამარჯვებული კი დარჩება მხოლოდ ნგრევა და ბარბაროსობა“.

ჰიტლერმა არც ამ გაფრთხილებას მიაქცია ყურადღება და ჩეხოსლოვაკიის მიმართ გამოცდილ ელვისებურ ტაქტიკას მიმართა. მან იგივე პრეტენზიები წამოაყენა 29 აგვისტოს. ახლა უკვე ულტიმატუმის სახით. თუ ეს მოთხოვნები 30 აგვისტოს 12 საათისათვის არ იქნება დაკმაყოფილებული დაუყოვნებლივ დავიწყებ საომარ ოპერაციებსო.

ეს მართლაც გაუგონარი რამ იყო! ერთი დღის განმავლობაში გერმანიის ულტიმატუმი უნდა მიეღო ინგლისს, გაერჩია მის მთავრობას, გამოეტანა გადაწყვეტილება, შემდეგ ეცნობებინა პოლონეთის მთავრობისათვის, აქაც უნდა განეხილათ შექმნილი მდგომარეობა და მოესწროთ პასუხის გაცემა გერმანიისთვის... და ყველაფერი 24 საათის განმავლობაში! ესეც წინასწარ იყო გაანგარიშებული: ვთქვათ ინგლისს, მართლაც, მოესწრო რამდენიმე საათში გერმანიის ულტიმატუმის განხილვა და თავისი გადაწყვეტილების გადაცემა პოლონეთის მთავრობისათვის. პოლონეთის მთავრობასაც ერთ-ორ საათში განეხილა ეს საკითხი და პასუხი ეცნობებინა გერმანიისთვის. მაშინ ხომ შეიძლებოდა ომის დაწყების გეგმა ჩაშლილიყო! ამიტომ გერმანიის მთავრობამ მოითხოვა პოლონეთის რწმუნებული ჩამოსულიყო ბერლინში 12 საათამდე და თვითონ მოეტანა წერილობითი პასუხი. ამასაც ხომ დრო უნდოდა, თუნდაც ეს რწმუნებული თვითმფრინავით წამოსულიყო ვარშავიდან!.. ხალხური თქმისა არ იყოს, ეს იმას ჰგავდა კაცს კუპრის ზღვაზე ბეწვის ხიდი გაუდო და თუ ბიჭი ხარ გაიარეო...

ცხადია, ყველაფერი ეს იმისათვის კეთდებოდა, რომ საქმის კვანძი აქაც მიუნჰენისებურად „იოლად არ გახსნილიყო და „მცირე მსხვერპლის“ გაღებით პოლონეთს „დიდი ლუკმა“ არ გაეგდებინებინა ხელიდან გერმანიისათვის.

ესეც აშკარა გახდა პროცესზე. მართლაცდა, ტექნიკურად როგორ უნდა მოესწროთ ყოველივე ეს ინგლისსა და პოლონეთს 24 საათის განმავლობაში!..

☐ გაგრძელება იქნება ☐

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „რიონი“

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებამ“ გამოსცა ქუთაისში მომუშავე მწერლების კრებული „რიონი“.

ამ კრებულში იბეჭდებიან პროფესიონალი მწერლები, კრიტიკოსები და ახალდამწყებნი, ლიტერატურის ენთუზიასტები. ამათგან ზოგიერთი ჯერ კიდევ ყოყმანობს თავის გზაზე. მისთვის ლიტერატურა არის ტვირთი, რომლის გადაგდება თვითონ ვერ გაუბედია.

ერთი წლის წინ იმავე გამომცემლობამ გამოსცა გორის ლიტერატურული წრის კრებული, „ლიახვი“. სამწუხაროდ, ეს კრებული არ გამხდარა სერიოზული მსჯელობის საგანი. საჭირო კი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ ასეთ კრებულებში აისახება გარკვეული ლიტერატურული დონე. და განა ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს, როგორია ეს დონე?

„რიონს“ ჟურნალის მიმოხილვა კი არა, სპეციალური დისკუსია უნდა ეძღვნებოდეს. „რიონში“ დაბეჭდილი ავტორები ელიან პასუხს და ჩვენ, ჩვენი პატარა რეცენზიით უხერხულად ვგრძნობთ თავს ამ დიდი და სამართლიანი მოლოდინის წინაშე.

თავისი მნიშვნელობით ქუთაისი საქართველოს მეორე ქალაქია. მას ჰყავს მუშათა ათასიანი არმია, შესანიშნავი ინტელიგენცია. ესაა უძველესი ქალაქი, ქალაქი ბაგრატის ნანგრევებისა და პირველი ქართული ავტომობილის. ბუნებრივია, რომ ასეთი ქალაქი მოითხოვს თავისი ცხოვრების ასახვას მწერლობაში, ის ელის მწერლებს, რომლებიც თავის მხრივ ლიტერატურის ისევე თანამედროვე და მოწინავე ხერხებით იქნებიან აღჭურვილნი, როგორადაც ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საამქროებია.

დავიწყოთ კრებულში გამოქვეყნებული პროზაული ნაწარმოებიდან.

ოტია იოსელიანის „საახალწლო ნოველა“ ლირიკული მოთხრობაა უბრალო გოგონას სიყვარულზე. ამ გოგონამ სამსახური დაიწყო ერთ-ერთ დაწესებულებაში და იქ გაიცნო გიგლა. მკითხველი თავიდანვე ხვდება, რომ ელისოს და გიგლას, ბოლოს, ერთმანეთი შეუყვარდებათ, მაგრამ აქ საინტერესოა თვითონ ის, თუ როგორ შეუყვარდებათ მათ ერთმანეთი.

ელისოს, ისევე როგორც ხშირად მის თანატოლ გოგონებს, თავიდანვე უყვარს ვიღაც „ის“. მაგრამ ამ გოგონების ფანტაზია ერთგვარად თავხედია და ისინი იდეალს რეალურად ვერ წარმოიდგენენ (ამ თავხედობის მეორე მხარეა სიმორცხვე).

„იცნობს?.. მაინცდამაინც პირადად უნდა იცნობდე, რომ გიყვარდეს? — აბა როგორ? როგორ და... სავალდებულოა იცოდე რამდენი სანტიმეტრი სიგრძისაა და თვალებს აბრიალებს, თუ მოჭუტვა ურჩევნია... არ არის ეს საჭირო“...

ელისომაც ჯერ არ იცის თუ როგორია მისი „იდეალი“. სიყვარულის სურვილი კი მის ფანტაზიას გამალებით ამუშავებს. ელისოს ფანტაზია აწყდება ოთხივე მხარეს. ირგვლივ კი ყველაზე გამოკვეთილად გიგლა ჩანს და ყველაზე ახლოსაც ის არის. მართალია, „იდეალი“ უფრო სრულყოფილია, მაგრამ არარეალური. გიგლა კი რეალურია და ეს, როგორც ჩანს, დიდი უპირატესობაა. ამიტომ როგორც მოსალოდნელი იყო, „იდეალი“, სწორედ გიგლა აღმოჩნდა. თავისთავად ცხადია, რომ არაჩვეულებრივი „ის“, ჩვეულებრივ გიგლაში ვერ მოთავსდება, მაგრამ ცხოვრებას, ეტყობა, შეუძლია ასეთი რამ. სამაგიეროდ, თუ ახალგაზრდების გრძნობა მეშჩანურ სიყვარულში არ გადაიზარდა, გიგლას უნდა ახსოვდეს, რომ ელისოს „იდეალი“ განუწყვეტელ პაექრობაში იქნება მასთან და ყოველთვის შეეცილება ელისოს თავს.

ჩვენ არ ვიცით, როგორ წარიმართება ელისოს და გიგლას შემდეგი ცხოვრება. — ისინი კარგად არიან შეჩვეული ერთმანეთს და, როგორც ჩანს, ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანები იქნებიან. აქ, ამ გმირების ხასიათებში, არავითარი პერსპექტივა არ არის და მათი ამბავი რომ არა ლირიკული, არამედ ანალიტიკური პროზით გადმოგვეცა, შეიძლება ნოველაში არაფერი მიმზიდველი არ ყოფილიყო.

---

**„რიონი“ ქუთაისში მომუშავე მწერლების მხატვრულ ნაწარმოებთა კრებული, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1966.**

ო. იოსელიანი საკმაოდ ბევრი და საინტერესო ლირიკული სახეების ავტორია. ლირიკულ მოთხრობას კი, სადაც ავტორი და გმირები თითქმის ერთიანდებიან, თან განსაკუთრებული რისკი ახლავს. ეს რისკი არის ის შეუმჩნეველი ზღვარი, რომელიც გადის, ერთი მხრივ, მაღალ გრძნობასა და ოსტატობასა და, მეორე მხრივ, სენტიმენტალურობასა და ბანალურობას შორის. აქ ძალიან იოლად შეიძლება ერთიდან მეორეში გადავარდნა.

„საახალწლო ნოველა“ ფსიქოლოგიურად მართალი, საინტერესო ნოველაა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ მასში მოთხრობილია იმ ახალგაზრდებზე, რომლებიც ჩვენში ყველაზე მრავალნი არიან და რომლებსაც ლიტერატურა ნაკლებად აქცევს ყურადღებას.

გაცილებით მეტს მოველოდით სერგო ფხაკაძისაგან. მის მოთხრობაში ბევრი რამაა ისეთი, რაც, ალბათ, ნამდვილად მოხდა; თითქოს კარგადაც იკითხება, მაგრამ ეს ნაწარმოები ავტორის ადრინდელ მოთხრობებთან შედარებით დაბლა დგას.

ჩვენ ვიცნობთ დავით კვიცარიძის მხატვრულ სახეებს, „რიონში“ დაბეჭდილი მისი მოთხრობა კი შედარებით სუსტია. ამ მოთხრობაში იმდენი სენტიმენტალობაა, რომ ის არა მარტო ერთ მოთხრობას ეყოფოდა. გარდა ამისა, მოთხრობა მხატვრულად არადამაჯერებელია.

„ქალიშვილი თეთრ ნისლში გახვეულ მთებს გასცქეროდა. ვაჟი ზღვას... ქალიშვილი ნისლიან მთებზე ფიქრობდა, ვაჟი — ქალიშვილზე. ისეთი სიწყნარე იყო, კაცის გულისცემასაც გაიგონებდით. ეს კი არა და ქალიშვილს მთების სუნთქვაც ესმოდა“. შემდეგ ვაჟი კითხულობს — „ნისლი ფიქრია მთებისა“. — ქალიშვილს მოსწონს.

„— კარგია, ძალიან კარგი. ახლა შენი ლექსი მითხარი.

„ — ვაჟას შემდეგ ჩემი ლექსი?“—თავაზიანობს ვაჟი, მაგრამ ქალიშვილი ამხნევებს:

„— თქვი, თქვი! მეც ვიტყვი“.

ქალიშვილი რიგელი პოეტია და, ბოლოსდაბოლოს, მიდის თავის ქალაქში.

„— მოგწერ“, — თქვა ოთარმა.

„— მადლობთ!“—გაუღიმა ელიზამ და სიყვარულით შეაჩერდა თვალებში. ამ შემთხვევის პასუხი ვერ იპოვა ოთარმა და აკოცა.

იმ საღამოს დიდხანს იხეტიალეს. ჯერ ბაღის სიგრძე-სიგანე გადაზომეს, მერე ზღვის ნაპირს ღღუყვნენ და ფეხით მივიდნენ ბინამდე. იცურავეს კიდეც.

განშორება მოხდა უბრალოდ. სადგურის ბაქანზე ელიზამ ოთარს აკოცა, მერე ვაგონის კიბიდან ხელი დაუქნია, მერე ვაგონის ფანჯრიდან გამოიხედა და მატარებელიც დაიძრა“.

ოთარი წერილებს უგზავნიდა ქალიშვილს. ელიზა კი დუმდა და თანდათან უნელდებოდა ცეცხლი. ამასობაში „თერთმეტმა წელმა გაირბინა“. ოთარმა უცებ ელიზას ლექსები ნახა ქართულ გაზეთში და ქალის წერილიც მიიღო (აქამდე რატომ არ სწერდა, არ ვიცით). ჩამოვდივარო. ვაჟი დახვდა ელიზას ბაქანზე, მაგრამ ქალი ამ თერთმეტ წელიწადში (ახლა 33 წლის არის) ისე გამოცვლილა, რომ ოთარმა ვერ იცნო იგი. ცოტა უცნაურია, ჯერ ისეთი სიყვარული, მერე იმდენი ხნის დუმილი და ახლა კიდევ ეს.—რამ გამოცვალა ასე ელიზა? — ავტორი არაფერს გვეუბნება.

ოთარმა გვერდით ჩაუარა ელიზას, და, როგორც ვთქვით, ვერ იცნო. ამის შემდეგ იწყება ელიზას — „ჩაიარე? წადი, მეგობარო, მუდამ კეთილად იარე. ჩვენი გზები, რახანია, გაიყო. მეც წავალ... უშენოდ მივალ სასტუმროში. უშენოდ ვიმგზავრებ სვანეთში...“ და სხვ.

შეიძლება ცხოვრებაში მოხდა მოთხრობაში აღწერილი ამბავი, მაგრამ ეს უფრო ცხოვრებისეული კურიოზია, ვიდრე მხატვრული სინამდვილე. ამათ შორის განსხვავება კი, როგორც ავტორს მოეხსენება, დიდია.

„რიონში“ სხვა ნაწარმოებებიცაა დაბეჭდილი, რომლებსაც ერთგვარი ინფანტილიზმის დაღი აზით. ასეთებია, მაგალითად შალვა ცანავას „დედა“, „ლრუბელი“, დავით ხუროძის „გაღვიძება“ და „დაძახილი“, მზია შენგელიას „მე მოვალ...“, ეთერ ქორქოლიანის „თოვლის გუნდა“. ამ ნაწარმოებების ავტორები ეტანებიან არაჩვეულებრივ, ხშირად შემაძრწუნებელ ამბებს მაგალითად: გოგონას თოვლის გუნდა ესროლა ვაჟმა. „გაგიხმეს ხელიო“ — უთხრა გოგონამ. შემდეგ ის ვაჟი ფრონტზე წავიდა და... მართლაც დაკარგა ხელი.

ჩვენი აზრით, შედარებით უკეთესი მოთხრობებია ლეილა მესხის „წყნარი ქუჩა“, ნოდარ გედენიძის „სადღეგრძელო“, სერგო მაღლაფერიძის „ყანწი“, გრიგოლ ძოწენიძის „ჰონორარი“. ამ ავტორებს ჯერ კიდევ არ დაუმთავრებიათ ძიება, მათ ნაწარმოებებს შეიძლება ოსტატობაც აკლდეს, მაგრამ ისინი გაცილებით უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებენ.

ყველაზე დიდი ნაკლი „რიონში“ დაბეჭდილი პროზაული ნაწარმოებებისა არის ის, რომ ისინი ნაკლებად აქტუალურნი არიან. მათში ვერ ამოიკითხავთ თანამედროვე ქუთაისის ცხოვრების ვერცერთ დამახასიათებელ მხარეს, ვერცერთ თავისებურებას. ავტორების უმრავლესობა უფრო ეფემერულ თემებს ეტანება. ისინი ცდილობენ უფრო მგრძნობელობით მოხიბლონ მკითხველი და ერთი წუთითაც არ ეპარებათ ეჭვი თავიანთ გულუბრყვილობაში.

უკეთესად გამოიყურება „რიონის“ პოეზია.

ბუნებრივად და სასიამოვნოდ ჟღერს უფროსი თაობის პოეტების არჩილ გურჯიძისა და გიორგი სამხარაძის ლირიზმით გამთბარი სტრიქონები. ამ პოეტების ნაწარმოებებში ძალიან ხშირად აწმყო და წარსული ერთიანდება და ეს მოვლენა უფრო ავსებს და ამრავალფეროვნებს სა-

თქმელს. (მოგონებები მათ ლექსებში სინამდვილის ორგანული ნაწილია, — იგი შეგვიძლია გავიგოთ, როგორც მხატვრული ხერხიც).

ცხოვრების რიტმს სიმბოლურად გვაგრძნობინებს დ. ახობაძის „სუყველას სადღაც მიეჩქარება“.

უმწიკვლოს, ცოდვილს, ვინ იცის რამდენს
იტევს ეს ქუჩა. ქუჩა წყნარია,
იგი არ კივის, ის არ ხმაურობს
არც განიკითხავს, რანი არიან,
ყველას ეძახის სამოგზაუროდ,
სუყველას სადღაც მიეჩქარება.

კრებულში დაბეჭდილია დ. ახობაძის კიდევ ერთი ლექსი — „საუბარი ქარში“ ეს ლექსი მშვენიერი სტრიქონით იწყება, მაგრამ როდესაც მას ჩაათავებ უხერხულობის გრძნობა გეუფლება.

ქარი იყო და მტკიოდა ვაზის შიშველი წვივები
შეეწირები ამ ბაღებს?
— თუ მეტყვი შევეწირები!
— მე?
და მაცდურმა ღიმილმა გაუხსნა კბილთა მწკრივები,
— შემეწირები?
— მამული თუ მეტყვის, შევეწირები.

როდესაც აზალგაზრდა კაცი მზადაა თავი გასწიროს სხვისთვის, თუ ამას სატრფო თხოვს, რატომ არ უნდა გაწიროს მან თავი სატრფოსათვის?

ფშავში ერთი ქალი ასე ტიროდა სოფლის ერთ-ერთ თავკაცს: „რა კარგი ხარ, სიკვდილო, გიორგის ფასი გაგვაგებინეო“, „რიონში“ კი დაბეჭდილია ლექსი, რომლის ავტორსაც სიზმარში უნახავს „სიკვდილის სიკვდილი“ და ამის გამო უსაზღვროდ აღტაცებულია.

ასეთი ფანტასტიკა არ შეიძლება ლირიკული ნაწარმოების თემად იქცეს. ამგვარი ინტერპრეტაცია აბსურდია, როგორც ცხოვრებისათვის, ისე პოეზიისათვის და, მითუმეტეს, გონებისათვის.ფშაველმა ქალმა ავად არ ახსენა სიკვდილი, რადგან იცოდა, რომ ეს იქნებოდა მკრეხელობა. ჩვენი პოეტი კი, ეტყობა, ამაზე არ ფიქრობდა.

საინტერესო, თავისებური ნიჭის პოეტია გიორგი კაპანაძე.

დაღლილ ღრუბლებზე გადიფრენს წერო
და შემოდგომის ქარები მცემენ,
დაღლილ ღრუბლებზე გადიფრენს წერო,
თან გაიყოლებს ნათელ სივრცეებს.

აშგვარ ხედვას რეალისტურ ელფერს აძლევს მომდევნო ორი სტროფი:

მამის ურემი არსად ჭრიალებს,
აპეურები დალპა უღელზე,
ის იქნებ უხმოდ ეძახის ყანებს,
ნეტავი ისევ კარს გავუღებდე...
და ეცოდება დაღლილი ყანა
გადათელილი ქართან ბრძოლებით,
სადღაც შორეთში ეძახის წერო
და არ უშვებენ ის სიშორენი.

კრებულში დაბეჭდილია შალვა ტოგონიძის, ზურაბ კუხიანიძის, შალვა ნიჟარაძის, სულხან აბდალაძისა და თეიმურაზ აბულაძის შთამბეჭდავი, დასამახსოვრებელი ლექსები.

ამ პოეტებისათვის დამახასიათებელია ლტოლვა ახალი სივრცეებისაკენ. თავიანთ ძიებაში ისინი კიდევაც მარცხდებიან და კიდევაც იმარჯვებენ და მკითხველიც ამ ბრძოლაში ხედავს ნამდვილი შემოქმედებითი სიმწიფის საწინდარს.

„რიონი“ კიდევ ერთი სერიოზული ნაბიჯია ამ სიმწიფისა და შემოქმედებითი დავაჟკაცების გზაზე.

**ხ. ჩიტაური**

# მონოგრაფია ვ. ბარნოვის ისტორიული რომანების ენის შესახებ

ვ. ბარნოვი, როგორც ცნობილია, ყურადღებას იქცევს არა მარტო თემატიკის სიმდიდრით, არამედ უხვი ლექსიკითა და განსაკუთრებული სტილით. მის ენობრივ თავისებურებებს ბევრი მკვლევარი შეხებია, მაგრამ მთლიანი შესწავლა დღემდე ვერ მოხერხდა.

ელ. კოშორიძეს დიდი შრომატევადი სამუშაო შეუსრულებია და საქმის სიყვარულითა და ცოდნით დაუმუშავებია მთელი რიგი საკითხები.

შრომას ახლავს ვრცელი რეზიუმე რუსულ ენაზე, ერთვის ავტორის წინასიტყვაობა, რედაქტორის — პროფ. ვ. თოფურიას ბოლოსიტყვა და შემოკლებათა განმარტება.

პირველი თავი ეხება საკითხის ისტორიას. აქ შეჯამებულია და სათანადოდ გაანალიზებული ვ. ბარნოვის ენის შესახებ არსებული მო-

**ე. კოშორიძე, „ვასილ ბარნოვის ენა ისტორიული რომანების მიხედვით“, თსუ, 1966.**

საზრებები. აღნიშნულია, რომ ვ. ბარნოვის სტილისა და ენის მთავარ თავისებურებად აღიარებულია რიტმულობა და არქაულობა. ენის თავისებურების ერთგვარ განმსაზღვრელად თემატიკასაც მიიჩნევდნენ და ამავე დროს შენიშნავდნენ ნაწარმოების შექმნის ქრონოლოგიის მნიშვნელობასაც.

აქვე ეხება ავტორი გრ. კიკნაძისა და ივ. გიგინეიშვილის შრომებს, რომლებშიც გაანალიზებულია ვ. ბარნოვის ისტორიული რომანების სტილისტური თავისებურება.

მეორე თავში, რომელიც გაცილებით უფრო ვრცლად დაბეჭდილია „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხების" III ტომში, განხილულია ვ. ბარნოვის რომანების ავტოგრაფები და ნათლადაა წარმოდგენილი, თუ რა გზით ხდებოდა მათი ცვლილება. დადგენილია, რომ ადგილი ჰქონია წინადადებათა გამარტივებასა და დახვეწას. ჩასწორებების მიზანი ყოფილა: 1) რიტმულობისა და ექსპრესიულობის მიღწევა, 2) ენის სიმდიდრის ჩვენება და 3) მოკვეთილი ფრაზების შექმნა და გამოყენება სტილისტიკური თვალსაზრისით.

შემდეგ ავტორი გვაწვდის ლიტერატურული ენის შესახებ ვ. ბარნოვის აზრს, რომელიც მწერალს გამოუთქვამს თავის თეორიულ შრომებში. ჩანს, რომ ვ. ბარნოვი უპირისპირებს ერთმანეთს ხალხურ სასაუბრო მეტყველებას და სალიტერატურო ენას: პირველი უბრალოა, სადაა, მეორე კი ხელოვნურია, განიცდის თეორიული კანონების ზემოქმედებას. მართალია, სალიტერატურო ენა საზრდოს იღებს მდიდარი და მრავალფეროვანი ხალხური მეტყველებიდან, მაგრამ მას გადაამუშავებს გარკვეული წესების მიხედვით.

გარკვევით ჩანს, რომ ვ. ბარნოვი მწერლისაგან მოითხოვდა; მხატვრული ნაწარმოების ენა ყოფილიყო თავისებური, მდიდარი და რიტმული. ვ. ბარნოვის აზრით: „რიტმი ანუ ფრაზათა მუსიკალობა ერთნაირად საჭიროა ლექსისათვისაც და პროზისათვისაც".

ვ. ბარნოვმა სალიტერატურო ენის საკითხებზე თავისი შეხედულებანი პრაქტიკულად განახორციელა ისტორიულ რომანებში. შრომაში დაწვრილებითაა განხილული ვ. ბარნოვის ენის ლექსიკურ-სტილისტური თავისებურებანი და მდიდარი და სანდო მასალის ანალიზის საფუძველზე მოცემულია მნიშვნელოვანი დასკვნები.

მეხუთე თავში, რომელიც შრომის ძირითად ნაწილს წარმოადგენს, გაანალიზებულია ვ. ბარნოვის ენის გრამატიკული თავისებურებანი. ყურადღება გამახვილებულია როგორც დიალექტიზმებზე, ისე არქაიზმებზე, სიტყვაწარმოებაზე და სხვა.

უხვი მასალის ყოველმხრივი ანალიზის შედეგად ავტორი მართებულად ასკვნის, რომ „ვ. ბარნოვის ენის გრამატიკული თავისებურებები ძირითადად XIX საუკუნის მწერალთა ენის დამახასიათებელია" (გვ. 107).

არქაულობის შთაბეჭდილებას ქმნის ეპოქის კოლორიტის საჩვენებლად გამოყენებული ლექსიკური არქაიზმები და თავისებური სტილი.

შრომის მომდევნო ნაწილში ავტორი ეხება ვ. ბარნოვის კავშირს ძველ ქართულ მწერლობასთან. სათანადო მასალის საფუძველზე მკვლევარი აცხადებს, რომ „ვ. ბარნოვი არა მხოლოდ თემატურად იყენებდა ძველი მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს, არამედ მას თავის ისტორიულ რომანებში ზოგჯერ უცვლელად შემოჰქონდა რჩეული ფრაზები და გამოთქმები, რაც ხელს უწყობდა მწერლის ენაში ძველი ქართულიდან ცნობილი ფორმების მიღებასა და დამკვიდრებას. ამან შეაპირობა ძირითადად ვ. ბარნოვის თხზულებათა არქაული იერი" (გვ. 115).

შრომაში აგრეთვე გარკვეულია ვ. ბარნოვის პროზის ენის ევოლუციის საკითხები. ნათელყოფილია, რომ მწერალმა ბოლო წლებში დიდი ადგილი დაუთმო რიტმულობას. რიტმის სრულყოფისათვის იგი იყენებდა გრამატიკულ თავისებურებებსაც და ამისათვის შემოჰქონდა არქაული, დიალექტური და ხელოვნური ფორმები. ჭარბად ხმარობდა მარტივ წინადადებებს, რომელთა რიტმში მოქცევა შედარებით უფრო ხერხდებოდა. ამავე მიზნით არ ერიდებოდა უშემასმენლო წინადადებებსაც. სარეცენზიო წიგნში გარკვეულია ისიც, რომ ვ. ბარნოვი ზოგ გრამატიკულ საშუალებას იყენებს სტილისტიკური დანიშნულებით, უქვემდებარებს გარკვეულ ლიტერატურულ მიზნებს, ხმარობს ეპოქის ან გარკვეული კუთხის დასახასიათებლად. და ბოლოს მოცემულია ვ. ბარნოვის ენის თავისებურებათა ახსნის ცდა.

ელ. კოშორიძის აზრით „ვ. ბარნოვი თავისთავადი მწერალია, რომელმაც თავისი სტილი საკუთარი შეხედულების შესაბამისად ჩამოაყალიბა" (142). იგი არ არის მოქცეული არც ძველი ქართული მწერლობისა და არც მოდერნისტული მიმართულების გავლენის ქვეშ, თუმცა ამ უკანასკნელისადმი მიდრეკილებას ავტორი მთლად მაინც არ გამორიცხავს (გვ. 145). ბოლოს დასკვნით ნაწილში ნათქვამია: „ვ. ბარნოვის ისტორიული რომანების ენა და სტილი შეესაბამება ავტორის შეხედულებას სალიტერატურო ენის თაობაზე.

ამ შეხედულებათა შემუშავებაში ხელი უნდა შეეწყო, ერთი მხრივ, ძველი ქართული სასულიერო და საერო მწერლობის მხატვრული თავისებურებების მიღებას და შეთვისებას, ხო-

ლო, მეორე მხრივ, ეპოქის ახალ სტილისტიკურ ტენდენციებს“ (გვ. 148).

ავტორის ძირითადი დებულებები და დასკვნები სწორი ჩანს. ამდენად, მისაღებია და გასაზიარებელი.

შენიშვნას იწვევს ზოგიერთი საკითხი:

1. შრომის პირველი თავის ბოლო ნაწილში არ არის მთლად ნათელი ავტორის დამოკიდებულება ივ. გიგინეიშვილის იმ მოსაზრებისადმი, რომლის მიხედვითაც ვ. ბარნოვის ენის სტილის თავისებურებანი „მოდერნისტული მიდრეკილების ერთგვარ გამოხატულებას წარმოადგენს“ (გვ. 13).

2. მეხუთე თავში დიალექტიზმებთან დაკავშირებით ავტორი აღნიშნავს, რომ „ყ-ს წინ იკარგვის ვ I სუბ. პირის ნიშანი“ (გვ. 57).

ეგებ ძველი ქართულის გრაფიკით აიხსნას ეს მოვლენა.

3. ამავე თავში ნათქვამია, რომ ზოგი ე-ზე დამთავრებული კვეცადი სახელი ე-ს ინარჩუნებს“ (გვ. 59).

აჯობებდა აღნიშნული ყოფილიყო, რომ ეს არ არის მხოლოდ ვ. ბარნოვის დამახასიათებელი. ანალოგიური მოვლენა დასტურდება სხვა მწერლებთანაც, მაგალითად, ი. ჭავჭავაძესთან (სახატესაკენ: II 440, 16; მონადირესაგან: II 83,5; სანაწილედამ: II 112, 8 ქვ.). ი. გოგებაშვილთან (მეწვრიმალესაგან: V 519.7, მონადირესთვის: VI 67, 30—31; ქართველაძეს მხრივ: IX 56,9) ნ. ლორთქიფანიძესთან (საპყრობილედან: I, 360, 19; საჭურედან: I 500, 35—36; I 501, 23; სახრეთი: I 501, 26), მიხ. ჯავახიშვილთან (საცოლეს ძებნას შეუდგა: IV 499, 30), ირ. სონღულაშვილთან (სავანედან: „მირანდულად იადხმობილი“, 385, 10 ქვ.; არჩვიაძეს ვაჟი: იქვე, 405,1 ქვ.) და სხვ.

დასკვნის სახით ელ. კოშორიძის წიგნის შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი:

მასში ყველა საკითხი განხილულია საქმის ცოდნით. მოცემული დებულებები და დასკვნები, რომლებიც მიღებულია უხვი და სანდო მასალის მეცნიერული ანალიზის შედეგად, ეჭვს არ იწვევენ და ამდენად მისაღებია და გასაზიარებელი. ზოგიერთი მოვლენის კვალიფიკაცია შეიძლება სადავო და საკამათო იყოს, მაგრამ ეს სრულებითაც არ ამცირებს მის ღირსებას.

ელ. კოშორიძის წიგნი „ვასილ ბარნოვის ენა ისტორიული რომანების მიხედვით“ თანამედროვე ენათმეცნიერების დონეზე დგას და წარმოადგენს სერიოზულ მეცნიერულ ნარკვევს.

ამ ნაშრომს აქვს პრაქტიკული დანიშნულებაც. მას გამოიყენებენ ენათმეცნიერებიც, ტექსტოლოგებიც, ლიტერატურის ისტორიკოსებიც, მასწავლებლებიც, სტუდენტებიცა და სხვებიც.

**ᲒᲠ. ᲘᲛᲜᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

ფასი 80 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС
76128

„МНАТОБИ"

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО «ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»